საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

ჯ ა რ ა ლ ე ლ ი

5

2013

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახობაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
ბორის გითოლენდია
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გთავაზობთ:

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

ი გ ო რ კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა – 70 3

პოეზია, პროზა

თეონა ჩოგოვაძე – ჩემი საქართველო 8
ლიკა მუკბანიანი – ლექსები 9
ამირან კაჭახიძე – ორი მოთხრობა 11
ნინო გოდერძიშვილი – მგზავრის ჩანაწერები 24
ზურაბ ჯოხარიძე – მგზირი 27
თეონა გვაძაბია – მოთხრობა 33
ირმა კეცხოველი – ლირიკული ჩანაწერები 39

თარგმანი

ლევ ტოლსტოი – ინდური ყავახანა (თარგმნა ზურაბ ხასაიამ) 41

წერილები

იგორ კვესელავა – საქართველოს ცხრა ნისლიანი წელი 47
რევაზ მიშველაძე – კულტურა და ინტერნეტი 56
სოსო სიგუა – გლობალიზაციის მოდელები 66
ვახტანგ დავითაია – ვარდების რევოლუციის არქიტექტურა 86
თეიმურაზ ფანჯიკიძე – რწმენის ფსიქოლოგია 105
ეკა ცხადაძე – გადმოცემები ამორძალებზე და მათი მითოსურ-ლიტერატურული პარადიგმები 115
თამარ ბლიაძე – მუსიკალური კულტურა და გალაკტიონი 127
დიანა ფოცხვერაშვილი – მხატვრული მოღვაწეობის ზღვრული ფორმები 133
როზა გაფრინდაშვილი – აგრესიის ბიოლოგიური და სოციალ-ფსიქოლოგიური მიზეზები 140
თეა ჯღარკავა – დახასიათება, როგორც კომპოზიციური ფორმა და პერსონაჟის პოეტიკა 152
ვაჟა შუბითიძე, ნინო სიორიძე – ნიკო ნიკოლაძე მოსამართლეებისა და წაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ 157
თამარ კუპრეიშვილი – 2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ანალიზი 164
გოჩა გვასალია – ბედისწერისა და ნების თავისუფლებისათვის 169

კობა საყვარელიძე – ვალდებულება, როგორც ნების გამოვლენა ხელშეკრულებებში 178
გელა ღვინეფაძე – ქართველური ენების ერთი ფენომენის შესახებ. 184
ეკა როჭიკაშვილი, გულნარა კოტრიკაძე – კომპანია Stonesoft–ის ვირტუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარი წესები და გადაწყვეტილებების გამოყენების თავისებურებები 188
მურად შონია – ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი 193
დემურ კახურაშვილი – პასკალი – მეცნიერი 199
ნონა ჟველია – ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1696 წწ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი 212
ედიშერ გვენეტაძე, გულივერ გაგუა – საჯავახოს მხარე 215
ემზარ ხვიჩია – სტალინი 223
ალექსანდრე მღებრიშვილი – ოსთა რელიგიური საკითხისათვის. 237
მურმან პაპაშვილი – სიმონ I-ის პოეტურ-მუსიკალური გატაცებებისა და სხვა პიროვნული თვისებების შესახებ. 245
ნიკოლოზ ბჟალავა, ქეთევან კვესელავა, ლიანა თადეიშვილი, მაია სიხარულიძე – მულტიმედიური ტექნოლოგიები, როგორც ვირტუალური და რეალური გარემოს დაახლოება . . . 253
ნინო გომართელი – რამდენიმე შტრიხი უინსტონ ჩერჩილის ბიოგრაფიიდან . . .260
ბადრი ცხადაძე – ორი ქართული გვარ-სახელის შესახებ ,,გასიტა'' და გასიტა-შვილ''-ის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის . . 266
მამუკა შელეგია – ბარათაშვილი, მოემი... და სოლიფსიზმი 276
სოფიო ფეტელავა – თარგმანის განვითარების ეტაპები და საფეხურები 280
ბადრი ცხადაძე – წმინდა გიორგის კულტი და ,,გიორგ//გორგ...'' ძირიანი გვარ-სახელების წარმოშობისათვის საქართველოში 286

რეცენზია

ავთანდილ არაბული, ბადრი ცხადაძე – ტერმინებში გამობრძმედილი მეტალურგები. 295

სიახლე

სტუ-ს სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური კვლევის ცენტრი 302

დებიუტი

ნიკოლოზ კიწმარიშვილი – ყური თვალის წინ 304

igor kveselava 70

გ ი ლ ო ც ა ვ თ!

ძვირფასო ბატონო იგორ,

გილოცავთ დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავის იუბილეს.

თქვენ, ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, მართლაც ბევრი გაქვთ საამაყო მუხლჩაუხრელად, ვაჟკაცურად განვლილი გზის გამო.

ურთულეს ეპოქაში მოგიწიათ ცხოვრებამ და ჩვენი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯში, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის მიღწევებში თქვენი თვალსაჩინო წვლილიც არის.

,,უშიშარი და პრინციპული'' სწორედ რომ ის სიტყვებია, თქვენს შემოქმედებით ცხოვრებას რომ ახასიათებს.

კალმით და სიტყვით თქვენი კვეთება ყოველთვის იქ იყო, სადაც ქვეყნის ისტორიული ბედი წყდებოდა, ხოლო საბედისწერო ისტორიულ მოსახვევთან ვაჟკაცურად იდექით, როგორც გონიერი მრჩეველი და მოვლენათა ობიექტური შემფასებელი.

ვინც თქვენი ბრძნული წინასწარხედვა გაისიგრძეგანა, არაფერი წაუგია და ვინც არ ისულგულა, განწირულია ისტორიის სანაგვეზე გადასაგდებად.

თქვენ თქვენი ფასდაუდებელი შრომებით, დიაღაც, შექმენით თანამედროვე საქართველოს ზუსტი, ავტორიტეტული მატიანე.

ბედნიერად ვრაცხთ თავს, რომ თქვენი ცხოვრების დიდი და შეგნებული ნაწილი ტექნიკურ უნივერსიტეტს დაუკავშირდა.

ლამის ორმოცდაათი წელი შეალიეთ საქართველოს უდიდეს უნივერსიტეტს, როგორც ტკბილმოუბარმა ლექტორმა, სპეციალისტთა და მეცნიერთა თაობების აღმზრდელმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის უნარიანმა ხელმძღვანელმა, გულისხმიერმა კოლეგამ და მეცნიერების ორგანიზატორმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენ მიერ დაარსებული სამეცნიერო ჟურნალი ,,საისტორიო ვერტიკალები'', რომელმაც არაერთ მეცნიერულ გამარჯვებას დაუდო სათავე.

სახელოვან მეცნიერთა პოპულარული ცენტრი და არაერთი ეროვნული ღონისძიების მოთავეა ,,პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია'', რომლის პრეზიდენტი და სულისჩამდგმელიც ბრძანდებით.

ბატონო იგორ,

ქვეყნის უანგარო სამსახურის და სიკეთის ქმნის თქვენეული მაგალითი, რომელსაც ყოველწლიურად დაუზარებლად ასხივებთ – გადამდებია.

საქართველოც იმ სიყვარულით გპასუხობთ, რაც მისადმი თქვენი უანგარო სამსახურით და უმწიკვლო მოქალაქეობით დაგიმსახურებიათ.

ხართ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, არჩეული ხართ არაერთი დარგობრივი და სახელმწიფო აკადემიის წევრად, ახლახან მოგენიჭათ დავით აღმაშენებლის პირველი ხარისხის პრემია.

ბატონო იგორ, თქვენი ნიჭიერება, გამოცდილება და ადამიანებთან ურთიერთობის შესაშური უნარი კიდევ დიდხანს დასჭირდება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს.

სულიერ სიმხნევეს და გაუბზარავ ჯანმრთელობას გისურვებთ!

რექტორატი,
აკადემიური საბჭო, სენატი,
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ჩემო იგორ

მარტვილი, სადაც ჩვენი აკვანი დაირწა, გიორგი ჭყონდიდელის ადგილის დედაა და დავით აღმაშენებლის მადლითაა გასხივოსნებული.

სიყრმიდანვე გულს ჩაინერგე სიმართლის მსახურება და, შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ არჩეული გზისთვის არ გიღალატნია.

დგახარ ახლა შუბლზეოფლგადამდინარე, სახელოვან სამოცდაათიანელთა წინამძღოლი, მამულის წინაშე ვალმოხდილი საზოგადო მოღვაწე და ხმლის ქარქაშში ჩაგებას როდი აპირებ; დღესაც იმაზე ფიქრობ, როგორ შეეწიო ქვეყანას, რათა მოყვასის ცხოვრების გაუკეთესებაში ბრძენკაცის წილი დაიდო.

სიუბილეო მილოცვისას ხშირად იტყვიან ხოლმე: ,,უკან დარჩა უამრავი უძილო ღამე, უკან დარჩა ქაღალდზე დაგვირისტებული სტრიქონები და მეცნიერული შეუვალობით შექმნილი ტომები''... ამჯერად საიუბილეო სტანდარტს გვერდს ავუვლი, რაკიღა შენი გონებისა და გარჯის ნაყოფი წინ გვიწყვია. შენ მოგონებათა წიაღისთვის არ მემეტები, რადგანაც ახლაც, ამ წუთში ბრძოლისა და შრომის ფერხულში ხარ.

ხანდახან შენს თვალზე ცრემლის კურცხალიც გაკრთება იმ ადრე წასული ჩვენი მეგობრების გამო, ვინც დაღლილი, წუთისოფლის შუაგზაზე დაგვშორდა და ბოლომდე მისაყვანი უამრავი საქმე დაგვიტოვა.

,,მაგრად დექ!'' ჩემო იგორ. არ შეგეშინდეს, შენს გვერდით ვარ.

რევაზ მიშველაძე

ძვირფასო იგორ

ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობა მაძლევს უფლებას, რომ გულწრფელად მოგე-სალმო და ახალი წარმატებები გისურვო ყელამდე მართალ კაცს, დიდი მეცნიერსა და ტექნიკური უნივერსიტეტის სახელოვან ბურჯთაგანს.

ყოველი შენი გამოსვლა, ყოველი შენი მეცნიერული გამოკვლევა გასხივოსნებულია მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობითა და პოლემისტის უზადო ნიჭით. შენ შეძელი შენი საკუთარი მონეტა მოგეჭრა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. ამიტომაც ავტორიტეტი ხარ ჩვენი ქვეყნის ბედით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

ჯანმრთელობას და გაძლებას გისურვებ, ჩემო იგორ.

ჯემალ გახოკიძე

ეროვნული მოძრაობის მემატიანე

პრეფოსორი იგორ კვესელავა მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც ეძღვნება მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიას.

მათგან განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე დაწერილმა წიგნმა, რომელშიც წარმოაჩინა იგი, როგორც დისიდენტი, პრეზიდენტი და მოწამე.

ამ და სხვა ნაშრომებში იგორ კვესელავამ წარმოგვიდგინა ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის მატიანე, რუსეთის როლი, კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება, აღადგინა დრამატული დღეების სიმართლე, გამოავლინა ისტო-რიული და პოლიტიკური მოვლენების ზუსტი ანალიზის უნარი. ამიტომ არის იგი პოპულარული და თვალსაჩინო მკვლევარი, მოღვაწე, ლექტორი.

ვულოცავთ ჩვენს ძვირფას კოლეგას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს.

სოსო სიგუა

დიდი მეგობარი

იგორ კვესელავამ წარჩინებით დაამთავრა მარტვილის საშუალო სკოლა და იქ მიღებული ცოდნით იმავე წელს შეაღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კარი. შემდგომში მან დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. მის მეცნიერულ ნაღვაწს უცხოელი სპეციალისტებიც კარგად იცნობენ. ამასწინათ მის მიერ წაკითხულმა მოხსენებამ პრაღაში ფურორი მოახდინა და სპეციალური სერტი-ფიკატი დაიმსახურა. მას გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც ეხება კავკასიათმცოდნეობის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ერო-ვნული მოძრაობის, გლობალიზაციის, კონფლიქტოლოგიის, პოლიტიკის, ქართული ეთნოყოფისა და კულტურის, თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისულ პროცესებს და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებს, ხელმძღვანელობს სტუ-ს სოციალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტს. იგი მუდამ დგას სახელმწიფოებრივი მშენებლობის შუაგულში.

ბატონი იგორი ნამდვილად დიდებული პიროვნება და მეცნიერია, მაგრამ მას კიდევ უფრო დიდებული ოჯახი ჰყავს: მისი მეუღლე, ჩინებული ქალბატონი თამარი, ღვთისმოშიში და გულისხმიერი მეოჯახეა. მან ქვეყანას ორი უბრწყინვალესი შვილი – ქეთი და უჩა აღუზარდა. ქეთი სტუ-ს ასოცირებული პროფესორია, უჩა კი – შსს-ს თა-ნამშრომელი. ორივემ მშობლებს ხუთი შვილიშვილი აჩუქა. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ ბატონი იგორი დიდი მეგობარია, გულისხმიერი ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას შეუძლია ყველას თანადგომა და ერთგული მეგობრობა.

ბატონ იგორს მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ნაყოფიერ და წარმატებულ მომავალს ვუსურვებ თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან, სამეგობროსთან და სტუდენტებთან ერთად.

ალეკო სიჭინავა

თეონა ჩოგოვაძე

ჩემი საქართველო

ნეტა როდის გაილევა ეს ცივი ზამთარი, თუმცა ჯერ ხომ თითქმის არც დამდგარა... მაგრამ გულში მაინც სიცივეა... ცივა შიგნით გარეთ, ნისლია და ბურუსი. ცივა საქართველოს... მის თავზე კვლავ შავი ღრუბელია... ისევ სვავებივით დაგვტრიალებენ... ისევ იფლითება სისხლით ნაკოწიწები დროშა. ოდესღაც დიადი, თუმცა წამებული... კვლავ სასოწარკვეთილება და შეშინებული თვალები...

ისევ თბილისი... დატვირთული გზები და ათასი ფიქრით გადაღლილი ხალხი... ისევ მეტრო და უნივერსიტეტის ხმაური... მრავალსართულიანი შენობები, შუშის ბრჭყვიალა ნაგებობები, მოცეკვავე ფანტანები, მოდერნიზებული ხიდები... და მეტრო... მიწისქვეშა გადასასვლელი... მოკლე ხელები და მაინც გამოწვდილი სამოწყალოდ... ბრმა თვა-ლებით ხილული სამყარო... უსიცოცხლო მზერა... სულის ტკივილიდან წამოსული სიმღერა და ჩონგურის ხმა... ცალი ფეხი.. ომგამოვლილი... ტკივილი... ტკივილი... ტკივილი...

ჩემი საქართველო... რა გასაჭირშია, რა განსაცდელში! რა დაგვრჩენია, მხოლოდ წუხილი და სინანული?! განძია ცოდნა და ოქროა წიგნი, გზაა სიყვარული და ხსნაა თანადგომა, მიზანი სამშობლო... რომ დილა გვიხაროდეს და არ გვციოდეს... ღამე ვისვენებდეთ და არ გვტკიოდეს... როცა სურვილი დიდია, დიდია მისი ძალაც, აი, ისეთი, მთას რომ გადადგამს რწმენაზე დაყრდნობილი...

ჩემი სამშობლო ჩემი გულია. გულით... თითქოს პატარაა, მაგრამ ლამის მთელი დედამიწა დაიტიოს... ყველა უყვარს... ის არ ირჩევს სხვა დიდებას, აქ ურჩევნი, აქ უხარია ამ პატარა, მრავალტანჯვაგამოვლილ ქვეყანაში... ქვეყანაში, სადაც კვლავ მინდა ვიხილო გაზაფხული...

იყიდება სიყვარული

არწივების ბუდე ხარ,
ბელებს ურწევ აკვანს,
გელათს ტაძარს აშენებდი
დავით მეფევ, სად ხარ?!

ერსა უნდა შენი ხელი,
ვერღარა ვართ რაც ვართ,
ზარ-ზეიმით, ტაშ-ფანდურით,
თავსაც ვყიდით, სხვასაც.

იყიდება თითო გროშად
კაცთა სიყვარული,
ლამაზ-ლამაზ ქაღალდებზე
ჩანს მამულის გული!

სადღაა სინათლე

მიწურში ჩამძვრალი
პატარა სიცოცხლე,
ვიღაცის შიშნარევი
მარში,
თავი მომაძულა ამდენმა სიცრუემ
შეწყვიტეთ უაზრო ტაში.

სიბილწე, სიყალბე,
,,ცალი ყბით მიმართე'',
გულში ბოღმით და დარდით,
სადღაა სინათლე,
თავს ნუღა იმართლებ,
სიმართლე სახეს მალავს ჩადრით!

ა დ ა მ ი ა ნ ო . . .

რას დაგამგვანათ ცხოვრებამ,
რას ჩამოგტირით პირიო.
კაცი კაცს არ ჰგავს, ქალი - ქალს,
მეც ამიტომაც ვტირიო!

სადღა წავიდა ის დრონი,
ვაჟკაცი როცა ვაჟობდა,
როცა კაცისთვის მანდილი,
სიცოცხლის ტოლად ფასობდა.

რას დავამგვანეთ ცხოვრება,
რისთვის ბდავთესეთ ღვარძლიო?
ვაი, ქალობას რა ვუთხრა,
უი, კაცობის რა ვთქვიო!

ოც საუკუნეს გავუძელთ,
ბოლომ აგვყარა მადლიო,
აღარ შემოგვრჩა ნამუსი,
აღაც ცხოვრების დარდიო!

✍ ამირან კაჭახიძე

ე რ ე კ ლ ე

პირველ შვილი ბიჭი გვყავდა და მეორის მოლოდინში ვიყავით. 1991 წლის სუსხიანი იანვარი იდგა სამაჩაბლოში. ახალგაზრდა ოფიცერს სისხლი მიდუღს და სადაც სამშობლოს ვჭირდები, იქა ვარ. მორიგეობით დავდიოდით ბიჭები ცხინვალის საგუშაგოზე. იარაღი ჩვენ არ გვქონდა და ტყვია-წამალი. თოფი ვისაც გვქონდა, სახლიდან მოგვქონდა. რუსის ტანკები ცხინვალის შესასვლელში იდგნენ და შეხლა-შემოხლაში არ ერეოდნენ. ერთმა რუსმა ოფიცერმა ისიც გამიმხილა, რომ თურმე ძალიან ჰყვარებიათ სამოგზაუროდ ტანკებით სეირნობა...

ერთხელაც რამდენიმე ჯავშანმანქანა მოგვადგა ცხინვალიდან. ცვლის უფროსი ვიყავი, რუსულ სამხედრო ტექნიკაში კარგად ვერკვეოდი და ვიცოდი რა ,,ბტრ''-ის ტევადობა, კატეგორიულად მოვითხოვე ეჩვენებინათ, რა გადაჰქონდათ. რუსების მეთაური, ზორბა წითური კაპიტანი, არ მოელოდა წინააღმდეგობას და უხეშობა სცადა, მაგრამ არ დავიხიეთ. უმალ ბაბუაჩემის ნათქვამი გამახსენდა:

– ბაბუ, გარეული შინაურს ვერასოდეს დააფრთხობს, სადაც დაიხევ, იქვე დაიმარხებიო, – ბიჭებს გავძახე:

– დათმობა არ იყოს-მეთქი და დავდექით... სიტუაცია წკიპამდე დაიძაბა. წითური იძულებული გახდა, ჯავშანტრანსპორტიორის ლუქების გახსნის ბრძანება გაეცა. მას მერე ბიჭები მეხუმრებოდნენ: რაო, ძმაო დათმობა არ იყოსო?

ღამით პოლიციის ,,რენო მოსკვიჩში'' ვისვენებდით, როდესაც ცხინვალიდან ნატყორცნი ყუმბარა იქვე მიგდებულ ტრაქტორს მოხვდა და ამოგვატრიალა. მსუბუქად დავიჭერით, მაგრამ ყველას გაუკვირდა: საიდან ოსებს ამდენი ტექნიკა?!...

საგუშაგოების შემოვლის დროს სროლაში მოვყევით მე და ჩემი მეწყვილე. ვერაფრით დავაღწიეთ თავი ცეცხლს და სასაფლაოზე საფლავის ქვებს შორის ჩავწექით. მიცვალებულებმა ,,გადასარევად მიგვიღეს''. – სიკვდილი ნამდვილად არ გვინდოდა, მაგრამ ერთმანეთს შეცფიცეთ, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი გადარჩებოდა, დაობლებული შვილებისთვის მამამისის ამბები მოეყოლა.

რუსი ჯარისკაცები ტანკებში ისხდნენ, მაგრამ ხშირად გვთხოვდნენ სიგარეტს.

ერთხელაც ქვევიდან გასროლილმა ,,გეკოს'' ბრმა ტყვიამ დაისისინა, პირტიტველა ჯარისკაცს კისერში მოხვდა და დააგდო. ვეცით, კიტელის ღილები შევუხსენით, თქიფინით გასდიოდა სისხლი. გულის ჯიბე კონვერტებით ჰქონდა გამოტენილი, დედის წერილები იყო დანომრილი. ერთის სათაურს მოვკარი თვალი:

– ,,ზდრავსტვუი დოროგოი სინოჩიკ'' (გამარჯობა, ძვირფასო შვილო, ბიჭიკო). მეორე ჯარისკაცი თავს ადგა დაჭრილს და ეხვეწებოდა:

– ,,ნე უმირაი, სერიოგა, პროშუ, ნე პუგაი მენია'' (არ მოკვდე, სერიოგა, გთხოვ, ნუ მაშინებ, რაა).

გვიჭირდა, მაგრამ ვგრძნობდით, ხალხი გვერდით გვედგა.

დღისით მოხუცმა ცოლ-ქმარმა მოგვაკითხა. კალათებიდან გაფაციცებით ამოალაგეს ნაირ-ნაირი საჭმელი თოვლზე, ქუდი ამოიღო და მოგვაწოდა:

– ზემო იმერეთში, სოფელ დარგვეთში ვცხოვრობთ. კამკამა მდინარე ჩამოედინება, ჯრუჭულას ეძახიან. ერთი შვილი მყავს – მირიანი, დაბადებიდან უსინათლო, ეს ქუდი თავიდან მოიხსნა და გამოგიგზავნათ, ,,უჩინმაჩინის ქუდია'', თუ იკადრებენო.

– რას ამბობ, ბაბუ, მირიანის ნაჩუქარ ქუდს ტყვია რას დააკლებს? – ავტომატი მარცხენა ხელში მოვანაცვლე, ნაქსოვი ქუდი გამოვართვი და ჩამოვიფხატე. გვარიანად ჩავღუღუნდი. ბებომ ხაჭაპური და წიწილა გაზეთში გაახვია, რუსის გაყინილ ტანკზე დადო, გვერდით ნახევარლიტრიანი ხილის არაყი მიუდგა, პირჯვარი გადაიწერა და დაგვაიმედა, რომ მუხლუხებით დატკეპნილი თოვლი ქართული მიწის სითბოს ვერ გაუძლებდა და სასიკეთოდ გალღვებოდა. ბაბუამ ნამდვილი თუთუნი და საკუთარი ლექსი დაგვიტოვა:

– ... ქართველები საომრად რომ მიდიოდნენ, ფიცს დებდნენ ომახიანს,
არაფრით ეპუებოდნენ მტერს, გულქვას და ოხერტიალს.
გულ-მკერდს, სისხლში ამოგანგლულს, ბრძოლით დაღლილს და ნატყვიარს,
ხმალს დაცვთილს, დაღარიანს, რაშს, გაქაფულს, ფაფარიანს,
დროშას კვრიანს, თამარიანს, ჩვენს ბრძოლებში გაგვემარჯოს,
ჩვენს სიმღერებს გაუმარჯოს, მრავალხმიანს,
გამარჯვებას ვინ წაგვართმევს, სამართლიანს.
საქართველოს გაუმარჯოს, დამშვიდებულსა და მთლიანს.

ტყვიას დაემალება კაცი, მაგრამ გულის აჩუყებას – ვერა...

სიცოცხლეს კი, აბა, რა გააჩერებს. დაიბადა ჩემი ბიჭი. ცხინვალის შესასვლელში ჟურნალისტებმა ვაჟიანობა მომილოცეს. ერთმა ყური ამიწია და მაცნობა, ერეკლე დაარქვესო. ერთი სული მქონდა, სანამ ერეკლეს გულზე მივიკრავდი, მაგრამ ბიჭების თხოვნით, გორში შევლა გადავწყვიტეთ ახალშობილის სადღეგრძელებლად. რკინის ჩაფხუტებით და ,,რაციებით'' ახორხლილები შევლაგდით ,,ინტურისტში''. ის იყო შამპანურის ბოთლი გავხსენით, რომ ვიღაცა დამეტაკა ,,შენ გენაცვალეთი''. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ისე ამიტაცეს და

მთელი დარბაზი ,,ერეკლე-ერეკლეს'' ძახილით შემომატარეს. თურმე ტელევიზიით უჩვენებიათ ჩემი ამბავი. ღვთის მადლით მთელი საქართველო ადღეგრძელებდა ერეკლეს, ქართულ გენს, ქართულ სისხლს, შეჭირვების დროს მოვლენილსა და ლხინისათვის გადანახულს.

გავიდა ხანი. მივლინებით გაგვაგზავნეს რაჭაში, მიწისძვრის შემდეგ გზებზე სამშენებლო მასალების უმისამართო რატრატის აღსაკვეთად.

სოფელ წევაში რომ ტკბილი ბალი იცის, ნურავინ დაიკვეხნის, სულ გაწეპილი გვქონდა ხელები. ერთი ადგილობრივი 12-13 წლის ბიჭუნა შემოგვეჩვია, ჩვენც დავასეირნებდით აქეთ-იქით ,,კანარეიკით''. პაპუნას დედა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა და საფლავს მარტო ეწვალებოდა. აბა, ჩვენ თითო პარკ ცემენტს და ქვიშას ვინ დაგვამადლიდა. ასე ერთიანი ძალებ ით მოვამთავრეთ პაპუნას დედის საფლავი.

წლისთავს მზიანი ამინდი დახვდა. პაპუნას კოხტად მოეგვარებინა ყველაფერი: დაეწკრიალებინა იქაურობა, საფლავის ღობე და მაგიდა შეეღება. დედამისის მიერ მოქარგულ სუფრაზე გაეწყო ლობიანი, მჭადი, შემწვარი წიწილა, მანჭკვალა სოკო, ტკბილეული და დოქით ,,ალექსანდროული''. რამდენიმე ნათესავთან ერთად წესის და რიგის მიხედვით შევსვით შესანდობარი.

– დედაჩემი სიმსივნემ მოკლა წინა ზამთარში. დენი გვქონდა და სნეული მუდამ ტელევიზორს იყო მიყურადებული. სამაჩაბლოში რომ ახალგაზრდები იღუპებოდნენ საშინლად განიცდიდა. ,,მოამბეში'' ქართველი პოლიციელი უჩვენებიათ ცხინვალის მისადგომებიდან, ბიჭი შეძენია თბილისში. ამ კაცს ახლა ვაჟიანობის აღსანიშნავად უნდა ეპყრას თოფი ხელთ და არა საომრადო.

მონათხრობი ყურში ჩამაკვდა. იქ მყოფი თანამებრძოლების იმედით გავბედე და ვუთხარი, რომ იმ ავადმოსაგონარი დღეების პაწია ტელეგმირი ერეკლე, ჩემი ღვიძლი შვილია და ავადმყოფი ქართველი დედის განცდებმა და ლოცვამ სასიკეთო კვალი დაამჩნია ჩემს ოჯახს-მეთქი.

პაპუნას უხაროდა, რომ დედის წლისთავზე უფალმა ასეთი ბრწყინვალე საჩუქარი მოუმზადა.

ჯეი

თვრამეტი წლის რომ გავხდი, მამაჩემმა მკითხა: – გინდა გყავდეს სერიოზული ძაღლი, რომელსაც მოუვლი და უპატრონებ? თუ ძაღლები არ გიყვარს, ეს არ ნიშნავს, რომ ცუდი ყმაწვილი ხარ, მაგრამ თუ გადაწყვეტ, იყოლიო, მერწმუნე, არ ინანებ.

ცხოველები ყოველთვის მიტაცებდა. მყოლია კალიები, თევზები, ბაყაყი, კუ, ზღარბი. დაჭრილ არწივსაც ვუმკურნალე სახლში, მაგრამ მუდამ ვოცნებობდი იმედიან და ღონიერ ოთხფეხა მეგობარზე.

... პაწაწინა გერმანული ნაგაზის ლეკვი ერთიანად თრთოდა, თვალებს ძლივს ახელდა. რძეს საწოვარათი ვასმევდი, ლოგინში მეწვა და ისე ვათბობდი. სახელის შერქმევაზე ოჯახში აზრები გაიყო, ამიტომ ჩვენ-ჩვენი ვარიანტები ქაღალდის ნაგლეჯებზე დავწერეთ და ლეკვს წინ დავუყარეთ. საჭმელი ეგონა, წაეტანა და ასე დაერქვა ჯეი.

მხიარულს, ცელქსა და პუტკუნას ფათერაკები არ აკლდა. ერთხელ ავტოფარეხებს შორის გაიჭედა ადამიანის ხელისთვის მიუწვდომელ ადგილზე. რაც უფრო ვექაჩებოდით იატაკის საწმენდი ჯოხით, მით უფრო ღრმად იჭედებოდა ნაგავსა და ფოთლებში. ფარეხის კარი გავტეხეთ, გვირაბი გამოვთხარეთ და შეშინებულ-გაყინული ჯეი გადავარჩინეთ. მაგრად ,,დაგვცხეს'' სახლში. ერთი სული გვქონდა მე და ჯეის, სადმე შევმძვრალიყავით.

შავი ბეწვი ჰქონდა. თვალებზე, ყურებსა და თათებზე წითური ხატავდა.

ძაღლების გამოფენაზე 5-6 თვის ჯეის ექსპერტმა უმაღლესი კვალიფიკაცია: – ,,შოუ კლასის'' წოდება – მიანიჭა როგორც პერსპექტივაში გენეტიკური და ვიზუალური მონაცემების მქონე ლეკვს, მოცემული ჯიშის ერთ-ერთ გამორჩეულ, საუკეთესო წარმომადგენელს.

ჩემს ძმასთან რომ წავკამათდებოდით, უმალ ჩვენ შორის ჩაჯდებოდა და უბოროტოდ ყეფდა. ვჩემულობდით, არა, მე უფრო ვუყვარვარ და არა – მეო. ეზოში, სადაც მუდმივად ბავშვების ჟრიამული, საბავშვო ეტლები და ბურთაობაა, ჯეი თავდახრილი დადიოდა, რომ ვინმესთვის თვალებში არ შეეხედა, არ აეფორიაქებინა და მყუდროება არ დაერღვია.

მახსოვს, ერთხელ უნებურად ვუყვირე. უჩუმრად მიწვა კიდეში და ადამიანივით დარდობდა. მერე გავუკოტრიალდი იატაკზე, ძალიან მაგრად მოვეფერე და მაპატია, უმალ ყველაფერი დაივიწყა.

კლასელის აღმოსავლეთევროპული ნაგაზი და ჯეი ბებიის სახლში ,,გავაცანით'' ერთმანეთს. ბებო მოგვიანებით მოვიდა და ჭიშკარი რომ შემოაღო, ფიცხმა დედალმა მასზე გაიწია, მაგრამ ჯეი წინ აღუდგა, არ დაანება ,,მეგობარს'' ჩვენი ბებიას წყენინება. ოქროსფერ სამეფო პუდელს კი ცივ ნიავს არ აკარებდა და როდესაც ჯეისთან ერთად გაზრდილმა დასავლეთევროპულმა ლაიკამ თამაშ-თამაშში ცუგრუმელა ყბებში მოიგდო, გადაირია, ეცა მას და პირიდან გააგდებინა.

შევესწარი, როგორ ნადირობდა იგი ლაიკასთან ერთად კატაზე: მიწაზე გართხმული, მალულად, ერთი ძაღლი ზურგიდან, მეორე ხეს ამოფარებული, –

ცდილობდნენ მიპარვოდნენ ,,მსხვერპლს'' ზუსტად ისევე, როგორც ტელევიზიით მინახავს მგლების ნადირობა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ორივე ჯიში მგლის პირდაპირი შთამომავალი, მისი უახლოესი ნათესავი იყო.

იმ ზაფხულს თბილისში მაგარი სიცხეები იდგა. ყვირილის ხმა შემომესმა. თურმე მეზობლად ხანძარია. ქალები კივიან: სახლში ბავშვიაო. აბა, მე და ჯეი რის ,,მე და ჯეი'' ვიყავით, მივდივარ, მომდევს ჯეი ლომივით, მაგრამ სახლში ვერ ვაღწევთ, ცეცხლია. უმალ გამოვტრიალდით და გვერდით სადარბაზოში შევირბინეთ. სადარბაზოს ფანჯრიდან გადავწყვიტე გადასვლა, ,,დამელოდე'', – მოვეცი ბრძანება ჯეის და სახლის აივანზე გადავეშვი, ბავშვი გამოვიყვანე და უკან, ფანჯრის რაფაზე გადმოსვლა დავიწყე, მაგრამ ვერ ვახერხებ, ფეხები მიკანკალებს. თოკი გადმომიგდეს, წელზე შემოვიკარი, მეორე ბოლო ფანჯარაში შევაგდე და ჯეის ბრძანება მივეცი: ,,გეჭიროს''. ქვევით შეკრებილი ხალხი სულგანაბული გვადევნებდა თვალს. სიჩუმეში თითქოს წავიფორთხიალე და წონასწორობისათვის თოკი მოვსინჯე. სიმივით იყო დაჭიმული, – იქით ხომ ჩემი ჯეი მედგა კბილებით თოკზე ჩაჭიდებული.

მშვიდობიანი დასასრულის აღსანიშნავად უბნელები მცხეთის სახინკლეში წავედით. ერთ საათში ბებიაჩემი მირეკავს: ჯეი არ ჩანს, ეგ ტუტუცი და შენ ხომ არ გამოგეკიდაო? – თბილისიდან მცხეთაში, ბებია? დავეჭვდი და გარეთ გამოვედი. რას ნახავს უკეთესს, დგას ჯეი ყურებდაცქვეტილი, მომჩერებია და ვერ ბედავს მოსვლას, არ არის დარწმუნებული, შევაქებ თუ შემოვწყრები. გავშალე ხელები და გავძახე: ჩემთან, შე მეხანძრე, შენა-მეთქი. – ჩავეხუტეთ, მაგრამ რას ჩავეხუტეთ. შემოვიპატიჟეთ კუპეში, წავიდა ჯეის ქება და სადღეგრძელოები, ერთი სამადლობელი არ უთქვამს, თორემ ყველაფერი ესმოდა და ჩვენზე ჭკვიანადაც იჯდა თავის სკამზე – ,,სალობიეში'' გაშლილ სუფრასთან.

საღამოს სახლში რომ დავბრუნდით, ბებიამ ფურცელი დამახვედრა:

– წინა კორპუსში ტყუპი ბავშვები ცხოვრობენ – ქეთა და ლიზა – ინტერნეტში უპოვიათ რაღაცა, ამოუბეჭდავთ და დაგიტოვეს. – ხმამაღლა წავიკითხე: – ,,ძაღლსთვის თავგანწირული მეხანძრეები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძრის შედეგად ადამიანის საუკეთესო ოთხფეხა მეგობარი დაზარალდა. ადგილზე მოსულმა მეხანძრეებმა შინაური ცხოველის ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოყვანა შეძლეს, თუმცა ცხოველი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეხანძრეებმა ძალები არ დაზოგეს. ერთ-ერთმა მათგანმა დაზარალებულს ხელოვნური სუნთქვაც კი ჩაუტარა, შედეგად შინაური ცხოველი გადარჩა და იგი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანეს'' – გესმის ბებია? – ამას ჰქვია ცეცლხში გამოწრთობილი მეგობრობა.

იმ პერიოდში ფოლკლორულ ანსამბლში ვუკრავდი. ჯეი რეპეტიციებს არ აცდენდა. მეტროს ვაგონში სიხალვათე სუფევდა. მორიგ გაჩერებაზე პატარა გოგო და ბიჭი შემოვიდნენ სამათხოვროდ. ზოგი აძლევდა ფულს, ზოგი – ვერა. მოულოდნელად ერთმა ძონძროხა კაცმა დაჰყვირა ბავშვებს: რა გაგიშვერიათ ხელები, ფული თუ გინდათ, იცეკვეთო! – პატარები შეკრთნენ და, ცოტა არ იყოს, შეეშინდათ კიდეც. ჯეის ეს არ მოეწონა და უმალ წამოხტა. მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყო, ნაგაზს აჯაგრულ თავზე ხელი გადავუსვი, ჯიბიდან

სალამური ამოვაძვრინე და ,,შევუბერე''. ჩემმა ძმამ მხარი დამიჭირა, ,,ტაში, ბიჭო, გიორგუნაო'', შემოსძახა.

პაწაწინა მათხოვრები დახტოდნენ და ზევ-ზევით ათამაშებდნენ ჭუჭყიან მუჭუტუნებს. ჯეი კი, უკანა ფეხებზე შემდგარი, მაღლა აშვერილი თათებით ტრიალებდა.

მსუქანმა კაცმა გაილაღა: ,,ვაა, შაპიტოს ცირკია, ტოო?''. მაგრად ვიხალისეთ, მაგრამ მეორე ხაზზე უნდა გადავმსხდარიყავით და დავტოვეთ ,,მხიარული ვაგონი''. მათხოვრები კუდში მოგვდევდნენ და არ გვშორდებოდნენ. დრო გვქონდა და გავჩერდით, ჩემს ძმას კედზე თასმა წავაწყვიტე, ბიჭუნას ფულის შესაგროვებელი დაჭეჭყილი კონსერვის ქილა გამოვართვი, ჩამოსაკიდებელი გავუკეთე, ჯეის პირში დავაკავებინე და სამათხოვროდ დავდექით. გამვლელ-გამომვლელები ჩვენ ზედაც არ გვიყურებდნენ, ჯეის კი ესიყვარულებოდნენ. იდგა თბილისი მეტროს გვირაბში ჯიშიანი, სუფთა სისხლის ნაგაზი მშვიდად და ამაყად, გაჭირვებული ბავშვებისათვის ფულს აგროვებდა.

ზამთარი რომ მიილია, მზემ ჭყუტუნს მოუხშირა. ჩემმა ნათლულმა კახეთში დამპატიჟა ,,ყეენობაზე''. ყოველწლიურად ბრწყინვალე აღდგომის დიდი მარხვის პირველ ორშაბათს მტერზე გამარჯვებას ზეიმობდნენ ხოლმე მატნელები კარგი ცეკვა-თამაშით, ქართული ჭიდაობით ზურნა-დუდუკის ფონზე და შესარგი პურ-მარილით. ახმეტის ავტობუსს ,,ისნის'' ავტოსადგურზე დაველოდეთ. ,,გასვლის'' მომლოდინე მძღოლები მზესუმზირას აკნატუნებდნენ.

– ბევრს ჭამს? – მკითხა ერთმა.

– საკმაოდ, მაგრამ გერმანელი ნათესავები ეხმარებიან.

– ბედი არ გინდა? ათასი ჯურის ნათესავები ყავს ჯიშში ჩემ ,,დვარნიაშკა'' შარიკასა, მაგრამ ვინმე გამაეხმაურება განა? არცა სვამს და არცა სჭამს, ჭინკორასავითაა, მაგრამ გაანჩხლება იცის, რომა სულ ,,პაკრიშკები'' დაბეროს.

– შენც კარგა ბერავ ლაყუჩებსა და გახსენით ,,ვულკანიზაცია'', მოგეშვებათ ორივესა, – იყო ერთი ხორხოცი.

ამ დროს ერთ წელში მოკუნტული ბებო მიადგა შარიკას პატრონს და ეკითხება:

– შვილო, გურჯაან გაივლი?

– თუ მავინდომე, არ გავცდები როო, – უპასუხა მან და საჭეს მოახტა.

უკანა ადგილების დასათრევად ავტობუსში პირველები ავცვივდით. ჯეი სკამების ქვეშ მოკალათდა და ჩასვლამდე არ განძრეულა. აქაც შემოგვიჩნდა ერთი:

– რა ჯიშია, ჯიგარო?

– გერმანული ნაგაზია, ბატონო, ორი წლის მამალი. ჯერჯერობით უშვილო, ვეძებთ კაი გვარიშვილს.

– ხედავ, გოგია, როგორ ეტრფის ხალხი ხარისხიანსა? – შენ როდისღა უნდა გვაჭამო ღორის ქელეხი, – უნდა დააჩამიჩო?

– რას ამბობ, ჯო, ორხიდიანია, ისეთი მიხვრა-მოხვრა აქვს, ძეგლის დადგმაი უპირებდნენ ხალხის მოთხოვნითა, მაგრამ წინააღმდეგი წაველ, ჩემი სიდედრის ძეგლი უნდა დავადგმეინო. რასაც მე მაგაი ვენახში დავატარებ ვაზის მოსაწამლადა. არც შაბიამანი უნდა და არც აპარატი, ეგრევე წამლავს გესლითა.

წინა სკამებიდან ღაჟღაჟა ბიძა ძლივას მოტრიალდა, დაბუთქუნებული მუშტი ტუჩებთან საყვირივით მიიბჯინა და გაიკრიჭა: ტაში, კუკულიი. – აბა, ეგ იყო თუ იყო.

ასეთ მხიარულებაში გავიარეთ ხაშმი, პატარძეული, მანავი, თოხლიაური, წყაროსთავი, ველისციხე, ვაზისუბანი და სხვა, ალალ-მართალი პირდაპირობით, სტუმართმოყვარე, ჯანღონიანი გლეხებით, დახატული გოგო-ბიჭებით, ,,დაპლანული ვენახებით'', ღვინით სავსე ჭურებით, ჭაჭის, ჩურჩხლით, ჩირით, გოგრითა და ბარაქიანი ჭირნახულით გამოტენილი მარნებით გადავსებული მადლიანი კახური სოფლები.

პაპა და ბაბო ჩვენმა მისვლამ ძალიან გაახარა. ეზოში რუხი ვირი და ღია ფერის დიდტანიანი, ყურებდაჭრილი ძაღლი დაგვხვდა. დასერილი და დაბრძენებული ,,ფარაონა''. ნათქვამია: ,,პატრონი როდესაც გღებულობს, ძაღლი არა გკბენსო'', მანაც სველი დინგი მიგვატარ-მოგვატარა და ზანტად დაწვა.

– პაპა, რა ჯიშისაა? – ავჭიკჭიკდი მე.

– სახედარი? – ღიმილით იკითხა პაპამ.

– პაპა, შენ ხუმრობ და ბოლნისის რაიონში, მდინარე ფოლადაურის ხეობის მარჯვენა მხარეს დგას გუმბათოვანი ტაძარი წუღრუღაშენი, რომელიც თამარ მეფის ,,მეფეთ მეფე გიორგის'' ლაშა-გიორგის მოღვაწეობის დროსაა აშენებული 1212-1222 წლებში. სწორედ ამ ტაძარზეა გამოსახული სახედარი ტვირთით.

– ვითომ რათაო? – იკითხა ბებომ.

– მეცნიერების ვარაუდით, სახედრებით ზიდავდნენ ტაძრის მოსაპირკეთებელ ქვებს, ამჟამად ტაძარში მამათა მოქმედი მონასტერია. – ჩაირიკრიკა ნათლულმა.

– დანამდვილებითა? – დაინტერესდა პაპა.

– ექსკურსიაზე ვიყავით სკოლიდან ქვემო ქართლში და იქა ვნახე. ყიჟინა რომ მოვრთე, მასწავლებელმა მითხრა: ,,გეტყობა, რომ ნამდვილი კახელი ხარო''.

– კარგად უთქვამს – გულიანად გადაიხარხარა პაპამ – ფარაონა, ბიჭებო ქართული მთის ძაღლია, პატრონისა და ოჯახის წევრების ერთგული. კარგად ეგუება შინაურ ცხოველებსა და ცივ კლიმატსა. გაწონასწორებულია, მაგრამ უცხოსადმი უნდო. თქვენ კი შინაურულადა გცნოთ, როგორც პაპაი ოქროს ძმაკაცები.

– მორჩი, კაცო, ლაყბობასა, დროულად წადი, წერტიდან სამწვადე ამაიტანე, ბალღები დამშეულები იქნებიან, – დაგვაშოშმინა ბებომ.

სუფრა თბილ ბუხართან დაბალ მაგიდაზე გაეწყო: დედას პური, გუდის ყველი, მრგვლად მოხარშული დედალი, ნიორწყალი, მუჟუჟი, ლორი, წნილი, ხორეჯოს წყლის კალმახი, ღორის მწვადი ხახვითა და ბროწეულით. პაპამ ქარვისფერი რქაწითელი გათლილ ჭიქებში ჩამოასხა, ფეხზე წამოდგა და უფლის სადიდებელი შესვა. მომდევნო ჭიქა ცოდვილა-უპატრონოების ხსენებისა თამადამ ძირამდის დაგვალევინა, შემდეგ სამშობლოს, სისხლით და ხორცით ნათესავებს, ნათელმირონებს, მეგობრებს და ახლობლებს მივეფერეთ.

– ,,ყეენობა'', ბიჭებო, მატანში გლეხკაცის თავისუფლებისკენ ლტოლვის სიმბოლოა. ჩავაცმევთ ხოლმე ვინმე ხუმარასა ფერად-ფერად სამოსსა, დავახურამთ წვეტიან ქუდსა, შავსვამთ ჯორზე და მივდევთ უკან ქოქოლითა. მდი-

ნარესთან რომ მივრეკავთ, ,,ყეენი'' უნდა გადმოვაგდოთ წყალში, ესე იგი, მტარვალი მაგვშორდა და მერე ვიწყებთ ქეიფსა.

– ჩვენ სოფელში, შილდაში, კოხიანობა იციან, პაპა, ჩაერთო საუბარში ყვარელელი სტუმარი, ლეკებზე გამარჯვებას ვზეიმობთ ხოლმე.

– იმერეთში კოხინჯრობა ვიცით, ,,გავიმართე წელში''. რელიგიური დღესასწაულია ამაღლების შემდგომ ორშაბათს იმართება, ღვთის სადიდებლად ლოცულობს ხალხი, მოჰყავთ საკლავი, იშლება პურმარილი.

–შაიძლება მეც მავყვე ჩემი ბალღობისა? – სიტყვა მოითხოვა ბაბომ.

– მიდი მაჰყევ – მიუგო პაპამ.

– ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი, დიდმა პაპამ რომ აიტეხა, ალავერდში პური უნდა ვჭამოთო. წავედით მთელი ოჯახი. თურმე კახეთის აჯანყების დროსა ბახტრიონიდან გაქცეული ირანელები ალავერდისკენ გარბოდნენ, ალავერდიდან გაქცეულები ბახტრიონისკენა, სადაც ერთმანეთს შახვედრიან, იქ ამოუჟუჟავთ ყიზილბაშები ბლომადა. სწორედ იმ ადგილითვინ დაურქმევიათ გაწყვეტილა. ყოველ წელს დავდიოდით, ეხლაც დადიან ჩემები გაწყვეტილაში, ქართველი მეომრის მარჯვენის დასალოცადა.

– ეგრეა, მაშ, საქართველოში ყველა კუთხესა აქვს თავისი მოსაგონარი, რომელიც ჩვენ რწმენასთანა, გაჭირვებასთანა და დალხინებასთან არის კავშირში. ხალხი არ ივიწყებს გავლილ გზასა და ტრადიციებსა, მისხალ-მისხკალ გადასცემს ერთმანეთსა. განსაკუთრებით არ უნდა დავივიწყოთ მტერი და მოყვარე, თორემა უყურადღებობითა მტერი გაგვიმრავლდება, მოყვარესა კი დავკარგავთ. ასე ვიჭუკჭუკეთ, ,,ბინდისფერია სოფელი'' დავაგუგუნეთ და საყველაწმინდო სადღეგრძელოთი მოვრჩით ,,ტკბილი პურის'' ჭამას.

ფარაონა და ჯეი კარგად რომ გამოძღნენ, მორთეს თამაში, იკოტრიალეს, იბღლარძუნეს, სადგომში ცხვრები დააწიოკეს, ინდაურები აკივკივეს, დაბუდებულ ქათმებს ლამის კვერცხები დააყრევინეს. ერთადერთი ვირუკას არ მიჰკარებიან და არც მას გამოუჩენია დიდი ყურადღება მათ მიმართ, იყო თავისთვის.

კარგად ჩაბუჟბუჟებულები აგვალაგეს მეორე სართულზე მე და ჩემი ნათლული დასაძინებლად. ბაბოს ფეჩი გაეხურებინა და ტკბილი ძილი გვისურვა.

ვლაპარაკობდით, ალთასა და ბალთას მოვედეთ.

შუაღამისას ბღავილის, ყროყინის და ყეფის ხმა შემოგვესმა. გამოვცვივდით ეზოში, ერთი ამბავია ატეხილი. ორ ბეხვერა მგელს შეეღწია ცხვრების სადგომში. ,,იკურთხება'' პაპა, წიოკობს ბებო:

– როგორ შამაიპარნენ, ბერიკაცო, შენ რაღამ დაგაძინა?!

– განა ყმუილით გესხმიან თავსა, უპასუხა პაპამ და ფიწალი მოიხელთა. მე კარალიოკის მოსაზიდი მსხვილი კაკუჭი ვითრიე, ნათლულმა კი – ცელი. მგლებს ცხვრის დაგლეჯა მოესწროთ, მაგრამ ახლა გაქცევაზე ეჭირათ თვალი. როგორც ჩანს, ფარაონას ,,თავის კარზე'' გული ერჩოდა და სადგომში პირველი შეიჭრა, მიჰყვა ჯეიც. მგლებს მრისხანედ დაეღრიჭათ კბილები. პაპა ფიწალს ვერანაირად ვერ იმარჯვებდა, მეც მინდა, რაღაცა გავაკეთო, ნასვამი ვარ, თამამი, მაგრამ მგლებთან ომი არ გინდა?! ერთი კი შევხტი ღობეზე და ეს ჩემი კაკუჭი ისეთი ძალით ვთხლიშე თავში ერთ-ერთ მგელს, რომ მეგონა ნახევარი ცხვარი მაინც ამოვაცეცხლებინე-მეთქი, მაგრამ, მგონი უფრო გავაშმაგე.

სამკვდრო-სასიცოცხლოს ბრძოლა გაიმართა. ღმუილის და ფლეთის ხმა ისმოდა, სისხლის და სიკვდილის სუნი ტრიალებდა. მაგრად დაუხვდნენ ძაღლები მგლებს. ამაზე ითქმის: ,,მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო''. ჩვენ კი ვაგულიანებდით: მიდი, ჯეი, და მიდი ფარაონო-თქო, მაგრამ ვატყობდით, რომ ვერ იყო კარგად საქმე. მგლებმა, როგორც კი დრო იხელთეს, ფარღალალა კარებიდან თავი ცვითეს და უკუნში გაუჩინარდნენ.

გაუნძრევლად იწვა ფარაონა ბრძოლის ველზე... ჯეი ქლოშინებდა...

თავისი ოჯახის ღირსების დასაცავად მებრძოლი ფარაონა რიჟრაჟზე გათავდა. იქვე ძაღლის მოგლეჯილ ყურს მოვკარი თვალი და ტანში გამცრა.

– ნუ სწუხარ, შვილო, მთლად ეგრეც ვერ დაგვჯაბნეს, ეგ ყური მგლისაა. მართალია, მგლის ყაურმა არ იჭმება, მაგრამ მგელსა მგლურად უნდა დაუხვდე. არწივსა საკენკით ვერ გააძღობ, მგელსა კი – წიწილებითა. ხორცი რომ შამააკლდებათ, სოფელში მიაწევენ, ჩვენც გვიყვარს ეგ ხორცი და ყოჩაღად უნდა ვიყოთ. აბა, მგლისა შიშითა ცხვარი ვის გაუწყვეტია, მაგრამ მუდამ ერთმა მხარემ რომ გაიმარჯვოს, არც ეგრე ივარგებს, დამარცხებული წელში გატყდება. ამიტომაცა მუდმივ ქიშპობაში ვართ, ხან ეგენი გვჯობნიან და ხანაც ჩვენა. ადამიანებს ძალითა გვაქ დაკანონებული ხბო და ღორი, სუკებადა ვჭრით გალესილი დანითა, მაგათ კი ეკრძალებათ და ამიტომაც იგლიჯებიან. ამჟამათა მგლები შაუჭმელ ცხვრებს მისტირიან, ჩვენ დანაკარგსა, მაგრამ ძაღლებმა ისეთი დღე აყარეს, კარგა ხანი აქეთ არ გამაიხედავენ, თუ თავიანთმა ლეკვებმა ძალიან არ შააწუხეს და არ აიძულეს...

დახოცილი საქონელი და ძაღლი სახედარს ავკიდეთ ნაძვებში დასამარხად. ფარაონას, ბედის ირონიით, ,,ფარაონის'' საკადრისად ოთხი ცხვარი ჩავაყოლეთ. პაპამ ნიჩბით მიწა მიაყარა, წამიერად დადუმდა და ფარაონას ორიოდ სიტყვა გააყოლა:

ეგა ყოფილა შენი ჟამკარი, გულადო. – შეუპოვრობა და ერთგულება თან დაჰყვა, შვილო. მამამისი, დარდიაც, მგლებს შააკვდა. თქვენ დიდ პაპას, მამაჩემს, დასდევდა ცხვარში. როდესაც ცხონებული მამა გარდაიცვალა, ძაღლიც გაქრა, გაუჩინარდა. ოჯახის წევრებმა ვიფიქრეთ, რომ დარდია დაიკარგა, ან ვინმემ შაიფარა. ძალიან გვწყდებოდა გული. თუმცა ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საფლავზე გასულებს მისი პატრონის, მამაჩემის საფლავზე მწოლიარე დაგვხვდა... რამდენიმეჯერ ვცადეთ მისი სახლში დაბრუნება, მაგრამ ყოველთვის სასაფლაოზე ბრუნდებოდა. სოფელში ერთგული მთის ძაღლის შესახებ ყველამ იცოდა და სასაფლაოზე ხშირად აკითხავდნენ. ყრმობაშიდა მეც მიწევდა საერთო ცხვარში სიარული მორიგეობითა. მაშინა უწვერულვაშო ბიჭები ვიყავით მე და ჩემი ბიძაშვილი მიხუაი, როდესაც რიჟრაჟზე მგელი დაეცა ჩვენ ფარას უტიფრადა. მუსრს ავლებდნენ ცალკე ცხვარსა და ცალკე, ძაღლებსა. შეშინებულებს ძაგძალმა ლამის კბილები დაგვაყრეინა. საიდან იყო, როგორ იყო, დარდიას შაუტყვია ჩვენი გაჭირვების ამბავი და მოვარდა ქარიშხალივითა. ეტყობა, შვილო, რა მანძილზეც არ უნდა იყო, ერთგულებასა და სიყვარულსა აქვს თავისი უხილავი კავშირები. შაგვეშალა, მაგრამ რა შაგვეშალა, ისეთი ამბავი აუტეხა, ისეთი დღე დააწია მგლებსა, რომა ბრძოლის შედეგი შამაატრიალა. მეორე დღისითა, ცხვარი რომ გადავაბარეთ, სასაფლაოზე წავედით მე და მიტო დარდიას სანახავადა. კარგა იყო დაგლე-

ჯილი, მაგრამ ჩვენი მისვლა ისე გაუხარდა, კუდი ქიცინით ლამის მიალაყლაყა. აი, ეგეთები იყვნენ ეგ სამგლეები, მამაცა და შვილიცა. ტყუილად არა თქმულა: ,,დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო''.

პაპაჩემი კიკო ოჟიოში ცხოვრობდა. დედ-მამა რომ დამეხოცა და უპატრონოდ დავრჩი, ცოტაოდენი ფული შამიგროვა და თბილისში გამამწესა, პრავიზორი გამოდიო, თან დამარიგა: სანამ ქალს შაირთავდე, ნათესავები მაიკითხე, რაიმე ზნე არა სჭირდეთო. ეგრეა, ნამყენი და ნარჩევი ხეხილი ტკბილ ნაყოფს მოგცემს, უჯიშო და უხიაკი, ჭიანსა და უგემურსა...

შუადღისას გავიღვიძეთ და დედაქალაქში წასასვლელად მზადება დავიწყეთ. პაპა არ ჩანდა და მოვიკითხეთ.

– სანამ დედაი პურებს ჩავაკრავდი, სახედარ მააჯდა დადარდიანებული და ვენახში დაეშვა, – გვითხრა ბაბომ – სარებს ამაგრებს, მავთულს დაჭიმავს, გასხლავს დროითა, ვაზმა თუ მაითხოვა, გადააწვენს. მემრე დაკავება, გათიბვა, ძირების მობარვა, გაფურჩქვნა, გათოხვნა. მაისის დასაწყისიდან ვაზი ყლორტს რომ მაიდებს, მოწამვლა და ერთი ხელის მოტარებაცა უნდა. ეგეთ მტევნებს მოისხამს, დაჭყლეტა შაგენანება, მაგრამ თუ არ დაწურე, მაჭარს არ მოგცემს, მაჭრობიდან დაღვინებამდე კი თქვენც დაღვინდებით და...

– მაცადე, ქალო, რა შაუბერე გახურებული დუდუკივითა. ეგ თემა საშენო არ არის, შენა თათარასა და ჩურჩხელებზე ილაპარაკე, აბა, შენა ვაზისა და ღვინისა რა იცი, – მოგვისწრო პაპამ და ორი შეკვრა წალამი მიწას დაანარცხა... – საქართველო ვაზის აკვნის სამშობლოა, შვილო. მსოფლიოში ვაზის 4000-მდე ჯიშია.

საქართველოში 500-მდე ადგილობრივი ჯიშია, რომელთა შორის 29 საღვინეა და 9 – სუფრისა. გამორჩეული საღვინე ვაზის ჯიშებია: საფერავი, მანავის მწვანე, მწვანე ხიხვი, ქისი, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, ძელშავი და სხვა. იზაბელა გაგიგია? ადესას რომ ეძახიან – ჰო და კარგად მამისმინე. ერთ ენაკვიმატ გურულ გლეხკაცთანა ვარ დაძმობილებული, გერონტი ჰქვია უჯმაჯურიძე. ყაბალახ არ იშორებს თავიდანა და სამყნობ ჯაყვასა. რიგიანად არც მახსოვს რამდენი წელიწადია, რაც ჩემგან ეზიდება ყურძენსა. ჩამაიტანს რთველითვინა თაფლის არაყსა, თხილსა და საკუთარი ხელით დაწურულ იზაბელასა. თავად ამბობს: ,,აი, ძამა იმნაერი შავი ადესაა, შავ ყვავს დააჩხავლებსო''. თურმე ვაზის სიახლოვეს თუთის ხე გაუბურღნია დიამეტრზე, გაუყრია შიგა იზაბელას ვაზის ლერწი და ორივე მხარეს პლასტელინით ამოულესამს წყალი რომ არ შამდგარიყო. გამსხვილების შემდეგა მომხდარა მათი შახორცება. ვაზის ლერწი და თუთის ხე ერთ მთლიანობად ქცეულა. გურულსა ვაზის ლერწი ქვევიდან გადაუჭრია, ნიადაგ მოუწყვეტნია. თუ აქამდე ვაზი თავისი და თუთის ფესვებით საზრდოობდა, ამიერიდან მხოლოდ თუთის ფესვების იმედად დაუტოვებია. პირველ წელს თუთის ერთი ტოტი მაუხერხნია, მეორე წელიწადს – მეორე, ბოლოს სულ მაუცლია სანაყოფე ტოტები და ის საკვები, რომელიც თუთას მიეწოდებოდა, მხოლოდ ყურძენში მიუმართნია. ამით ღვინო გაკეთილშობებულა, სიტკბო და არომატი შემატებია. პირადად გახლდით გურიაში ჩემ ძმაკაცთანა, შეზრდილი თუთისა და ვაზის სანახავად, ჩემი ოცლიტრიანითა. აბა, იქ უნდა გენახათ ,,კრიმანჭული'' და ჩქარი ტაში. სულ ,,იაო უაოთი''

გამამაცილეს. თუმცა ადესის ღვინოსა დიდი გასაქანი არა აქვს, მეტწილად ადგილობრივი მოხმარებისაა. ჩვენთანა, გენაცვა, კახეთში, რქაწითელ ვეტანებით. დაილოცოს მისი ,,კინტაურივით'' დაგრეხილი ტან-ფეხი და დაკრახული მტევნები. რქაწითელის ღვინო ბულბულის ცრემლებ მოგაგონებს, ისეთ სადღეგრძელოებს გათქმევინებს, ისეთ ,,ჩაკრულოსა'', რომა ძარვებში სულ ჟრუანტელი გივლის ტკბილადა. ყველა მიწასა თავისი გემო აქვს, ადგილის გემოს ეძახიან. მაგალითადა: შაშიანის რქაწითელიც საუკეთესოა და შიბლიანისაცა, თუმცა განსხვავებული ღვინო დგება. ჭიკაანისა და ჯუგაანის საფერავის მტევნებ გიშერივით მარცვლები აყრია, მაგრამ სხვადასხვა შაქრიანობითა. ღვინო ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის ნაწილია, სისხლში გვაქ, მაგრამ იგი მხოლოდ თრობის საშუალება არ არის, ის მშვიდი და ღრმა სასმელია. ძველადა, მთვრალ კაცს შაარცხვენდნენ. ლოთობაში დამნაშავე ღვინის მსმელია და არა – ღვინო. ქართველი დედები შვილებს ღვინოში ჩამბალ პურს, ბოღლოწოს, აჭმევდნენ და ამით იფარავდნენ სნეულებებისაგან. ბოღლოწო იყო ქართველი გლეხის, ბერ-მონაზვნის საკვები... ღვინის დაყენებასა სიყვარული, გამოცდილება, კრიალა ქვევრები და გრილი მარანი სჭირდება. ძველადა ურმის გარეშე ვერ მიაწევდი ღვინოსა. ურმის უბეში თორმეტი გოდორი ყურძენი ეტეოდა ბარტყებივითა. ძალა რომ დაადგებოდა ჭრიალს დააწყებინებდა, მაგრამა გლეხითვინა ტვირთს ამსუბუქებდა. ძველი ღვინო აუცილებლად უნდა დახვდეს ახალსა, სამყოფადა და გზამკვლევადა. რთველში ვაზის მოკრეფასა და საწნახელში ყურძნის დაწურვასა გამართული ჩარდახი, გულიანი შრომა, მხიარული სტუმრები, ყოჩაღი თამადა, ღვინო, წალამი, შამფური, მწვადი, ხახვი, ლავაში და ,,მრავალჟამიერი'' უხდება.

– ტყემალი და ხაჭაპური, პაპა? – ჩავეკითხე მე.

– მწვადსა ტყემლითა და ჭყინტი ყველითა ვინ გააფუჭებს, განა იმერეთია?! – დამიყვავა პაპამ.

– თბილ დღეებში დაკრეფილი და დაწურული ყურძნის წვენი მაშინვე მიჰყვება დუღილსა, დუღილი კი თავად ათბობს წვენსა. როგორც კი ბუყბუყის ხმა აღარ ისმის და ქვევრის პირზე ყურის დადებაზე შიშინი მინავლებულია, დუღილი მორჩენილია. ჭაჭა ძალადობს, ზევით მაიწევს ჯერ სატივტივოდა, მერე პირის ასაკრავადა. როდესაც დაურევ ნიჩაბა ჯოხითა, დუღული გამაიღვიძებს და განაახლებს თავის საქმიანობასა, ჭაჭა იწყებს დაძირვასა, ღვინო დაწმინდავებასა. ღვინის სურნელი რომ დატრიალდება, მაშასადამე, მაჭარი ღვინდება და გადასაღებია. ამ დროითვინა ჭაჭა და ღვინო ერთმანეთში ვერა რიგდებიან და უნდა დაიცალკევო. ღვინის გადაღება სიცივეში ჯობია, თუმცა გაყინულ ან თბილ ღვინოსა გემოს ვერ გაუგებ, ჩაციებული კი დიდებული დასალევია. მზა ღვინო რომ შააფასო, ჭიქაში ჩამაასხი, ერთი მოსვი, სასმისი მსუბუქად შააქანე და უსუნე. პურისჭამაზედა ღვინო ნელ-ნელა უნდა სვა, რათა შაიგრძნო და დატკბე მისი არომატითა. მშრალ, თეთრ ღვინოზე ღორის ხორცი და თევზეული მიდის, რა თქმა უნდა, სხვა რაღაცეებთან ერთადა. ბერწი ღვინო, რაგინდ კარგი პურმარილიც არ უნდა იყოს, თავს მოგჭრის, რიგიანი კიდევა, აგამაღლებს. ქართულ სუფრაზე დამკვიდრებულია სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანმიმდევრობა, ამასთან ყოველი სადღეგრძლო დალოცვაა. სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და

ლხინის გაზიარების ადგილი, ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემის გამოხატვის საშუალება. აი, ჭაჭა კი სულ სხვა რამაა, მარტო ,,ზაოდობა'' რად ღირს...

– მორჩი, კაცო, ლაყბობასა, სამწვადე ამაიტანე, ბალღები დავაპუროთ, გზაზე დგანან, – დაგვაშოშმინა ბაბომ.

– ხოო, დამაცა, სახედარ შავკაზმავ და წავალ.

– კაცოო, რა შაუჩნდი ამ სახედარსა, ორ ნაბიჯზე ტრანსპორტი გვჭირდებაა. წადი კოხტადა, ლამაზი ნაჭრები შაარჩიე და მე მანამდინა ხაშლამას შავაცხელებ...

მოახლოვდა ჩემი გერმანიაში სასწავლებლად წასვლის დრო. ჩემი ძმა სპორტით იყო დაკავებული, თვეობით არ იმყოფებოდა სახლში და არ ეცალა. სხვა გზა არ იყო, ჯეისთვის დროებითი პატრონი უნდა მოგვენახა. ღამეები არ მეძინა, ჯეიც გრძნობდა რაღაცას. ყველას ვერ ვანდობდი მის ბედს და არც მყავდა რეალური მსურველი. ჩვენს ეზოში აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი მუშაობდა მეეზოვეებად, რომლებიც უბანს უყვარდა. სწორედ მათ შემომთავაზეს ჯეის დროებითი თავშესაფარი.

– რატომ უნდა სხვამ მოუაროს, ჩუენი სახლი მაქ ვეძისში, შენ კარგი ბიჭი ხარ, იქ კარგად ისწავლე, ,,ზატო'' ძაღლის შეგინახავ, – მითხრა გულნარამ და თან დაამატა: ,,სან აღა, მან აღა, ინაქლარე ქიმსაღა'' (შენც ბატონი, მეც ბატონი, ძროხა ვიღამ მოწველოს?)

დათქმულ დღეს მოგვადგნენ ორივენი, გრძელი ცოცხებით. ჯეი აზრზე მოვიდა და თვალი ჩემკენ გამოაპარა, მაგრამ მზერა ვერ გავუსწორე...

– ნუ გეშინია, ისეთი ვაჭამოო, ისეთი დავბანოო, თბილად იყოს, კარგად იყოს, არ დავაბამ. ჩუენი შვილებს: ახას, ტოფიკას, ბახრამას, ქამრანას, გუსეინას, საბინას, ამინას, ულვიას, ძალიან უყვართ ნაღდი ავუჩარდკა, – მამშვიდებდა ზელიმხანი. უცხოეთიდან ხშირად ვრეკავდი ვეძისში. მიხაროდა, რომ ჯეი შეეწყო ახლებს.

– ისეთი ჭკვიანი, როდესაც თქვენი ეზოს დავალაგებ, სულ შენ ,,ბალკონზე'' უყურებს, აი, საღოლ, აი საღოლ – მახალისებდა გულნარა.

მალე ჯეი ავად გახდა, კუჭ-ნაწლავი ადრეც აწუხებდა. წამლები გამოვუგზავნე, მაგრამ არ შველიდა. ვეღარ გავუძელი, მივყარე ყველაფერი და თბილისში გამოვფრინდი. აეროპორტში ზელიმხანი, ბახრამა და ჩემი ძმა დამხვდნენ.

ზელიმხანმა მომიბოდიშა: – ვიცი, რომ შენახულს შემნახავი უნდა სჯობდეს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვუშველეთო.

ჯეი ლისის ტბაზე იმ ადგილზე დაეფლათ, კუს რომ გადაეყარა. ხის აბრაზე ეწერა: ,,ჯეი 2007-20''.

– ზელიმხან, რატომ მეორე თარიღი ბოლომდე არ მიაწერეთ?

– გულნარამ თქვა, გული ეტკინებაო...

ნამდვილად, ძმებო, ჯეი არასოდეს არ იკადრებდა ჩემს წყენინებას, მით უმეტეს თავისი სიკვდილით, – წავილუღლუღე მე...

21 მარტი იდგა, მუსულმანური სამყაროს ახალი წელი, დიდი დღესასწაული ,,ნოვრუზ ბაირამი''. უკანა გზაზე ზელიმხანი არ მოგვეშვა და სახლში შეგვიპატიჟა.

– ,,ნოვრუზ ბაირამიზ მუბარექ'' (გილოცავთ ახალ წელს), – მიულოცა ჩემმა ძმამ.

ქრისტიანების სტუმრობა ოჯახში დიდ პატივად მიიღეს. საოცარ სუფრას მწვანე ჯეჯილი ამშვენებდა. რაღა არ იყო: ფახლავა, ხალვა, შაქარ ბორა, ფლავი, თაფლი ნიგოზში, ქიშმიში, ჩირი, საზამთროს, ლეღვის, ვარდის, ბადრიჯნის, ბალის, მარწყვის, ატმის და ყველაფრის მურაბა. წელში გამოყვანილი ჭიქით, ჩაიზე სხვადასხვანაირი საუცხოო ტკბილეული დავაგემოვნეთ.

– აპრილში თქუენი დღესასწაული, ბრწყინვალე აღდგომა. ჩემი ოჯახის ქათმების 20 კვერცხი მოგიტან, რომ შეღებო. ისეთი მაგარი კვერცხებია, რო-გორიც ,,პრიკუსკა'' შაქარი, ყველას კვერცხის გატეხავს, – მითხრა გულნარამ.

– გვესტუმრეთ, თქვენც გვესტუმრეთ, გემრიელი პასკები გვექნება, – დავპატიჟეთ ჩვენ.

დავლოცეთ, დაგვლოცეს, დავემშვიდობეთ და ფეხით დავეშვით.

მსოფლიოში ძაღლების 438 ჯიშია, – დავიწყე გზად. მათგან 68 ჯიში საქართველოშია. ჩვენგან ყოველ მეთექვსმეტე ოჯახს ძაღლი ჰყავს. გერმანული ნაგაზი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა გერმანელი კინოლოგების მიერ. მათ უპირატესობა მიანიჭეს მგლის ტიპს და მისი, როგორც ჯიშის, სერიოზული ჩამოყალიბება დაიწყეს. მოშენების მიზანი იყო შეექმნათ ძაღლი, რომელიც ადამიანის ერთგული მეგობარი იქნებოდა. ნაგაზის შექმნაში ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის გერმანული კავალერიის პოლკოვნიკს მაქს ფონ შტეფანიცას, რომელიც 1884-1896 წლებში დაკავებული იყო ამ ჯიშის მო-შენებით. ნაგაზი (ხვადი) იწონის 30-40 კილოგრამს, სიმაღლით 60-65 სანტი-მეტრია. შეფერილობა შავწითური. გერმანული ნაგაზი ერთადერთი ძაღლია მსოფლიოში, რომელიც შექმნის დღიდან მოდიდან არ გადასულა. იგი ძალიან ჭკვიანი, ფრთხილი და ერთგულია. იდეალური მცველია, არასოდეს უღალა-ტებს და აწყენინებს პატრონს.

გზად მამაჩემის მეგობარი შემოგვხვდა, ლამაზბეწვიან ვეება ძაღლს მოა-სეირნებდა.

– ნაგაზია? – ვკითხეთ ჩვენ.

– ხო, კავკასიურს ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში ჩვენი, ქართული ნაგაზია, მაგარი ჯიგარია, ადამიანზე ერთგული – მოასწრო მან და ძაღლმაც ერთიანად დაქაჩა.

✍ ნინო გოდერძიშვილი

მგზავრის ჩანაწერები

– გაიღვიძე!.. – გამომაღვიძა რაღაც უცნაურმა ხმამ. წამოვხტი და ძილისგან დაბინდული თვალებით მიმოვიხედე. ვერაფერი დავინახე. ვიფიქრე, ალბათ დამესიზმრა-მეთქი. ისევ დავწექი.

– გაიღვიძე!.. – შემომესმა კიდევ ერთხელ. ამჯამად არ მეძინა, ფხიზლად ვიყავი. სიზმარი ვერ იქნებოდა... მაშ, რა იყო? რა იყო ის, რაც მე ჩამძახოდა და მაღვიძებდა. ნუთუ გავშმაგდი და ზედმეტი დასვენებისგან გადავიღალე? არა... ეს ხომ... ეს, ალბათ, ჩემი შინაგანი ხმა არის, რომელიც სამშობლოსაკენ, სახლისა და ოჯახისკენ მიხმობს.

უკვე სამი კვირაა, რაც ბათუმში ვისვენებ. მაგრამ ასეთი დასვენება ვის რად უნდა?! როცა ოჯახს, მეგობრებს ხარ მოწყვეტილი და მათი მონატრება და ნახვის სურვილი გკლავს. მაგრამ, გამოგიტყდებით, რომ ჩემი აქედან წასვლის მიზეზი მარტო ჩემი ქალაქის მონატრება არ არის. სიმართლე რომ გითხრათ, ზღვა არ მიყვარს. დიახ, არ მიყვარს, რადგან ის ცივი და დაუსრულებელია. მთა კი სულ სხვა არის. მთაში ბუნება მშვენიერი და დიდებულია. ამ სილამაზის ყურება ყოველთვის მაწყნარებს და ოცნების წიაღში მითრევს. ზღვაში კი მშვენიერს ვერაფერს ვხედავ.

ცხრა საათზე სადგურში მივედი, საიდანაც ჩემი სამარშრუტო მანქანა გადიოდა. ავედი. სკამზე გაწოლილმა, შავულვაშიანმა, მეტად შავკანიანმა მძღოლმა ჩემს დანახვაზე თავისი თეთრი კბილები დაკრიჭა და მომესალმა. მეც მივესალმე და შუა რიგში ერთ კაცს მივუჯექი გვერდით. მას უბრალო ტანისამოსი ეცვა. დაბერებული, გამხდარი ხელებით პატარა შავი ჩანთა ეჭირა, თან მუხლებზე ედო და ისე უჭერდა, თითქოს ეშინოდა – ვინმემ არ წამართვასო. წყლიანი ცისფერი თვალებით ფანჯარაში იყურებოდა, ეტყობოდა, რომ რაღაცაზე ფიქრობდა. რაღაც სევდიანზე. ამაზე მისი ჩამომტირალი პირ-სახე მეტყველებდა. როგორც ჩანს, ფიქრი არ უწყდებოდა, თვალის დაუხამხამებლად იჯდა. მხოლოდ გამყიდველი ქალების ჭყიპინა ხმა გამოაფხიზლებდა და ამოიყვანდა ფიქრთა მორევიდან.

შეივსო ადგილები... მანქანა დაიძრა. წავედი... მოვცილდი ამ უხეირო ზღვას. ვბრუნდები იქ, სადაც ჩემი გული და სული შვებას იგრძნობს. ვხედავ ჩემს ქალაქს, თბილისს და მთელი სულითა და გულით ჩავეხუტები მას. – ასე ვფიქრობდი და თან მშვენიერ გზას და ბუნებას შევყურებდი. ჩემი ფიქრი მძღოლის როხროხა ხმამ შეწყვიტა.

– აბა, ჩამობრძანდით, თუ შეიძლება! – მიუგო მან მგზავრებს. მანქანაში ყაყანი ატყდა. გაუკვირდათ, ასე მალე როგორ ჩამოვედით?!.. რომ არ შეგვეშალა და სხვა მანქანაში ხომ არ ჩავსხედითო.

მძღოლმა დააწყნარა ისინი და მანქანის დაცლა გვთხოვა, რადგან საბურავი დაშვებული ჰქონდა. ჩვენ ჩავედით. ჩვენ გვერდზე მჯდომი კაცი გაურკვევლობაში იყო. ვერ გაეგო, რა ხდებოდა და აქეთ-იქით გოცებული იყურებოდა.

მძღოლმა მალევე მოაგვარა ყველაფერი. საქმის დამთავრების შემდეგ ჭუჭყიანი და ტალახიანი ხელები პერანგზე შეიწმინდა. შემდეგ კარი გააღო. ჩაჯდა... საზამთროსავით დიდი ღიპი მოიფახანა და მანქანა დაქოქა. მგზავრები ავიდნენ და დასხდნენ თავიანთ ადგილებზე. მხოლოდ მოხუცი კაცი იდგა. მე მასთან მივედი და ვუთხარი, რომ უკვე წასვლის დრო იყო. შემდეგ ასვლაში დავეხმარე. დავსხედით. მანქანამ ისევ დაიწყო დანჯღრეულ გზაზე ლაყლაყი.

ასე მგონია, რომ ეს გზა დაუსრულებელი იყო. ამბობენ, როცა რაღაც ძალიან გინდა, ლოდინი დიდხანს გრძელდებაო. ეს მართლაც ასეა. მეგონა, რომ რამდენიმე დღე იყო გასული, მას შემდეგ, რაც გზაში ვიყავი.

– უკაცრავად, ხომ არ იცით, მალე ჩავალთ? – მკითხა მოხუცმა ოდნავ აკანკალებული ჩუმი ხმით, ისე, რომ არც კი გამომხედა.

– ალბათ, ერთ-ორ საათში – ვუპასუხე მე.

– რა მალე ვნახავ ჩემ საყვარელ მამულს. რამდენი ხანია არ მინახავს. როგორ მომენატრა ჩემი ტურფა სამშობლო – ჩაილაპარაკა მან, თითქოს არ უნდოდა რომ მე ეს გამეგო.

მისი სურვილი არ გავითვალისწინე და ჩემი ფიქრები გავუზიარე. ვუთხარი, რომ მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი.

მოხუცმა პასუხი არ გამცა. ცოტა ხნის შემდეგ კი გამომხედა.

– რა ლამაზი გოგონა ხარ! – მითხრა ბაბუამ და თავისი თბილი თვალებით კიდევ ერთხელ შემათვალიერა სახეზე.

მე გავუღიმე და ვაგრძნობინე, რომ მისი ასეთი სიტყვები ძალიან მესიამოვნა.

ჩვენ ბევრი არ გვისაუბრია, თუმცა მისი ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მივხვედრილიყავი, თუ როგორი კეთილი, სათნო და განათლებული მოხუცი იყო. მისი ლექსიკა გამდიდრებული იყო ქართული ძირძველი სიტყვებით. მას პოეტების: ორბელიანისა და ბარათაშვილის ლექსებიდან მოჰყავდა ციტატები. ისე მშვიდად და ლამაზად საუბრობდა, რომ მსიამოვნებდა მისი მოსმენა... არ მინდოდა, რომ საუბარი შეეწყვიტა.

როდესაც ნახევარი გზა უკვე გავლილი გვქონდა და თანდათან თბილისს ვუახლოვდებოდით, მოხუცმა გაკვირვებული ხმით თქვა:

– ო, რა დრო გასულა და როგორ შეცვლილა ჩემი სამშობლო. ეს ადგილები სულ არ მეცნობა.

მე არაფერი ვუპასუხე, რადგან მგზავრობისგან დაღლილს თვალები დახუჭული მქონდა და ნახევრად მეძინა. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ იკითხა:

– შვილო, მალე ჩავალთ აფხაზეთში?

მე დავჭყიტე თვალები და მოხუცს კითხვის გამეორება ვთხოვე.

– მალე ჩავალთ აფხაზეთში? – გამიმეორა.

მგზავრებმა ეს გაიგეს. თავიდან ვერ მიხვდნენ რაში იყო საქმე, ისევე, როგორც მე. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. მოხუცი კაცი აფხაზეთიდან დევნილი იყო. სამშობლოს მონატრებისა და სიყვარულისგან დაბრმავებულს თურმე გონება გადაუტრიალდა. მამულმა და სიბერემ მეხსიერება დაუქვეითა. სამარშრუტო მანქანამ უახლოეს გაჩერებაზე მისვლისას გააჩერა. ერთმა ახალგაზრდა მგზავრმა ბაბუის ჩაყვანა და უკან ბათუმში გაშვება გადაწყვიტა.

– ოჯახი გყავთ ბაბუ? შვილი ან ცოლი...

დაბნეული მოხუცი ხმას ვერ იღებდა, ვერაფერს ხვდებოდა.

– სად მივდივართ?.. ჩამოვედით?!

– ბატონო... თქვენ გზა აგერიათ... ეს მანქანა თბილისში მიდის. – უთხრა ალერსიანი ხმით მგზავრმა.

– კი მაგრამ... როგორ?.. მე ხომ ცოლ-შვილი აფხაზეთში მელოდება. იქ უნდა წავიდე!.. ჩემს სამშობლოში.

უცებ ბაბუის შიშით ავსებული თვალების დანახვაზე ცრემლები მომადგა. ვუყურებდი, როგორ ჩაჰყავდათ საბრალო მანქანიდან. როგორ აწყნარებდნენ მას და ცდილობდნენ, რომ მომხდარი ამბავი რამენაირად აეხსნათ. მეცოდებოდა... მას ხომ სიცოცხლეზე მეტად უნდოდა სამშობლოს მიწაზე ფეხის დადგმა და მამულის ალერსიანი ჰაერის შეგრძნობა, თავის დაბერებულ და ნაოჭიან კანზე. არავინ იცოდა მართლა ჰყავდა თუ არა მას ოჯახი აფხაზეთში...

მალე ჩავედით თბილისში. ჩემი სურვილი ავიხდინე, ჩემს ქალაქს მივუალერსე, მაგრამ გზაში ამ მოხუცი კაცის დარდის გარდა ვერაფერზე ვფიქრობდი. სულ თვალწინ მედგა მისი სახე... ახლაც კარგად მახსოვს მისი თვალები: წყლიანი, თბილი, სიყვარულით სავსე, გაურკვევლობისგან დაბნეული და შიშით შეპყრობილი.

რა დააშავა?.. რატომ დატოვა ბედისწერამ იგი უსამშობლოდ? მას ხომ თავისი საყვარელი აფხაზეთის ნახვა უნდოდა.

✍ ზურაბ ჯოხარიძე

მ გ ზ ი რ ი

ოქროსფერი, ნათიბი ფერდობი პატარა, ხორბლისფერი ზვინებითაა მოჩითული. ხანდახან, ნიავი დაუბერავს და შემოდგომის მზით დასიცხულ მთიბველებამდე სოფლის ხმაური და არაგვის ჩხრიალი ამოაქვს.

მამუკამ თოკგადაკოჭილი ზვინი დაითრია და თივის საზიდ მარხილზე, სხვა ბულულების გვერდით მიაგდო.

– ადუაუ! ჰაი, ადუაუ! – გაეხმიანა მოშორებით მომუშავეებს – გაიგეთა, რა ანბავ ას ღილღუას?

– რაო? – ადუამ ძირს დაგდებული თოკი აიხვია მკლავზე. შვებულებაში წამოსულს, არც საათი წამოუღია, არც რადიო; ისვენებდა – არც ტელეფონი, არც გაზეთი, არც ტელევიზორი, არც ოჯახის ზია-ზია . . .

– ომ ას, ომ! – მამუკას ნაცვლად, შალვამ უპასუხა ძმას.

– ხოო! ალბათ, ეგაა მიზეზი, ხახმატელებმა რომ სთქვეს, ნადირმა იმატა მთაშიო! – ჭაუხებს გახედა ადუამ. ძალიან ლურჯ ცაში, ძალიან დაკბილულ-ყინულიანი მწვერვალები ბრჭყვიალებდნენ. სუნთქვა შეეკრა. სულ ენატრებოდა აქაურობა.

– ჰეე, ნადირ კი არა, ხიზან გამასჩნდა შატილსა და არდოტს! – მამუკამ ბულულებზე აალაჯა და თივის ტკეპნა დაიწყო.

ისევ დაუბერა ნიავმა და ნათიბის მოტკბო სურნელი მოიტანა.

– იწვიმებს! – შალვამ ცას ახედა და ოფლით დაცვარული შუბლი გახუნებული, მწვანე პერანგის სახელოთი შეიმშრალა.

– ჰაი, გუდანის ჯვარმა! ერთ-ორ დღე დაგვაცადას! – თივის ტკეპნა განაგრძო მამუკამ. მერე, ძმებს გამოხედა.

– ისე, ძველებს უთქვამთ, საცა ბაბრია, იქ სხვა ნადირ ფეხს ვერ მაიკიდებსო. ჩვენცა გვყაავ ერთ მგზირ!

ადუამ ვერაფერი გაიგო და გაკვირვებულმა გამოხედა.

– აარ ერთ, შავ მგელაი. ჩამაივლის მეფის მგზირივით. რასაც თოლს დაადგამს, იმისია! – თქვა მამუკამ და ნიჩაბივით ტორი ასწია – აე, ეს ხელ ჩავატიე მაგის ნაკვალში, იმხელაა ეგ ტიალი!

– აგერა, გაღმელებს უნადირიათ კალოთანაში. ჯიხვების ხოროსა ვსდიეთაო! – შალვამ ფიწალით თივა აიტაცა და მარხილზე დაზვინულს, შრიალით დაამატა – ნადირ უნახამთ. ათზე მეტ დავთვალეთაო. აე, ამ თივაის ფერებ ყოფილან! დიდრონებ ყოფილან! თურმ, ერთ წითაი რევიათ!

ადუამ გაღიმებულმა გახედა ძმას და კოკა-კოლას ბოთლიდან წყალი მოსვა.

– მგელ, ლეგა უნდა იყვას, ბიჭავ! წითალ-ყვითალ ვის გაუგიან? – მამუკა მარხილიდან ჩამოხტა და შარვლის ტოტები ჩამოიფერთხა – ვიღაცას შაჰშინებავ და იმაად მაჰჩვენებავ!

მათი ომახიანი ხორხოცი გაღმა კლდეს ეტაკა და ზევით, ტყეში ექოდ დაიკარგა.

– დუშეთის სოფლებს უჩვეულო, წითური, 1,5 მ. სიგრძის მგელი შეეჩვია. არადა, ცნობილია რომ ქართული გარემოსათვის დამახასიათებელია რუხი მგელი. ამბობენ, წითური მგლები ან ჩეჩნეთიდან უნდა იყვნენ გადმოხვეწილი, ან ისევ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის "ჰუმანური" მიზნების შედეგად მომრავლდნენ.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან" 12.10.05.)

* * *

წვიმიან, ჩასკვარამებულ ღამეს, ხანდახან ელვა გაკვეთავდა და მძიმე ღრუბლებით ჩამოჯანღულ ფშავის მთებს ანთებდა.

წამიერად გაკვესილი სინათლე, ტოტებდაშვებული, დიდი ნაძვის ძირში, თერთმეტმა წყვილმა თვალმა აირეკლა.

წვიმის შრიალს, ყრუ გუგუნი შეერია. მერე, თანდათან მოახლოვდა და ბოლოს, მძლავრმა გრიალმა შეაზანზარა გარემო. მგლების ხროვა შეიშმუშნა, აწრიალდა და მშრალ წიწვებზე მორკალულები, უფრო მჭიდროდ მიეკვრნენ ერთმანეთს.

თოვლიანი მთების გადაღმა, საიდანაც ეს ჩალისფერი ხროვა გადმოიხვეწა, ჭურვების გრიალ-გრუხუნი დღე და ღამ არ წყდებოდა. ამიტომ მგლებს მეხთატეხა კი არა, სულ სხვა რამ აღშფოთებდათ – უკვე მერამდენე ღამე იყო, ნიავს უცხო მგლის სუნი მოჰქონდა და გადმოხვეწილებს მოსვენებას უკარგავდა. გარდა ამისა, უზარმაზარი ნაკვალევის პატრონი, ერთი ნაბიჯით ასწრებდა და ხროვას საკბილოს უფრთხობდა. ლტოლვილებს შიმშილი უკვე სერიოზულად აწუხებდათ. ალბათ, მიატოვებდნენ აქაურობას და სადმე სხვაგან გადაინაცვლებდნენ.

– ერთი უცნაური თვისებაც აქვს მგელს: საზოგადოებრივი მდგომარეობის ინდიკატორია. საკმარისია ქვეყანაში მოიშალოს მშვიდობიანი ცხოვრება, მაშინვე იწყება მგლების სწრაფი გამრავლება.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან" 12.10.05.)

* * *

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ალისფერი მგელი ისე გაჩნდა ნახირს ჩამორჩენილი, თეთრშუბლა დეკეულის წინ. ხან, ფეხებში გაუძვრა. ხან, ცხვირწინ

გაუგორდა. იმდენი ეღლაბუცა, თეთრშუბლა თამაშში აიყოლია და ბექობს იქით, ფლატისკენ გაიტყუა. ჩალისფერ ხროვასაც ეს უნდოდა – ელვის სისწრაფით ეკვეთნენ დეკეულს და ფრიალო ხრამში გადაჩეხეს. მერე ციცაბოს ქვევიდან დაუარეს და წამში, ღელის პირას გაჩნდნენ. მაგრამ, უკვე გვიანი იყო – რუხი მგელი, მათ ნადავლზე წინა ფეხებით შემდგარიყო. სისხლიანი ლაშებიდან, აელვარებული ეშვები გამოეჩინა და ავად იღრინებოდა.

ეს იყო უზარმაზარი, მარტოხელა მგელი – ბაბრი. რომელსაც აქაურებმა ,,მგზირი'' შეარქვეს.

მგზირს, ცხვირიდან დაწყებული, ხერხემლის გაყოლებით, კუდის რიკამდე, ნახშირივით შავი ზოლი, ერთი-ორად საზარელ შესახედავს ხდიდა.

რუხი მგელი ნელ-ნელა გადგა განზე. ღრენა არ შეუწყვეტია, ისე ჩადგა ლეშსა და მწითურს შორის. ხროვას საშუალება მიეცა ნადავლს მისეოდნენ.

მწითურმა ვერაფრით მოახერხა მგზირისთვის გვერდის ავლა...

მცირე ხანში, თეთრშუბლა დეკეულიდან გალოკილი ძვლებიღა დარჩა. ახლაღა დაცხრნენ შიმშილითა და სისხლით გახელებულები.

აღარც საშინელი ლეგა ჩანდა სადმე და აღარც ალისფერი. . .

მას შემდეგ მგზირი მარტო აღარ იყო. მისი მწითური, მწვანეთვალება მეწყვილე, ელამ-ბოროტი მზერით, საოცრად საზრიანი და მოხერხებული გამოდგა.

ღონისა და გონის შეერთება, სოფელსა და ტყეს, ორმაგად ძვირი დაუჯდა.

– ჩემს ახლობელს ორმა მგელმა 14 ცხვარი გაიცალა ფარეხიდან. კარტოფილის ნათესებში ფარულად გაუკეთებიათ მგლებს ,,გზა", საიდანაც ერთი ფარეხში ჩახტებოდა, ცხვარს ზურგზე მოიგდებდა და ღობის მეორე მხარეს ისროდა, იქიდან სხვა მგელს გადაჰქონდა მდინარის გაღმა. ამ დროს კი ორი ძაღლი იყო დაბმული, ზედ კარებთან.

(ამონარიდი ,,კვირის პალიტრიდან" 12.10.2005წ)

* * *

ზამთარში, მონადირეებმა შეამჩნიეს, რომ მგზირის თანმხლების ნაკვალები საგრძნობლად გაფართოვდა.

მერე, მზემ თანდათან მოიკრიბა ძალა. ტყემ მომწვანო-მოყვითალო ფოთოლი გამოიტანა.

ძუს მუცელიც გაეზარდა და სუნიც შეიცვალა. მის გაძღომას ხომ აღარ დაადგა საშველი – ადრე, ძალიან ფრთხილი, საკბილოს საშოვნელად აღარაფერს ერიდებოდა.

* * *

მთას ამომცდარი მნათობი, ბალახის ცვარში აბრჭყვიალდა. ლეგა-წითურმა წყვილმა ძველ ფერმებთან აიარეს. ასე, ზევით სერზე ავიდოდნენ და იქიდან დაზვერავდნენ მიდამოს.

ტყემდე არ იყვნენ მისულები, რუხი მგლის მახვილ სმენას, ხევიდან ჩქამი მოესმა. ყურებდაცქვეტილი ჩააცქერდა ფერდობს. ჯობდა, მალე გასცლოდნენ

აქაურობას. მოტრიალდა და მოულოდნელობისაგან ყეფისმაგვარი აღმოხდა _ კისერწაგრძელებული, ალისფერი, მაყვლოვანისკენ მიისწრაფოდა. მგზირი რამდენიმე ნახტომით წამოეწია მუცელგაბერილს. მკერდით შეასკდა და გვერდზე მიაგდო.

სასხლეტის ღრჭიალი, ძვლის ჭახანი და სასოწარკვეთილი ხავილ-ყმუილი ერთმანეთში აირია.

დამფრთხალი ჩხიკვი ქოთქოთით გადაფრინდა ტყის სიღრმეში და კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ხაფანგში წინა ფეხით გაბმულ რუხ მგელს უზარმაზარი, შავშუბლა თავი მიწაზე დაედო. სიმწრით დახუჭული თვალებიდან სისველე ჟონავდა.

ძუ, ჩუმი წკმუტუნით გარს უვლიდა. დიდი სიფრთხილით ყნოსავდა გასისხლიანებულ რკინას და ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

ქვევიდან, ჭალის მხრიდან, ხალისიანი გადაძახილები და სიცილი მოისმა. სანამ ღრუბელი მზეს მოეფარებოდა, ხმები უფრო მოახლოვდა. ძაღლმაც დაიყეფა, გაბმით.

ხვადმა ავად შეუღრინა ძუს.

ის კი, მწვანე, ელამი თვალებით მისჩერებოდა და არსად წასვლას არ აპირებდა.

როცა ბილიკზე მონადირეები გამოჩნდნენ, ალისფერმა მათ თვალწინ, ფერდობი ცერად გადაჭრა და მეჩხერ ტყეში თავქვე დაეშვა.

კარგა ხანს ისმოდა ძაღლის ყეფა და თოფების გრიალი.

– ხაფანგით მგელზე ნადირობა ძალიან ძნელია. ხაფანგს თუ დადგამ ლეშის სატყუარათი, მგელი ყუელაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ იქ ძაღლი მიიტყუოს და მას გაასინჯოს პირველად ლეში. ხაფანგს რკინის სუნით ცნობს. ძალიან კარგად უნდა დაამუშაო ქონით რკინა, რომ მგელმა სუნი არ აიღოს. ეს კი იქ არის შესაძლებელი, სადაც ყინვაა და ქონი არ დნება.

(ამონარიდი ,,კვირის პალიტრიდან" 12.10.2005წ)

* * *

რამდენიმე დღის მერე, მწყემსებმა ძველ ფერმებთან, ხაფანგის დაკბილულ ყბებში, უჩვეულოდ დიდი, გადაღრღნილი, მგლის თათი იპოვეს.

მონადირეებმა – მგზირისააო!

– მორჩა, ბაბრო, შენი მგზირობაა! კოჭლა მგელაი რაის მაქნის ას! – გაიძახოდნენ სოფლებში.

ერთხანს მართლაც მოისვენა ხალხმა. მაგრამ, მერე უარესი დაიწყო . . .

– ამბობენ, მგელმა საშინელი შურისძიება იცისო?
– მართალია. შარშან ბიჭებმა მგლის ლეკვები დაიჭირეს. გაგიჟდა ძუ. სოფელში ოჯახი არ დატოვა, რომ არ დაეზარალებინა.

(ამონარიდი ,,კვირის პალიტრიდან"12.10.2005წ)

* * *

ზამთარში, რომ ჩამოთოვა, მაშინღა გამოჩნდა, ვინ იყო დამნაშავე – ახალდათოვილს გარკვევით აჩნდა სამფეხა მგლის კვალი.

,,მგზირი დაბრუნებულაო!" – მეხივით გადაუარა ფშავის სოფლებს. დაკოჭლებული მგელი აღარაფერს და არავის ინდობდა. როგორღაც, ახერხებდა და ქოფაკებს ისე აშინებდა, ეზოებიდან ცხვირს ვეღარ ჰყოფდნენ გარეთ.

დაცარიელებულ ორღობეებში, მართლაც გზირივით დადიოდა სამფეხა ბაბრი. ყველაფერს ყნოსავდა, ყველგან შედიოდა . . .

– მოსახლეობას აქამდეც შეეძლო ან ჩვენთვის მოემართა, ან ჩვენივე რაიონული სამსახურისთვის. ვითარებას სულ რაღაც ათიოდე დღეში შევისწავლიდით და სათანადო ღონისძიებებსაც გავატარებდით, თუმცა არც ახლაა დაგვიანებული. თუ საჭირო შეიქმნება, დავადგენთ მტაცებლის ხელოვნურად შესამცირებელ კვოტას, ეკოსისტემამ დისბალანსი რომ არ განიცადოს.

(ამონარიდი ,,კვირის პალიტრიდან"12.10.2005წ)

* * *

ისევ, მოვიდა შემოდგომა.

ისევ, აოქროსფერდნენ ნათიბი ფერდობები.

ისევ, ამოვიდა ქალაქიდან, ძმის საშველად, ,,ნასწავლი" ძმა.

* * *

მზე შუბის ტარზე იდგა.

თივის ხვეტით დაღლილებმა, წყაროსთან, კლდის ჩრდილს შეაფარეს თავი. ტილოს აბგიდან საგზალი ამოალაგეს და ცოტა წაიხემსეს.

შალვამ ბოთლს საცობი კბილებით ამოაძრო და პატარა ყანწში არაყი ჩამოასხა.

– ეეხ, მამუკაის სულ გაანათლას ღმერთმ! კაა ვაჟ იყო ჩემი ძმობილი, კაა!

გადაჰკრა და ძმას შეუვსო.

– განანათლოს! – ჯერ სათიბს გაჰხედა ადუამ, მერე ლურჯ ცაში აიხედა და ყანწიც ასწია.

უხმოდ ილუკმებოდნენ.

კლდეზე გადმოკიდებული წყალი ჩხრიალებდა. სადღაც, წიწკანა წივწივებდა სევდიანად.

– მაინც რა მოხდა? – იკითხა ადუამ – ქალაქამდე ჩამოაღწია ამბავმა, ხევსურეთშიო, ერთ კაცსო, ღვთის ნიშნიანი ნადირი მოუკლავსო. წესისამებრ, თოფი მიწაში არ ჩაუმარხავსო და სასჯელმაც არ დაიგვიანაო!

შალვა უგემურად ღმურძლავდა პურს და სადღაც, გაღმა იყურებოდა.

– ჰო, ნადირ წითა იყო! ცეცხლისფერაი! – ამოთქვა ბოლოს – იმ მგელაის ტყავ სახლში ეკიდა მამუკას. მგონებ, შენცა გააქ ნანახი?

ხელში შერჩენილი პურის ნატეხი, ყველის გვერდით დადო შალვამ.

– წინა დღით ერთად ვიყათ. შეშა ვამზადეთ, ხატობისთვინ. მეორე დღეს რო აღარ გამასჩნდა, სახჩი ავაკითხე... ველარ ვიცან... თმა სუ გასთეთრებოდა! რაღაც, დიდი ელდისგან მამხკვდარიყო, საწყალი!

დათვიჯვარს ღრუბელი მოსდებოდა. . .

– აღარც ის, ტიალი ტყავი ჩანდა სადმე! მიმსვლელ-მამსვლელ ბევრებ იყვნენ. ვინ რას მაიჰხელამს მარტოკაცის სახლჩი, რას გაიგეფავ?

ცაში ქორი ბოინობდა, ფრთაშეურხევლად.

თივის მოტკბო სურნელი იდგა.

– ნადირთა მწყემსმა არ აპატია, ალბათ? – სიტყვაძვირ ძმას მიეშველა საღერღელაშლილი ადუა.

– აარ! მაშინ, მე უნდა მავეკალ! – თვალებში შეხედა შალვამ ძმას – ის მგელაი მე მავხკალ!

ბალახზე მჯდომი, მუხლებს მკლავებით გადაეყრდნო.

– ფშავლებს ვეხმარეთ. საფარში ზედ მოგვადგა, წითაი. ერთად ვესრიეთ. მამუკამ დაიქადნა, მე მოვარტყიო. მარცხენაში ჰჭირდა ნატყვიარი. მამუკაი მარჯვნიდან ეჯდა. ძუს, ლეკვიანობა რო დავატყე, სუ ამეყარა გული და აღარც მამუკას მივსდავებივარ.

შალვამ ,,ასტრა'' გააბოლა. ტუჩს შერჩენილი თუთუნი, ცერა და არათითით მოიშორა.

– მერე, იმ ადგილს სამფეხა ბაბრი შეეჩვია და დიდი ზიანი უყო ხალხს. ფშავლები ბევრჯელ დაუსაფრდნენ, მარა, ვერ მაიხელთეს. მემრ, მთავრობამ ხალხ გამოგზავნა. მთელი ხეობა შაჰკრეს. მეც იქ ვიყავ. სადაც იმ წითას ვესრიე, იქ ვნახე კოჭლას ნაკვლევი. ახალ შეღამებულზე გამასჩნდა. ბნელოდა, მაგრამ იმხელას რაისად დავაცდენდი. სამი ვესრიე. მაინც წავიდა! ბნელაში, დაჭრილ ნადირ საშიშ ას. გათენდა და ძაღლებ მიუშვეს. მათურხევში, მუქოს ზევით, ერთ უდაბურ ხევში ხქონავ ბუნაგი. შესასვლელ მავსთხარეთ და რაი ვნახეთ, იცი?

ადუას ლუკმა შერჩენოდა ხელში.

შალვამ ყანწი გაავსო.

გადაჰკრა.

ერთხანს, დამანჭული ჩასჩერებოდა მიწას. მერე, ძმას შეხედა და უთხრა:

– წითელი მგლის ტყავზე მიწოლილი მამხკვდარიყო, ბეჩავი!

✍ თეონა გვაძაბია

სულ რაღაც ოცდამეოთხედი პარასკევი

თავი I

– რა ლამაზი ვარსკვლავია!

გაფიქრა ილიამ, როდესაც ღამით თავის ტელესკოპში გაიხედა, რომელიც თეონამ შარშან დაბადების დღეზე აჩუქა.

– მე მას ილიას დავარქმევდი, მაგრამ, ალბათ, ასტრონომებს უკვე აღმოჩენილი ექნებათ, რადგან მათი ტელესკოპები ჩემსაზე ძლიერია. ყოველ საღამოს ილია სპეციალურად არ იძინებდა, შუაღამისას თავისი ვარსკვლავი რომ ენახა.

დრო გადიოდა და ილიამ შეამჩნია, რომ ეს ლამაზი ვარსკვლავი დღე-თიდღე სულ უფრო ფერმკრთალი ხდებოდა. ერთი თვის შემდეგ იგი სავსებით რუხი გახდა. ილიას ძალიან ეწყინა, ისე განიცადა, თითქოს მისი ახლობელი გამხდარიყო ავად. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეშველა ვარსკვლავისთვის. მაგრამ როგორ? თავისი ძველი მეგობრები – ფიზიკოსი ქეთი, ქიმიკოსი თამურა, მათემატიკოსი დემეტრე და ბიოლოგი ნათია გაახსენდა. მხოლოდ მათი დახმარებით შეძლებდა ვარსკვლავის გადარჩენას. კარადიდან ილიამ ბლოკნოტი გამოიღო თავისი მეგობრების სურათებითა და ტელეფონის ნომრებით.

პირველი ილიას ფიზიკოსი ქეთი გამოეხმაურა. ეს დილის ცხრა საათზე მოვიდა ულამაზესი სპორტული მანქანით. ილიამ ჰკითხა, თუ ვინ იყომ მანქანის დიზაინერი. ქეთიმ უპასუხა: – დიზაინერი ,,პონტიაკის'' ფირმაა, მაგრამ ყველაზე საკვირველი ამ მანქანაში მისი ძრავაა, რომელიც მე შევქმენი. თუ გახსოვს, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას მე მზის ენერგიის ძრავაზე გელაპარაკე, მაშინ შენ ამ იდეას აბსურდული უწოდე. მე კი მუშაობა განვაგრძე და ერთი წლის შემდეგ შევქმენი კიდეც.

– ძალიან კარგი, – უპასუხა ილიამ, – შენი გამოგონილი ძრავა ჩვენს ხომალდსაც წაადგება.

– რომელ ხომალდს?

ილიამ ყველაფერი აუხსნა. ქეთინოს ეს აზრი ძალიან მოეწონა. ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ეს ქიმიკოსი თამუნა იყო. ილიამ კარის ჭუჭრუტანაში გაიხედა და გახარებულმა შესძახა: – თამუნა მოვიდა და, მგონი, თან რაღაცეებიც მოგვიტანა.

გახარებული მეგობრები შემოსასვლელში ერთმანეთს გადაეხვივნენ და პოლიეთილენის პარკის შიგთავსით დაინტერესდნენ.

თამუნამ უპასუხა, რომ პოლიეთილენის პარკში ,,ცოცხალი'' და ,,მკვდარი'' სითხე ჰქონდა. ეს სახელები რომ ზღაპარში ამოიკითხეო? – ღიმილით იკითხა ქეთიმ.

– შენ იქნებ ზღაპარი გეგონოს, მაგრამ ეს სითხეები მართლა ზღაპრული თვისებისაა. მან გახსნა ქილა, რომელსაც ,,ცოცხალი'' ეწერა, ჩხირით ერთი წვეთი სითხე ამოიღო და ფანჯრის რაფაზე რამდენიმე დღის წინ მკვდარ ბუზს დააწვეთა. მართლაც საოცარი რამ მოხდა, ბუზმა ფეხები აამოძრავა.

– ესღა გვაკლდა, – თქვა ქეთიმ, – ეხლა ოთახს ბუზებით აგვივსებს.

ამასობაში თამუნამ წვეთი მეორე ქილიდან ამოიღო და ისევ დაასხა ამოძრავებულ ბუზს. ბუზი ისე დადნა, რომ მისგან აღარაფერი დარჩენილა. მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ეს სითხეები რაში გამოგვადგება? – იკითხ ქეთიმ.

– თამუნასაც თუ წავიყვანთ, აუცილებლად გამოგვადგება, – თქვა ილიამ.

– ოღონდ თავისი დაბნეულობით არ შეეშალოს და შემთხვევით ჩვენ არ დაგვალევინოს ,,მკვდარი'' სითხე, – დასძინა ქეთიმ.

ის იყო, თამუნამ პასუხის გაცემა დააპირა, რომ ზარის ხმა გაისმა. ილიამ თქვა: ესენი ნათია და დემეტრე იქნებიან. ისინი ხომ ყოველთვის ერთად აგვიანებენ. კარის გაღებისთანავე დემეტრემ გამარჯობის ნაცვლად მიახალა ილიას: იცი, იმ პლანეტაზე მისასვლელად რამდენი წელი დაგვჭირდება? გუშინ გამოვიანგარიშე.

– რამდენი? – ღიმილით ჰკითხა ილიამ.

– 150 წელი.

– ყოჩაღ, – სიცილით თქვა ილიამ, – მაგრამ შენ არ გაგითვალისწინებია, რომ ჩვენს ხომალდს თითქმის სინათლის სიჩქარე ექნება და ამ მოგზაურობას სულ რაღაც ორი კვირა დასჭირდება.

– ეს როგორ? – იკითხა ნათიამ.

– როგორ და, ძრავი ქეთიმ გამოიგონა.

– ხომალდი დამზადდება ზემსუბუქი და ყველაზე მყარი მასალისგან, რომელსაც თამუნა გამოიგონებს.

ის იყო, ამხანაგები გაფრენას ზეიმობდნენ, რომ უეცრად ქეთიმ წამოიძახა: ჟანგბადი? რაკეტაში ხომ გვინდა ჟანგბადი?

ბიოლოგ ნათიას გარდა ყველა დანაღვლიანდა. ნათია კი მეგობრებს შეჰყურებდა და მშვიდად იღიმებოდა.

– კარგით, მეყოფა თქვენი წვალება, მე ,,გადაგარჩენთ'', – თქვა მან და ჩანთიდან პატარა ბუჩქი ამოიღო. ბუჩქი კი არა, ეს ხე ყოფილა. – ამ ერთ პატარა ხეს იმდენი ჟანგბადის გამომუშავება შეუძლია, რომ ერთ ადამიანს სასუნთქად თავისუფლად ეყოფა. ეს მართლაც საოცრებაა, მაგრამ სახელი ჯერ არ დამირქმევია.

– არა უშავს, სახელს მოვიგონებთ, – მიუგო ილიამ. – მე ამ ხეს ,,სიცოცხლეს'' დავარქმევდი. ხუთი ასეთი ხე და ჟანგბადის პრობლემაც მოხსნილია.

გადაწყვიტეს, ფიზიკოს ქეთის ძრავითა და კორპუსით, ქიმიკოს თამუნას საუცხოო სითხეებით და ბიოლოგ ნათიას ხეებით ხომალდი აეგოთ.

სამი თვის დაუღალავი შრომის შედეგად ულამაზესი ხომალდი ააწყვეს. ხომალდს სახელად ,,დისქავერი" დაარქვეს. გამოცდის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხომალდის საერთო წონა მფრინავი ეკიპაჟის წონის ნახევარი იყო, ხოლო სიმძლავრე – ეკიპაჟის წევრთა საერთო სიმძლავრეზე მილიარდჯერ მეტი. გაფრენის წინა დღეს გამოსათხოვარი საღამო მოაწყვეს. ამასობაში, ლამაზი პლანეტა სულ მთლად გაუფერულდა და სხვა პლანეტებისგან აღარაფრით განსხვავდებოდა.

თავი II

მეორე დღეს, დილით 4 საათზე ეკიპაჟის წევრები ,,დისქავერიში" ჩასხდნენ და უმცირესი სიმძლავრით ხომალდი დედამიწას მოსწყვიტეს. ხომალდმა ისეთი აჩქარება განავითარა, რომ ეკიპაჟის წევრები მწოლარე მდგომარეობაში ერთმანეთის შეხედვასაც ვერ ახერხებდნენ. სულ რაღაც 12 წამში ხომალდმა დედამიწის მიზიდულობა გადალახა და ღია კოსმოსში აღმოჩნდა. ახლა კი წამოდგნენ მეგობრები და ერთმანეთს ჩინებული სტარტი მიულოცეს. ამ დროისათვის ხომალდი უკვე სინათლის სიჩქარის თითქმის ნახევარს ავითარებდა. ილუმინატორში პლანეტები ისე ჩაიქროლებდნენ, როგორც ელექტრობოძები ჩქარი მატარებლის ფანჯრებში. ერთი კვირის განმავლობაში მოგზაურობა მხიარული იყო. ლამაზი პლანეტა უკვე ძალიან გაზრდილიყო. თურმე ის ჩვენს მზეზე 100-ჯერ დიდი ყოფილა. ნახევარი გზა უკვე გავლილი ჰქონდაღ, როცა ,,დისქავერის" წინ უამრავი კომეტა და ასტეროიდი აღიმართა. დემეტრემ გამოთვალა და თქვა:

– 2-3 საათში ხომალდი შეიძლება დაიღუპოს.

– უცნაურია, არც დედამიწიდან და არც გამომგზავრების შემდეგ, ეს კომეტები და ასტეროიდები არ ჩანდნენ. ისინი უბრალოდ არ არსებობდნენ. – განაცხადა ილიამ.

მეგობრები მწარედ ჩაფიქრდნენ.

– ხომალდის სიჩქარე თითქმის სინათლის სიჩქარის ტოლია, გაჩერებასაც ვერ მოვასწრებთ, – ნაღვლიანად თქვა ქეთინომ. – მაგრამ პანიკას ნუ მივეცემით! მე საიდუმლოდ შევქმენი აპარატი, რომელიც ჩვენი ხომალდის ირგვლივ ძლიერ მაგნიტურ ველს შექმნის. მასში მოხვედრილი კომეტა თუ ასტეროიდი განიზიდება ან გაქრება.

გაოცებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს.

– აბა, სად არის? – იკითხა დაბნეულმა თამუნამ.

– აი, – ქეთინომ ჯიბეში ჩარჩენილი მობილური ტელეფონი ამოიღო, – როგორც კი ,,117"-ს აკრეფ, მაშინვე ძლიერი ველი წარმოიქმნება.

– გადავრჩენილვართ! – გადაეხვივნენ ერთმანეთს გახარებული ბავშვები.

მალე ხომალდი ასტეროიდების წვიმაში შეიჭრა. მეგობრებმა გადამრჩენი ნომერი აკრიფეს და ტელეფონი წინა ილუმინატორთან დაამაგრეს. ხომალდმა ეს საშინელი სივრცე 10 საათში გადალახა.

– ყოჩაღ, ყოჩაღ, – გადაეხვივნენ მეგობრები ქეთინოს, – ეს მართლა ფანტასტიკაა. შენ მართლაც უძლიერესი ფიზიკოსი ხარ. ამ მობილურში ამხელა ენერგია როგორ ჩადე? – მეგობრებს არ სჯეროდათ ასეთი ტექნიკური მიღწევისა.

– ჰო, ეს მართლა შეუძლებელია, – განაცხადა ქეთინომ.

– მაშ, რა მოხდა? – გაიკვირვეს მეგობრებმა.

– ეს, ასე ვთქვათ, ,,ბლეფი'' იყო.

– რა?

– ,,ბლეფი''. ფილმი ხომ გინახავთ? ყველაფერი მოვიგონე და თქვენც დაგაჯერეთ, ხომალდზე პანიკა რომ არ ამტყდარიყო, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში, თუ პანიკა არ არის, ურთულეს საქმეებსაც კეთილი დასასრული აქვთ. ჩვენი ხომალდი შემთხვევით, ანუ სასწაულით გადარჩა, – დაასრულა ქეთინომ.

– მართლაც, მაგარი გამომგონებელი ხარ, – დაასკვნა დემეტრემ.

– ეს გამოგონება შენს ,,პირველ'' გამოგონებას არაფრით ჩამოუვარდება, – გადაიხარხარეს მეგობრებმა.

– ეს რომ მართლა გამოგეგონა, ნამდვილი ,,კომისარი ჟიუვი'' იქნებოდი, – განაცხადა თამუნამ.

ლამაზი პლანეტის მახლობლად მისივე თანამგზავრი აღმოჩნდა. იგი პატარა იყო და ჩვენს დედამიწას წააგავდა. მეგობრები მას ყურადღებით ათვალიერებდნენ და დედამიწას ადარებდნენ. უცებ ლამაზი პლანეტიდან გამოშვებული წითელი სხივი თანამგზავრს დაეცა და მისი უძლიერესი აფეთქება გამოიწვია. თანამგზავრი წამში კომეტებისა და ასტეროიდების გროვად იქცა.

– ესეც ასე, ვიცოდი, რომ ვიღაც გვესვრის, ანუ გვეომება, – თქვა ილიამ. – ის ასტეროიდები და კომეტებიც ახლად გაჩენილები იყო. პლანეტა აფეთქების შედეგად უშვებდა ჩვენსკენ.

– კი მაგრამ, პლანეტებს ვინ აფეთქებს? – დაფიქრდნენ მეგობრები.

ლამაზ პლანეტასთან მიახლოებულმა ხომალდმა სიჩქარე შეამცირა და კომეტების გვერდის ავლით, დასაშვებად მზადება დაიწყო. როდესაც სიჩქარე დედამიწიდან გაშვებული რაკეტების სიჩქარემდე დავარდა, ლამაზი პლანეტის ბუნება და ოკეანეებიც გამოჩნდა.

ნახეთ, წყალიც ყოფილა და მიწაც, – თქვა დემეტრემ, – მოდით, იქ დავეშვათ, სადაც რაღაც ზოლი ჩანს.

ხომალდი ზოლთან დაეშვა, რომელიც ეგრეთ წოდებული ,,რკინიგზა'' აღმოჩნდა.

თავი III

– ეს რა უცნაური პლანეტაა! მიწა ნაცარს ჰგავს. ალბათ, უდაბნოა, – თქვა ქიმიკოსმა, – თუმცა, ჟანგბადი ყოფილა, სუნთქვა შეიძლება. პირველად ვხედავ, რომ რკინიგზა ჰაერში ეკიდოს.

ამასობაში შორიდან საშინელი ხმაური გაისმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. რამდენიმე წამში ხმაური ისე გაძლიერდა, რომ მეგობრებმა ყურები თითებით დაიცვეს.

ლიანდაგებზე ჩამოკიდებულმა ,,მატარებელმა'' მათ დიდი სიჩქარით ჩაუქროლა. ბავშვები შიშისაგან მიწაზე გაწვნენ.

– მე მგონი ყველაფერი ნათელია, ეს ედვორდის პლანეტაა, – თქვა ილიამ.

– რა თქვი? – ჩაეკითხნენ ამხანაგები.

– ეს კომპიუტერული თამაშია, მითამაშია. თვითონ ედვორდები ძალიან ალალი მშრომელი და კეთილი არსებები არიან, ზოგჯერ ჯიუტებიც. აღნაგობთ ადამიანებს ჰგვანან, მაგრამ მწვანეები არიან. რკინიგზას თუ გაჰყვებით, ის მათ დასახლებამდე მიგვიყვანს.

ცოტა ხანში მართლაც გამოჩნდა ციხესიმაგრისმაგვარი ნაგებობა, სადაც დაკიდებული რკინიგზა შედიოდა. მეგობრებმა ნაგებობაში შეაღწიეს და ნახეს ის, რასაც მათ გზაში ილია უყვებოდა.

ეს პლანეტა გლუკონებს დაეპყროთ. ისინი ავიწროებდნენ ედვორდელებს – შეუსვენებლად ამუშავებდნენ, პლანეტის სიმდიდრე კი თავიანთ პლანეტაზე გაჰქონდათ. ამიტომაც იყო, რომ დედამიწიდან მათი პლანეტა სულ უფრო და უფრო რუხად მოჩანდა. მეგობრებმა ეს უსამართლობა რომ დაინახეს, ძალიან გაბრაზდნენ და გლუკონებისთვის ომის გამოცხადება გადაწყვიტეს, ისინი ხომ ქიმიკოს თამუნას ,,ცოცხალი'' და ,,მკვდარი'' წყლით იყვნენ შეიარაღებულნი.

როცა დაღამდა და გლუკონებმა დაიძინეს, მეგობრები ჩუმად შევიდნენ ციხესიმაგრეში. ქიმიკოსმა თამუნამ გლუკონს სითხე დააწვეთა, მაგრამ მას არაფერი დამართნია.

– მივხვდი, – ამოიოხრა თამუნამ, ეს პლანეტა კოსმოსურია და აქ არანაირი მიწიერი კანონი არ მოქმედებს.

დემეტრე მომუშავე ედვორდელებთან მივიდა და მიესალმა, მაგრამ ედვორდელები მუშაობას აგრძელებდნენ და პასუხს არ სცემდნენ.

– რა ვქნათ? ეს ჩვენი მისიის კრახია, – თქვა ნათიამ.

– მგონი, ვიცი ჩვენი მისიის არსი, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ თქვა ილიამ, – ჩვენ უნდა ვიპოვოთ და გავათავისუფლოთ აილი, ის ყველაზე ჭკვიანი და საზრიანი ედვორდელია, და შემდეგ იგი მოჯადოებულ ედვორდელებს გაათავისუფლებს.

– კი მაგრამ, ამდენ ედვორდელში აილი როგორ უნდა გამოვარჩიოთ? – იკითხა ქეთიმ.

– აილი, ედვორდელებისგან განსხვავებით, ლურჯი ფერისაა. ის უნდა მოვძებნოთ და ჩვენი მისიაც შესრულებული იქნება, – დაასკვნა ილიამ.

– მისი მოძებნა არც ისე ადვილი იქნება. გლუკონებს აილი გადამალული ეყოლებათ, – თქვა დემეტრემ. – თანაც, ამ პლანეტაზე დიდხანს ვერ დავრჩებით, ჟანგბადი ცოტაა, სუნთქვა გვიჭირს.

მეგობრებმა შენიშნეს, რომ ყველა ედვორდელი ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა – მადანს თხრიდა და პატარა ვაგონებში ტვირთავდა. უცებ ქეთის ყურადღება ერთმა მემანქანემ მიიქცია. სხვებისაგან ის არა მარტო საქმიანობით, ფერითაც განსხვავდებოდა.

– ეს ხომ აილია, – წამოიძახა ქეთიმ.

– გავყვეთ მატარებელს და ყველაფერს შევიტყობთ, – განაცხადა ილიამ.

მეგობრები კვლავ ლიანდაგს გაუყვნენ და გაჩერებულ მატარებელში აილი, გლუკონები და კიდევ უფრო საშინელი არსებები დაინახეს.

ილია მატარებელში შეიპარა და მოჯადოებულ აილს უთხრა ჯადოსნური სიტყვა ,,Hello", რომელიც მან კომპიუტერული თამაშიდან იცოდა. ,,Hello" – უპასუხა ჯადომოხსნილმა აილმა ილიას, მადლობა გადაუხადა და ფრთხილად დაძრა მატარებელი. ის იყო მატარებელი ,,დისქავერის'' გაუსწორდა და აილმა თქვა ,,ახლა ვიცი, რაც უნდა გავაკეთო'' და მეგობრებს დაემშვიდობა, რომ გაღვიძეული გლუკონები გამოჩდნენ. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ. ლაზერული ავტომატებიდან ისროდნენ, ლაზერულ ბომბებს ყრიდნენ. აილმა ბავშვებთან ერთად ,,დისქავერის'' მიაშურა და მოხდა საოცრება: ყველა ბომბი და ტყვია, რომელიც კი ,,დისქავერის" მოხვდა, აისხლიტა, რადგან მიწიერ ხომალდს მათი იარაღი ვერას აკლდებდა. მეგობრებმა ხომალდი დაძრეს. აილმა მათ იმ ციხესიმაგრის გზა ასწავლა, საიდანაც მათ ედვორდელების გათავისუფლება უნდა დაეწყოთ.

აილი ხომალდიდან გამოვიდა და მხარზე ხელის დაკვრით ხსნიდა ჯადოს ედვორდელებს. ყოველი ედვორდელის გათავისუფლებით კი თითო გლუკონი სკდებოდა.

და აი, ცოტა ხანში პლანეტა გლუკობებისგან გათავისუფლდა. ედვორდელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ დიდი ზეიმის მოწყობა გადაწყვიტეს და მეგობრებს კიდევ ცოტა ხნით დარჩენა სთხოვეს, მაგრამ მათ ძალიან ეჩქარებოდათ. მეგობრები დაემშვიდობნენ ედვორდელებს და გლუკონების პლანეტის სანახავად გაემართნენ. გლუკონები ამ პლანეტიდანაც გამქრალიყვნენ. პლანეტა თავისუფალი და ლამაზი იყო. მეგობრებმა მას ,,დედამიწა-2" დაარქვეს, რადგან იგი ძალიან ჰგავდა ჩვენს დედამიწას. აქ ოკეანეები, ტყეები, ლამაზი ცხოველები, რამდენიმე მზე და ყოველთვის კარგი ამინდი იყო.

მეგობრებმა გადაწყვიტეს ,,დედამიწა-2''-ის ამბავი საიდუმლოდ შეენახათ და აქ ის ადამიანები დაესახლებინათ, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ სიკეთეს თესენ. აქ დასახლდებოდნენ ჩვენი დედამიწის ყველაზე რჩეული ადამიანები. ამ პლანეტაზე მათ არც საჭმელი მოაკლდებოდათ და არც სასმელი. აქ არ იქნებოდა არც სამხედრო ნაწილები, არც პოლიცია, არც პრეზიდენტი, არც საზღვრები, ხოლო ვინც ბოროტებას განიზრახავდა, უმალ გაქრებოდა პლანეტიდან.

დედამიწისკენ მიმავალ ხომალდში მეგობრები ბევრს მხიარულობდნენ, მგრამ თავში ყველას ერთი აზრი უტრიალებდა – საიდან იცოდნენ ამ პლანეტების შესახებ კომპიუტერული თამაშის შემქმნებელმა? იქნებ ეს ამბავი პროგრამისტებსაც ილიასავით დაესიზმრათ?

გულდაწყვეტილის აღსარება

ჩამომელვენთა სანთელი მძიმედ, მიმოვიხედე კვლავ მარტი დავრჩი, თითქოს დაჰბერა, თითქოს თენდება, ვნანობ დამათენდა.

გულახდილი ვარ ისევ შეპარვით, თავს მოგახვიეთ ჩემი გზავნილიც. არ გამოდისო გულმა მიბრძანა დაკაბადონებულ ცოცხალ ორგანიზმს.

საცოდავია ადამიანი, ყველაფერს იტანს, ბარბად მოსულსაც და თალხით მოსილსაც, ყველა სიზმარი წამიერია, განთიადისას რომ შეგიწყნაროს ვადაგასულმაც.

ასე ტაატით მიდის სიცოცხლე შევიწროვებულ აზრთა იმედით, უკუღმართია წუთისოფელი, რომ შენი ყოფნა ბარგად აქცია?

აღიარებაც მძიმე ტვირთია, და როცა დავძენთ გულისტკივილით – რად იყო მკაცრი ასე ბუნება, თითქოს გაგვრიყა გასაცოცხლებლად?

ვერ გამიგია, რას გადამეკიდა, ეს სიმარტოვე.

ხიდზე კიდევაა გადასასვლელი!!!

შემთხვევით არ მიფიქრია

მე რად მინდოდა ის გაზაფხული, ერთხელ მაინც რომ არ გამახარებს, თუ გამახარებს, მსწრაფლ მაკარგინებს, თითქოს, რომ მოსდევს ისევ ზამთარი.

რამდენჯერ გინდა გადაიტანო დრო ულმობელი და სუსხიანი, რატომ ცდილობდა ჩემსკენ უკუსვლას. რატომ დამწყვიტა ამდენჯერ გული.

თქვენ შემოგჩივლეთ, მით უარესი, ყველა დრონი ხომ მიმდევარია. რატომ არ ხდება ჩემს ცხოვრებაში, ის ბუნებრივი, რაც კი სხვაშია.

ისევ გაწუხებთ, გთხოვთ მაპატიოთ, უსასრულოა, ყველა გულისთქმა, დამემდურებით ალბათ იმაზეც, რაც არ ყოფილა, რაც არ მომხდარა.

და თუ არ გჯერათ, ჩემთან იყავით, ცოტა ხნით მაიც თვალი შემავლეთ, ხომ არ გეგონათ, ასეც რომ ხდება, ნუღარ დამისვამთ ზედმეტ შეკითხვებს.

მგონი შეგაწუხეთ.

ვისი სული გსურთ

ღვარცოფი მოასკდა სოფელს, თითქოს უბერავს სულს, ღვარცოფი მიასკდათ იმათ, ვისაც რომ ჩვენი შურს.

გაუბედავად ვამბობ, ჩვენი სული ხომ გსურთ. მაშ, ამოგვიდექით მხარში, ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

ღვარცოფი მოასკდა ქუჩას, გადამიხერგა გზა, მე ხომ იმ გზაზე ვდგავარ, ვერ მოვუარე ბანს.

გაუბედავად ვამბობთ, ჩვენი სული ხომ გსურთ, მაგრამ ძნელია ალბათ ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

ღვარცოფი მოასკდა ქვეყანას, ისევ ის სული გსურთ, გაუბედავად ვამბობთ, ჩვენ ჩვენი სული გვსურს.

მთა დუმს??

მთა რომ დუმს, დუმილსაც ხმა აქვს, ნუ ჩაეძიებით, საიდან, როდის, მთა დუმს და განგება კვლავაც განიცდის, თავის დაბეგრილ სულს. სძინავს ბუნებას, სძინავს ბერიკაცს, და იმ სიჩუმეს არწევს, ორ ხმაში აწყობილს, სამ ხმაში ნამღერს, ისევ იმ დუმილს აღწევს.

მოტანილ სიუხვეს? გატანილს გოდრით? ოთხ ხმაში აწყობილს ჰგავს, ნუთუ ერთ ხმაში ნამღერს აჯობებს, დუმილით ნაბოძვარ ჰანგს.

ლევ ტოლსტოი

ინდური ყავახანა

(ბერნარდენ დე სენ-პიერის მიხედვით)

1

ინდოეთის ქალაქ სურატში ცნობილ ყავახანაში ერთმანეთს გადაეყრებოდნენ ხოლმე მოგზაურები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და საუბრობდნენ, ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას.

ერთხელაც ყავახანაში სპარსი ღვთისმეტყველი შემოვიდა. ის მთელი თავისი ცხოვრება ღვთის ბუნებას სწავლობდა. კითხულობდა წიგნებს ამ თემაზე და თვითონაც წერდა. ბევრი იფიქრა, იკითხა და წერა მან ღმერთზე; როგორც იტყვიან, ტვინი იჭყლიტა. ბოლოს ყველაფერი აერია თავში და იქამდე მივიდა, რომ ღვთის რწმენა დაკარგა.

გაიგო ეს ამბავი მეფემ და გააძევა იგი სპარსეთის სამეფოდან.

დიახ, პირველ მიზეზზე განუწყვეტელმა ფიქრმა დააბნია საბრალო ღვთისმეტყველი. იმის მაგივრად, რომ ეფიქრა, ჩემში აღარაა გონებაო, იფიქრა, სამყაროში არააო უმაღლესი გონება, არსთა გამრიგე.

ღვთისმეტყველს ჰყავდა აფრიკელი მონა, ვინც თან დაჰყვებოდა ხოლმე. როცა ღვთისმეტყველი ყავახანაში შემოვიდა, აფრიკელი ეზოში დარჩა, კარებს იქით. ქვაზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა. იჯდა და ბუზებს იგერიებდა. თვითონ ღვთისმეტყველი კი ყავახანაში დივანზე წამოწვა და ერთი ფინჯანი ბანგი შეუკვეთა. როცა ფინჯანი გამოსცალა და ბანგმა ტვინი აუმოძრავა, თავის მონას მიმართა:

– აბა, უბედურო მონავ, მითხარი ერთი, როგორ გგონია, არსებობს თუ არა ღმერთი?

– რა თქმა უნდა, არსებობს! – მიუგო მონამ და მაშინვე ქამრიდან ამოაძრო ხისგან გამოთლილი პატარა ხატი. – აი, – დასძინა მან, – აი, ის ღმერთი, მე რომ მიფარავს მთელი ცხოვრება. ის გამოთლილია იმ უწმინდესი ხისგან, რომელსაც ყველა ეთაყვანება ჩემს ქვეყანაში.

ღვთისმეტყველისა და მონის ამ საუბარს ყური მოჰკრეს ყავახანაში მყოფმა ადამიანებმა და გაკვირვებული დარჩნენ. მათ გაუკვირდათ ბატონის შეკითხვა და კიდევ უფრო მეტად – მონის პასუხი.

ერთი ბრამინი, ვინც გაიგონა მონის სიტყვები, მიუბრუნდა მას და უთხრა:

– საცოდავო უგუნურო, განა შეიძლება ღმერთი ადამიანის ქამარში იყოს გარჭობილი?! ღმერთი ხომ ერთია – ბრამა! იგი აღემატება მთელ სამყაროს,

რადგან მთელი სამყარო მისი შექმნილია. ბრამა ერთიანი დიადი ღმერთია. მისთვისაა აგებული ტაძრები მდინარე განგის ნაპირებზე. მას ემსახურებიან მისი ერთადერთი ნამდვილი ქურუმები – ბრამინები. მხოლოდ ამ ქურუმებმა იციან ნამდვილი ღმერთი. უკვე ოცი ათასი წელი გავიდა და ქვა ქვაზე აღარ დარჩა დედამიწაზე. ქურუმები კი არ შეცვლილან. ისეთნი დარჩნენ, როგორიც იყვნენ მუდამ. ასეა, რადგან ბრამა, ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, იფარავს მათ.

ბრამინმა დაასრულა და ფიქრობდა, ყველა დავარწმუნეო. მაგრამ ებრაელი ვაჭარი გამოედავა:

– არა, – თქვა მან, – ჭეშმარიტი ღმერთის ტაძარი ინდოეთში არ გახლავთ. არც ბრამინების კასტას მფარველობს ღმერთი. ჭეშმარიტი ღმერთი ბრამინების ღმერთი კი არაა, არამედ ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა. თან ჭეშმარიტი ღმერთი მფარველობს მხოლოდ თავის ებრაელ ხალხს. ღმერთს დასაბამიდანვე უყვარდა და უყვარს მხოლოდ ჩვენი ხალხი. მართალია, ამჟამად ჩვენი ხალხი მიმოფანტულია დედამიწაზე, მაგრამ ეს მხოლოდ გამოცდაა. ღმერთი, როგორც ის შეგვპირდა, თავის ხალხს ისევ მოუყრის თავს იერუსალიმში, რათა აღადგინოს უძველესი საოცრება – იერუსალიმის ტაძარი და გახადოს ისრაელი ყველა ხალხის ბატონი.

აი, ეს თქვა ებრაელმა და ცრემლები მოერია. სურდა განეგრძო სიტყვა, მაგრამ იტალიელმა გააწყვეტინა:

– არა ხართ სწორი. – ღმერთს თქვენ უსამართლობას მიაწერთ. როგორ შეიძლება ღმერთს ერთი ხალხი სხვებზე მეტად უყვარდეს?! იქნებ ღმერთი დიახაც მფარველობდა უწინ ისრაელს. მაგრამ აწ უკვე ათას რვაასი წელია, რაც, პირიქით, გამწყრალია მასზე. თავისი წყრომის ნიშნად მან წერტილი დაუსვა ისრაელის არსებობას და მიფანტ-მოფანტა მისი ხალხი დედამიწაზე. ასე რომ, ებრაელთა რწმენა არა თუ ვრცელდება, არამედ ალაგ-ალაგღა შთენილა ოდენ და სულს ღაფავს. ღმერთი ერთ რომელსამე ხალხს კი არ გამოარჩევს, არამედ მოუწოდებს ყველას, ვისაც გადარჩენა სურს, რომის ერთიანი კათოლიკური ეკლესიისკენ. აკი ხსნა მხოლოდ ამ ეკლესიაშია.

ასე თქვა იტალიელმა. მაგრამ იქ მყოფი პროტესტანტი ბერი გაფითრდა და კათოლიკე მისიონერს უპასუხა:

– როგორ ამბობთ იმას, რომ ხსნა მხოლოდ თქვენს აღმსარებლობაშია?! უწყოდეთ: ეშველება მხოლოდ მათ, ვინც სულიერად და ჭეშმარიტად ემსახურება ღმერთს იესოს მცნების მიხედვით.

მაშინ თურქი, ვინც სურატის საბაჟოში მსახურობდა და ყავახანაში ჩიბუხს აბოლებდა, მედიდურად მიუბრუნდა ორივე ქრისტიანს:

– სულ ტყუილად გჯერათ მაგ თქვენი რომაული რჯულის ჭეშმარიტებისა. – თქვა მან. – უკვე ექვსასი წელია, რაც თქვენი სარწმუნოება შეიცვალა მუჰამედის ჭეშმარიტი რწმენით. თავადაც ხედავთ, რომ მუჰამედის ჭეშმარიტი რწმენა სულ უფრო და უფრო ვრცელდება ევროპაშიც, აზიაშიც, თვით განათლებულ ჩინეთშიაც კი. თქვენ ხომ ღვთის მიერ ებრაელთა მოკვეთის დასამტკიცებლად ის მოგყავთ, რომ ებრაელები დამცირებულნი არიან და რომ მათი რწმენა არ ვრცელდება? მაშ, სცანით და აღიარეთ მუჰამედის რწმენის ჭეშმარიტება, რაღაი ის დიდ პატივშია და განუწყვეტლად ვრცელდება. ხსნას მხო-

ლოდ ღვთის უკანასკნელი წინასწარმეტყველის, მუჰამედის მრევლი ეღირსება; ისიც მხოლოდ ომარის და არა ალის მიმდევრები, რადგან ალის მიმდევრები, მოგეხსენებათ, იმთავითვე ასცდნენ სწორ გზას.

ამის გაგონებაზე სპარსელი ღვთისმეტყველი წამოენთო, რაკი სწორედ ალის სექტას ეკუთვნოდა. სურდა საკადრისი პასუხი გაეცა ომარის მიმდევრისთვის, მაგრამ ყავახანაში უკვე ყურისწამღები გნიასი იდგა. დიდი კამათი იყო გაჩაღებული იქ მყოფ სხვადასხვა სარწმუნოებისა და აღმსარებლობის ადამიანებს შორის. იქ ხომ აბისინიელი ქრისტიანებიც იყვნენ და ინდოელი ლამაისტებიც, ისმაილიტებიც და ცეცხლთაყვანისმცემლებიც.

ყველანი დავობდნენ ღვთის ბუნებისთვის და იმისთვის, თუ როგორ უნდა ეთაყვანო მას. თითოეული იმას ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მის ქვეყანაში იცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს და იციან, თუ როგორ უნდა სცე თაყვანი მას. ჰოდა კამათობდნენ, ყვიროდნენ.

მხოლოდ ერთი იქ მყოფთაგან, ჩინელი, კონფუცის მიმდევარი, იჯდა მშვიდად ყავახანის კუთხეში და არ ერეოდა კამათში; სვამდა ჩაის, უსმენდა სხვებს, თვითონ კი დუმდა. ეს შენიშნა თურქმა, მიუბრუნდა და სთხოვა:

– შენ მაინც დამიჭირე მხარი, კეთილო ჩინელო. შენ დუმხარ, მაგრამ ხომ შეგიძლია ერთი სიტყვა მაინც შემაწიო? განა არ ვიცი, რომ თქვენშიც შემოაღწია ბოლო ხანებში ნაირ-ნაირმა სარწმუნოებამ. თქვენს ვაჭრებს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ ჩინელები ყველა სხვა სარწმუნოებას მაჰმადიანობას ამჯობინებენ და დიდი სიამოვნებითაც იღებენ მას. დამიჭირე მხარი და გვითხარ, რას ფიქრობ ჭეშმარიტ ღმერთზე და მის წინასწარმეტყველზე.

– დიახ, დიახ, თქვი, რასაც ფიქრობ. – მიუბრუნდნენ მას სხვებიც.

ჩინელმა, კონფუცის მიმდევარმა, დახუჭა თვალები, ჩაფიქრდა, შემდეგ ისევ გაახილა, ამოჰყო ხელები თავისი ტანსაცმლის განიერი სახელოებიდან, დაიკრიფა მკერდზე და ალაპარაკდა წყნარი, მშვიდი ხმით.

2

– ბატონებო, – თქვა მან, – მე ასე მგონია, რომ პატივმოყვარეობა ყველაზე მეტად უშლით ადამიანებს ხელს სარწმუნოებრივი თანხმობის მიღწევაში. თუ თქვენ ცოტას გაიჭირვებთ და მომისმენთ, აგიხსნით ამას ერთი მაგალითით.

მე ჩინეთიდან სურატისკენ გამოვწიე ინგლისური გემით, რამაც მთელ მსოფლიოს შემოუარა. გზად მივადექით სუმატრის კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროს, წყლის მარაგის ასაღებად. შუადღის ჟამს გადავედით ხმელეთზე და დავსხედით ზღვის ნაპირას, ქოქოსის პალმების ჩრდილში, კუნძულის მცხოვრებთაგან არც თუ ისე შორს. რამდენიმე კაცი ვიყავით, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან.

სანამ იქ ვისხედით, ჩვენთან მოვიდა ერთი უსინათლო ადამიანი.

მერე გავიგეთ მისი სიბრმავის მიზეზი: თურმე დიდხანს და ჯიუტად უსწორებდა თვალს მზეს – მზის შემეცნება მოუწადინებია. ხოლო ეს ეწადა იმისათვის, რომ დაუფლებოდა მზის სინათლეს. დიდხანს იმტვრია თურმე თავი.

ჩარია საქმეში ყველა მეცნიერება. მზის რამდენიმე სხივის მოპოვებას, შეპყრობას და ბოთლში დამწყვდევას ნატრობდა.

დიდხანს წვალობდა, სულ მზეს უყურებდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და იმასღა მიაღწია, რომ მზისგან თვალები დაუსნეულდა და კაცი დაბრმავდა.

მაშინ კი დაასკვნა: მზის შუქი არაა სითხე, თორემ გადაისხმებოდა ჭურჭელში და წყალივით შექანდებოდა ქარისგან. მზის შუქი არც ცეცხლია, თორემ ჩაქრებოდა წყლისგან. ის არც სულია, თორემ დავინახავდით; არც სხეულია, თორემ გადავაადგილებდით. ხოლო რაღაი მზის შუქი არც თხევადია და არც მყარი, არც სული და არც სხეული, მაშ იგი არცა რა ყოფილა.

ასე განსაჯა თურმე მან. ესე იგი, ერთდროულად მხედველობაც დაკარგა და გონებაც; ერთი – მზის ჭვრეტისგან, მეორე – მზისთვის განუწყვეტელი ფიქრისგან. როცა სრულიად დაბრმავდა, მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მზე არ არსებობს.

ბრმას თან ახლდა მონა. მან დასვა თავისი ბატონი ქოქოსის ხის ჩრდილში, აიღო მიწიდან ქოქოსის ნაყოფი და დაიწყო მისგან სანათურის კეთება. გააკეთა კიდეც, გამოწურა ნაყოფისგან ზეთი და ნაჭუჭში ჩაასხა. მერე შიგ სანათური ჩააწო.

სანამ მონა ამ საქმით იყო გართული, უსინათლომ ამოიოხრა და უთხრა:

– რაო, მონავ, ხომ სწორად გითხარი, რომ მზე არ არსებობს? განა ვერა ხედავ, როგორა ბნელა. ამბობენ კი მზეო... ბოლოს და ბოლოს რა არი მზე?

– მე არ ვიცი, რა არი მზე. – მიუგო მონამ. – ეს არცაა ჩემი საქმე. მაგრამ სინათლე კი ვიცი. აი, მე სანათური გავაკეთე და სინათლე მექნება. ამით შენც მოგემსახურები და ყველაფერსაც მივაგნებ ჩვენს ქოხში.

ეს თქვა და ხელში აიღო ქოქოსის ნაჭუჭი. აიო, ამბობს, ჩემი მზე.

იქვე იჯდა ყავარჯნიანი კოჭლი. მოისმინა ეს და გაეცინა:

– შენ, როგორც ჩანს, დაბადებიდან ბრმა ხარ, – მიმართა მან უსინათლოს, – რაღაი არ იცი, თუ რაა მზე. მე გეტყვი რაა: მზე ცეცხლოვანი ბურთია. ის ყოველდღე ამოდის ზღვიდან და ყოველ საღამოს ჩადის ჩვენი კუნძულის მთებში. ამას ყველანი ვხედავთ და შენც დაინახავდი, მხედველობა რომ გქონდეს.

იქვე მეთევზე იჯდა. გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, კოჭლისკენ მიბრუნდა:

– ეტყობა, არასოდეს გასცილებიხარ შენს კუნძულს. შენ რომ კოჭლი არ იყო და გემოგზაურა ზღვაზე, გეცოდინებოდა, რომ მზე ჩვენი კუნძულის მთებში როდი ჩადის. ის ზღვიდან ამოდის და ზღვაშივე ჩადის. მე ვამბობ ნამდვილს, რადგან ყოველდღე ვხედავ ამას საკუთარი თვალით.

მოჰკრა ამას ყური ინდოელმა.

– გასაკვირია, – თქვა მან, – როგორ შეიძლება ჭკვიანი კაცი ასეთ სისულელეებს როშავდეს. – განა შეიძლება, რომ ცეცხლოვანი ბურთი წყალში ჩადიოდეს და არა ჰქრებოდეს? მზე არანაირი ცეცხლოვანი ბურთი არაა. მზე ღვთაებაა. ამ ღვთაებას დევა ჰქვია. დადის ის ცაზე ეტლით სპერუვის ოქროს მთის გარშემო.

როცა ბოროტი გველები რაგუ და ქეთუ თავს ესხმიან დევას და გადაყლაპავენ, აი, მაშინ ბნელდება. მაგრამ ჩვენი ქურუმები ლოცულობენ მის დასახსნელად და ისიც თავისუფლდება. მხოლოდ თქვენისთანა უვიცებს, თავიანთ

ციცქნა კუნძულს რომ ვერ გასცილებიან, ჰგონიათ, თითქოს მზე მხოლოდ მათ კუნძულს უნათებს.

აი მაშინ კი ალაპარაკდა იქ მყოფი მეპატრონე ეგვიპტური ხომალდის:

– არა, – თქვა მან, – არც ესაა სწორი. მზე არაა ღვთაება და არ დასტრიალებს მხოლოდ ინდოეთსა და მის ოქროს მთას. მე ჩემი ხომალდით გადამისერავს შავი ზღვა და არაბეთის სანაპირონი. მადაგასკარზეც ვყოფილვარ და ფილიპინის კუნძულებზეც. მზე მთელ დედამიწას უნათებს და არა მხოლოდ ინდოეთს. ის ერთ რომელსამე მთას როდი დასტრიალებს. ის ამოდის იაპონიის კუნძულებიდან. ამიტომაც ჰქვია ამ კუნძულებს ჯაპანი – ესე იგი, მზის დაბადება, მათ ენაზე. ხოლო ჩადის იგი შორს, ძალიან შორს დასავლეთში, ინგლისის კუნძულებს იქით. მე ამის მეტი რა ვიცი, რადგან თვითონაც მინახავს და პაპიჩემისგანაც მსმენია. პაპაჩემი ხომ ზღვათა კიდემდე აღწევდა ხოლმე.

მას კიდევ ეწადა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი ხომალდის ინგლისელმა მეზღვაურმა გააწყვეტინა.

– არა არს მიწა, თვინიერ ინგლისისა, – თქვა მან, – საცა უკეთ ეცოდინებოდათ მზის მოძრაობის ამბავი. ინგლისში ყველამ ვიცით, რომ მზე არც საიდანმე ამოდის და არც სადმე ჩადის. ის განუწყვეტლად გარემოექცევა დედამიწას. ვინ, ვინ და ჩვენ ეს მართლაც ვიცით, რაკი, ესეც არი, შემოვიარეთ დედამიწა და არსად გადავყრივართ მზეს. იგი ყველგან, ისევე როგორც აქ, დილით გამოჩნება და საღამოს გაუჩინარდება ხოლმე.

ინგლისელმა ჯოხი აიღო, მოხაზა სილაზე წრე და დაიწყო ახსნა, თუ რანაირად მოძრაობს მზე დედამიწის გარშემო. მაგრამ კი ვერ ახსნა მთლად ხეირიანად და თავისი ხომალდის მესაჭისკენ გაიშვირა ხელი:

– აი, ეს კაცი, სხვათაშორის, ჩემზე მეტად განსწავლულია და უკეთ აგიხსნით ყოველივე ამას.

მესაჭე გონიერი კაცი იყო და მთელ ამ საუბარს გაჩუმებული უსმენდა, სანამ არ ჰკითხეს. ახლა კი, როცა ყველანი მისკენ მიბრუნდნენ, ისიც ალაპარაკდა:

– თქვენ ყველანი ერთმანეთს ატყუებთ და თვითონაც ცდებით. მზე არ მოძრაობს დედამიწის ირგვლივ. პირიქით, დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო. თან თვითონაც ბრუნავს. ამ ბრუნვა-ტრიალში ის ოცდაოთხი საათის განმავლობაში მზეს მიუშვერს იაპონიასაც, ფილიპინის კუნძულებსაც, სუმატრასაც, სადაც ახლა ვსხედვართ, აფრიკასაც, ევროპასაც, აზიასაც და კიდევ სხვა ნაწილებს. მზე ანათებს არა ერთი რომელიმე მთისთვის, კუნძულისთვის, ზღვისთვის და, თუ გნებავთ, დედამიწის დიდი ნაწილისთვის. ის ანათებს ბევრი დედამიწისნაირი პლანეტისთვისაც. ამას თითოეული თქვენგანი გაიგებდა, რომ მაღლა, ცისკენ იყურებოდეს და არა დაბლა, თავის ჯამში. ჰოდა არ იფიქრებდა იგი, რომ მზე ანათებს მხოლოდ მისთვის და მისი სამშობლოსთვის.

ასე თქვა ბრძენმა მესაჭემ. მან ხომ მთელი ქვეყნიერება მოიარა და სულ ცისკენ ეჭირა თვალი.

3

– დიახ, ადამიანთა რწმენაში ცთომილებანი და უთანხმოებანი პატივმოყვარეობისგანაა. – განაგრძობდა კონფუციანელი ჩინელი. რაც მზის გამო ხდება, იგივეა ღვთის გამოც. ყოველ ადამიანს სურს, რომ ჰყავდეს თავისი განსხვავებული ღმერთი ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავისი მშობლიური მიწის ღმერთი მაინც. ყოველ ხალხს სწადია მოათავსოს თავის ტაძარში ის, რაიც მთელ სამყაროში ვერ ეტევა. განა შეედრება რომელიმე ტაძარი იმას, რაც ღმერთმა ააგო ყველა ხალხის ერთ აღმსარებლობასა და ერთ რწმენაში მოსაქცევად?

ადამიანთა მიერ აგებული ტაძრები იმ ერთი, ღვთიური ტაძრის ხატად და მსგავსადაა შექმნილი. თითოეულში არის ემბაზი, გუმბათი, სანათურები, ხატები, წარწერები, კანონთა კრებულები, მსხვერპლი, სამსხვერპლოები და ქურუმები.

მაგრამ რომელ ტაძარშია ოკეანისდარი ემბაზი, ცისდარი გუმბათი, მზის, მთვარის, ვარსკვლავებისნაირი სანათურები, ცოცხალი, მოსიყვარულე, ერთმანეთის თანაზიარი ადამიანების სადარი ხატები?

ღვთის სადიდებელი რომელი წარწერაა ისე გასაგები, როგორც ღვთის მიერ ბუნებაში უხვად მიმოფრქვეული სიკეთეები?

სადღაა კანონების ისეთი წიგნი, ყველასათვის მზეებრ ნათელი, როგორც ადამიანთა გულში ღვთისგან ჩაბეჭდილი წიგნია?

რომელი მსხვერპლი შეედრება სიყვარულით აღვსილი ადამიანის თავგანწირვას მოყვასისთვის?

სადღაა უფრო დიადი სამსხვერპლო, ვიდრე კეთილი ადამიანის გულია? იქ ხომ თვითონ ღმერთი იღებს მსხვერპლს?!

რაც უფრო ღრმად გაუგებს ადამიანი ღმერთს, მით უფრო კარგად ეცოდინება იგი. ხოლო რაც უფრო კარგად ეცოდინება ადამიანს ღმერთი, მით უფრო მიუახლოვდება მას, მიბაძავს მის სიკეთეებს, გულმოწყალებას, მის სიყვარულს ადამიანებისადმი.

ამიტომ ის, ვინც ხედავს მზის მთელ სინათლეს, მთელ ამ შუქსავსეობას, დაე, ნუღარ განსჯის და განიკითხავს უგუნურს; იმ საბრალო ადამიანს, ვინც თავის კერპში ერთ მოჭიატე სხივსღა ხედავს. დაე, ნურც იმას შეიძულებს, ვინც დაბრმავებულა და საერთოდ ვერ ხედავს სინათლეს.

ასე თქვა ჩინელმა, კონფუციანელმა, და ყავახანაში მყოფნი ყველანი გაჩუმდნენ. მეტი აღარ უკამათიათ იმის თაობაზე, თუ ვისი რწმენა სჯობს.

თარგმნა პროფ. ***ზურაბ ხასაიამ***

✍ *იგორ კვესელავა*

საქართველოს ცხრა ნისლიანი წელი

თუ ამერიკელ ისტორიკოსს, პროფესორ სტივენ კოენს დავეთანხმებით: «გარდაქმნა – ეს ახლის საძიებლად მოგზაურობაა, დავინახავთ, რომ «ვარდების რევოლუციის» შემდგომი პერიოდის საქართველოში, «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკური კლასი და მისი «ბელადები» მთლიანად სხვა ქვეყნების გამოცდილების ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

ახლის საძიებლად მოგზაურობამ საქართველო ცხრა წელი ახეტიალა დასავლეთში, აღმოსავლეთსა და აზიაში. ვაშინგტონი – დუბაი და სინგაპური გახდა ის მაცდუნებელი სიტყვები, რომელთა გაგონებაზე ახალგაზრდა «ოკეანედალეულები» უსიტყვოდ ხრიდნენ თავს და «ხბოს აღტაცებით» ჰპირდებოდნენ დემოკრატიისა და ეკონომიკის «ოქროს მთების» აშენებას საქართველოს მოსახლეობას.

თუ ისევ ს. კოენს გავიხსენებთ: სხვა ქვეყნიდან დემოკრატიის «სესხება» შეუძლებელია ორი მიზეზის გამო, ჯერ ერთი, ვერავითარი პოლიტიკური სისტემა ვერც ერთ სახელმწიფოში სტაბილური ვერ იქნება, თუ ის ამ ქვეყანაში, მის ნიადაგზე არ იშვა, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.

მეორე, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც დიქტატურიდან დემოკრატიაზე უმტკივნეულოდ გადასულიყო. ამრიგად, საქართველომ საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, თავისი ტიპის დემოკრატიას მიაგნოს და უბრალოდ, არავისგან არაფერი ისესხოს.

უდავოა, ყველა ტიპის დემოკრატიას რაღაც საერთო აქვს. მით უმეტეს, ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიულობის სტაბილურობას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები:

პოლიტიკური კულტურა – შეთანხმება პოლიტიკური თამაშის წესებზე, გამარჯვებულებისა და დამარცხებულების მხრიდან;

კანონის მმართველობა – სამართლებრივი სახელმწიფო;

სამართლებრივი კულტურა – მართლშეგნება.

საქართველოში ამ ინსტიტუტების ერთობლიობა ვერ შედგა და, შესაბამისად, სისტემად ვერ ჩამოყალიბდა. იგნორირებული აღმოჩნდა დემოკრატიული რეჟიმის წესები. მაგ.: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ და ხელისუფლებიდან ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო გადატრიალებით ჩამოცილებამ დაარღვია საზოგადოების სტაბილურობა.

ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალების ანუ პარლამენტის «გარეკვის» გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში, დემოკრატიის კომპონენტების «იმპორტირება» ანუ «ყიდვა» მოინდომა. მით უმეტეს, დარწმუნებული იყვნენ, რომ საკუთარი შესაძლებლობებით ვერ შეძლებდნენ დემოკრატიის პრინციპების რეალურ აღიარებას, განვითარებასა და სრულყოფას.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ბირთვისთვის შეუცნობელი დარჩა ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა არაერთხელ სცადეს «დემოკრატიისათვის ბრძოლის» დროშით, უხეში ძალის გამოყენებით სხვა ქვეყნებისათვის თავს მოეხვიათ თავისი გამოცდილება, მაგრამ ამ გზით ვერსად ვერ დამკვიდრდა ამერიკული დემოკრატია.

უდავოა, ქართული დემოკრატია უნდა ფლობდეს დემოკრატიისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს, მაგრამ რეალობა გვკარნახობს ჩამოყალიბდეს ქართული დემოკრატიის ტიპი, მისი კონკრეტული ფორმებით და თავისებურებებით, რომელიც გამოთავისუფლებული იქნება ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური «ეშმაკობებისა» თუ სიმახინჯეებისაგან, რომელიც ასე უხვად იყო ჩაწნული საკაშვილის რეჟიმის პოლიტიკურ თაიგულში.

შევარდნაძის მმართველობით დამძიმებულ საქართველოში ადვილი არ იყო პოლიტიკური სახისმეტყველების შეცვლა. თუმცა ეს პროცესი ნაციონალური მოძრაობის «მესიტყვემ» და მისმა გუნდმა თავისებური, გამუდმებული მოგზაურობა-ვიოლინებით დაიწყო და დაემგვანა უკომპრომისო გემს, რომელიც გავიდა გაშლილ ზღვაში, მაგრამ უცნობი იყო როდის მიაღწევდა სასურველ ნაპირს.

ნაციონალურ მოძრაობას რეალური სტრატეგიული კურსი არ ჰქონდა. სწორედ ამ კურსის უქონლობამ თუ სიმცდარემ გამოიწვია ის, რომ ცხრა წლის მანძილზე საქართველო ვერც ნატოში გაწევრიანდა, ვერც ევროკავშირში შევიდა და ვერც რუსეთ-საქართველოს ომი აიცდინა თავიდან.

ახალი თაობის ამ პოლიტიკური ჯგუფისათვის გაუგებარი დარჩა, რომ დემოკრატია და საყოველთაო კეთილდღეობა სხვადასხვა კატეგორიებია. მაგალითად, აშშ-ში მეტია დემოკრატია, მაგრამ ნაკლებია «საყოველთაო კეთილდღეობა»: გარკვეულ პერიოდში, საბჭოთა კავშირი იყო «საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო», თავისი ძლიერი სოციალური სისტემით. საბჭოეთის კონსტიტუცია გამოირჩეოდა დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით, მაგრამ პრაქტიკულად არ სრულდებოდა.

«ვარდოსნებს» მიზნად არ დაუსახავთ დემოკრატიისა და კეთილდღეობის შერწყმაზე ზრუნვა პრინციპით «ჯერ დემოკრატია, შემდეგ – კეთილდღეობა», ან «კეთილდღეობა» გაეხადათ დაინტერესების უპირველეს საგნად და შემდგომში დაეწყოთ «დემოკრატიის» განვითარება.

ახალი ხელისუფლების ლიდერების უმრავლესობა განუკურნებელი «საყმაწვილო სენით» დაავადდა. მათი გამუდმებული სიცრუე, სიჯიუტე და ავადმყოფური ახირებანი იქცა ვირტუალურ მირაჟად, რომელმაც ცხრაწლიანი «ნისლიანი», «წვიმიანი» და «სისხლიანი» წლები არგუნა საქართველოს.

ქართველი «ოკეანედალეულების» ეს ნაკადი თავს იწონებდა დემოკრატიის პარადიგმებით, სინამდვილეში კი საკუთარ «კეთილდღეობაზე» ზრუნავდა და თანდათანობით უცხოვდებოდა საზოგადოებასაგან.

დემოკრატიისა და კეთილდღეობის პრობლემის გადაწყვეტის ერთიანი მზა რეცეპტი მსოფლიოში არ არსებობს და ყველა საკუთარ გზას ირჩევს. ამ მხრივ საგულისხმოა და შესასწავლია დანიის, ფინეთის, შვეციის, ავსტრიის, ჩინეთის, ირანის, კუბის, ვენესუელისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებანი.

ბოლო წლებში დემოკრატიისა და კეთილდღეობის მიღწევა კაცობრიობის თავის ტკივილად იქცა. მეცნიერებმა (ი. ფრანგიშვილი, ნ. ჭითანავა) მოძებნეს ტერმინიც «სოცკაპიტალიზმი». მით უმეტეს სხვადასხვა, დიდ საერთაშორისო ფორუმებზე გაისმის დილემური შეძახილები თანამედროვე კაპიტალიზმისა და ლიბერალური იდეოლოგიის «დასასრულის» შესახებ.

საქართველოში გარდაქმნების თუ რეფორმების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. 2003 წლის ნოემბრიდან გარდაქმნების მოთავეები გახდნენ ქართველი «ჰუვეინბინები», რომლებმაც ბრძოლა გაუმართეს ყოველგვარ ძველს, მათ შორის, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს, კულტუროსნებს და სხვებს. გამოაცხადეს ისინი ე.წ. «ჩარეცხილებად», ნაციონალური მოძრაობის «ახალ აზროვნებასთან» შეუთავსებლობის გამო.

თუ ახლო წარსულის საქართველოში ზვიად გამსახურდიას მმართველობა თავისუფლებისა და კეთილდღეობიდან აპირებდა დემოკრატიისაკენ თანდათანობით სვლას, ედუარდ შევარდნაძის ეპოქა ნულოვანი ვარიანტით ხასიათდებოდა. მიხეილ სააკაშვილის «ხელმწიფობის» დროს დემოკრატია მოეთხოვებოდა მხოლოდ ხალხს, მაგრამ «კეთილდღეობას» ნაცმოძრაობის ნომენკლატურა ეუფლებოდა პრინციპით: «დემოკრატია – უმრავლესობას, კეთილდღეობა – უმცირესობას».

ოც წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან, როდესაც საქართველოში გარდაქმნა ფართო და პოპულარულ ცნებად იქცა და მას საზოგადოების ყველა ფენამ გამოუცხადა მხარდაჭერა, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას, მაგრამ გარდაქმნის განმსაზღვრელი კომპონენტები – საჯაროობა, დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და საბაზრო რეფორმა ყოფილმა ხელისუფლებამ, ხალხისათვის, ერთიანად მისაღები ვერ გახადა.

ამერიკელებისაგან განსხვავებთ, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროებში სახელმწიფო ძალაუფლების ჩარევას ზღუდავენ, ნაციონალური ხელისუფლების «მამებმა» გარდაქმნის ოთხივე კომპონენტი თავისი ძალაუფლების განვრცობის ჩარჩოში მოაქციეს.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი გარდაქმნების არსს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და გაფართოებაში ხედავდა, რომელიც თავის მხრივ, სახელმწიფოს ჩარევის შეკვეცასაც გულისხმობდა, თუმცა ნაციონალური მოძრაობის «ხუთოსნებმა» სახელმწიფოს როლი სათავისოდ გააფართოვეს.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურების პრაქტიკაში ძნელია იპოვო სააკაშვილის ქმედების მსგავსი მაგალითი, როდესაც სიცრუე, დემაგოგია

და პიარ-კამპანიები, მოულოდნელად მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებები, ინფორმაციების გადაუმოწმებლობა, ადამიანების აბუჩად აგდება, დაუმსახურებელი გაკილვა და ა.შ. პრეზიდენტის საკვანძო საქმიანობა ხდებოდა,. თუმცა მ. სააკაშვილი უაღრესად გულუხვი იყო მისი ფავორიტების მიმართ და ამის დამამტკიცებელი არა ერთი ფაქტი არსებობს.

სამწუხაროდ, ხელისუფლების, მთლიანად პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული, ეკონომიკური გარდაქმნები ვერ შედგა, და თუ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის კლიუჩევსკის ფრაზას გადავაკეთებთ: **საქართველოს ისტორიის ცხრა წლიდან მონაკვეთში «ხელისუფლება გასუქდა, ხალხი კი დასუსტდა»**.

ხელისუფლება თანამიმდევრულად ახორციელებდა განათლების, მეცნიერებას, კულტურის, სპორტის, თეატრების და სხვა სფეროების პოლიტიზირებას. მიმდინარეობდა სტუდენტების გადაბირებისა და მათზე ზემოქმედების პროცესი. იმავდროულად, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ღებულობდნენ გრანტებს, სხვადასხვა პრემიას, ფინანსურ დახმარებებს, საჩუქრებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოები აუქმებდნენ ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა, მფარველობდნენ ხელისუფლების მხარდამჭერ უმაღლეს დაწესებულებებს.

ნაციონალური მოძრაობა მფარველობდა და ფინანსურ დახმარებას უწევდა გაზეთ «24 საათს», ჟურნალ «ტაბულას», «საზოგადოებრივ მაუწყებელს», «რუსთავი-2-ს», «იმედს», «ილიას», «საქართველოს», «კავკასიის» და სხვა უნივერსიტეტებს. სასოფლო-სამეურნეო სასწავლო ინსტიტუტის კომპლექსი, ფაქტობრივად, საჩუქრად გადაეცა საზოგადოებაში უაღრესად დაბალი რეიტინგის მქონე პირს კახა ბენდუქიძეს, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა: «**საქართველოში სინდისის გარდა, ყველაფერი უნდა გაიყიდოს**». თუმცა ხელისუფლებამ ქართულ მიწა-წყალთან ერთად სინდისიც გაყიდა და ქართული ღირებულებებიც.

უდავოა, ყოველივე ამან და სხვა ერისთვის მიუღებელმა ქმედებებმა მკვეთრად უარყოფითი როლი შეასრულა ქვეყანაში ვოლუნტარიზმის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, პატიმართა არაადამიანური წამებისა და სხვა მოვლენების დამკვიდრებაში და ხელი შეუწყო **მ. სააკაშვილის პიროვნების კულტად ჩამოყალიბების** პროცესს.

საბოლოოდ, 2012 წლისათვის, საქართველოში ჩამოყალიბდა ნაციონალური მოძრაობის ნომენკლატურა, ე.წ. მონოლითური სახელისუფლებო წრე, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენა, რომელთა ხელში აღმოჩნდა ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სადავეები. ფაქტობრივად, სახელმწიფომ დაიმორჩილა საქართველოს საბაზრო სექტორი და ვერ მოხერხდა საზოგადოების დაცვა, ხელისუფლების ფრთებზე დასკუპებული თვითნება ადამიანებისაგან.

ახალი დავით აღმაშენებლის ტოლი სახელის მოპოვების იდეა-ფიქსით შეპყრობილი ქვეყნის პრეზიდენტი ისე გაიტაცა ქუთაისურ-ბათუმურმა და სხვა ვოიაჟებმა, რომ საქართველოს დედაქალაქი ახალი «აღმოსაჩენი» გახდა. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ქვეყნის მფლობელთა, მეფეთა თუ იმპერატორთა,

პრეზიდენტთა თუ პრემიერთა, დიქტატორთა თუ დემოკრატთა მმართველობის ასეთი სტილი – გამუდმებული ტყუილები და გამუდმებული პიარ-მოგზაურობანი მიწაზე, ზღვებსა და ცაში.

სამწუხაროდ, დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი გზა – საბაზრო ურთიერთობა ვერ გახდა თავისებური «ბუფერი» სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. შესაბამისა, დემოკრატიული პოლიტიკური მექანიზმის დიდმნიშვნელოვანმა ელემენტმა ვერ იმუშავა და ხალხი დაუცველი დარჩა, ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელიტის თვითნებობისა და წნეხისაგან.

ახლო წარსულის საქართველოს ხელისუფლების მეთაურებისთვის ყოველთვის «აქილევსის ქუსლად» რჩებოდა საკადრო პოლიტიკა. ამ «სენისაგან» ნოე ჟორდანია, ზ. გამსახურდია და ე. შევარდნაძეც ვერ განთავისუფლდნენ, მაგრამ მ. სააკაშვილის საკადრო შეცდომებმა მარაზმის ხასიათი მიიღო. კადრების შერჩევის პრინციპი გახდა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის უსიტყვო ერთგულება. პრეზიდენტი და მისი ახლო გარემოცვა სხვადასხვა თანამდებობებს «ურიგებდნენ» გაურკვეველი ან შეუფერებელი პროფესიის ადამიანებს, რომლებსაც «ზემოდან» ეძლეოდათ განკარგულება «ჩართულიყვნენ» სხვადასხვა საკადრო, საფინანსო და ელიტარულ კორუფციულ გარიგებებში, შემუშავდა «კაპიტალის შოვნის» თავისებური მექანიზმი, რომელიც საკმაოდ მყარი იყო და ითვალისწინებდა საქართველოში რამდენიმე ათეული ოჯახის ფინანსურ გაძლიერებას, მათივე კლანური, სახელისუფლებო მმართველობის მუდმივად დამკვიდრების მიზნით. ამ სქემაში ბევრი არაქართული წარმოშობის ოჯახი მონაწილეობდა და ხელისუფლების დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიაში თანდათანობით გაქრა ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერების გამომხატველი ლექსიკა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველო თავისი ცნობიერებით და ახალი არქიტექტურული სახით ყალიბდებოდა მრავალფეროვან, თავისი თავისებურებებისაგან მკვეთრად განსხვავებულ კუნძულად, რომელსაც ჰყავდა ერთგული «ფეოდალებით» და «შინა ყმებით» გარშემორტყმული ერთი თავნება და ცრუ დიქტატორი – მეპატრონე, რომელიც ცდილობდა საქართველო კავკასიაში გადაექცია ამერიკის «სადგისად რუსეთის საჯდომში».

საკადრო მანიპულაციები პარლამენტსაც შეეხო. ნაციონალური მოძრაობა შეეცადა შეემუშავებინა არა ქვეყნის, არამედ «ნაციონალური მოძრაობის» კონსტიტუცია, მით უმეტეს, მის ხელში იყო მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება. ამ მიზნით, ჩამოყალიბდა მცირე წერა-კითხვის მცოდნე, ან ნაკლები განათლების მქონე საპარლამენტო უმრავლესობა, რომლებიც მოკლებული არ იყვნენ «ელიტარულ კეთილდღეობას».

პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის სხვა «გმირების» მიერ საკანონმდებლო ორგანოებში «გამწესებულმა» პარლამენტარებმა ვერაფერი სასახელო ვერ შესძინეს ქართული პარლამენტარიზმის ისტორიას, პირიქით, «დიდ სირცხვილად» მოევლინენ პარლამენტს და კიდევ უფრო მეტად მოჭრეს თავი «ნაციონალურ მოძრაობას» და ამ «სასიამოვნო» საქმეს დღესაც აგრძელებენ.

სამწუხაროდ, ხუთ ათეულზე მეტი, ნაციონალურ უმცირესობაში მოყოლილი ძველი «ნათელი სახეები»: დ. დარჩიაშვილი, მ. მაჭავარიანი, გ. გაბაშვილი, ა. მინაშვილი, პ. ცისკარიშვილი, გ. წერეთელი, გ. ბარამიძე, ა. ბობოხიძე, ნ. წიკლაური, გ. კანდელაკი და მათ მიმხრობილი ახალი «ოქტომბრელ-პიონერები»: ზ. ჯაფარიძე, გ. ვაშაძე, დ. საყვარლიძე, მ. საჯაია, თ. ბოკუჩავა, ი. ნადირაშვილი, ს. რატიანი... კვლავ დიდი შემართებით ებრძვიან «ქარის წისქვილებს» და «ვერაფერი ვერ ისწავლეს და ვერაფერი ვერ დაივიწყეს».

მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც საკუთარ მთავრობას და პარლამენტს ასე გულმოდგინედ და მიზანმიმართულად ლანძღავდეს გარე სამყაროში. სწორედ ეს არის სამშობლოს ღალატი, ხელფანდურობა და უქართველობა. ქვეყნის პრეზიდენტი თავის წარსულს ასე არ უნდა ემშვიდობებოდეს. რაც შეეხება უცხოელ «საჩუქრებისა» და «კეთილდღეობის» მოყვარულ ცალკეულ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს, არა მგონია მათმა «ყეფამ» «ქართული ოცნების» დიდი ქარავანი შეაჩეროს. დამარცხებულს პოლიტიკურ საფლავში არავინ ჩაჰყვება.

საინტერესოა, რომელ «ღობეზე მიხტუნაობენ» ახლა მედროვე ბუბა კიკაბიძე, მიხეილ თავხელიძე, მგოსნად წოდებული დეფი გოგიბედაშვილი, გაურკვეველი განათლების მქონე თეა თუთბერიძე, გიგა ნასარიძე, ლევან რამიშვილი, გია ნოდია და სხვები.

მსოფლიო ძალაუფლების ისტორია იცნობს «სამეულების» თუ «ხუთეულების» კოლექტიურ მმართველობას. ეს სინდრომი ახასიათებდა საბჭოეთის ბოლშევიკურ-კომუნისტურ რეჟიმსაც. 2003 წლის ნოებრიდან საქართველოში კვლავ «გაცოცხლდნენ» თანამედროვე «სამეულები», და «ხუთეულები». ნაციონალური მოძრაობის «დიდი სამეული» – მ. სააკაშვილი, ზ. ადეიშვილი, ვ. მერაბიშვილი – წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობის მთავარ ორგანიზაციულ ბირთვს, სადაც იგეგმებოდა ყველა პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომლებიც შემდგომში ცნობილი ხდებოდა «ხუთეულისთვისაც». **მათ კაბინეტებში იგეგმებოდა ყველა «სიკეთე» თუ ბოროტება. როგორც ფაუსტი არჩევდა ჯოჯოხეთისთვის მსახურად უსწრაფეს სულებს, ისე შეძლო მ. სააკაშვილმა ბევრი პრეტენდენტიდან, ის სული შეერჩია, რომელსაც უნარი ჰქონდა უსწრაფესად გადასულიყო სიკეთიდან ბოროტებაში. ეს მსახური კი არც მეტი, არც ნაკლები ზურაბ ადეიშვილი იყო. მართალი იყო დიდი ეპოპეის «ასერგასის დღის» ავტორი მიხეილ კვესელავა, როდესაც წერდა, რომ «გერმანელი ნაცისტების ბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა». როგორც ჩანს, ქართველი «ნაცების» ბოროტებაც უსაზღვრო აღმოჩნდა**.

ბოლო ცხრა წლის მანძილზე საქართველოში გაბატონებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამართლებრივმა «ჟამიანობამ», საშინელმა რეპრესიებმა, კლანურმა ეკონომიკურმა იდეოლოგიამ და არაადამიანურმა სადამსჯელო სისტემამ, ხელისუფლების მიერ პროვოცირებულმა რუსეთ-საქართველოს ომმა და სხვა ნეგატივებმა მთლიანად გააშიშვლა ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა, რაც ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად დაედო საპარლამენტო არჩევნებში მათ დამარცხებას. ამ მიმართულებით საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრის საქმეში აქტიური როლი ითამაშეს ოპოზიციურმა საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, არასამთავრობო სტრუქტურებმა და სახალხო მოძრაობებმა. მათ შორის იყვნენ: «დემოკრატიული მოძრაობა», «სახალხო კრება», «თავისუფალი დემოკრატები», «კონსერვატორები», «მრეწველები», «ქართული დასი».

ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდნენ ოპოზიციური ტელეარხები და პრესა. **«კავკასია», «მაესტრო», «მეცხრე არხი», «ასავალ-დასავალი», «ქრონიკა», «ალია», «საქართველო და მსოფლიო», «საქართველოს რესპუბლიკა», «რეზონანსი», «ახალი თაობა», «ჯორჯიან თაიმსი», «ვერსია», «ახალი 7 დღე», «საერთო გაზეთი», «ილორი»** და სხვა გამოცემები.

ყოფილი ხელისუფლების იდეოლოგია, სტრატეგია და ტაქტიკა მკვეთრად მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური კლასის წარმომადგენლებისათვის. უსამართლობა იქნებოდა ამ მიმართულებით დაგვევიწყებინა: **ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ალასანია, ირაკლი ბათიაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, სალომე ზურაბიშვილი, გუგული მაღრაძე, ზვიად ძიძიგური, შალვა შავგულიძე, შალვა ხაჭაპურიძე, კახა კუკავა, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, გია ბურჯანაძე, კახა შარტავა, გუბაზ სანიკიძე, რეზო შავიშვილი, ლუკა კურტანიძე, კოკა გუნცაძე, გოგა ხაინდრავა, დავით ზურაბიშვილი, მამუკა არეშიძე, ეკა ბესელია, ირაკლი ოქრუაშვილი, გია მაისაშვილი, ვახუშტი ფარცვანია, კახა მიქაია და სხვები**.

ქართული საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა სფეროების ცნობილი ექსპერტების და სატელევიზიო არხების წამყვანების: **დავით აქუბარდიას, ინგა გრიგოლიას, ეკა ბერიძის, ნინო ჟიჟილაშვილის, თეა სიჭინავას, ნათია მიქიაშვილის, შალვა რამიშვილის, ვასიკო ოდიშვილის, ვასილ მაღლაფერიძის, რამაზ საყვარელიძის, სოსო ცისკარიშვილის, გია ხუხაშვილის, ლაშა ტუღუშის, გიორგი ხუციშვილის, ხათუნა ლაგაზიძის, ვახტანგ მაისაიას, ჯაბა ხუბუას, გიორგი გიგაურის, გურამ გოგიაშვილის, ვახტანგ ხარჩილავას, ირაკლი თოდუას, ელისო ჩაფიძის, ია ანთაძის, ლია მუხაშავრიას, გია იაკობაშვილის, კახი კახიშვილის, ვალერი კვარაცხელიას, ირმა ინაშვილის, ეკა სარალიძის** მართლაც და პატრიოტულ პოზიციებს. რომ არაფერი ვთქვათ, ცნობილ პატრიოტსა, პუბლიცისტსა და პოეტ **ლაშა ნადარეიშვილზე**, რომლის გაზეთიც უმკაცრეს მამხილებელ დოკუმენტად იქცა ნაციონალური მოძრაობისათვის,

ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიან მძიმე «ჟამიანობას» გაემიჯნენ ქართველი მწერლები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები: ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ მიშველაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, თამაზ წივწივაძე, სოსო სიგუა, რეზო ჩხეიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ დავითაია, გურამ ფირცხალავა, ნინელი ჭანკვეტაძე, ვანო კილურაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ლელიკო ჯაფარიძე და სხვები.

ვითარებაში, როდესაც ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა ეროვნული თვითმყოფადობისა და ცნობიერების გადარჩენის საკითხი, გვირაბის ბოლოს გამოჩნდა შუქი. საჭირო დროსა და საჭირო ადგილას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოსთვის მისაღები და საჭირო ლიდერი,

ცნობილი ბიზნესმენი, მეცენატი და სახალხო მოღვაწე ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც შეძლო ერის ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება ერთი საერთო მიზნის – საქართველოს გადასარჩენად. კოალიცია «ქართული ოცნება» გახდა ის მოძრაობა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში და მეორედ საქართველოს ისტორიაში მშვიდობიანი გზით მოხდა ხელისუფლების შეცვლა.

კოალიცია «ქართულმა ოცნებამ» იტვირთა ქვეყნის გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ურთულესი საქმე. მან უარი თქვა მოხმარებაზე ორიენტირებულ ყალბ იდეოლოგიასა და ავტორიტარიზმზე დაფუძნებულ კოლექტიურ კაპიტალიზმზე, მხარს უჭერს საშუალო კლასის – ეროვნული ბურჟუაზიის შექმნას. ბ. ივანიშვილის გუნდისათვის მისაღებია პრინციპი: «ლიბერალური ეკონომიკა და სოციალური სოლიდარობა».

ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ კლასს მოუწევს გარდაქმნას მეცნიერებისა და განათლების არსებული სისტემა, მოახდინოს პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია, მიაღწიოს ეროვნულ თანხმობასა და კონსოლიდაციას, იბრძოლოს სრული დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის. ცალსახად არ მიებას ამერიკულ, რუსულ და ევროპულ სამყაროს, მიაღწიოს სამართლის აღსრულებასა და რეალურ დამნაშავეთა დასჯას. მით უმეტეს, ქრისტიანული იდეოლოგია მოგვიწოდებს, «ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება, ვინც მახვილით კლავს, თვითონაც მახვილითვე განიგმირება».

ცნობილია, რომ პოლიტიკური სივრცე, სიცარიელეს ვერ ეგუება და, შესაბამისად, უნდა არსებობდეს ოპოზიცია და ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი ბანკების თანამშრომლობის კულტურა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ყოველთვის იყო დახუნძლული მეტ-ნაკლები რეიტინგის მქონე, ან სულაც რამდენიმეკაციანი პარტიებით. საერთოდ, საქართველოში არსებული პარტიებიდან, რამდენიმე მათგანი ხელისუფლების სათავეშიც იყო (სოციალ-დემოკრატიული და ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიები. მოგვიანებით ქვეყანაში მოქმედი ყველა პარტია თუ კოალიცია მმართველი პარტიები გახდნენ (მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა), რომლებიც ადმინისტრაციებად და ნომენკლატურად ჩამოყალიბდნენ.

შესაბამისად, მმართველი პარტიის ხელში ყოველთვის იყრიდა თავს ადმინისტრაციული რესურსები, ფინანსები, საინფორმაციო საშუალებები, ტრანსპორტი, შესაკრები ადგილები და ა.შ.

ასე იყო ეს ნაციონალური მოძრაობის დროებაშიც. საქართველოში არსებობდა მრავალპარტიული სიტუაცია ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის პირობებში. არ არის გამორიცხული დემოკრატია არსებობდეს ერთპარტიულ სისტემაშიც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პარტიამ შინაპარტიული დემოკრატიის მისაღწევად უნდა შეძლოს საშინაო ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა. მკითხველს უნდა შევახსენო, რომ 1917 წლამდე და 20-იან წლებშიც ბოლშევიკების პარტიაში დაშვებული იყო პრულარიზმი და შინაპარტიული დისკუსიები.

ახლა ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ როგორი ტიპის პარტია ჩამოყალიბდება ჩვენთან მომავალში, საპარლამენტო რესპუბლიკის არსებობის პირობებში. მით უმეტეს, პარტიებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ საკუთარი დანიშნულება და კონკრეტული ფუნქციები.

პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნება» დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე გუნდია, რომლის მთავარი მესაჭე ბიძინა ივანიშვილია. ბოლო ოცი წლის მანძილზე პირველად მოხერხდა პარლამენტისა და მთავრობის დაკომპლექტება ზნეობრივი და პროფესიონალი ადამიანებით, რომლებსაც უყვართ თავიანთი ქვეყანა და სჯერათ საქართველოს ბედნიერი მომავლის.

ირაკლი ალასანია, კახი კალაძე, დავით უსუფაშვილი, დავით საგანელიძე, მანანა კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, მაია ფანჯიკიძე, თეა წულუკიანი, ნოდარ ხადური, არჩილ კბილაშვილი, ეკა ბესელია, ზაქარია ქუცნაშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი, ირაკლი სესიაშვილი, ვანო კიღურაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ზვიად ძიძიგური, გიორგი მარგველაშვილი, დავით ნარმანია, დავით სერგეენკო, სოზარ სუბარი, პაატა ზაქარეიშვილი და სხვები პარლამენტის და მთავრობის ეს ის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო სახეები არიან, რომლებიც იმაზე კი არ ფიქრობენ, რას გაუკეთებს მათ ქვეყანა, არამედ რას გააკეთებენ ისინი სამშობლოსათვის.

ქვეყანას დღეს ჰყავს ეროვნული, სახელმწიფო და პოლიტიკური მესიტყვე – ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი პოლიტიკური კლასის წინამძღოლს ან რომელიმე ჯგუფის ინტერესების გამომხატველ ლიდერს. ის საქართველოს მთელი მოსახლეობის საერთო ინტერესების დამცველი მოღვაწეა.

უდავოა, ქვეყანაში ამოქმედდა ცვლილებათა მექანიზმი, რომელმაც დემოკრატიული და რეალური რეფორმები შეუქცევადი უნდა გახადოს. მაგრამ ცნობილია, რომ ისტორიული პროცესები შედარებულია ქანქარასთან. ხალხი დროთა განმავლობაში იღლება გამუდმებული რეფორმებით და იწყება უმრაობა, მაგრამ სტაგნაციაც მომქანცველი და მიუღებელი ხდება და ქანქარა ისევ იძვრის, ისევ იწყება რეფორმები, მერე ისევ უძრაობა იწყება და ა.შ. სწორედ აქ იბადება მნიშვნელოვანი პოლიტიკური კითხვა: რამდენ რეფორმას უნდა გაუძლოს ხალხმა?

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ამ კითხვას ასე ვუპასუხებთ: **2012 წლის პირველი ოქტომბრიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა პოლიტიკური კოალიცია «ქართული ოცნება», რომელიც ჰგავს თვითმფრინავს, რომელიც აფრინდა და იცის, სად უნდა დაფრინდეს, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობის იმ თვითმფრინავისაგან, რომელიც აფრინდა, მაგრამ ცაში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად უნდა დაფრენილიყო.**

✍ რევაზ მიშველაძე

კულტურა და ინტერნეტი

საყოველთაო კომპიუტერიზაციამ ადამიანის ცოდნის მასშტაბები არნახულად გააფართოვა.

დღეს ნებისმიერი პროფესიის მოქალაქისთვის ხელჩანთით კომპიუტერის ტარება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როგორიც, ვთქვათ, მეოცე საუკუნეში უბის წიგნაკის ან ავტოკალმისა.

კომპიუტერი – ეს გრძნეული ყუთი ჩვენი ერთგული თანამგზავრია.

სოციალურ ქსელთან ურთიერთობამ პიროვნება მთელი მსოფლიოს ორგანულ ნაწილად აქცია.

ინტერნეტის საშუალებით ჩვენ მეყვსეულ კავშირს ვამყარებთ არა მარტო გეოგრაფიულად ათასობით კილომეტრით დაშორებულ ნაცნობებთან თუ უცნობებთან, არამედ წარსულთან და მომავალთანაც.

ვერც კი შევიტყვეთ, ისე გაიტანა კომპიუტერმა ჩვენი ყოველდღიურობიდან ეპისტოლარული მემკვიდრეობა (ადამიანები წერილებს თითქმის აღარ სწერენ ერთმანეთს), როგორ შეუმცირდა ფუნქციები ასწლეულების მანძილზე ჩვენს ნაცად მეგობარს – ფოსტას და როგორ დაგვეკარგა თვალდახელშუა უწყინარი და კეთილი კაცი – ფოსტალიონი, როგორ შემოვიდა ადამიანთა ურთიერთობაში სკაიპითა და მესიჯით აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცოცხალი, პიროვნული, უშუალო ურთიერთდამოკიდებულება როგორ ხდება თანდათანობით იშვიათი, რაც ადამიანთა შორის პერსპექტიული გაუცხოების მიზეზი ხდება.

ინტერნეტმა უდიდესი როლი შეასრულა კულტურის ნიმუშების გასაყოველთაობის მიმართულებითაც.

შორს გადაიწია კულტურის მიღწევათა ცოდნის არეალმაც.

რატომ აქვს ინტერნეტს ინფორმაციის გავრცელების ესოდენ უკიდეგანო მასშტაბები?

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ კომპიუტერულ ტერმინებს: ,,ვებ-საიტი'', ,,ფეისბუკი'', ,,ვიკიპედია'', ,,ინტერნეტი'' და ა.შ. ეს ტერმინები საქმეში ჩაუხედავ კომპიუტერის მომხმარებელს სინონიმები ჰგონია. სინამდვილეში ინტერნეტი გლობალური კომპიუტერული ქსელი ანუ ,,ქსელთა ქსელია'' და იგი 1983 წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც სხვადასხვა კომპიუტერული არხებიდან მიღებული ინფორმაციის გადამამუშავებელი და ერთიან სისტემაში მომქცევი უნიკალური კომპიუტერული სისტემა, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, მეცნიერული გადატრიალება მოახდინა კომპიუტერის

მარადცვალებად საინფორმაციო სისტემაში. ათეული წლის განმავლობაში ინტერნეტი მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო და მხოლოდ ოთხმოცდაათიან წლებში მოხერხდა მისი პოლიგლოტიზაცია უმთავრეს ევროპულ ენებზე. 1996 წელს ინტერნეტში ქართული ვებ-საიტებიც დაიდო. იგი ფინეთში შექმნა რენო სირაძემ. 1997 წლის დასაწყისში კი კვლავ ფინეთში გადადგა წინ ერთი ნაბიჯი გაქართულებულმა ინტერნეტმა. ამჯერად ინტერნეტის ქართული ტიპოგრაფიის ავტორი გახლდათ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პროფესორი ბესარიონ გუგუშვილი.

ასე მოიცვა ინტერნეტმა მსოფლიოს საინფორმაციო ბაზარი და მას დღეს ცოდნის გავრცელების მასშტაბებით ყველაზე ფართო არეალი აქვს ანუ მილიონობით ადამიანს უწევს საინფორმაციო მომსახურებას საერთოდ ცივილიზაციის და მათ შორის კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც.

არ გაგიკვირდებათ და დღეს კომპიუტერიზებულმა თუნდაც საშუალო სტუდენტმა გაცილებით მეტი იცის მსოფლიო კულტურის ძეგლების შესახებ, ვიდრე გასული საუკუნის კლასიკოსებმა ან თუნდაც, ხელოვნების კორიფეებმა იცოდნენ.

დააჭერ ღილაკს თითს და შენს თვალწინ დაიხატება მიქელმირონის პირამიდა მთელი თავისი დიდებულებით. დააჭერ თითს მეორე ღილაკს და ინებე უახლესი მეცნიერული მონაცემები ,,მონა ლიზა ჯოკონდას'' შექმნისა და თუნდაც იმის შესახებ, ამ უკვდავი პორტრეტის ხატვის დროს ვინ ეჯდა წინ გენიალურ ლეონარდოს, ვინ იყო ჯოკონდას პროტოტიპი.

ინტერნეტმა საოცრად გააადვილა აგრეთვე მეცნიერული კვლევა საერთოდ და, კერძოდ, მეცნიერული შრომის შექმნა კულტურის (და არა მარტო კულტურის) მიმართულებით.

ის, რაზედაც მეცნიერები ღამეებს ათენებდნენ ბიბლიოთეკებში, გაცნობოდნენ კოლეგათა ნაშრომებს და შეედგინათ ე.წ. ,,საკითხის ისტორია'', დღეს ინტერნეტის საშუალებით უადვილეს საქმედ იქცა.

მისცემ დავალებას ჭკვიან მანქანას და ხელად მოგაწვდის ნაშრომთა ჩამონათვალს შენთვის საინტერესო სფეროში.

მისცემ დავალებას კომპიუტერს და მაშინვე მოგაწვდის რომელიმე სტატიის თარგმანს შენთვის სასურველ და გასაგებ ენაზე.

კომპიუტერიზაციამ ნაშრომის ენობრივ დახვეწაზე, ან ენობრივ სტილზე მუშაობაც ძალიან გააადვილა:

მისცემ დავალებას კომპიუტერს და შენთვის საჭირო შესწორებას ერთ გვერდზე კი არა, თუნდაც ათასგვერდიან ნაშრომშიც ხუთი წუთის განმავლობაში შეიტანს.

დიახ, ამჟამად ინტერნეტის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ურთიერთობა დავამყაროთ მსოფლიოში ცნობილ ნებისმიერ კოლეგასთან, რომელსაც შენთვის საინტერესო სფეროში რაიმე ღირებული შეუქმნია. მიიღო მისგან კონსულტაცია (რა თქმა უნდა, ადრესატის კეთილი ნების შემთხვევაში), გაუზიარო შენი შთაბეჭდილება კულტურულ სფეროში ნებისმიერი სიახლის შესახებ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელოვანი უკვე აღარაა დამოკიდებული შემოქმედებითი კავშირების ე.წ. კოლექტიურ გემოვნებაზე, რაც ხელს უწყობდა კულტურის სფეროში გადასალახავ სიმაღლეზე თამასის მაღალ დონეზე შენარჩუნებას.

ხელოვანი აღარ არის ვალდებული ანგარიში გაუწიოს რედაქტორის შენიშვნებს. რედაქტორი – კრიტიკული გონების პიროვნება, ლამის ჩაიკარგა კულტურის ნიველირების ყოვლისწამლეკავ მდინარებაში.

და ბოლოს, ხელოვანი აღარ არის ვალდებული ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს.

განათავსებს იგი სოციალურ ქსელში საკუთარ საიტზე თავის ნამუშევარს, ან სრულიად უპასუხისმგებლოდ ავტორის მიუთითებლად წარუდგენს მილიონობით მკითხველს თუ მაყურებელს თავის ქმნილებას და ამასაც არ სჯერდება; ერთ-ორ მეგობარს უმეტესწილად ხელოვნების ამ სუროგატს გენიალურ ქმნილებად გამოაცხადებინებს და გაიმართება დიდი სჯა-ბაასი ჭეშმარიტ კულტურაში სრულიად გაუცნობიერებელ, გულუბრყვილო ინდივიდთა შორის.

მერე რა მოხდა, ავარჯიშონ ადამიანებმა გონება, იქნებ ეს კამათი ჭეშმარიტებასთან მიახლოვების ერთ-ერთი გზაა – იტყვის საქმეში ჩაუხედავი პირი.

არ არის საქმე ასე მარტივად.

ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის სახელის განთქმის მსურველთა კოჰორტა, რომელთა სახელოვნო მანიას ჭეშმარიტი ნიჭი კი არა, ენერგიული უნიჭოს ჯიუტი ნება განაგებს.

რაც ინტერნეტში კულტურის ნიმუშის იარლიყით თავსდება, მათი ავტორებიდან დაახლოებით სამი პროცენტი თუ იქნება ჭეშმარიტი ხელოვანი.

დანარჩენი, კულტურას ადევნებული იაფი პოპულარობის მაძიებელი, ხელმოცარული პენსიონერი, გარდამავალი ასაკის ყმაწვილი ან ნევროზით შეპყრობილი, ნორმალური მდგომარეობიდან რამდენადმე გადახრილი პიროვნებაა.

განსაკუთრებით ეს გარემოება ლიტერატურაში იჩენს თავს.

ჯერ იყო და გრაფომანებმა გამომცემლობათა კარი აატალახეს (ზოგმა საკუთარი გამომცემლობაც კი შექმნა) და დაიწყეს საშუალოდ ყოველ ექვს თვეში თავიანთი დაჩქარებული ტემპით შექმნილი უმწიფარი ნაწერების წიგნებად აკინძვა. მასკულტურის ეს ნიმუშები, უნდა ვაღიარო, კლასიკოსთა წიგნებზე უფრო სწრაფად სცილდებოდა, რადგანაც ე.წ. ,,ფართო მკითხველს'' სწორედ რომ მიამიტი, ,,ადვილადგასაგები'', ყოველგვარი ჩაღრმავება-ფსიქოლოგიზმს გარიდებული წიგნები იზიდავს.

ამ ბოლო დროს ,,ჩვენმა ძმამ'', გრაფომანმა, შეიტყო, რომ წიგნების ბეჭდვა პოპულარობის მოპოვების არცთუ იოლი გზაა, რადგანაც წიგნებს მოქალაქენი ძველებურად აღარ ეტანებიან და თანაც წიგნის გამოცემა, ცოტა არ იყოს, ძვირი ჯდება. იმდენად ძვირი, რომ შეიძლება წიგნმა თავისი თავიც ვერ აანაზღაუროს და მოგების ნაცვლად ვალი დაადოს ,,მწერალს''.

და აი, ,,კულტუროსანმა'' იპოვა თავისი საეჭვოზე საეჭვო სტრიქონების გამოფენის ჯერჯერობით უჯეგირო და თითქმის უფასო საშუალება – ინტერნეტი.

და გაივსო ინტერნეტი ათასი სისულელით.

უნაპირო ტირაჟირება საკუთარი საეჭვო ნააზრევისა არა მარტო განუკითხაობის საშიშროებას ქმნის, არამედ ჭეშმარიტი კულტურის წიაღში დეზორიენტაციის მუხტი შეაქვს და, რაც ყველაზე სავალალოა, გემოვნების სტანდარტიზაციას, საბოლოო ჯამში კი გემოვნების დაქვეითებას იწვევს.

ჩვენს საზოგადოებაში გემოვნების დაქვეითება აშკარად შეინიშნება.

ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობთ: შედით საკონცერტო დარბაზებში ან თეატრებში და მიაყურადეთ, რას უკრავს ტაშს ერთ დროს მაღალი, დახვეწილი გემოვნების მქონე ჩვენი მაყურებელი.

ჩაატარეთ თუნდაც სახელდახელო სოციალური გამოკითხვა კულტურის მიმართულებით და იოლად დარწმუნდებით, რომ ჩვენი მკითხველი ლიტერატურულ სუროგატს უფრო ეტანება, ვიდრე მაღალი ხარისხის ნაწარმოებს.

ინტერნეტში მდარე ლიტერატურის მოძალების საილუსტრაციოდ ერთ ,,პოეტურ შედევრს'' მოგაწვდით.

ლექსი ამოღებულია ინტერნეტიდან 2012 წლის 16 დეკემბერს:

მინდა დავწერო რამე...
მაგრამ გამიქრა მუზა.
ფანქარი ხელში ავიღე,
ირგვლივ ყველაფერი დუმდა.
მინდა დავწერო რამე,
რაც რომ ანსხვავებს ყველას,
არ მინდა ჩემი ფიქრი,
გადმოვცე ლექსში მუზად...
მინდა დავწერო რამე,
რაც რომ ეხება ყველას,
მინდა დავწერო რამე,
რამე, მე ლამაზ ლექსად,
არ მინდა ჩემი ლექსი,
რომ მიამსგავსოთ სხვებსას.
მინდა დავწერო რამე,
მაგრამ გამიქრა მუზა,
როცა მე ამ ლექსს ვწერდი
მაინც ყველაფერი დუმდა.

(memento.ge)

ამ ,,ლექსის'' ავტორის დასახელებას მოვერიდები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ლამის ტიპიური ნიმუშია ინტერნეტში განთავსებული ლექსების თუ მოთხრობების უმეტესობისა.

ადვილი მისახვედრია, რომ ავტორს არაფერი აქვს სათქმელი. მის სასთუმალთან ერთი ღამეც არ გაუთევია პოეზიას. აკვიატებული სურვილი, რამე განსხვავებული თქვას შინაგანი სიცარიელის, დაბალი ინტელექტის ,,პოეტურ უკუფენად'' ჩამოიქნება და მკითხველს ხელთ რჩება, ოდენ სიტყვების რახარუხი. დასასრულ, ჩვენდა იღბლად, საწყის მდგომარეობას უბრუნდება ლირიკული გმირი და ისევ თავის ახირებულ სურვილზე მიგვანიშნებს: ,,მინდა დავწერო რამე, მაგრამ გამიქრა მუზა, როცა მე ამ ლექსს ვწერდი, მაინც ყველაფერი დუმდა''. არახალია ავტორის ნატვრა ,,დაწეროს რამე'', ის მდგომარეობაც თანაგრძნობით განგვაწყობს მისდამი, რომ ,,გაუქრა მუზა'', მაგრამ გაუგებარია, რატომ არქმევს ამ უაზრო ჩანახატს ,,ლექსს'' და უფრო გაუგებარია, რატომ ათავსებს მას ინტერნეტში. რატომ გაუჩნდა სურვილი იმისა, რომ თუ აქამდე მისი ხელმოცარულობის და შინაგანი სიცარიელის ამბავი ოდენ მისმა ახლობლებმა იცოდნენ, ახლა მთელმა ქვეყანამ გაიგოს.

ასეთივე ვითარებაა კულტურის ნებისმიერი სფეროდან ინტერნეტში შემოხეტებული ,,თავმდაბალი'' ხელოვანების ნამუშევრების გაცნობისას.

თუ არცთუ დიდი ხნის წინათ კულტურის უწყებებთან არსებობდა სამხატვრო საბჭოები, თუ ამა თუ იმ მოქანდაკის ნახელავს გულდასმით განიხილავდნენ პროფესიონალები და სათანადო კოლექტიური დასკვნის შემდეგ აძლევდნენ რეკომენდაციას აღმასრულებელ უწყებებს, დადგმულიყო ესა თუ ის ძეგლი, ამ ბოლო დროს, ეს სრულიად სწორი პრაქტიკა, მოიშალა და ძეგლის დადგმა (და სხვათა შორის აღებაც) ერთი კაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

ამგვარი სახელოვნებო ვოლუნტარიზმით, რა თქმა უნდა, ხშირად იჩაგრება ჭეშმარიტი ტალანტი.

კულტუროსანთა არმიაში თითო-ოროლა ნიჭიერის გვერდით უამრავი უნიჭო დგას, რომელსაც ხელოვნებაში კვალის დატოვება თვითმიზნად უქცევია და ,,ვირის კუდით შექმნილი'' მისი ნახატები შედევრებად ესახება, ხოლო ,,უსაგნო ორიგინალურობით'' დაღდასმული მისი ქანდაკება საეტაპო მოვლენად ქანდაკების ისტორიაში.

ინტერნეტში განთავსებული ერთი უცნობი მხატვრის ხუთიოდე ნახატს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებთ. ერთმანეთში არეულ ფერებს, სადაც გამადიდებელი შუშითაც კი ვერავითარ სიმწყობრეს ვერ აღმოაჩენთ, ,,პეიზაჟებს'' არქმევს და იქვე, გვერდით, მეტი დამაჯერებლობისთვის თავის გაღიმებულ ფოტოსაც გვთავაზობს წარწერით: ,,ძვირფასო მკითხველებო, აი, რა ნახატები არ გამომიფინეს მე უვიცმა ხელოვნებისმცოდნეებმაო''.

ასეთივე სავალალო სურათია მოქანდაკებთანაც; მოუთავსებია თავის საიტზე ხელმოცარულ ხელოვანს ქანდაკება, რომელზეც სულელური ექსპერიმენტის გარდა ვერაფერს შეამჩნევთ და იქვე მოწუწუნე სტრიქონებსაც წაიკითხავთ: ,,აი, ეს შედევრი დღემდე არ არის დადგმული და ჩემს სახელოსნოში ინახებაო''.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ ნახატებს თუ ქანდაკებებს ახლავს უამრავი გამოხმაურება. გაცხარებული მაგრამ ხელოვნებაში აბსოლუტურად გაუცნობი-

ერებელი ადამიანები ესარჩლებიან ,,დაჩაგრულ ტალანტს'' და ქოქოლას აყრიან მის მიმჩქმალველებს. თან გულსაც უკეთებენ ,,ვერშეცნობილს'', ნუ გეშინია, ფიროსმანსაც ასე ექცეოდნენ, შენი აღიარების დროც მალე მოვაო''.

ინტერნეტს კულტურასთან მიმართებით ერთი უხერხულობაც ახლავს: მოგეხსენებათ, ინტერნეტის ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ქართველისათვის უცხო ენაზეა, ამიტომაც ინტერნეტში მუშაობის გასაადვილებად ინტერნეტმომხმარებელთა უმეტესობა იძულებულია შეისწავლოს ყველაზე უფრო კომპიუტერული ენა – ინგლისური. რაც უფრო ადრეული ასაკიდან მივუჯდებით კომპიუტერს, მით უფრო, ზოგჯერ ჩვენდაუნაბურადაც, ძვალ-რბილში გვიჯდება ინგლისური და ეს ხდება მშობლიური ენის ვერდაუფლების (სიყმაწვილის ასაკში), ან მშობლიური ენის დავიწყების (მოზრდილ ასაკში) ხაჯრზე. ალბათ, ათწლეულები დასჭირდება, რომ კომპიუტერის ენად ქართულიც იქცეს, მაგრამ, მაგრამ სავარაუდოდ, ეს მხოლოდ შედარებით მოკრძალებული მასშტაბით მოხდება, რადგანაც სამომხმარებლო ღირებულებით ქართული ინგლისურის და რუსულის მასშტაბებს ვერ გაუტოლდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ, ქართველები, რაოდენ მდიდარი და მოქნილიც უნდა იყოს ქართული ენა, მაინც მცირერიცხოვანი ერი ვართ.

ინტერნეტის ლამის მოურჩენელი სენი – ადამიანის ფიზიკური გაზარმაცება, რაც მთელ მსოფლიოს მოედო და მედიკოსებიც უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ კომპიუტერს მიჯაჭვულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე, დღითიდღე ავლენს თავის მსახვრალ შედეგებს.

კომპიუტერით დაავადებულნი იშვიათად კითხულობენ წიგნებს და თუ კითხულობენ მხოლოდ ინტერნეტში განთავსებულ, უგემოვნოდ შემოკლებულ მხატვრულ ლიტერატურას, იშვიათად დადიან თეატრებში, კინოში, გამოფენებზე და მუზეუმებში.

რატომ მივიდე გალაკტიონის მუზეუმში, როცა მთელი მუზეუმის და მისი ექსპონატების ნახვა აგერ კომპიუტერში შემიძლია, ფიქრობს კომპიუტერსმიჯაჭვული და ვერ კი ხვდება, ღრმად შემცდარა.

რომელი კომპიუტერი მოგვგვრის იმ შთაბეჭდილებას და მოგვანიჭებს იმ სიამოვნებას, რასაც საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, ვაიმარში გოეთეს სასახლის ხილვით, ან ,,იასნაია პოლიანაში'' ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმის დათვალიერებით განვიცდით.

კომპიუტერს მოწყვეტილი და რეალური სინამდვილის პირისპირ მდგარი პიროვნება პირველ წუთებში აშკარად განიცდის დისკომფორტს. შუბლზე ოფლის წვეთები უჩნდება, სუნთქვა უჭირს. იგი ადამიანებთან უშუალო, ცოცხალ ურთიერთობას გადაეჩვია და ეჩვენება, რომ ნამდვილი სწორედ ის არის, რასაც იგი კომპიუტერში ხედავს, ნატურალური ბუნება კი კომპიუტერული სურათში უკუფენაა, ამიტომაც რეალობაა მისთვის მკაცრი და ტლანქია.

აი, სადამდე მიიყვანა ადამიანი კომპიუტერით ავადმყოფურმა გატაცებამ. მან შექმნა კომპიუტერული, ვირტუალური სამყარო და ცხოვრობს (თუ ამას ცხოვრება ჰქვია) იმ გამოგონილ, მკვდარ სინამდვილეში.

ვერ წარმოიდგენთ, რა შვებას გრძნობს იგი, როცა რეალურს განერიდება, შინ დაბრუნდება და კომპიუტერს მიუჯდება. აქ იგი სიტუაციის ბატონ-პატრონია. აქ მისი ნება-სურვილი მართავს.

მაინც ყველაზე დიდი შეცოდება, რაც უამრავ დადებით მხარესთან ერთად კომპიუტერის მოვლინებას მოჰყვა ჩვენს ცხოვრებაში, გახლავთ ის სავალალო ფაქტი, რომ კომპიუტერმა წიგნი თითქმის განდევნა ასპარეზიდან. ეს მიუტევებელი ბრალდებაა კომპიუტერის მიმართ, რისგანაც ეს უკანასკნელი თავს ვერასოდეს გაიმართლებს.

კომპიუტერის ,,დამსახურებაა'' წიგნის ტირაჟის გაუგონარი შემცირება მთელს დედამიწაზე, კომპიუტერის ,,დამსახურებაა'' გემოვნების დაქვეითება და მასკულტურის გაბატონება.

არ შეიძლება ადამიანი ოდენ ინტერნეტში აკუმულირებული ცოდნის იმედზე დარჩეს. მით უმეტეს, რომ ამ უნიკალურ საინფორმაციო სასწაულსაც უკვე გაუჩნდა თავისი მახრჩობელა ვირუსებისა თუ ინტერნეტ-მეკობრეების სახით.

ეს ვითარება არაიშვიათად ფსიქოლოგიური შოკის მიზეზიც ხდება. საკმარისია, კომპიუტერს ვირუსი შეგეყაროს, რომ ერთბაშად აღმოჩნდები ინფორმაციულ ვაკუუმში, თითქოსდა ერთბაშად მოწყდი სამყაროს, თითქოსდა აღარასოდეს აღდგება ის ემოციური კავშირი, რაც შენსა და ვირტუალურ, ხილვით სინამდვილეს შორის არსებობდა. გაითიშება შუქი და შენს წინ ცისფრად განათებული ზღაპრული ყუთის ნაცვლად, რომელიც თავაზიანად დაგატარებდა ნებისმიერ შენთვის სასურველი მიმართულებით, შენს წინ დევს მდუმარე ნივთი, რომელსაც სიცოცხლის არავირი ნიშანწყალი არ ეტყობა.

ინტერნეტთან თავისი ანგარიში აქვს იურისპრუდენციასაც; არაერთგზის ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: საიტზე დაიდება ინფორმაცია მავანისა და მავანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საგამომძიებლო ორგანოები მაშინვე იღებენ ზომებს და იწყება ოპერატიული კვლევა დანაშაულისა, რომელიც ხშირად სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილი კაცის ფანტაზიის ნაყოფი, ან ბოროტი ხუმრობა აღმოჩნდება ხოლმე. შედეგი? ამაოდ გარჯილი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები და ამაოდ დახარჯული სახსრები. ჩემი ფიქრით, პროკურატურამ ინფორმაციის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ძიება არ უნდა შეწყვიტოს. საჭიროა იმ ავისმზრახველი პირის ვინაობის გამომჟღავნება, ვინც ინტერნეტით ბოროტად ისარგებლა და მისი სათანადოდ დასჯა.

აქ არას ვიტყვი იმაზე, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის აბსოლუტური იგნორირებით ზოგი ჭორიკანა ინტერნეტზე განათავსებს ხოლმე ვიზუალურ მასალას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პირის სექსუალური ურთიერთობის შესახებ ბანოვანთან. ის, რაც იურიდიული და მორალური კანონებითაც აბსოლუტურად კონფიდენციალურია (თუ, რასაკვირველია, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან ან სექსუალურ უკუღმართობასთან არა გვაქვს საქმე – რ. მ.), არ შეიძლება გახმაურების და საზოგადოებრივი დასმენის საგნად იქცეს. ამგვარი უტიფარი ჩასაფრების მსხვერპლი ამას წინათ, მსოფლიო სავა-

ლუტო ფონდის პრეზიდენტის კარიერა გახდა, ხოლო ქალისა და მამაკაცის სექსუალური ურთიერთობის არამკითხე გამომჟღავნების შემდეგ კინაღამ პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონს.

ინერნეტი თავის დაღს ასვამს კულტურის ისეთ დარგს, როგორიც გახლავთ სამოდელო ხელოვნება. მოდის პრობლემა მეოცე საუკუნეში შედარებით მარტივად იყო გადაწყვეტილი; პოპულარული სამოდელო ფირმები მსოფლიოს რამდენიმე წერტილში (პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი...) ქმნიდნენ ეპოქის ხასიათს მისადაგებული ტანსაცმლის ნიმუშებს და გამოჰქონდათ ძირითადად პარიზის სახელგანთქმულ პოდიუმებზე. ამ გზით ხელდასმული მოდა მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა და ათი წლის განმავლობაში მაინც იპყრობდა სამოსელის ბაზარს. ბოლოს ეს მოდა ნელ-ნელა იწყებდა გარდასვლას და მის ადგილს ახალი იკავებდა. 21-ე საუკუნეში მოდა იმ ტრადიციული გაგებით უკვე აღარ არსებობს. სხვადასხვა ფირმები ინტერნეტის საშუალებით ცდილობენ მსოფლიოს სამოდელო ბაზარზე გაბატონებას. ამ თავბრუდამხვევ ორომტრიალში არად დაგიდევენ ეპოქის თავისებურებებს, ქსოვილთა შექმნის ახალ საშუალებებს და, თუ გნებავთ, ტრადიციასთან კავშირსაც. შეხვალ ინტერნეტში და ცირკის საექსპოზიციო პარადის მსგავსად თქვენ თვალწინ ჩაივლიან ,,ორიგინალი მოდელის'' მიერ გაწამებული გოგონები. რა აღარ აცვიათ მათ, რა სექსუალურ ორიენტაციას არ აკმაყოფილებს მათი კაბა-პენუარი. თმის ვარცხნილობას აღარ იკითხავთ? თავზე ცოცხალი ფარშევანგი არ აზით, თორემ რა ფერები, რა მეხამრიდული თმის დგომა, რა თუთიყუშური ვარცხნილობა არ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. კიდევ კარგი, ეს უცნაური ექსპერიმენტები მოდის წიაღში ჭეშმარიტ მოდად არ იქცევა და პირველი ჩვენებისთანავე განწირულია დასავიწყებლად. ნუთუ ყველა გაუკუღმართებული გონების (,,გაუკუღმართებული სექსი'' კინაღამ წამომცდა) ადამიანს შეუძლია თავის თავს დიზაინერი დაარქვას და ინტერნეტში მოდის უკანასკნელ სიტყვად შემოგვთავაზოს თავისი ნაცუღლუტარი?

დიზაინერი ვახსენეთ და აქვე საყოფაცხოვრებო საინტერიერ-ექსტერიერო დიზაინზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. აქაც სრული განუკითხაობაა. გონივრული დიზაინი ლამის წაილეკოს მარგინალური, უგემოვნო დიზაინისაგან. ვიღაცამ მოინდომა გარდასულ საუკუნეთა ბაროკოს თუ როკოკოს სტილის ავეჯის შერწყმა თანამედროვეობას მისადაგებული მსუბუქი ავეჯის სტილთან და შედეგად მივიღეთ სტილთა აღრევა-შეუთავსებლობის მახინჯი ნიმუში. განმკითხავი კი აქაც არავინ არის. ინტერნეტი ყოველგვარი სტილური ნიმუშის ერთგული მასპინძელია.

ინტერნეტმა თავისი განუზომელი გეოგრაფიული მასშტაბებით შეიძლება ხელი შეუწყოს აკვიატებული იდეების, ცრუწინასწარმეტყველების, ფსიქოზის გავრცელებას. ამის მაგალითის მოსატანად შორს წასვლა არ დაგვჭირდება: ინტერნეტში განთავსებული ვითომდა მაიას ტომის წინასწარმეტყველურმა ზღაპარმა იმის შესახებ, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს დედამიწას სიკვდილის გრიგალი გადაუვლიდა და კაცობრიობა არსებობას შეწყვეტდა, მალემრწმენთა შეშფოთება გამოიწვია. ეს შეშფოთება იმდენად მოედო მთელ დედამიწას, რომ

ცალკეული ინდივიდები ცდილობდნენ თავის გადასარჩენად უსაფრთხო კუთხეები მოეძებნათ. მთელ დედამიწას მოედო მოსალოდნელი განადგურების შიში.

არ გეგონოთ, რომ ეს უმტკივნეულო შიში იყო.

თაღლითებმა ისარგებლეს და პლანეტაზე რამდენიმე ადგილი დაასახელეს, რა ადგილებსაც წარღვნა არ შეეხებოდა. მილიონობით დოლარი დაიხარჯა მაიას ტომის უწყინარი ტყუილის გამო. შეშინებულნი მიაწყდნენ თაღლითთა მიერ მონიშნულ ადგილებს, ხოლო 22 და 23 დეკემბერს იხტიბარგატეხილნი მორცხვად აცხადებდნენ: ჩვენ მაიას ტომის ცრუწინასწარმეტყველებას და ფეხისხმას როდი ავყევით, აქ უბრალოდ დასასვენებლად და დროის გასატარებლად ჩამოვედითო.

ინტერნეტში მოთავსებული პარადოქსული მასალების ბრალიც არის თანამედროვის გაუცხოვება ლამის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ფილოსოფიურ-მორალურ ჭეშმარიტებათა მიმართ. ყველაფერზე დაეჭვებამ გულისგატეხა გამოიწვია, გულისგატეხამ კი დაბნეულობა ე.წ. ულტრათანამედროვე ,,კიბერრეალისტებმა'' ადამიანს წაართვეს ორიენტირები, ანტიკულტურამ (ერთ-ერთ ფილმში ალექსანდრე მაკედონელიც კი გამოაცხადეს ჰომოსექსუალისტად) უარი თქვა პიროვნების აღზრდაზე, მისი მორალური მხარის გაკეთილშობილებაზე და აი, შედეგიც: შიშმორეული, რწმენადამსხვრეული, სულიერად დეგრადირებული ახალგაზრდა 2012 წლის დეკემბერში კბილებამდე შეიარაღებული შედის ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში და 27 კაცს მიჯრით ხოცავს (აქედან 20 მისი თანატოლი მოსწავლეა, 7 – მასწავლებელი). იმავე დღეებში ინდოეთში შვიდი გარეწარი აუპატიურებს 23 წლის გოგონას. ამასაც არ დასჯერდნენ და იგი ავტობუსიდან შიშველი გადააგდეს. და ეს ხდება უძველესი კულტურული წარსულის მქონე ინდოეთში, ,,მაჰაბჰარტას'' და ,,რამაიანას'' ქვეყანაში.

როგორ მოვიქცეთ, რაკი ინტერნეტში გამეფებულია განუკითხაობა, რაკი ინტერნეტს აქვს მასალის გავრცელების უნაპირო მასშტაბები და შეუძლია ზოგჯერ აშკარად მცდარი, ავადმყოფური აზრები ან ამგვარი აზრების მქადაგებელი კულტურის ნიმუში მოჰფინოს ქვეყანას? ხომ არ გვკარნახობს შექმნილი სიტუაცია ინტერნეტის შეზღუდვის ან რაიმე წინაღობების დაწესებას ამ მიმართულებით?

არამც და არამც. ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენი ტექნიკის საოცრების – ინტერნეტის მიმართ რაიმე ცენზურის ან არტახების შემოღების ქადაგებისაგან.

ორი რამ გვესახება ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე, ასე თუ ისე, წესრიგის შემტანად; პირველი ის გახლავთ, რომ ყოვლის ღონისძიებით (ტრენინგები, სტატიები, ლექტორიუმები და ა.შ.) უნდა ვეცადოთ ავამაღლოთ კომპიუტერის მომხმარებელთა შეგნება იმ დონემდე, რომ თითოეულმა მოქალაქემ, ვინც ინტერნეტის მფლობელთა რიგს მიეკუთვნება, პასუხისმგებლობა იგრძნოს ამ უაღრესად ფაქიზი, საზოგადოებრივი ტრიბუნის წინაშე და ანგარიში გაუწიოს საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებებს. მეორე: უნდა ვთხოვოთ მათ, რომ ინტერნეტში მასალები განათავსონ გამჭვირვალედ, საკუთარი ვინაობის მი-

ნიშნებით. ეს ორი გარემოება თავიდან აგვაცილებს ინტერნეტის დანაგვიანებას მდარე ხარისხის ნაწარმოებებით და ასევე ზღვარს დაუდებს იმ უხამსობებს და ლანძღვა-გინებას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს კომპიუტერულ სინამდვილეში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ, ერთი მხრივ, კულტურას მოევლინა ერთგული შემწე და მეგობარი ინტერნეტის სახით, რომელმაც კულტურის მიღწევათა გამსოფლიობის და, აქედან გამომდინარე, ადამიანის სულზე სასიკეთო ზემოქმედების არნახული მასშტაბები გადაგვიშალა, მეორე მხრივ, ინტერნეტის განუკითხავი გამოყენება არაერთ ,,მაგრამს'' ბადებს სწორედ მაშინ, როცა ტექნიკის ამ საოცრებასთან უმეცრების მსუბუქი ხელით ან ანგარების ტლანქი გონებით მივდივართ ხოლმე.

რამდენადაც დიდი სიკეთეა ინტერნეტი, იმდენად დიდი სიფრთხილე გვჭირდება მისი გამოყენების დროს, რაკიღა ჯერჯერობით მომხმარებელთა დიდი უმრავლესობის შეგნებას ძირითადად პრაქტიციზმის მკაცრი კანონები მართავს და აშკარაა საშიშროება იმისა, რომ ზოგჯერ ,,ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ''.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც საგაზეთო ბუმის პირველ ათწლეულებში გაზეთში დაბეჭდილი ყველას უცილობელი ჭეშმარიტება ეგონა (გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ნათქვამი: ,,ჩვენში გაზეთისა სახარებასავით სჯერათო'') ახლაც ბევრი ფიქრობს, რომ კომპიუტერით მოწვდილ და ინტერნეტში გამოქვეყნებულს ,,წყალი არ გაუვა'' და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ სწორედ ინტერნეტიდან შეიძლება მოგვაწოდონ წინასწარდაგეგმილი, ჭეშმარიტ შეხედულებებში დეზორიენტაციის შემტანი ,,სიმართლე''.

როცა ინტერნეტის გამოყენების მიმართულებით საყოველთაო სიფრთხილეს და ზომიერებას ვუსვამთ ხაზს, სწორედ იმას ვქადაგებთ, რომ ინტერნეტმა ჭეშმარიტების ფარი უნდა იფაროს და ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეს – ისედაც საკმაოზე მეტად დაბნეულს ათასი მიზეზის გამო, ერთგულ მრჩევლად და ჭკვიან გზამკვლევად მოევლინოს.

ინტერნეტმაც უნდა შეაშველოს ხელი დეზინფორმაციის ჭაობში ლამის ყელამდე ჩაფულ ჩვენს თანამედროვეს და ღირსება დაუბრუნოს.

გლობალიზაციის მოდელები: ერთიანი მსოფლიო

გლობალიზაცია ახალი ცნებაა. მაგრამ მარადიულია ოცნება მსოფლიო ბატონობაზე, რაც არ ასვენებდათ ძლევამოსილ იმპერატორებს, ყაენებსა და სულთნებს.

მსოფლიო ბატონობა კი ძველი დროის გლობალიზაციაა, როცა ერთი ერი, ერთი სახელმწიფო ძალადობით ცდილობდა სხვათა არსებობისა და კულტურის წარხოცვას, საკუთარი წარმოდგენების დამკვიდრებასა და გაფეტიშებას.

ცაბაოთი, ებრაელების უფალი, მოუწოდებდა თავის რჩეულ ერს, როცა ქალაქს დაიპყრობდნენ, მოესპოთ ყველა – დიდი და მცირე;

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთამდე მივიდა, ნაპოლეონი თავს დაესხა ეგვიპტესა და რუსეთს, ჰიტლერის არმიები იდგნენ ლამანშიდან სტალინგრადამდე, დიდი ბრიტანეთი ფლობდა ავსტრალიას, აშშ-ს, კანადას, ინდოეთს, ახალ ზელანდიას, გერმანული ტომები მოედვნენ დამხობილ რომის იმპერიას. ტერმინ გლობალიზაციას არ მიმართავენ ისტორიული პროცესების აღსანიშნავად. მაგრამ ფაქტი ერთია – ყოველთვის არსებობდა ოცნება და პრაქტიკული ცდა ერთიანი მსოფლიოს შესაქმნელად. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდამ არსებობდა გლობალიზების ტენდენციები, რაც სწრაფად იწყებოდა და ჩერდებოდა შუაგზაზე. შემდეგ ამოქმედდებოდა საპირისპირო, შემაჩერებელი ან ახალი გლობალიზების ტალღა, რომელიც სძირავდა ძველს, მაგრამ ისიც შუაზე წყვეტდა მოძრაობას.

ეს პროცესი პერიოდულად მეორდება, როგორც ინტეგრირება და დიფერენცირება. თანამედროვე გლობალიზაცია უსისხლო პროცესია და ემყარება არა იარაღს, არამედ – ტექნიკურ პროგრესს, ცივილიზაციის კულტურას, ერთა ურთიერთდაახლოებას, ადამიანის უფლებათა დაცვას.

როგორც ადრე, ისე შემდეგ იმპერიულ ამბიციას, კოლონიურ ექსპანსიას ეძლეოდა იდეოლოგიური გამართლება. დღეს გლობალიზაციის პროცესს ისე წარმართავს დასავლეთი, რომ არ ავიწყდება „განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე საკუთარი, არაპროპორციულად მაღალი მოგების მიღება“, რომ „ინდუსტრიულად უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა უარი თქვეს საკუთარ ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების პროდუქცია მიეღოთ, რომ ინარჩუნებდნენ კვოტას სხვადასხვა პროდუქციაზე. ამავე დროს ისინი მოითხოვდნენ, რომ ამ ქვეყნებს მდიდარი ქვეყნებიდან საკუთარ ბაზარზე ექსპორტი არ შეზღუდათ“, – წერს ჯოზეფ სტიგლიცი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აშშ-ის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ცალკეული ორგანიზაციები, მაგ., მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თუ მსოფლიო ბანკი ძირითადად გამოხატავენ აშშ-ის ინტერესებს. ეს იწვევს პროტესტს, არეულობასა და კონფლიქტს, იწვევს გამოსვლებს როგორც ამ ორგანიზაციების, ისე თავად აშშ-ის წინააღმდეგ (მაგ., მაჰმადიანურ ქვეყნებში).

ამას აქვს რამდენიმე მიზეზი, გარდა ნაციონალურ სახელმწიფოთა ბუნებრივი წინააღმდეგობისა: აშშ ცდილობს თავის ძალასა და გავლენას დაუმორჩილოს გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესი; ეს მოახდინოს სწრაფად, მოახდინოს თავის მიერ აღზრდილი ადგილობრივი კადრებით, რომლებიც ყალიბდებიან როგორც ლიდერთა პრივილეგირებული კასტა (მაგ., საქართველოში).

ინტეგრირება და გლობალიზაცია

სახელმწიფო და საზოგადოება ინტეგრირებით იქმნება, სხვა მხრივ იგი ისევე ჩაკეტილი დარჩება, როგორც უძველესი კლანი. მაგრამ კლანთა შეერთებით წარმოიშვა ტომი, ტომთა კავშირი, პრასახელმწიფო.

რაც გადის დრო, ინტეგრაცია უფრო აუცილებელია. უამისოდ სამოქალაქო საზოგადოება და პროგრესი ვერ იქნება. მაგრამ პარალელურად, როგორც ვთქვით, მოქმედებს დამშლელი ძალები. მათი დაძლევით, გადალახვით ხდება ინტეგრირება. ეს არის ურთიერთშეღწევა, გამოცდილების გაზიარება და გადატანა, ვიწრო თვალსაწიერის გაფართოება.

ინტეგრირება გარკვეულ დონემდე საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. როგორც გარემოსთან მუდმივი კონტაქტის გარეშე ვერ იარსებებს ინდივიდი, ისე საზოგადოება ესწრაფვის ინტეგრირების პროცესის დაჩქარებასა და გავრცობას.

ადამიანთა ჯგუფების, ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირებით ყალიბდება სახელმწიფო. მისი საფუძველი არის ერის ცნება. მაგრამ დღეს ირღვევა საზღვრები, შეხედულებები, ტრადიციები და ტრადიციული ინტეგრირება გადადის გლობალიზაციაში.

ინტეგრირება მეტწილად ძალადობით ხდებოდა, როცა დამპყრობელი დამარცხებულს თავს ახვევდა თავს წარმოდგენებს. ეს იყო გზა ასიმილაციისაკენ. გლობალიზაცია ნებაყოფლობითი პროცესია, რომელიც მეტ-ნაკლებად ინტენსივობით მოქმედებს ყველა სახელმწიფოში და მათ მიაქანებს ერთიანი სივრცისაკენ.

ინტეგრირება კულტურაზე სასიკეთოდ მოქმედებდა. ლოკალურ გარემოში იგი სპობდა განკერძოებას, ეთნოგრაფიზმსა და იზოლირებას.

სხვათა გამოცდილების გადმოტანით უფრო ავითარებდა იმ ტენდენციებს, რაც შესაძლებელი იყო უცხოსაც მიეღო.

ჩვენ ვნახეთ თუ როგორ ჩაიკეტნენ თავიანთ მატერიკზე ინდიელები, აფრიკელი და ავსტრალიელი ტომები, როგორ იმოქმედა ამ ფაქტორმა მათ ინტელექტუალურ უნარზე, არა მხოლოდ მიღწეულ შედეგებზე. შემდეგ იჩაგრე-

ბოდნენ ევროპელების მიერ, მიზეზად კი სწორედ მათ ჩამორჩენილობასა და ველურობას თვლიდნენ.

გლობალიზაცია გაერთმნიშვნელიანებაა, რომელსაც მიმართულებას აძლევს პოლიტიკა და კულტურა. ამ პროცესში კულტურას უმცირდება ეროვნულ თვისებათა მარაგი, შემოდის საერთაშორისო მოდელები, როგორც ენაში ინტერნაციონალური ლექსიკა, ზოგ დარგში ჭარბად (მაგ., არქიტექტურაში). ზოგ დარგში – ნაკლებად (მაგ., ლიტერატურაში). ის ტენდენციაც, რომელიც ამოდის ნაციონალური სიღრმიდან, ეროვნული ტრადიციებიდან, თუ არ იქნა მოდერნიზებული, მისადაგებული ახალი დროის სულისკვეთებასთან, უცხო და გაუგებარი დარჩება ლოკალურ წრეშიც, არათუ ზოგად სფეროში. უამისოდ ვეღარც წინ წავა, ხოლო კონსერვირება და შეჩერება რეგრესს მოასწავებს, რადგან, ერთი მხრივ, ვეღარ ააქტივებს შემოქმედებით ძალებს, მეორე მხრივ – სხვა აღწევს ახალ წარმატებას და წარმოიშობა დისბალანსი.

გლობალიზებით შესაძლებელი ხდება საკაცობრიო ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანება, საყოველთაო პროგრესი და მოახლოებულ კატასტროფათა აცილება. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულ ასპექტში იგი აყენებს მრავალ მწვავე კითხვას, რაც ხდება ასპარეზი ახალი კონფლიქტებისა და კრიზისებისათვის.

გლობალიზაციას უფრო ემორჩილებიან განვითარებადი ქვეყნები.

გლობალიზაციის ყოველი მოდელი აყალიბებს შესაბამის კულტურას (მაგ., სოციალისტური კულტურა).

რელიგიური მოდელი

მსოფლიოში ვერცერთი რელიგია ვერ გაბატონდა, მაგრამ ყველა მათგანი ცდილობდა სივრცის გაფართოებას, თავის რჯულზე სხვათა მოქცევას. ამისათვის მიმართავდა დარწმუნებას, ქადაგებას, მოსყიდვას, ძალადობას, სიკეთეს, სათნოებას.

ერთი რელიგია მეორისადმი შეუწყნარებელი იყო.

ერთი ძირიდან ამოიზარდა იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. მათ შემქმნელები გენეტიკურადაც ნათესავი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ქრისტე და მუჰამედი ერთმანეთისადმი შეურიგებელი იყვნენ და მათ ბრძოლებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

კათოლიკე მისიონერები მთელ მსოფლიოში დადიოდნენ, რათა ურწმუნონი მოექციათ ქრისტეს რჯულზე. ხოლო მართლმადიდებლები კათოლიკობაზე გადაეყვანათ (მათ შორის – საქართველოშიც).

პროზელიტები ყველგან იყვნენ. მისიონერთა თავგანწირვას ჰქონდა გარკვეული ეფექტი, მაგრამ ვერ შეძლო ბუდიზმის, ისლამის ან კონფუცის მიმდევართა შეზღუდვა, მათი დამარცხება.

რელიგია იმარჯვებდა იქ, სადაც მახვილი მიუძღოდა და ძალადობრივად იწყებდა რწმენის დამკვიდრებას. ასე მოხდა ისლამის გავრცელება, რომელიც არაბთა რჯული იყო. მომთაბარე ბედუინებმა შეძლეს მახლობელი ტომების და

ხალხების დამორჩილება და თავიანთი ქვეყნის საზღვრები გასწიეს ესპანეთიდან შუააზიამდე. ბევრმა ქვეყანამ დაკარგა წინაპართა რელიგია. მაგ., ზოროასტრული ირანი მაჰმადიანური გახდა. შემდეგ კი ოსმალეთთან ერთად იქცა მუჰამედის მცნების მედროშედ. თვით თურქებმა დაივიწყეს წინაპართა რწმენა და მიიღეს მაჰმადიანობა, რამაც სიმტკიცე მიანიჭა მათ იმპერიას.

საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იღვწოდნენ და იბრძოდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ერთ რწმენაზე მოექციათ მსოფლიო. ყველა აღიარებს უმაღლეს ერთს, რომელსაც ჰყავს თავისი ძე თუ წარმომადგენელი მიწაზე, იგი იმუშავებს, მისი სახელით ფორმდება ახალი თვალთახედვა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მიჰყვებიან მილიონები. მაგრამ ეს განსხვავებული თვალთახედვა სთიშავთ მორწმუნეებს. თვით ქრისტიანობის წიაღშიც ვერ ხერხდება ერთიანობის აღდგენა. 1948 წელს შეიქმნა პროტესტანტული და მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო საბჭო, მაგრამ ეკუმენისტურ მოძრაობას არ უერთდებიან სხვა ქრისტიანული ეკლესიები (მაგ., კათოლიკური) და ამიტომ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ქართული სამოციქულო ეკლესიაც იყო ერთხანს მსოფლიო საეკლესიო კავშირის წევრი (1997 წლამდე).

ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა უამრავი სექტა. სექტის წევრებს ერთმანეთის სიყვარული და სოლიდაროზა აქვთ. მაგრამ სასტიკად უსწორდებიან მეორე სექტის წევრებს, რომელთა ცხოვრების წესსა და წარმოდგენებს ვერ ჰგუობენ. ერთხანს ჩვენში შემოვიდა და გავრცელდა იეღოველთა რწმენა. 2003 წელს სახელმწიფომ მათი ორგანიზაცია დაარეგისტრირა. სწორედ ამის შემდეგ დაეცა იეღოვას მოწმეების აქტივობა, როცა ეგონათ, რომ პირიქით მოხდებოდა.

დიფერენცირება რელიგიის შიგნით ისტორიულად ხელს უშლიდა მის შემდგომ გავრცელებას, ახალი ტერიტორიების ათვისებას. ეს იყო დაპირისპირება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, სუნიტებსა და შიიტებს შორის. მაგ., 1613 წელს, როცა რუსეთში გამეფდა მიხაილ რომანოვი, ხოლო პატრიარქი გახდა მამამისი ფილარეტი, კათოლიკეების დაპატიმრება დაიწყეს, ხოლო სხვა ქვეყნის მართლმადიდებლებს გადანათვლას აიძულებდნენ.

ერთი რელიგიით ვერ გაერთიანდა კაცობრიობა, მაგრამ რამდენიმე ძირითად რელიგიას (მაგ., ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, ბუდიზმი) და მათ უამრავ სექტას დამორჩილებული ჰყავს მსოფლიო.

აშშ-ს არა აქვს ოფიციალური რელიგია, როგორც ვთქვათ, იტალიას – კათოლიციზმი, რუსეთს – მართლმადიდებლობა ან არაბულ ქვეყნებს – მაჰმადიანობა. მაგრამ 2003 წლის გამოკითხვით მოსახლეობის 90 პროცენტს სწამს ღმერთი.

ეს მაშინ, როცა აშშ-ში მოქმედებს 1.300–ზე მეტი რელიგია, სექტა და კულტი. საქართველოში 81% თავს მიიჩნევს რელიგიურ პიროვნებად, ათეისტად – 6%, ხოლო რელიგიურ ცხოვრებას მისდევს 30%.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ერთია ღმერთის რწმენა, მეორე – იმის გაგება თუ რა როლს ასრულებს უფალი ადამიანის ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით ევროპაში ინდიფერენტიზმი ბატონობს: დიდ ბრიტანეთში 18% თვლის, რომ ღმერთი განსაზღვრავს მის ცხოვრებას; საფრანგეთში ასე ფიქრობს 14%,

გერმანიაში – 16%. ეს ნიშნავს, რომ ფანატიზმი აღარ არსებობს და ღმერთს ადამიანი მიიჩნევს კულტურის ნაწილად. ამიტომ სუბკულტურების მიერ დიფერენცირებულ ღმერთს აღარა აქვს გამაერთიანებელი ძალა.

ამის გამო ვრცელდება რელიგიური პლურალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფესიები მშვიდად თანაარსებობენ: ერთი ბუდაზე ლოცულობს, მეორე – ქრისტეზე; ერთი კათოლიკეა, მეორე – ბაპტისტი, მესამე – მართლმადიდებელი, მეოთხე – იეღოველი. მაგრამ ეს არ იწვევს კონფლიქტს, ყველას თავისებურად სწამს უფალი და თავისებურად განადიდებს უზენაესს.

რელიგიური რადიკალიზმის დაძლევით კი რწმენას ძალა ეკარგება.

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტური მოვლენაა, როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამი (შდრ – მუჰამედი ამბობს: „ყოველი მუსლიმი ერთმანეთის ძმა და დაა! თქვენი ღმერთი ერთია: თქვენ ყველა ადამის შვილები ხართ. არაბს არარაბის მიმართ და არაარაბს არაბის მიმართ არავითარი უპირატესობა არა აქვს. ყველა თანასწორია“).

მაგრამ ძლიერი ხელისუფალი მას აყენებს თავის სამსახურში მართვისა და გავლენის გავრცელებისათვის. ამიტომ ხდებოდა რელიგიის ნაციონალიზება. პატარა ერისათვის იგი თავდაცვის იარაღიცაა, როცა მოძალადე სხვა კონფესიას განეკუთვნება. ქართველს მაჰმადიანურ აგრესორთა წინააღმდეგ ქრისტეს ჯვარი ძალას ჰმატებდა. ამის შედეგად კი რწმენა გადავიდა ნაციონალისტურ მესიმიზმში და ეს გაცხადდა იოანე ზოსიმეს ცნობილ ენკომიაში.

ათასი წლის შემდეგ ამასვე იმეორებს ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი.

როგორც არაერთხელ ვთქვით, კულტურა გამოვიდა რელიგიის წიაღიდან და ეს წარმომავლობის ნიშანი მას დღემდე შერჩა (მაგ., განსხვავება ქრისტიანულ და მაჰმადიანურ კულტურებს შორის).

განმანათლებლობის დროიდან მცირდება რელიგიის გავლენა, ნელდება რელიგიური ფანატიზმი და მასებს ახალ სამოქმედო პროგრამას აწვდიან იდეოლოგიები. ისინი ენაცვლებიან რელიგიურ კონსერვატიზმს და ცდილობენ პასუხი გასცენ დროის მიერ წამოჭრილ პრობლემებს, რაც საერთოა სხვადასხვა ერისათვის. იდეოლოგიაში წამყვანია პრაგმატიზმი, მაგრამ ინარჩუნებს მისტიკურ ნაკადსაც (მაგ., ნაციონალ-სოციალიზმში – არიული რასის მითი, სოციალიზმში – კომუნიზმის აშენების იდეა).

იმპერიული მოდელი

როგორც ვთქვით, რელიგია იქ იმარჯვებდა, სადაც სახელმწიფო აღწევდა წარმატებას. მხოლოდ რელიგიური აფეთქება, როგორც ეს მოხდა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობაში, არ კმაროდა. რწმენას მახვილი უნდა შეშველებოდა, სისხლისღვრა, ტერიტორიის მიტაცება, ქვეყნის დაპყრობა გამართლებული უნდა ყოფილიყო. ეს მეომარს მეტ რწმენასა და ენერგიას აძლევდა, უზრუნველყფდა ქვეყნის მთლიანობასაც, რადგან რწმენის მიღმა იდგა უზენაესი და შეუცნობელი ძალა.

ერთი მეფე, ერთი ღმერთი, ერთი სახელმწიფო, ერთი ენა – ასეთი იყო იმპერიების სლოგანი და ამ იდეის აღსასრულებლად სწირავდნენ სიცოცხლესა

და ძალას. განუზომელი მსხვერპლი ახლდა ამ ლაშქრობებს, თუმცა მსოფლიო იმპერია ვერ შეიქმნა. მაგრამ ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ადამიანური პოტენციალის ამოქმედებისა და კონცენტრირებისათვის, რასაც მოჰქონდა პროგრესი. ასეთი ძალმომრეობისა და ძალადობის გარეშე ასპარეზი ვერ ექნებოდა ენას, კულტურას, ცივილიზაციას, ტექნიკას და კაცობრიობა დარჩებოდა თავის სოფლებსა და ქოხებში მიმოფანტული.

როცა არსებობდა რომის იმპერია, ყველა გზა რომში მიდიოდა, ის იყო კულტურის ცენტრი, ის ასხივებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს. სხვა ყველა ბარბაროსი იყო. რომაულ სივრცეში ჩამოყალიბდა ერთიანი ცივილიზაცია.

როცა დიდი ბრიტანეთი კოლონიებად ინაწილებდა მსოფლიოს, როცა პორტუგალიელები და ესპანელები იპყრობდნენ ამერიკის კონტინენტს, როცა ევროპელები ძარცვავდნენ აფრიკას, ეს მხოლოდ სისხლისღვრა როდი იყო, არამედ – კულტურის გავრცელებაც. ეს პროცესი სასტიკი იყო, მაგრამ გარდაუვალი. უამისოდ ეროვნული, ტომობრივი თუ ენობრივი კარჩაკეტილობა ვერ დაირღვეოდა, ნებაყოფლობით არავინ დათმობდა თავის ღმერთებს, რწმენას, მიწას.

ეგოისტური ბირთვის დათრგუნვის გარეშე ადამიანთა ურთიერთობა ვერ იარსებებს. მაგრამ იმპერიული მოდელი არ სცნობს თანასწორობას. აქ არის მეტროპოლია და კოლონია, ცენტრი და პერიფერია. ადამიანური ღირებულებები, ფასეულობებს, ღირსებები არის კოლონიზატორთა ხელში. ისინი თავს თვლიან უმაღლეს რასად, კულტურტრეგერებად, ამიტომ თეთრკანიანი თუ ყვითელკანიანი იყო მონობისა და ჩაგვრის ობიექტი.

მკაცრად იყო განსაზღვრული რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური და სოციალური იერარქია.

მმართველი ელიტა არ ითვალისწინებდა მასების ინტერესებს: ელიტა აპრიორულად განასახიერებდა მთელს ერს, რომელიც მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

იმპერიის სამსახურში იდგა რელიგია და შესაბამისად მის მიერ ფორმირებული კულტურაც.

იმპერიული მოდელი არსებობდა ძალადობისა და ომების ხარჯზე (იხ. „სახელმწიფო და ომი“). მაგრამ დემოკრატიზების პროცესმა და ეროვნულ–განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოსპო იმპერიალიზმი და კოლონიალური სისტემა (მაგ., 1960 წელს გაერომ 17 ყოფილი კოლონია მიიღო თავის წევრად).

იმპერიული მოდელიც ისტორიის კუთვნილებაა.

იდეოლოგიური მოდელი

ახალ დროში მოქმედებას წინ უსწრებს იდეოლოგიური კონცეფციები, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, კლასები, საზოგადოებრიობა, კულტურა. იდეოლოგია ხშირად ებრძვის ან უგულველყოფს რელიგიას, თუმცა მის ზეგავლენას თავს მაინც ვერ აღწევს. ამასთან ერთად ინახავს იმპერიულ ოცნებასაც.

ასე რომ იდეოლოგია იერთებს რელიგიურ და იმპერიულ იდეებსაც და დროის შესაბამისად გარდაქმნის. ზოგჯერ კი ემყარება კიდეც (მაგ., ევროპო-

ცენტრიზმი). ხშირად მას ახდენა არ უწერია და რჩება თეორიულ თვალსაზრისად. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე აღელვებს ადამიანთა ოცნებას. თუ მიეცემა საშუალება, ძველი მრწამსი ახალი ძალით იფეთქებს.

ასე მოხდა, როცა პანგერმანიზმი ნაციონალ–სოციალიზმად იქცა. გერმანელმა ფილოსოფოსებმა, კულტურის მოღვაწეებმა, გენერლებმა შექმნეს ეს მოძღვრება, რასაც ამზადებდა ამ ერის დიდი ისტორია. მათ მოახერხეს ცოდნის ყოველ სფეროში, ხელოვნების ყოველ დარგში განსაკუთრებული წარმატების მიღწევა, ადამიანურ ურთიერთობათა რაციონალიზება, წესრიგისა და დისციპლინის შემუშავება. შემდეგ კი გაერთიანებაც შეძლეს.

გერმანელები 600 წელი ებრძოდნენ რომის იმპერიას და ბოლოს დაამხეს კიდეც. გერმანელი ტომები მოედვნენ მთელს ევროპას და არაერთი სახელმწიფო დაარსეს რომის იმპერიის ნანგრევებზე.

მათგან ერთმა – გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიამ XIX საუკუნამდე მოატანა. მისი მემკვიდრეა დღევანდელი ავსტრია.

გერმანული ტომები მონაწილეობდნენ საფრანგეთის (ფრანკები), ინგლისის (ანგლო-საქსები), იტალიის, ესპანეთის სახელმწიფოებრივ ფორმირებაში. მათი შთამომავლები არიან ნორვეგიელები, შვედები, ჰოლანდიელები, დანიელები, შვეიცარიელები.

გაერთიანებულ, ძლევამოსილ გერმანიას უნდა ეცხოვრა ვიწრო ევროპულ სივრცეში. მაშინ როცა ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ფრანგები ვრცელ კოლონიებს ფლობდნენ სხვადასხვა მატერიკზე; ენერგიისა და ინტელექტის სიჭარბე, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ტერიტორიის სიმცირე აიძულებდა საზღვრების გაფართოებას (ძველი პაროლი – „Drang nach osten“).

პანგერმანიზმი ამკვიდრებდა ოდინის ძეთა განსაკუთრებულ მისიას. ამ შეგნებით იყო გაჟღენთილი არა მხოლოდ ინტელექტუალი ან გენერალი, არამედ – რიგითი გერმანელიც. საკუთარი უპირატესობის შეგნება იძლეოდა ბიძგს მოქმედებისათვის. როცა ეს განცდა დოქტრინად იქცა და გადავიდა პოლიტიკაში, ომი გარდაუვალი იყო.

XX საუკუნეში გერმანიამ გადაიხადა ორი უდიდესი ომი, ორი მსოფლიო ომი. არნახულ დანაშაულთან და სისხლისღვრასთან ერთად ისტორიას დარჩა სიმამაცისა და ინტელექტუალური გმირობის უამრავი მაგალითი. მათ ახალი გეზი მისცეს ცივილიზაციას.

პანგერმანიზმი იყო როგორც ევროპოცენტრიზმის განვითარება და დაკონკრეტება, ისე ამბოხი ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ (შდრ – კათოლიციზმი და ლუთერანობა, რომის იმპერია და გერმანული ტომები).

ევროპოცენტრიზმის ფუძე არის ელადა და რომი, ისევე როგორც პანგერმანიზმისათვის.

როგორც მკითხველმა იცის, ბერძნისა და რომაელისათვის ყველა არათვისტომი, ყველა უცხოელი იყო ბარბაროსი – ქვესკნელში მცხოვრები. შუასაუკუნეების ევროპელისათვისაც ევროპა იყო ქვეყნის ცენტრი, ევროპეიდული თეთრი რასა – უმაღლესი ღირსებისა, კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელი.

ამ მსოფლგანცდას განამტკიცებდა ქრისტიანული რწმენა, რათა დათრგუნული ყოფილიყო წარმართობა და ველურობა, მოძალებული მაჰმადიანობა, რომელიც ფეხს იკიდებდა ევროპის კონტინენტზეც.

ნეგროიდული და მონგოლოიდური რასები, ინდიელები ევროპელს მიაჩნდა დაბალი ღირსების ხალხებად, მაჰმადიანები – ურჯულოებად. ამის შედეგად თვლიდნენ თავიანთ ცივლიზაციურ უპირატესობას. ევროპეიდის რჩეულობის იდეა კი იყო სხვათა განადგურების, მოსპობის, დამონების, მათი მიწების მიტაცების გამართლება.

მოგვიანებით, როცა აღმოაჩინეს ძველი აღმოსავლეთი, ეგვიპტე და მესოპოტამია, ინდური და ჩინური კულტურები – ევროპა დაინტერესდა აღმოსავლეთით. შემდეგ აფრიკული და ამერიკელ ინდიელთა ცეკვისა და სიმღერის რიტმები, მითები და ლეგენდებიც შემოიჭრა. ამან თითქოს შეავსო ევროპელის მგრძნობელობა და თვალსაწიერი, რათა დაეძლია ცივი რაციონალიზმი.

ევროპელები ერთმანეთის სისხლს ღვრიდნენ, ერთმანეთს სტაცებდნენ ტერიტორიებს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მაგრამ აზიელების თუ აფრიკელების მიმართ ერთსულოვანი იყვნენ, რომ ისინი ცივილიზაციის დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში განათლება და კულტურა ევროპას უნდა შეეტანა. შემდეგ, როცა აღმოჩნდა შორეული წარსული, როცა გაეცნენ დაპყრობილ ხალხთა ცხოვრებას, შენელდა ანტაგონიზმი. ხოლო ევროპოცენტრიზმის კრიზისმა გააცხოველა ინტერესი ორიენტალური სამყაროსადმი, აფრიკულ და ინდიელ ტომთა მოტივებისადმი, რათა ეპოვნათ დაკარგული მიწიერი საწყისი.

ევროპოცენტრიზმი გლობალურ მოვლენად აქციეს გერმანიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც ლამის მსოფლიო იმპერია შექმნა და ყველგან გაავრცელა ინგლისური ენა, ანგლიკანური ეკლესია, ევროპული ცხოვრების წესი.

მაგრამ ბრიტანული კოლონიალიზმი ხიშტებზე იდგა. როგორც კი გაბატონდა ლიბერალური ღირებულებები, დაიშალა კიდეც. ოღონდ სწორედ ლიბერალიზმის წყალობით აღიარებენ დღესაც მთელი რიგი ქვეყნები (მაგ., კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) თავიანთი სახელმწიფოს მეთაურად დიდი ბრიტანეთის დედოფალს.

ევროპოცენტრიზმის ზეობას განამტკიცებდა კულტურა, ქრისტიანობა, ლიტერატურა და ხელოვნება, მუსიკა და ფილოსოფია, ცხოვრების წესი.

სსრკ აკრიტიკებდა ევროპოცენტრიზმს, დასავლეთის ქედმაღლურ დამოკიდებულებას აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათი კულტურისადმი (მაგ., შალვა ნუცუბიძე თავის წიგნს „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ მიიჩნევდა ევროპოცენტრიზმის დაძლევის ცდად).

ზოგი მოაზროვნისათვის კაცობრიობის ისტორია – ეს მხოლოდ ევროპეიზმის ისტორიაა.

დღეს ევროპულ კულტურას არ სჭირდება ძალდატანებით გავრცელება. მისკენ თავისთავად ისწრაფიან სხვადასხვა კონტინენტის შვილები, აღიარებენ მის უპირატესობას, ცივილიზაციურ ღირებულებას და ლიბერალური ევროპა ნელ-ნელა გახდა ადამიანური ცნობიერების უნივერსალობის სინონიმი.

ქართველობაც ყოველთვის ესწრაფოდა ევროპასთან სიახლოეს. IV საუკუნიდან. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, დასავლეთს ქართველთა თვალში ბიზანტია განასახიერებდა. მაგრამ მანამდეც, ჯერ ბერძენი, შემდეგ – რომაელი იყო განათლებისა და კეთილშობილების სინონიმი.

პარალელურად მძლავრობდა ირანული კულტურის ზეგავლენა, რაც დროდადრო სძლევდა ელინურ-რომაულს. მაგრამ IV საუკუნიდან ერთადერთი ნებაყოფლობითი ორიენტირი იყო ბიზანტია. აქ გადამწყვეტი იყო ჯერ დიოფიზიტური, შემდეგ – მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

საქართველო დაიშალა მას შემდეგ, რაც დაეცა კონსტანტინეპოლი, გაწყდა კავშირი ქრისტიანულ ევროპასთან.

შემდეგ გამოჩნდა ახალი იმედი – რუსეთი, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია, ყოფილიყო მესამე რომი: ეგებ რუსეთს შესძლებოდა მაჰმადიანური ექსპანსიის შეჩერება.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო საბოლოოდ დაუბრუნდა ქრისტიანულ დასავლეთს და მისი ერთადერთი ორიენტირი გახდა ევროპა, ევროპული სულიერი იდეალები.

ანთროპოლოგიურად, რწმენით, ისტორიით, გეოგრაფიულად საქართველო არის ევროპის ნაწილი და მის მომავალსაც განსაზღვრავს ევროპასთან ყოფნის პერსპექტივა.

ევროპოცენტრიზმს განუდგნენ სლავიანოფილები. მათ მიიჩნიეს, რომ რუსეთს ევროპისაგან განსხვავებული გზით უნდა ევლო, რათა განემტკიცებინა თვითმყოფადობა (რუსული პატრიარქალობა, მართლმადიდებლობა, კონსერვატიზმი), რასაც ზოგი ევრაზიულ კულტურას უწოდებს (ნიკოლაი ტრუბეცკოი).

ისინი უპირისპირდებოდნენ „ზაპადნიკებს“, ,,მედასავლეთეები'', რომლებიც ხსნას ისევ ევროპისაგან ელოდნენ.

ევროპოცენტრიზმის გაშლაა მასონობა, სიონიზმი და სოციალიზმი.

მასონობა ფარულად ესწრაფოდა ჰუმანისტური იდეალებით კაცობრიობის გაერთიანებას, ნაციონალიზმის დაძლევას და განდობილთა მიერ მსოფლიო მმართველობას. ამ იდეას იზიარებდა მრავალი მოაზროვნე (მაგ., ვოლტერი, ლესინგი, ფიხტე, მოცარტი, ჩერჩილი).

მასონობა იყო განმანათლებელთა ეზოტერული იდეების პრაქტიკაში გადატანის ცდა. ისინი თავიანთ ისტორიას უკავშირებდნენ სოლომონის ტაძრის მშენებლობას იერუსალიმში, ტამპლიერებისა და როზენკროიცერების რაინდულ ორდენებს. მასონობა თავისუფალ ქვისმთლელთა საძმოდ იწოდებოდა და ამიტომ აქცევდნენ არქიტექტურას განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ ეწადათ მისტიკური სიბრძნითა და განათლებით კაცობრიობა ექციათ ერთ ოჯახად; როგორც ქვები ცემენტით, ისე შეედუღებინათ ერები და ხალხები.

სიონიზმი ებრაული ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომლის მიზანი იყო ყველა იუდეველის დაბრუნება აღთქმულ მიწაზე, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი ჩანდა, სიონისტები ცდილობდნენ ყველა ქვეყნის მთავრობაში შეღწევას, ამ ხერხით მსოფლიოს

იდეოლოგიურ გაერთიანებას (შდრ – ლენინის მთავრობა და პერმანენტული, მსოფლიო რევოლუციის იდეა).

ამ მხრივ სიონიზმი ენათესავება მასონობას. მათვე უკავშირდება სოციალიზმი. ისიც ერთი იდეოლოგიით ცდილობდა კაცობრიობის გაერთიანებას და საამისოდ ირჩევდა რევოლუციის გზას, სოციალური პრობლემების ძალისმიერ გადაჭრას, ჩაგრულთა ხსნას.

იგი ინტერნაციონალურ მოძრაობად ითვლებოდა.

მარქსისტები ოცნებობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებაზე. კლასთა თანასწორობაზე, მჩაგვრელთა ლიკვიდირებაზე, ამქვეყნიურ სამოთხეზე, რომელსაც კომუნიზმი ერქვა.

თითქოს არც აინტერესებდათ კონკრეტული ერის ბედი.

ამ მიზნით შეიქმნა I, II, III, 2 1/2, IV ინტერნაციონალი. მათგან განსხვავდება სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელმაც უარი თქვა მარქსისტულ იდეოლოგიაზე.

ოციანი წლების ბოლშევიკები ებრძოდნენ პატრიოტებს, სამშობლოს ისტორიას, ოჯახს, სიყვარულს, მშობლიურ კულტურას, რელიგიურ რწმენას, ტრადიციებს, საზღვრების ურღვევობის პრინციპს, ე.ი. ჰგავდნენ დღევანდელ გლობალისტებს.

ისინი თავს მიიჩნევდნენ ინტერნაციონალისტებად და ამიტომ კრძალავდნენ რომელიმე ერის უპირატესობის ქადაგებას ან ეროვნულ დისკრიმინაციას.

ასევე განურჩეველი იყვნენ რასებისადმი.

მათ ინტერნაციონალიზმი გააიგივეს კოსმოპოლიტიზმთან (შდრ – ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სსრკ ეომებოდა მესამე რაიხს. მაგრამ გერმანული ენა და კულტურა დიდად იყო დაფასებული საბჭოეთში. არც გერმანული სახელმწიფოებრიობა დამდგარა ეჭვქვეშ, მაგრამ სსრკ ქმნიდა სოციალისტურ კულტურას, რომელიც მკვეთრად იდეოლოგიური იყო და არ ცნობდა შემოქმედის თავისუფლებას.

შემდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გადაფარა რუსულმა შოვინიზმმა, რუსი გახდა „უფროსი ძმა“. კომუნიზმის იდეა იქცა კონკრეტული ერის იდეოლოგიად, რათა ასე გაბატონებულიყვნენ მსოფლიოში (მაგ., რუსეთი და ჩინეთი).

გლობალური მსოფლიოს მოდელი იყო სსრკ, რომლის გავრცობა ვერ მოხერხდა არათუ კაპიტალისტურ სამყაროზე, არამედ – სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზეც კი (მაგ., იუგოსლავია).

სოციალიზმს რუსეთში დახვდა პანსლავიზმი, ოცნება რუსი ხალხის მესიანიზმზე. ჩინეთში იგი იქცა ჩინოცენტრიზმად, რომელმაც დაიწყო გრძელვადიანი, მსოფლიოს დემოგრაფიული, უსისხლო დაპყრობა, რათა თავისი მილიარდნახევრიანი მოსახლეობით შეძლოს მსოფლიოს დამორჩილება, შემდეგ კი სულაც მონგოლოიდად გარდაქმნას ადამის მოდგმა.

ჩინეთის კანონმდებლობა ზღუდავს ერთზე მეტი შვილის ყოლას. ამიტომ ჩინელები მიდიან საზღვარგარეთ და იქ მრავლდებიან. მაგ., ერთხანს ისინი საკმაოდ იყვნენ საქართველოშიც.

საზღვარგარეთ დამკვიდრებისა და გამრავლებისათვის ჩინელები თავიანთი ხელისუფლებისაგან ღებულობენ დახმარებას, შეღავათიან კრედიტებს.

ევროპოცენტრიზმის ნაირსახეობად მიაჩნიათ ამერიკანოცენტრიზმი. მაგრამ ეს იყო ადრე. კარგა ხანია ამიერკანოცენტრიზმი ამერიკას თვლის კულტურისა და ცივილიზაციის ციტადელად, რომელიც ქმნის ახალ, განსხვავებულ კულტურას.

აშშ-ის მოსახლეობის 20-20 პროცენტს შეადგენენ ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელები. ამ ქვეყნის ენაა გერმანიკული ჯგუფის ინგლისური. მაგრამ დრო მას აცილებს მშობლიურ ძირს და თანდათან გამოიკვეთა ამერიკული ვარიანტი. ჩამოყალიბდა ამერიკელი ერი, რომელსაც ევროპასთან უკვე მხოლოდ წარმომავლობა აკავშირებს. ამერიკელებმა საუკუნეთა მანძილზე შექმნეს ზეძლიერი სახელმწიფო ახალი ტრადიციებით, ინტერესებით, თავისუფლების პრინციპებით და ახლა თავად განსაზღვრავენ სამყაროს მდინარებას. ამიტომ უწოდებდა ფრ. ნიცშე ამერიკას „ევროპის ქალიშვილს“.

თავიდან არც არავინ ხედავდა განსხვავებულ ამერიკანისტულ სწრაფვას. მაგრამ ამერიკული ცივილიზაცია წინ გაიჭრა, ცათამბჯენებით ზეცას დაემუქრა, დოლარით მსოფლიო ბაზარი დაიპყრო და შემდეგ გაჩნდა კითხვა ამერიკული კულტურის თვითმყოფადობაზეც.

ევროპელებს თუ სტანჯავთ სევდა წარსულზე, ამერიკული რომანტიკა მომავალზე ოცნებაა, რომელსაც არ სჭირდება ჰამლეტის ნაღველი.

ამერიკელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ინტელექტუალები თვლიან, რომ სწორედ მათ ხვდათ წილად, რომ დედამიწაზე საბოლოოდ დაამკვიდრონ მშვიდობა და კეთილდღეობა, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპები, ბოლო მოუღონ ერებს შორის გაუთავებელ შუღლსა და კონფლიქტებს.

ახლა ისინი გამოდიან ბებერი ევროპის მხსნელის როლში. ამერიკის რევოლუციას ადარებენ ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლას, ჯორჯ ვაშინგტონს – მოსეს. ქმნიან თავიანთ ნაციონალურ მითს, რომლის მთავარი თარიღებია – დამოუკიდებლობის დღე, ვაშინგტონის დაბადების დღე, მადლიერების დღე.

„ამერიკული ოცნებაა“ (შდრ – „ქართული ოცნება“), რომ აშშ გახდეს ამქვეყნიური სამოთხე. ამას აღწევენ კიდეც ცივილიზაციის ტრიუმფით, საყოველთაო კეთილდღეობით, სამხედრო ძლიერებითა და ადამიანის უფლებათა დაცვით.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ისინი არიან მათი შთამომავალნი, ვინც ეძებდა თავისუფლებას ამ მიწაზე. მათ ეს შეძლეს და ახლა ისინი არიან თავისუფლების მისიონერები. მიწა, რომელიც პოვეს მათმა წინაპრებმა, იყო ველურებით დასახლებული, მწირი და უდაბური. მათ აითვისეს ეს უცხო კონტინენტი, რომელსაც მიაგნო ქრისტეფორე კოლუმბმა. გაწმინდეს იგი და გამოავლინეს ადამიანის გონის ახალი პოტენციალი.

მაგრამ ასპარეზზე გამოვიდა ახალი იდეოლოგიაც – ეს არის აფროცენტრიზმი.

აფრიკა ფაქტიურად ამერიკის შემდეგ აღმოაჩინეს და აითვისეს. მანამდე იცნობდნენ მხოლოდ ნილოსის აუზსა და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლს. შემდეგ, როცა განვითარდა ტექნიკა, დაიწყეს ოკეანისა და უდაბნოს ძლევა.

აფრიკა თეთრი კოლონიზატორების ხელში აღმოჩნდა. შავკანიანი მოსახლეობა მონად აქციეს. ისინი, როგორც პირუტყვი, ისე გადაჰყავდათ ამერიკის კონტინენტზე და იქაც სასტიკად ექცეოდნენ.

მხოლოდ 150 წლის წინათ აიკრძალა მონობა. მაგრამ შემდეგაც გაგრძელდა ზანგების დისკრიმინაცია.

II მსოფლიო ომის შემდეგ გაიღვიძა „შავმა კონტინენტმა“, დალეწა ბორკილები და თავისუფლებას ეზიარა. შავკანიანები თეთრების სიძულვილს სიყვარულით ვერ უპასუხებდნენ. თავისუფლებისაკენ სწრაფვამ მათ წიაღში მოამწიფა ნეგრიტიანული ნაციონალიზმი.

შავკანიანები სწავლობდნენ ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, რუსულს, სწავლობდნენ ევროპის, ამერიკის, სსრკ-ის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტი მოსკოვში), იძენდნენ ცოდნას, ქმნიდნენ თავიანთ ინტელიგენციას (მაგ., ლეოპოლდ სენგორი, სენეგალის პირველი პრეზიდენტი, პოეტი და ფილოსოფოსი, აფროცენტრიზმის იდეოლოგი, წლების მანძილზე იყო საფრანგეთის მთავრობის მინისტრი).

მათ არ იკმარეს თანამედროვე შავკანიანთა განფენის რუკა და თავიანთ რასას მიაკუთვნეს სემიტებიც – ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბაბილონელები.

ასე შეიქმნეს ისტორიული საყრდენი, თუმცა აფროცენტრიზმის პირველი იდეოლოგები იყვნენ ამერიკელები – ბლაიდენი და კრამელი, გერმანელი ფრობენიუსი.

აფროცენტრისტები დაუპირისპირდნენ ევროპოცენტრისტებს, განასხვავეს ეს ორგვარი მგრძნობელობა და აზროვნება, გამოარჩიეს აფრიკული კულტურის სპეციფიკა, როგორც ბუნებრივი და მიწიერი. თუ ევროპელი უპირისპირდება ობიექტს, კლავს და სპობს, აფრიკელი არ სცნობს დისტანციას. იგი ბუნების შვილია, ცხოვრობს ობიექტთან ერთად და არ ებრძვის მას; მთელი სხეულით განიცდის სამყაროს რიტმს და ეს კოსმიური შეგრძნება აწყნარებს ნერვებს. იგი ვლინდება როგორც როკვა და სიმღერა, მუდმივი მოძრაობის რიტმი.

ზოგი თვლის, რომ აფრიკა არის არა კონტინენტი, არამედ – კონცეფცია, რომ აფრიკის გაგრძელებაა მანჰეტენის გეტოები და ლონდონის გარეუბნები. კარიბის კუნძულები და რიო-დე-ჟანეიროს კვარტალები.

აფროცენტრიზმი პერსპექტივაში თავს მიიჩნევს მომავლის კულტურად, ეს მაშინ, როცა ამერიკანიზმი დღევანდელობაა, ხოლო ევროპეიზმი დაბერდა და დაისს მიუახლოვდა.

აზიოცენტრიზმის განშტოებებია არაბული ნაციონალიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, პანთურქიზმი.

ამ ჭიდილში, კონკურენციასა და დაპირისპირებაში გამარჯვებულია გლობალიზაციის ამერიკული მოდელი, რომელმაც ყველაზე ეფექტურად შეაერთა ძალა, გონი, ეკონომიკა, ტექნოლოგია, იდეოლოგია, მთელს მსოფლიოში გადაანაწილა თავისი კადრები და ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც ახალი რომი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ (ზ. ბჟეზინსკი, ჰ. კისინჯერი).

ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი

ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი იდეოლოგიისა და ძალდატანების გარეშეც აახლოებს ერებსა და სახელმწიფოებს. ეს არის ნელი, ბუნებრივი გარდაუვალი პროცესი, რომლის მიზანია სახელმწიფოთა ჰარმონიული, კეთილმეზობლური თანაარსებობა. მაგრამ „აგრესიული გლობალიზმი“ ამ სტიქიური მიმდინარეობის მართვას ცდილობს, რასაც მივყავართ დაჩქარებულ უნიფიკაციამდე.

„აგრესიული გლობალიზმის“ არსი ამერიკული ცენტრიზმია, რომელიც აშშ-ის სახელმწიფოებრივი ძლიერებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით არეგულირებს მიმდინარე პროცესს.

ტექნიკა და ეკონომიკა არის საყრდენი თანამედროვე დემოკრატიისა და პოლიტიკისათვის. წარმოება და ბაზარი შეუმჩნევლად აახლოებს ადამიანებსა და სახელმწიფოებს, როგორც საარსებო ინტერესების რეალიზება, რომელსაც ახლავს როგორც წარმატება, ისე მარცხი. მწარმოებელს სახელმწიფო და კანონები სჭირდება, რათა ხელი არ შეეშალოს. იგი თავისი პროდუქციით, თავისი ნაწარმით არჩენს და ავითარებს საზოგადოებას.

სახელმწიფოს სიძლიერეს კი განსაზღვრავს ეკონომიკა. მეწარმე ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს, ეძებს იაფ ნედლეულსა და მუშახელს. ამიტომ წარმოება გადააქვს სხვა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ეს არის ორმხრივი მოგება – ბიზნესმენი, ინვესტორი ავითარებს თავის წარმოებას, ხოლო ქვეყანა, სადაც იგი აგებს ფაბრიკა–ქარხნებს, ეცნობა და ეუფლება ახალ ტექნოლოგიებს, ღებულობს მეტ მატერიალურ ანაზღაურებას, ყიდულობს უახლეს საქონელს, ამოიწევა ჩამორჩენილი ერონული ეკონომიკა.

ბიზმესმენი კი გადადის ისევ ახალ გარემოში, იმატებს ახალ ობიექტებს, სადაც ფულს დააბანდებს, აითვისებს ბაზრებს. ამის შედეგად კი ყალიბდება საწარმოო და სავაჭრო საერთაშორისო ქსელი. ბანკები, კომპანიები, ფირმები, კონცერნები, კარტელები ეუფლებიან მთელ მსოფლიოს, აარსებენ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს. მაგ., „სტანდარტ ოილ ოვ ნიუ-ჯერსი“, „კრაისლერი“, „ფორდი“, „ნესტლე“, „როიალ დაშჩელი“, „იუნილევერი“, „ლევი შტრაუსი“, „ერიქსონი“, „სიმენსი“, „გრიუნდიკი“, „ფილიპსი“, „ჰიტაჩი“... ეს სახელები ის სიგნალებია, რაც ყველამ იცის და ეს ცოდნა აერთიანებს ადამიანთა ინტერესებს, როგორც პაროლი.

მათი წარმატება ხელს უწყობს საერთო პროგრესსა და კეთილდღეობას, ჩნდება მეტი მოთხოვნა, დაკმაყოფილების საშუალება, წარმოების გაფართოების პერსპექტივა, რითაც იქსელება გლობალური სისტემა.

ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ მიმართულებად მიიჩნევენ საერთაშორისო ვაჭრობას, ფინანსურ ოპერაციებსა და წარმოების ფაქტორებს.

წარმოებისათვის აუცილებელია ნედლეული. მაგრამ დღეს მთავარია მისი მაღალტექნოლოგიური გადამუშავება. ამიტომ რუსეთი, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ ბუნებრივ ნედლეულსა და სასარგებლო წიაღისეულს, დიდად

ჩამორჩება იაპონიას, რომლის წარმოება თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური გლობალიზაციაც ემყარება ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და ცივილიზაციის მიღწევებს, მათი მონაცემების რაციონალურ გამოყენებას, რათა შესაძლებელი გახდეს მაქსიმალური წესრიგისა და კეთილდღეობის მიღწევა.

შრომა და შრომის ორგანიზაცია, უახლესი ტექნოლოგიები, დიზაინი, ვაჭრობა, მარკეტინგი აერთიანებს წარმოებისა და განაწილების სტადიებს.

ეკონომიკა არ არსებობს ბუნების, ბუნებრივი პირობების გარეშე, რაც გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებას. ინვესტორი, რომელიც მოდის ჩინეთიდან და საქართველოში აშენებს ელექტროსადგურებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ გარემოს, ნაკლებად იცავს ეკოლოგიურ წონასწორობას. ასევე იქცევა თურქიც, რომელიც ჭოროხზე აშენებს ჰიდროელექტროსადგურს. არც მას აინტერესებს, ამ მშენებლობის შედეგად დაზიანდება თუ არა ჭოროხის შესართავთან შავი ზღვის სანაპირო, სადაც მდინარე შლამს ვეღარ ჩაიტანს. აქ სიტყვას ამბობს სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია დაიცვას თავისი ტერიტორია, თავისი მოქალაქეები, მათი მომავალი.

დღეს, როცა არსებობს ერთიანი საინფორმაციო სივრცე, როცა კაცობრიობას კი არ თიშავს, არამედ – აერთიანებს ზღვა, ჰაერი და ხმელეთი, როცა შეიძლება სახლების, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების სწრაფი და ეფექტური მშენებლობა, სწრაფი გადაადგილება, სწრაფი ფულადი მიმოქცევა – ტექნიკური პროგრესი არის ეოკნომიკური პროგრესის საფუძველი.

კაპიტალი და ფინანსები გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში, სძლევს დაბრკოლებებს, უეცრად თავჩენილ კრიზისებს, ეგუება ახალ-ახალ კანონებს, უძლებს დაბეგვრის განსხვავებულ წესებს, ზრდის დასაქმებულთა რიცხვს, ზრდის ხელფასებს, შესაბამისად მატულობს პენსიებიც (პენსია შემოიღო ბისმარკმა, როგორც მოქალაქეობრივი სოლიდაროზით გამოხატული ანტიკაპიტალისტური ელემენტი).

ბიზნესის ცივილიზაცია ერთმანეთს ამგვანებს საწარმოებს, მაღაზიებს, არქიტექტურას, კინოხელოვნებას, ტელევიზიას, ესტრადას, ფერწერულ კომპოზიციებს, ქალაქებსა და ქვეყნებს. მაგ., თითქოს ამერიკის გაგრძელებაა იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, დუბაი, კუვეიტი...

როცა ბაზარი ღიაა, არის თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობა, რასაც მოსდევს გლობალიზაცია, ნებაყოფლობითი კავშირები, ურთიერთგაცნობა.

მსოფლიოს აერთიანებს ინტერნეტქსელი, თანამგზავრული სატელევიზიო სისტემა, საფონდო ბირჟები, საკრედიტო ბარათები, დოლარი და ევრო, ინგლისური ენა.

ამ პირობებში სრულად რეალიზდება სმითის, რიკარდოს, მარქსის თეორიები. მარქსისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ეკონომიკას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზრის შექმნას, რომლითაც უნდა მიაღწია მსოფლიო პროლეტარიატის კეთილდღეობისა და ერთიანობისა. ამისათვის იქმნებოდა ინტერნაციონალები, პარტიები, ხდებოდა რევოლუციები, შეიარაღებული ინტერვენცია და რეპრესიები. ძალადობით გარეკვა აღქმული ქვეყნისაკენ.

კომუნიზმი იყო მარქსისტული გლობალიზაცია, რაც მიუღებელი დარჩა.

ზოგი თვლის, რომ დღეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებობს არა გლობალიზაცია, არამედ – ინტერნაციონალიზაცია. ამჯერად ტერმინებს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ყალიბდება მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, რომელიც იოლად გადადის საზღვრებზე. იოლად აღწევს მახლობელ თუ შორეულ სახელმწიფოებში; ერთმანეთს ეხლართება უამრავი ბანკი, ფირმა და საწარმოო, რომლებიც რეგისტრირებულია მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში.

მათი კონკურენტუნარიანი პროდუქცია იჭრება ყველა კონტინენტზე. ადამიანი იძულებულია შეასრულოს მსოფლიო ბაზრის კანონები, დაემორჩილოს მათ.

იაფი და მოდური საქონელი სდევნის ადგილობრივ ნაწარმს, ანგრევს ეროვნულ ეკონომიკას და, სურს თუ არა, საზოგადოებას აქცევს გლობალიზაციის ტყვედ.

მკვეთრად ირღვევა იმპორტ-ექსპორტის ბალანსი.

ასე ხდება კულტურაშიც. მაგ., ჩვენ გაცილებით მეტს ვიღებთ ევროპული თუ ამერიკული კულტურიდან, ვიდრე გაგვაქვს ან ვქმნით.

ასეთი ცალმხრივი კონტაქტი აჩქარებს დამსგავსებას, არღვევს თავისთავადობას. მაგ., ჩვენი მოდერნისტები გატაცებული იყვნენ ევროპული კულტურით, აითვისეს მათი გამოცდილება და შეუფარდეს ქართულ სინამდვილეს. მაგრამ ამას არავითარი ინტერესი ევროპაში არ მოჰყოლია, არც მაშინ, როცა ბოლშევიზმი მათ მოსპობით დაემუქრა.

ეს იყო როგორც ევროპოცენტრიზმის გამოვლენა, ისე ჩვეულებრივი პრაგმატიზმი: როცა თარგმნიდნენ და დიდი ტირაჟით ბეჭდავდნენ, დიდად მადლიერი იყვნენ; როცა ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები გამოდიოდნენ, დარბაზი ტაშით ინგრეოდა, იბეჭდებოდა აღტაცებული რეცენზიები, მაგრამ რამდენიმე დღეში ეს არავის ახსოვდა (გავიხსენოთ ქართული დოკუმენტური ფილმი „მსოფლიო ტაშს უკრავს“).

ადამიანი მუდამ ოცნებობდა, რომ მეტი სარგებელი მიეღო ნაკლები შრომით, უმცირეს ძალთა ხარჯვით.

ამას აღწევენ უახლესი ტექნოლოგიები.

მაგრამ პროდუქციის სიუხვე, ჭარბწარმოება იწვევს გაუფასურებას, ინფლაციას, უმუშევრობას, რომელსაც აღარა ააქვს ლოკალური სფერო.

გლობალიზაციის განმსაზღვრელია წარმოება და ბაზარი. მაგრამ კრიზისსაც წარმოშობენ, რომლის რეგულირება უჭირს ძლიერ სახელმწიფოსაც. ასე რომ ნაციონალური სახელმწიფო აწყდება მრავალ ბარიერს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან. მას უწევს სტრუქტურის ტრანსფორმირება, რათა გაითვალისწინოს მრავალგვარი ინტერესები, უწევს ლავირება, რათა აიცილოს კონფლიქტები და მიაღწიოს წარმატებას. მაგ., საქართველოში ეს გაკეთდა სახელმწიფო საკუთრების უცხოური კომპანიებისათვის მიყიდვით, მათი ინვესტიციებისათვის შეღავათიანი პირობების შექმნით, სხვადასხვა სახის კრედიტების მიღებით.

სახელმწიფო ხდება მსოფლიო ეკონომიკის განუყრელი ნაწილი, რომლის რყევა მკვეთრად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე, ხოლო წარმატება – ნაკლე-

ბად. ამიტომ უწევს სახელმწიფოს ფუნქციების, სუვერენიტეტის, მიმართებათა სისტემის სახეცვლა.

ადამიანი მართავს მანქანას, ცოცხალ ორგანიზმს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, მართავს სხვადასხვა ხერხებითა და ბერკეტებით, მართავს ცალკეულ ტენდენციებს; სასურველს უქმნის უკეთეს პირობებს, რათა გამოიყოს, გამოირჩეს, როგორც კონტრკულტურა.

ასე ხდება გლობალიზაციის მიმართაც.

ზოგი თვლის, რომ იდეოლოგიების შეჯახება შეცვალა ცივილიზაციების შეჯახებამ (მაგ., ს. ჰანთინგტონი). მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი ამ სიმწვავესაც გაანელებს.

გლობალიზაციამ გარდაქმნა საზოგადოება და სახელმწიფო, პიროვნება და კულტურა. მეტ-ნაკლებად ეს პროცესი შეეხო ყველა ქვეყანას, მაგრამ ყველაზე გლობალიზებულად მიაჩნიათ სინგაპური და ბელგია.

ენა – ბარიერი

გლობალიზაციას, ხალხების დაახლოებას, ხალხთა კავშირს ყველაზე მეტად აბრკოლებს ენა. ეს არ არის ბარიერი ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტისათვის. მაგრამ ელიტა საზოგადოების უმცირესი ნაწილია, ხოლო მასები – მილიარდები. უდიდესმა ნაწილმა იცის მხოლოდ მშობლიური ენა, ენების რიცხვი კი, როგორც ადრე ვთქვით, ათასობითაა. ამას ერთვის დიალექტების სიმრავლე, რაც ხდება ადამიანთა გაუცხოების მიზეზი.

ელიტამ ეს იცის და ტოლერანტულია ენობრივი განსხვავებისა და სიმრავლის მიმართ. მაგრამ მასა მტკივნეულად რეაგირებს, რადგან ენა არის კომუნიკაცია, როცა არ გესმის ენა, კონტაქტს ვერ ამყარებ, სხვას ვერ უგებ, სხვა ვერ გიგებს, რასაც მოსდევს კონფლიქტი და გათიშვა.

ამიტომაც აურია ენა უფალმა ბაბილონის გოდოლის მაშენებლებს. ახალი გოდოლი რომ აღიმართოს, საჭიროა თანხმობა ანუ ერთი ენა. რაც უნდა ამტკიცო, რომ ინგლისური არის საერთაშორისო ენა და მისი მეშვეობით ყველა შევძლებთ საერთო კომუნიკაციის შექმნას, მაინც არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, ინგლისური იცის მცირე ნაწილმა, თანაც – არა მშობლიურზე უკეთ. ახლო მომავალში არც არის პერსპექტივა, რომ იგი მშობლიურის ტოლფასად ეცოდინება საზოგადოების საგრძნობ ნაწილს.

თავად ინგლისში საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო ენა იყო ფრანგული ანუ ენის გავრცელების ლოკალს განსაზღვრავს ქვეყნის ძლიერება.

დღეს ევროკავშირს აქვს სამი სამუშაო ენა – ინგლისური, გერმანული და ფრანგული.

ელიტა დამთმობია, ლოიალური და მერყევი – თავისი ცოდნის გამო, მაგრამ მასები ინსტინქტურად ერთგულობენ მშობლიურსა და პირველხილულს, მას რაც იციან, მას, რასაც იცნობენ. არადა – მათ ცოტა იციან, მცირე რამეს იცნობენ. ეს არის კონსერვატიზმის საყრდენი, ეს არის დამცავი ჯავშანი.

კომპიუტერია, ინდუსტრია, პოლიტიკა, ესტრადა, ტელევიზია უფრო და უფრო ავრცელებს ინტერნაციონალურ ლექსიკას, სინტაქსურ ფორმებს, ავრცე-

ლებს ქალაქად და სოფლად, სახლებსა და ქოხებში, მოხუცის თუ ყმაწვილის ცნობიერებაში. მას მოაქვს საერთო განწყობილება, რაც შეუმჩნევლად ამცირებს მშობლიურ წარმოდგენებს. ენას ეძალება ბარბარიზმი, შერყვნილი ფორმები. მათი მოგერიება შეუძლებელია, იმდენი უხილავი ნასვრეტიდან იჭრებიან ისინი. ისინი მოჰყვებიან ცივილიზაციას, ტექნიკის ტრიუმფს, ახალ საგნებს. მათ ყველა ეტანება – კომფორტი, კარგი ცხოვრება, კარგი ბინა და მანქანა ყველას უნდა. ტექნიკური პროგრესი ყველაფერს აერთიანებს. ყველაფერს ათანასწორებს.

შეუმჩნევლად, ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა იცრიცება მშობლიური წარმოდგენები, საგნები და სიტყვები, იცრიცება და ხელიდან გვეცლება.

რაც უფრო წინ მიდიხარ, მით მეტად სწყდები მშობლიურ ძირებს და უერთდები იმ ერთგვაროვნებას, რასაც ადრე კოსმოპოლიტიზმი ერქვა. მაშინ ეს იყო მომავლის ნაადრევი დაწყება და აშკარა დაპირისპირება ნაციონალურ სულთან. დღეს ყველგან ერთნაირი სერიული გარემო მზადდება და ამ გათქვეფის პროცესს ყველაზე მკვეთრად აკავებს ენა, არა მხოლოდ ჩამორჩენილი, არამედ – მაღალკულტურულიც.

მაგ., ჩინელი არ დათმობს თავის მეტყველებას, არ გადავა ინგლისურზე. არც გერმანელს, ფრანგს ან ესპანელს ექნება სურვილი, რომ ერთი რომელიმე ენა გაბატონდეს. მხოლოდ ჩინელი და ამერიკელი ოცნებობს ერთი ენით მსოფლიოს ამეტყველებაზე. ეს უკავშირდება ამ ქვეყნების როგორც წარმატებას, ისე დემოგრაფიულ ექსპანსიას და კაცთა მოდგმის ერთად ყოფნის პერსპექტივას. ეს პერსპექტივა როგორი იქნება, დღესაც ბუნდოვანია, ისევე როგორც კომუნიზმის განთიადი. მაგრამ სახელმწიფოები და ერები რომ იცვლებიან, ეს ყველასათვის აშკარაა. იცვლებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთმანეთს ემსგავსებიან.

ამ ერთად ყოფნის გზაზე, როცა ყველგან ერთნაირი ბინა, მანქანა ავეჯი, პროსპექტი, შენობა, ტელეფონი და ტანსაცმელია, მაინც რჩება ურთიერთგამთიშველი ფაქტორი – ეს არის ენა. ეს იცოდნენ XIX საუკუნეში და ამიტომ ქმნიდნენ ხელოვნურ ენებს (მაგ., ესპერანტო, რომელიც 1887 წელს შექმნა ექიმმა ლ. ზამენჰოფმა).

ხელოვნურმა ენებმა ვერ გაამართლა, დიდ სახელმწიფოებს სულაც არ სურდათ საკუთარი დაეკარგათ, ბუნებრივი უარეყოთ და მინდობოდნენ იმ ექსპერიმენტს, რომელიც მასებს არ სწამდათ.

ენა არის გამაერთიანებელი ფაქტორი სახელმწიფოებრივ სივრცეში. სახელმწიფოს კი ქმნის ერთი ძირითადი ერი და მისი სახელი ეძლევა ქვეყანას. მაგრამ ქვეყნებს შორის კავშირისათვის იგი, როგორც უცხოობის საფუძველი, დაბრკოლებად იქცევა. ამგვარი დაბრკოლება, როგორც ჯავშანი, იცავს ერს, რათა შეინარჩუნოს თავისთავადობა და სხვებთან არ აღირიოს.

ამიტომ გლობალისტები ებრძვიან სახელმწიფო ენას და ცდილობენ მის დაკნინება-დანაგვიანებას. საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციაში ფიქსირდება სახელმწიფო ენად, მაგრამ კანონი ვერ მიიღეს. გაუქმდა ქართული ენის პალატა, სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისია, მკვეთრად შეიზღუდა უნივერსიტეტებში ქართული ენის სწავლების არეალი, პრესა და ტე-

ლევიზია ამკვიდრებენ მღვრიე, ბარბარიზებულ, ვულგარიზებულ მეტყველებას, ახალგაზრდა მწერლები – უხამს სტილს და ამას ამართლებენ სიტყვის თავისუფლებით (იხ. „უხამსი მწერლობა – მიზეზთა შედეგი“).

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტურია და სახელმწიფოებს ტიპოლოგიურად აერთიანებს. ენა ნაციონალური მოვლენაა და მისი ინტერნაციონალიზება მხოლოდ დიდი სიფრთხილით თუ შეიძლება. ჭარბი უცხო კონტაქტები ენას უკარგავს ექსპრესიას, მგრძნობელობას, იგი ვეღარ ითვისებს ახალ საგნებს და რჩება მხოლოდ კომუნიკაციის, გაგებინების საშუალებად.

ენა გაუცხოების მინიმუმს იძლევა ნაციონალურ სივრცეშიც. ეს არის დიალექტური მეტყველება, ეს არის იდიოლექტი. მაგრამ თვით გეოგრაფიული გარემოც ცვლის ენას (მაგ., ქალაქი და სოფელი, მთა და ბარი). ცვლის ინტელექტუალური გარემო, ზემოქმედებს პროფესიულ ინტერესები. ურბანული პუნქტების დაცილება (მაგ., თბილისში, ბათუმში თუ ქუთაისში განსხვავებული ინტონაციით, ლექსიკითა და აქცენტით საუბრობენ), ოჯახი, პიროვნების ფსიქიკა, ხასიათი, განათლება.

დირექტივებით ენას ვერცერთი დიქტატორი ვერ აკრძალავს. იგი იარსებებს მანამ, სანამ ცოცხლობს ამ ენის შემოქმედი ხალხი. მხოლოდ ერის ასიმილირება, გადაგვარება, აღრევა სპობს ან რადიკალურად ცვლის მეტყველებას. ამიტომ აქვს პირველადი მნიშვნელობა საზოგადოების ფორმირებას, ახალ მენტალიტეტს, სახელმწიფოს ტრანსფორმაციას (მაგ., სულხან-საბას „სიტყვის კონა“ გვაჩვენებს თუ რამდენად შეცვლილა ქართული ენა ბოლო 300 წლის მანძილზე).

არ არის იმედი, რომ განვითარებული ნაციონალური ენები გადაშენდებიან, თუნდაც უახლოეს ათასწლეულში. ამიტომ ავრცელებენ ინგლისურს, როგორც პერსპექტივაში მეორე სახელმწიფო ენას, როგორც ეს ხდებოდა სსრკ-ში რუსული ენის მიმართ (მაგ., რესპუბლიკების კომპარტიის ცეკა და სუკი ფუნქციონირებდა რუსულ ენაზე).

მათ კონკურენციაში წარმატება ელის ინგლისურს, რომელსაც აქვს დიდი სახელმწიფოებრივი, მატერიალური და კულტურული მხარდაჭერა. იგი ამოძრავებს გლობალიზმის მთელ არსენალს.

ინგლისური იქნება მსოფლიო საკომუნიკაციო საშუალება, როგორც მთავარი ენა გაეროსა და ევროსაბჭოში. მშობლიური ენა – შინ გამოსაყენებელი.

ასეთ როლს ასრულებს ჰუმანიტარებისათვის სემიოტიკა. იგი ინტეგრალური მეცნიერებაა, ისევე როგორც კულტუროლოგია და სწორედ ზოგადობისა და ტერმინოლოგიის გამო მიეცა პოლიტიკური დატვირთვა, ჩაერთო გლობალიზაციის პროცესში.

სემიოტიკა – სიმბოლურ – ნიშნადი ენა

მეცნიერული აზრის დიფერენცირება, დარგების განტოტვა მივიდა იმ ზღვრამდე, რომლის შემდეგ აუცილებელი იყო გამაერთიანებელი მოდელი. უამისოდ გაუცხოების ნაპრალი საბოლოოდ გათიშავდა ახალ ტენდენციებს, ძიება იქცეოდა თვითმიზნად.

ადრე ფილოსოფია იყო აზროვნების ფუძე. შემდეგ მას გამოეყვნენ ძირითადი მეცნიერებები, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ მათემატიკური. ფილოსოფიას შერჩა უზოგადესი კატეგორიები, აბსტრაქტული ცნებები. მან ახალი იმპულსი შეიძინა მაშინ, როცა სიცოცხლეს, ადამიანურ არსებობას მიაპყრო მზერა, მაგრამ ეს მაინც ვერ აკავშირებდა გათიშულ სფეროებს, იმდენად დიდი იყო დაყოფა და დაცილება.

საჭირო ხდებოდა გამაერთიანებელი ცნებებისა და კატეგორიების ძიება, რომელსაც წარმოქმნიდა მეცნიერების, პოლიტიკის თუ ხელოვნების პროგრესი. თავისთავად ყველა დარგი დეტერმინირებული იყო, მაგრამ ერთმანეთის არაფერი გაეგებოდათ. მაგ., ფსიქოლოგიაში გაჩნდა მრავალი სკოლა. ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებდა და ყოველი მათგანი რაღაც დოზით შეიცავდა ჭეშმარიტებას. მაგ., ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, განწყობის ფსიქოლოგია, ანალიზური ფსიქოლოგია, ხალხთა ფსიქოლოგია, შემოქმედების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია.

ყოველი მათგანი ისედაც ზოგადს ეძებდა. ხოლო ამ ზოგადთა ჯამი იქნებოდა უზოგადესი, რომელსაც თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. ასე მივიდა აზრის ძიება პოლიტოლოგიასა და კულტუროლოგიამდე. პარალელურად ასევე ხდებოდა ლინგვისტიკაში, ესთეტიკაში, ლიტერატურისმცოდნეობაში. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა კვლევის მეთოდის დამუშავება, კონცეფციის შექმნა, რომელიც მოერგებოდა კონკრეტულ მასალას, ამავე დროს – წარმოაჩენდა ფარულ კავშირებს, რაც მიემართებოდა ადამიანის გონს, ცნობიერების მოძრაობას.

ეს იქნებოდა გახედვა წარმოქმნილი დარგების მიღმა, მათი გაფანტვის შეჩერება და ახალი შეჯვარება, სინთეზი და ინტეგრირება.

ასე წარმოიშვა ჯერ სტრუქტურალიზმი, შემდეგ – სემიოტიკა – მოძღვრება ნიშანთა სისტემასა და მნიშვნელობაზე.

სემიოტიკა ისევე შეესატყვისება გლობალიზების პროცესს, როგორც ავანგარდიზმი და მასკულტურა, როგორც პოლიტოლოგია და კულტუროლოგია.

ჩარლზ პირსი ხაზს უსვამდა ნიშნის უნივერსალობას, ყოველი აზრი თუ ემოცია მიაჩნდა ნიშნად, როგორც საგნის პრედიკატი; ერნესტ კასირერისათვის ასეთი კოდი იყო სიმბოლო; ემილ ბენვენისტს ნიშანი მიაჩნდა სინამდვილის რეპრეზენპრირებად. თვით ნიშანს აქვს პოლივალენტური მნიშვნელობა, რასაც ნათლად ავლენს მხატვრული აზრი.

ერთი მხრივ, სემიოტიკა აღადგენს არქაულ სიმბოლურ ნიშნად ენას, ოღონდ ახალი ცნებებით, მეორე მხრივ – სწორედ ახალი, უნიფიცირებული ცნებებით, ერთიანი ტერმინოლოგიით ამკვიდრებს გლობალიზებულ აზროვნებას. იგი ხელოვნურია და სულს ვერ ეგუება, მაგრამ გამოხატავს ერთიანობის იდეას, რათა ასე დაიძლიოს ნაციონალური ენობრივი ბარიერი და მაქსიმალურად გახდეს ურთიერთმაკავშირებელი, როგორც აზრის, ისე მეტყველების დონეზე. მას აინტერესებს არა ესთეტიზმი ან წარმოდგენა საგანზე, არამედ – საგნის არსი, ამ არსთა კავშირი.

ამასვე ცდილობდა სტრუქტურალიზმი. მაგრამ სემიოტიკა უფრო დასცილდა ტრადიციას და შემოიტანა მეტი ტერმინოლოგიური პირობითობა, რომელსაც სიზუსტეს ანიჭებს ინფორმაციის მათემატიკური მოდელირება.

ნელ-ნელა გადავდივართ აბსტრაქციების სფეროში. ქურუმის ბნელმეტყველება და სიმბოლური ენა სულიდან ამოდიოდა. ამიტომ ინახავდა იდუმალებას. სემიოტიკოსი ინტელექტუალურ მანიპულაციებს გადმოსცემს უცხო ენობრივი მონაცემებით, რაც ვერ აღწევს სულის სიღრმემდე, რჩება გონების ველზე. ამიტომ აკლია მიმზიდველობა და დამაჯერებლობა. მას არ ჰმოსავს ღვთაების შარავანდედი და ადგას მხოლოდ ტექნიკის სინათლე. ტექნიკას კი ეშმაკეულ ემანაციად მიიჩნევენ, რომელიც საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ სულს ეუცხოება.

ყოველი მოცემულობა – სურათი, რიტუალი თუ ქცევა ზოგი სემიოტიკოსისათვის არის ტექსტი. მხატვრული ტექსტი მისი მხოლოდ ერთი სფეროა. მაგრამ არც ეს უდრის ტრადიციულ ლიტერატურას. იგი უფრო არტეფაქტია ანუ სემიოტიკა ეძებს ფარულ მაერთიანებელ კავშირებს ნიშანთა სახით, ქმნის სამეცნიერო ესპერანტოს, როგორც გლობალიზაციის შესატყვისს.

ასე შეცვალა ბუნებრივი ხელოვნურმა, გრძნობა – ინფორმაციამ, საგანი – ნიშანმა.

სემიოტიკა (მაგ., ფრანგული „ტელ კელის“ ჯგუფი) შეესაბამება ავანგარდისტულ ხელოვნებას. ამიტომ სამეცნიერო ინფორმაცია, ვულგარიზებული და გამარტივებული, გადააქვთ ლიტერატურაში, მხატვრობაში, კინოფილმებში.

სემიოტიკა ინტელექტუალური ელიტის სამეცნიერო ენაა. მასას კი, პირველ რიგში, მასმედია აძლევს გასაგები ენით სულიერ საზრდოსა და სატყუარს.

* * *

ამრიგად, იდეოლოგია, ტექნიკა, ეკონომიკა, არ სცნობენ განმასხვავებელ ნიშნებს, სახელმწიფოთა საზღვრებს, რასებად და ერებად დაყოფას, მოქმედებენ სხვადასხვა მიმართულებით და ესწრაფიან საბოლოო მიზანს – ერთიან, გლობალიზებულ კაცობრიობას.

როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად ხდება სახელმწიფოს ტრანსფორმაცია, საზოგადოების რეფორმირება და ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბება, შესაბამისად – კულტურის სახეცვლა: მასობრივის გავრცელება და ელიტარულის მასაში ჩაძირკვა.

✍ ვახტანგ დავითაია

ვარდების რევოლუციის არქიტექტურა

არჩევნების წინა პერიოდში თბილისელები საინტერესო ფაქტის მოწმენი გავხდით: ბინის კართან გვხდება ცელოფანში გახვეული სოლიდური ალბომი: ,,**ახალი საქართველო. ქართული არქიტექტურა ვარდების რევოლუციის შემდეგ. 2004-2012".** ფოტოალბომი კარგი პოლიგრაფიული ხარისხისაა. წარმოდგენილია თითქმის ყველა ობიექტის ფოტო, რაც 2004-2012 წლებში აშენდა ანუ ვარდების რევოლუციიდან დღემდე. მოგვიანებით პრესაში იყო ცნობა ალბომის არნახულ ტირაჟზე, სოლიდურ სპონსორებზე, ზღაპრულ ფინანსირებაზე. მომეჩვენა, ფოტოალბომი ნაჩქარევად არის დაბეჭდილი. მას არ ახლავს არც წინასიტყვაობა, არც ობიექტების მოკლე ანოტაციები, არც მიმოხილვითი სტატია. მთელ რიგ ობიექტებზე არ არის მითითებული ავტორები, რაც საავტორო უფლებების უხეში დარღვევაა.

ალბომმა დააჩქარა ჩემი ჩანაფიქრის რეალიზაცია, პროფესიული პოზიციებიდან შემეფასებინა ბოლო წლების საქართველოში მიმდინარე არქიტექტურული პროცესი. ქართულ პრესაში არ იყო კომენტარების სიმცირე ვარდების რევოლუციის პერიოდის მიმდინარე არქიტექტურულ პროცესზე, ძირითადად ჟურნალისტები და მოქალაქეები გამოთქვამდნენ აზრს. უმეტესად უარყოფითს. არქიტექტორები და, რაც მთავარია, არქიტექტურული საზოგადოება (კავშირი) დუმან. დრო და დრო ამ მდუმარებას ბ-ნ გიგა ბათიაშვილის და ჩემი პუბლიკაციები და ინტერვიუები არღვევდნენ. ვერ ვიტყვი მათ რაიმე შედეგი ჰქონდათ.

არქიტექტორები მიკელე დე ლუკი და იურგენ მაიერი

მიკელე დე ლუკი და იურგენ მაიერი ყველაზე პროდუქტიული უცხოელი არქიტექტორები არიან. შეიძლება ითქვას, ისინი ვარდების რევოლუციის არქიტექტურული სახეებს წარმოადგენენ. თქვენ ვერ დამისახელებთ მსოფლიოში არქიტექტორებს, რომელთაც ამდენი ,,<u>პირდაპირი დაკვეთა"</u> მიეღოთ. ეს ფრაზა შეგნებულადაა ხაზგასმული, ვინაიდან ბატონ მიკელეს და ბატონ იურგენს არც ერთი ობიექტი ღია კონკურსით არ მოუპოვებიათ. სხვათა შორის, არც სხვა უცხოელ არქიტექტორებს. ამ ფაქტს, რაც არ უნდა დახვეწილი იურიდიული კაზუსისტიკით იყოს ის შეფუთვნილი, გამართლება არა აქვს. პირდაპირ დაკვეთას საბაზრო ეკონომიკა კატეგორიულად კრძალავს და თუ რომელიმე ხელისუფალი ამას გაბედავს, ე. წ. ,,პირდაპირი განკარგვის'' წესით, ის ვერაფრით ვერ დაამტკიცებს, რომ არ არის კორუფციაში გარეული.

მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ნათელს მოჰფენს თუ რამდენად მგრძნობიარეა საზოგადოება კონკურსის გარეშე დაკვეთების გაცემაზე.

პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერნმა ჩათვალა, რომ საფრანგეთს XXI საუკუნის კარიბჭე უნდა შეეღო არქიტექტურით. გასული საუკუნის 80-იან წლებში, მან ქვეყანას შესთავაზა სპეციალური პროგრამა ,,პარიზის დიდი პროექტები''. პრეზიდენტის პროგრამა პარიზში 9 მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობას ითვალისწინებდა: ბასტილიის ოპერა, დე ფანსის ,,დიდი თაღი'', ფინანსთა სამინისტრო, მუსიკის ქალაქი, ორსის მუზეუმი, არაბეთის კვლევის ინსტიტუტი, პარკი ლა ვილეტი, მეცნიერებისა და ინდუსტრიის ქალაქი და ,,დიდი ლუვრი''. ამათგან ყველაზე ,,პატარა'' პროექტი იყო ,,დიდი ლუვრი'', რაც გულისხმობდა ლუვრის ვრცელ ჩაკეტილ ეზოში ახალი მიწისქვეშა ვესტიბიულის დაპროექტებას. **<u>,,სილამაზე სტიმულირებს ცნობისმოყვარეობას, რომელიც პირდაპირ კავშირშია გულთან და სულთან. დარწმუნებული ვარ, ,,პარიზის დიდი პროექტები'' დაგვეხმარებიან საკუთარი ისტორიის და ფესვების უკეთ შეცნობაში. მათი საშუალებით შევძლებთ მომავლის განჭვრეტას და მის დაპყრობას. აღნიშნული პროექტები ილუსტრაციაა ამ მუდმივი ამბიციების, რაც ახასიათებს ჩვენს ერს''</u>**, აღნიშნა პრეზიდენტმა მიტერანმა. 8 პროექტზე გამოცხადდა ღია საერთაშორისო კონკურსი, რაც მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტად იქცა. მხოლოდ ერთად-ერთი პროექტი პრეზიდენტმა უკონკურსოდ ,,პირდაპირი განკარგვით'' დაუკვეთა უდიდეს ამერიკელ არქიტექტორს ი. მ. პეის. მან პირადად სთხოვა პეის ,,დახმარება'', ვინაიდან მიაჩნდა, რომ ლუვრის ეზო საკონკურსო არენა არ იყო. მას წარმატების სრული გარანტია სჭირდებოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, არქიტექტურული ძეგლისადმი მოწიწებას გულისხმობდა. ამის გარანტად მიაჩნდა პეი. შედეგი: – ლუვრის მინის პირამიდა. მიუხედავად იმისა, რომ დამკვეთი იყო დიდი ინტელექტუალი პრეზიდენტი მიტერანი, არქიტექტორი – გენიალური ი. მ. პეი, ხოლო შედეგი ბრწყინვალე, საფრანგეთმა თავის პრეზიდენტს არ აპატია კანონის დარღვევა (,,პირდაპირი დაკვეთა''). პრესა აჭრელებული იყო საბრალდებულო პუბლიკაციებით. საცოდავ მიტერანს საფლავშიც არ ასვენებენ, მას დღესაც ახსენებენ ამ ,,დანაშაულს''.

კაზინო შანგრილა. არქიტექტორი მიკელე დე ლუკი

იუსტიციის სახლი მარნეულში.
არქ. მიკელე დე ლუკი

ბატონი მიკელე დე ლუკის ობიექტები თბილისში: შინაგან საქმეთა სამინისტრო აეროპორტის გზატკეცილზე, ,,მშვიდობის ხიდი'' მტკვარზე და კაზინო ,,შანგრილა'' სანაპიროზე, სასტუმრო რადისონ ბლუ, შავი ზღვის უნივერსიტეტი და იუსტიციის სახლი ბათუმში, იუსტიციის სახლი მარნეულში, პრეზიდენტის სასახლე თბილისში, ზიდენტის სასახლე თბილისში, თუმცა გაუგებარია, რატომ მიაწერენ მას პრეზიდენტის სასახლის ავტოროობას, როდესაც ყველამ იცის, რომ ბატონმა გიგა ბათიაშვილმა მეფის რუსეთის საპოლიციო ,,ყაზარმა'' ჯერ ,,აღმოაჩინა'', შემდეგ შექმნა პროექტი და ეს ყაზარმა აამაღლა ,,პრეზიდენტის სასახლემდე''. ბატონი გიგა მშენებლობის პროცესში უტაქტოდ ჩამოაშორეს ობიექტს. ალბათ, დე ლუკის სხვა დაკვეთებიც აქვს. ისინი მოგვიანებით გახდება საჯარო.

იუსტიციის სახლი თბილისში. არქ. მაქსიმილიანო ფუქსასი

არ არის ცნობილი თუ როგორ აღმოჩნდა საქართველოში არქიტექტურული სამყაროსათვის სრულიად უცნობი, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გალაღებულ-გაჯეჯილებული დე ლუკი, სამაგიეროდ ცნობილია გერმანელი არქიტექტორის, იურგენ მაიერის ,,შემოსვლის'' დეტალებიც კი. ის თავად პრეზიდენტმა გაამჟღავნა. ,,იურგენ მაიერი შემთხვევით გავიცანი. მიუნხენის კონფერენციაზე ვიყავი და წიგნის მაღაზიაში შევედი, ყოველთვის ვნახულობ არ-

ქიტექტურის წიგნებს და თვალს მოხვდა იურგენის არქიტექტურული წიგნი. ის მართლა არის მსოფლიოს ერთ-ერთი მოდური და მაგარი არქიტექტორი, ძალიან ავანგარდისტული".

ბატონ იურგენის ობიექტები: აეროპორტი, იუსტიციის, პოლიციის სახლე-ბი და ხიდი მესტიაში, საბაჟო ტერმინალი სარფში, ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, გორის ჩასასვლელთან. ალბათ, მაიერსაც აქვს სხვა დაკვეთები.

პოლიციის სახლი მესტიაში. არქ. იურგენ მაიერი

იუსტიციის სახლი მესტიაში. არქ. იურგენ მაიერი

ამ სტატიის მიზანი, როგორც სათაური მიანიშნებს, ვარდების რევოლუციის პერიოდის არქიტექტურის პროფესიული შეფასებაა. დავიწყებ უცხოელი კოლეგებით.

შეფასების კრიტერიუმები

1. არქიტექტურა ხელოვნებაა, ხელოვნების ყველა ნიშნითა და მოთხოვნით. ემოციურობა, ელდა-აღტაცება, ერთადერთობა. აქვე უნდა აღვნიშნო: განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისგან, არქიტექტურას აქვს მარადიული, მყარი კანონები, რომლის ფარგლებში უნდა იყოს მიღწეული ზემოაღნიშნული ნიშნები და მოთხოვნები.

2. დიდი არქიტექტურა ყველა დროში იყო თანამედროვე, იმავდროულად აგრძელებდა და ავითარებდა ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას, გამოხატავდა ,,ადგილის სულს'' (Genius-Loci). ექცენტრულობით, ტრიუკებით, ჟონგლიორობით ეფექტის მიღწევა შემოქმედებითი სიბერწე და მარაზმია.

3. ისტორიზმი, რეტრო, სტილიზაცია, რომელიც უსახო შუშის არქიტექტურის პარალელურად დღეს ოფიციალური სახელისუფლო დაკვეთაა, ძალადობრივი (ადმინისტრაციული) წესით აფერხებს არქიტექტურული აზრის განვითარებას.

ამ აღიარებული პოზიციებიდან ვაფასებ ვარდების პერიოდის არქიტექტურას, განურჩევლად ავტორის (ავტორების) წარმომავლობისა და ეროვნებისა.

მიკელე დე ლუკი

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისში. არქ. მიკელე დე ლუკი. 2009.

მიუხედავად იმისა, რომ არა ვარ შუშის არქიტექტურისადმი კეთილგანწყობილი, უნდა ვაღიარო, რომ შსს შენობა პროფესიული და ემოციური იმპულსების მქონე შენობაა, რაც განპირობებულია შენობის პლასტიკით, ასევე ვიტრაჟის ,,ნახატით'' – რომბისებრი სეგმენტებით, პირველი სართულის გადაწყვეტით. პროფესიული და საინტერესოა მიწის ქვედა სართულიც, რომელიც მხოლოდ ახლო წერტილიდან აღიქმება. შენობის ღამის განათება ეფექტურია. სამწუხაროდ, შენობას ,,ადგილის'', ქვეყნის არავითარი ნიშანი არა აქვს. ის კონცეფტუალურად უსამშობლოა, გლობალისტურ-ინტერნაციონალურია. ტერიტორიის სიღრმეში შენობის დასმამ განაპირობა მისი აღქმა შორი მანძილიდან და მხოლოდ ფრონტალურად, რამაც მნიშვნელოვნად დასწია ემოციური მუხტი, რომელიც მას უსათუოდ ექნებოდა, თუ კი ის მიუახლებოდა ტრასას. საქმე ეხება მასშტაბის შეგრძნებას, ცვალებად რაკურსებს ტრანსპორტით მოძრაობისას, ვიტრაჟის დეტალების აღქმას, ინტერიერების ღიაობის ეფექტს, რომელიც შენობის ,,დემოკრატიულობის'' ილუზიას შექმნიდა, რაც ასე პრინციპულია ხელისუფლებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაშენებული პოლიციის მინის შენობები და შთამბეჭდავი იუსტიციის სასახლეები ქვეყნის იდეოლოგიისა და პიარის ნაწილია. ისინი გარკვეულწილად ამართლებენ ამ მიზანს, ახდენენ შთაბეჭდილებას ადამიანებზე. მაგრამ ჩნდება კითხვა, <u>რატომაა ქვეყნის უპირატესი ზრუნვის</u>

საგანი პოლიცია და იუსტიცია, ხომ არ არის ეს დღევანდელი რეალობის სარკე? ეს კითხვები უსათუოდ დაებადებათ იმ მაღალ სტუმრებს, რომელთაც სიამაყით ვუჩვენებთ ხოლმე ამ ობიექტებს. უფრო ჰუმანური და შთამბეჭდავი ხომ არ იქნებოდა დათვალიერების ობიექტები ყოფილიყო სკოლები, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე გაუსაძლის, არაესთეტიკურ, არაჰიგიენურ, არასტატიკურ მდგომარეობაშია.

ამ კონტექსტში მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც სასარგებლოა განსჯისათვის. 70-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მსოფლიოს თვალში კომუნისტური პარტიის სიდიადისა და ძლევამოსილების დემონსტრირების მიზნით ყველა რესპუბლიკას გამოუყო სოლიდური თანხა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობებისათვის. ყველგან ეს ობიექტები იქცნენ არქიტექტურულ დომინანტებად. ამ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ერთადერთმა რესპუბლიკამ, რომელმაც ეს ობიექტი არ ,,გაბუქა'' და არ აქცია ქვეყნის ჭიპად – ,,უპირველეს შენობად'', იყო ლიტვა. არქიტექტორმა ვიტაუტას ჩეკანაუსკასმა, ვილნიუსის ისტორიულ უბანში არსებულ განაშენიანებაში ,,ჩასვა'' ოთხსართულიანი ცკ, შეუმჩნეველი, განაშენიანების მასშტაბის დაცვით. ასეთმა მიდგომამ აალაპარაკა მსოფლიო, ავტორიტეტი შეჰმატა ჩეკანაუსკასის ისედაც მაღალ ავტორიტეტს, გაანაწყენა მოსკოვი, ხოლო ლიტვას საბჭოთა კავშირის ყველაზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის იმიჯი მოუტანა.

2. მშვიდობის ხიდი თბილისში. არქ. მიკელე დე ლუკი. 2010.

ხიდები, ისევე როგორც ციხე-სიმაგრეები შენდებოდა სასიცოცხლო აუცილებლობის გამო. მდინარე მტკვრის ამ მონაკვეთზე ორ სატრანსპორტო ხიდს შორის მანძილი მხოლოდ 700 მეტრია. ახალი ხიდის მშენებლობა, თუნდაც საცალფეხოსი, სრული ნონსენსია. ეს ხიდი არაფერს არაფერთან არ აკავშირებს, ვინაიდან არც ერთ მხარეს არ არის ადამიანთა ნაკადები და არც არასოდეს იქნება. დავუშვათ, რომ მტკვრის ორივე მხარეს დიდი ნაკადებია და საცალფეხო ხიდი კომფორტს უქმნის მოქალაქეებს. რამდენად სწორადაა თავად ხიდი გააზრებული? მიუხედავად იმისა, რომ ხიდი მინისაა, რაც გამჭირვალობას უნდა ნიშნავდეს, ,,ხუფი'' იკითხება როგორც ყრუ მასა, მან გადაფარა და გადაჭრა ულამაზესი ხედები ისტორიულ თბილისზე, მათ შორის ხედი მეტეხზე, რომელიც წარმოადგენს ტაძრის, ქანდაკების და გარემოს უნიკალურ კადრს. ხიდი არაკონტექსტურია, კომფლიქტშია ისტორიულ გარემოსთან. ეს არქიტექტურული კრიმინალია. რატომ გადახურული? სახურავი იცავს ადამიანს წვიმისგან, თოვლისგან, მზისგან. კი მაგრამ ეს ,,კომფორტი'' მხოლოდ ამ მონაკვეთში? რა ხდება ხიდამდე და ხიდის შემდეგ? ხომ დააწვიმს, დააცხუნებს და დაათოვს ადამიანს? ,,მშვიდობის ხიდი'' არქიტექტურულ-მხატვრული, ეკონომიკური და ფუნქციური ალოგიზმია. დახარჯულია 13 მილიონი დოლარი. ეს 6-7 ახალი სკოლაა 300-400 მოსწავლეზე.

ხიდი გაგრძელებაა იმ აკვიატებული, დაუსაბუთებული მშენებლობებისა და ნგრევისა, რომელიც არც თუ იშვიათობა იყო ჩვენს რეალობაში – აეროპორტის რკინიგზის ხაზი და რკინიგზის სადგურის შენობა, სამზერი კოშკი რიყეზე (დაანგრიეს), შადრევანი გმირთა მოედანზე (გადაიტანეს), დღემდე

ერთ ადამიანსაც არ უსარგებლია ხიდით, რომელიც აშენდა ,,მზიურის'' ტრასაზე, გმირთა მოედანთან სულ რაღაც 400-500 მეტრზე. ფაქტობრივად დაუსაქმებელია ლითონის ხიდები გამზირებზე, ,,ხსოვნის ობელისკი'' გმირთა მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის გაძევება დიღომში, გამარჯვების მემორიალის აფეთქება ქუთაისში, სიღნაღში ამირანის თორმეტმეტრიანი ბრინჯაოს ძეგლის დახერხვა ერთ დღეში, ორი წელია მოხსნეს და გაურკვეველია ზესტაფონის პარკში მდებარე ე. ამაშუკელის და ჩემი ძეგლის ,,დაჭრილი არწივის'' ადგილსამყოფელი, ასევე ყოვნდება ფოთში ქართული მონუმენტალური ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული მემორიალის ,,კოლხეთის დედა''-ს ახალ ადგილზე დადგმის საკითხი და სხვა.

პროფესია ,,არქიტექტორი'' გულისხმობს დამკვეთის გაცნობიერებას პროფესიულ საკითხში. ბატონმა მიკელემ ეს არ გააკეთა. ის დახარბდა ფულს, არ უთხრა დამკვეთს (იქნებ უთხრა კიდეც), რომ ეს ალოგიკურია, რითაც დაამტკიცა თავისი უნამუსობა და დაარღვია არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ეთიკის კოდექსი.

3. კაზინო ,,შანგრილა'' სანაპიროზე. არქ. მიკელე დე ლუკი. 2012.

ობიექტმა თბილისელებში აღშფოთება გამოიწვია. კაზინოს მშენებლობა ისტორიულ ნაწილში, საპატრიარქოსთან, მკრეხელობაა, საზოგადოებრივი აზრის მიზანდასახული გამოწვევაა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ ,,ძეგლთა დაცვა'' უფლებააყრილია, ხოლო საზოგადოებრივი აზრი ფეხებზეა დაკიდებული. რაც შეეხება თავად შენობას, ის ამოვარდნილია არქიტექტურით, განწყობილებით, ჩატენილია განაშენიანებაში. კონტექსტზე, არსებულისადმი პატივისცემაზე მინიშნებაც კი არ არის, უბრალოდ ელემენტალური, უნიჭო შენობაა. თითქოს ხელისუფლება ექსპერიმენტს გვიტარებს თუ რამდენად ამტანი, მომთმენი და ძლიერია ქართველებში მონურობის სინდრომი.

4. შავი ზღვის უნივერსიტეტი ბათუმში. არქ. მიკელე დე ლუკი. მშენებლობის პროცესშია.

აშენებული ნაწილით და პროექტით თუ ვიმსჯელებთ, შენობა არ გვპირდება რაიმე გარღვევას დე ლუკის ,,ძიებებში''. ის ბანალური, უემოციო, დეპრესიული შუშის არქიტექტურაა. ეს ობიექტი კი ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო ,,საჩვენებელი'', მაგრამ ავტორს (ავტორებს) არ აღმოაჩნდათ შემოქმედებითი ენერგია.

5. იუსტიციის სახლი ბათუმში. არქ. მიკელე დე ლუკი. 2011.

შენობა ელეგანტური, ლაკონიური, მინიმალისტურია. მე ის მომწონს. გამჭვირვალეა და სივრცობრივად საინტერესო ბაზისი – ქვედა ორი სართული. პრესაში, ასევე ტელეკადრებში ხშირად ქვეყნდება ღამის ფოტოები, ასევე ფოტოები განაშენიანებასთან კონტექსტის გარეშე. ეს არ არის შემთხვევითი. ეს შენობა დგას დიდი და ტლანქი მოცულობების გარემოცვაში, რაც საგრძნობია ნატურაში. საჭირო იყო განთავსების სხვა გარემოს მოძიება.

6. სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმში. არქ. მიკელე დე ლუკი. 2011.

სასტუმროსათვის გამოიყო ბათუმის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი. სასტუმრო ცვალებადი კვეთის მინის კოლოფია. მინის შენობებში, როგორც წესი, ცდილობენ ქვედა სართულის (სართულების) ,,გაარქიტექტურებას'' ზედა

მონოტონური სართულებისაგან განსხვავებული თემით. არის მცდელობა მკაცრი გეომეტრიულობისგან თავისი დაღწევის (სიბრტყეების დახრა, ტეხილი სილუეტი), მაგრამ ამან მინის არქიტექტურის ,,თანდაყოლილ'' ინდიფერენტულობას, უსიუჟეტობას და სიცივეს ვერ უშველა. ეს შენობა მენტალობით არაქართულია, არაბათუმურია. დანაშაულია სამხრეთში, ზღვისპირა ძვირადღირებულ სასტუმროში გამოკეტო ადამიანი, ვერ დატკბეს ზღვისა და გარემოს ხედებით, ზღვის ნიავით. ეს სხვა კლიმატის, სხვა ბუნების, სხვა გარემოს, სხვა ქვეყნის არქიტექტურაა. მას არა აქვს ,,სულიერი'' კავშირი ადგილთან. ის მხოლოდ ადგილის ფიზიკური ელემენტია. დიახ, ბათუმი წვიმიანი ქალაქია, ხანდახან დახრილადაც წვიმს, მაგრამ ისევე როგორც არსებობს მზისგან დამცავი საშუალებები, ასევე არსებობს წვიმისაგან ეფექტურად დაცვის საშუალებები.

7. იუსტიციის სახლი მარნეულში. არქ. მიკელე დე ლუკი. 2012.

ძნელია მას უწოდო შენობა. მისი ,,არქიტექტონიკა'' პავილიონურია, მსუბუქი, დროებითი, თითქოს მალე უნდა დაიშალოს. ოთხივე ფასადი ერთნაირია, სამივე სართული ტალღოვანი ზოლებისგანაა აწყობილი. თითქოს კარკასზე მოჭიმულია სინთეტური ქსოვილი. ესაა პავილიონი ყოველგვარი სემანტიკური და ტიპოლოგიური ნიშნის გარეშე, მას საზოგადოებრივი შენობის არავითარი ნიშანი არა აქვს.

<u>დასკვნა.</u> მიკელე დე ლუკის მოღვაწეობა საქართველოში მხოლოდ ფაქტია. მას სულიერი და კულტურული ფასეულობა არ მოუტანია საქართველოსთვის.

იურგენ მაიერი

ვარდების რევოლუციის მეორე სახე და პრეზიდენტის მიერ პატივდებული არქიტექტორია იურგენ მაიერი. მის მიერ საქართველოში შესრულებულია: აეროპორტი, ხიდი, იუსტიცის და პოლიციის სახლები მესტიაში, საბაჟო ტერმინალი სარფში, ,,ვისოლისა'' და ,,სოკარის'' მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, გორის ჩასასვლელთან. ალბათ, მაიერსაც სხვა დაკვეთებიც აქვს, რომლებიც მოგვიანებით გამოჩნდება.

სვანეთი უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს მატერიალურ და სულიერ კულტურაში. არქიტექტურაში მას ანალოგი არა აქვს. ამას მთელი მსოფლიო აღიარებს. ბოლონიის რამდენიმე შემორჩენილი კოშკით იტალია ამაყობს. ისინი კოლოსალურ ტურისტულ ნაკადებს იზიდავენ. სვანეთი კი ერთი მთლიანი ქალაქგეგმარებითი ძეგლია, უნიკალური კოშკური სისტემაა. XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში 400-მდე კოშკი იყო. ისინი ქმნიდნენ ზღაპრულ, ფანტასტიკურ არქიტექტურულ სპექტაკლს, განუმეორებელ ემოციურ მუხტს. დღეს მხოლოდ 180-მდე კოშკია შემორჩენილი, მათ შორის უმეტესობა დაზიანებულია. <u>საქართველოს ყველა დროის ხელისუფლების უპირველესი, სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს კოშკების აღდგენა, მთელი სისტემის აღდგენა პირვანდელი სახით. შესაძლოა ეს დროში გაიწელოს (რამდენიმე ათეული წელი), მაგრამ მიზანი უნდა იყოს ურყევი.</u> სვანეთი ის ადგილია, სადაც აუცილებელია ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა. აი, ასეთ საპასუხისმგებლო, ფაქიზ და უნიკალურ გარემოში სამოღვაწეოდ მიიწვია პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ,,მსოფ-

ლიოს ერთ-ერთი მოდური არქიტექტორი, ძალიან ავანგარდისტული'' იურგენ მაიერი.

ადამიანს ხუთივე გრძნობა ამოჭრილი უნდა ჰქონდეს, ამასთან უნდა იყო სრული პროფანი პროფესიაში და ბოროტი, ჩაიდინო ის, რაც იურგნმა ჩაიდინა მესტიაში.

აზრი არა აქვს იურგენ მაიერის საქართველოში ნამოღვაწარის ცალ-ცალკე განხილვას, ისინი საერთი ,,საავტორო'' ნიშნებს ატარებენ: მიზანდასახული უპატივისცემლობა და თავსლაფის დასხმა ქვეყნის კულტურულ და არქიტექტურულ ტრადიციებზე, ისტორიულ გარემოში პროექტირებისა და მშენებლობის საერთაშორისო წესების თავხედური იგნორირება. იურგენი ბაიბურში არ არის ისეთ ცნებაზე, როგორიცაა კონტექსტი, არსებულისადმი პატივისცემა, რევერანსი, რაც დეკლარირებული და მოთხოვნილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა საერთაშორისო დოკუმენტით. დარწმუნებული ვარ, იურგენს ანალოგიური რამ რომ ეკადრებინა თავის ქვეყანაში, გერმანიაში, რომელიმე ისტორიული ქალაქისათვის ან უბნისათვის, გერმანელები საქმეს რეალიზაციამდე არ მიიყვანდნენ და კინწისკვრით მოისვრიდნენ ქვეყნიდან. ჩვენ, როგორც დაზარალებული ქვეყანა, უფლება გვაქვს დავაყენოთ საკითხი საერთაშორისო ინსტანციების წინაშე, მისთვის არქიტექტორის დიპლომის ჩამორთმევის თაობაზე (შეიძლება არც აქვს). რამდენად ,,მოდური'' და ძალიან ,,ავანგარდული''-ა ბატონი იურგენი? (თუმცა ისტორიულ გარემოში ეს ეპითეტები გინების ტოლფასია) მესტიაში რეალიზებული ობიექტების ესთეტიკური ორიენტაცია, არქიტექტურული თემა უნამუსოდ მოპარულია გამოჩენილი იაპონელი არქიტექტორის ტოიო იტოსგან და დანიელი ბჯარკე ინგელსისაგან. ის პლაგიატია.

რაც შეეხება სარფის საბაჟო ტერმინალს, ,,ვისოლისა'' და ,,სოკარის'' მულტიფუნქციონალურ ცენტრებს გორის ჩასასვლელთან აქ ადამიანური ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, მიღწეულია არა არქიტექტურული ლიგიკით, პროფესიონალიზმითა და ტალანტით, არამედ კომპოზიციური ტრიუკით, ექსცენტრულობით, ჟონგლიორობით.

შეიძლებოდა თუ არა ამ გაუგებრობების და მასთან დაკავშირებული კოლოსალური თანხებით მნიშვნელოვანი არქიტექტურული შედეგის მიღება? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. განსხვავებით კინოსცენარისგან ან პიესისგან, რომელიც თავისთავად კი არ არის გარანტი დიდი ნაწარმოების შექმნისა, არამედ მისი შექმნის შესაძლებლობა და პირობაა არქიტექტურული პროექტით თითქმის 100%-ის სიზუსტით შეიძლება შედეგის პროგნოზირება. <u>ყველაფერი დამოკიდებულია შემფასებელზე. საქართველოში არქიტექტურული ქაოსი გაგრძელდება მანამ, სანამ არქიტექტურა უზურპირებულია არაარქიტექტორების მიერ, სანამ არქიტექტორები რჩებიან პასიურ მაცქერლებლად თავის ქვეყანაში მიმდინარე არქიტექტურულ პროცესებზე, სანამ ქვეყანა დაავადებულია სნობიზმით, ორიენტირებულია უცხოელ არქიტექტორებზე.</u>

<u>დასკვნა.</u> იურგენ მაიერის არქიტექტურული საქმიანობა საქართველოში უნდა შეფასდეს უკიდურესად უარყოფითად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფად, დანაშაულად. მაგრამ... დანაშაულში ლომის წილი

უნდა აიღოს თავის თავზე კულტურის სამინისტრომ, მისმა ,,ძეგლთა დაცვამ'' უმოქმედობის, სიმხდალისა და მონური მორჩილებისათვის. ხელისუფალისადმი მორჩილებამ ზღვრულ მასშტაბებს მიაღწია. შემოვდივარ წინადადებით, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას მუხლი – ხელისუფალისადმი მონური მორჩილებისათვის – სამუდამო პატიმრობა.

ა. დ. კაბო – კ. ლაზარო – ს. კასტელანო

ზემოთხსენებულ დე ლუკიზე და ი. მაიერზე საქართველოს ხელისუფლების არანაკლები ნდობითა არიან აღჭურვილი ესპანელი ა. დ. კაბო, კ. ლაზარო და ს. კასტელანო. მათ ანდეს ქვეყნის უპირველესი ობიექტი – საქართველოს პარლამენტის შენობის დაპროექტება. მანამდე ა. დ. კაბო გაგვეცნო გმირთა მოედანზე ხსოვნის მემორიალის ობელისკით და ბათუმში ,,ანზანის'' კოშკით.

არქიტექტურა ყველა დროს იყო უძლიერესი იდეოლოგიური ფენომენი. მის მოკავშირეობას ცდილობდნენ ქვეყნის მმართველები, ფარაონებიდან დღემდე. ომის შემდგომ წლებში, როდესაც ცივი ომის ნიშნები გაჩნდა, ამერიკის კონგრესმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ ახალი საელჩოების მშენებლობის შესახებ. მოთხოვნილი იყო საელჩოებისათვის მოეპოვებინათ ქვეყნის დედაქალაქების ცენტრალური და პრესტიჟული ადგილები, ხოლო არქიტექტურა უნდა ყოფილიყო დემოკრატიულობისა და სიძლიერის გამომხატველი. ბუნებრივია, რომ საქართველოს ხელისუფლებისათვისაც არქიტექტურა პიარის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ერთი შეგონება: <u>მხოლოდ კარგი არქიტექტურაა მძლეთა მძლე იდეოლოგიური ძალა, ცუდი არქიტექტურა ანტიიდეოლოგიაა.</u>

პარლამენტის შენობა ქუთაისში. არქ. ა. დ. კაბო, კ. ლაზარო, ს. კასტელანო. 2012

აი, რას წერენ ავტორები პროექტის ანოტაციაში:

,,დაპროექტებული სივრცის იდეა წარმოიშვა წყლის უზარმაზარ ზედაპირზე <u>ამოტივტივებული გიგანტური ბუშტის</u> კონცეფციიდან, რომელიც დასაბამს აძლევს სივრცეს, მოცულობას დამცავი და საიზოლაციო კაფსულის სახით და გარს აკრავს პარლამენტის შენობას.

ბუშტი დაცულობასთან, გამჭირვალობასა და სიწმინდესთან ასოცირდება. <u>იგი იმ ფასეულობების ნათელი ანალოგიაა, რაც წარმოადგენს ქართულ პოლიტიკას.</u> სიმბოლურად, ბუშტი დაცულია ბეტონის მყარი გარსით, რომელიც გარს აკრავს მას და რბილად ერწყმის მისი მრუდის მშვენებას. <u>ეს გამოხატავს საქართველოს მთავრობის ძალასა და სიმტკიცეს''</u>.

მათ შორის, მართალია, პარლამენტის შენობის იდეა გიგანტური ბუშტისგან მომდინარეობს, ის მაინც ,,<u>იმ ფასეულობების ნათელი ანალოგიაა, რაც წარმოადგენს ქართულ პოლიტიკას'' და რაც ,,გამოხატავს საქართველოს მთავრობის ძალასა და სიმტკიცეს''.</u>

ვნახოთ, როგორაა ყოველივე ეს მიღწეული არქიტექტურით.

საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა ფორმა-ნიშანთა სემანტიკით, თავდაცვითია. კუს ალეგორიაა. პასიური, უკარება, უხასიათო, უჟმური, დეპრესიული, საიდუმლოებით მოცული. ტიპოლოგიურად სპორტული ნაგებობაა. ზეიმურობის, დემოკრატიულობის, სიძლიერის და სიამაყის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნია. ესაა შენობა არქიტექტურულ-მხატვრული რეჟისურის გარეშე. მთავარი, სხდომათა დარბაზის ინტერიერი უინტერესო და მოსაწყენია. ისევე როგორც მთლიანად შენობას, ინტერიერებსაც დაქვეითებული აქვს ემოციური მუხტი. სხდომათა, სათათბირო და საკონფერენციო დარბაზები შემაწუხებლამდე რაციონალისტური და განძარცულია.

ყოველი შენობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია **შესასვლელი**. შესასვლელი პირველი აკორდია, პირველი შთაბეჭდილება. ყოველი არქიტექტურული სტილი თავისებურად წყვეტდა შესასვლელის პრობლემას. პარლამენტის ახალ შენობას შესასვლელის ფსიქოემოციური და ესთეტიკური პრობლემა საერთოდ არ აწუხებს. ის უბრალოდ ფიზიკური შესასვლელია.

ვრცელმა გარემომ და შენობის ტერიტორიის სიღრმეში დასმამ, მნიშვნელოვნად შეამცირა მასშტაბის შეგრძნება. ის ვრცელ, უორენტირო გარემოში უფრო პატარად აღიქმება, რამაც გამორიცხა მასშტაბის ადამიანზე ემოციური ზემოქმედების შესაძლებლობა.

როგორც ჩანს, დაქვეითებული ემოციურობა, მდუმარება ზემოთხსენებული ავტორების კონცეპტუალური პოზიციაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს მათი მეორე შენობაც, პარლამენტის სიახლოვეს აშენებული ,,მთავრობის სახლი'', ბანალური, 50-60-იან წლებში ჩარჩენილი ფონური არაარქიტექტურაა. სამწუხაროა, რომ ავტორები (ა. დ. კაბო, კ. ლაზარო, ს. კასტელანო), რომლებსაც ანდეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დაკვეთა, ელემენტალურად, სტუმრის თავაზიანობის, ეტიკეტის დონეზე მაინც არ ჩასწვდნენ ქართულ მენტალობას, ტრადიციებს, ხასიათს, სულისკვეთებას, ემოციურ წყობას, ერის გენეტიკურ თეატრალობას და სხვა.

ერთი ,,ნიუანსი'', რომელსაც ხელისუფლება მხოლოდ მაშინ შეიგრძნობს, როდესაც ამის საჭიროება დადგება. პარლამენტის შენობა უნდა იყოს ზეიმური, ოპტიმისტური და მკაფიო იდეის მატარებელი, არამედ მას უნდა, ქონდეს სახელმწიფო რიტუალების ჩატარების შესაძლებლობა. განსხვავებით ,,ძველი'' პარლამენტის შენობისგან, კაბო-კასტელანო-ლაზაროს ხუფი ამის საშუალებას არ იძლევა. არა ერთი შთამბეჭდავი რიტუალი გვახსოვს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, სადაც სწორედ არქიტექტურა იყო მძლეთამძლე ფსიქოემოციური ფაქტორი, პირველი ვიოლინო. ქუთაისის პარლამენტის შენობას სახელმწიფო რიტუალების ჩასატარებლად საგანგებო სცენოგრაფია და რეჟისურა დასჭირდება. გამოსავალი ორიდან ერთია, ან მუდმივად ახალი სცენოგრაფია და რეჟისურა, ან რიტუალები უნდა ჩავატაროთ თბილისში "ძველი" პარლამენტის შენობასთან?!

ბატონ ა. დ. კაბოს, პარლამენტის შენობის ერთ-ერთ ავტორს საქართველოში კიდევ ორი რეალიზაცია აქვს – ,,ხ***სოვნის ობელისკი''*** თბილისში, გმირთა მოედანზე და ***ანბანის კოშკი*** ბათუმში. მსოფლიოში არ არის მემორიალი, სადაც ადამიანი ვერ მიდის, ყვავილს ვერ დადებს, თურმე გვარებიც აწერია,

მაგრამ როგორ უნდა წაიკითხო. უწოდო ამ ობელისკს ,,ხსოვნის მემორიალი'', ეს მკრეხელობაა!

ქვეყანაში, სადაც გაუქმდა ქართული ენის დამცავი ყველა უწყება, სადაც მძინვარებს სნობიზმი, ფირნიშებიდან თითქმის განდევნილია ქართული წარწერები და საცაა ინგლისური გამოცხადდეს სახელმწიფოს ენად, ,,ანბანის კოშკი'' ცინიზმი და ფარისევლობაა. უხერხელია ილაპარაკო მის მხატვრულ სახეზე. ის ჩვეულებრივი, უინტერესო მილების სტრუქტურაა, არა და მისი ღირებულება 62 მილიონი ლარია.

ოდა ,,ძველი'' პარლამენტის შენობას

ამაღლებული, დიდებული და საზეიმოა პარლამენტის შენობა. ,,პროპილეი'', სივრცეების თანდათანობითი გადასვლა რუსთაველის გამზირიდან განათებულ ვრცელ შიდა ეზოში. შენობას აქვს მკაფიო არქიტექტურული რეჟისურა, ის ყველაფერთან ერთად სანახაობრივია, გიწვევს დასათვალიერებლად, ადამიანი გრძნობს სულიერ ამაღლებას, სიამაყეს. ესაა არქიტექტურა, რომელიც მოგვიწოდებს პასუხისმგებლობისაკენ. შენობის ,,პროპილეი'', ნამდვილი დღესასწაულია, თავზარმცემი დიდებულება. შენობა ,,გამზადებულია'' მნიშვნელოვანი სახელმწიფო რიტუალების ჩასატარებლად. ეს იმდენად ორგანული და ბუნებრივია, რომ გგონია, ხუროთმოძღვრებმა რიტუალების ჩატარებაზე ააგეს მთელი შენობა.

ბუნებრივია კითხვა: ვინ არიან მიკელე დე ლუკი, იურგენ მაიერი, კაბო, ლაზარო და კასტელანო. საქართველოს პირველობაზე მოთამაშე საფეხბურთო გუნდები ფეხბურთელს რომ იწვევენ, საზოგადოებას იმას მაინც ეუბნებიან, რა დამსახურებისათვისაა ის მოწვეული. ადამიანებს, რომელთაც ათეული მილიონობით დოლარის საქმეს ანდობ, ხომ უნდა იცოდე რა დამსახურებისათვის? არც დე ლუკი და ი. მაიერი, არც კაბო, ლაზარო და კასტელანო ის ავტორები არ არიან, რომლებიც ყოველმა სტუდენტმა უნდა იცოდეს, არც ისეთები, რომლებმაც რაღაცით მაინც მიიპყრეს პროფესიონალთა ყურადღება. ავტორიტეტულ, ყოველწლიურ, სამენოვან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) 500-600-გვერდიანის ტაშენის ცნობილ საცნობარო გამოცემა ,,Architecture Now''-ში, რომლის მე-8 ტომი ახლახან, გამოვიდა და რომლის ყოველ ტომში 80-90 არქიტექტორისა და არქიტექტურული ფირმის შემოქმედებაა გამოქვეყნებული, არც ერთ ტომში მათი არც ერთი შენობა არ არის შესული, რასაც ვერ ვიტყვით მაქსიმილიანო ფუქსასზე, საქართველოში ასევე აქტიურად მოღვაწე იტალიელ არქიტექტორზე. მასზე ქვემოთ მოგახსენებთ. კიდევ უფრო გამაოგნებელია ცნობა, რომ კაბო და ლაზარო, თურმე არქიტექტორები არ არიან. ისინი სამოქალაქო ინჟინრებია, ხოლო დე ლუკი საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ავეჯის დიზაინერია.

მაქსიმილიანო ფუქსასი

კიდევ ერთი უცხოელი არქიტექტორი, რომელიც ,,შემოსულია'' საქართველოში არის იტალიელი მაქსიმილიანო ფუქსასი. მე ცოტა მეუხერხულება მისი მოხსენიება ზემოთხსენებულ, ფაქტობრივად არაარქიტექტორების კომპანიაში.

მაგრამ ეს განპირობებულია მისი ,,უცხოელობით'' და არავითარ შემთხვევაში პროფესიული რანგით. ფუქსასი საერთაშორისო კლასის არქიტექტორია და მისი მოღვაწეობა ყველა ქვეყნისათვის სასურველია. მაქვს ,,საბაბი'' მქონდეს პიროვნული სიმპატიებიც. დროდადრო ვხდებით არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სესიაზე სოფიაში, ბუენოს აირესში ერთ არქიტექტურულ ჟიურიშიც ვმონაწილეობდით. ფუქსასის პირველი პროექტი საქართველოში მეტრო ,,დელისთან'' მაღლივი შენობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ წერტილოვანი მაღლივი შენობები მაინცდამაინც დიდ გასაქანს არ იძლევიან სივრცობრივი ვარიაციების მხრივ, ფუქსასის ,,კოშკი'' სახიერია. მოგვიანებით ცნობილი ხდება კიდევ ორი პროექტი, ორივე მნიშვნელოვანი, ორივე თბილისის ისტორიულ ნაწილში, 500 ადგილიანი სამაყურებლო დარბაზი – საგამოფენო დარბაზი რიყეზე და იუსტიციის სახლი მარჯვენა სანაპიროზე ,,კორტების'' ადგილას. ***იუსტიციის სახლი*** ახლახანს შევიდა ექსპლუატაციაში, ხოლო სამაყურებლო-საგამოფენო დარბაზები მშენებლობის პროცესშია. თბილისის იუსტიციის სახლი კომპოზიციით, ფორმით, სივრცობრივად ექსტრაორდინარულია. მას აქვს ინტერესისა და ემოციების გამოწვევის უმაღლესი მუხტი, აქტიურია, რაღაცნაირად ქალური, მსუბუქი, კეკლუცი, თავმომწონე, ქართულად ხელგაშლილი და მიმღებიანი. – რაციონალიზმის და ეკონომიკურობის საკითხი საერთოდ მოხსნილია. <u>**როგორც ჩანს, დაკვეთა იყო – ,,განსაკუთრებული!'' შესაბამისი ფინანსური ,,კარტბლანშით''. მიზანი მიღწეულია. გამონაკლისის სახით ქვეყანას აქვს უფლება ასეთი დაკვეთის. ასე დაიბადა მსოფლიოს არაერთი შედევრი, მათ შორის სიდნეის ოპერის თეატრი.**</u> საინტერესოა ანარეკლები მტკვარზე, ღამით, დღისით, კარგია ღამის განათებაც. საინტერესო გახდა ხედები მარცხენა სანაპიროდან, ასევე რაკურსები ახლო მანძილებიდან. ინტერიერი, როგორც წესი, იწყება ექსტერიერიდან. შენობის სივრცობრივი ხასიათი ერთნიშნად მიანიშნებდა ინტერიერის ექსტრაორდინარობას, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. სახეზეა უნიკალური, პოლიფონიური სივრცე. ახლა ერთ დელიკატურ საკითხზე, მხოლოდ პროფესიონალებისათვის, როგორც ამას საგანგებო სიტუაციაში ტელევიზიები აკეთებენ (,,მოარიდეთ ბავშვები''). იუსტიციის სახლის არქიტექტურული სახის უმთავრესი და განმსაზღვრელი თემაა სოკოსებრი სახურავები, ბერეტები. ისინი კი პირდაპირ ასოციაციებს იწვევენ გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორის ჟან ნუველის კატარის ეროვნულ მუზეუმთან. კატარის მუზეუმი დიდი არქიტექტურული ორგანიზმია. მას თბილისის იუსტიციის სახლი ფრაგმენტად ერგება. სამუზეუმო კომპლექსის მშენებლობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს. დამთავრება ნავარაუდევია 2014 წლის დეკემბერში. ამ მასშტაბის არქიტექტორების შემოქმედებაში ეს უპრეცედენტო დამთხვევაა. ეს ფაქტი უსათუოდ გახდება მსოფლიოს არქიტექტურის კრიტიკოსთა განსჯის თემა. საქართველოში ფუქსასის სხვა დაკვეთებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მსგავსი ინფორმაციები ფაქტობრივად დახურულია.

არის მოსაზრება, თითქოს ფუქსასის იუსტიციის სახლი გარემოსთან მიმართებაში არამასშტაბური, არაკონტექსტური უცხო სხეულია. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ყოველი ახალი, ახალ მხატვრულ წესრიგს და ახალ ურბანულ

იერარქიას ამყარებს. ეს გარდაუვალია. გარდა ამისა, ამ კონკრეტულ არეალში არ არის რაიმე ისეთი არქიტექტურული ორიენტირი, რომელიც ითხოვს დაქვემდებარებას. გაცილებით პრობლემატურია ***საგამოფენო-სამყურებლო დარბაზები რიყეზე***, თავისთავად ფორმები ინტერესს იწვევს, მაგრამ ისინი ისეთივე კონფლიქტურია გარემოსთან, როგორც ,,მშვიდობის ხიდი'' და ,,შანგრილა''. დიდმა მასამ გადაფარა ისტორიული ნაწილის უნიკალური ხედები, ხოლო მარჯვენა სანაპიროდან მნიშვნელოვნად შეცვალა ურბანული წესრიგი, ხედები, პანორამა, რომლის დომინანტი იყო პრეზიდენტის სასახლე. წინა პლანზე ასეთი დიდი მასის და უჩვეულო ფორმების არქიტექტურამ ბუნებრივად დაისაკუთრა აქცენტის, დომინანტის ფუნქცია. ჩამოართვა პირველობა, ჩამოალაბორანტა პრეზიდენტის სასახლე. სხვა ადგილას, ისტორიული ნაწილის მიღმა, ეს დარბაზები უსათუოდ იქნებოდა არქიტექტურულად საყურადღებო ფაქტი.

ასეთი კრიტიკული მუხტის გამო შეიძლება მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგი ვარ საქართველოში უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობისა. არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, ისტორიის უცოდინაროზა და იგნორირება. მე წინააღმდეგი ვარ უცხოელებისათვის ,,უპირატესი ხელშეწყობისა'', მათი ქართველ არქიტექტორებზე წინ დაყენებისა, მათი შემოთავაზებების ბრმად, უკონტროლოდ, საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის გაუთვალისწინებლად მიღებისა, უცხოელი არქიტექტორების სტიქიურად შერჩევისა. წინააღმდეგი ვარ იმ არქიტექტორის – უცხოელის, ქართველის, რომელიც უპატივმცემლობას იჩენს ქვეყნის კულტურისა და ისტორიის მიმართ.

სხვა შენობები

სასტუმრო ,,რადისონ ბლუ'' (ივერია). რეკონსტრუქცია. თბილისი. 2009. ავტორი ვერ დავადგინე

შენობისგან სიცივის გრიგალი ქრის. მას ერის კულტურის და მენტალიტეტის არავითარი განცდა არ აქვს. უსამშობლოა. არ სუნთქავს. სიცოცხლის ნიშან-წყალი არა აქვს. არასტუმართმოყვარეა. მინის საერთაშორისო მოწყენილობას და ერთფეროვნებას კიდევ ერთი შენობა შეემატა. უინტერესოა პირველი სართულის ინტერიერების სივრცობრივი და კოლორისტული გადაწყვეტა.

იუსტიციის სახლი გურჯაანში. არქ. ი. შარაშენიძე. 2012.

შენობა დიზაინერულია. მოცულობა თითქოს თლილი ,,ჩაის ჭიქებისაგანაა'' აწყობილი. ამის შეგრძნებას აძლიერებს შენობის აქსიომატური არქიტექტურული ნიშნების, ელემენტების, დეტალების, ფრაგმენტების იგნორირება. შენობა შეიძლება გადმოვაბრუნოთ და ამით არაფერი შეიცვლება, მას არც თავი აქვს, არც ბოლო, არც იწყება და არც მთავრდება. არა ადეკვატურია შესასვლელი, მას არა აქვს საზოგადოებრივი შენობისათვის აუცილებელი ფსიქო-ემოციური დატვირთვა – ღიაობა, მიპატიჟება.

თბილისის პროკურატურა დიღომში. არქ. ნ. ჯაფარიძე, გ. საყვარელიძე, დ. ქიტიაშვილი. 2011.

ამ შენობაში არის რაღაც ისეთი, რომელიც შეგაჩერებს. ავტორებმა კარგად იციან თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, არათუ იციან, არამედ ერთგულებენ მათ. შეიძლება არ დაეთანხმო მათ ესთეტიკურ პოზიციას, გლობალიზაციის უკრიტიკო მიღებას, მაგრამ სახეზეა პროფესული კულტურა, ტაქტი. წარმატებულია მინის მოცულობათა ,,თამაშ"" მთავარ ფასადზე (გზატკეცილის მხარე), მეტყველია სიცარიელეები, უაღრესად საინტერესო სივრცული კოლიზიებია ინტერიერში, მაგრამ იქაც სიცივე მეფობს. შენობა სამივე მხრიდან, ფაქტობრივად, ყრუ კედლებშია მოქცეული, რაც აძლიერებს საერთო ფსიქო-ემოციურ ატმოსფეროს, იმპულსებს. დასამალი არ არის, რომ ,,პროკურატურა" ადამიანებში უარყოფით ემოციებს იწვევს. ასეა ეს მთელ მსოფლიოში. ამ შენობაში, როგორც წესი, მოსაფერებლად და ჯილდოებისთვის იშვიათად თუ იწვევენ ადამიანებს. ამიტომაც მის მიმართ ადამიანებს აპრიორი აქვთ შიშის და უსიამოვნების განცდა. არქიტექტურას აქვს შესაძლებლობა ადამიანებს შეუმსუბუქოს ეს უარყოფითი შეგრძნებები შენობის გახსნილობით, ღიაობით, გამჭვირვალობით, ფერით. ამ შემთხვევაში არქიტექტურა არა თუ არბილებს შიშის და ძრწოლის განცდას, არამედ ყოველმხრივ, განსაკუთრებით მინის შავი ფერით, ამძაფრებს მას. სასურველი იყო შენობის სხვა, უფრო დემოკრატიულ ფსიქო-ემოციურ შეგრძნებებზე აწყობა.

თბილისის მოლი დიღომში. Raceen Project. 2012.

მოლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო კომპლექსია მრავალფეროვანი მომსახურებით. ერთ-ერთი ფასადი მთელი ფრონტით გამოდის ტრასაზე. საინტერესოა მონდრიანისებური ფერადოვანი გეომეტრიული ფორმების მეზობლობა ფასადის მკაცრ, რიტმულ თემის სიბრტყესთან.

წრიული ფორმის, მრავალიარუსიანი სავაჭრო დარბაზის ფერადოვანი ინტერიერი გუმბათიდან დაშვებული ,,ძაბრით" ცხოველ ინტერესს იწვევს.

სავაჭრო ცენტრი ,,პიქსელი". Archgroup: Wandee Hofer Lorch. თბილისი. 2008.

დაბომბილის მეტაფორა. (დროში ემთხვევა რუსეთ-საქართველოს ომს). დაუმთავრებლობის მუდმივი შეგრძნება, დამთავრების მოლოდინი. სადღაც ვნახე (შეიძლება მეშლება), ამ ბუდეებში გამწვანება უნდა ყოფილიყო. იქნებ გამწვაებამ რაღაცით უშველოს.

ყოფილი გზათა სამინისტროს შენობასთან "მინის კუბი". 2011. ავტორი ვერ დავადგინე.

არქიტექტორების გიორგი ჩახავასა და ზურაბ ჯალაღანიას გზათა სამინისტროს შენობა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი არქიტექტურული სახე იყო. მისი არქიტექტურულ-სივრცობრივი წყობა გამორიცხავს მიშენებას, დაშენებას. მასში ახლის შეტანა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მცირე ზომის ცალკე

მდგომი მინის კუბი, რომელიც ვესტიბიულის ხუფის ფუნქციას ასრულებს, მხატვრულად მძაფრი და ზუსტი სვლაა. ის დამოუკიდებელი, თავისთავადი აღმონაცენია, სხვა მცენარეა ამ შენობასთან. მოკრძალებული ზომების, მინის მშვიდი კუბი, ხაზს უსვამს არსებული შენობის მნიშვნელობას. ავტორების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა არსებულისადმი თავაზიანობის კარგი მაგალითია.

მე რაღაც საერთოს ვხედავ მიდგომაში ლუვრის პირამიდასა და თბილისის კუბს შორის. ორივე მიწისქვეშა ვესტიბიულის ,,ხუფია'', ორივე მინისაა, ერთი პირამიდაა, მეორე კუბი, ორივე დიდ ტაქტს ავლენს არსებულის მიმართ.

,,სოკარის'' სათაო ოფისი თბილისში. არქიტექტორები: ვასილ, გივი და გიორგი ქობულიები. 2012.

ადგილი მშენებლობისათვის არც თუ ხელსაყრელია. ეს კარგიც არის და ცუდიც. ცუდი იმდენად, რამდენადაც რთულია რაციონალური ფუნქციურ-ტექნოლოგიური კავშირების ,,აწყობა''. კარგია, რამდენადაც ადგილის სფეციფიკა გზას უხსნის სივრცულ-კომპოზიციური მოულოდნელობებს. ეს სირთულეები ავტორებმა შესანიშნავად დაძლიეს და შექმნეს საინტერესო პოლიფონიური შენობა. მოცულობა ,,ჩაწერილია'' გარემოში. მაღალია სამშენებლო ხარისხი.

საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი თბილისში არქ. თ. კვანტალიანი. 2012.

ობიექტი ტიპოლოგიურად არატრადიციულია, რასაც ავტორი წარმატებით იყენებს და ქმნის არაორდინალურ არქიტექტურას. ფასადების ,,მოქარგვა'' წრიული ხვრელებით საინტერესო თემაა, თანაც შენობის ფუნქციასაც მიანიშნებს. შენობის ქიმის ირიბად წაკვეთა და მისი კონსოლურად ,,გადმოკიდება'' წყლის სარკეზე, შთამბეჭდავია. შენობა თავდაჯერებულია, არის მასში რაღაც მემორიალური. ექსტერიერისგან პრინციპულად განსხვავებულია შიდა სივრცე – ატრიუმი. ავტორი ეძებს განწყობილებას და აღწევს სასურველ შედეგს.

იუსტიციის სახლები

ვარდების პერიოდი პოლიციის შენობების და იუსტიციის სახლების მშენებლობის არნახული მასშტაბებით აღინიშნა. თბილისის, ბათუმის, გურჯაანის, მესტიის იუსტიციის სახლებზე მოსაზრება გზადაგზა გამოვთქვი. გარდა ზემოთჩამოთვლილისა. ასევე აშენდა, ნაწილიც მშენებლობის პროცესშია: თელავში, ყვარელში, ლაგოდეხში, მარნეულში, გორში, ჭიათურაში, რუსთავში, მცხეთაში, ზუგდიდში, ფოთში, ახალციხეში, ოზურგეთში, ქუთაისში. პროექტები შექმნილია სხვადასხვა ფირმებში, უმეტესობა კი AG@Partners-ში. თითოეული შენობის ანალიზი დიდ დროს და ვრცელ საგაზეთო ველს მოითხოვს, საჭიროებაც არ არის, რადგანაც ისინი საერთო დადებით და უარყოფით ნიშნებს ავლენენ, რაც დაკვეთის (დამკვეთის) მიზანდასახულებასა და კატეგორიულობაზე მიანიშნებს. ავტორებმა კარგად იციან მსოფლიოს თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები და პროფესიულადაც იყენებენ მათ, თუმცა ძიე-

ბები, ხშირ შემთხვევაში, სცილდება ,,არქიტექტურის'' საზღვრებს და ენერგიულად იჭრება თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების და დიზაინის სფეროში. პროფესიული თვალსაზრისით უკლებრივ ყველა შენობა იმსახურებს ,,საერთაშორისო''-ს კვალიფიკაციას, გარდა ორისა – ფუქსასის თბილისის ,,სახლისა'' და მაიერის მესტიის ,,სახლისა''. ფუქსასის ,,სახლი'' არა თუ ,,საერთაშორისო'', არამედ ,,ექსტრასაერთაშორისოა'', ხოლო მაიერის მესტიის ,,სახლი'' საერთაშორისო სიმახინჯე და პროფესიული სიყრუეა.

დღეს მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგი ინტერდისციპლინარულობისკენ ისწრაფვის, მაგრამ როდესაც დეკორატიული ხელოვნება და დიზაინი პრივალირებს არქიტექტურაზე (გურჯაანის, ახალციხის, მარნეულის, გორის, ყვარლის იუსტიციის სახლები), არქიტექტურის ,,სამეფოში'' რაღაც ვერ არის კარგად.

იუსტიციის სახლი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ობიექტია, კანონიერების და სამართლის საყრდენია, ადამიანთა უფლებების გარანტია. როდესაც ამ სახელმწიფო მნიშვნელობის შენობას არა აქვს მინიმალური ტიპოლოგიური ცნობადობა და მათ აღვიქვამთ როგორც სანაყინე-კაფეტერიას, სასაწყობო პავილიონს ან ამსგავსებ ზღარბს თუ უზომოდ გადიდებულ საყოფაცხოვრებო ნივთს, უნდა ვიფიქროთ, რომ დაკვეთის პოზიციაა მცდარი. არქიტექტურას განაპირობებს დამკვეთის პოზიცია, მისი ,,გემოვნება''. ჩემი ღრმა რწმენით, იუსტიციის სახლებს, ისევე როგორც პოლიციის შენობებს, უნდა ჰქონდეთ ტიპოლოგიური ცნობადობა, გამაერთიანებელი არქიტექტურული ლექსიკა, კოდი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს მოწოდებას ტიპიურობისკენ.

კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო. სამწუხაროდ, დიდად სამწუხაროდ, არცერთ ზემოთჩამოთვლილ ,,იუსტიციის სახლს'' (ასევე პოლიციის მრავალრიცხოვან შენობებს) მინიშნებაც კი არა აქვთ ადგილზე, ,,ადგილის სულზე'' (Genius Loci), ისტორიაზე, კულტურაზე, ამ თვალსაზრისით ისინი უსამშობლო, უმისამართო, მახსოვრობადაკარგული მანქურთებია, უცხო და ცივი ქართული მენტალობისათვის. დარწმუნებული ვარ, იმ პროფესიული პოტენციალით, რასაც ავლენენ ზემოთხსენებული ობიექტების ავტორები, სწორი ,,დაკვეთის'' და მიზანდასახულობის შემთხვევაში შეიძლებოდა ეს შენობები ყოფილიყო არა მხოლოდ ,,თანამედროვე'', არამედ ეროვნულიც. ამისი არა ერთი მაგალითი არსებობს მსოფლიოში. ეს აუცილებელია პატარა ერის იდენტურობისათვის.

მცხეთა

მცხეთაში, ქალაქ-მუზეუმში, ყოველ არქიტექტურულ ფაქტს უდიდესი სიფრთხილე რომ სჭირდება, ამაზე არავინ არ დავობს. მიმაჩნია, რეაბილიტაციის პირველმა ეტაპმა, რომელიც გულისხმობდა სვეტიცხოვლის მიმდებარე უბნის განახლებას, უკონფლიქტოდ ჩაიარა. შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი, მოხდა სახურავების, ფასადების, ღობე-ჭიშკრების და ქუჩების საფარის განახლება. თავდაპირველად გარკვეულ გაღიზიანებას იწვევდა სახურავების ფერების აქტიურობა, მაგრამ დღეისთვის ფერი ,,დაჯდა'', დამშვიდდა. დიდი გაუგებრობაა სვეტიცხოვლის კარიბჭესთან აშენებული, უმასშტაბო, ტლანქი

მძიმე ნაგებობა. ძეგლთა დაცვაში, საბჭოებში ირწმუნებიან, რომ მათ ამ შენობის პროექტი არ შეუთანხმებიათ. მაგრამ არ შეთანხმება არ უხსნის მათ პასუხისმგებლობას. ის ხომ ერთ დღეში არ აშენებულა.

რაც შეეხება ახალ მშენებლობებს. სვეტიცხოვლის დასავლეთით ,,ჭალებში'' დამთავრდა მცხეთის მუნიციპალიტეტისა და სამხარეო ადმინისტრაციის, პოლიციისა და ,,საქსტანდარტის'' შენობები. მშენებლობის პროცესშია ,,იუსტიციის სახლი''. დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მთავრდება საბჭოთა ტიპობრივი სახლების ფასადების რეკონსტრუქციის სამუშაოები. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე თვალშისაცემ მასშტაბურ დისონანს აქვს ადგილი, პოლიციის შენობაში იგრძნობა რევერანსი, ადგილისადმი, ძეგლისადმი. გამომწვევი და ამოვარდნილია შენობის წინ აღმართული სივრცული სარეკლამო სტელა. ახლახანს შევიდა ექსპლუატაციაში მცხეთის მუნიცილალიტეტის და სამხარეო ადმინისტრაციის შენობა. ეს შენობა ითხოვს სერიოზულ დაფიქრებას, განსჯას. ვერ ვიტყვი, რომ უმასშტაბოა და ანგრევს გარემოს სივრცობრივ წესრიგს. შენობას აქვს ყურადღებისა და ინტერესის გამომწვევი მკაფიო მუხტი, მაგრამ ის თავისი ,,არქიტექტურით'' სრულიად შეუსაბამოა ადგილთან და დანიშნულებასთან, რომ არაფერი ვთქვათ ერის მენტალობასთან. შენობა უზარმაზარი სარკოფაგია, უკონტაქტო, მდუმარე, საიდუმლოებით მოცული. ის შეიძლება ყოფილიყო გენოციდის მუზეუმი და არავითარ შემთხვევაში მხარის, და ქალაქის სახელისუფლებო შენობა. შენობას არა აქვს ვიზუალური კავშირი უნიკალურ გარემოსთან, არც გარედან შიგნით და არც შიგნიდან გარეთ. რაც არც თუ უმნიშვნელოა, შენობა იწვევს პირდაპირ ასოციაციებს უდიდესი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდაოს იაპონიის პავილიონთან, 1992 წლის სევილიის გამოფენაზე. სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი, არქიტექტურულ საზოგადოებას კარგად ახსოვს თუ როგორ ჩაატარა მცხეთის მუნიციპალიტეტმა ამ ობიექტზე უპრემიო ,,ბლიცკონკურსი'', სადაც მხოლოდ ერთი პროექტი იყო წარმოდგენილი, რომელიც ,,გაათეთრეს''.

კიჩური ისტორიზმი

ვარდების ხელისუფლების მიერ საქართველოში ორი არქიტექტურული ტენდენცია იყო წახალისებული: ინტერნაციონალურ-გლობალისტური მინის არქიტექტურა – შუშიზმი და ისტორიზმი, თუმცა ამ მოვლენას ისტორიზმი მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. აქ ყველაფერი ერთადაა – ეკლექტიკა, რეტროსპექტივა, რესტავრატოროზა, სტილიზაცია, კიჩი. ამიტომ მე გამოვიყენებ ცნება-ტერმინს ,,კიჩური ისტორიზმი''.

ისტორიზმი საერთოსაკაცობრიო და ეროვნულ კულტურასთან, ტრადიციებთან, გამოცდილებასთან კავშირს გულისხმობს. ის საგანთა და მოვლენათა შემეცნების პრინციპია განვითარებაში, დინამიკაში. ეკლექტიკურ-კიჩური ისტორიზმი – ,,დახუჭუჭების ეპიდემია'' ჩაისახა ბათუმში, აქედან გავრცელდა საქართველოს სხვა ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში). ბათუმი ყველაზე მეტად იყო ვარდების პერიოდში ხელისუფალის ყურადღების ობიექტი, არც ადგილობრივი ხელმძღვანელობა აკლებდა არქიტექტურას ყურადღებას. ვარდების რევოლუციის პერიოდის ბათუმური არქიტექტურა, განსაკუთრებით

საცხოვრებელი სახლები ცენტრალურ ნაწილში, ამოვარდნილია არქიტექტურის ობიექტური განვითარების პროცესიდან. იქ ,,კიჩური ისტორიზმი'' ოფიციალურ მიმართულებად აქცია ხელისუფლებამ, დიქტატით, საკუთარ ინფანტილურ გემოვნებაზე მორგებით. ხელისუფლებას არ გამოუცია რაიმე ოფიციალური დირექტიული დოკუმენტი, როგორც ეს კპ(ბ)ცკ-მ გააკეთა 1932 წლის დადგენილებით. პროცესი ადმინისტრაციული წესით იმართებოდა. შეიქმნა პირობები, როდესაც განსხვავებული პროექტი გარდა ,,დახუჭუჭებისა'' მზის სინათლეს ვერ ნახავდა. დიქტატს ვერ უბედავდნენ უცხოელ ფირმებს და არქიტექტორებს, რომლებიც გლობალიზაციის აპოლიგეტები არიან.

განსხვავებული მოვლენაა არქიტექტორ ვაჟა ორბელაძის Piazza ბათუმში. ვაჟა ჭეშმარიტი ოსტატია, არტისტია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ის, რანაირიც გნებავთ, დაკვეთის არათუ შემსრულებელი, არამედ ოსტატური, აზარტული შემსრულებელია. ბათუმის Piazza ტურისტებში, ასევე არა ტურისტებში, ასევე ჩემშიც, დადებით ემოციებს იწვევს. რენესანსული განწყობილება, ინტიმური სივრცე, სიმყუდროვე, დახვეწილი ფრაგმენტები, კოშკი, მანსარდები, კამარები, მცირე ფორმები, ყველაფერი ერთად სულიერ სიმშვიდეს განიჭებს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩანს მაღალი სამშენებლო კულტურა.

ვ. ორბელაძის Piazza – განზოგადოებული რენესანსია და არა კოპირება რომელიმე ანალოგისა. იტალიური Piazza უნდოდა დამკვეთს და არქიტექტორმა ის შეასრულა. ეთქვა უარი? სხვა შეასრულებდა. დარწმუნებული ვარ – ცუდად. მაგრამ, როდესაც Piazza-ს შეაფასებ ისტორიის, არქიტექტურის, კულტურის კონტექსტში, როდესაც იცი, ეს არქიტექტურა, განწყობილება, ატმოსფერო უკვე იყო 4-5 საუკუნის წინათ, რომ ეს რეტროა, მეორეულია, სხვისია, რომ ეს იტალიური მაღალი აღორძინების – ჩინკვეჩენტოს კუთვნილებაა, მას ეკარგება კულტურული ღირებულება. იტალიურმა რენესანსმა ხუთი საუკუნის შემდეგ ჩამოაღწია საქართველოში. მოვლენის არსი უფრო გასაგები რომ იყოს, ერთი წუთით, წარმოვიდგინოთ XXI საუკუნის არქიტექტურის განვითარება გვაიძულონ რეტროს პრინციპით. შემოქმედებითი აზრი გაიყინება და დაბრუნდება საუკუნეებით უკან. არქიტექტურის, საერთოდ ხელოვნების განვითარების ერთადერთი სწორი გზაა შექმნა დროის შესაბამისი ხელოვნება, არც წარსულის, არც მომავლის.

კიჩური ისტორიზმით არანაკლებ ცოდავს თბილისი და ქუთაისი. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ უფრო დიდი გაუგებრობა – კოპირება (აუზი თეატრის წინა სკვერში და ,,ჭაჭის'' კოშკი ბათუმში, ოპერის თეატრი ქუთაისში და სხვა). ეს ცალკე თემაა.

საქართველოში ისტორიზმის ბუმი განამტკიცებს აზრს, რომ ეს ხელისუფალთა დაკვეთაა. წარმოუდგენელია არქიტექტორებს თავად შეეყოთ თავი ამ აბსურდში. საქართველო არ არის ქვეყანა, რომლის არქიტექტურა იწყება იურტით და მთავრდება იურტით. საქართველოს არ სჭირდება ისტორიის ყიდვა, შეძენა, არც ფალსიფიცირება. ჩვენ ისტორია გვაქვს. მას სჭირდება მოვლა.

თეიმურაზ ფანჯიკიძე

რწმენის ფსიქოლოგია

რწმენა არის რაიმეს უყოყმანოდ დაჯერება საბუთის გარეშე. ასე აქვთ განმარტებული რწმენის ცნება ცნობილ მოაზროვნეებს. ადამიანებს სწამთ და სჯერათ რაღაცის ან ვიღაცის, და ამ რწმენას მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების საფუძვლად მიიჩნევენ.

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე რწმენა დიდ გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ადამიანთა მსოფლმხედველობაზე, ფსიქიკაზე, ჯანმრთელობაზე, ზნეობასა და მთლიანად ადამიანის ცხოვრების წესზე.

ადამიანი, რომელსაც აქვს რაღაცის ან ვიღაცის რწმენა, ფსიქოლოგიურად უფრო ძლიერია, ვიდრე ურწმუნო ადამიანი. შესაბამისად, ბევრი თვლის, რომ რწმენა არის ხერხემალი ადამიანის ფსიქოლოგიური სტრუქტურისა.

რწმენა ხშირად უკავშირდება სიცოცხლის აზრის ძიებას, იმის გამოკვლევას, თუ რისთვის და რატომ ცხოვრობს ადამიანი ამ ქვეყნად, რა არის მის ცხოვრებაში მთავარი და მისი საბოლოო მიზანი.

თანამედროვე ფსიქოლოგია ადამიანის მთლიანობაში შესწავლისკენ ისწრაფვის. ამ მხრივ აქცენტი კეთდება ყოფის ღრმა, არსობრივი საფუძვლის შესწავლაზე, რაშიც რწმენის ფენომენის გაგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რწმენის ფსიქოლოგია ეყრდნობა სარწმუნოების ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, რომლებიც სათავეს იღებს შორეული წარსულიდან. რწმენა შემეცნების ისეთი მექანიზმია, რომელიც მოქმედებას იწყებს ბავშვობაში, მაშინვე, როგორც კი ადამიანი შეგნებულად იწყებს ინფორმაციის აღქმას. ამ ინფორმაციას იგი ირგვლივ მყოფი ზრდასრული, მისთვის ავტორიტეტული ადამიანებისგან იღებს. ბუნებრივია, რომ მას სჯერა ასეთი ავტორიტეტების და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციასაც უტყუარ ჭეშმარიტებად აღიქვამს. მას მხოლოდ საკმაოდ გვიან შეიძლება გაუჩნდეს განსხვავებული აზრი. რწმენის მეოხებით ადამიანი პასუხს სცემს ისეთ კითხვებს, რომლებზეც პასუხი თეორიულ, მეცნიერულ დონეზე გარკვეულ ეტაპზე მისთვის შეუძლებელია. გარდა ამისა, რწმენის ფსიქოლოგია არსებითად განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ პირად ცხოვრებას, მის აქტივობას.

რეალურ ცხოვრებაში ადამიანს შეიძლება ბევრი რამ სწამდეს, მაგალითად: მეცნიერების, სამშობლოსი, ბედისწერის, პოლიტიკური თუ სულიერი ლიდერების, მეგობრების, თავისი ოჯახის და ა.შ. მაგრამ, ყველაზე უფრო ხშირად, როცა რწმენაზე საუბრობენ, მასში მაინც რელიგიური რწმენა იგულისხმება: «რწმენა, – ამბობს ემერსონი, – მდგომარეობს სულის არსებობის აღიარებაში. რწმენის უქონლობა კი მის უარყოფაში».

ასეთ შემთხვევაში რწმენის ფენომენის კვლევა ხშირად დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან ან რელიგიურ რწმენასთან. ამიტომ, მისგან გამომდინარე, რწმენის ცნება ყოველთვის ერთნაირი და ყველასათვის მისაღები არ არის. შესაბამისად, იგი ხშირად გაურკვეველი, ბუნდოვანი და ნაკლებად გამოკვეთილია.

მკვლევართა აზრით, რწმენა წარმოადგენს ადამიანის შინაგანი სამყაროს დამოუკიდებელ ფენომენს, რომლის გაიგივება სხვა ფენომენთან არ შეიძლება და არც სხვა რამეზე დაიყვანება.

როგორ იბადება ან როგორ კვდება რწმენა? როგორია მისი მიღების მექანიზმი? რწმენა, რასაკვირველია, პირველ რიგში დაკავშირებულია შემეცნებით პროცესთან, გარკვეული ცოდნისა და ინფორმაციის მიღებასთან და მოპოვებასთან, რომლის დაჯერება და გააბსოლუტურება უფრო გვიან ხდება. ეს პროცესი ხშირად განპირობებულია ინფორმაციის დამაჯერებლობით, უფრო ხშირად კი სასურველობით, როცა ადამიანს უნდა, რომ ასე იყოს და არა სხვაგვარად. იგი გამოწვეულია იმ სურვილითაც, რომ ჩასწვდეს მიუწვდომელ საგანს, მის არსს, სხვა გზით ახსნას აუხსნელი მოვლენა; გაერკვეს და გაითავისოს ესა თუ ის მოვლენა, ზოგ შემთხვევაში კი თავის სამსახურშიც ჩააყენოს.

მკვლევრები ერთმანეთისაგან ასხვავებენ **ირაციონალურსა** და **რაციონალურ** რწმენას. ირაციონალურში ისინი გულისხმობენ ისეთ რწმენას, რომლის არსიც მდგომარეობს პიროვნული თუ არაპიროვნული ირაციონალური (გონებისთვის მიუწვდომელი) ავტორიტეტის დაქვემდებარებაში. რაციონალურ რწმენაში კი გულისხმობენ რწმენას, რომელიც ინტელექტუალური და ემოციური აქტივობის პროდუქტიულობას (ნაყოფიერებას) ეყრდნობა.

რწმენის ფენომენის შესწავლა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იწყება, სადაც ამ პრობლემამ რწმენისა და ცოდნის დაპირისპირების სახე მიიღო. ტრადიციულად, რწმენაში, ცოდნისაგან განსხვავებით, იგულისხმებოდა ისეთი რამ, რაც საკმარისად არ იყო დასაბუთებული და შესაბამისად – თვალსაჩინოც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევართა აზრით, რწმენის ფენომენი იბადება შემეცნებით სიტუაციებში და მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

რწმენის მნიშვნელოვანი განმარტება მოცემული აქვს დიდ გერმანელ ფილოსოფოსს **ემანუილ კანტს**, რომელიც თვლიდა, რომ რწმენა არის ისეთი მსჯელობის ჭეშმარიტების აღიარება, რომელსაც სუბიექტურად აქვს არსებობის საფუძველი, მაგრამ ობიექტურად არა აქვს საკმარისი დასაბუთება; ხოლო ცოდნაში კი, იგი როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ საფუძველს საკმაოდ თვლიდა. **ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ რწმენით შეიძლება გაიგო ისეთი ცნებები, როგორიცაა: ღმერთი, საიქიო, სულის უკვდავება, ღვთის წყალობა** და ა.შ.

რწმენის ფსიქოლოგიაზე საინტერესო აზრები აქვთ გამოთქმული ისეთ ფილოსოფოსებს და მოაზროვნეებს, როგორიც იყვნენ: **ჯონ ლოკი, დავიდ იუმი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, მარტინ ბუბერი** და სხვ.

თითქმის ყველა მათგანი რწმენას მიიჩნევდა ინტელექტუალურ, თავისუფალ აქტად, რომელიც იბადება სპონტანურად და არ არის დამოკიდებული ჩვენს ნებისყოფაზე. ჯონ ლოკის მიხედვით, რწმენა ინტელექტუალური აქტია. იგი თანხმობაა გონებასთან, რომლის როლიც იმაში მდგომარეობს, რომ სა-

ფუძვლად დაედოს და ემსახუროს ჩვენს გადაწყვეტილებებს და ქმედებებს იმ შემთხვევაში, როდესაც სარწმუნო და დასაბუთებული ცოდნა ჩვენთვის მიუწვდომელია.

დავიდ იუმი კი საუბრობდა რწმენაზე, როგორც ჩვენი გონების რაღაც ოპერაციაზე, რომელიც ძალას აძლევს სიცოცხლის იდეას.

ზოგიერთი სხვა მოაზროვნის მიხედვით, რწმენა არის ცდისეული ცოდნა, რომელიც ბოლოს უღებს ყოველგვარ ყოყმანს, ეჭვს, უარყოფას, ძიებას, უაზროდ და უსაგნოდ აქცევს არჩევანს ორ გადაწყვეტილებას შორის.

თანამედროვე ეპოქაში ასახელებენ რწმენის ფსიქოლოგიის ახალ იდეოლოგებს, მათ შორის **ტოფერს, ნეისბოტს, ფერაროტის, მარკუზეს** და სხვ., რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ, ინფორმაციულ საზოგადოებას.

ბევრი ფილოსოფოსი აკრიტიკებს რწმენის ასეთ გნოსეოლოგიურ (შემეცნებით) გაგებას და თვლის მას არასაკმარისად, შეზღუდულად. სხვათა მიხედვით (მ. ბუბერი) რწმენა გაგებული უნდა იყოს ორი სახით: ან რაიმეს აღიარება საკმარისი საბუთის გარეშე, ან როგორც ნდობა, ასევე საკმარისი საფუძვლის გარეშე. ასეთი რწმენა, მათი თქმით, პირადულ ყოფას ამთლიანებს. ასეთ შემთხვევაში, გწამდეს, ნიშნავს იცხოვრო თანხმობით შენს რწმენასთან, იხელმძღვანელო მისით და, რაც მთავარია, არ დაკარგო ორიენტირი, არ გადაუხვიო არჩეული სწორი გზიდან. მით უმეტეს, როგორც ბევრი ფილოსოფოსი ამტკიცებს: ადამიანი ყოველთვის ეძიებს საყრდენ წერტილს, რომელიც წარმოადგენს ცხოვრებაში წარმატების მიღწევის უტყუარსა და ერთადერთ საშუალებას.

რაც შეეხება თანამედროვე ფილოსოფიას, იგი ცდილობს შეისწავლოს რწმენა სხვადასხვა სტრატეგიით. პირველ რიგში თავისი ყავლი არ გასვლია გნოსეოლოგიურ (შემეცნებით) კვლევას. ასევე, ეს რწმენა შეისწავლება **ჰერმენევტიკის** პოზიციებიდანაც (ჰერმენევტიკა – ლიტერატურული ძეგლების, ძველი ხელნაწერების შესწავლის მეთოდი).

რწმენის ფენომენს განიხილავენ ოთხგვარად: 1. **ონტოლოგიურად** (ონტოლოგია – მოძღვრება ყოფიერების შესახებ, სადაც რწმენა გამოდის როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რეალობა); 2. **გნოსეოლოგიურად** (გნოსეოლოგია – მოძღვრება შემეცნების შესახებ); 3. **აქსეოლოგიურად** (სადაც არის რწმენის პოზიტიურად შეფასება და ღირებულება); 4. **პრაფსიქოლოგიურად** (სადაც რწმენა გაანალიზებულია როგორც ინტენციონალური აქტიობა).

რწმენის ფენომენი შეიძლება აღმოაჩინო ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს შრომითი პროცესი, მეცნიერება, მედიცინა, პოლიტიკა თუ სხვ. საქმის წარმატება, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სჯერა ამა თუ იმ პიროვნებას ამა თუ იმ საქმისა, რამდენად აქვს მას იმის რწმენა, რასაც აკეთებს და ემსახურება. რამდენადაც დიდ ზემოქმედებას მოახდენს პიროვნება სხვა ადამიანებზე და ჩაუნერგავს თავის რწმენას, იმდენად დიდ წარმატებას მიაღწევს. სწორედ ამიტომ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს საქმისადმი ემოციური დამოკიდებულება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ აზრსაც, რომ რწმენა არის შემეცნების, ცნობიერების ისეთი ფენომენი, რომელიც ფსიქოლოგიურად არის დაკავშირებული ცოდნის მიღების აქტთან.

როდესაც რწმენაზე ლაპარაკობენ, მასში პირველ რიგში რელიგიურ რწმენას მოიაზრებენ. რელიგიურ რწმენასთან არის დაკავშირებული რელიგიის უმარტივესი ფორმები: საგანთა თაყვანისცემა (**ფეტიშიზმი**), ცხოველთა თაყვანისცემა (**ტოტემიზმი**), სულიერ არსებათა რწმენა (**ანიმიზმი**), წინაპართა კულტი, ჯადოქრობა (**მაგია**). უფრო გვიან სხვადასხვა დარგობრივი ღმერთეების რწმენა (**პოლითეიზმი**), კიდევ უფრო გვიან, ერთი ღმერთის თაყვანისცემა (**მონოთეიზმი**).

მსოფლიოში მრავალი რელიგია და კიდევ უფრო მეტი მათი განშტოებაა. არის უამრავი **დენომინაცია, სექტა, რელიგიური დაჯგუფება**. მაინც რისი რწმენა უყრის თავს ამ უამრავ რელიგიას? რა არის ის საერთო და უზოგადესი ნიშანი, რომელიც აერთიანებს მათ ერთიანი რელიგიური რწმენის ცნების ქვეშ? ასეთ რწმენად მკვლევართა შორის ხშირად აღიარებულია **ზებუნებრივის რწმენა**. ზებუნებრივი გაგებულია როგორც მიწიერისადმი დაპირისპირებული მოვლენა, რომელიც ქმნის ბუნებრივს და განსაზღვრავს იმ კანონზომიერებას, რაც ქვეყნად სუფევს, მაგრამ მხოლოდ ასეთი წარმოდგენა ზებუნებრივზე არ არის საკმარისი რელიგიის წარმოშობისათვის, ეს წარმოდგენა ზებუნებრივზე აუცილებლად რელიგიური რწმენითაც უნდა იყოს გამაგრებული.

თავის მხრივ, რელიგიურ რწმენას აქვს თავისი სპეციფიკა. იგი სამი კომპონენტისაგან შედგება. პირველ ყოვლისა, აქ იგულისხმება **რაიმეს ან ვინმეს უყოყმანო რწმენა, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება** (ერთხელ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობილ მოღვაწეს, მიტროპოლიტ ფილარეტს ჰკითხეს: «მეუფეო, როგორ უნდა გავიგოთ, საღმრთო წერილის ის ადგილი, სადაც აღწერილია, თუ როგორ ჩაყლაპა წინასწარმეტყველი იონა ვეშაპმა, მესამე დღეს კი უკან გამოაბრუნა ცოცხლად გადარჩენილი. ვეშაპის ვიწრო ყელში ადამიანი ხომ ვერ გაეტეოდაო? და თუ მაინც გადაყლაპა, როგორ მოხდა, რომ ცხოველის კუჭში არ დაიხრჩოო?» ამ მეტად საჭოჭმანო კითხვაზე მიტროპოლიტმა ფილარეტმა ტრადიციულად უპასუხა: საღმრთო წერილში მართლაც არის ასეთი ადგილი, მაგრამ ასე კი არა, როგორც წერია: ვეშაპმა ჩაყლაპა იონა, არამედ, პირიქითაც, რომ ეწეროს, იონამ ჩაყლაპა ვეშაპი და ის ცოცხალი გადარჩაო, ჩვენ მაინც უნდა ვირწმუნოთ და არაფერი ვიკითხოთ, რადგან ეს რწმენის საგანიაო)». აი, სწორედ ასეთი განუსჯელობა, უყოყმანობა არის დამახასიათებელი რელიგიური რწმენისათვის.

რელიგიური რწმენის მეორე კომპონენტად ასახელებენ **ზებუნებრივის რწმენისადმი ადამიანების ემოციურ დამოკიდებულებას**. მის განცდას და თაყვანისცემას, რომლის გარეშეც არ არსებობს რელიგია.

რწმენის მესამე კომპონენტად მიჩნეულია ის **ილუზორული ურთიერთობა, რომელიც მყარდება მორწმუნესა და ზებუნებრივს შორის.** ტრადიციულად, მორწმუნეს არ უნდა და არ აინტერესებს ისეთი ღმერთის წარმოსახვა და რწმენა, რომელიც მისგან შორს, სადღაც ცისქვეშეთში ან მის მიღმა სუფევს. მას უფრო სჭირდება და სურს ისეთი ღმერთი, რომელიც მასთან ახლოსაა და შეუძლია ადამიანების ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენა მოახდინოს. ასეთი ღმერთი, მორწმუნის წარმოდგენით, ქვეყანას დაჰყურებს, ყველაფერს ამჩნევს, ყველაფერს აფასებს და ყველას სათანადოდ მიუზღავს. ის არის არა ცხოვრებას მოშორებული, აბსტრაქტული, განყენებული სული, არა ფილოსოფიური ღმერ-

თი, არამედ უზენაესი არსება, რომელზეც შეიძლება ილოცო, რომელსაც შეიძლება რაიმე სთხოვო და რომელსაც შეუძლია გასაჭირში მხარში ამოგიდგეს, განუგეშოს, გადაგარჩინოს. ასეთი შეხედულებით, ღმერთი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, განსაზღვრავს მის ბედს, მაგრამ, თავის მხრივ, ადამიანსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ზებუნებრივზე, თავისი უმწიკვლო ზნეობრივი საქციელით, ცხოვრების რელიგიური წესის მტკიცე დაცვით, რელიგიური ცხოვრებით.

ცალკე უნდა ითქვას **რელიგიის ფსიქოლოგიის**, მისი სპეციფიკის შესახებაც. რელიგიის ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს რელიგიურ ცნობიერებას, რელიგიურ გრძნობებს, იმ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ რელიგიური ცნობიერების თავისებურებებს. იგი ცდილობს გაიგოს და ახსნას მორწმუნეთა საქციელი როგორც მთლიანად რელიგიურ სივრცეში, ისე სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობაში.

ფსიქოლოგიის ეს დარგი იკვლევს ადამიანის სულიერ პროცესებს, რომელნიც თვალნათლივ გამოიხატება რელიგიურ განცდებში, გვიჩვენებს ადამიანის სულის მდგომარეობას, მის ღვთისმოშიშობას და ღვთისმოსაობას, მის როლს პიროვნების ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ რელიგიის ფსიქოლოგია არ იხილავს ღმერთის არსებობა-არარსებობის პრობლემებს, რაც უფრო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების შესასწავლი საკითხებია, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იკვლევს თუ როგორ ესმის, როგორ წარმოუდგენია კონკრეტულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფებს ღმერთის არსებობა და მისგან მომდინარე ქმედებები.

რწმენის ცნებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ასოცირებულია ღმერთის რწმენასთან და მისგან მომდინარე რელიგიურ მოძღვრებებთან, თავის მხრივ უპირისპირდება რაციონალური და მეცნიერული აზროვნება, რადგან ეს უკანასკნელი ეკუთვნის ფაქტების სფეროს, განსხვავებით ტრანსცენდენტალური სფეროებისაგან, სადაც ადგილი არა აქვს მეცნიერულ აზროვნებას და არის მხოლოდ მოქმედების სფერო.

რელიგიის ფსიქოლოგიის დახასიათებისას ტრადიციულად ასახელებენ მის შემადგენელ ნაწილებს: **რელიგიის დიფერენციალურ ფსიქოლოგიას**, რომელიც სწავლობს რელიგიურ ცნობიერებებს და მორწმუნეთა გრძნობებს ისტორიული ეპოქის კონკრეტულ-სოციალური გარემოს გათვალისწინებით;

რელიგიური ჯგუფების ფსიქოლოგიას, რომელიც სწავლობს რელიგიური თემების სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, მათი ურთიერთობების მექანიზმებს, გრძნობებსა და ქცევებს;

რელიგიური კულტის ფსიქოლოგიას, რომელიც სწავლობს რელიგიური წეს-ჩვეულებების გავლენას ადამიანზე;

პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, რომელიც ამუშავებს რელიგიური აღზრდის მსოფლმხედველობრივ პრინციპებს.

თუ დავუბრუნდებით რელიგიურ რწმენას, მისი უკეთ გაგებისათვის სჯობს რომელიმე ცალკე რელიგიას მივმართოთ, ჩავიხედოთ რელიგიურ წიგნებში, თუნდაც ბიბლიაში.

პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ებრაელებისადმი რწმენას ასე განმარტავს: «ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და წვდომა უხილავისა.

რადგანაც რწმენით მიეცა მოწმობა უხუცესთ.

რწმენით შევიცნობთ, რომ ღვთის სიტყვით შეიქმნენ საუკუნენი, და რომ ხილული უხილავისაგან იღებს დასაბამს» (ებრ. 11:1-3). ეპისტოლეს ამავე თავში მოციქულ პავლეს მოჰყავს მაგალითები **აბელის, ნოეს, აბრაამის, სარას, იოსების, მოსეს** და სხვა ბიბლიური პერსონაჟების ცხოვრებიდან, რომლებიც, მხოლოდ რწმენაზე დაყრდნობით ახდენდნენ სასწაულებს. «რწმენის გარეშე კი შეუძლებელია ესათნოვო ღმერთსა, – ასკვნის პავლე მოციქული, – რადგან, ვინც მას უახლოვდება, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და სანაცვლოს მიაგებს მის მაძიებელთა» (ებრ. 11:6).

«რწმენით რომ ამარცხებდნენ სამეფოებს, – განაგრძობს მოციქული პავლე, – იღებდნენ აღთქმას, პირს უკრავდნენ ლომებს,

შრეტდნენ ცეცხლის ძალას, თავს აღწევდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისაგან, მძლავრობდნენ ომში, აოტებდნენ უცხოთა ლაშქარს» (ებრ. 11:33-34).

«... ეგეც არ იყოს, – გვმოძღვრავს მოციქული, – თუ ჩვენი ხორციელი მამები გვწვრთნიან და შიშით ვემორჩილებით მათ, განა მით უფრო მეტად არ უნდა ვემორჩილებოდეთ სულების მამას, რათა ვიცოცხლოთ?» (ებრ. 12:9).

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოციქული პავლე რწმენას, კარგად არის ნაჩვენები მის მეორე ეპისტოლეშიც კორინთელებისადმი: «რადგანაც რწმენით ვიარებით და არა ხედვით» (II კორ. 5:7). ან კიდევ: «მაგრამ ნდობით ვართ აღვსილნი და გვიჯობს სხეულიდან გამოვსახლდეთ, რათა უფალთან დავესახლოთ.

ამიტომაც ვცდილობთ, რომ, გამოვსახლდებით თუ დავსახლდებით, მისთვის სათნონი ვიყოთ (II კორ. 5:8).

თუკი ადამიანს ნამდვილი რწმენა აქვს, მან მარტო ის კი არ უნდა იწამოს, რასაც თვალით ხედავს, არამედ მის უხილავადაც ირწმუნოს.

ახლა აღთქმაში მოთხრობილია ამბავი ურწმუნო თომას შესახებ, რომელმაც მანამდე არ ირწმუნა ქრისტეს აღდგომა, სანამ ხელით არ შეეხო მის სხეულს და ნაიარევი არ მოსინჯა, რაზეც იესო დანანებით ეუბნება: «რაკი მიხილე, მიტომ მიწამე; ნეტარ არიან, ვისაც არ ვუხილავარ და მაინც მიწამეს» (ინ. 20:29).

რწმენის მნიშვნელობაზე საუბრობს თავის ეპისტოლეში იაკობიც: «უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილებამან მან სარწმუნოებისა თქუენისამან შექმნის მოთმინებაჲ» (იაკ. 1:3).

ღვთისმეტყველები ამტკიცებენ, რომ რწმენას ყოველთვის ელის გამოცდა, რომელსაც ადამიანმა თავი უნდა გაართვას. ცხოვრებისეული გამოცდის შედეგად რწმენა შეიძლება შესუსტდეს, ჩაქრეს, დაინგრეს, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება პირიქით მოხდეს, რწმენა გაძლიერდეს და ურყევი გახდეს.

საღმრთო წერილის მიხედვით, ყოველივე ამაში დიდ როლს ასრულებს არა მარტო რწმენა, არამედ ადამიანთა საქმეებიც. ამის შესახებ პირდაპირ წერს იაკობი თავის ეპისტოლეში: «რას გამოელის, ძმანო ჩემნო, ვინც ამბობს, რწმენა

მაქვსო, მაგრამ არა აქვს საქმე? შეძლებს კია ეს რწმენა, რომ იხსნას იგი?.. ...რწმენაც, საქმის გარეშე, თავისთავად მკვდარია» (იაკ. 2:14, 17).

იაკობისათვის რწმენა და საქმეები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ურთიერთს განაპირობებენ. რწმენა ეხმარება ადამიანებს საქმიანობაში. იგი აშკარად უბიძგებს მათ მოქმედებისაკენ. ახალი აღთქმიდან გამომდინარე, ღვთისმეტყველები ასკვნიან, რომ რწმენა, რომელიც არ არის გამოხატული მოქმედებით, მკვდარი და უმაქნისია. რწმენისა და საქმეების მჭიდრო კავშირზე ახალ აღთქმაში მიგვითითებენ მოციქულები პეტრე და პავლე.

იმისათვის, რომ ადამიანმა საქმე აკეთოს, ყველა დროში აუცილებელი იყო შესატყვისი პირობები და მხარდაჭერა. ადამიანს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მომავლის სახე, რომლისაც სწამს და რომელიც ეხმარება დაძლიოს ყოველგვარი ყოყმანი, სიძნელეები, ნებისყოფის სისუსტე და ხელი არ აიღოს თავის ჩანაფიქრზე. სხვაგვარად ადამიანის ორგანიზებული საქმიანობა ძნელი წარმოსადგენია და მას შედეგი არ მოაქვს. ამიტომ, ფსიქოლოგები სამართლიანად თვლიან, რომ რწმენა ეს არის პიროვნების მიერ საქმისადმი აქტიური დამოკიდებულება.

როგორია რწმენის გამოვლენის სიტუაციები ცხოვრებაში? რა პირობებში მჟღავნდება იგი ყველაზე უფრო რელიეფურად? – უწინარესად, ესაა სიტუაცია, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ საკუთარი მიზანდასახულობისათვის საკმარისი მოტივირება და საბუთები არა აქვს, მაგრამ მაინც ჯიუტად აგრძელებს თავის საქმიანობას, რადგან ეს საქმე მისთვის ფრიად სასურველი და განსაკუთრებულია.

არის ისეთი სიტუაციებიც, როდესაც ყველაფერი მეტყველებს მოსალოდნელ ცუდ შედეგზე, მაგრამ ადამიანს მაინც სწამს ამ საქმის წარმატება. ან კიდევ, არსებობს ისეთი მდგომარეობაც, რომლის დროსაც ადამიანს სწამს სასურველი რამ და არ იღებს რეალობას.

სხვა შემთხვევაში, ადამიანი ხედავს რაღაც მოვლენას, მაგრამ არ შეუძლია ბოლომდე მისი ახსნა და გვთავაზობს თავისი რწმენის ვერსიას, რომელიც ზოგჯერ არარეალობას, ზოგჯერ კი უკიდეგანო ფანტაზიასაც კი უკავშირდება.

დაბოლოს, არსებობს ისეთი სიტუაციებიც, როდესაც ადამიანი, მიუხედავად რეალური ვითარებისა, ამჟღავნებს გადაჭარბებულ ოპტიმიზმს, ან პირიქით – გადაჭარბებულ პესიმიზმს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რწმენა არის ადამიანის შინაგანი დამოკიდებულება სამყაროსადმი, პირადი ხედვა, რომლის დროსაც ხდება ადამიანის სუბიექტური რეალობის აშენება და ჩამოყალიბება. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ადამიანს სწამს რაღაც, მაგრამ ეს რაღაც არ არის თვით რწმენა, სხვაგვარად, ეს რწმენა არ არის უშუალოდ რწმენის საგანი, არამედ სახე, რომელიც მხოლოდ აზრობრივი კონსტრუქციის შედეგია. ფსიქოლოგები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ რწმენის ფენომენალური გამოვლინებები ფუნქციონირებდნენ არაცნობიერის დონეზეც.

ვინაიდან რწმენა არის ადამიანის შინაგანი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ამიტომ არ შეიძლება დიდი ყურადღება არ მივაქციოთ ადამიანის მიერ აღქმულ სუბიექტურ რეალობას, მის მიერ დანახულ გარე სამყაროს, რომელიც

შეიძლება იყოს ობიექტური, მაგრამ ილუზორულიც იყოს; სრულიად არ შეესატყვისებოდეს სამყაროს რეალურ სურათს.

ნებისმიერ რწმენაში, რასაკვირველია, არის გარკვეული ინფორმაცია, ცოდნის ელემენტები, მაგრამ მასში წინა პლანზე არის წამოწეული არა ცოდნის ობიექტური მხარე, არამედ ის, თუ როგორ უყურებს ადამიანი ამ ცოდნის შინაარსს, მოწოდებულ ინფორმაციას.

უპირისპირდებიან თუ არა ცოდნა და რწმენა ერთმანეთს? რასაკვირველია, ასეთი შემთხვევები არის. ეს იმ დროს ხდება, როდესაც ცოდნაზე აგებული პროგნოზირებადი სახე არ შეესატყვისება რწმენის ობიექტს. აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ, რომ რწმენა, რასაკვირველია, უნდა მივაკუთვნოთ ცოდნას, მაგრამ მხოლოდ მის კონკრეტულ-ფსიქოლოგიურ განხორციელებაში. ასეთი ცოდნა მართლაც არის სტრუქტურირებული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია კი შეიძლება შეესატყვისებოდეს სინამდვილეს ან არ შეესატყვისებოდეს.

მეტად საინტერესოა რწმენის დამოკიდებულება ემოციებისადმი. როგორც ცნობილია, ისეთი ემოციები, როგორიცაა: **სიხარული, ტანჯვა, მოწონება, წყენა, მიზნის მიღწევით გამოწვეული კმაყოფილება**, ან **მიუღწევლობით გამოწვეული უკმაყოფილება** და ა.შ. ყოველთვის თან ახლავს ადამიანის ცხოვრებას, მაგრამ ეს არ არის რწმენა, იგი უფრო აზრს მიეკუთვნება, აზრობრივი წარმონაქმნი კი არის შეგნებული და ემოციური პროცესების ნაზავი.

როცა ფსიქოლოგები ადარებენ ერთმანეთს რწმენას და აზრს, მათ ურთიერთმიმართებას, სამართლიანად თვლიან, რომ რწმენა და აზრი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, თუნდაც იმით, რომ ორივე რეალური ყოფისაგანაა წარმომდგარი. რწმენის და აზრის დაბადების პროცესს ფსიქოლოგები ადარებენ შესაძლებელი აზრის მუდმივ თანაფარდობას, რომელსაც ადამიანი იძენს რაიმეთი დარწმუნების შემთხვევაში; მიუხედავად იმისა, არის თუ არ არის ამ რწმენისათვის შინაგანი საფუძველი. მათივე თქმით, ადამიანში ყოველთვის მიმდინარეობს ბრძოლა აზრის შეძენის სურვილსა და იმ შიშს შორის, რომ არ მოტყუვდეს თავის რწმენაში.

ფსიქოლოგები ასევე ასხვავებენ ერთმანეთისაგან რწმენისა და ადამიანის აზრობრივ დარწმუნებულობას. ისინი თვლიან, რომ დარწმუნებულობა ეს არის შედარებით სტატიკური წარმონაქმნი. ეს იმ დროს, როდესაც რწმენას აქვს პროცესუალური, დინამიკური ხასიათი. დარწმუნებულობაში ფსიქოლოგები გულისხმობენ აზრთა ნაერთს, მნიშვნელობას, იმ წარმოდგენებს, რომლებიც ასაზრდოვებენ ადამიანის მოქმედების მიზნებს და მოტივებს. რწმენა კი ამაგრებს ამ აზრებს და წარმოდგენებს. ამიტომაც მოსდევს შედეგად რწმენის და აზრის დაკარგვას შეხედულებებში დარწმუნებულობის დაკარგვაც.

ადამიანის შეხედულებები და მათში დარწმუნებულობა ადამიანის პიროვნული განვითარების შედეგია. ისინი ახასიათებენ მის ყოფას როგორც პიროვნების ყოფა; ხოლო რაც შეეხება რწმენას, იგი არსებობს ასეთი შეხედულებების და დარწმუნებულობის ხარისხის მიუხედავად. ხშირ შემთხვევაში რწმენა თვით გვევლინება ამგვარ შეხედულებათა ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.

როგორ იძენს ადამიანი რწმენას? რასაკვირველია, მჭიდრო კავშირში ნებისყოფასთან და აზროვნებასთან, მაგრამ ფსიქოლოგები სამართლიანად თვლიან,

რომ რწმენის არაბუნებრივად, ხელოვნურად შეძენა, მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვის საშუალებით შეუძლებელია.

რწმენა თხოულობს ადამიანისგან ნებისყოფის დაძაბვას იმ მაღალი და ზნეობრივი იდეალების ძიებაში, რასაც უმაღლესი ფასეულობები აქვს.

დასკვნის სახით რისი თქმა შეიძლება? რწმენამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ადამიანები იოლად ვერ გადიოდნენ და ვერც დღეს გადიან რწმენის გარეშე. შესაბამისად, ამ მოვლენის ირგვლივ ბრძოლა არასოდეს წყდებოდა და არც მომავალში შეწყდება...

ალბათ, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ რელიგიურმა რწმენამ წესრიგი შემოიტანა პირველყოფილ საზოგადოებაში. შეაჩერა ის დიდი ქაოსი და ძალმომრეობა, რომელიც იქ სუფევდა. მოაწესრიგა ნათესაური ურთიერთობები თუ სხვა პროცესები, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, თვითონ იყო მაპროვოცირებელი ძალადობის და სისასტიკის, საშინელი მსხვერპლშეწირვების (მათ შორის ადამიანებისაც).

მართლაც, უადრესი რელიგიური წარმოდგენები, თავისი ზნეობრივი აკრძალვებით და ტაბუთი უდავოდ იყო შემაკავებელი საშუალება ძალადობისაგან, მაგრამ ეს უფრო დახვეწილად მონოთეისტურმა რელიგიებმა შეძლეს.

ერთი ღმერთისადმი რწმენამ შექმნა მოსეს რჯული თავისი 10 მცნებით. ქრისტესადმი რწმენამ წარმოქმნა ქრისტიანული სამყარო და ქრისტიანული კულტურა ქრისტეს მთაზე წარმოთქმული ქადაგებით, რომელიც გვინერგავდა არა მარტო მოყვასის, არამედ მტრის სიყვარულსაც;

მუჰამედისადმი რწმენამ შექმნა მაჰმადიანური სამყარო და კულტურა. ასევე შეიძლება ითქვას აღმოსავლური რელიგიების და აღმოსავლური კულტურის შესახებაც.

კაცობრიობის ისტორიამ თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ განსხვავებულმა რწმენამ, განსხვავებულმა ხედვამ, რწმენის სხვადასხვა ინტერპრეტაციამ როგორ დაშალა ეს, პრინციპულად, დაუშლელი რელიგიური ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებებად, დენომინაციებად, სექტებად და რელიგიურ დაჯგუფებებად. ისტორიამ ისიც გვიჩვენა, რომ ამ რელიგიებს სხვაგვარი რწმენებიც დაუპირისპირდა, კერძოდ, ამ რელიგიური რწმენის უარმყოფელი რწმენები, რომელმაც პირველ პლანზე ადამიანი წამოსწია. ასეთი სულისკვეთებით გაჟღენთილი ადამიანები ყოველთვის, ყველა ეპოქაში იყვნენ. მათაც ხომ თავიანთი რწმენა ჰქონდათ?

რწმენამ წარმოქმნა არა მარტო კლასიკური რელიგიები, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები, კორპორაციები.

XIX და XX საუკუნეებში გარკვეულ დროსა და სივრცეში **მარქსიზმმა** შექმნა კომუნისტური იდეოლოგია, რომელსაც უნდა აეშენებინა უკლასო საზოგადოება, ქვეყნად კი თანასწორობა და სამართლიანობა უნდა დაემკვიდრებინა.

იტალიასა და გერმანიაში შეიქმნა **ფაშიზმი,** რომელმაც განავითარა **არიული თეორია**, გამორჩეული ერებისა და ადამიანების შესახებ, რომელსაც დანარჩენ ადამიანებზე უნდა ებატონათ. ესეც თავისებური რწმენა იყო. ვერ ვიტყვით, რომ დადებითი, მაგრამ მაინც რწმენა ერქვა...

ორივე ამ არარელიგიურმა რწმენამ დიდხანს ვერ იბატონა. ორივე წარსულს ჩაჰბარდა და კაცობრიობა მისთვის უფრო ნაცნობ და მისაღებ რელიგიურ რწმენას დაუბრუნდა, რადგან მის გარეშე არსებობა გაუჭირდა.

რა იქნება მომავალში? რას გვპირდება კაცობრიობა? კიდევ რა სახის რწმენებთან გვექნება საქმე? კიდევ რა მიზნებს დაისახავს და რა ღირებულებებს შექმნის ადამიანთა მოდგმა? რამდენად დაეყრდნობა იგი მეცნიერულ პროგრესს და რამდენად იქნება ეს პროგრესი შეთანხმებული ზნეობასთან?

ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რწმენა მომავალშიც დიდ როლს შეასრულებს. ამიტომ, კაცობრიობა ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რომ ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, რომელიც იქნება კაცთმოყვარე და ჰუმანური; ისეთი რწმენა, რომელიც კი არ დააპირისპირებს, არამედ დააახლოებს და შეაყვარებს ადამიანებს ერთმანეთს, საზოგადოებრივ თუ პირად ურთიერთობებში გამორიცხავს ძალადობას, დანერგავს სიკეთეს და ბედნიერებას მოუტანს ადამის მოდგმას.

TEIMURAZ PANJIKIDZE

PSYCHOLOGY OF FAITH

Summary

The work deals with analysis of the phenomenon of faith, its peculiarities and psychology; it contains explanation how the faith emerges, what is the area of its functioning and mechanism.

Different types of faith are considered: religious, rational, scientific. The attention is paid to the faith, which in majority of cases is associated with faith in God and religious doctrines, which arise from such faith. The matter concerns correlation and of knowledge and faith.

The final part gives evaluation of the role of faith in life of one person and the society in general.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ო., გეგეშიძე დ., რელიგიური რწმენა და მეცნიერული ცოდნა, «საქართველო», 1969.
2. ავალიანი ს., ბუნებრივი თეოლოგია, «საქართველო», ჟურნალი «რელიგია», 1998.
3. ფანჯიკიძე თ., რელიგიის არსი, «საქართველო», 1983.
4. Угринович Д. М., Психология религии, М., 1986.
5. Грановская П. М., Психология веры, СПБ., 2004.
6. David M. Wulff.Psycology of religion classic and contemporary views. New York. Chishester, Brislane, Toronto. Singapore, 1991.

✍ ეკა ცხადაძე

გადმოცემები ამორძალებზე და მათი მითოსურ-ლიტერატურული პარადიგმები

ა) ცნობები ამორძალებზე // ამაზონებზე

მეომარსა და მამრთა უარმყოფელ ამორძალებზე ძველი ბერძნული წყაროები მიგვითითებენ. ისტორიული ტრადიცია მათ მცირე აზიაში აფიქსირებს, მათივე არსებობას მშვენიერ მითად და ლეგენდად მიიჩნევდნენ, თუმცა მრავალი მონაცემი არსებობს იმისა, რომ ამორძალები რეალური სოციალური ყოფის მატრიარქალურ ნაშთად მივიჩნიოთ. ქრონოლოგია მოითხოვს უპირველესად, ჰეროდოტეს ცნობა მოვიხმოთ, რომლის თანახმად ელინები ამაძონებს ებრძოდნენ (ამაძონებს ანუ ამორძალებს). ,,როდესაც ელინები ხშირად ებრძოდნენ (სკვითები ამაძონებს უწოდებენ "ოᲂრპატა"-ს, ელინურ ენაზე ეს სახელი ნიშნავს ,,კაცთამკვლელებს": რადგან ,,ოᲂრ" აღნიშნავს ,,მამაკაცს", ხოლო ,,პატა" მოკვლას), მაშინ თერმოდონტთან ბრძოლაში ელინებმა გაიმარჯვეს, გამოცურეს უკან და წამოიყვანეს სამი ხომალდი ამაძონები, რომლების შეპყრობაც შეძლეს. ამაძონები ზღვაში დაესხნენ მათ თავს და ამოხოცეს მამაკაცები. ხომალდებისა მათ არა იცოდნენ რა, არც საჭეების ხმარება იცოდნენ, არც აფრებისა და ნიჩბებისა, ისე რომ მამაკაცები არ ამოხოცეს, ამაძონები მიენდვნენ ტალღებსა და ქარს და მიაღწიეს კრემნოს, მაᲂეტისის ტბაზე, ხოლო კრემნო თავისუფალი სკვითების ქვეყანაშია" [1, 283] ჰეროდოტეს ვერსიით, ამაძონები ანუ ამორძალები თერმოდონტის ნაპირებთან სახლობენ და სკვითთა მხარეში მათი მოხვედრა აღწერილმა ბედსმინდობამ და ნაოსნობის არცოდნამ გამოიწვია.

თერმოდონტი, ამორძალთა სამყოფელი, შავი ზღვის სანაპიროზეა, სადაც ცხოვრობდნენ ქართველური ტომები და სადაც მოგვიანებით პონტოს სამეფო შეიქმნა. სოფოკლეს, ევრიპიდესა და პავსანიაზე დაყრდნობით: ,,ჰერაკლეს მეცხრე გმირობა იპოლიტას ქამრის მოპოვებაა... ჰერაკლე და თეზევსი ევქსინის პონტთან მდებარე ამაზონთა სამეფოში გაემგზავრნენ, დედაქალაქ თემისკირში. ჰერას ჩარევით ატყდა ომი და ჰერაკლემ დაამარცხა არტემიდას მხლებელი ამორძალები, მოიპოვა იპოლიტას ქამარი და თეზევსთან ერთად დაბრუნდა შინ ტროის გავლით"[1, 166-168].

როგორც ვხედავთ, ძველი სამყაროს უპირველეს გმირს ერთ-ერთ უძლეველ გმირობად ამორძალთა დალაშქვრა და დამარცხება ეთვლება.

ძველი ბერძნები ამორძალებს ომის ღმერთის, არესის ასულებად მიიჩნევდნენ და მათ საცხოვრებელს მდ. თერმოდონტის ნაპირას ქალაქ თემისკარში (მცირე აზია) ასევე კავკასიის მთიანეთსა და მეოტიდში (აზოვის ზღვასთან) იგულვებდნენ. მსოფლიო ხალხთა მითების ენციკლოპედია ამორძალებზე გავრცელებული თქმულებების მიზეზს ასე ხსნის: ,,ლეგენდები ამაძონებზე ფართოდ გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კუთხეში, ისინი ან ადგილობრივი ტრადიციების ნაყოფნი არიან, ან ბერძნული ტრადიციების გავლენით გავრცელდნენ'' [2, 64]. შესაძლოა სხვადასხვა კუთხეში ამგვარ თქმულებათა არსებობას ბერძნულ მწერლურ ტრადიციაზე უფრო სწორედ ადგილობრივმა პირობებმა შეუქმნა საფუძველი, რადგან ნებისმიერი საომარი მოქმედებანი თუ ლოკალური ხასიათის შეხლა-შემოხლაში ქალებსაც შეეძლოთ შეიარაღებული ჩარევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამორძალები, რომლებიც ერთიან სახელმწიფოებრივ წარმოქმნასაც კი ქმნიდნენ თერმოდონტის ნაპირებთან, მხოლოდ ჩვეულებრივ იარაღიან ქალებს წარმოადგენენ. აპოლონიოს როდოსელი ძველი წ. აღ-ით III საუკუნეში ამაძონების სამ შტოს გამოყოფს:

,,იქ, დოიანტის ველზე სახლობენ მოუსვენარი ამორძალები:
მოგეხსენებათ, უყვართ შფოთი და პატივს არ სცემენ კაცთა კანონებს
მოსწონთ არესის ომის ხელობა და სისხლიანი განხეთქილება...
...ცალკე ქალაქში კი არ ცხოვრობდა შფოთისმოყვარე ქალების მოდგმა
სამ ტომად იყვნენ გაყოფილები, მთელს ქვეყანაში მიმოფანტულნი:
თემისკირელი ამაძონების ტომს ჰიპოლიტე უძღოდა მაშინ,
ლიკასტიელთა გვარი და მოდგმა ომს ეწეოდა განმარტოებით,
და შუბოსანი ქადესიელი ქალების ტომი ცხოვრობდა ცალკე.
თემისკარიდან გასული არგო ხალიბთა ქვეყნის გასწვრივ გაცურდა.
ეს ხალხი ხარებს არ აბამს სახნისს, ხნულს არ მიჰყვება ახოში მხვნელი''...
[3, 107]

როგორც ვხედავთ, არგონავტთა ლაშქრობამ ამორძალებთან შეხლის გარეშე ჩაიარა, თუმც ზოგი ავტორი არგოს მეზღვაურთა შერკინებას კაცთმოძულე ქალებთან არ გამორიცხავს. ჰელანიკე მიტილენელის ცნობით: ,,ომით გაუმაძღარმა ტელამონმა მოკლა ვაჟკაცთ მმუსვრელი, უბიწო მელანიპე, ჰერაკლესთან ერთად ილაშქრა [ამაძონებზე] ყველამ, ვინც კი ,,არგოზე'' მოგზაურობდა'' [4, 274].

ა. ურუშაძე ცნობილ ნაშრომში იმოწმებს ფილოსოფოსს – თემისტიოსს, რომელიც ფაზისის (ფოთის) რიტორიკულ სკოლაში სწავლობდა. იგი ასე მოიხსენიებს თავის სიჭაბუკის დროინდელ სამყოფელს: ''მეც, აგრეთვე თვითონ, ჭაბუკო კეთილო, რიტორიკის ნაყოფნი მოვიმკე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ესაა, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს კიდეში, ფაზისის მახლობლად, სადაც თესალიიდან წამოსულმა ,,არგომ'' დაისადგურა, რომელსაც პოეტებმა გაკვირვებით უმღერეს და რაც ზეცამ აიტაცა; იქ, სადაც თერმოდონტი, ამაძონთა საქმენი და თემისკირიონია'' [4, 470].

ორფიკული არგონავტიკაც ამორძალების სამყოფელს ასე აღგვიწერს: ,,ქვემოთ, ჩრდილოეთის დათვის თანავარსკვლავედის პირისპირ გამოშვერილია

დოიანტის თემისკირის ველი... მახლობლად კი ცხენთამძლე ამაძონების ქალაქები მდებარეობს და ხალიბების, ტიბარენების ტომები და ბექირიების ხალხები მოსინიკებთან ერთად ველის გარშემო ცხოვრობენ'' [5, 104]. ესქილე თავის ,,მიჯაჭვულ პრომეთეში'' ტანჯულ იოსთან ასე ალაპარაკებს პრომეთეს:

,,ბოლოს მიაღწევ მთათა მეფეს – მთას კავკასიონს,
მის მწვერვალიდან დიდმრისხანე მოჰქუხს მდინარე.
უნდა ქედები გადალახო ვარსკვლავთ მეზობლად
და შუადღისას გზად იარო, სანამ შეხვდები
ამაზონელებს – მამაკაცთა მოძულე ლაშქარს, –
თემისკირეში, თერმოდონტის ახლო ცხოვრობენ,
სადაც შავ ზღვაში სალმიდესი, მარჩხიბის ყბებით,
გემს ემუქრება, მენავეთა დედინაცვალი''... [6, 43].

კავკასიის მკვიდრთ, კოლხიდელებს ესქილე ასე მოიხსენიებს: ,,კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი''.

ჩვენთვის საინტერესო ამორძალები შეიარაღებულნი არიან შუბებით, იშვიათად ისრებით და ორპირა ცულებით. ვერგილიუსის აღწერით, ამორძალი პანთესილეა ათასებში გამოირჩეოდა სიმამაცით, ხოლო კამილას თვით დიანასაგან ჰქონია მშვილდი ბოძებული:

,,ამ დროს შეიჭრა ამაძონი კამილა ომში
და საბრძოლველად გაიშიშვლა ცალ მხარეს მკერდი,
ხან შეიმკვრივა ჰაერი და შუბი გასტყორცნა,
ხან მოუღლელმა აიტაცა ორპირა ცული,
მხრებზე შხუოდა ოქროვანი დიანას მშვილდი...
...ასე იბრძვიან თრაკიელი ამაძონები
ლამაზ საჭურვლით თერმოდონტის სანაპიროზეც.
ხან ჰიპოლიტეს, ხან მეომარ პენთესილეას
გაჰყვებიან და შეჰყივლებენ ქალური ხმებით,
გაშმაგებულებს ხელთ უპყრიათ ნამგალა ფარი...[7, 38].

ამორძალების ეპითეტი არის ,,კაცთმოძულენი'', ამასთანავე მათ ,,ცხენთამძლევლად'' მოიხსენიებენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამორძალები თავიანთ ღვთაებას, ომის ღმერთს, მსხვერპლად ცხენებს სწირავდნენ და არა ცხვარსა და ხარებს. ცხენების მსხერპლშეწირვა უფრო ბარბაროსთა ჩვეულებაა.

როგორც ვხედავთ, უძველესი გადმოცემები მეომარ ქალთა სამყოფელს მცირე აზიაში, შავი ზღვის პირას მოიაზრებს, თუმცა მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება გადმოცემები მებრძოლ, მეომარ ქალებზე. ჩვენთვის სწორედ ანტიკური ხანის ცნობებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ამორძალები იმ ტერიტორიაზე და იმ გეოგრაფიულ არეალში არსებობენ, სადაც ხალიბები, მოსინიკები და ჩვენი სხვა წინაპარი ტომები სახლობენ. მოგვიანებით პონტოს სახელმწიფოს დედაქალაქს ამისოსი დაერქვა, ეს კაპადოკიის ჩრდილო ტერიტორიაა. ,,ეთნიკურად ამასია და ამისოსი კი ერთ სამყაროს ეკუთვნოდნენ'' [8, 88].

გვიან, როცა უკვე ამორძალების ხსენება მხოლოდ ლეგენდების კუთვნილებად მიიჩნეოდა, ქრისტიანი მამებიც ახსენებდნენ მათ და საინტერესო კონ-

ტექსტშიც. მაგალითად, ტერტულიანე ფაზისის ეპისკოპოსის მარკიონეს დაუნდობელი დახასიათებისას მას უწოდებს ,,ამაზონზე შეუდრეკელს". ტერტულიანე ბობოქრობს: ,,მაგრამ არაფერი ისე ველური და საშიში არ არის როგორც ის, რომ აქვე პონტოში გაჩნდა მარკიონი, საშინელი სკვითი, ჰამაქსობიუსზე დაუნდობელი, ღრუბელზე უფრო მოქუფრული, ზამთარზე უფრო მსუსხავი, მასაგეტებზე არაადამიანური, ამაზონზე შეუდრეკელი, ყინულზე უფრო მყიფე, ისტროსზე მრისხანე, კავკასიონზე უფრო ციცაბო – მართლაც ასე არაა?" [9, 190].

მისიონერი დონ ქრისტეფორო დე კასტელი ჩანახატებსაც კი გვთავაზობს ამორძალებისას. ერთ-ერთი სურათის მინაწერი გვამცნობს: ,,სურათი 496. სანაპირო გზებზე ჩასაფრებული არიან ამაზონელი ყაჩაღი ქალები; რომლებიც, როგორც კი ხელსაყრელ დროს იხელთებენ, გამოდიან და ძარცვავენ კეთილ მგზავრებს, ისინი ცხოვრობენ აფხაზეთის მთებში" [10].

ყველაზე პოპულარული გადმოცემა ალექსანდე მაკედონელსაც შეაჯახებს მძვინვარე ამორძალებს, თუმც ეს არ არის ისტორიულად დასაბუთებული. ხოლო შუა საუკუნეთა პოპულარული საკითხავები დიდგვაროვან ყმათ მაკედონელის ამგვარ თქმას ასწავლიდა: ,,განაზრახევდა ვინმე ალექსანდრეს: ,,რათა არა ჰბრძოდისა ამაზონთა?'' ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: ,,ბოროტ ვიდრემდე არს დედაკაცთა ძლევაჲ, ხოლო უბოროტეს არს დედაკაცთა [მიერ] ძლეულებაჲ" [3, 67].

თუმცა უცნობია, ებრძოდა თუ არა მაკედონელი ამორძალებს და ჰერაკლესა და აქილევსის დარად ამარცხებდა თუ არა კაცთმოძულე ამორძალებს დიდი დამპყრობი, მაგრამ სწორედ ეს პლუტარქეს მინიშნება დაედო საფუძვლად მე-20 ს-ის ქართული მწერლობის სიმბოლისტურ ნიმუშებს, რომელთა ავტორები გრ. რობაქიძე და ტ. ტაბიძე არიან.

ბ) ქართული სიმბოლიზმი და ამორძალები

ქართული სიმბოლიზმი მე-20 საუკუნის მწერლობის ყველაზე მიმზიდველი და მრავალფეროვანი მიმდინარეობაა, რომელიც ბრმად არ დაყრდნობია არც ევროპულ და არც რუსულ სიმბოლიზმს, არამედ თავად დასახა პროგრამა, გაითვალისწინა ავტორიტეტები და გაიკაფა გზა ეროვნულ ნიადაგზე. ფორმა ქართული სიმბოლიზმისა იდენტურია საერთო სიმბოლიზმისა, ხოლო თემატიკა წმინდა ეროვნულს, ქართულს ანიჭებს უპირატესობას. ამის მკაფიო მაგალითია გრ. რობაქიძე, რომლის შემოქმედებაში მხატვრულად აირეკლა მე-20 ს-ის დასაწყისის ყველაზე პოპულარული ევროპული ფილოსოფიის წარმომადგენელთა იდეები: გრ. რობაქიძემ განსწავლის წლებში ჯერ სათავისოდ მოხაზა ორიგინალური თემები, მერე კი სხვათაც გაუზიარა და უწილადა.

გრ. რობაქიძის ასპარეზზე გამოსვლის ჟამს, საქართველოში ქალთა საკითხი სულაც არ იყო აქტუალური. თამარის ქვეყანაში ეს პრობლემა არც იდგა. ეს ჰენრიკ იბსენის ,,ნორას" თემატიკაა, რომელიც ზ. ფროიდის ,,ფსიქოანალიზის" დიდებისა და სახელგანთქმულობის გამო და, ალბათ, ორიგინალურობის

გამოც თავის სალექციო თემად გაიხადა გრ. რობაქიძემ. საზოგადოება ამას უნდობლად შეხვდა. არჩ. ჯორჯაძე კი დადებითად აფასებდა. ,,ქალის სევდაში'' იგი წერდა: ,,ჩვენი საზოგადოებისათვის ქალთა საკითხის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ ნიადაგზე დაყენება სრულიად ახალი საგანი იყო''. იგი ეჭვის თვალით, მაგრამ ყურადღებით უსმენდა რობაქიძის ლექციებს სქესისა და სიყვარულის შესახებ [11, 649]. უპირველესად სწორედ ამორძალის, როგორც ქალურისა და ზექალურის სახეს მიმართა გრ. რობაქიძემ. მან ანტიკური ავტორების ცნობები გამოიყენა ალექსანდრესა და ამორძალის სიყვარულის შესახებ: სონეტი, რომელსაც ორმაგმნიშვნელოვანი სათაური დაერქვა ,,ნაპირგადალახულია'' და ეს გადალახულობა შეეხება საკუთრივ სონეტს, რომლის წყობა დარღვეულია და გმირსაც, რომელმაც ზღვარს გადააბიჯა და შეუძლებელისადმი სწრაფვა დაისახა მიზნად. ,,ამორძალი ლონდა'' მოგვყავს სრულად:

,,ყიჟინი. როკვა. ახელება. სიტყვა. თამადა.
ხელიდან ხელში აზარფეში ამართული და გადმოსული,
ფილიპპის ძესთან ომს ელიან ამორძალები ასე თამამად.
ხოლო რად კუშტობს ქერა ლონდა მტევანივით ტანდაყურსული.
როგორც ნადირი იმართება ის გალურსული:
ამბობს ამაყი: მაპატიოს ქალთა თავადმა:
მე მსურს შემირთოს ალექსანდრემ: თუ გინდ ერთი დღით:
მიხმოს თავად მან:
გესმით ქალებო: მინდა გავხდე მისგან ორსული.
სამი დღე არის ამორძალთან მაკედონელი –
ვაზის ფოთლებში ლხინობს მეტის ველარ მდომელი:
და ეტყვის ლამაზს: მრავალი ხალხი დავიმონე: მტრები ავხოცე:
მოვშვილდე ბედი: გამოვკვეთე ძლევის კამარა, –
მაგრამ ღმერთობას მასმევს მხოლოდ შენი გიჟი ტანი ავხორცი!
რაც მე პირველმან მას მოვხსენი ოქროს ქამარი'' [12, 203].

გრ. რობაქიძე თავის ამორძალს ამაყს კი ხატავს, მაგრამ იგი მეამბოხე და ამორძალების ბუნების მიჯნის გადამლახველია, რადგან მამრის მოხმობას ნატრობს და ნებით ეახლება. მსგავსი ინტერპრეტაცია უცხოა და მიუღებელი ამორძალებზე ტრადიციული შეხედულებებისა. კაცთმოძულე ამორძალები მხოლოდ აუცილებლობისას მიერეკებოდნენ მამაკაცებს, შემდგომ კლავდნენ მათ და არც ვაჟებს იჩერებდნენ, მათ მხოლოდ გოგონები სურდათ. გრ. რობაქიძე ინტერესდება ამორძალებით იმიტომაც, რომ იგი ინტერესდებოდა ქართველთა უძველესი საცხოვრისით, კარდუს უძველესი საცხოვრისით, რომელიც მცირე აზიაში მოინიშნებოდა. გრ. რობაქიძე ეძებდა კავშირს და ქართველი ქალის ბუნების გასაღებს თანაბრად მოინიშნავდა როგორც ამორძალში, ასევე ორბუნებოვან უძველეს ქალღმერთ ნეითში. ნეითსაც ხშირად იყენებს იგი თავის მხატვრულ ტექსტებში. ნეითი გამოყვანილია დრამატულ სიმფონიაში ,,ლონდა'', ,,გველის პერანგის'' ექსპოზიციურ ნაწილში და ,,ფალესტრაში''. ყველა ეს ნაწარმოები რაღაცით ერთმანეთს ავსებს, ავრცობს, აგრძელებს; ამორძალური ბუნების ქალები, ნეითივით ორი საწყისის მქონენი გრ. რობაქიძის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან.

,,ამორძალი ლონდა'' უსწრებს დრამატულ სიმფონიას ,,ლონდას'', რომელიც 1917 წელს შეიქმნა. თუკი სონეტში ,,ამორძალი ლონდა'' ალექსანდრესადმი ტრფიალება ამორძალურს სძლევდა, დრამატულ სიმფონიაში მთავარი გმირი ლონდა უკვე თამაზ ბატონიშვილის ტრფიალია, თუმც მამაკაცები მას არ აინტერესებს. თვით თამაზიც ვერ იქნება ლონდას მბრძანებელი და მეუღლე, უზენაეს ღვთაებას თავისთვის სურს რჩეული ლონდა. დრამა ,,ლონდა'' სონეტის შინაარსს არ იმეორებს, იგი იდეურადაც და აზრობრივადაც განსხვავდება ამორძალთა თემატიკისაგან.

საყურადღებოა ქალღმერთი ,,ნეითი'', რომლის სიმბოლოც ფარი და ორი გადაჯვარედინებული შუბი ყოფილა. ამორძალების იარაღიც ხომ სწორედ ეს იყო. ამორძალებიც სასტიკ ქალღმერთს, შუბოსან დიანას არტემიდას სცემდნენ თაყვანს და არტემიდას მხლებლებადაც მოიაზრებოდნენ. ,,ნეითი ძველი ეგვიპტური ქალღმერთია საშინელი – მისი საკულტო ცენტრი იყო საისში, პლუტარქეს გადმოცემით, ,,ისიდასა და ოსირისისათვის'' ქალღმერთის ქანდაკებაზე ასეთი წარწერა ყოფილა: ,,მე ვარ ის რაც იყო, რაც არის და რაც იქმნება: ჯერ არც ერთ მოკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი'' [1, 383].

გრ. რობაქიძე პლუტარქეს ცნობილ ამ სიტყვებს წარუმძღვანებს ,,ფალესტრას'' და მთავარ მოქმედ გმირს რამდენიმე თვისებით აღჭურავს. კავალლა ითავსებს ამორძალურ კაცთმოძულეობას, მამაკაცთა მიმართ ზიზღს, მამაკაცთა მიმართ ლტოლვას და ეს ყოველივე თავს იყრის კავკასიურ – ევროპულ გარემოში. სწორედ კავალლას, იმავე ფალესტრას, ამორძალთა დედოფალს ეძიებს რეჟისორი ადოლფ უნგარ. ,,ადოლფ უნგარ ფილმს ამზადებს ამორძალთა ცხოვრებიდან. ფალესტრა ამორძალთა დედოფალია. იგი ომისათვის ემზადება ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ მცირე აზიაში. მზადაა ყველაფერი. ტანკვრივი ქალები ილესებიან. კიდევ უფრო მათი ხმლები. მაგრამ დედოფალი იმღვრევა: გუნება თუ ეცვლება. მზიურ ახლოვდება სახელი მაკედონელის. ფილიპეს ძე, ბუცეფალზე მჯდარი, უძლეველი მხედარი და ყველა კიდურის გადამლახავი, ფალესტრას წინ ისახება როგორც მზის შვილი ნამდვილი. მზიურ ახლოვდება ლანდი მაკედონელის და დედოფლის გული ჰფეთქს უჩვევი გზნებით და უცხო ნდომით. მზის შვილს შეუძლია მზიურ მოხიბლოს ქალი. ამას გრძნობს ფალესტრა და ამორძალის თემოებში ქალი იღვიძებს...'' [13, 305].

სწორედ იგივე ფაბულაა, რაზეც შეიქმნა ,,ამორძალი ლონდა'', მხოლოდ მოქმედება ევროპაში ხდება. კავკასიელი კავალლა იგივე ფალესტრა უცხოდ და მიუსაფრად გრძნობს აქ თავს, მას თავისი მამის სამშობლო და კავკასიის მთები ენატრება... სადაც საბედისწერო სიყვარული და ლტოლვა ყაზი-ბეისადმი, რომელსაც შემოაკვდა ქალის მამა. გრ. რობაქიძე ქალის ამორძალურ ბუნებაში სიყვარულს განიხილავს როგორც უპიროვნოს, მე-ს უარმყოფელს. ამორძალებში ეს ნიშნეულ ფაქტად მიაჩნია გრ. რობაქიძეს:

,,ჰაინრიხ კლაისტის პენთეზილეა ძაღლებს მიუსევს აქილესს და კოცნის დაგლეჯილს და თავს იკლავს მასთან... უაილდის სალომე პენთეზილეიას ჯიშისაა: იგი ჰკოცნის მოკვეთილ თავს იოქანაანისას, თუმცა თავი თვითონ მოაკვეთინა... ჰამსუნის ქალებს ჩუმი დუმილი აქვთ ვაჟებთან. და ასე... სიყვარული

დუელია, საცა ხშირად ორივე კვდება: ქალიც და ვაჟიც დუელია, რადგან უკეთესია პიროვანი სიკვდილი, ვიდრე უპიროვნო უკვდავება. ამისთვისაა, რომ უნათლეს სიყვარულს თან სდევს სევდა უკურნები... აქედანაა რომ სიყვარულის აგზნებისას სიხარულს შიში ერთვის... დიახ, სიყვარული დუელია... ამორძალთა საიდუმლო ეს დუელია და სხვა არაფერი...'' [13, 322].

რაც შეეხება ამორძალთა საიდუმლოს, რომელიც თურმე პიროვნების გამეტებით უპიროვნო უკვდავების დამარცხება ყოფილა და ვაჟისადმი შიში და ლტოლვა ამის მიზეზი – ეს გრ. რობაქიძეს დაბეჯითებით სწამს, რაკი თითქმის ყველა ნაწარმოებში მსგავსი აზრია გამოთქმული.

მაგ., დრამაში ,,ლონდა'' ლონდა თავის შეყვარებულს მარადიულ სიყვარულთან შესახვედრად უფსკრულში ერთად გადაჩეხვას და სიკვდილს სთავაზობს და ამას ასე ასაბუთებს:

,,სიკვდილში გადასულ სიყვარულს
ღმერთებიც ვერ შეცვლიან''... [14, 39].

გრ. რობაქიძეს უაილდის ,,სალომე'' ბედისწერისა და ფატალურობისათვის მოსწონს. ამიტომაც გადმოაქართულა ის და აქცია ქართული თეატრის ნაწილად. თუმც ეს თარგმანი მოწონებული არ იქნა და მან დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სალომეც იოქანაანისადმი ლტოლვას სიკვდილის მიღმა იკმაყოფილებს. ამორძალები და სიკვდილი გრ. რობაქიძისათვის ერთი ცნებაა. ქალური ჩუმად ებრძვის ვაჟურ საწყისს და სიკვდილში პოულობს შვებას. ,,ქალს ვაჟი მხოლოდ ზერელედ წვდება'' – ხსნის ნეითისეულ წარწერას გრ. რობაქიძე და ამ ფორმულას უსადაგებს ამორძალურს, ქალურს.

გრ. რობაქიძე კავალლას კაზაკი მამისა და ქართველი (სამეგრელოდან) ქალისად წარმოგვიდგენს. ამით ის ხაზს უსვამს ,,რასსიულ ელემენტებს'', უძველეს კოლხურ ძირებს, მედეადან მომდინარეს. ,,კავკასიური ნოველების'' წინათქმაში გრ. რობაქიძე ქართველი ქალის ბუნების გასაღებს მედეაში ხედავს: ხოლო თავად მედეას გააზრება ანტიკურ ავტორებთან საკმაოდ ცალმხრივია. დემონური და ჯადოსნური მიუცილებელი გამხდარა მისი სახისათვის, გრ. რობაქიძეს კი ტრაგიკული სიყვარულის განცდა და მისდამი დაქვემდებარება და კვლავ და კვლავ წრეგადასულობა ხიბლავს მასში...

უძველესი კოლხეთი ამორძალთა სამყოფი და სამფლობელოა, აქ ერთდებიან საშინელი და ამაღლებული. უკიდურესობათა ნაზავია მედეას ისტორია: უკიდურეს გრძნობათა დამტევი არიან ამორძალებიც. გრ. რობაქიძე ზღვარგადასულობის მომენტს აფიქსირებს და ცდილობს რეალურისა და ირეალურის გარდამავლობა მოიხელთოს. სიყვარული, შიში, ლტოლვა, სიკვდილი, მარადიულობა – ეს გრ. რობაქიძისათვის ერთი ყოფის, ინდივიდის, არსების მარადიული წრებრუნვაა. პიროვნულის მასაში გათქვეფა, მასიდან პიროვნული ინდივიდუალურის გამოყოფა კონფლიქტშია არსებულთან და კონფლიქტის ზენიტში მოდის სიკვდილი, როგორც მხსნელი.

,,ფალესტრა'', სამწუხაროდ, დაუსრულებელია, მაგრამ აქაც ისევე როგორც დრამაში ,,ლონდა'', ნაბიჯ-ნაბიჯ და შეუფერხებლივ სიკვდილისაკენ მიემართებიან მთავარი გმირები, ამორძალებად მიჩნეულნი და დასახულნი...

გრ. რობაქიძე არანაირ დასკვნებს არ იძლევა – კარგია თუ ცუდი ჩვენს ეროვნულ ქალურ ხასიათში ამორძალურის ნიუანსები რომ დარჩენილა. იგი ზოგადფილოსოფიურ დასკვნებს გვაძლევს და სამყაროს მიღმურის განჭვრეტას ცდილობს. მისი თანამედროვე კ. კაპანელი კი სრულიად დაუნდობელი და უკომპრომისოა... ამორძალური, ვაჟური ქართველ ქალში მას დამღუპველად მიაჩნია.

კ. კაპანელი წერილში ,,ქართული კულტურის სული'' გადმოგვცემს უძველეს ამბავს დიოდორ სიცილიელის დამოწმებით:

მდინარე თერმოდორის მახლობლად ცხოვრობდა თურმე ერთ დროს ვიღაც თავადი ამასიელი. როდესაც ეგვიპტელები შემოვიდნენ საქართველოში, მამაკაცთ, გაუჭირდათ მათი ძლევა და განდევნა. მაშინ ამასიელი თავადის ქალმა შეადგინა თურმე ახალგაზრდა ქალთა მხედრობა თემისკარში... ისინი თავს დაესხნენ ეგვიპტელებს. ეგვიპტელები არ მოელოდნენ ამას და დამარცხდნენ: უმრავლესობა ქალებმა ამოწყვიტეს და დანარჩენებიც უკან განდევნეს, მათმა მხნეობამ და ბრძოლამ თავზარი დასცა უცხოელებსა და უცხოელებმა ამასიელ ქალებს დაარქვეს ამაზონები, ხოლო საქართველოს დასავლეთს ზღვის პირად მცხოვრებლებს კოლხიდარნი (ქალნი მხედარნი) და მათ ქვეყანას კოლხიდა [15, 316].

ამაზონური ბუნება ქართველი ქალის პატივმოყვარეობაში ჩანს, ოჯახი მეორეხარისხოვანი გამხდარა მისთვის, და მხოლოდ ბრძოლის კულტი დარჩენილა სატრფიალოდ, თუკი ,,ილიადაში'' ანდრომაქე წმინდა წყლის ოჯახის ქალია, ქალური ბუნებისათვის ნიშნეული თვისებებით, რუსთველის თინათინი და ნესტანი ბრძოლას და შემართებას უქადაგებენ მიჯნურებს – მსჯელობს კ. კაპანელი და ასკვნის, რომ ამაზონურმა სულმა ქართველ ქალში გააქრო მიჯნურობა და იგი მხოლოდ თავმოყვარეობის და პრეტენზიულობის ამარად დატოვა.

,,ქართველი ქალი დღეს არ არის ეროტიკული: ამაზონობამ მასში ჩაკლა სურვილი სქესობრივი მოთხოვნილებისა. ქართველმა ქალმა არ იცის რომანი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქართველი ქალი თავისი სულიერი წყობითა და მსოფლმხედველობით ,,მეშჩანკაა'' ქართველი ქალის იდეალია გათხოვება'' [15, 319].

განსაკუთრებით ტრაგიკული ქართველი ქალი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გამხდარა, როცა მისი ამორძალური მხედრობა და შემართება უსაგნოდ დარჩენილა. კ. კაპანელი პესიმისტურ დასკვნებს იძლევა და უიმედო სურათს ხატავს, ეს ნიშნეულია მისთვის და ქალაქური კულტურის მსჯელობისას ასეთივე უიმედოდაა განწყობილი. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს ცნობილი ფილოსოფოსის პათოსი – ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ კ. კაპანელი გრ. რობაქიძესავით ფიქრობს და ქართველი ქალის ბუნებას ამორძალურ საწყისებთან აიგივებს. სრულიად სხვადასხვა გზით მიემართება მწერლისა და ფილოსოფოსის მსჯელობა.

გრ. რობაქიძე იწყებს მითით და გადადის ფილოსოფიურ მსჯელობაში ინდივიდისა და საყოველთაობის შესახებ და სიკვდილის რაობის შეცნობას ცდილობს. ფილოსოფოსი კ. კაპანელი ასევე მითიური გადმოცემით დაწყებულ

მსჯელობას ლიტერატურულ ასპექტში განიხილავს და ისტორიულით ამთავრებს, როცა დაასკვნის: ,,თამარ მეფეს თვითონ არაფერი გაუკეთებია. დავით აღმაშენებლის ნიჭმა და გიორგი მთაწმინდელის რეფორმატორულმა იდეებმა ნიადაგი მოუმზადეს ჩვენი ისტორიის ოქროს ეპოქას. თამარ მეფის სილამაზემ აღაფრთოვანა ქართული სული, პოეტი აამღერა, მხედარი აამოქმედა. თამარ მეფემ თავისი სინაზე და მშვენიერება შეუერთა ქალის ტრადიციებს საქართველოში. თავისი პირადობით მან განასახიერა მხოლოდ ამაზონების კულტი, რომელიც დიდი ხნიდან შეიქმნა საქრთველოს ისტორიაში და რომელმაც ნიადაგი მოუსპო ქართულ ოჯახს, ქართულ რომანს, რომლიდანაც დარჩა მხოლოდ ,,მეშჩანობა'', მისი საზიზღარი პრეტენზიები'' [15, 321]. ასეთია ქართული სიცოცხლის ფილოსოფიის ყველაზე ,,მიმზიდველი'' დასკვნა, რომელიც ასეთსავე მსჯელობას ეფუძნება.

კ. კაპანელიც და გრ. რობაქიძეც ევროპაში განისწავლნენ და ,,ნიჰილის'' სული ორივეს ძლიერ ჰქონდათ ჩაჭედილი, მაგრამ გრ. რობაქიძე ყოველთვის უფრო აღფრთოვანებული და კეთილმოსურნის პოზიციებს ავითარებს, ვიდრე კ. კაპანელი, რომლის მსჯელობასა და აზრებს ქალებზე აშკარად ატყვია შოპენჰაუერის დიდი გავლენა. თუმც გრ. რობაქიძისთვისაც დიდი ავტორიტეტია შოპენჰაუერი, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, დიდი გავლენა რომ მოეხდინოს გერმანელ ფილოსოფოსს მასზე. ყოველ შემთხვევაში ქალის ბუნების გაანალიზებისას ეს იგრძნობა.

არტურ შოპენჰაუერი ქალებზე ამბობს, რომ ქალებს მხოლოდ შთამომავლობის გაჩენის ფუნქცია აკისრიათ და ინდივიდის პრობლემები არ აღელვებთ. მათ ყველას ერთი პროფესია აქვთ და ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილი, მაშინ როცა მამაკაცები ერთმანეთის მიმართ სრულიად გულგრილნი არიანო. იგი აღნიშნავს ქალებზე: ,,Они порою напоминают священных обезян Бенареса, которые в сознании своей святости и неприкосновености позволяют себе всё и вся''…[16, 632].

ქალს მბრძანებელი სჭირდება, თუ ახალგაზრდაა – საყვარელი და თუ მოხუცია – მოძღვარიო. დაასკვნის ეს დიდი პესიმისტი და მაქსიმალისტი და თავის აზრებს ნაპოლეონის და შამფორის გამონათქვამებით ამტკიცებს. თვით ნიცშეც მოგვიანებით ასე ათქმევინებს მოხუც ქალს ზარატუსტრასთვის ქალებთან მიდიხარ? – მათრახი არ დაივიწყო!'' [17, 55].

მიუხედავად თავისი დიდი მასწავლებლების ასეთი მკვეთრი წარმოდგენისა, გრ. რობაქიძე ქალურ არსებას განსაკუთრებული სითათუთით გვიხატავს, გამოძერწავს. გრ. რობაქიძე ნებისმიერი თემის გადმოშლისას ცდილობს, ძირეულად განიხილოს და ჩაწვდეს მოცემულ პრობლემას: სწორედ პირველსაწყისს ეძიებს წარმართობაში (დრამები), გენეტიკურ პირველადობას – ,,გველის პერანგში''. უთანამედროვეს ევროპულ ყოფაშიც ქალურ საწყისებს ამორძალობაში იგულვებს. ამის ყველაზე მკაფიო ნიმუშია ,,ფალესტრა''. ნაციონალური ბუნების კვლევიდან ზოგადქალურში და მარადქალურში ჭვრეტს გრ. რობაქიძე პირველ ქალს – ევას და მასში ყველა შესაძლო ვარიაციებს თავის მხატვრულ ქმნილებებში სხვადასხვა კუთხით განიხილავს. ,,ჩაკლულ სულში'' უკვე

ამორძალურზე ამაღლებულ ქალურ-ღვთაებრივს (ნატა-იშტარი) ანიჭებს უპირატესობას.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ გრ. რობაქიძის შეხედულებებს და ამ შეხედულებებში ნიუანსურ ცვლილებებს. ეს ცვლილებები ასე წარმოგვიდგება: მითიური ქალი (ლამარა: ლონდა მისი დრამებიდან) – მამრის მოძულე ამპარტავანი ქალი (კავალლა ,,ფალესტრაში'') – მამულისათვის ძლიერების (ძალის) მიმნიჭებელი ქალი – ღვთაება იშტარი (ნატა. ,,ჩაკლული სული'')... ეს არ არის სრული სურათი გრ. რობაქიძის ქალთა გალერეისა და ამის ბუნებრივი მიზეზი ნათელია.

ე.ი. გრიგოლ რობაქიძემ შეამჩნია, დააფიქსირა და მხატვრულად წარმოგვიდგინა ქალის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მითიური თვისება მამრმოძულეობისა – ამორძალობისა. ეს მან ისე ფაქიზად და ბუნებრივად გაიზიარა და მოგვაწოდა, რომ ნებისმიერს შეუძლია ჩვეულებრივად აღიქვას და გაითავისოს კიდეც. ამით გვინდა ხაზი გავუსვათ ზომიერების და დისტანციის დაცვის ტაქტიკას, გრ. რობაქიძეს რომ გამოუჩენია ,,ამორძალურის'' გააზრებისას, რასაც ვერ ვიტყვით მის კატეგორიულ, ხშირად მკვახე ტონსა და შეუვალობაზე, რომელსაც ხშირად იჩენს ადამიანური ბუნების ანალიზისას ,,ჩაკლულ სულსა'' თუ ,,კავკასიური ნოველების'' სხვა ტექსტებში.

მეორე ცნობილი სიმბოლისტი და სულიერი მეგობარი გრ. რობაქიძისა ტიციან ტაბიძე ადრიდანვე დაინტერესებულა ამორძალთა თემით. ,,სკვითურ ელეგიაში'' პირდაპირ გაზიარებულია არსებული თუ არსებული ვარაუდი საქართველოში ალექსანდრე მაკედონელისა და ამორძალების შეხვედრაზე, სიყვარულზე და ქალისაგან დიდი ისკანდერის დაძლევაზე:

,,აქ ალექსანდრე მაკედონელმა
ამორძალების შემუსრა ჯარი,
მაგრამ გასცვალა ქალის ქამარში
ლომმა ლომური თავის აბჯარი''.

სწორედ ეს გადმოცემა დაედო საფუძვლად პროზაულ ტექსტსაც ,,შექმნილი ლეგენდა''. საყურადღებოა ამორძალთა დედოფლის – იზოველის დახასიათება, როგორც ავხორცისა და როგორც მრისხანე ლაშქრის წინამძღოლისა: ,,ვნებით დამდნარი, სიყვარულის ძებნით მოღალული მთვარე ისევ დაძრწოდა ზურმუხტებით მოფენილ ცაზე, მაგრამ ფერი კიდევ უფრო დაეკარგა, რადგან რცხვენოდა, რცხვენოდა თავისი ვნებისა, რომელიც მხოლოდ მკრთალი ჩრდილი იყო ამ ზვიადი ვნების, რომლის ცეცხლზე იწვოდა იზოველი, ვისაც უდაბნოდ ქცეოდა სამყარო, ვისაც ვერ მოეკლა გაუმაძღარი წყურვილი. ნადავლის საძებრად ხანდახან მღვიმეში მოემწყვდევა აფთარი, შიმშილისაგან გამწარებული თავის ტანს იკბენს და ვაი მას, ვისაც შეეხება იქიდან გამოსული, სწორედ იმას ჰგავდა იზოველი''...[18, 405]. იზოველის დახასიათებისას ტ. ტაბიძე რუსთაველის ნესტან-დარეჯანის სახესაც წარმოიდგენს და გამძვინვარებულ მხეცს დაადარებს ამორძალთა დედოფალს და გრიგოლ რობაქიძისაგან გადმოქართულებულ ,,სალომეას'' მკრთალ მთვარისეულ ფერს აკუთვნებს და ასევე გრ. რობაქიძის დარად ნეითივით ორსახოვნად მიიჩნევს იზოველს, როგორც უბიწოს და მამაკაცის უარმყოფს და ამასთანავე ვნებით ალესილად,

გიჟად და სისხლიანად ხატავს. ტ. ტაბიძის ამორძალი ერთი შეხედვით ეფექტური და სისხლსავსეა, მხოლოდ ამ სისხლსავსეობას მრავალი წინამორბედის შექმნილი ხატი აცისკროვნებს... ჩვენი აზრით, ტ. ტაბიძის შექმნილი ლეგენდის ფინალია სწორედ ორიგინალური და შთამბეჭდავი. ამორძალი იზოველი ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ ვერავის იგულვებს მის შემცვლელად კლდეზე მიჯაჭვული ამირანის გარდა. სწორედ ამ მონაკვეთში იგრძნობა მითიური სიუჟეტის ახალი კვანძი: ,,...და მოაგონდა იზოველს გზაში ალექსანდრეს ნაამბობი, ბევრი რამ უამბო იზოველს ალექსანდრემ, მაგრამ ერთი უფრო აღიბეჭდა მის ხსოვნაში მოთხრობა ამირანზე და მის თავში დაიბადა აზრი, წავიდეს და ნახოს ის, ვინც ზევსს მოსტაცა ცეცხლი. და მის გულში ისევ იფეთქა ვნების ქარტეხილმა. მის დამსხვრეულ იმედის გემზე აფრიალდა იალქანი. დაღლილობას ვერ გრძნობს იზოველი: ღრუბლებზე მალია მისი მერანი, მაგრამ რა ავა იქ?'' [18, 412].

ტ. ტაბიძემ ამორძალის შესაფერ მამრად ალექსანდრე მაკედონელი მოიაზრა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ ასეთად ზევსისაგან კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი. არც აქილევსი, არც თეზევსი და არც ჰერაკლე არიან ამორძალთა დედოფლის ღირსნი, თუმც მრავალჯერ შეხვედრიან, ქამარიც გამოუტაცნიათ, თავადაც ცოლად გაუხდიათ მითოსისა თუ რეალობის ეს უჩვეულო არსებანი. ტ. ტაბიძემ დასაწყისში არსებული ვერსიები გაიზიარა ფინალში კი თავად შექმნა მშვენიერი ამბავი. სიკვდილის, შეუძლებელისა და ირეალურისაკენ ლტოლვა ამორძალის უპირველეს თვისებად დაისახა ქართულ სიმბოლიზმში. იგი სათავეს გრ. რობაქიძის ლექსებიდან და მხატვრული ტექსტებიდან იღებს და მისი უმცროსი კოლეგების შემოქმედებაში მეტნაკლები ძალით ვლინდება. საუკეთესო კი მათში ისევ და ისევ გრ. რობაქიძის მხატვრული ტექსტებია...

P.S. მოგვიანებით 1925 წ. ტ. ტაბიძემ შექმნა ,,ამორძალები'', როგორც ხანგრძლივი ისტორია ამორძალთა გაერთიანებების წარმოქმნაზე, მათ მიზეზებზე და კრახზე, მაგრამ სიმბოლიზმის ესთეტიკის თვალსაზრისით იგი ნაკლებ საყურადღებოა....

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩუშვილმა, ტ. I. თბ., 1975,
2. Мифы народов мира. 1. Энциклопедия. Гллавныи редактор С. А. Токарев. М., 1991
3. აპ. როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი ა. გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა, თბ., 1975
4. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964
5. ორფიკული არგონავტიკა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ნ. მელაშვილმა, თბ., 1977
6. ესქილე, მიჯაჭვული პრომეთე, თბ., 1988

7. ვერგილიუსი, ენეიდა. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რ. მიმინოშვილმა, თბ., 1976
8. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965
9. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995
10. ქრ. კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თარგმანი გამოკვლევა და კომენტარი ბ. გიორგაძისა, თბ., 1976
11. ა. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989
12. გრ. რობაქიძე ამორძალი ლონდა. სონეტი ნაპირებგადალახული. ჟ. ,,მშვილდოსანი'', №2-3, 1920
13. გრ. რობაქიძე, ფალესტრა. იხ. გრ. რობაქიძე, გველის პერანგი. ფალესტრა, თბ., 1989
14. გრ. რობაქიძე ლონდა. იხ.: გრიგოლ რობაქიძე, დრამები, ტფ., 1926
15. კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბ., 1996
16. А.Шопенгауер, Афоризмы и максимы, М., 1998
17. ფრ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 1993
18. ტ. ტაბიძე, შექმნილი ლეგენდა. მოგონებანი წარსულზე. იხ.: ტ. ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985

✍ თამარ ბლიაძე

მუსიკალური კულტურა და გალაკტიონი

გალაკტიონის დამოკიდებულება მუსიკასთან იმდენად საცნაურია, რომ მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტის შემოქმედებას შარავანდედად გასდევს.

გალაკტიონის პოეზია ერთი დიდებული, გრძნეული სიმფონიაა.

ლექსის შინაგანი სიმწყობრე და ლაღი მდინარება, დახვეწილი ალიტერაციულობა და ნატიფი რითმა, სწორედ რომ მუსიკასთან პოეტის სიახლოვეზე მეტყველებს.

როცა გალაკტიონზე, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლექსის განმაახლებელზე, გვაქვს საუბარი, პირველ რიგში, სწორედ მუსიკალურობას ვგულისხმობთ.

მუსიკალური ინტონაცია ნიადაგ ქართული პოეზიის თანამდევი გახლდათ.

ამის დასტურად ოდენ ქართული ჰიმნოგრაფიის მოშველიება კმარა.

უძველესი საგალობლები ხომ სწორედ ღვთიურ საეკლესიო ჰანგებზე იყო გათვლილი.

აღმოსავლური პოეზიის უპირველესი თვისება – მუსიკალური ჟღერადობა, ქართულმა ხალხურმა ლექსმა ხომ სასიმღერო პოპულარულ ჰანგებად ჩამოქნა (მარტო «ვეფხისა და მოყმის ბალადა რად ღირს), ქართულმა კლასიკურმა ლექსმაც მუსიკალურ სიმწყობრეზე აიღო კურსი. მუსიკის ემოციური მუხტი და შინაგანი მოწესრიგებულობა განსაზღვრავს შავთელისა და ჩახრუხაძის ლექსის ღრმა ეროვნულობას, რუსთაველმა კი კავშირი სიტყვასა და მუსიკას შორის არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და ქართული სიტყვის მუსიკალური თვითარსის ახალი შესაძლებლობანი გადაგვიშალა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ქართველ პოეტთა ერთმა ნაწილმა ვერ შეძლო გაეგრძელებინა აკაკის, ილიასა და ვაჟას ლექსის სინატიფე და მუსიკალური დახვეწილობა, ამიტომაც ქართული ლექსი გაღარიბდა, ზოგი კრიტიკოსის აზრით, ლამის ორღობის პოეზიას დაუახლოვდა.

როცა საჭირო იყო ქართული ლექსის განახლება და პოეტური სიტყვისთვის დიაღაც, რუსთაველის და გურამიშვილის ტრადიციების დაბრუნება, სწორედ მაშინ გამოჩნდა გალაკტიონი და გამდაბიურებულ ქართულ ლექსს ახალი სიცოცხლე შეჰმატა, ახლებურ კალაპოტში ჩააყენა და უჩვეულო მდინარება მისცა.

საწუთისოფლო კაკაფონიაში, ადამიანთა ჭირვეულობაში, ეპოქისეულ მრისხანებაში («უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები») გალაკტიონი ყოველთვის გარკვეულობას და სიმწყობრეს ეძებდა, მისი, როგორც პოეტი-დირიჟორის,

საორკესტრო ჯოხი ყურებსმომსკდარ ათას ხმას აწესრიგებდა და დროისეულ ჟღერადობას აძლევდა. სწორედ შენიშნა ირაკლი აბაშიძემ: «ეს ყველაფერი მას ესმოდა ერთ გრძნეულ ჰანგად, ეს ყველაფერი მას ესმოდა ერთ გრძნეულ გამმად».

მუსიკალურობისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა იყო მიზეზი იმისა, რომ გალაკტიონმა, რომელმაც სხვადასხვა დროს თეთრ ლექსსაც და ვერლიბრსაც გაუღო ხარკი, თავისი შემოქმედების ძირითად პრინციპად, ლექსის უმთავრეს ფორმად სწორედ რითმიანი, მუსიკალური ლექსი აირჩია.

«ლურჯა ცხენების» ავტორი, სწორედ რომ, რითმის ჯადოქარია. მან სრულიად ახალი რითმები აღმოაჩინა და თავის ლექსებში მარგალიტებად მიმობნეული შესთავაზა მკითხველს, ამაზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ბევრი ითქვა და მკითხველის ყურადღებას აღარ გადავღლი. გავიხსენოთ დიდებული მუსიკალური რითმა «სილაჟვარდე – სილაში ვარდი», რომ იგრძნოთ გალაკტიონის, როგორც პოეტი-კომპოზიტორის სიდიადე.

გალაკტიონის ლექსში სიტყვას საოცარი სიმსუბუქე და ელასტიკურობა ახასიათებს. პოეტი იუველირის გულმოდგინებით რანდავს სიტყვებს და აფთიაქარის სიზუსტით გაზომილ-აწონილს სწორედ რომ თავის ადგილას, სათანადო აზრობრივ-მუსიკალურ კონტექსტში სვამს. პოეტი ხელს არ ჰკიდებს ფონეტიკურად ტლანქ, არაკეთილხმოვან სიტყვებს. თუნდაც ყველაზე ბატალური პასაჟის ხატვის დროს გალაკტიონის ლექსში იშვიათად შეხვდებით მუსიკაგაცლილ სიტყვებს: «ბრდღვნა», «პტკვნა», «კრუნჩხვა», «ნჯღრევა», «გრგვინვა» და ა.შ.

მუსიკალური კულტურის უმაღლესი რეგისტრი, სმენისდამტკბობი სიტყვიერი ჰანგია გალაკტიონის ლექსის რიტმი. აქ პოეტს სიტყვა მუსიკალური ცისფერი კოშკის საშენ მასალად უქცევია და გრძნობთ, როგორ მიჰყვება ეს რიტმი ლექსში დახატულ განწყობილებას:

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს...

(«ატმის ყვავილები»)

ქარის ქროლვა ხომ თავისთავად ბუნების შექმნილი საოცარი მუსიკაა და რამხელა ოსტატი უნდა იყო, რომ ეს ქროლვა დაიჭირო და სიტყვის მაგიით გაორკესტრებული მკითხველს მიაწოდო:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!

შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის,
ქარი, ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!

(«ქარი ჰქრის»)

გალაკტიონის პოეზიას მის სულში არსებული მუსიკა არა მარტო რიტმულ-ინტონაციურად აწესრიგებს, არამედ მუსიკის ექო ლექსის ლექსიკურ ატრიბუტებადაც არაერთგან ჩანს. მაგ. «მიდის ოპერა «ლაკმე», ან

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით...

(«შერიგება»)

გალაკტიონის შესახებ შექმნილ ნაშრომთა ავტორები (ნოდარ ტაბიძე, ვახტანგ ჯავახაძე, რევაზ თვარაძე, რევაზ მიშველაძე...) ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოეტს თანდაყოლილი მუსიკალური სმენა ჰქონდა და შესანიშნავად მღეროდა.

მუსიკასთან თავის დამოკიდებულებას გალაკტიონი არა მარტო განუმეორებელი პოეზიით ამჟღავნებს, არამედ თავის პროზაში, დღიურებში და წერილებშიც გვესაუბრება.

გალაკტიონის ერთ-ერთი პირველი მოთხრობა მუსიკალური შთაგონებითაა შექმნილი და «ღამის აკორდი» ჰქვია.

ნახეთ, ნაწარმოების ექსპოზიციურ ნაწილში როგორ აღწერს პოეტი ღამის სოლოლაკს:

«გინდათ აგიწეროთ ეს დრო სოლოლაკში? ქუჩებში ამ დროს სრული სიწყნარეა. არავინ დადის. მხოლოდ ყველა სახლის ფანჯრები გადაღებილია და ამ ფანჯრებიდან შადრევანივით იფრქვევა როიალისა და პიანინოს ხმები. ყველგან უკრავენ, ყოველ სახლში უკრავენ და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მთელი ქუჩა რაღაც საუცხოო გამმად გადაქცეულა».

ამ სენტიმენტალურ მოთხრობაში (მუსიკით მოხიბლული ლირიკული გმირი უარყოფილი სიყვარულის გამო თავს იკლავს) თქვენს ყურადღებას იპყრობს უპირველესად ის გარემოება, რომ ავტორი ღრმად ერკვევა კლასიკურ მუსიკაში და ჭეშმარიტი მუსიკის შესახებ ემოციების გარეშე არ ლაპარაკობს; ყური დაუგდეთ:

«მოგისმენიათ როდისმე ვაგნერის საუკეთესო ქმნილება «ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს»? ოჰ, ალბათ კი, და თუ არა, უსათუოდ მოისმინეთ სადმე! ეს ისეთი წარმტაცი, მომხიბვლელი და მატყვევებელი მელოდიაა, რომ არ იცით მისი მოსმენის დროს, თუ სად იმყოფებით, თითქოს მეშვიდე ცაში ხართ. გართობთ, გტანჯავთ, გაწვალებთ და თან გატკბობთ რაღაც... მაგრამ, საზოგადოდ, ასეთია მუსიკა» (გ. ტაბიძე, «ღამის აკორდი»).

ზემოთ ხაზი გავუსვით გალაკტიონის წვლილს XX საუკუნის ათიან წლებში ქართული ლექსის განახლების ხაზით. ცოტა მოგვიანებით პოეტი სტატიაში «ქართული ლექსის შესახებ» სწორედ ამ ვითარებას ეხმაურება და ლექსისთვის

წარსული დიდების დაბრუნების თაობაზე საკმაოდ კვალიფიციურად მსჯელობს:

«გამოსარკვევია: კარგავს თუ არა ქართული ლექსი მუსიკალობას». თუ მართლა ასეთი ფაქტის წინაშე დავდგებით, უნდა შევისწავლოთ მიზეზები ასეთი მოვლენის (გაზეთის ენა, უცხო სიტყვების სიმრავლე, საზოგადოდ პოეტური დონის დაწევა, ახალი კლასის – პროლეტარიატის გამოცდილება ახალი კულტურის შექმნისათვის). შემდეგ უნდა შევუდგეთ ლექსის – როგორც ასეთის, კულტურის დაფუძნებას. აქ ძალიან ბევრს, მეტისმეტად ბევრს მოგვცემს ხალხური პოეზია, რომელიც განირჩევა სიმსუბუქით, უბრალოებით, მუსიკალობით. ხალხური პოეზია შეგნებულად გაურბის ყოველგვარ მძიმე გამოთქმებს. იგი ბუნებრივია, იგი კრისტალურად წმინდაა».

პოეტის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს. რა ზუსტად აგნებს იგი ქართული ლექსის თავანკარა წყაროს – ხალხურ პოეზიას და რა დიდ როლს ანიჭებს მას ქართული პოეზიის რაფინირების საქმეში...

გალაკტიონი გულმოდგინედ აკვირდებოდა ქართველ კომპოზიტორთა საქმიანობას და მარტო გულშემატკივრის კი არა, მუსიკისმცოდნის პოზიციითაც ხშირად აფასებდა მათს შემოქმედებას. სანდრო კავსაძის შესახებ პოეტი წერს:

«სანდრო კავსაძე ერთადერთი კომპოზიტორი იყო, რომელიც ანგარიშს უწევდა ქართული სიტყვის თავისებურებას. მუსიკალურ ნიშნებზე მისი გადატანის დროს იგი ყურადღებას აქცევდა მახვილს!»

გალაკტიონი ხშირად უსმენდა კლასიკურ მუსიკას. ეს რიტუალი მისი, როგორც მარტოსულის, ცხოვრების წესად იქცა.

«ახლა ღამეა. პირველს უკლია ათი წუთი. მოვისმინე შუბერტისა და ბახის მელოდიები. ორთავესთან ელეგიური განწყობილებაა...» ჩაუწერია თავის დღიურში პოეტს 1940 წლის 22 თებერვალს.

«მთაწმინდის მთვარის» ავტორი რომ კარგად მღეროდა, დავით პავლიაშვილზე დაწერილი მოგონების ერთი ფრაგმენტიც ადასტურებს:

«კახეთისკენ წავედით. ვანოს იმ დროს ფული ჰქონდა. ძეგველიშვილთან თევზი ვიყიდეთ. მივედით «კახეთში». არასდროს ისეთი მრავალჟამიერი არ მახსოვს, ჩვენ სამი რომ ვმღეროდით, მე, ვანო სარაჯიშვილი და დათიკო პავლიაშვილი».

როგორც ირკვევა, გალაკტიონი ნიკო სულხანიშვილის სახელგანთქმულ ანსამბლშიც მღეროდა. ამას პოეტის 1958 წლის 26 მაისის ჩანაწერიც ადასტურებს:

«დათიკო პავლიაშვილმა მიამბო, რომ ამ ბაღში შეხვდა ზამთარში უპალტოოდ მჯდომარე ნიკუშა სულხანიშვილს. სულხანიშვილს შემდეგ მეც გავეცანი. ვმღეროდი მის გუნდში. ალტი მქონდა. კოტეტიშვილი ვახტანგიც სულხანიშვილის გუნდში იყო...»

ამ ფაქტს კიდევ უფრო განამტკიცებს პოეტის მიერ სპეციალურად ნიკო სულხანიშვილზე დაწერილი შთამბეჭდავი ჩანახატი:

«...დარბაზის ერთ კუთხეში დგას როიალი. როილათან ზის ნიკო სულხანიშვილი. მას ხელები კლავიშებზე უდევს. დიდი კომპოზიტორის სახე გამოხა-

ტავს შემოქმედებით ზეშთაგონებას და მისი დიდი თვალები აღტაცებით მომჩერებია. კომპოზიტორი ამოწმებს ჩემს ხმას.

მე კი ვდგავარ იქვე, როიალის ახლო, ჩემს იქით, გვერდზე და სიღრმეში დგანან ჩემი ამხანაგები: სემინარიელები, გიმნაზიელები. ისინი დაინტერესებული და გონიერი თვალებით იხედებიან. უცდიან, რა შედეგს მოიტანს გამოცდა.

– დავიწყოთ ხელახლა, – მეუბნება ნიკო სულხანიშვილი – აბა, აჰყევით.

ნიკო იღებს გამას. სრულიად უბრალო გამას: დო, რე, მი... მე ვყვები. ჯერ სრულიად უბრალოდ, შემდეგ გადადის ვარიაციებზე და ჩემი ხმა უმაღლესი ნოტიდან გადმოდის დაბალზე. დაბლიდან მაღალზე და ასე შემდეგ დიდხანს. კომპოზიტორი გულდასმით ამოწმებს ყოველივეს. უკანასკნელი აკორდი მიწყდა, გამოცდა დამთავრდა.

ყველა სულგანაბულია. მეც ვუცდი სულხანიშვილის დასკვნას, უკანასკნელ განაჩენს. ის ცოტა ხანს დუმს და შემდეგ დაჯერებით, აღტაცებული ხმით ამბობს:

– რა სუფთა ალტია. გასაოცრად ხავერდოვანი და წკრიალა, ძლიერი ალტი! უნაზესი ლირიკაა, რამდენი წლის ხართ?

– თხუტმეტის, ბატონო ნიკო.

– როდესაც ოც წელს გადასცდებით, ეს თქვენი ალტიც ბარიტონად იქცევა. ჩვეულებრივად ასე ხდება. დარჩით ჩემს გუნდში, ვიმღეროთ ერთად, _ ხალისიანად თქვა მან და მხარზე ხელი დამკრა.

ასე გავხდი ნ. სულხანიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი. ეს იყო 1910 წელს» («ნიკო სულხანიშვილი»).

ქართული ხალხური საკრავებიდან გალაკტიონს განსაკუთრებით ჩონგური უყვარდა. პოეტის ორი ნოველა – «დედაჩემი» და «ციცინოს ჩონგური» ამ ეროვნული საკრავისადმი ავტორის განსაკუთრებული სიყვარულით და სინაზით გამოირჩევა.

«ჩონგურზე უკრავს ქალი. მე გატაცებით ვუგდებ მას ყურს. სოფელს სძინავს. ყოველივე ღამის სიბნელეშია გახვეული. ამ ბნელს, მყუდრო, ჩუმ გარემოზე უცებ ამოდის მთვარე და გააშუქებს ჩემს აივანს: ქართულ რიკულებიან აივანს და ქალს მუხლებზე ჩონგურით. მთვარის ნათელზე შეგიძლიათ გაარჩიოთ ეს ქალი. ეს დედაჩემია.

– ა, გატუნია, – მეუბნება იგი, – კარგად დამიგდე ყური. შენ გაგიგონია, რომ ჩონგური კი არ მღეროდეს, ლაპარაკობდეს, იმეორებდეს პირდაპირ, სწორედ იმას, რასაც შენ ამბობ, რასაც შენ მღერი...» («დედაჩემი»).

მეორე ნოველაშიც ჩონგურის თემა დომინირებს: მეჩონგურე ციცინო დაყრუვდა. ყურში აღარ ესმოდა, მაგრამ ჩონგური იმდენად უყვარდა, რომ განუყრელად თან დაჰქონდა და როცა აუწყობდნენ, თავდავიწყებით მღეროდა ხოლმე. ერთხელ მოსამსახურე გოგომ მოხუც მეჩონგურეს აუწყობელი ჩონგური შეაჩეჩა. ციცინო, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა ამ ოინს და ძველებურად განაგრძო ჩონგურზე დამღერება. მართალია, ციცინოს არაფერი ესმოდა, მაგრამ ირგვლივ მყოფთა თვალებზე შეატყო, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო და

ჩონგური გადააგდო. თვალცრემლიანი მოხუცი ქალი დიდხანს მდუმარედ ჩასცქეროდა ბუხარში ცეცხლს. ასეთი სიუჟეტი აქვს «ციცინოს ჩონგურს».

1936 წლის ივლისში მოსკოვში ყოფნის დროს გალაკტიონი დაესწრო ბეთჰოვენის სიმფონიური მუსიკის კონცერტს. პოეტის მახვილმა სმენამ და მგრძნობიარე გულმა სიტყვებით ასე დაასურათხატა გენიალური კომპოზიტორის მეშვიდე სიმფონია:

«ბეთხოვენი. მეშვიდე სიმფონია. მქუხარე ტაშისცემა. შემდეგ დუმილი. იწყება ნელა. შემდეგ მისი ექო. რამდენი ნაზი სიყვარულია ხმებში. იზრდება ჰანგები, ნელი პიანო. რაკრაკებს ნაკადული. უერთდება მას მეორე ნაკადი. უცებ ორივე შეწყდა. თითქო მიწაში დაიკარგა და ამოვიდა ისევ ნელი პიანო სხვაგან. ბულბულების სტვენა. ნელი ქარი იზრდება, იზრდება, იზრდება და აი, ფორტე! ისევ პიანო. მშვიდი გამოხმაურება, უნაზესი ლირიკაა პოეტის მიუსესი. ისევ ფორტე. ხმა სადღაც დაიკარგა და ამოხეთქა პიანოდ. იზრდება ფორტეთი. თხელი. ნელი ვალსია? ცელქი ქარი გიჟურად დატრიალებს. გიჟური ცეკვა. იდეალური დაწყება პასტორალისა...»

მე შევეცადე გადმომეცა მუსიკალურ კულტურასთან გალაკტიონის დამოკიდებულების ამსახველი ფაქტები, როგორც პოეტის ლექსების შთამბეჭდავი აქსესუარი, ისე ამონაწერები გალაკტიონის წერილებიდან და დღიურებიდან.

შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონის შემოქმედება ამ მიმართულებით სპეციალურად არავის უკვლევია.

«ლურჯა ცხენების» ავტორის და მუსიკის ურთიერთმიმართება პოეტის მუსიკალურ განსწავლულობაზე და შემოქმედებაში მუსიკალური მუზისადმი მოწიწებით დამოკიდებულებაზე ღაღადებს.

გალაკტიონის გრძნეული მუსიკალურობის სრული შესწავლა მომავლის მკვლევართა საქმეა.

✍ დიანა ფოცხვერაშვილი

მხატვრული მოღვაწეობის ზღვრული ფორმები

ხელოვნების ბუნების იმანენტური თამაშის ფერმენტი ძველთაგან შეისწავლება ესთეტიკის ისტორიაში. ჩვენს დროში სხვადასხვა ასპექტით იკვლევენ თამაშის საწყისით, ხელოვნებისა და თამაშის ელემენტების ურთიერთგამსჭვალვით გამორჩეულ, არა ერთ მხატვრულ ნაწარმოებს, სტილებსა და მიმართულებებს, სადაც შეგნებულად ირღვევა თამაშის სტიქიის განვითარების საწინდარი, განსხვავებული საშუალებების სინთეზის კანონები. ასეთია, მაგალითად, ბაროკოს და რომანტიზმის ხელოვნების ნიმუშები.

თამაში, როგორც თავისუფალი, უანგარო მოღვაწეობა, გამოირჩევა იმპროვიზაციით, მოულოდნელობით, პარადოქსულობით. თამაშის მოთხოვნილების მნიშვნელოვან ასპექტად რეალურ სინამდვილეში განუხორციელებელის კომპენსაცია მიიჩნევა.

ამგვარად, თამაში, ამა თუ იმ ზომით დისტანცირებული ყოველდღიურობიდან, გარე სამყაროს გარდასახვაა. თამაშის თეორიის მკვლევარი, ცნობილი ჰოლანდიელი კულტუროლოგი **იოჰან ჰეიზინგა** (1872-1945) იყენებდა ტერმინს «წმინდათა წმინდა თამაში». ამ პრინციპით თამაშის მომენტი აღმოჩნდება ჩართული თავდაპირველ მითოლოგიურ ცნობიერებაში. როგორი სახითაც არ უნდა მოგვევლინოს მითი – თხობით, სასიმღერო, დრამატულ – შემოქმედებითი გონი მასში ხუმრობისა და სერიოზულობის ზღვარზე თამაშობს. ამაშია მითოსურისა და თამაშის მოქმედების არსებითი ურთიერთკავშირი. უძველესი რიტუალური ცეკვები, მუსიკა, სახვითი კომპოზიციები, სამყაროს აწესრიგებდნენ. არქაიკაში თამაში გარე სამყაროს ორგანიზაციის, სამყაროსთან დამოკიდებულების გამოვლინების ხერხია. მითი, სცენური და რიტუალური ფორმებით, უბრალოდ კი არ იმეორებს ან გადმოგვცემს «კოსმიურ ამბავს», არამედ აწესრიგებს ადამიანის ურთიერთობებს სამყაროსთან, თამაშის ელემენტის გამოყენებით, სამყაროს ადამიანისათვის უფრო გასაგებს, აქედან გამომდინარე კი, უფრო უსაფრთხოდ და კომფორტულად წარმოაჩენს.

თამაშთან მიმართებაში სკეპტიციზმი გამოირიცხება. ყოველ მოთამაშეს უპირობოდ სწამს მომხდარის. ვინც თამაშს გარედან უცქერის, მას შეიძლება უაზრობის, ხელოვნურობის შთაბეჭდილება გაუჩნდეს. თამაშის სტიქიით ადამიანი განიმსჭვალება მაშინ, თუ იგი მის შიგნით იმყოფება. თამაშს კარგად დამუშავებული, კომპოზიციური მონახაზი ალამაზებს. «თამაშის პრიმიტიული ფორმებისათვის იმთავითვე დამახასიათებელია სიხარული და დახვეწილობა. ადამიანის სხეულის მოძრაობა თავის უმაღლეს გამოხატულებას თამაშში

პოვებს».[1] აქ გამოვლენილი თამაშის ახალი თვისება უკავშირდება მოჩვენებითობის მომენტს, მოთამაშე ადამიანს იზიდავს, ხიბლავს თამაში და სწორედ ამაშია თამაშის აზრი.

ფ. შილერის თანახმად, «ადამიანი თამაშობს მაშინ, როცა იგი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითაა ადამიანი, და ნამდვილი ადამიანია მხოლოდ თამაშის დროს».[2] გერმანელი მოაზროვნე მოჩვენებითი ტკბობის ადამიანის იმანენტურ მოთხოვნილებას უსვამს ხაზს. ამასთან, უკანასკნელი, თავისი არსით, უნდა წარმოჩნდეს სინამდვილეზე უფრო სრულყოფილად, დახვეწილად, ემოციური მრავალფეროვნებით. გამოგონილ სამყაროში ყოფნა – თამაშის ერთერთი უმნიშვნელოვანესი იპოსტასია.

კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთზემოქმედებასთან ერთად, თანამედროვე ადამიანს უვითარდება შორეულის, უცხოს გაგების უნარი. თავის მხრივ, სათამაშო განწყობა, ყოველთვის ამბივალენტურია: მასში შერწყმულია რწმენა და უნწმუნოება, სეროზულობა – თვალთმაქცობასა და მასხარაობასთან. ხელოვნებისა და თამაშის ურთიერთგავლენის საკითხისადმი მიძღვნილ მეცნიერულ ლიტერატურაში, თამაშთან საწყისით გამორჩეული ხელოვნების სახის გამოვლენის მცდელობა შეინიშნება პოეზიას, მუსიკასა და ცეკვის ხელოვნებაში. პლასტიკურ სახეებში თამაშთან კავშირი უმნიშვნელოა.

როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს გადმოცემული მითი, იგი პოეზიადაა შეფასებული. მითოსის ლექსიკურ-გამომსახველობითი «გარსი» – მისი შინაარსის განუყოფელია. მითოპოეტური თქმა უკვე თამაშის სამყაროში ყოფნას ნიშნავს. საყურადღებოა შემდეგი ისტორიულ-კულტურული ფაქტი: საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე პოეტური ფორმა წინ უძღოდა ლიტერატურულ პროზას, რადგან მითოლოგიური ცნობიერების ეტაპზე მთავარ როლს თამაშობს რითმული, მკაფიო კომპოზიციური სტრუქტურის მქონე შელოცვა. თუ რაღაც ირითმება, ილექსება, მაშინ, აღქმისას ჩნდება შთაგონების, სუგესტიის, შთაბეჭდილება: მაგიური პოეტური ფორმის ბუნებაშია ჩადებული. მითოპოეტური ცნობიერების დონეზე თამაშის ფორმით წარმოდგენილია, როგორც ესთეტიკური, ისე საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყველა ასპექტი: ესა თუ ის «წმინდა აქტი», უძველესი რიტუალი, განცდილი როგორც სასწაული, როგორც ექსტაზი, როგორც თრობა, პოეტურ ფორმაშია განხორციელებული. ამ მხრივ, მითოსის პოეტურობა მისთვის დამახასიათებელი თამაშის საწყისით, წინ უსწრებს თვით ესთეტიკური მოთხოვნილების წარმოშობას და ხელს უწყობს მის კრისტალიზაციას.

ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში არ ხმარობდნენ «თამაშის» ცნებას. ამ ტერმინს ანტიკური აზროვნება არ იყენებდა თეატრალური სანახაობისთვისაც კი, რადგან ელინური საზოგადოების სინამდვილე, ყველა მის გამოვლინებაში, თამაშის ყაიდაზე იყო «მომართული». თამაში, თავისთავად, არ მოიაზრებოდა დამოუკიდებელ, გამოყოფილ კომპონენტად.

---

[1] Хейзинга И. Home Lundens. V., 1992. C.16.

[2] Шиллер Ф. Собр. соч. В 6 т. М., 1959. т 6. с.9.

არსებობენ ხელოვნების და თამაშის განმასხვავებელი ნიშნები? დიახ. თუ თამაში სერიოზულობის საპირისპიროა, მაშინ უეჭველია, რომ ხელოვნება არ დაუპირისპირდება სერიოზულ დამოკიდებულებას. ერთი მხრივ, თამაშს ახასიათებს სოციუმის მაორგანიზებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები, მეორე მხრივ, «როცა თამაში აღარ არის «წმინდათაწმინდა», დესაკრალიზებულია, იგი შორდება ონტოლოგიურ სტატუსს და გადაიზრდება ხელოვნებაში. მხატვრული შემოქმედების ონტოლოგიურობაა ის, რომ ხელოვნება მთელი სისრულით მოიცავს და ამარადისებს სინამდვილეს. ხელოვნება, როგორც თამაშის საკრალური ფუნქციების მემკვიდრე, მისი მაქსიმალური განზოგადებით, ხელს უწყობს ადამიანურის დინამიკურ განვითარებას. აბსოლუტისაკენ ლტოლვა ხელოვნების ნებისმიერი შედევრის ზედროულობაშია გამოხატული.

ხელოვნებაში თამაშის საწყისი სხვადასხვაგვარად ვლინდება, როგორც ხელოვნების შინაარსის, ისე ფორმის დონეზე. მხატვრულ შინაარსში თამაშის ელემენტი თავს იჩენს ამბავის, სიუჟეტის დამუშავების, კოლიზიისა და კონფლიქტის აგების დროს. ამ მხრივ, თამაშის საწყისის სიცხადით გამოირჩევა, როგორც ხელოვნების მასობრივი, ისე ელიტარული ჟანრები.

მხატვრული ფორმის დონეზე, თამაშის საწყისი თავს იჩენს ქარაგმის მხატვრული ხერხების შემუშავების პროცესში: მეტაფორების, ენობრივი პირობითობის, სპეციალური ალოგიზმების, საშუალებით არ არსებული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის კომპონენტების განსხვავებული წესებით «გათამაშებაში». ამ შემთხვევებში ხელოვნება უახლოვდება ე.წ. «ბუნებრივ კომპოზიციას», იჩრდილება გამოუხატავი, ფარული მნიშვნელობები, ამასთან ერთად კი – მიმზიდველობა. რამდენადაც ხელოვნება გაიგივებულია რეალურობასთან, იმდენად ნაკლებია მასში სულიერი საწყისი. იმპროვიზაციებით ხელოვანი ამკვიდრებს ახალ მნიშვნელობებს, ასოციაციებს, აზრებს, ახალ კომბინაციებში აერთებს რეალურად შეუერთებელს.

მხატვრულ შემოქმედებაში, თამაშის საწყისს ახალი რეზერვები მყისიერად ჩნდება იმ მომენტში, როდესაც ხელოვნება თავის საგნად ირჩევს ხელოვნების თეორიის პრობლემებს. მაგალითად, წინა ეპოქებში ნაწარმოები ეძღვნებოდა ნაწარმოების შექმნის პროცესის გაცნობიერებას (ველასკესის «მენინი», ბალზაკის «გამბარა»). XX საუკუნის დასაწყისში კი მხატვრული ცნობიერება თავის თავზეა მიმართული. ვ. კანდიდსკი, კ. მალევიჩი, არა მარტო ამკვიდრებდნენ სამყაროს ხედვის ახალ ხერხებს, არამედ ნაწარმოებებს თან ურთავენ თეორიულ პროგრამას, ესთეტიკურ მანიფესტს. მხატვარი სახვითი ხელოვნების შესაძლებლობებზე წარმოდგენის შეცვლის მიზნით, ჩართულია ექსპერიმენტულ – თამაშით, ახალის ძიების ცდებში. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი ფრანგი, ქართველი, რუსი სიმბოლისტების პოეზიაზე, რომელთა გამბედაობით გამორჩეულ ნაწარმოებები ხან უაზროდ, ხან კი მონოტონურად იყო მიჩნეული. «ანტიესთეტიკის», ხელოვნების ტრადიციული საშუალებების რევიზიის მცდელობაც თამაშის საწყისის რელიეფური გამოვლინებაა, რადგან ხელოვნებას დროდადრო ითრევს თავის ტალღებში. XX საუკუნის დასაწყისის მხატვარი, ისე, როგორც ბაროკოსა და რომანტიზმისა, თავის ხელოვნებას თა-

მაშობს. ასეთი თამაში შესაძლებელია, როდესაც ახალი მხატვრული სიმბოლოს საფუძველი გაცნობიერებულია არა როგორც ნორმა, არამედ, როგორც შემთხვევითი ცდა, რომელიც შემდეგ, როგორც წარმატებული ექსპერიმენტი, თვითონ გადაიქცევა ნორმად და ამდიდრებს გამოხატვის უკვე არსებულ საშუალებებს.

XX საუკუნის ხელოვნების თეორიაში ფართოდ განიხილებოდა ავტორის «თვითაცილების» პრობლემა. მზა ტექსტში ავტორი მაქსიმალურად ააქტიურებს მკითხველის პოზიციას. რომანის მკითხველის ჩართვის მიზნით, მხატვრული ტექსტი non-finito-ს პრინციპითაა მოდელირებული. ამ პროცესის თაობაზე რ. ბარტი წერს, რომ ასეთ შემთხვევაში მწერალი ემსგავსება «მარადიულ, და ერთდროულად, დიდ სასაცილო გადამწერს, რომლის უაღრესი კომიკურობა სწორედ წერის «სისწორეშია»; იგი ბაძავს მხოლოდ იმას, რაც უკვე დაიწერა და დაიწერა მრავალჯერ; მას მხოლოდ წერის სხვადასხვაგვარად აღრევის შესაძლებლობა ეძლევა. მაგრამ, აპირისპირებს ისე, რომ არც ერთს არ ეყრდნობა სრულად».[1]

ამგვარ პროცესებს აღქმაში განსაკუთრებული ძალით შეაქვს იმპროვიზაციის, მოულოდნელობის, არასერიოზულობის ელემენტები. მხატვრული აქ წარმოჩნდება, როგორც ცხადი დასაწყისის და გაურკვეველი დასასრულის თავგადასავლების სამყარო. თამაშის ელემენტის ჰიპერტროფიის პრობლემის წინაშე აღმოჩენილი ესთეტიკა აყენებს ტრადიციული მხატვრული ტექსტის ხელოვნების საზღვრებს გარეთ გატანის პრობლემას. ხელოვნებას ენიჭება მანამდე მისთვის უცნობი ფუნქციები და როლი.

პოსტმოდერნიზის ლიტერატურის მრავალი თანამედროვე მკვლევარი წერს ისეთ მოვლენაზე, როგორიც არის ანტირომანი. ე.ი. როდესაც არაერთმნიშვნელოვანი, დიდაქტიკურობას მოკლებული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის უფლებას ავტორი მკითხველს გადაულოცავს. მოდერნიზმის რიგი თეორეტიკოსების თანახმად, რომანის იდეალური ტექსტი, იწერება თვითონ. გარკვეული აზრით, ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ რომანისტი წერს რომანს, რომანი კი იწერება თავისთავად. რომანისტი, ფრანგი მკვლევრის მ. ბიუროტის თანახმად, არის მხოლოდ მისი დაბადების იარაღი, აკუშერი».

ლიტერატურაში თამაშის საწყისი მრავალწახნაგოვანია. თავს იჩენს, არა მარტო დასახელებაში (ჰ. ჰესეს «მარგალიტებით თამაში»-დან ჰ. კორტასარის «კლასიკაში თამაში»-მდე), არამედ, მათ გართულებულ კონსტრუირებაშიც. მაგალითად, დასახელებულ ნაწარმოებებში, ჰესესთან და კორტასართანაც, თამაშის საწყისი დროისა და მოქმედების ადგილის გამუდმებით ცვლაში, პირველი პირიდან ტესტის მესამე პირზე გადატანაში, განსხვავებული დროითი პლანების[3] ერთდროულობაში იჩენს თავს. კორტასარის რომანში მკითხველს საშუალება ეძლევა ყველა საჭირბოროტო საკითხი გადაჭრას თვითონ. მწერალი გადაკვრითაც კი არ მიანიშნებს, ნაწარმოების ბოლოს განსახიერებულ, კრიტიკული სიტუაციის შედეგზე: მისთვის ცნობილი არ არის გამოსავალი.

---

[3] Барт Р. Избранные работы: Семиотика. Поэтика. М., 1994. с. 388.

ამგვარად, XX საუკუნეში შეიმჩნევა ხელოვნების ნაწარმოების თამაშის ელემენტების გააქტურების ტენდენციები. ჰიპერტროფირდება მხატვრული ტექსტის ექსპერიმენტული და მოულოდნელობებით აღსავსე სტიქია. ასეთ შემთხვევებში, მხატვრული ნაწარმოები სცილდება ლიტერატურის ტრადიციულ გაგებას, ტრადიციული ხერხები და ხელოვნება არსებობს სინამდვილის განსაკუთრებულ სივრცეში. ახალი ტიპის ხელოვანი და მკითხველი უპირატესობას ანიჭებს თვით წერის აქტს და არა რაც უკვე დაწერილია. შესაძლებელს – და არა დასრულებულს, ცოცხალ დინამიკას – გაყინულ, ნორმატიულ სტრუქტურას, ენაწყლიანობის უშუალო აქტს – უკვე თქმულს.

თამაშის საწყისის აბსოლუტიზაცია, ხშირად, საზიანოა ხელოვნების ბუნებისათვის. დაუშვებელია ხელოვნების სრული იდენტიფიცირება თამაშთან. ითავსებს რა «წმინდა თამაშის» მონაპოვარს, მხატვრული შემოქმედება ხელყოფს უფრო მნიშვნელოვანს. თამაშის თვითკმარი აქტი ტრიუმფატორად გვევლინება ისეთ სოციალურ-მხატვრულ მოვლენაში, როგორიცაა დღესასწაული. აქ თამაშის კომპონენტი მაქსიმალურადაა აბსოლუტიზებული. ერთი მხრივ, ნებისმიერ დღესასწაულში უპირობოსთან, თანაარსებობს პირობითი, მაგრამ, მეორე მხრივ, დღესასწაულის სიტუაცია, თავისთავად უპირობოა, სადაც ადამიანი სრულად ავლენს თავს იმპროვიზაციის სტიქიაში. ამ თვალსაზრისით, დღესასწაული იმით განსხვავდება ხელოვნებისაგან, რომ ხელოვნებაში ადამიანი მაყურებელია, დღესასწაულში კი – მონაწილე. დღესასწაულის სტიქია მხატვრული ტექსტის თავისებურებებით კი არ მიეწოდება ადამიანს, არამედ თვითონ ადამიანია მის შემოქმედი და გამთამაშებელი.

თვით დღესასწაულის ფენომენისათვის უცხოა დასრულება. თუ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს თავი და ბოლო, დრესასწაულის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა დამოკიდებულია მასში მონაწილეებზე. დღესასწაული სინამდვილეში გადატანილი ილუზიაა. მხატვრულთან შედარებით, განსაკუთრებული სტიქიური ემოციურობით, მოულოდნელი იმპროვიზაციული საწყისების სინთეზით, თამაში მნიშვნელოვნადაა გაძლიერებული სადღესასწაულო ქცევაში, რაც თავის მხრივ, ქცევის ამ სახის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ერთად სადღესასწაულო ქცევაზე ასახული სადღესასწაულო განწყობილება ხშირად უკავშირდება ეთიკურ ანომალიებს, ვლინდება ჩხუბში, ჩვეული ნორმების დარღვევაში, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, დიონისეს ან აფროდიტესადმი მიძღვნილ ანტიკურ დღესასწაულებში.

დღესასწაული, დროებითი, რეალურად ქცეული იდეალური სამყაროა. დღესასწაულის სტიქიაში კომპენსირდება რეალური სინამდვილის მანკიერება. ამას მოწმობენ არა მარტო ანტიკური, არამედ შუა საუკუნეებისა და აღორძინების, ხშირად, გრძნობადობის უხამსი აპოთეოზის მაგალითები. სადღესასწაულო განწყობილებას არ ახასიათებს თვითირონია, იგი არარეფლექსური ქცევის სტიქიით არის ძლიერი.

ადამიანის თამაშის ქცევის ფორმების შესწავლისათვის დიდ შესაძლებლობას იძლევა თავისუფალი დროის სფერო. მოცლილობის მხატვრული ფორმები ადამიანის ნება-სურვილის გამომჟღავნებას დიდ გასაქანს აძლევს. ადამიანი არაფრით არ იზღუდება. მოცლილობის მიზნები, უმთავრესად, ორიენტირებულია სინამდვილის მონოტონურობიდან გაქცევაზე, შეგრძნებათა პა-

ლიტრის გამრავალფეროვნებაზე. სხვადასხვა კულტურის მოცლილობის ფორმების კვლევის დროს, გამოვლინდა ქცევის ისეთი ფორმები, რომელთა უმალ გააზრება, ადამიანის გააზრებული ან გაუაზრებელი მოთხოვნილების თვალსაზრისით, შეუძლებელია. ასეთი დაყოფა შეფარდებითია. მოცლილობაში ურთიერთობისა და თვითგამოვლენის ახალი ფორმების რეალიზაცია აფართოებს ნებადართულობის და ნებადაურთავის საზღვრებს.

სხვადასხვა კულტურაში, მოცლილობის მხატვრული ფორმების რეპერტუარში, ვაწყდებით უკიდურეს, ეპატირებულ მოტივებს, დაკავშირებულს ადამიანის ფსიქიკის ინსტიქტური, ეროტიკული და სხვა მხარეების ჰიპერტროფიასა და აბსოლუტიზაციასთან. სწორედ თამაშის, ექსპერიმენტის, არასერიოზული ქცევის ძალით, მისაღები შინაარსის საზღვრები აქ უფრო ფართოა, ვიდრე ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში.

კულტურათა და ცივილიზაციების ინტენსიური ურთიერთზემოქმედებით, ე.წ. ოფიციალური გრძნობადობის გამოვლინების, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების მარეგულირებელი კოდი ვითარდება და ამცირებს ნორმებისა და წესების ზეგავლენას. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული, ინდივიდუალურ და სოციალურ ფსიქოლოგიაში, გრძნობადობის განსხვავებული მოდუსები არ ცვლიან ერთმანეთს (როცა ერთი ნორმა ჩნდება მეორეს კვალად), არამედ თანაარსებობენ. ხელოვნებაც, თავის მხრივ, უკვე აღარ ისწრაფვის ეროტიკული ფორმების კანონიზაციისაკენ, არამედ, განსხვავებულ მხატვრულ მიმართულებაში და მიმდინარეობაში, ახდენს თამაშის მომენტით დატვირთული ეროტიკული მრავალფეროვანი განცდების მთელი ძალისხმევით დემონსტრირებას.

ცხოველმყოფელი და სისხლსავსე გრძნობადობა ყოველთვის იყო კულტურის ტონუსისათვის საყრდენი. ამ მიზეზით, არა ერთ შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც საზოგადოება გამომდინარე მოთხოვნილებებიდან, მძაფრი შეგრძნების ძიებით იყო დაკავებული. ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ეს უპირატესობა ენიჭებოდა გლადიატორების ბრძოლას, მეორეზე – ტორეადორებისას, მესამეზე – გრანდიოზულ საესტრადო შოუს. ეროტიკულ განცდაში თამაშის, ფანტაზიის, მოულოდნელობის შეტანის აუცილებლობის შედეგად, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, საფრანგეთში გაჩნდა ისეთი ცნობილი კლუბები, როგორიც იყო: «მულენ რუჟი», «ფოლი ბერჟერი», «შა ნუარი». ნიშანდობლივია, რომ ასეთი თავისუფალი დროის შინაარსი ჯერ შეფასდა როგორც («მულენ რუჟი»), «ბიწიერების ბაბილონის ქონგური», ასი წლის შემდეგ კი კულტურის გასართობ – სანახაობითი ფორმების ეტალონად გამოაცხადეს.

თამაშის ფენომენი განსაკუთრებულად მოდაში გამოვლინდა. მოდის ისტორიკოსები აღნიშნავენ ქალისა და მამაკაცის სამოსის განპირობებულობას სოციალური ფსიქოლოგიის თავისებურებებით, რაც მიუთითებს არა თამაშის საწყისის, არამედ კანონზომიერის მნიშვნელობაზე. ამგვარი კავშირი, მართლაც არსებობს. მაგალითად, ევროპაში, XVIII საუკუნის შუა პერიოდის, ქალის სამოსი ასახავს როკოკოს, როგორც დომინანტი სტილისა და ქცევის ნიშნებს, რაც თავს იჩენს სამოსის მრავალფეროვნებაში: ქალის კარკასებში, ფეერიულ, სირაქლემასა და ფარშევანგის ბუმბულებით შემკულ ქუდებში. 1789-1793 წლების ფრანგული რევოლუციის იდეები მძაფრად ცვლიან საზოგადოების ორიენტა-

ციას. ახალი განწყობილებების ზეგავლენით სამოსის ესთეტიკა მიმართავს ანტიკურ სამყაროს. ქალებმა უარი თქვეს კარკასებსა და ქვესადებებზე, დაიწყეს ხორცისფერი ტრიკოს, მის ზემოდან კი გვერდებზე ჩაჭრილი, მკერდის ქვეშ ქამრით შემორტყმული გრძელი, ფართო, მსუბუქი, ლამაზად დრაპირებული ტუნიკის ტარება. ვარცხნილობით, და მთელი თავისი იერით, ქალი უნდა დამსგავსებოდა მარმარილოს ქანდაკებას.

თამაშის საწყისი, როგორ ხელოვნების, ისე მის მოსაზღვრე შემოქმედებით სფეროებში – დღესასწაული, მოცლილობის მხატვრული ფორმები, მოდა, სპორტი – აძლიერებდა, აღრმავებდა ნიჭიერებას, ამდიდრებდა წარმოსახვას. თამაშში გადასახული ადამიანი სხვაგვარია. თამაში მას დროებით, ილუზორულად, ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის უფლებას ანიჭებს, და იგი მაღლდება თავის თავზე, უვითარდება ქცევის, აღქმისა და აზროვნების არაშაბლონური ხერხები.

DIANA POTSKHVERASHVILI

Summary

The article deals with the problem of a game element in mythical actions and consciousness. We attempted to examine the problem of disinterested game as a necessity to existence in the factious world; Also, games beginnings in a artistic form and content; A social and a game beginnings' interrelation in a mode.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამაშის ცნება კულტურის თეორიაში. «მეცნიერებათა აკადემია», თბ., 1987.
2. ნოდია გ. თამაშის ცნება კულტურის ფილოსოფიაში, თბ., «მეცნიერება». 1987.
3. შილერი ფ. რჩეული თხზულებები. ტ.3. თბ., 1965.
4. ჰოიზინგა ი. თამაში, როგორც კულტურის მოვლენის არსი და მნიშვნელობა, «საუნჯე». თბ., 1985. [1]6.
5. Мазаева А.И. Праздник как социально-художественное явление. М., 1978.
6. Стопович Л.Н. Искусство и игра. М., 1987.
7. Хейзинга И. Опыт определения игрового элемента культуры. М., 1992.
8. Черняков И.В. Homo Ludens. Игра и художественная деятельность. М., 1991.
9. Эльконин Д. Психология игры. М., 1978.

✍ *როზა გაფრინდაშვილი*

აგრესიის ბიოლოგიური და სოციალ-ფსიქოლოგიური მიზეზები

(აგრესიის სახეები, თეორიები, აგრესია და ფრუსტრაცია, შეძენილი აგრესიები)

ახლახანს საქართველოს მოსახლეობა ციხეებში გამოვლენილმა ფაქტებმა შეძრა და აგრესიის მიზეზებზე დააფიქრა. იმის შესახებ თუ რას ფიქრობენ აგრესიის მიზეზებზე ფსიქოლოგები, გთავაზობთ დევიდ მაიერსის ცნობილი ნაშრომის «სოციალური ფსიქოლოგიის» მიხედვით მომზადებულ სტატიას.

აგრესიის სახეები

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით კაცობრიობა ჰუმანიზმისკენ მიემართება. ამის დასასაბუთებლად იმ ფაქტებს იშველიებენ, რომ პირველყოფილი ადამიანები სისასტიკეებს სჩადიოდნენ; თვით მაღალგანვითარებული რომაელებიც კი გლადიატორთა სისხლიანი ბრძოლებით ერთობოდნენ; თანამედროვე ადამიანს კი სისხლის დანახვა თავზარსა სცემს ანუ ადამიანი უფრო ჰუმანური გახდაო.

ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს, რომლის მიხედვით კაცობრიობას ერთი ნაბიჯითაც კი არ წაუწევია წინ ჰუმანიზმისკენ. ამ აზრს დევიდ მაიერსი გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარი შემდეგი ფაქტებით ასაბუთებს:

- ორმა ინგლისელმა მოზარდმა ორი წლის ბავშვი ცემით სიკვდილამდე მიიყვანა, რამაც კულტურული და კარგად აღზრდილი ბრიტანელები შოკში ჩააგდო;
- თურქი ემიგრანტების ბანაკებში მომხდარმა მკვლელობებმა და სხვა უხამსობებმა საზოგადოებას თავზარი დასცა;
- რუანდაში ტუტსის ტომის დაახლოებით 500 000 ადამიანის გენოციდი;
- პარტნიორთა მიერ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის ფაქტები, რაც კანადაში 12 300 გამოკითხული ქალის 29%-მა აღიარა.
- აშშ-ში ოფიციალურად დარეგისტრირებული დანაშაულობები, რამაც ყოველწლიურად ერთ მილიონს მიაღწია, ხოლო არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა რიცხვი 6-7-ჯერ გაიზარდა.

- მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გამალებული შეიარაღება, სხვისთვის ზიანის მიყენებისთვის, მოკვლისთვის, საომარი მოქმედებებისთვის მზადება, რაზეც მილიარდები იხარჯება იმ დროს, როცა ეს თანხები შეიძლებოდა გამოეყენებინათ შიმშილის, ავადმყოფობების, უვიცობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად.

დევიდ მაიერსი ამ ჩამონათვალს 2011 წელს ნორვეგიაში, კუნძულ ოტოიამაზე ბრეივიკის მიერ ჩატარებულ ტერაქტსაც და საქართველოს ციხეებში გამოვლენილ შემზარავ ფაქტებსაც მიამატებდა, ამის შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონოდა, რამაც თავზარი დასცა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს.

საიდან მოდის სხვისთვის ზიანის მიყენების ეს მძაფრი სურვილი? იქნებ ადამიანი მითიური მონოტავრის მსგავსი არსებაა – ნახევრად მხეცი, ნახევრად ადამიანი? რა გარემოებებია აგრესიის აფეთქების მაპროვოცირებელი? შესაძლებელია თუა არა აგრესიის კონტროლი?

სანამ კითხვებზე პასუხს გავცემთ, ვნახოთ როგორ განსაზღვრავენ აგრესიას ფსიქოლოგები:

ტერმინ «აგრესიას» სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებენ; როცა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით ადამიანი წამებით ჩახოცეს, ცხადია საქმე აგრესიასთან გვქონდა, მაგრამ როცა ტერმინ «აგრესიულით» შეუპოვარ გამყიდველს ან მაღალი ნიშნისთვის «მებრძოლ» სტუდენტს მოიხსენიებენ, რაღაც სხვა იგულისხმება.

თუ რა განსხვავებაა მათ შორის, ამ კითხვაზე ფსიქოლოგები ჯერ კიდევ დავობენ, მაგრამ მათი შეხედულებები ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა.

მაგალითად, განასხვავებენ ენერგიულ, თავდაჯერებულ ქცევას, რაც მიზნის მიღწევისადმია მიმართული და ქცევა, რომლის ერთადერთი მიზანი ვინმესთვის ტკივილის მიყენება, ნგრევა-განადგურებაა (ცხადია, აქ ექიმის მიერ პაციენტისთვის მიყენებული ტკივილი არ იგულისხმება). პირველია – სიმტკიცე, შეუპოვრობა, მეორე – მტრული აგრესია. **ანუ, არსებობს მტრული აგრესია,** რასაც ბოროტი სტიმული განსაზღვრავს და **ინსტრუმენტული აგრესია,** რაც რაიმე პოზიტიური მიზნის მიღწევის საშუალებაა.

პოლიტიკური ლიდერები, ზოგჯერ, ომებს იმით ამართლებენ, რომ მას განიხილავენ არა როგორც ამა თუ იმ ქვეყნის დანგრევის ან ადამიანების მოკვლის სურვილით მოტივირებულს, არამედ, როგორც ქვეყნის გამათავისუფლებელ, ჰუმანურ ღონისძიებას. იმის გამო, რომ ინსტრუმენტული აგრესიის გამოვლენისას შინაგანი მრისხანების გადმოფრქვევა არ ხდება, მას «ცივ ომსაც» უწოდებენ.

ამ ორი სახის აგრესიის ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია; «ცივი» განზრახვით დაწყებულმა კონფლიქტმა შეიძლება მტრობა გაამძაფროს; მიუხედავად ამისა, აგრესიის ამ ორ სახეს შორის განსხვავებაზე მითითება, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტების აზრით, სასარგებლოა; მაგალითად, მკვლელობათა უმეტესობა მტრული, იმპულსური აგრესიის შედეგია. ამ დროს ემოციათა უკონტროლო ამოფრქვევა ხდება; ამის გამოა, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მკვლელობათა რიცხვს სრულებით რომ ვერ ამცირებს, მაგრამ ამ მკვლელობათაგან ზოგი ინსტრუმენტულია, ძარცვის მიზნით ჩადენილი.

აგრესიის თეორიები

დევიდ მაიერსის «სოციალურ ფსიქოლოგიაში» მტრული და ინსტრუმენტული აგრესიის ახსნის სამი მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფციაა წარმოდგენილი.

ესენია მოძღვრება: 1. თანშობილი, მტრული აგრესიის აღმძვრელი იმპულსების შესახებ; 2. ფრუსტრაციაზე, როგორც ბუნებრივ-აგრესიულ რეაქციაზე (ფრუსტრაცია – მიზნის ბლოკირებისას წარმოქმნილი სასოწარკვეთილების მდგომარეობა) და 3. გამოცდილებით შეძენილ აგრესიაზე.

თანშობილი აგრესიის თეორიები იმის გარკვევას ცდილობენ, ადამიანი თავისი ბუნებით კეთილი, დამთმობი და ხათრიანი არსებაა თუ ბოროტი, უმართავი და იმპულსური ცხოველია.

პირველი პოზიციის წარმომადგენელია ჟან-ჟაკ რუსო; ის ბოროტების საფუძველს სოციალურ არსებობაში ხედავს და არა ადამიანურ ბუნებაში.

მეორე პოზიცია თომას ჰობსს ეკუთვნის; ის სოციალურ განსაზღვრულობას განიხილავს როგორც ადამიანში ცხოველური ბუნებისათვის «ლაგამის» ამოდების საშუალებას; დევიდ მაიერსის თქმით, გასულ საუკუნეში თომას ჰობსის შეხედულებები აგრესიული იმპულსის თანშობილობის და მისი გარდუვალობის შესახებ, ზიგმუნდ ფროიდმა და კორნად ლორენცმაც გაიზიარა.

ინსტინქტური აგრესიის თეორიის წარმომადგენელი ფსიქოანალიზის შემქმნელი ზიგმუნდ ფროიდი ვარაუდობდა, რომ ადამიანის აგრესიის წყარო არის ინდივიდის მიერ თვითგანადგურებისადმი, სიკვდილისადმი ფარული, არაცნობიერი ლტოლვის (სიკვდილის ინსტინქტის) გარე ობიექტისადმი მიმართვა. კონრად ლორენცი კი, რომელიც ცხოველთა ქცევებს სწავლობდა, აგრესიას განიხილავდა, როგორც ადაპტაციის (შეგუების) და არა თვითგანადგურებისადმი ლტოლვით ნაკარნახევ ქცევად. მისი აზრით, ჩვენ «მეომრული ინსტინქტით» ვართ დაჯილდოვებული, რაც გარემოსთან ადაპტაციაში და თავდაცვაში გვეხმარება.

ფროიდიც და ლორენციც ფიქრობდნენ, რომ აგრესიის ინსტინქტი თუ განტვირთვის საშუალებას ვერ იპოვის, მანამ გროვდება, სანამ არ «აფეთქდება» ან სანამ ხელსაყრელი შემთხვევა არ გაათავისუფლებს. ამასთანავე, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ჩვენ, აგრესიის დამუხრუჭების თანშობილი მექანიზმი არ გაგვაჩნია ანუ ადამიანი მას ვერ აკონტროლებს!

ამ თეორიის მომხრეების აზრით, არაკონტროლირებადი აგრესიული ტენდენციის აღიარებით აიხსნება ის ფაქტი, რომ გასულ საუკუნეში უფრო მეტი ადამიანი გახდა მკვლელობის მსხვერპლი, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე.

დევიდ მაიერსის აზრით, აგრესიის, როგორც ინსტინქტის თეორია ვერ ხსნის სხვადასხვა ხალხების აგრესიულობის სხვადასხვა დონეს სხვადასხვა კულტურებში; მაგალითად, აგრესიის ინსტინქტურობის თეორიით როგორ შეიძლება აიხსნას იროკეზების მშვიდობისმოყვარეობა თეთრკანიან დამპყრობლებამდე და მოგვიანებით მათი მებრძოლურობა? ანუ, თანამედროვე მსოფ-

ლიოში კულტურები რომ ერთმანეთისგან აგრესიულობის დონითაც განსხვავდებიან? (ხომ არსებობენ ნაკლებად აგრესიული ხალხები, სადაც მკვლელობები იშვიათია და უფრო მეტად აგრესიულები, მაგალითად, სამხრეთ ამერიკელი იანომამოები, რომლებთანაც მამაკაცების უმრავლესობა, მოწიფულობის ასაკამდე მკვლელობებით ყოფილან დაკავებული).

აგრესიის ბიოლოგიური ფაქტორების თეორიაში, მართალია, ადამიანთა აგრესიულობა ინსტინქტად არაა კვალიფიცირებული, მაგრამ აგრესია მაინც ბიოლოგიურითაა ბევრად განპირობებული, რაკი მასზე სხვადასხვა ბიოლოგიური ფაქტორი ახდენს გავლენას; მაგალითად ნერვული სისტემა; მისი გავლენით აგრესია ქცევის რთული, კომპლექსური მექანიზმია. მეცნიერებმა ადამიანებთანაც და ცხოველებთანაც ნერვული სისტემის უბნები აღმოაჩინეს, რომლებიც აგრესიის გამოვლენაზე «პასუხს აგებენ»; ამ უბნების აქტივიზაციისას მტრული აგრესია იზრდება, ხოლო დეზაქტივიზაციისას – მცირდება. ამიტომ ყველაზე წყნარი ცხოველის ხელოვნურად განრისხება და ყველაზე მძვინვარე მხეცის დაწყნარებაც შესაძლებელია!

- ამის დასამტკიცებლად კურიოზული შემთხვევა მოაქვთ: პაციენტის თავის ტვინის შესაბამისი უბანი ელექტროდით გააღიზიანეს; პაციენტმა ექიმს ისე ძლიერ მოუქნია გიტარა, რომ ის კედელს შეასკდა და ნამსხვრევებად იქცა; ძნელი სათქმელია, რა მოუვიდოდა ექიმს, თავი რომ დროზე არ გაეწია და გიტარა მას მოხვედროდა.

აგრესიის გენეტიკური ფაქტორით ახსნის მომხრეების აზრით, მემკვიდრეობა გავლენას ახდენს აგრესიის გამომწვევი მიზეზების მიმართ ნერვული სისტემის მგრძნობელობაზე. ცნობილია, რომ ხანდახან ცხოველებს, პრაქტიკული მოსაზრებებით, აგრესიულობის მიხედვით მოაშენებენ ხოლმე (მაგალითად, მებრძოლ მამლებს, მგლებზე სანადიროდ დაგეშილ ან მოდარაჯე ძაღლებს და ა.შ.).

- ფინელმა ფსიქოლოგმა კრისტი ლაგერსპეცმა (1979) ჩვეულებრივი ალბინოსი თაგვები აგრესიულობა-არააგრესიულობის მიხედვით ორ ჯგუფად დაყო. ეს პროცედურა მან 26 თაობაში გაიმეორა და ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაყარი (თაგვების ჯგუფი) მიიღო, ერთი – მშვიდების, მეორე – აგრესიულების.

აგრესიულობის ვარირება პრიმატებსა და ადამიანებშიც ასევე ხდება. ჩვენი ტემპერამენტი ხომ ნაწილობრივ დაბადებიდანაა და ჩვენს სიმპათიკურ ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებული; ადამიანის ტემპერამენტი უკვე ბავშვობის ადრეულ ასაკში ვლინდება და, როგორც წესი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღარ იცვლება.

არსებობს აგრესიის **ბიოქიმიური ფაქტორებით ახსნის თეორიაც,** რომლის მიხედვით სისხლის ქიმიური შედგენილობა ერთ-ერთია, რაც ნერვული სისტემის მგრძნობელობაზე და აგრესიის სტიმულაციაზე გავლენას ახდენს. ლაბორატორიული ექსპერიმენტები და პოლიციის მონაცემებიც აჩვენებს, რომ სიმთვრალისას აგრესიული ქცევების პროვოცირება გაცილებით უფრო ადვილია. ძალადობაში ბრალდებულები, ალკოჰოლით ბოროტად სარგებლობენ, აგრესიულები ხდებიან; ექსპერიმენტულ პირობებში, ცდის პირები, რომლებიც

ინტოქსიკაციის მდგომარეობაში არიან, «დამნაშავეს» უფრო ძლიერი ძაბვის ელექტროდენით სჯიან.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ რეალურ ცხოვრებაში დანაშაულობათა ნახევარი, ალკოჰოლური გავლენის ქვეშ მყოფთა მიერაა ჩადენილი. ალკოჰოლი აგრესიულობას აძლიერებს, რაკი ის პიროვნების შერაცხადობას და თავისი ქცევის შედეგების გააზრების უნარს ამცირებს.

აგრესიულობაზე გავლენას ახდენს მამაკაცური ჰორმონი – ტესტოსტორონი; სექსუალური ძალადობისადმი მიდრეკილების მქონე მამაკაცებში ტესტოსტორონის დონის შესამცირებელ პრეპარატებს მათში აგრესიული ტენდენციების შემცირება შეუძლია. 25 წლის შემდეგ, მამაკაცების სისხლში ტესტოსტორონის შემცველობა მცირდება, მასთან ერთად ძალადობრივი დანაშაულობებიც.

- მეორე გარდატეხის ასაკის (კლიმაქსის) შემდეგ მამაკაცების სისხლში ტესტოსტორონის შემცველობა მცირდება, ქალების სისხლში პირიქით – მატულობს; ამიტომ სიბერეში სახეზეა «ქოფაკი დედამთილები და სიდედრები და ბუნჩულა ბებიები»; სიბერეში ქალები შურს იძიებენ მამაკაცებზე ადრინდელი მონობის გამოო, ხუმრობენ ფსიქოლოგები.

იმ პატიმრებს, ვინც არაპროვოცირებული ძალადობისთვის იყო გასამართლებული, ტესტოსტორონის დონე ჩვეულებრივზე უფრო მაღალი ჰქონდათ, ვიდრე იმ პატიმრებს, ვინც არაძალადობრივი დანაშაული ჩაიდინეს. ასევე, მოზარდებს და მამაკაცებს, ვისაც ტესტოსტორონის მაღალი დონე ჰქონდათ, ნარკოტიკისადმი და აგრესიის გამოვლენისადმი უფრო დიდი მიდრეკილება აღმოაჩნდათ.

დაისმის კითხვა: არის თუ არა აგრესია ადამიანის არსებობისთვის ისე აუცილებელი და მისი ბუნებისთვის ისე განუყოფელი, რომ მშვიდობიანი ურთიერთობები განუხორციელებელ ოცნებად რჩება?

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის საბჭომ და ფსიქოლოგთა საერთაშორისო საბჭომ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მხარი დაუჭირა ძალადობის შესახებ განცხადებას, რასაც მეცნიერთა მრავალეროვანი კოლექტივიც შეუერთდა (1991). დადგენილებაში ვკითხულობთ: «მეცნიერთა შეხედულებით, არაკორექტულია განცხადება, რომ ომი და საერთოდ ძალადობასთან დაკავშირებული ქცევა გენეტიკურადაა ჩადებული ადამიანის ბუნებაში და რომ ინსტინქტებით გამოწვეულ ომებს ერთმნიშვნელოვანი მოტივაცია აქვთ», მით უმეტეს, რომ, როგორც ამიერიდან ვნახავთ, ადამიანური აგრესიის შემცირების გზები არსებობს!

აგრესია და ფრუსტრაცია (იმედის გაცრუება)

ფრუსტრაცია არის მიზანდასახული ქცევის ბლოკირების შედეგად წარმოშობილი აგრესია; ის შეიძლება სრულიად მოულოდნელად და უმნიშვნელო პირობებში წარმოიშვას. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ სამსახურიდან შინ დაბრუნებულს, ბინის კარი დაკეტილი დაგხვდათ, თქვენ კი დაღლილს და მო-

შიებულს, გასაღები არ გაქვთ; გასაკვირი არაა, თუ ამ დროს კარს ბრაზით ფეხს ან ხელს მიარტყამთო, ვარაუდობენ ფსიქოლოგები.

ლაბორატორიული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ შესაძლოა ფრუსტრაციის შედეგად აღმოცენებული აგრესია უფრო სერიოზულ სიტუაციაშიც გამოვლინდეს; მაგალითად, გამოცდაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხები იცოდით, მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ უპასუხეთ; მაშინ, ალბათ, «შურს» კონსპექტებზე ან სახელმძღვანელოებზე იძიებთ – გაჯავრებული მას მერხზე დაახეთქებთ, საკუთარ თავს ან გამომცდელს აგრესიულად მოიხსენიებთ?

საქმე ისაა, რომ სოციალ-ფსიქოლოგების მტკიცებით, ფრუსტრაცია – მიზნის ბლოკირება რაიმე სახით, აგრესიამდე მიდის. ფრუსტრაციას ყველაფერი იწვევს, რაც მიზნის მიღწევას ხელს უშლის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიზნის მიღწევის ძლიერი მოტივაცია – სიამოვნების ან მოგების მოლოდინი არსებობს.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აგრესიის ენერგია, პირველმიზეზს, თავს იშვიათად დაატყდება ხოლმე; ჩვენ ვისწავლეთ აგრესია (ბრაზი) იმით დავიცხროთ, რომ ჯავრი ჩვენთვის რაც შეიძლება უხიფათო რამეზე ან ვინმეზე ვიყაროთ.

ფრუსტრაციის გამო აგრესიული ენერგიის «უხიფათო» ვინმეზე ან რამეზე ჯავრის ამოყრას აგრესიის გადანაცვლებას უწოდებენ (ქართულ ფოლკლორში ეს მოვლენა ერთი შესანიშნავი ფრაზითაა გამოხატული – ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო!).

მაგრამ ფრუსტრაცია ყოველთვის როდი იწვევს აგრესიას; მაგალითად მაშინ, როცა ფრუსტრაციის მიზეზი გასაგებია ანუ გაცნობიერებულია. ამ დაკვირვებას ეყრდნობა კონფლიქტის თავიდან აშორების და ნერვების დაწყნარების ერთ-ერთი ხერხი – «იყავით მუდამ დამკვირვებელი!» რასაც ფსიქოლოგები გაბრაზებულ ადამიანს ურჩევენ.

ლეონარდ ბორკოვეცმა შეამოწმა – ფრუსტრაციასა და აგრესიას შორის კავშირი გაზვიადებული ხომ არ იყო; ის ვარაუდობდა, რომ ფრუსტრაციას იწვევს გაბრაზება და აგრესიული რეაგირებისთვის მზადყოფნა; გაბრაზება მაშინ იწყება, როცა მას, ვინც თქვენ მოლოდინი გაგიცრუათ, შესაძლებლობა ჰქონდა ფრუსტრაციული ქცევა არ შეესრულებინა.

არსებობს მრავალი სტიმული, რაც თავისთავად აგრესიასთან ასოცირდება და რაც ადამიანს აგრესიულ განწყობილებაზე აყენებს; ფსიქოლოგებს ასეთად ცეცხლსასროლი იარაღი მიაჩნიათ, როცა ის ჩვენი მხედველობის არეშია;

- ერთ-ერთ ექსპერიმენტში, ბავშვები, სათამაშო ცეცხლსასროლი იარაღებით თამაშის შემდეგ, სხვა ბავშვებისაგან კუბიკებით აშენებულ ნაგებობებს დიდი ხალისით ანგრევდნენ; სხვა ექსპერიმენტში გაბრაზებული ცდისპირი – მამაკაცები თავიანთი «მტანჯველების» დასასჯელად დიდი ძალის ელექტრომუხტს მაშინ იყენებდნენ, როცა მათი თვალთახედვის არეში, ვითომ შემთხვევით, ვინტოვკა ან რევოლვერი აღმოჩნდებოდა, ხოლო როცა ბადმიტონის რაკეტები ჩანდა, ისინი ე.წ. «მტანჯველებს» სერიოზული «სასჯელისთვის» ვერ იმეტებდნენ.

ამიტომ, ბერკოვეცს აღარ უკვირდა აშშ-ში მკვლელობების ნახევარი პირადი ცეცხლსასროლი იარაღით რომ იყო ჩადენილი; თუ სახლში იარაღი ინახება, იმის დიდი ალბათობაა, რომ შინაური უფრო მალე მოკვდება, ვიდრე დაუპატიჟებელი სტუმარი; იარაღი არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის საშუალებაა, არამედ მისი სტიმულირებაც შეუძლია (ცნობილი გამოთქმაა – მართალია, თითი მიიწევს იარაღისკენ, მაგრამ ისიც მართალია, რომ თავად იარაღიც მიიწევს თითისკენო!).

ბერკოვეცის აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც ცეცხლსასროლი იარაღის ტარება იკრძალება ნაკლები მკვლელობებია დაფიქსირებული; მაგალითად, ვანკუვერში და სიეტლში მოსახლეობის ერთნაირი რაოდენობა, კლიმატი და ეკონომიკაა, მაგრამ ვანკუვერში ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა მკაცრადაა შეზღუდული, ამიტომ იარაღით ხუთჯერ ნაკლები მკვლელობაა დაფიქსირებული, ვიდრე სიეტლში. როცა ვაშინგტონმა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება შეზღუდა მკვლელობების რიცხვი 25%-მდე დაეცაო, წერენ სპეციალისტები.

იარაღი არა მარტო აგრესიის მაპროვოცირებელია, არამედ ის აგრესორსა და მსხვერპლს შორის ფსიქოლოგიურ დისტანციასაც ქმნის; როგორც მილგრამის ექსპერიმენტებმა მორჩილების გამომწვევი ფაქტორების შესწავლისას აჩვენა, «მსხვერპლისგან სივრცითი დაშორება სისასტიკის გამოვლენას აადვილებს. ამიტომაა დანით მკვლელობები რომ უფრო იშვიათია, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღით; მკვლელობა ადვილდება, როცა მხოლოდ ჩახმახზე თითის გამოკვრაა საკმარისი, მსხვერპლისგან საკმაო მანძილის დაშორებით».

ფრუსტრაცია და ფული: მკვლევრების თქმით, «პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკურ აღმავლობას ფრუსტრაციის გაძლიერება შეუძლია».

რატომ? ამის ასახსნელად შემდეგ ფაქტებს იშველიებენ:

ფაქტი 1. ადამიანები უარყოფენ, რომ ბედნიერების ფულით ყიდვა შეიძლება; მაგრამ, როგორც წესი, ისიც შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ თუ მათ ცოტა მეტი ფული ექნებათ, უფრო ბედნიერები იქნებიან – დაეხმარებიან ოჯახს, სხვებს; ამ მოტივით კოლეჯის მოსწავლეების გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის მიზანი «მაღალი ფინანსური მდგომარეობის მიღწევა» იყო (1993), მაგრამ როცა მათ «ფული იშოვნეს» «ოჯახის შენახვის» და «სხვების დახმარების» სურვილი – უკან დარჩა; ანუ სანამ ფინანსები მხოლოდ ოცნების საგანი იყო ის მხოლოდ საშუალებად წარმოედგინათ, მაგრამ როგორც კი მისი შოვნის შესაძლებლობა გაჩნდა – მიზნის სფეროში გადაინაცვლა.

ფაქტი 2. XX საუკუნის დასასრულს, ეკონომიკის მძაფრი ზრდის შედეგად, დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებლებს წინანდელზე ორჯერ უფრო მეტი შემოსავალი გაუჩნდათ; მიუხედავად ამისა, მათ ორჯერ უფრო ნაკლები ბავშვი ჰყავდათ. გაორმაგებული შემოსავლები ორჯერ მეტ შეძენებს გულისხმობს – ავტომობილებს, ფერად ტელევიზორებს, ვიდეომაგნიტოფონებს, მიკროტალღოვან ელექტროღუმლებს, კომპიუტერებს და ა.შ.მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი ნივთები და ფული აქვთ, როგორც გამოკითხვის შედეგების შედარებამ უჩვენა, ადამიანები უფრო ბედნიერები სულაც არ არიან. ანუ კეთილდღეობის ზრდასთან ერთად ადამიანები ბედნიერები არ არიან. რატომ? როგორ მოხდა,

რომ ის საგნები, რაც გუშინ ფუფუნებად ითვლებოდა, დღეს ყოველდღიურობად გადაიქცა?

ადაპტაციის ფენომენი: სოციალ-ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მზარდ მოთხოვნილებებს ფრუსტრაციამდე მივყავართ; ამის მიზეზი ადაპტაციის ფენომენია, რაც ვარაუდობს, რომ თუ აწმყოში ჩვენი მიღწევები წინა მიღწევების დონეს ვერ აღწევს, ჩვენ დაუკმაყოფილებლობას და ფრუსტრაციას განვიცდით; ჩვენ წარმატებისა და კმაყოფილების შეგრძნება მაშინ გვაქვს, თუ წინწაწევას განვაგრძობთ, რადგან ადამიანი წარმატებას მალე ეჩვევა და ის, რაც წინათ კეთილდღეობის შეგრძნებას ანიჭებდა, შემდეგში ნეიტრალურად შეიგრძნობა; «ამიტომაა, რომ რეალური შემოსავლების ზრდის მიუხედავად, საშუალო ამერიკელი ბედნიერი ვერ გახდა» – წერენ ექსპერიმენტების ავტორები.

მრავალ ჩვენგანს განცდილი აქვს ადაპტაციის ფენომენი; ყველა შენაძენი, კარიერული წინსვლა და ა.შ. ერთხანს კი გვანიჭებს სიამოვნებას, მაგრამ ეს შეგრძნება მალე ქრება; ის, რომ კვლავ განვიცადოთ, ახალ საფეხურზე ასვლა გვჭირდება (ქართველი პოეტი წერდა – «ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და რაც მიეღოს, ერთის ნატვრით, ისი ეკმაროს»).

- ამ ფენომენის საილუსტრაციოდ დენ კოუტსის და რონ ჟანოფის დაკვირვება (1978) გამოგვადგება: თავდაპირველად ლატარიაში გამარჯვებულები ძლიერ ემოციურ აღტყინებას განიცდიან – ლატარიაში მოგება ყველაზე უფრო ბედნიერი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაშიო, ამბობენ მოგებულები, მაგრამ მათივე აღიარებით, ცხოვრება ბედნიერი არ გამხდარა; ფაქტიურად იმ ყოველდღიურმა საგნებმა, რაც ადრე სიხარულს ანიჭებდა – წიგნებმა, გემრიელმა საუზმემ, გართობებმა და ა.შ. თავისი მომხიბვლელობა მალე დაკარგეს; საქმე ისაა, რომ ლატარიით მოგებამ ისე ძლიერი ემოციები გამოიწვია, რომ მასთან შედარებით ჩვეულებრივი სიხარულები გაფერმკრთალდა. მარქსს უთქვამს «სანამ იმ დასახლებაში მოსახლეობას პატარა სახლები აქვთ, ისნი მათი პატრონების სოციალურ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებენ; მაგრამ როგორც კი მათ შორის სასახლე აიგება, ეს სახლები მოსაწყენ ქოხმახებად გადაიქცევა».

ფსიქიკის ამ მდგომარეობას **დეპრივაციას უწოდებენ; ესაა სხვებთან შედარებით საკუთარი მდგომარეობის უარესად (უფრო ცუდად) აღქმა;** პლატონს უთქვამს – სიღარიბე ნაკლები ქონება კი არაა, არამედ ესაა დიდი სიხარბეო!

საბედნიეროდ, ადაპტაცია მხოლოდ კეთილდღეობას არ ახასიათებს; **ადაპტაციის უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს ცხოვრების უფრო დაბალ დონესაც შეეჩვიოს,** თუმას ხელმოკლედ ცხოვრების შესაძლებლობა შეექმნება. ანუ, ჩვენ დროთა განმავლობაში ახალ რეალობას (მაგალითად, ფასების ზრდას, საყვარელი ადამიანის დაკარგვას და ა.შ.) ვეგუებით.

- მარშალ დემერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ექსპერიმენტში (1979) ვისკონსის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტებს ფანტაზიორობაში ვარჯიში შესთავაზეს; მათ უსიხარულო ცხოვრების სამწუხარო შემთხვევები უნდა წარმოედგინათ, სიღატაკითა და ადამიანის გვამებით. ისინი აღიარებდნენ, რომ ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ

თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ, თავისი ცხოვრებით კმაყოფილები და ბედნიერებიც კი იყვნენ.

- ჯენიფერ კროკერმა და ლაიზა გალლომ, ექსპერიმენტის შედეგად დაადგინეს რომ, იმ ცდისპირებმა, რომლებმაც ზედიზედ ხუთჯერ დაასრულეს წინადადება – «ძალიან მიხარია, რომ მე არ...» ამ დავალების შესრულების შემდეგ ისინი გაცილებით უფრო კმაყოფილი იყვნენ საკუთარი ცხოვრებით, მათთან შედარებით, ვინც ასევე ხუთჯერ დაასრულა წინადადება – «მე მინდოდა, რომ...» ამგვარად ადამიანები, ვინც დიდი მწუხარება გადაიტანა, ნუგეშს და თვითპატივისცემას განიცდიან, რაკი ცნობიერად თუ არაცნობიერად თავს მათ ადარებენ, ვინც მათზე კიდევ უფრო უარესი გადაიტანა.

ამავე მოსაზრებით ხელმძღვანელობენ საშინელებათა ჟანრის შემქმნელებიც, რაკი ამ ჟანრის ფილმის, სპექტაკლის, ტელეგადაცემის ნახვის შემდეგ ადამიანს თავისი «საცოდავი» ცხოვრებით კმაყოფილების განცდა უჩნდება; რაც უფრო უარესია სანახაობა, მით მეტია საკუთარი დაცულობით გამოწვეული სულის შვებაო, ამტკიცებენ ისინი.

დაახლოებით იგივეს «ასწავლიდნენ» ძველბერძნული ფილოსოფიის» სტოიციზმის წარმომადგენლები: «წარმოიდგინეთ, რომ შეიძლებოდა ძაღლად დაბადებულიყავით, რომელსაც ყველა სცემს და მშიერი დაეხეტება, ან მშიერი და ნახევრად შიშველი მათხოვარი და თქვენ მიხვდებით, რა ბედნიერი ხართ, რომ არ გშიათ, არ გცივათ, არავინ გცემთ და ქუჩაში არ გაგდებთო.

ამგვარი ლოგიკით, ცალკეულ შემთხვევაში სასოწარკვეთილი ადამიანი მართლაც შეიძლება დეპრესიიდან გამოვიდეს, მაგრამ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპად იგი მიუღებელია, რადგან ის კაცობრიობის წინსვალა-განვითარების მექანიზმად ნამდვილად არ გამოდგება.

შეძენილი აგრესიული ქცევები

შეძენილი აგრესიული ქცევა არის ადამიანის მიერ «აგრესიის გარეთ გამოტანის» ჩვევა, ანუ ის, რასაც ის სხვებისგან სწავლობს.

ხშირად აგრესიას სარგებლობის მისაღწევადაც იყენებენ; ეს «სარგებლიანობა» აგრესიული ჩვევის შეძენის ერთ-ერთი სტიმულია. მისი «შეძენა» რომ შესაძლებელია, ამაზე შემდეგი დაკვირვებები მეტყველებენ:

ექსპერიმენტულ პირობებში თვინიერი ცხოველები შეიძლება მძვინვარე და მოჩხუბარ არსებებად ჩამოყალიბდნენ; ხშირი დამარცხებები (სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა) კი ცხოველებშიც და ადამიანებშიც მორჩილებას აყალიბებს. ბავშვი, რომელიც თავისი აგრესიული ქცევით სხვა ბავშვებს წარმატებით იმორჩილებს, კიდევ უფრო აგრესიული ხდება. აგრესიულ ჰოკეისტებს, რომლებიც უხეში თამაშისთვის საჯარიმო სკამზე ხშირად სხედან, თავისი გუნდისთვის მეტი გოლი მოაქვთ, ვიდრე არააგრესიულ მოთამაშეებს; ეს ვითარება ადამიანებისთვის აგრესიის გამოხატვის სტიმულია. ამიტომ, როცა აგრესია

რაიმე სარგებლობის მიღებისადმია მიმართული, ინსტრუმენტულ აგრესიას უწოდებენ.

- ზოგჯერ კოლექტიური აგრესიაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს; მაგალითად, 1967 წელს, დეტროიტში მომხდარი ბუნტის შედეგად ფორდის საავტომობილო კომპანიამ, ნაციონალურ უმრავლესობათა ბაზაზე დაქირავებული მუშების რიცხვი მკვეთრად გაზარდა;
- როცა სამხრეთ აფრიკაში 1985 წელს ამბოხებები გახშირდა, ხელისუფლებამ შერეული ქორწინებების ამკრძალავი კანონი გააუქმა და შავკანიანი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებები აღადგინა (გარდა ხმის უფლებისა).
- სასარგებლო შედეგები «ჯგუფურ აგრესიას»მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება მოჰყვეს, ავტორიტარული რეჟიმისას კი, ყოველ ჯგუფურ აგრესიას, უფრო ძლიერი აგრესიით უპირისპირდებიან – ძალის გამოყენებით ახშობენ, რასაც ისტორიის მაგალითები ადასტურებს.

სოციალური სწავლების თეორიის მიხედვით, ადამიანი, სოციალურ ქცევებს, სხვებზე დაკვირვებით, წაბაძვით და დასჯა-წახალისების საშუალებით სწავლობს.

სოციალური სწავლების თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – ალბერტ ბანდურა გვარწმუნებს, რომ ჩვენ, აგრესიას არა მხოლოდ იმიტომ ვსწავლობთ, რომ ის ზოგჯერ სასარგებლოა, არამედ იმიტომაც, რომ სხვა ადამიანებზე დაკვირვებით გადავიღებთ და ვბაძავთ მათ, როგორც ქცევის მოდელს; დაკვირვების შედეგად ჩვენ ვიძენთ აგრესიული ქცევის ჩვევებს და მანერებს, ისევე, როგორც სხვა სოციალურ ჩვევებსაც.

- ბანდურას ერთ-ერთ ექსპერიმენტში სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელი გოგონა აიტაკზე ზის და პლასტელინით თამაშობს; იქვე, მოზრდილი ქალბატონი გასაბერ თოჯინას იატაკზე აგდებს და ხის სათამაშო ჩაქუჩით სცემს, უყვირის და ლანძღავს; გოგონა ამ სცენას ჯერ გაოცებული უცქერის, შემდეგ ისიც იმავეს ხალისით იმეორებს.

მსგავსი ექსპერიმენტებით დასკვნას აკეთებენ: ბავშვებს აგრესიული ქცევის მოდელს უფროსი თუ არ უკარნახებს, ისინი უფრო **იშვიათად** იქნებიან აგრესიულები და, მიუხედავად ფრუსტრაციისა, მშვიდად ითამაშებენ. **უფროსების აგრესია ბავშვებში აგრესიის შეკავების უნარს ამცირებს და აგრესიის გამოვლენის საშუალებებსაც ასწავლის.**

აგრესიის დემონსტრირებას, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვი განუწყვეტლივ ხედავს – ოჯახში, სუბკულტურაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ.

ოჯახში ის ბავშვები, ვისი მშობლებიც დასჯის მეთოდებს ხშირად იყენებენ, ურთიერთობებში აგრესიული ქცევის ფორმებს თავადაც ხშირად მიმართავენ. შესაძლოა დაყვირებით, ხელის შემოკვრით, ყურის აწევით, დამამცირებელი სიტყვებით, მშობლებმა დამჯერი შვილის აღზრდას კიდეც მიაღწიონ, მაგრამ ისინი, თან აგრესიული მეთოდების გამოყენებასაც სწავლობენ. თავის

დროზე ხომ თავად აღმზრდელებსაც ასევე სჯიდნენ («ასწავლიდნენ) მშობლები!

სოციალ-ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ შვილების აღზრდისას ყველა მშობელი როდი იყენებს დასჯის მეთოდებს! არამედ შვილების აღზრდისას, მხოლოდ მათი დაახლოებით 30% მიმართავს აგრესიას, აქ აგრესიის გამოვლენის ფორმების სწავლაზეა ლაპარაკი და არა თავად აგრესიაზე; აგრესიას სწავლა არ სჭირდება.

- «ჩემი ვაჟი ფიზიკურად სუსტი დაიბადა – გამხდარი, უმადო, მაგრამ ჭკვიანი, დამჯერი და გულისხმიერი; მე მას უმამოდ ვზრდიდი; ყველაფრის გამო ის არასოდეს დამისჯია; როცა არ გამიგონებდა – გავებუტებოდი და ხმას არ ვცემდი, რასაც დიდად განიცდიდა» – მიამბო ერთმა ქალბატონმა. «ერთხელ, როცა ის 2-3 წლისა იყო, მკითხა – დედა, შენ მამა ლატო ალა გყავსო? მაშინ მისთვის გასაგებ ენაზე ვუამბე, როგორ იბრძოდა ჩემი მამა ფაშიზმის წინააღმდეგ; ვუამბე, ვინ იყო ჰიტლერი, რა უბედურობები დაატრიალა მან, როგორ უნდოდა ჩვენთვის სამშობლოსა და თავისუფლების წაერთმევა; ბევრ ბავშვს მამა მოუკლა, საკონცენ-ტრაციო ბანაკებში ბევრი ბავშვიც კი დაიღუპა; ბოლოს კი, როცა მიხვდა ბოროტება რომ არ შერჩებოდა, თავი მოიკლა». მეორე დღეს, ვხედავ, ის ხის «ხმლით» ეზოს გადაღმა მომრავლებულ გვიმრებს ჩეხავს და ველური ყიჟინით დასძახის – ულააა! ჰიტლელი ვალ, ჰიტლელი! ეს ეპიზოდი მაშინ ჩავიწერე; რა იყო ეს, მამაკაცური აგრესიის ამოფრქვევა თუ ძლიერი პიროვნების დეფიციტი მის გარემოცვაში?»

ის ქალბატონი ამ ფაქტზე დაკვირვებით ასკვნიდა – აგრესია თანშობილია და მას სწავლა არ სჭირდებაო. ამას სოციალური ფსიქოლოგიის ბევრი სპეციალისტიც ამტკიცებს და ფიქრობს, რომ ცხოვრება მას (ადამიანს) მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმას ასწავლის.

ოჯახური ძალადობა ხშირად ხელს უწყობს ურთიერთობების ძალადობრივი სტილის ჩამოყალიბებას. აშშ-ს სასამართლოს სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, პოლიციის მიერ დაკავებული მოზარდების 70% არასრულ ოჯახებშია აღზრდილი, ანუ იქ, სადაც ბავშვის აღზრდაში მამა არ მონაწილეობს. ძალადობა დამოკიდებული არაა რასაზე, შემოსავალზე, განათლებასა და საცხოვრებელ ადგილზე; ძალადობრივი დამოკიდებულებები არც დროსთან ერთად მცირდება; სოციალ-ფსიქოლოგების მონაცემებით, 1960 წელს აშშ-ში ბავშვების 10% არასრულ ოჯახებში იზრდებოდნენ; მათგან 16000 მოზარდი იქნა ძალადობრივი დანაშაულისთვის დაპატიმრებული. 1992 წელს, ყოველი ათი ბავშვიდან სამი ბავშვი ერთ მშობელთან ცხოვრობდა, მაგრამ ძალადობრივი დანაშაულისთვის 96000 ბავშვი იქნა გასამართლებული.

უმამოდ გაზრდილი ბავშვები მზრუნველი დედისა და დიდი ოჯახის პირობებში დამნაშავეები აუცილებლობით როდი ხდებიან, მაგრამ რისკი მაინც დიდია.

სუბკულტურა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ოჯახს გარეთ, სოციალური გარემო ადამიანს ქცევის აგრესიული მოდელების ფართო არჩევანს სთავაზობს; ახალ თაობას, აგრესია, სუბკულტურის საშუალებით ადვი-

ლად გადაეცემა. ფეხბურთის დროსაც კი, სათამაშო მინდორზე, ხშირად გულშემატკივართა შორის ძალადობრივ დაპირისპირებებს აქვს ადგილი, ანუ ფსიქოლოგების უმრავლესობის აზრით, ოჯახი, სუბკულტურა და ტელევიზიაც, აგრესიის კულტივირებას უწყობს ხელს; ისინი ადამიანს აგრესიული ქცევების ნიმუშების დიდ «არჩევანს» სთავაზობენ. ადამიანები აგრესიულობას ყოველ ნაბიჯზე ეჯახებიან, მაგრამ მისი გამოვლენა, მათ მაშინ უადვილდებათ, როცა ის დაუსჯელად ეჩვენებათ.

ამგვარად, აგრესია ორგვარია, ერთია – თანშობილი აგრესია, რაც ზიანის მიყენებისადმია მიმართული და მეორეა – ინსტრუმენტული აგრესია, რაც რაიმე პოზიტიური მიზნის მიღწევას ემსახურება.

მაშასადამე, აგრესიის ახსნის თეორიებიდან სოციალ-ფსიქოლოგებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ:

ა. ზიგმუნდ ფროიდისა და კარლ ლორენცის თეორია, რომლის მიხედვით აგრესია გაგებულია, როგორც **თვითგანადგურების ინსტინქტი** (იხ. «ეროსი და თანატოსი»). როცა მისი გამოვლენა («ამოფრქვევა») შეფერხებულია, აგრესიული ენერგია აკუმულირდება და სახიფათო ხდება, როგორც დაგუბებული წყალი, რომელიც ჯებირს გარღვევით «ემუქრება». სოციალ-ფსიქოლოგების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიას მეტად სუსტი არგუმენტებით ასაბუთებენ, მისი უარყოფა მაინც შეუძლებელია.

- თვითგანადგურების ინსტინქტის მარტივად ასახსნელად ისევ იმ ბავშვის დედის დღიურიდან ამონაწერს გთავაზობთ, ვისზეც ზემოთ მქონდა ლაპარაკი: «ჩემი ოთხი წლის ვაჟი და რვა წლის გოგონა რაღაცაზე კამათობდნენ. მე მათ ყურადღება მაშინ მივაქციე, როცა ვაჟმა (ოთხი წლისამ) თქვა – ავანტყოფობა კაია, აპა ღმერთი გლახა რამეს გამეიგონებდა? აღშფოთებულმა გოგონამ კითხვა შეუბრუნა – შე შტერო, სიკვდილი ღმერთმა მოიგონა, მაგრამ კარგია? ოთხი წლის ვაჟი ჩაჩუმდა. მცირე დუმილის შემდეგ გახარებულმა შესძახა – კაია, აპა ხო გეივსებოდა ქვეყანა ბებრებით! მერე ჩვენ ვეღარ დევეტეოდით!» ასე მარტივად «აღმოაჩინა» ბავშვმა თაობათა ცვლის მექანიზმი.

ბ. მრისხანება და მტრობა, რაც ფრუსტრაციის მიზეზით ვლინდება. ის პიროვნების მოთხოვნილებასა და მისი მიღწევის დონეს შორის დიდი სხვაობისას წარმოიშობა;

გ. აგრესიის სოციალური სწავლების თეორია, რომელიც აგრესიას განიხილავს როგორც სწავლით, წაბაძვით შეძენილ ქცევას; წაბაძვის სტიმული კი აგრესიის სასარგებლო შედეგებია, რაც ზოგჯერ აგრესიულ ქცევას ახლავს.

დახასიათება, როგორც კომპოზიციური ფორმა და პერსონაჟის პოეტიკა

როცა ლაპარაკია მხატვრული ნაწარმოების ,,გამოხატვის საშუალებათა სისტემაზე'', ამ სისტემის სახით აუცილებლად იგულისხმება *ენობრივ საშუალებათა სისტემა*, რაც დასტურდება უკვე ციტირებული სტატიის შემდეგი მონაკვეთითაც: ,,რადგან ლიტერატურაში საბოლოო ანგარიშში გამოხატვის ყველა საშუალება დაიყვანება ენაზე, პოეტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც მეცნიერება ენობრივ საშუალებათა მხატვრული გამოყენების შესახებ''.[1]

მაგრამ, რა თქმა უნდა, პოეტიკა მის მთლიანობაში თავისი პირდაპირი მნიშვნელობით მაინც წარმოადგენს ლიტერატურათმცოდნეობით და არა ლინგვისტურ კატეგორიას; და სწორედ ესაა ის გარემოება, რომელიც „ბადებს" ჩვენი სტატიის პრობლემურ ასპექტს. დაისმის კითხვა: რა მიმართებაა პოეტიკის საკუთრივ ლიტერატურულ და ენობრივ განზომილებებს შორის? და თუ ამ კითხვას დავაკონკრეტებთ ისე, როგორც ამას ჩვენი სტატიის სათაური გულისხმობს, მაშინ იგი მიიღებსასეთ სახეს: რა მიმართება იქნება პერსონაჟის როგორც ლიტერატურულ-ნარატიული კატეგორიის პოეტიკის საკუთრივ ლიტერატურულ და ენობრივ განზომილებებს შორის?

მაგრამ თუ ბოლომდე დავაკონკრეტებთ საკვლევი თემის ფორმულირების პრობლემურ ასპექტს, აუცილებელი გახდება იმ ენობრივი კატეგორიის დასახელებაც, რომელიც ლოგიკურად „თავის თავზე უნდა იღებდეს" იმ ცენტრალური ენობრივი საშუალების ფუნქციას, რომელიც პოეტიკის ზემოთ მოცემული განსაზღვრის მიხედვით უნდა წარმოადგენდეს პერსონაჟის პოეტიკის საკუთრივ *ენობრივ სუბსტრატს.* ბუნებრივია, რომ ასეთ სუბსტრატად უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათება".

მაგრამ, რა თქმა უნდა, პერსონაჟის დახასიათება, თუ ამ სიტყვის „დახასიათების" მნიშვნელობას გავიგებთ მთელი შესაძლო სიფართოვით, ნებისმიერ ნარატიულ ტექსტში ხდება (ან შეიძლება მოხდეს) შემდეგი სამი მომენტის ურთიერთდაკავშირებით: ა) ბუნებრივია, მივიჩნიოთ, რომ პირველ და, ალბათ,

---

[1] **И. Ильин,** Нарратология, Литературная Энциклопедия, Москва, "Интелвак", 2001, ст. 786.

ძირითად მომენტს განსაზღვრავს პერსონაჟის მონაწილეობა სიუჟეტის განვითარებაში (შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი ნარატივიც, რომელიც იძლევა პერსონაჟის მხოლოდ ამგვარი გზით დახასიათების საშუალებას);

ბ) მეორე მომენტს წარმოადგენს პერსონაჟის ის დახასიათება, რომელსაც იძლევა მთხრობელი, ანუ ავტორი თავისი, ანუ ავტორისეული მეტყველების ფარგლებში (როგორც ცნობილია, პერსონაჟის ამგვარი დახასიათება არის ტრადიციული ნარატიული პროზის თანმხლები ასპექტი); გ) მესამე შესაძლო მომენტად კი უნდა მივიჩნიოთ დახასიათება, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს სხვა პერსონაჟის მეტყველება (ანუ ავტორისეული სამეტყველო პარტიისგან განსხვავებული პერსონაჟისეული პარტია; და, ალბათ, სწორედ ამ უკანასკნელი მომენტის ზღვრულ ვარიანტად უნდა დავსახოთ ის შემთხვევა, რომ ესა თუ ის პერსონაჟი თავად იძლევა საკუთარ დახასიათებას თავის შინაგან მეტყველებაში.

პოეტიკის იმ განსაზღვრიდან გამომდინარე, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, *პერსონაჟის პოეტიკამ,* როგორც ლიტერატურათმცოდნეობითმა კატეგორიამ, შინაარსობრივად უნდა მოიცვას სამივე ზემოთ მითითებული მომენტი და, ბუნებრივია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს იგი მისი ამ შინაარსით განსაზღვრულ ამოცანას.

წინამდებარე სტატიის პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია, ორი შემდეგი მომენტით: ა) იმ პარადიგმული სიტუაციით, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ფილოლოგიური აზროვნების ძირითადი ტენდენციებით, ანუ იმ ტენდენციებით, რომლებიც გულისხმობენ, პირველ რიგში, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიათა არა მხოლოდ დაახლოებას, არამედ ერთ სინთეზურად გააზრებულ შინაარსობრივ კომპლექსში მოქცევასაც კი; სხვანაირად რომ ვთქვათ, თანამედროვე ფილოლოგიური აზროვნება მოითხოვს ისეთ *ინტერდისციპლინარულ* კვლევას, რომელიც შესძლებს როგორც ენობრივ საშუალებათა გამომხატველი პოტენციის სრულად ჩვენებას, ისე ამ პოტენციის მნიშვნელობის დემონსტრირებას ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურისა და ფუნქციონირებისთვის. ბ) სწორედ კვლევის ინტერდისციპლინარული ტენდენციით ხასიათდება თვით ლინგვისტიკაც ანუ ის მეცნიერული დისციპლინა, რომლისთვისაც კვლევის ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პოეტიკის ენობრივი სუბსტრატი, ანუ იმ „ენობრივ საშუალებათა სისტემა“, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით პოეტიკა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ტენდენციის მაჩვენებელია თანამედროვე ლინგვისტიკის ის კვლევითი პარადიგმა, რომელიც „ლინგვოკულტუროლოგიად“ იწოდება.

როგორც უკვე ითქვა, სტატიის სათაურით ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს იმ მიმართების განსაზღვრა, რომელიც არსებობს ერთის მხრივ, ნარატიული მხატვრული ტექსტის პოეტიკის პერსონაჟთან დაკავშირებულ ასპექტსა და ამგვარად გაგებული პოეტიკის ენობრივ განზომილებას შორის. ზემოთ

უკვე გვქონდა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა ასპექტებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი პერსონაჟი ნარატიულ ტექსტში, ანუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს, ზოგადად, პერსონაჟის პოეტიკა. მაგრამ, თუ გვსურს ჩვენი კვლევის ცენტრალურ პრობლემად მართლაც ვაქციოთ ხსენებული პოეტიკის ენობრივი განზომილება, მაშინ ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს პერსონაჟის პოეტიკის მეორე და მესამე ასპექტი – ანუ ის ასპექტები, რომელთა რეალიზაცია, პირველ რიგში, უკავშირდება *საკუთრივ ენობრივ* და მხოლოდ ირიბად – სიუჟეტურ მომენტებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა დაისვას კითხვა: რომელია ის ენობრივი საშუალება (ან ენობრივი საშუალებები), რომელზე დაყრდნობითაც ავტორისეულ ან თვით პერსონაჟისეულ მეტყველებაში ხდება პერსონაჟის დახასიათება? მაგრამ ეს ის ცენტრალური კითხვაა, რომელზე პასუხის გაცემაც უკავშირდება შემდეგი კონკრეტული კვლევითი ამოცანების გადაჭრას. ეს ამოცანებია:

ა) როგორც ცნობილია, ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში სხვა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შორის გამოიყოფა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა *„დახასიათება“*, რომელსაც, მიუხედევად ისეთ ფორმასთან შინაარსობრივ-ლოგიკური სიახლოვისა, როგორიცაა „აღწერა“, აქვს როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად ხსენებულ თეორიაში ავტონომიური სტატუსი. სწორედ ამ სტატუსთან და იმ როლთან დაკავშირებით, რომელიც ამ სამეტყველო-კომპოზიციურმა ფორმამ უნდა შეასრულოს პერსონაჟის პოეტიკის ნარატიული ტექსტის აუცილებელი ასპექტის ენობრივი რეალიზაციის პროცესში, დაისმის კითხვა: არსებობს თუ არა სრული თანხვედრა ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფუნქციისა და შინაარსობრივი სტრუქტურის იმ განსაზღვრას შორის, რომელიც მას ეძლევა ლინგვისტურ თეორიაში და იმ როლს შორის, რომელსაც ეს სამეტყვლო-კომპოზიციური ფორმა ასრულებს პერსონაჟის პოეტიკის აგებაში? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთაირად მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ლინგვისტიკისთვის, ისე ლიტერატურათმცოდნეობისათვის და, რაც მთავარია, იმ ურთიერთმიმართების უფრო ღრმად გაგებისათვის, რომლისკენაც მიისწრაფვის თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევა.

ბ) როგორც ზემოთ ითქვა, პერსონაჟის პოეტიკის იმ ასპექტისათვის, რომელიც უკავშირდება ძირითადად ავტორისეულ მეტყველებას, ფუნქციური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია ისეთი ენობრივი საშუალება, როგორიცაა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათება“. მაგრამ, როგორც ნარატიულ პროზასთან ურთიერთობის გამოცდილება გვიჩვენებს, პერსონაჟის დახასიათება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ „დახასიათებით“, როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმით, რომელიც, როგორც ცნობილია, სტრუქტურული თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზობრივ ერთიანობას, არამედ მისგან განსხვავებული ისეთი ენობრივი საშუალებებითაც, როგორიცაა ცალკე აღებული ესა თუ ის წინადადება, ან თვით წინადადების ესა

თუ ის წევრი. ამგვარ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობის შესახებ მიგვაჩნია, რომ უკვე ამ ეტაპზე უნდა დაისვას კითხვა, რომელსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს როგორც სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიისათვის, ისე მხატვრული ტექსტის ინტერდისციპლინარული კვლევისათვის: როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი მიმართება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათებასა“ და მისგან სინტაქსურად განსხვავებულ იმ ენობრივ საშუალებებს შორის, რომლებიც ასევე ასრულებენ პერსონაჟის დახასიათების ფუნქციას? ხომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემისას აუცილებელი ხდება ყველა ზემოთ ხსენებულ ენობრივ საშუალებათა (ფორმა „დახასიათების“ ჩათვლით) გაერთიანება ისეთი *სემანტიკური* კატეგორიის ფარგლებში, რომელიც მოგვცემდა არა მხოლოდ მათ ერთ ფუნქციურ კომპლექსში ინტეგრირების საშუალებას, არამედ გახდებოდა კიდეც ამგვარი კომპლექსის შინაგანი დონეებრივი სტრუქტურირების საფუძველიც?

გ) პერსონაჟის პოეტიკაზე ზოგადად მსჯელობამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმის დანახვაში, რომ მხატვრულ ნარატიულ ტექსტში, როგორც წესი, საქმე გვაქვს არა ერთ პერსონაჟთან, არამედ *პერსონაჟთა სისტემასთან.* და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი კვლევის როგორც თემა, ისე პრობლემა მოითხოვს იმის განსაზღვრას, თუ როგორ არის გასაანალიზებელ ნარატივში სტრუქტურირებული პერსონაჟთა სისტემური ერთობლიობა. რომელია ის პერსონაჟი, რომელიც უნდა იქნას მიჩნეული *პროტაგონისტად* ანუ ცენტრალურ პერსონაჟად? რა მიმართებაა პროტაგონისტსა და დანარჩენ პერსონაჟებს შორის და როგორ აისახება ეს მიმართება არა მხოლოდ სიუჟეტურად, არამედ ყველა იმ შემთხვევაშიც, როცა ავტორი (მთხრობელი) ახდენს მათ დახასიათებას ენობრივ საშუალებებზე დაყრდნობით? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემაც წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ კვლევით ამოცანას. ზემოთ, როცა ვლაპარაკობდით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმა „დახასიათებაზე”, შევეხეთ ამ ფორმის მიმართებასაც ისეთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასთან, როგორიცაა „აღწერა”, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ხსენებული ურთიერთმიმართება ატარებს არა მხოლოდ წმინდა თეორიულ ხასიათს და, შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ტექსტის ლინგვისტიკის თეორიაში, არამედ იძენს კიდეც პრობლემურ ხასიათს იმ შემთხვევაში, როცა ვიკვლევთ პერსონაჟის პოეტიკის ენობრივ განზომილებას. საქმე ისაა, რომ არსებობს ღრმა ორგანული კავშირი პერსონაჟის პოეტიკის ისეთ ორ ასპექტს შორის, როგორიცაა პერსონაჟის *დახასიათება* და პერსონაჟის *პორტრეტირება.* არ შევუდგებით ამ ეტაპზე ხსენებულ კავშირზე დეტალურ მსჯელობას, მაგრამ ხასგასმით უნდა ითქვას: პერსონაჟის ენობრივი დახასიათების შემთხვევაში აუცილებელი ხდება იმ შინაარსობრივ-ფუნქციური კავშირის დადგენა, რომელიც უნდა არსებობდეს პორტრეტირებასა და დახასიათებას, ანუ ლინგვისტიკის ენაზე თუ ვიტყვით აღწერასა და დახასიათებას შორის.

TEA JGARKAVA

CHARACTERISTICS AS A COMPOSITIONAL FORM AND POETICS OF PERSONAGE

Summery

The article deals with the problem of interpreting and structuring the poetics of personages by means of the textual unit know as the compositional form of "characteristics", riewed-from the semiolinguistic point of view – as a pragmatic lovel of a literary text combining in itself different dimensions of such a kind of text-semantic dimensions as well as those of syntactics. It is pointed out that the above mentined theoretical objective may be attained only in the case if an interdisciplinary method of research is applied, meaning by that the attempt to realize a synthesis of literary and linguistic data.

The above defined theoretical position is backed by the modern concept of a literary personage reflieting the dynamic featurs of this phenomenon and allowing to apply in a consequent way the concept of the compositional form of "characteristics", to the research of this literary phenomenon.

✍ ვაჟა შუბითიძე
✍ ნინო სიორიძე

ნიკო ნიკოლაძე მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ

1881 წელს ნიკო ნიკოლაძემ რუსულ ჟურნალში „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ (N 2,5, 18, 19) სერიის სახით გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „სისხლის სამართლის საფუძვლების შესახებ“. სტატია ეძღვნება არა მარტო იმდროინდელ პრობლემურ საკითხებს (ესენი დღესაც აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ყველაზე „უსამართლო“ საქართველოში“ – იგულისხმება 1992-2012 წ.წ)

ნიკო ნიკოლაძე აქ გამოდის ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის გუე-გლუნეკის წინააღმდეგ, რომელმაც 1863 წელს ავსტრიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების წინ საჯაროდ წაიკითხა 7 ლექცია, რომლებშიც იგი ამტკიცებდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება სიკეთეს არ მოიტანდა.

(სხვათა შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ნ. ნიკოლაძემ პირველად ჯერ კიდევ 1874 წელს დაწერა სტატიაში (იხ.: „დანაშაულისა და სასაჯელის შესახებ, თხზ. ტ. IV. გვ.9-16, 1964 წ.).

დასაწყისში ნ. ნიკოლაძე კანონისა და კანონიერების მნიშვნელობაზე, მის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე საუბრობს. იგი მიუთითებს, რომ კანონი უძლურია მოაწესრიგოს ცხოვრების ათასგვარი წვრილმანი; რა იდეალურიც უნდა იყოს კანონთა კოდექსი, ცხოვრება მაინც წინ უსწრებს მას, რადგან შეუძლებელია ყოველდღიურად ვცვალოთ კანონები მაშინ, როცა ცხოვრება მუდმივად ცვალებადია და სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს. ნიკოლაძის აზრით, კანონი იქმნება პიროვნების თავისუფლების შესაზღუდავად, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება ერთობლივი ცხოვრების საარსებო ინტერესებს. „კანონი კი არ ქმნის ცხოვრებას, არამედ თვით ცხოვრება ქმნის კანონს. შესაბამისად ცხოვრება კი არ არის დამოკიდებული კანონზე, არამედ კანონი-ცხოვრებაზე.“ ამ უბრალო და მარტივი პრინციპის გაუგებრობამ მთელ კაცობრიობას დიდი დანაკარგები მოუტანა და მრავალი ქარიშხალი დაატეხა თავს [1,429].

ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს იმას, რომ ყველაზე მშვენიერი და მართალი თეორიული პრინციპიც კი შეიძლება ისე დამახინჯდეს ცხოვრებაში, რომ ვეღარც კი ვიცნოთ (მაგ.: ასე დაემართა მარქსიზს სსრ კავშირში – ვ. შ.). იგი წერს, რომ

რუსეთში 1864 წელს ფორმალური მტკიცების თეორიის გაუქმების შემდეგ ბრალდებულის ბედი მთლიანად მოსამართლის ხელში აღმოჩნდა. ასე რომ, მოსამართლეს ,,თუ უნდა შიგვიწყალებს, უნდა – დაგვსჯის'' (როგორც ეს იყო სააკაშვილის დროინდელ საქართველოში, სადაც პროკურატურა და მოსამართლე არანაირ შანსს არ უტოვებდა არავის სამართლიანობის მისაღწევად – ვ. შ.). ნიკოლაძისთვის მიუღებელია ეს მიდგომა: „სისხლის სამართლის განაჩენს მოსამართლის პირადი შეხედულებები და მისი თვითნებობა კი არ უნდა დაედოს საფუძლად, არამედ – მკაცრი და ცხადი შეგნება, რომელიც დაფუძნებული იქნება იმ მონაცემებზე, მეცნიერებამ რომ გამოიმუშავა და შემოწმდა სასამართლოს პრაქტიკით'' [1, 434].

იგი უდავოდ თვლის დებულებას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის სასამართლოა ნამდვილი და სამართლიანი, რომელიც ხელჩაკიდებული მიჰყვება ხალხის ცხოვრებას, მაგრამ ცხოვრების გვერდით სიარულს იგი სხვაგვარად ვერ შეძლებს, თუ მთლიანად არ გაიზიარა მისი შეხედულებანი, იდეალები და ეპოქის მიმართულება: ,,შეურაცხმყოფელია ისეთი სასამართლოს არსებობა, რომლის ზნეობრივი და გონებრივი დონე თავისი ეპოქის მოთხოვნილებებზე უფრო დაბლა დგას, მაგრამ უდიდესი უსამართლობაა ისეთი სასამართლოს არსებობაც, რომლის იდეალები საზოგადოებრივ იდეალებზე უსასრულოდ მაღლა დგას'' [1,437].

ნიკო ნიკოლაძეს ჯერ კიდევ 130 წლის წინ სწორად ესმოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობა ჩვეულებრივ სასამართლოსთან შედარებით. იგი წერდა, რომ ნათელი გონების ადამიანები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ დიდი ჭეშმარიტებების ცხოვრებაში დამკვიდრება ძალზე ხანგრძლივი და მძიმე პროცესია, საბოლოოდ კი, ერთ დროს ერეტიკული აზრები მოარულ, ბანალურ ჭეშმარიტებებად გადაიქცევიან ხოლმე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობის დასამტკიცებლად ჩვეულებრივ სასამართლოსთან შედარებით მას მოჰყავს სერიოზული არგუმენტები.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, ყველა იურისტს ცხოვრებაში ერთი ამოცანა აქვს – იცოდეს კანონები და გამოიყენოს ისინი. მრავალი წლის მანძილზე კანონების შესწავლა, მათი ხშირი გამოყენება ბოლოს აჩენს ილუზიას, რომ კანონმდებლობით გამოხატული ცნებები ჩვეულებრივი ცნებებია... რაც უფრო სოლიდური ხდება იგი თავის სპეციალობაში, სულ უფრო მეტად და მეტად სცილდება სინამდვილეს და ბოლოს სრულიად სწყდება მას, ბრმავდება, აღარ ესმის ცხოვრების მოთხოვნილებანი, ვეღარ ხედავს მის მოუწესრიგებლობას. ამიტომაც არ შეუძლია ცხოვრებაში გონივრულად და საჭირო სამართლიანობით გაატაროს ის საწყისი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა რეპრესიების არსებობის ერთერთი არსებითი საწყისი, რომლის მიხედვითაც ,,არავის არ შეუძლია მოიმიზეზოს კანონის უცოდინარობა''.

ნიკოლაძე სავსებით სწორად მიიჩნევს, რომ ,,ჰკიდებს რა სისხლის სამართლის საქმის გარჩევას, იურისტი, როგორც პროფესიონალი, კარგავს მის თვალწინ ჩავლილი უამრავი მოვლენების ინდივიდუალიზების ყოველგვარ უნარს, იგი მისდაუნებურად ყოველ საქმეს ერთ საერთო ტიპს, საერთო ნორმას უთანაბრებს. შედეგად კი თავისსავე ბარიერის მიღმა აღარ ძალუძს ცოცხალი ადა-

მიანისა და მისი ბედის დანახვა. ამგვარად, იგი რომელიმე კონკრეტულ ივანესა და პეტრეს კი არ ასამართლებს, არამედ ზოგადად ქურდს, მკვლელს, მძარცველს და ა.შ. ამის გამო ბრალდებულს ისეთი ზნეობრივი თვისებები და ხასიათი მიეწერება, როგორიც პირადად მას არ ახასიათებს, მაგრამ მოსამართლე უკვე მიჩვეულია მიაწეროს ამგვარი თვისებები საერთოდ ქურდებს, მკვლელებსა და მძარცველებს. მოსამართლე ახალი თვალით უნდა უყურებდეს ყოველ საქმეს, განზე გაუხედავად, იმ თვალით, რომელიც წინასწარ განპირობებული არაა არავითარი ტიპებით, თეორიებითა თუ ჩარჩოებით. ასეთი მოსამართლე კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის კაცი, ვისთვისაც სასამართლო არ არის მუდმივი სამუშაო ადგილი. ასეთი მოსამართლისათვის მოსამართლეობა პროფესია კი არ არის, არამედ დროებითი სამოქალაქო ვალის მოხდა (ეს გონივრული მოსაზრება დღეს გაზიარებული არაა – ვ. შ.). მხოლოდ ასეთ მოსამართლეს შეუძლია შეიტანოს სისხლის სამართლის პროცესში ცხოვრებისეული ელემენტები, ურომლისოდაც ყოველი ადამიანის ნამოქმედარი ბრმა და დამანგრეველი ძალაა, რასაც არსებობის არავითარი უფლება არა აქვს'' [1, 440].

ნ. ნიკოლაძის აზრით, ყველაფერ ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სწავლული იურისტი მოსამართლეები, მართლმსაჯულების ობიექტურობის თვალსაზრისით, არ შეიძლება გვერდით ამოუდგნენ იმ მოსამართლეებს, რომლებიც უბრალო ხალხიდან გამოვიდნენ (იგულისხმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოსამართლეები – ვ. შ.). სწავლულის რიგორიზმსა და სპეკულანტურ უსულგულობას ამ შემთხვევაში ცვლის ხალხის ცხოვრებისა და ჭირვარამის ცოცხალი განცდა, რაც საზოგადოების თვალში დანაშაული არაა, იმას არც სასამართლო თვლის დანაშაულად. მოსამართლე იურისტი კი რაც უფრო ღრმად იცნობს კანონებს, მით უფრო ძლიერია მასში მისწრაფება, გაამრუდოს სინამდვილის ცოცხალი მოვლენები და ძალდატანებით შერეკოს ისინი ერთხელ შექმნილი ნორმის ჩარჩოებში, რაც დამახასიათებელია კანონმდებლობის ყველა ფილოსოფიური თეორიისთვის, ამიტომ იგი კიდევ უფრო სცილდება აზროვნების სხვაგვარ, ანალიტიკურ სისტემას, რომლის დროსაც საერთო ცნებები გამომდინარეობენ ცალკეული შემთხვევების ტიპური თვისებებისა და მოვლენების შესწავლიდან [1, 443].

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ სახალხო ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვა ღირსებაც და უპირატესობაც აქვს იურისტთა სასამართლოსთან შედარებით. ესაა ხალხის ნდობა. სასამართლო ცუდადაა ორგანიზებული იქ, სადაც ხალხი არ იჩენს საკმარის ნდობას მისდამი და მისი განაჩენისადმი. ნდობა არც არის და არც შეიძლება იყოს იქ, სადაც სასამართლო ხელისუფლება იმ პირთა ხელში, რომელთაც ნდობას უცხადებენ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფალნი. ნ. ნიკოლაძე აქ იმოწმებს ალექსის ტოკვილის ცნობილ გამონათქვამს, რომლის მიხედვით „უფლება გაგასამართლონ შენივე წრის ადამიანებმა, ე.ი. შენმა თანამოქალაქეებმა, რომელთაც ირჩევენ ხალხიდან და რომლებიც არც მტრული და არც კეთილმოყვარული გრძნობები არ ხელმძღვანელობენ, არავისზე არ არიან დამოკიდებული და არც ანგარებიანი მისწრაფებები ამოძრავებთ პატივისა და წარჩინებისაკენ, არამედ გაასამართლებენ უბრალოდ, ისე, როგორც სინდისი უკარნახებთ, ასეთი სასამართლო ყოველ მოქალაქეს

არწმუნებს, რომ მას ასამართლებენ მიუკერძოებლად. შედეგად მასაც უჩნდება სურვილი, სხვებსაც ისე მოექცეს, რასაც თავისთვის ისურვებდა ან როგორიც საკუთარ თავზე გამოსცადა". ამ პრინციპითაა ორგანიზებული სასამართლო პროცესი ინგლისში და არსად სხვაგან, როგორც ამ ქვეყანაში, სასამართლო არ დგას ასეთ მიუწვდომელ სიმაღლეზე. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ინგლისელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს სხვა ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოების თვალში ისეთი დიდი ავტორიტეტი ჰქონდეს და ხალხის მხრიდან ისეთი უსაზღვრო ნდობით სარგებლობდეს, როგორიცაა სასამართლო [1, 444].

კვალიფიციური და სამართლიანი სასამართლოს არსებობას და მისდამი ნდობას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ხაზგასმით მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებას, მის თავისუფლებას, ღირსებასა და ქონებას ყოველ წუთს შეიძლება შეექმნეს საფრთხე იქ, სადაც მართლმსაჯულება უხეიროდაა ორგანიზებული და სადაც მოსამართლენი არ იცნობენ ცხოვრებას, არაკეთილსინდისიერნი ან მექრთამენი არიან. იქ, სადაც საზოგადოებას არა აქვს საკმარისი ნდობა თავისი სასამართლოსადმი, თვით საზოგადოების ცხოვრება გაუფასურებული და უაზროა... ამგვარად, სასამართლოსადმი ნდობა, ე.ი. თითოეული მოქალაქის რწმენა, რომ იგი თვითნებურად და უსამართლოდ არ დაისჯება სისხლის სამართლის კანონით, რომ შესაბამის შემთხვევაში გარდაუვალი საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობის გამო კანონს მის მიმართაც გამოიყენებენ სამართლიანობის ზუსტი დაცვით და სასჯელის გარკვეული ზომით, - აი, ეს წარმოადგენს სამართლიანი და მშვიდი ცხოვრების ერთ-ერთ საფუძველს [1,445].

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთ-ერთი ძვირფასი ღირსება, ნ. ნიკოლაძის აზრით, არის მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არ არსებობს ხალხისთვის მსაჯულთა სასამართლოზე უკეთესი იურიდიული სკოლა: „არაფერი არ უწყობს ხელს საზოგადოებაში იურიდიული ჭეშმარიტების, კანონიერების დანერგვასა და განმტკიცებას უკეთ, ვიდრე საზოგადოების პირადი მონაწილეობა სასამართლო წარმოებაში გამოცდილი და განათლებული იურისტის ხელმძღვანელობით. ის ასი თუ ათასი მოქალაქე, რომლებიც ყოველწლიურად ესწრებიან სასამართლო სესიას მსაჯულთა მოვალების აღსასრულებლად, სახლში ჯანსაღი იურიდიული ცნებების მარაგითა და ცოდნით ბრუნდებიან და ამ ცოდნას უნებლიეთ გადასცემენ თავიანთ შვილებსა და თანამოქალაქეებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ რიგს, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ საქმეში. სამი-ოთხი თაობის შემდეგ იურისპრუდენცია, არა როგორც სქოლასტიკური სიბრძნე, არამედ როგორც საზოგადოების მაღალი ინტერესების ცოდნა, შეაღწევს საზოგადოების ზნე-ჩვეულებებში და სწავლულთა კაბინეტებზე გავლით, უფრო სწორად და უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა გზით, ხალხში გადავა და მისი მონაპოვარი გახდება" [1, 446-447].

ეკამათება რა გუე-გლუნეკს მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობის შესახებ, ნ. ნიკოლაძე მიუთითებს შემდეგ ფაქტორებზეც: თუკი ვაღიარებთ, რომ დანაშაული არის საზოგადოებრივი ცხოვრების არაბუნებრივი პირობების

პროდუქტი, მაშინ უნდა ვიკითხოთ, ვინ შეიძლება იყოს მისი საუკეთესო მოსამართლე, თუ არა იგივე საზოგადოება, იმავე პირობებში რომ ცხოვრობს, რომელმაც დანაშაული წარმოშვა. მსაჯულთა ინსტიტუტის დამცველნი არასოდეს არ იყვნენ წოდებრივი ან პროფესიონალებისაგან შემდგარი სასამართლოს თაყვანისმცემლები. ამ პრინციპების მიხედვით, მათ მოძღვრებას რომ უდევს საფუძვლად, ამგვარი სასამართლოს არსებობა საერთოდ შეუძლებელიც კია; განა აუცილებელია იყო „მდაბიოთა ნაღები“ იმისთვის, რომ იცნობდე და გესმოდეს იმათი, ვისაც სახელმწიფო მართლმსაჯულების სწავლული პროფესორი „მდაბიოებს“ უწოდებს, განა აუცილებელია იყო ვაჭარი იმისთვის, რომ იცოდე, გესმოდეს და გონივრულად განიხილო გაკოტრების ან გაფლანგვის საქმე? მაშ, როგორი სახის მომზადებას თხოულობს ავტორი მოსამართლე მსაჯულთაგან? ყოველი დანაშაული ხომ რეალური ცხოვრების უბრალი ფაქტია, რისი გაგება და გაანალიზებაც ყველა ადამიანს შეუძლია ! [1, 452-453].

თავისი დებულების მართებულობის დასამტკიცებლად ნიკო ნიკოლაძე იმოწმებს გამოჩენილ ინგლისელ სამართალმცოდნეს უილიამ ფორსაიტს, რომელიც თავის თხზულებაში (History of trial by lury) ლაპარაკობს პრესის თავისუფლებაზე, რითაც სამართლიანად ამაყობენ ინგლისელები, როგორც ერთერთ ყველაზე დიდ სიკეთეზე, რაც ხალხს სწორედ მსაჯულთა სასამართლომ მოუტანა. მსაჯულებად არჩეული ხალხის წარმომადგენლები მოსამართლის ხელმძღვანელობით ყველა შემთხვევაში განსაზღვრავენ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ფარგლებს, რაც საზოგადოებრივი საკითხების განხილვის დროსაა დასაშვები. ამგვარად, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იქ უშუალოდ მსაჯულთა ხელშია: „ხელისუფლების მორჩილი ან მექრთამე მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთაც თვითნებურად ცვლიან, ნაფიცი მსაჯულები არასოდეს წაართმევენ საკუთარ თავს ისეთ მნიშვნელოვან რამეს, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება. ისინი არ ჩათვლიან მკრეხელურად ნაწარმოებს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში განხილულია ხელისუფლების მოქმედება, რადგან შეგნებული აქვთ, რომ უფლებამოსილი არიან განიხილონ და გააკრიტიკონ ხელისუფლების მოქმედება. ამიტომ პრესა – აზრისა და სიტყვის ეს ახალი დროის უძლიერესი მოღვაწე – განსაკუთრებითაა დაინტერესებული ისეთი სასამართლოს არსებობით, რომელიც აძლევს მას უფლებას ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებას“ [1, 447-448].

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა სასამართლო გარკვეულწილად თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერევა (მაგ., იცავს პრესას აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკის ჟამს), იგი მაინც არ არის პოლიტიკური დაწესებულება: იგი არ სცემს კანონებს, არ შეაქვს არავითარი ცვლილებები სახელმწიფო დაწესებულებების სისტემაში. იგი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების იურიდიულ და ზნეობრივ ინტერესებს იცავს, რაც, ცხადია, წარმოადგენს ყოველი სასამართლოს წმიდათაწმინდა მოვალეობას. მას მოჰყავს ციტატა ცნობილი სამართალმცოდნის მიტერმაიერის თხზულებიდან, რომლის მიხედვით „მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოში, ინგლისში, მსაჯულთა სასამართლოში ხედავენ სამოქალაქო უფლებების დამცველ იარაღს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პოლიტიკურ დანაშაულს, რადგან

მართლაც არსებობს იმის საშიშროება, რომ მოსამართლენი, რომელნიც ზემო ინსტანციაზე არიან დამოკიდებულნი, მიუკერძოებლები ვერ იქნებიან. მაგრამ ინგლისელები ამით ისე არ ამაყობენ, როგორც მსაჯულთა სასამართლოს წმინდა სამართლებრივი ღირსებებით, რაც იმით გამოიხატება, რომ ხალხი ენდობა კანონებს, შესაბამისად, იზრდება საერთო ნდობა იუსტიციისადმი“ [1, 449].

ანალოგიური მაგალითი მოჰყავს ნიკოლაძეს საფრანგეთის სახით, რომლის სენატმა იმ დროს მიიღო კანონი პრესის შესახებ, რომლის ძალით პრესის საქმეები დაექვემდებარა მსაჯულთა სასამართლოს და ყველა გონიერი ადამიანი ამ კანონს თვლის უდიდეს მონაპოვრად. ამ კანონის ძალით ავტორებს ბრალი დაედებათ არა საკუთარი აზრების გამოთქმის გამო (არავის უნდა ეკრძალებოდეს პატიოსნად გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც ყველაზე მცდარი), არამედ იმ შესაძლო შედეგების გამო, რომელიც, შესაძლოა მოჰყვეს მათ აზრებს [1, 455].

ნიკო ნიკოლაძე გუა-გლენეკის კიდევ ერთ მოსაზრებას აკრიტიკებს და მიუთითებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან განსხვავებით ჩვეულებრივი სასამართლო და მოსამართლეები დამოუკიდებელი ფაქტობრივად ვერ ხდებიან.

გუე-გლუნეკს მიაჩნდა, რომ საკმარისია მოსამართლეებს (ლაპარაკია არა ნაფიცმსაჯულთა მოსამართლეებზე – ვ. შ.) დაუნიშნონ მაღალი ხელფასები და გაანთავისუფლონ მათი სამსახურებრივი კარიერა ადმინისტრაციული ხელისუფლების ზეგავლენისაგან, მაშინ აღმოიფხვრება ყოველგვარი დამოკიდებულება, ანუ პატივის, ჯილდოებისა და წარჩინების ძიება, რასაც მონტესკიე გარკვეული წესწყობილების სახელმწიფოების მიმართ ასეთი დამახასიათებელი სიტყვით განსაზღვრავს – „კორუფცია“.

ნ. ნიკოლაძე მსუბუქი ირონიით აღნიშნავს, რომ „გუე-გლენეკი უნდა ჩამოსულიყო რუსეთში, რათა გაემდიდრებინა ის ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც უდავოდ აკლია... აქ მოსამართლეებს ისეთი ხელფასი დაუნიშნეს (როგორც სააკაშვილისდროინდელ ქართველ მოსამართლეებს ვარდების რევოლუციის შემდეგ – ვ. შ.), რომ მაშინ ყველა გაკვირვებული იყო ასეთი ხელგაშლილობით. მოსამართლეები გამოაცხადეს შეუცვლელ მოხელეებად, არ შეიძლება ისინი გადაყვანილი ყოფილიყვნენ ერთი ადგილიდან მეორეზე მათივე თანხმობის გარეშე, სამსახურიდან მათი დათხოვნა შეიძლებოდა ან პირადი სურვილით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. თანამდებობის პირთა შეცვლა თვით სასამართლოს კოლეგიის წარდგენით უნდა მომხდარიყო. უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო? როგორც საარსებო სახსრები, ისე პრესტიჟული სამსახურებრივი მდგომარეობა და კარიერა მთლიანად უზრუნველყოფილი ჰქონდათ, მაგრამ გავიდა 15 წელი და ვის შეუძლია ახლა, ღიმილის გარეშე ილაპარაკოს მოსამართლეთა შეუცვლელობისა და მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე“ [1. 455-456]. (იგივე შეიძლება ითქვას, სააკაშვილის მოსამართლეებზე, რომლებიც მატერიალური უზრუნველყოფის მიუხედავად, მთლიანად პრეზიდენტზე და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული დარჩნენ და მხოლოდ, ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში მიეცათ მათ ამოსუნთქვის საშუალება – ვ. შ.).

ნ. ნიკოლაძეს არადამაჯერებლად მიაჩნია გუე-გლენეკის ის მოსაზრებაც, რომ არც მსაჯულთა სასამართლო არის დამოუკიდებელი. აღმოჩნდება მსაჯულთა შორის ნოქარი? იგი თავის პატრონზეა დამოკიდებული და, ცხადია, საქმეს ისე გადაწყვეტს, როგორც მის პატრონს სურს. აღმოჩნდება ვაჭარი ან ნოტარიუსი? ისინი თავიანთ კლიენტებზე არიან დამოკიდებულნიო. ეს აზრები, ნ. ნიკოლაძის თქმით, იმდენად გულუბრყვილოა, რომ მათი უარყოფა მარგალიტის ფანტვას ემგვანებოდა. საერთოდ კი, გუე-გლუნეკის აზრით, მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე, რასაც იგი უწოდებს ,,VOX POPUL", მაგრამ განა ეს ცუდია? – ასკვნის ნიკოლაძე. რატომ გვავიწყდება, რომ ,,Vox populi-vox dei" (ხმა ღვთისა და ხმა ერისა). იდეალური ადამიანური დაწესებულება ხომ არასოდეს არსებულა" [1,456-457].

აქ ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს ერთი საინტერესო მაგალითი საფრანგეთის ცხოვრებიდან: ,,სტრასბურგის გახმაურებული თავდასხმის შემდეგ გულმოწყალე ლუი-ფილიპემ ნაპოლეონ III საფრანგეთის ფულით ამერიკაში გაისტუმრა მშვიდი ცხოვრებისათვის, მისი თანამონაწილენი კი მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარდგნენ სახელმწიფო ღალატისა და ამბოხების მოწყობის ბრალდებით. მსაჯულებმა ისინი შემდეგი მოსაზრებით გაამართლეს: რატომ უნდა დაისაჯონ დანაშაულის იარაღად გამოყენებული ადამიანები, როცა მთავარი დამნაშავე თავისუფლად დანავარდობს თავის ნებაზე და ეს თავისუფლება მას შემთხვევით კი არ ერგო წილად, არამედ ხელისუფლების შემწყნარებლობით (ეს ძალიან კარგი მაგალითი უნდა გახდეს ივანიშვილის ხელისუფლებისათვის – თუ ისინი არ დასჯიან პრეზიდენტ სააკაშვილს სასამართლოს განაჩენით, მაშინ მათ მოუწევთ დამნაშავე, მაგრამ დანაშაულის იარაღად გამოყენებული გ. ახალაიას და სხვათა გამოშვება ციხეებიდან – ვ. შ.).

გუე-გლუნეკი მსაჯულთა ამ განაჩენს თვლიდა არაიურიდიულ განაჩენად, რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკის ყოველგვარ წესსა და ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისებს. ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმება მას და წერს, რომ „ვინ, თუ არა მასავით უიმედო ვაჟბატონი, არ განეწყობოდა მსაჯულთა ზემოთმოყვანილი მსჯელობისადმი თანაგრძნობით? [1. 457-458].

ამრიგად, ნ. ნიკოლაძე პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომელმაც ჯერ კიდევ 130 წელზე მეტი ხნის წინ დაინახა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სიკეთე და უპირატესობა ჩვეულებრივ სასამართლოსთან შედარებით და მისი შემოღების აუცილებლობაზე დაწერა. განვლილმა დრომ მისი თვალსაზრისი მთლიანად დაამტკიცა. დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად ითვლება სასამართლოს დამოუკიდებლობასთან ერთად. სამწუხაროდ, საქართველოში მისი მნიშვნელობა ბევრს ისევ არ ესმის. საჭიროა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სრულმასშტაბიანი, დაუყონებლივი დანერგვა საქართველოს სასამართლო სისტემაში, რათა საზოგადოებამ დროულად ისარგებლოს ამ მონაპოვრით და საქართველო ამ მხრივაც ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ VIII, ქუთაისი, 2003.

✍ თამარ კუპრეიშვილი

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ანალიზი

2012 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მოექცა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ყურადღების ქვეშ. არჩევნებს წინ უძღვოდა საინტერესო, წინასაარჩევნო კამპანია და მსოფლიოში გახმაურებული სკანდალური ფაქტები.

არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვნად იმოქმედა მოქმედი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის როგორც შიდა პოლიტიკურმა კურსმა, ასევე საგარეო ვექტორმა, რასაც მწვავედ აკრიტიკებდნენ საფრანგეთში.

,,ამომრჩეველს სულ უფრო და უფრო მეტად აღიზიანებდა მისი პოპულიზმი და ევროკავშირის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული პროექტები, გარდა ამისა, დანახარჯები ლიბიის ომში, რომელსაც საფრანგეთი უჭერდა ფინანსურად მხარს, გამუდმებით იზრდებოდა'' – აღნიშნა ელიზაბეთ ჰატმანმა Carnegie Europe-დან. მისივე განმარტებით, კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციისგან საფრანგეთს არ მიუღია პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები.

შიდა პოლიტიკაში პრეზიდენტი თავისი წინამორბედის ზომიერად სოციალისტურ კურსს მიჰყვებოდა. მისი მმართველობის პერიოდში იყო საპროტესტო გამოსვლები დიდი ქალაქების გარეუბნებში – ემიგრანტები აფრიკიდან და აზიიდან გამოთქვამდნენ პროტესტს ამ ზონებისადმი ხელისუფლების უყურადღებობის გამო.

კრიზისის დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ შიდა პოლიტიკაში ერთ-ერთი პირველი მსხვილი ბანკი, რომელმაც დანაკარგების შესახებ განაცხადა ფრანგული Société Générale იყო. ერთი თვის მანძილზე საფრანგეთის ეკონომიკის ამ ფინანსურმა საყრდენმა 7,2 მლრდ. დოლარის დანაკლისი განიცადა. ამ დროიდან ხელისუფლებამ დაიწყო სოციალური დახმარებების აქტიური შემცირების პოლიტიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა გახდათ საპენსიო ასაკის 65 წლამდე გაზრდა შემდგომი წლების განმავლობაში პრეზიდენტის პოპულარობა განაგრძობდა ვარდნას.

წინა საარჩევნო კამპანიის დასაწყისში სარკოზის პოპულარობის მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც სააგიტაციო კამპანიის წარმოება დაიწყო, ეს მაჩვენებელიც გაიზარდა. [Vaisse Justin,"The 2012 French Presidential Elections", p. 3-4].

ფრანგი ექსპერტების თქმით, სარკოზის ყველაზე დიდი გამარჯვება ამ წინასაარჩევნო კამპანიაში გახდა დომინიკ შტროსს-კანის დაპატიმრება. შტროსს-

კანი 2011 წლის გაზაფხულზე აშშ-ში დააკავეს სასტუმროში მოახლის გაუპატიურების მცდელობისთვის. მას ბრალდებულებები მოუხსნეს და გაათავისუფლეს, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობისგან თავი ძალიან შორს დაიჭირა.

ამით, ნიკოლა სარკოზის თავისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური კონკურენტი ასპარეზს ჩამოშორდა.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა თუ ვინ იქნებოდა არჩეული 6 მაისის არჩევნებში და ვინ შევიდოდა უმრავლესობით – ეროვნულ ასამბლეაში, ან "თანაცხოვრების" სიტუაციურ სახეცვლილებაში ვინ იქნებოდა ჩაბმული. ამ არჩევნების მთავარი მიზანი იყო ხალხს სწორედ განესაზღვრა თავისი არჩევანი და საფრანგეთი გამოეყვანა ევროზონის კრიზისიდან.

2007 წელს სარკოზიმ დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე სეგოლენ რუიალი (ფრანსუა ოლანდის ყოფილი მეუღლე) საერთო განახლებისა და აქტივობის ლოზუნგით. "მაშინ ჟაკ შირაკის 12 წლიანი მმართველობის შემდეგ ფრანგებს სურდათ რეფორმები, ახალგაზრდა პრეზიდენტმა შეძლო მათთვის სასურველი იმიჯის მორგება" – თვლის ჟოსტინ ბაისი ბრუკინგსის ცენტრიდან. წინა არჩევნებში სარკოზმა იმის ხარჯზეც მოიგო, რომ გადასახადების შემცირების, საბიუჯეტო სფეროში რეფორმების გატარების და მიგრაციის სამინისტროს შექმნის პირობა დადო, რითაც გადაიბირა მემარჯვენე ამომრჩეველი, რომელმაც პირველ ტურში ხმა მარი ლე პენს მისცა.

2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია სარკოზიმ უფრო მეტი ხალისით და უწყვეტი რეჟიმით დაიწყო. მისი ლოზუნგი იყო "ძლიერი საფრანგეთი". სარკოზმა თავისი საარჩევნო კამპანია მარსელში გამართული მასობრივი მიტინგით დაიწყო. საკუთარი მომხრეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას სარკოზიმ განაცხადა, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკა საფრანგეთს კრიზისის სავალალო შედეგების თავიდან აცილებაში დაეხმარა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მიზნად მან "ტრადიციული ინტერესების დაცვა დაასახელა" [Vaisse Justin,"The 2012 French Presidential Elections", p. 5-6].

2012 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც შედგა ორი რაუნდისაგან. პირველი რაუნდი ჩატარდა კვირას, 22 აპრილს და მეორე რაუნდი, კი – ორი კვირის შემდგომ – 6 მაისს. ამის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ მხოლოდ ორ კანდიდატს ჰქონდა მომდევნო რაუნდში მონაწილეობის უფლება, რომლებიც იყვნენ: მოქმედი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და სოციალისტი ფრანსუა ოლანდი.

მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციურ სისტემაში, პრეზიდენტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას არ შეუძლია კანონი ერთპიროვნულად მიიღოს თუ მას არ დაეთანხმება უმრავლესობა და პრემიერ მინისტრი. 2000 წლიდან საპრეზიდენტო მანდატი შეიცვალა 7-ის ნაცვლად 5 წლით და სინქრონიზირებული გახდა აღმასრულებელი ციკლით.

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ეგზიტპოლის შედეგებით ლიდერობდა პირველი ოთხი კანდიდატი: ფრანსუა ოლანდი, ნიკოლა სარკოზი, მარი ლე პენი და ჟან-ლუკ მელენშონი, თუმც საბოლოო გამარჯვება მხოლოდ სოციალისტ ფრანსუა ოლანდს ერგო.

სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით, ფრანსუა ოლანდი ღირსეულ კონკურენციას უწევდა ნიკოლა სარკოზის არჩევნების მეორე ტურში. ეს პოლიტიკოსი ფრანსუა მიტერანის პოლიტიკისა და ქცევის კოპირებას ცდილობდა და საკმაოდ ხმამაღალ დაპირებებს იძლეოდა; ისეთს, როგორიცაა 2017 წლისათვის ბიუჯეტის სტაბილიზება და საპენსიო ასაკად 60 წლის დაწესება.

"1981 წელს, ფრანსუა მიტერანი არჩეულ იქნა თავისი თამამი პროგრამით, რომელსაც ეწოდებოდა "შევცვალოთ ცხოვრება" თავისი 110 პროგრესული პროგრამით, დაწყებული ბანკების ნაციონალიზაციით და 35 საათიანი სამუშაო კვირის, სასიკვდილო სასჯელის გაუქმებით. პროგრამა ძალიან გაბედული იყო ფრანგი ელექტორატის დასარწმუნებლად. ის იყენებდა სლოგანს "მშვიდი ძალა" – ეს ყოველივე მკაფიოდ შეესაბამება 2012 წლის ფრანსუა ოლანდის საარჩევნო კამპანიას, სადაც სოციალისტი კანდიდატი შედარებით უფრო შეზღუდულ სლოგანს იყენებდა "შევცვალოთ, ახლა" (უფრო ზუსტად: "ცვლილებები, ეს ახლაა!"). [ჟაკ სეგელ, "ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი", გვ. 60-68].

სარკოზი უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად ცდილობდა მჭიდრო თანამშრომლობა აღარ ჰქონოდა ანგელა მერკელთან. ორი ქვეყნის ლიდერები არჩევნებამდე თითქმის ყოველკვირეულად ხვდებოდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ განეხილათ ევროკავშირის მომავალი, მაგრამ ეს იმ ფრანგებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ საფრანგეთი ასეთი თანამშრომლობით მოგებული არ დარჩება, დიდად არ მოსწონდათ.

სარკოზი ცდილობდა ჩამოშორებოდა ევროკავშირის გაძლიერებაზე მუშაობას და უფრო მეტ აქცენტს აკეთებდა ნაციონალურ ინტერესებზე. მან დაიწყო ბრძოლა ნაციონალისტურად განწყობილი ამომრჩევლების ხმებისთვის, რათა გადაესწრო სოციალისტების წარმომადგენლისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ ოლანდს უფრო მეტი გავლენიანი პოლიტიკოსი უჭერდა მხარს საჯაროდ. ყველასათვის მოულოდნელად მათ რიცხვს ქალბატონი ფადელა ამარიც შეუერთდა. საქალაქო პოლიტიკის ამჟამინდელი მთავრობის (სარკოზის საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე) ყოფილი სახელმწიფო მდივნის ეს დემარში მნიშვნელოვანი დარტყმა აღმოჩნდა სარკოზისათვის.

სოციალისტური პარტიის ლიდერი ფრანსუა ოლანდი საპრეზიდენტო კანდიდატად 2011 წლის 16 ოქტომბერს დასახელდა და 23 იანვარს (2012 წლის) ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია. ის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც დაახლოებით 25 ათასი ადამიანი ესწრებოდა. მან განაცხადა, რომ დღეს საფრანგეთს მართავს არა ნიკოლა სარკოზი, არამედ "ფინანსების უსახური სამყარო". მან ასევე განაცხადა, რომ აპირებდა ხელისუფლებაში მოეყვანა მემარცხენე ძალები, რომლებიც ქვეყანაში ცვლილებებს განახორციელებდნენ. უფრო კონკრეტულად, ოლანდმა განაცხადა, რომ აპირებდა რეფორმების გატარებას განათლების, ჯანდაცვისა და გადასახადების სფეროში [Pascal Perrineau "L'élection présidentielle en France", p. 10].

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მთლიანმა პროცესმა სოციალისტი ფრანსუა ოლანდის უპირატესობით ჩაიარა. ოლანდი

სტაბილურად ლიდერობდა წინა საარჩევნო გამოკითხვებში. პირველ ადგილზე გავიდა არჩევნების პირველ ტურში, სადაც ხმების 51, 63% მოიპოვა, ხოლო მისმა კონკურენტმა ნიკოლა სარკოზიმ 48, 37%. 1995 წის შემდეგ ფრანსუა ოლანდი საფრანგეთის პირველი სოციალისტი პრეზიდენტი გახდა [Résultats de l'élection présidentielle 2012, p.2].

საფრანგეთში არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა სამინისტროა. ფრანგული არჩევნების მიმართ საერთაშორისო ბიუროების ნდობა იმდენად დიდია, რომ მიუხედავად დროული მოწვევისა, მათ თავიანთი დამკვირვებლები თითქმის არც გაუგზავნიათ. 10 და 17 ივნისს საფრანგეთმა აირჩია პარლამენტის 577 წევრი და უმრავლესობაში აქაც ოლანდის მომხრეები აღმოჩნდნენ.

საფრანგეთის სენატის (პარლამენტის ზედა პალატა) ინფორმაციით ქვეყანას არჩევნების ორგანიზება და ჩატარება 217 მილიონი ევრო დაუჯდა.

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში ეს მეათე საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

ამრიგად, ელექტორატის მიერ გამარჯვებულ კანდიდატზე მთავარი შეკვეთა იყო საფრანგეთის ფინანსური პრობლემების მოგვარება, რასაც წინა საარჩევნო კამპანიაში ფრანსუა ოლანდი ჰპირდებოდა ამომრჩეველს. როგორ გაართმევს თავს ამას მომავალი გვიჩვენებს. მსოფლიოში სულ უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც თავს ვერც საფრანგეთი აარიდებს. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის პოლიტიკურ მესვეურებს მოუწევთ უარი თქვან რიგ ნაციონალურ ინტერესზე.

TAMAR KUPREISHVILI

THE POLITICAL ANALYSIS OF THE 2012 FRENCH PRESIDENTIAL ELECTIONS

Summary

A presidential election was held in France on 22 April 2012 (or 21 April in some overseas departments and territories), with a second round run-off held on 6 May (or 5 May for those same territories) to elect the President of France (who is also ex officio one of the two joint heads of state of Andorra, a sovereign state). The incumbent Nicolas Sarkozy was running for a second successive and, under the terms of the constitution, final term in the election.

The first round ended with the selection of Nicolas Sarkozy and François Hollande as second round participants. Hollande won the runoff with a vote of 51.63% of the vote to Sarkozy's 48.37%.

Since the first round there has been a drive to woo far-right voters with Sarkozy making immigration a major issue of his campaign and Hollande focussing on the euro-zone crisis and the state of the economy. Hollande's slogan was: "Change, now" ("Le Changement, c'est maintenant).

The result of May 6 will have a profound impact on European Leaders' ability to cope with the financial crisis.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Michel Winock, "L'élection présidentielle en France 1958-2007", France, 2008
2. Pascal Perrineau. "L'élection présidentielle en France 1962-2012", France, 2012
3. ჟაკ სეგელა "ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი", თბ., 2010

ინტერნეტ რესურსები:

4. http://www.brookings.edu/research/opinions/2012/04/04-france-elections-vaisse
5. http://en.wikipedia.org/wiki/French_presidential_election,_2012#Campaign
6. http://ru.euronews.com/2012/04/30/far-right-voters-still-key-to-french-presidential-poll/
7. http://www.economist.com/node/21557386
8. http://www.guardian.co.uk/world/2012/may/04/french-presidential-elections-hollande-sarkozy
9. http://www.brookings.edu/research/opinions/2012/05/07-hollande-france-vaisse
10. http://www.leparisien.fr/election-presidentielle-2012/resultats/

✍ გოჩა გვასალია

ბედისწერისა და ნების თავისუფლებისათვის

საიიდ მუჯთაბა მუსავი ლარი (დაიბ.1935 წელს) შიიტი ღვთისმეტყველია ქალაქ ყუმიდან. ის არის აწ განსვენებული აიათოლა საიიდ ალი ასღარ ლარის შვილი. ვაქვეყნებთ მოკლე ნაწყვეტს მისი რუსულად გამოცემული ცნობილი წიგნიდან Бог и Его атрибуты. Лекции по мусульманской догматике, რომელიც გამოცემულია ისლამური ცენტრის „ირშადის“ მიერ 2004 წელს. ყუმელი ღვთისმეტყველის შრომები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, გერმანულ და ურდუს ენებზე. საიიდ მუჯთაბა მუსავი ლარის საიტია: www.musavilari.org

ვფიქრობ, რომ ღვთისმეტყველური ფილოსოფიით შემსჭვალული მეძიებელი მკითხველისათვის საგულისხმოა ის ძველისძველი შებრკოლების ქვა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი რელიგია, ვერც ერთი ფილოსოფიური მოძღვრება.ეს არის წინასწარდადგენილებისა (предустановление) და წინასწარგანსაზღვრულობის (предопределение) ანუ ბედისწერის საკითხი, რომელთანაც არსობრივად დაკავშირებულია liberum arbitrium-ის (თავისუფალი არჩევანი) პრობლემა. არის მშვენიერი ძველრუსული სიტყვა юдоль, რაიც კაცის სავარამო ბედს აღნიშნავს. არაბულში რამდენიმე სიტყვაა ბედისწერის აღსანიშნავად: ალ-ყადრ, ალ-ჰაკკა, ად-დაჰრ (ეს სიტყვა ჟამსა და უბედობასაც აღნიშნავს), ალ-კარი'ა. ძველ ქართულში მოწევნადის აღსანიშნად აგებული სიტყვები „ყირანი“ და „აჯალი“ არაბული წარმოშობისაა. ბედკეთილობასთან, სვესთან და მადლთან დაკავშირებულია ქართულში დამკვიდრებული ასევე არაბული სიტყვები „იღბალი“, „ყისმათი“ და „ბარაქა“. ძველ ქართულში ბედის აღმნიშვნელია სიტყვები „ეტლი“ და არაბული წარმოშობის „ვარდი“. სუფიური თხზულება „ათასი და ერთი ღამე“ ბევრჯერ ახსენებს ბედსა და ხვედრს. ბერძნულად ეს არის თესპესია, ადრასტეია, ჰეიმარმენე, ანანკე, ტიქე და მოირა. ადრასტეია ღვთაებაა ბერძნულ პანთეონში. მასზე პლატონიც უბნობს. ადრასტეია სადაც არის, იქვეა შურისგების ქალღმერთი ნემეზიდაც. ბერძნულ მითოსში, სრულიად ელინობაში ბედისწერა ღმერთებზე მაღლა დგას. ასევე არის ინდუისტურ მითოსში. მუნ ღმერთებიც კვდებიან. „შრიმად ბჰაგავატამის“ მიხედვით, თუ სანადიროდ გასული მაჰარაჯა პარიკშიტი ტყეში მედიტაციაში დანთქმულ ბრაჰმან შამიკას გადააწყდა და მკვდარი გველის მხარზე შეგდებით ის შეურაცხყო, ეს წინასწარდადგენილია. ასე უნდა მომხდარიყო ყველა შემთხვევაში. ეს დიდი უბედურების დასაწყისია. არჯუნას შვილიშვილი მაჰარაჯა პარიკშიტი მოაკვდინა გველთა მთავარმა ტაკშაკამ. პარიკშიტის ვაჟი, დიდი ბრაჰმანი ჯანამეჯაია შურისგების მიზნით გველთა გვარეობის

ამოსაწყვეტად დიდ ზორვას იქმს. გველთა ამოწყვეტის შესაჩერებლად ბოლოს ღმერთები აღიძვრიან.ეს „მაჰაბჰარატაშია“ მოთხრობილი. არსადაა მითოსი, სადაც გველი არ ჰგიეს კაცის გვერდით. პურანების მიხედვით, პარიკშიტის გამეფებით დაიწყო ინდუისტური ბოლო ჟამი-კალი იუგა. ყველა იუგა (ისტორიული დროის პერიოდები) წინასწარ არის განსაზღვრული. წუთისოფლის ბოლო, ინდუიზმის მიხედვით, ოხრება და წყმედაა. სანსკრიტული სიტყვა „დაივა“ აღნიშნავს ბედს, ღმერთების ნების ვლენას წუთისოფლის გებაში. ასკეზისით აღშენებულ იოგინს ძალუძს დაძლიოს დაივა.კარმის ანუ სანსარას კანონი ღმერთების ნებაზე მაღლა დგას. ინდუისტური სწავლებით, სასუფეველში (სვარგა) მოხვედრა არაა საკმარისი კარმიული ჯაჭვის გასაწყვეტად. ინდუიზმში სასუფეველი კი არაა საბოლოო მიზანი, არამედ მოკშა, როდესაც ატმანი (ინდივიდური სული) ერთობს ბრაჰმანთან (უნივერსული სული) ანუ პარამატმასთან. ბუდას მოძღვრება არის ვედებიდან ამოსული და ბრაჰმანიზმს გაშორებული გზა კარმიული ჯაჭვის გასაწყვეტად. გარდასხეულებათა უწყვეტი ციკლის დამძლევი ბუდისტი მიიჩნევა ცხონებულად. საკითხავია, იყო თუ არა ინდუიზმის ბედისწერა მისი წიაღიდან ბუდიზმის ამოსვლა? ბუდას უნიკალობა არ უფერულდება იმით, რომ მის მოვლინებამდე ათობით ბუდა იყო და სოფელმა ისინი ვერ იცნო. „მაჰაბჰარატას“ X წიგნში (საუპტიკაპარვა) ნათქვამია, რომ მხოლოდ ბედისწერაზე დაყრდნობით ვერას მიაღწევ. ასევე ვერას მიაღწევ კაცის მუშაკობაზე დაყრდნობით.საჭიროა ორივეს შეწყობა.აქვე ნათქვამია, რომ კაცთა შორის უდიდესი, ვინც არ ეწყალება ბედისწერას, უნაყოფოა წუთისოფელში, მაშინაც კი, ოდეს მეცადინობს. „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნა აუწყებს არჯუნას, რომ ომი კურუკშეტრას ველზე წინასწარ განგებულია და მას სხვა რა დარჩენია, თუ არა ის, რომ იომოს, ვითარც მეომრის ვალია. უფალი კრშნა აქეზებს საომედ მოეჭველ არჯუნას. „მაჰაბჰარატას“ XI წიგნში(სტრიპარვა) იუდჰიშტჰირა აუწყებს დჰრიტარაშტრას ომში დაღუპული მეომრების ხვედრზე და ამბობს, რომ ოქროდშობილი მოყმეები, ვინც ქშატრიათა წესთამებრ შეუდრეკელნი ეგებებიან მტრის მოქნეულ მახვილს, სულთახდისას ბრაჰმას საუფლოში მიდიან. ეს ქშატრიების უმაღლესი ხვედრია.

ვინც იცის, ის დამყაბულდება, რომ არ არსებობს ინდუსთა მითოსსა და ფილოსოფიაზე უფრო აღმატებული რამ. ეს მსოფლიოს პირველი საოცრებაა. დასაწყისი ადამიანის ისტორიისა შორეულ ათასწლეულში იყო ისეთი ზეაღსწრაფვა და გაქანება აზრისა და სულისა, როგორიც არავინ უწყოდა არც მანამდე და არც მის შემდეგ.

არცერთ კულტურაში არ მომხდარა ასეთი ომი ეკლესიასა და ერესებს, რელიგიასა და მეცნიერებას, თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის, როგორც ეს მოხდა ევროპაში. დევნილი მდევნელად იქცა. მეცნიერებამ დევნა ეკლესია და დღეს თუ აღარ დევნის, მასთან დიდი დავა აქვს გაჩაღებული. ეს ევროპის კულტურის ბედისწერაა.

რაოდენი მსხვერპლი გაიღო ევროპამ. ჯერ ინკვიზიციის მიერ ასიათასობით კოცონზე დამწვარი, ჩამოხრჩობილი, დასახიჩრებული ერეტიკოსი იყო. განა ერთი საუკუნე მძვინვარებდა ინკვიზიცია. იყო რელიგიური ომები და ასობით საეკლესიო კრება მრწამსის ნათელსაყოფად. შემდეგ მთელ ევროპას,

უკვე პროტესტანტობის დროიდან, მოედო მჩხიბავთა და ჯადოსანთა დევნის ფსიქოზი. დემონთა კლასიფიკატორები იყვნენ (მაგალითად, ჯონ დი) და ნაშრომები დაწერეს. ვატიკანში ბევრი ასეთი წიგნი დღემდე დახურულ ფონდშია. შემდეგ ათეისტთა და ბუნებისმეტყველთა დევნა მიმდინარეობდა. ინკვიზიცია კი არა, უკვე საერო ხელისუფალნი დევნიდნენ მოაზროვნეთა და მეცნიერთ. ასე იყვნენ მოპერტიუი, ლამეტრი და სხვები. პროტესტანტობამ შეამზადა ნიადაგი ბუნებისმეტყველური მჩხრეკელობისა და სამეცნიერო რევოლუციისათვის. რამდენი შვრომა შეახმარეს ევროპელმა საეკლესიო და შემდეგ ფილოსოფოსმა ერესიარქებმა (დეისტებმა, პანთეისტებმა, ათეისტებმა), რომ აზროვნების შესაძლებლობა შექმნილიყო. ამის ჯეროვნად დაფასებას ყრმებსვე უნდა ასწავლიდნენ სკოლებში. მაშ, რისთვის ითქმის ამდენი, რომ ადამიანს უნდა ასწავლონ თავისუფალი აზროვნება? აზროვნებას ვერ ისწავლიან სკოლებში და უნივერსიტეტებში გახსნილი ხატების კუთხეებითა და სამლოცველო ოთახებით. ვაი უნივერსიტეტს, სადაც საკმეველს აკმევენ და ბერ-მონაზონნი იარებიან საწირავად. მონასტერს დაჰკარგვიან და ვერც უნივერსიტეტს შესძენიან.

ხომ ბევრზე ბევრი ილაპარაკეს სატანური საბჭოთა ათეიზმის დამხობასა და ქრისტიანული სულიერების აღორძინებაზე. კი მაგრამ, რა შექმნა ეკლესიამ საეპოქო პოსტსაბჭოთა ოცწლედში? თუ არის რაიმე ან ქრისტიანულ აზროვნებაში, ან ქართული ეკლესიის ორგანიზაციაში? ხომ არ შეიძლება სულ ლიბერალ-კაპიტალიზმს ამოფარება? დიდი კრიზისია ქართველთა ეკლესიაში და ეს ჯერ არ დასრულდება. სავაებოა საქართველოს კლერონომია (ღვთისაგან ნიჭებული ხვედრება, მემკვიდრეობა). სადაა საღვთისმეტყველო აზრი? რატომ არა აქვთ მოძღვრებს საღვთო თავდადება? რის აღორძინებაზეა ლაპარაკი? რა თქმულა, რომ თარგმნო უცხოელთათვის და გაიტანო, როგორც ქართველი ღვთისმეტყველის გამოსაჩენი აზრი, გენუინური რეფლექსია? არა, ძველი დროის მამებმა რომ თქვეს ასე და ასე, შენ როგორც ქრისტიანს, რა შეგიძლია თქვა ამ ბოროტი დროის შესატყვისად? ჰო, კაი, ბასილი დიდმა ასე თქვა, გრიგოლ ნაზიანზელმა ან მაქსიმე აღმსარებელმა კი ისე. მერე შენ რა ამით? მათი ნათქვამების მოხმობით დაამოწმებ, რომ ქრისტიანი ხარ? ქრისტიანი თუ ხარ, ლიბერალი ინდივიდუალისტი როგორღა ხარ? შენდათავად როგორც ქრისტეს მოესავი, რა ხარ? რას ბიბლიობ? შენ რა, თუ პავლემ, იოანემ, თავად ქრისტემ ასე და ასე თქვეს? შენ რა ხარ აი, ამდენი რელიგიური ლაყბობის შემდეგ? ჰო კაი, ზეთის ცხებაზე მიხვედი, ღამის ლოცვას დაესწარი, წირვაზე ბოლომდე იდექი, მარხო არ ჭამე. ეს მიგაჩნია ცხონების საწინდრად? ქრისტიანი ხარ? მადლი აქვს შენს ცხოვრებას? აი ამდენი სირცხვილის შემდეგაც რად არ შეგიძლია კრიტიკული, მეძიებრივი დისკურსის განსიტყვება? შენ კი არ ლაპარაკობ შენი რწმენით და მეძიებლობით, არამედ კონფორმისტულად ამბობ რაღაცას და ამას მიგითვლიან რწმენაში. შენ გეშინია, რომ რაღაც თქვა. შიშის გარდა არის მცონარება და უმეცრება. არ იცი, სათქმელს როგორ მოაბა თავი.

შენ გაჰყვებოდი იმ უცნობ კაცს, რომელიც ზებედეს ვაჟებთან მივიდა, აწამა მათ თვისი სიტყვა და თან გაიყოლა ისინი? შენ შეაწევდი სიტყვას მას, რომელიც შოლტით უწყალოდ ჰგვემეს რომაელებმა? შეგეძლო გეთქვა პილატეს წინაშე, რომ მას ბრალი არ ჰქონდა? შეგეძლო მისთვის განკუთვნილი შოლ-

ტის ერთი დარტყმა გაგეზიარებინა? შენ შეეშველებოდი მას ჯვრის ზიდვაში? თუ ინდივიდის თავისუფლებაზე ლაპარაკით თვალს მიეფარებოდი? იწამებდი მისი შემცქერი, რომ ის ღვთის მხოლოდშობილი ძე იყო, რომ კაცად მოვლენილი ღმერთი იდგა შენს წინაშე? შეგეძლო მდგარიყავი იქ, სადაც ის ჯვარზე გაკრული სულს ლევდა და გეკითხა მისთვის რაღაც მისთვის საფერი? შეგეძლო მის სამარხთან მესამე ღამე მაინც გაგეტეხა, თუნდაც როგორც მოეჭველ კაცს, რომ მიჰმოწმებოდი მის აღდგომას? სანამ ის მკვდრეთით მობრუნდებოდა, შეგეძლო მის დედასთან მისვლა და მისთვის შესაფერისი სიტყვის მიგება? თუ მას არ სცნობდი ძედ ღვთისად, შეგეძლო მასთან დავა როგორც თორას მკითხველ და მეცოდინ იუდეველს, ან როგორც პლატონის სიტყვით ნაზარდ ელინს? შენ, როგორც მოსეს კაცს, შეგეძლო გეთქვა მისი ჯვარცმისას, რომ ჩემზე იყოს მისი სისხლი? ჯაჰილიიის დროის მექელი არაბი რომ ყოფილიყავი, ირწმუნებდი ჰაზრეთ-მუჰამედის სიტყვას? გაჰყვებოდი მას ჰიჯრაში? არა, ერთხელ მაინც ცხოვრებაში კაცურად შეძელი მართლობა. მზამზარეულად რომ არის ყოველივე და მაშინაც ვერ ხარ ქრისტიანი. მხდალი ხარ, სულ გაქცევასა და დამალვაზე გიჭირავს თვალი. რა, არ ეტყობა ეს შენს ცხოვრებას? ასე ივლი ამ ცხოვრებაში, ივლი და გადაივლი. იკითხე ეს ტროპარები, კონდაკები, ძლისპირები და დაეგდე ძილად. არ ხარ ქრისტიანი, არც იქნები. არ გიშველის ეპიტიმიების დადება. ყროლი გიდუღს გულში და პირიდან ბაყლი ამოგდის, მაშინაც კი, როდესაც არ ლაპარაკობ. დიოფიზიტობას ჩემულობ და მონოფიზიტობას ისე გმობ, ვითომ რამე შეგიცვნია. ფილიოკვეს გამო ავენაობ. ამდენს უბნობ შვიდ საიდუმლოზე და რა? ერთი გოჯით მეტი თუ ხარ ან კათოლიკეზე, ან პროტესტანტზე, ან თუნდაც ათეისტზე? რას იმტკიცებ? რა იცი? შენ თუ შეგიძლია, საკუთარი განსჯით დაასაბუთო ღმრთის არსებობა, ან მისი არარსებობა? გიფიქრია კი ამაზე? შენ გემოყვასო? რისთვის? ვინ ხარ? შენთან სათნოებით მე მადლში რა მიმეთვლება? გასწავლო რაიმე და შეისმენ? შენი ხვედრი მე რად გავიზიარო? რაც გენიჭა და იმით იარე. შენ რად გშველო შენი ჯვრის ზიდვაში? რა, დაინახავ ამას? როდის რა არ დამკარგვია სამოყვასოში, რომ კვლავ მქონდეს მუქთზე გამოსვლის მოსურნე მოყვასის მადლიერების იმედი? რა ხარ, რომ შენში ქრისტე დავინახო? ორ შენებრ მოყვასთან რომ დავდგე და მეორედ მოსვლაზე ვიუბნო, ქრისტე დადგება ჩვენთან უხილავად, ვითარც იგი იტყვის, რომ სადაც ჩემი სახელით შეიკრიბებიან, მეც მუნ ვარ? ქრისტემ რომ ეს თქვა, გულისხმობდა სამღთო შურით გზებულ კაცთ. ესეც ქრისტემ თქვა, რომ როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეციით მათ (მათე, 7: 12), მაგრამ ოდეს კეთილად ექცევი კაცთ და საპასუხოდ არას იღებ შურის, გულდამპლობის, უმადურობის გარდა? სულ მუქთი უნდა მოყვასს. აი, მაშინ ეტყვი შენ თავს, რომ მოექეცი მოყვასს ისე, როგორც შენ მოგექცა. ქრისტემ რომ ასწავლა მოყვასისადმი მოპყრობაზე, ეს მხოლოდ მაშინაა სწორი, როდესაც მოყვასი ჩემი თანასწორია გულითა და ცნობისჩენით, როდესაც მოყვასი სხვისი სიკეთის დამნახავია. განა მოყვასნი მოვიდნენ და მე დავხვდი, არამედ მე მოვედი სოფლად და მოყვასნი დამხვდნენ. ამიტომ როგორც დამხვდნენ, ისევე მე დავხვდები. ჩემი მოყვასობითა და გულმოწყალებით სხვისი ხვედრი არ შეიცვლება. წადი, შვილო, გაზეთი იკითხე და მერე ტელევიზორი ჩართე. რამ-

დენი ტყუილი ითქვა მოყვასთათვის და რამდენი კიდევ ითქმება. გაუშვი, იყიალონ ეკლესიაში. ვაი რელიგიას, რომელიც თავის მიმდევრებს პირფერობითა და სახიობით იჭერს. ქრისტიანობა აღარაფერია, თვინიერ გამოცარიელებული სიტყვებისა. ვაი რელიგიას, რომელმაც ღმერთი პირძაღლი მრევლის კლოუნად აქცია. ვაი ღმრთის სახლს, რომელიც ღმრთის სამარედ იქცა. არამზადაა მოყვასი, სამსალაა ჩემს მოსაწამლად და მახე ფეხთა საბორკად. ამის მეტს რას ადასტურებს ცხოვრება? სხვაზე ბევრად უკეთესი თუ ხარ შენი გულითა და გონებით, მაშინ მოყვასი შენთვის თარსი და დუშმანია. ვისაც დაუთმენია და რაღაც გაუკეთებია შემეცნებისათვის, განა იტყვის, რომ ასე არაა? როდესაც ქრისტესეული პაიდეიის მიდევნით შენი თავის სრულყოფას ცდილობ და ამაში წარემატები, მოყვასი მტრად გექცევა. თუნდაც ათასი მოტირალი და მოლაპარაკე ხატი იყოს, განა ეს ყოფნობისა და აზროვნების ტვირთს ჩემთვის ოდნავ მაინც აღამსუბუქებს? რამდენმა ხატმა იტირა და ილაპარაკა ბოლო ოც წელში და განა ამას მადლი მოჰყვა? ისე მიჰყვა დღეები ერთურთს, რომ წყმედის გარდა არც რა არის რა ჟამისგან გამოსალოდი.

სწორია პავლე მოციქული, რომ „ყველას თავისი მადლი აქვს ღვთისაგან...“. დადიოდა ეს ყოფილი ფარისეველი, ქრისტეს სიტყვას თავგამოდებით ქადაგებდა. მთელი რომის იმპერია მოიარა, საეკლესიო თემებისთვის ეპისტოლეები წერა, კაცთა ბევრეული ნახა და ხედავდა, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგაც კაცნი იგივენი იყვნენ, უგებნი და ყუდონი, მრუშნი და მუცელღმერთანი. განა პავლემ არ მიმართა კორინთელებს: დაბეჯითებით ამბობენ, რომ დაიწყო თქვენში მრუშობა, და თანაც ისეთი მრუშობა, რომლის მსგავსიც არ სმენიათ თვითონ წარმართთაც... (1 კორინთ. 5:1). ესეც პავლემ თქვა, რომ ღმერთის სასუფეველი სასმელ-საჭმელი კი არაა, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულით წმიდით (რომ. 14:17). მანვე ასწავლა, რომ სხეული სიძვისათვის კი არ არის, არამედ უფლისათვის. პავლესაც მეტი რაღა ექნა? როგორიც შეხვდა თემი და ეგრეც იუბნა. გინა იუდეველი, გინა ელინი, ერთი იყო. ამიტომაც ამდენი ილაპარაკა პავლემ მსმენელთათვის სიძვაზე. ამაზე ეკითხებოდნენ და მასაც სხვა რა გზა ჰქონდა, რომ პასუხი არ მიეგო. ქრისტეს სიტყვა გასავრცელებელი იყო, ხალხები მოსამოწაფებელი და არ გამოდიოდა პავლეს მათთვის წინასწარმეტყველთამებრ ეგინა და წასულიყო. გული ნაღველით აევსო მათ შემცქერს. ეჭვი შეეპარა საყოველთაო ხსნის იდეაში და ამიტომ იქადაგა მან წინასწარგანგებულების იდეა. პავლემ, ფარისეველ გამალიელის ნამოწაფარმა, მოციქულთა შორის ერთადერთმა წიგნიერმა კაცმა, ასწავლა ეს იდეა და არა პეტრემ, არა იოანემ, არა ზებედესა და ალფესის ვაჟებმა. პავლეს ქადაგებისთვის, მისი ეპისტოლეებისთვის ფილოსოფიური ტრაქტატი უნდა დაიწეროს.

არის თუ არა ბედისწერის, გინა განგების ვლენა ქართველთა ეკლესიის ასეთი სავალალო მდგომარეობა? სად არს მადლი, რომლის მოფენასაც მრავალი წელი იწამებიან სამღვდელონი და საერონი? რაში ვლინდება საქართველოს ზეპუროზა და ღვთივნიჭებულობა? რისგანაა სულის ასეთი ბერწობა და უსუსურობა, რომელიც ანტიქრისტეს მოსვლაზე ამდენი ბჭობით იფარება? რატომ არ შეუძლია ქართულ ღვთისმეტყველებას შემოქმედებითად გამოიყენოს აღმოსავლური ან დასავლური ფილოსოფიის მინაღწევრები? თუ აზროვნება სხვა

არაფერია, თუ არა ძველი დროის ეკლესიის მამათა წარამარა დამოწმება, მაშინ რა აზრი აქვს ბიბლიის გადაშლას? კრიტიციზმი, მეძიებლობა, შეუსაბამობის, უკმარობის და დანაშაულის განცდა არაა ქართველთა ეკლესიაში. ბოლშევიკურ რეპრესიებზე დაუსრულებელი ბჭობით, სექტანტური თუ მასონური საფრთხის უტრირებით ეკლესიამ თავი დააყენა ყოველგვარი კრიტიკის მიღმა. რა აზრი აქვს გლობალისტ მასონებზე ამდენ ლაპარაკს? ფილოსოფიურობა არაა მრევლში, კონფორმიზმი და სხვისთვის დასანახი ხალისიანობა კი რამდენიც გინდა. ქართული ღვთისმეტყველება მოსწყდა ისტორიას. ქართველ ინტელექტუალს არა აქვს რელიგიური პროთიმია. კი აიკლო მან გაზეთი ბიბლიის ციტირებით, მაგრამ ეს ის არაა, რაიც ჰხამს. საქართველოში ღმერთზე ლაპარაკს ამოაფარეს ანთროპოლოგიური კნინობა, რასობრივი დეგენერატობა. ქართველი შლეგობს თავის უკანასკნელობაში. როგორიც არის იგი, ეგეთსავე ხვედრს ეწია. ჰგია კაცი უცან-უგებად და იმედეულობს, რომ სიკვდილის შემდეგ სასუფეველს შეეღირსება. იქ ვერ მიხვალ, მოყვასო. იქ ვერვინ მივა.

მოგვიანო დროის ევროპულმა ფილოსოფიამ უარყო ბედისწერის საკითხი. სციენტიზმისა და სამეცნიერო მესიანიზმისათვის პრედესტინაცია დიდად ხელისშემშლელი იყო. ასე იყვნენ არა მხოლოდ ევროპელი და რუსი ათეისტები და მატერიალისტები. არ არსებობს ისეთი ფილოსოფიური ან თეოლოგიური მოძღვრება, სადაც ბედისწერის სიძნელეს, სიკვდილზე ჭმუნვას თავი არ ეჩინოს.

საიიდ მუსავი ლარი თავის ლექციებში კამათობს დეტერმინისტებთან და მატერიალისტებთან, საზოგადოდ დასავლურ ფილოსოფიასთან. ის განიხილავს ბრიტანელი ათეისტი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის (1872-1970) მსჯელობას პირველმიზეზის არგუმენტის მცდარობაზე (მე-6 ლექცია). იგი აკრიტიკებს ფრანგ ათეისტ ფილოსოფოსს ჟან პოლ სარტრს (1905-80). თვალსაჩინო შიიტი მოაზროვნის ამ ლექციებში ნახსენებია თეოლოგიური ფენომენოლოგიის წარმომადგენელი რუდოლფ ოტო (1869-1937). საიიდ მუსავი ლარი კამათობს სუნიტ ღვთისმეტყველთან აბუ-ლ ჰასან ალ-აშ'არისთან. კამათის არსი ეხება ბედისწერას ანუ წინასწარგანსაზღვრულობას. აშარიტების სკოლას ის უპირისპირებს მუთაზილიტებსა და შიიტებს (стр.122). ყუმელი ღვთისმეტყველი მოიხმობს ადგილებს შიიტთა წმინდა წიგნიდან „ნაჰჯ ულ-ბალაღადან".

მე-19 ლექციაში საიიდ მუსავი ლარი ამბობს: „ყურანის დანაწესებსა და იმამთა გამონათქვამებზე დაფუძნებული შიიზმის ჭეშმარიტი პოზიცია, გამომდინარეობს მესამე სკოლიდან, რომელიც საშუალედო ადგილს იკავებს აბსოლუტური წინასწარგანსაზღვრულობის მომხრეთა და ნების აბსოლუტური თავისუფლების მომხრეთა შორის. ეს შუალედური სკოლა ხასიათდება შეუსაბამობათა არქონით. ეს შეუსაბამობანი ნიშანდობლივია აბსოლუტური წინასწარგანსაზღვრულობის იდეისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება გონებას, ცნობიერებას, ყველა ეთიკურ და სოციალურ ნორმას, უარყოფს ღმრთის სამართლიანობას" (стр.165).

ამ ლექციის დასასრულს ირანელი ღვთისმეტყველი განმარტავს: „შიიზმის მიხედვით, ადამიანს არ გააჩნია ისეთი ნების თავისუფლება, რომელიც მას შეაძლებინებდა ემოქმედა მთელი სამყაროს მომცველი კანონებითა და ნორ-

მებით გამოხატული ღვთის ნებისა და სურვილის საზღვრებს მიღმა. ამავე დროს, ადამიანი არაა ტუსაღი იმ მექანიზმისა, რომელიც აბრკოლებს მას აირჩიოს თავისი გზა ცხოვრებაში, რომელიც აიძულებს მას ცხოველთა მსგავსად იყოს თავისი ინსტინქტების მონა.

წმინდა ყურანი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ღმერთმა კაცს მიუთითა ხსნის გზა. ამასთანავე კაცს არაფერი აიძულებს საიმისოდ, რომ მან იხელმძღვანელოს ხსნის გზით და არც საიმისოდ არაფერი აიძულებს კაცს, რომ შთავარდეს ცდომილებაში: „ჭეშმარიტად, ჩვენ ვუწინამძღვრეთ მას (პირდაპირ) გზაზე ან მადლიერს, ანდა უმადურს " (76:3). (გიორგი ლობჟანიძის თარგმანი). მაშასადამე, ყურანი უარყოფს კაცის ნებიდან მომდინარე ქმედებათა ღმრთისადმი მიწერას" (стр.170). (ეს აიათი იგნატი კრაჩკოვსკის თარგმანში ასეა: Мы ведь повели его по пути либо благодарным, либо неверным.).

საიიდ მუსავი ლარი თავის 20-ე ლექციაში ასწავლის: „სამყაროზე ისლამური შეხედულების მიხედვით, წინასწარდადგენილება და წინასწარგანსაზღვრულობა (ბედისწერა, ხვედრი – გ. გ.) აღნიშნავენ შესაქმის ყველა საიდუმლოს ღვთიურ დეტერმინირებულობას. სამყაროში მიმდინარე ყველა მოვლენა, კაცის მოქმედებათა ჩათვლით, წინასწარ განსაზღვრულია ამ მოვლენათა მიზეზებით, კაუზალობის პრინციპისადმი მათი მიყოლით.

წინასწარდადგენილება (ყადა) აღნიშნავს რაღაც დასრულებულს, შეუქცევადს, რაც დაკავშირებულია ღვთიურ ნებასთან. წინასწარგანსაზღვრულობა (ყადარ) აღნიშნავს ხარისხს ან პროპორციას; მიუთითებს ნივთთა წესრიგზე სამყაროში და მის სისტემურ ხასიათზე; ის გულისხმობს, რომ ღმერთმა ხილულ სამყაროს უბოძა გეგმური და სისტემური სტრუქტურა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბედისწერა არის შედეგი ღმერთის შემოქმედებითობისა იმ აზრით, რომ იგი ყოველ თავის შექმნილ ნივთზე ტოვებს კვალს.

...თავისი გეგმის განხორციელებამდე არქიტექტორი წინასწარ იზრახავს მომავალი კომპლექსის ზომებსა და კონსტრუქციას. ყურანში ამაზე ასეა ნათქვამი: „ჭეშმარიტად, ჩვენ ყოველი რამ შევქმენით ზომა-წონით" (54: 49). „ალაჰმა დაუდგინა ყველა საგანს ზომა" 65: 3). (გიორგი ლობჟანიძის თარგმანი). (იგნატი კრაჩკოვსკის თარგმანით 49-ე აია ასეა: Поистине, Мы ведь всякую вещь сотворили по мере! მესამე აია კი ასე: установил Аллах для каждой вещи меру.).

ყურანის მიხედვით, ტერმინი „წინასწარდადგენილება" (ყადა) აღნიშნავს გონიერ და ბუნებრივ აუცილებლობას, ნივთის წარმოშობის აღმნიშვნელ მიზეზს. ნათქვამი გულისხმობს, რომ ღვთიური ნება აღსრულდება მხოლოდ მაშინ თუ დადგენილი რაოდენობა, ნივთის პირობები და მიზეზები ეტოლებიან ერთმანეთს" (стр.171-2).

21-ე ლექციაში საიიდ მუსავი ლარი ამბობს: „ერთ-ერთი დასავლელი მოაზროვნე, რომელიც არასწორად განმარტავს წინასწარდადგენილებისა და წინასწარგანსაზღვრულობის კონცეფციას, არის ჟან პოლ სარტრი. ის მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ერთდროულად იწამო წინასწარდადგენილება და წინასწარგანსაზღვრულობა, ერთი მხრივ, და იწამო ადამიანის თავისუფლება, მეორე მხრივ. ამიტომ, მის (სარტრის – გ. გ.) მიხედვით, აუცილებელია ორიდან ერთის ამორჩევა: ან ღმრთისადმი რწმენა, ან ადამიანის თავისუფლება. ის (სარტ-

რი – გ. გ.) წერს: „თუ მწამს თავისუფლებისა, არ შემიძლია ვიწამო ღმერთი; თუ მწამს ღმერთისა, მე უნდა ვაღიარო ბედისწერის კონცეფცია და თუ მე ბედისწერას ვაღიარებ, მაშინ უარი უნდა ვთქვა თავისუფლებაზე. რადგანაც მე თავისუფლებას ვერთგულებ, არ შემიძლია ვიწამო ღმერთი“(стр.181).

საიიდ მუსავი ლარი მსჯელობს, რომ ერთი მხრივ ბედისწერის რწმენასა და მეორე მხრივ ადამიანის თავისუფლების რწმენას შორის არანაირი წინააღმდეგობა არაა. საიიდ მუსავი ლარის თქმით, მიიჩნევს რა ღვთის ნებას უნივერსულად, ყურანი კაცს ანიჭებს მოქმედების თავისუფლებას (იქვე).

მე ერთს ვიტყვი და ჩემი საიტის მკითხველსაც შეუძლია აზრი გამოთქვას ამ უცნაურ მოვლენაზე. ჰგონებ, რომ შენსას იქმ შენივე ნებით, შენი თავისუფალი ნებით აღასრულებ რაღაც განზრახვას და თურმე ეს ბედისწერა ყოფილა. მხოლოდ აღსრულების შემდეგ ინტუიციით სწვდები, რომ ასე გეწერა, რომ შენმა მოსაწევნმა მოაწია. ჰგონებდი, რომ ღვინო კეთილი შესვი და თურმე ისევ ძმარი გიხვრეპია. ბედისწერა თამაშობს შენთან. იმ თოჯინად გრძნობ თავს, მიმხცილ პლატონს რომ უთქვამს კაცზე თავის „კანონებში“. ეს შეგაძრწუნებს. ფრიად საძნელო და მზარავი საკითხია და მისი შესამეცნებლად მოხელთება თავისებური მეთოდის მოპოვებას საჭიროებს. სარტრს ბევრი დაუწერია კაცის თავისუფლებაზე. ის დიდი ფრანგი ათეისტების იდეური ძე არის. ის ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო თანამიმდევრული ათეისტი.

მხოლოდ ის გამოდგება ფილოსოფიის სარბიელზე, ვინც თავის თავზე იტყვის, რომ ის სვეუბედური თოჯინაა, ლეშის მანქანაა. ფილოსოფოსობაც ბედისწერაა. წიგნთა კითხვით კი არა, არამედ პრედესტინაციულად ანუ ბედის განზრახვით ხდები ფილოსოფოსი და ეგებები სრულ მარტოობას სამეცნავში. აზროვნების ნიჭი ის მრჩობლედი მადლია, რომელიც ბევრისთვის მაგიჟებელ ერინიად იქცა. სამღვთო წიგნების კითხვამ მცირედნი აღამაღლა და მრავალნი ჭკვას გადააცდინა. ეგრე არაა, რომ საფილოსოფიო თხზულებათა ჩხრეკა კაცს უთუოდ სულის მოსაგებად შეეწევა. ამის თქმას გაურბიან. რად არ იტყვიან, რამდენი დაასნეულა ფილოსოფიამ? მცირედნი არიან გამგებნი და ამას თავად იესუ იტყვის ბევრჯერ. ბრბოის კაცი ბედნიერი თოჯინაა და მის გულზვაობას სწორედ ეკლესიის სამოთნეო ჩიჩინი განამტკიცებს. ის ვერასოდეს იტყვის თავის თავზე, რომ თოჯინად ჰგიებს ამსოფლად, უსვეო და უეტლოა. კაცს მწუხრეულობა უხამს და სიცილით კი განვლის წუთისოფელს. ფილოსოფოსობა ბარაქაც (მადლი) არის და წყევლაც, შვებაც არის და ნაღველიც უნაღველესი. ფილოსოფია დიდი საცთურია, ბედის მიერ დაგებული მახეა კაცთა ცუდმედიდობის გასაცუდებლად. ფილოსოფია მაიას მეუფების გვირგვინია. ფილოსოფია ის მაგია და თეურგიაა, რომელიც კაცთ გულმოწყედ სინჯავს.

ქრისტიანობის გაჩენამდე პლატონთან დაეჯახა ერთმანეთს ღვთის ნება და კაცის თავისუფალი ნება. გვიანდელმა, დიდი დარდით შეპყრობილმა პლატონმა შეარყია ადრეული და შუა პერიოდის პლატონი. პლატონი დაღალა ღმერთების ძიებამ. ედმუნდ ჰუსერლის (1859-1938) მკაცრად რაციონალური ფენომენოლოგიიდან ამოსული მარტინ ჰაიდეგერი (1889-1976) ბოლოს ისევ იმის შემოტანასა და შემეცნებას ცდილობდა, რაც რაციონალური, კარტეზიანული ფილოსოფიის მიერ გაძევებული იყო. ჰუსერლის ნების წინააღმდეგ

ფენომენოლოგია განვითარდა ირაციონალიზმის მხარეს და ამან მოიპოვა მსოფლიო აღიარება. ჰუსერლისეულ ფენომენოლოგიურ ორთოდოქსიას დღემდე არ გამოსჩენია სახელშეძენილი გამგრძელებელი. ჰაიდეგერი ვერ იქნებოდა ჰაიდეგერი, რომ არა მისი დიდი დაშორება ჰუსერლისაგან. ქრისტიანულმა თეოლოგიამ გამოიყენა სწორედ ფენომენოლოგიის ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაცია და არა თავად ჰუსერლის ფენომენოლოგია, როგორც მკაცრი მეცნიერება. ეს არ გამოადგება ღვთისმეტყველებას. ორთოდოქსული ჰუსერლიანიზმი არ განტოტვილა. მან დღემდე ვერ ჰპოვა განვითარება. ეს ფენომენოლოგიის ბედისწერა იყო. გაძევებულმა პრედესტინაციულმა იდეამ ასე იძია შური ჰუსერლის ფენომენოლოგიაზე, როგორც ახალ კარტეზიანელობაზე და დიდებით დაბრუნდა ფილოსოფიაში. ეს იყო მარადიული იდეის ეშმაური რევანში ჰუსერლის საეპოქო ნაშრომებზე: Logische Untersuchungen I – II და Ideen zu einer reiner Phänomenologie und Phänomenologischen Philosophie.

დასასრულს ვიტყვი, რომ „ჰარი პოტერის“ ცუდი კრიტიკის გამო დაწერილ ჩემს ესსეში (2005 წ.) დავაყენე საკითხები, რომელთა განსახილველად აქამდე ვერვინ აღვძარი. სასულიერო აკადემიაში ნასწავლმა ორმა კაცმა, რომელთაგან ერთი მღვდელია, მეორე კი მწერალი და ფილოსოფოსი, სალიტერატურო გაზეთის ორ ნომერში ვეება წერილი გააშანშალეს ზღაპრის ავტორის, ჯოან როულინგის გასაქიაქებლად. მათ ვრცელ ნაკალმევში ერთი წინადადებაც არაა ხელმოსაჭიდი და ყურადსაღები. ამაოდ დაშვრა ორი კაცი, ვითომ მართლმადიდებლობასა და მის ღვთისმეტყველებას რომ იცავდნენ. სად ჩანს მათი სასულიერო აკადემიაში განსწავლულობა? ეს არის ტიპური ქართული მოვლენა. ამავე სალიტერატურო გაზეთში მისი რედაქტორის მიზეზით მე ხუთწინადადებიანი გამოხმაურებაც ვერ გამოვაქვეყნე. რედაქტორსაც სწორედ ეს მოჩვენებითი რჯულიერება ეთნებოდა. ასეა ქართული გამოცემების უმრავლესობა.

„ჰარი პოტერზე“ დაწერილ ესსეში დაყენებული საკითხების გაგრძელებაა ჩემი თერიონის ვარდი (2009 წ). დავსვი დიდი, აქამდე გამოუთქმელი კითხვები, რომელნიც დგანან თეოლოგიისა და ფილოსოფიის მიჯნაზე და ვერვინ ამყვა. ერთი რომელიმე თემის განხილვაშიც კი ვერვინ ამიბა მხარი. ვითომ ფილოსოფოსობენ, რაღაცას ეძებენ, ჟურნალისტებს ეთაღლითებიან და გაზეთებში ჭკუას აბნევენ. სხვა არც რა შეუძლიათ.

თარგმნა გოჩა გვასალიამ

✍ *კობა საყვარელიძე*

ვალდებულება, როგორც ნების გამოვლენა ხელშეკრულებებში

ხელშეკრულების ცნება თავისთავში შეიცავს ნების გამოვლენასა და ვალდებულებას. ხელშეკრულება ვალდებულებითი სამართლის ძირითადი ნაწილია. ის მიეკუთვნება იმ სახის იურიდიულ ვალდებულებებს, რომლის წარმოშობის წყაროს განაპირობებს ნება გამოვლენილი მხარეთა მიერ, რათა იქონიონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი.

ნების გამოვლენა წარმოადგენს უფრო ფართო შემეცნებას, ვიდრე ხელშეკრულებაა, რადგან ის თავის თავში შესაძლოა მოიცავდეს სულ სხვა მიზნებს და არ იყოს მიმართული ხელშეკრულების შექმნისაკენ. ნების გამოვლენა რიგ შემთხვევაში არ უკავშირდება იურიდიულ შედეგებს და საერთოდ არ გააჩნია სამართლებრივი მიზნები. მაგ.: დალოცვა, სადღეგრძელოს თქმა, მობოდიშება და სხვ. თუმცა მეორე მხრივ, არსებობს უამრავი იურიდიული ვალდებულებები, რომელთა საფუძველს წარმოადგენს მხარის მიერ ნების გამოვლინება. იგი მიღებულია მეორე მხარის მიერ, როგორც თანმხვედრი იურიდიული ინტერესი. იმ ვალდებულებებს შორისაც, რომლის წყაროს წარმოადგენს ნების გამოვლინება, არსებობს განსხვავება და ყველა მათგანი არ მიეკუთვნება სახელშეკრულებო სამართლის ნაწილს.

სახელშეკრულებო სამართალი აწესრიგებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს, იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან, სადაც ნების გამოვლენა და ვალდებულების აღება ურთიერთანმხვედრი ინტერესია კონკრეტული იურიდიული შედეგის მისაღწევად მხარეთა შორის.

მაშასადამე, ხელშეკრულების არსებობისათვის საჭიროა მხარეთა (ორი ან მეტი პირი) შორის გამოვლენილი ნება, ჰქონდეთ უფლებები და მოვალეობები მიაღწიონ სამართლებრივი შინაარსის ურთიერთობებს მისი წარმოშობის, შეწყვეტის ან შეცვლისათვის.

კერძო სამართლის სუბიექტები ხასიათდებიან ავტონომიურობის პრინციპით, რადგან თავად საზღვრავენ ულებებსა და მოვალეობებს, ურთიერთობის შინაარს და არიან თავისუფალი ყოველგვარი ჩარევისაგან სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული დებულება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი ურთიერთობის აბსოლუტური უკონტროლობა. შესაძლებლობა იმისა, რომ მოქალაქეებმა საკუთარი ნების გამოვლენის ხარჯზე, შეთანხმდნენ მათთვის მიუღებელ და საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველ ქმედებებზე არის დიდი. ამიტომ გარკვეულ საკითხებში სახელმწიფო

ადგენს ლიცენზიებს, ნებართვებს, მაგრამ ისე, რომ ავტონომიურობის პრინციპი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილესათვის არ იქნეს დარღვეული და იმავდროულად საზოგადოების ინტერესები იქნეს დაცული.

მხარეები თვითონ ირჩევენ ერთმანეთს ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ როდესაც პირს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, იგი ვალდებულია საქმიანობის ამ სფეროში დადოს ხელშეკრულება. იმავდროულად მას არ შეუძლია ყოველ ახალ ურთიერთობის მონაწილესთან საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ფასი. სახელმწიფოს მხრიდან არსებობს იმპერატიული მოთხოვნა. დასაბუთებული უარის თქმის შესახებ იმ პირებზე, რომლებიც საკუთარი საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ნივთებს და იგი უნდა შესრულდეს მეწარმე პირის მიერ.

ტერმინი ვალდებულება ხშირად გამოიყენება ყოფითი მნიშვნელობით. რაც შეეხება წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, იგი არის სამოქალაქო-სამართალურთიერთობის მონაწილის უფლება ,,obligatio". მხოლოდ მათ შეუძლიათ იქონიონ ამგვარი უფლება, რომელიც წარმოიშობა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან.

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ცალმხრივი გარიგებაც. მაგ.: საანდერძო დანაკისრი. საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს მემკვიდრესაგან ამ დანაკისრის შესრულება და მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს იგი. ვალდებულების წარმოშობას იწვევს ასევე ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ანდერძი და სხვ. იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ასევე იწვევენ ვალდებულების წარმოშობას მიეკუთვნება არასახელშეკრულებო ურთიერთობები, როგორიცაა დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.

ვალდებულება ჩვენს სინამდვილეში სხვადასხვა მნიშვნელობითაც იხმარება, ზოგჯერ, როგორც მავალდებულებელი ნორმა და იგი მიმართულია არა რომელიმე ურთიერთობის მონაწილის უფლების აღმნიშვნელ ცნებად, არამედ გვკარნახობს თუ, როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ შემთხვევაში, რისგან შევიკავოთ თავი, რომ ვართ ვალდებული არ მივცეთ ცრუ ჩვენება (მიმაჩნია, რომ ეს უფრო ჩვენი საზოგადოებრივი ვალია). დავუშვათ, ვართ ვალდებული, ვიყოთ პატიოსანი არ ხელვყოთ სხვისი საკუთრება და ასე შემდეგ. მაშინ, როდესაც რომაული ტერმინი ,,obligatio''' ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილის უფლებას მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ან თავი შეიკავოს მისგან. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს არის მხარეთა შორის ურთიერთობა – vinculum juris, (როგორც მას ეძახდნენ რომაელი იურისტები), რომელიც აერთიანებს მოვალეს კრედიტორთან ან ხელშეკრულების ერთ მხარეს მეორესთან. ეს არის მოვალისა და კრედიტორის სამართლებრივი კავშირი, მათი პასუხისმგებლობა და მოვალეობა. გარკვეული მოქმედების შესრულების ვალდებულება, რომელიც უმეტესწილად აქვს ურთიერთობის ორივე მხარეს. ასეთი ურთიერთობა ვერ შესრულდება ორივე მხარის შესაბამისი მოქმედების გარეშე. მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ ურთიერთობაში, ვალდებულების სუბიექტები ეწოდება.

რადგან კრედიტორის და მოვალის უფლება-მოვალეობანი მიმართულია გარკვეულ მოქმედებაზე ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე, ეს ურთიერთობები წარმოადგენენ ვალდებულების ობიექტს. სხვადასხვა ურთიერთობების შესაბამისად ობიექტები არიან განსხვავებული. მაგ.: ქონების გადაცემა, მომსახურეობის გაწევა, სამუშაოს შესრულება და ა. შ. ხოლო ვალდებულების შინაარს შეადგენს სუბიექტების უფლებები და ვალდებულებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ხელშეკრულება და ვალდებულება ურთიერთგანსხვავებული ინსტიტუტებია. ხელშეკრულება არის ორი ან მეტი პირის გარიგება სამართლებრივი მიზნის მისაღწევად და ამ მიზნის მიღწევის ძირითად საფუძველს ვალდებულება წარმოადგენს. რაც შეეხება ვალდებულებას მისი წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო, ისე არსახელშეკრულებო ურთიერთობები და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით ,,გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.” ნების გამოვლენას სამოქალაქო სამართალი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის უდიდეს უმრავლესობას, მაგრამ იმავდროულად განსაზღვრული პირობების დაცვასაც მოითხოვს. იმისათვის, რომ ურთიერთობამ სამართლებრივი შინაარსი შეიძინოს, მხოლოდ ნების გამოვლენა არაა საკმარისი. ნება უნდა იყოს იურიდიული ხასიათის, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

ნების გამომვლენს უნდა ესმოდეს მის მიერ გამოვლენილი ნების შინაარსი და შესაძლო სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია პირის გონივრული შესაძლებლობები, მისი ასაკი, ჯანმრთელობა და ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა. სწორედ ამგვარად გამოვლენილი ნება შეიძლება ჩაითვალოს ნამდილად და დაედოს საფუძვლად სამართლებრივ ურთიერთობებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულებაში წარმოდგენილი არიან მხარეები სათანადო უფლებებითა და მოვალეობებით. ამით განსხვავდება იგი ცალმხრივი გარიგებებისაგან. შესაბამისად, ვინაიდან ეს ურთიერთობა წესრიგდება ორ ან მეტ მხარეს შორის მისი სამართლებრივი ბუნება, შინაარსი და მიზნები გაცილებით უფრო რთული და საინტერესოა. სწორედ ამით აიხსნება ხელშეკრულებების განსაკუთრებული მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოებაში და ამიტომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ გადაწყვეტილებების როლი ძალზე დიდია.

ხელშეკრულების სუბიექტის მიერ გამოვლენილი ნება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სამართლებრივ ურთიერთობად თუ არსებობს მეორე მხარის მიერ თანმხვედრი ნება, ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. თუკი ურთიერთობის მონაწილეების სურვილი მიაღწიონ გარკვეულ შედეგს, მათ საერთო ძალისხმევას მოიცავს და შესაბამისად მათ მიერ გამოვლენილი ნება შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა ამას კონსესუსი ეწოდება, რომლის გარეშე ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.

ნების გამოვლენათა რაოდენობის მიუხედავათ ხელშეკრულებები შეიძლება დაიყოს ორმხრივ და ცალმხრივ ხელშეკრულებად. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ურთიერთობის სუბიექტებს შორის უფლებებისა და მოვალეობების განლაგებაზე. თუ ხელშეკრულებების მონაწილეებს მხოლოდ უფლებები აქვთ ან მხოლოდ მოვალეობები, ეს არის ცალმხრივი ხელშეკრულება. მაგ.: გამსესხებელს უფლება აქვს ასესხოს და მსესხებელმა ფული უნდა დააბრუნოს დათქმულ ვადაში.

ორმხრივია ხელშეკრულება, როცა თითოეულ მხარეს ერთდროულად აქვს, როგორც უფლებები ასევე მოვალეობებიც ანუ თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მოვალეც. მაგ.: ნასყიდობის ხელშეკრულება. გამყიდველს უფლება აქვს მიიღოს გაყიდული საქონლის ფასი და ვალდებულია გადასცეს მყიდველს ქონება. მყიდველი, თავის მხრივ ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ფასი და უფლება აქვს მიიღოს ქონება.

ხელშეკრულების დადების მომენტი მოიცავს მხარის მიერ წინადადების მიცემას – ოფერტი. ხოლო მეორე მხარის მიერ წინადადების მიღებას ანუ თანხმობას ოფერტზე, აქცეპტი ეწოდება. შესაბამისად ოფერენტისა და აქცეპტანტის მიერ გამოხატული ნება შესაძლოა იყოს მოწოდებული სხვადასხვა საშუალებებით. (სიტყვიერად, წერილობით, დეპეშით და ა. შ.). ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ნების გამოვლენა ხელშეკრულების დადების შესახებ მთავარია, რომ იყოს რეალური, აშკარა და განზრახვა უნდა იყოს მიმართული არა უბრალოდ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის შესახებ, არამედ შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას (არსებითად ჩაითვლება შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ფასზე, ვადაზე და ა. შ.). ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება წინადადება ნების გამოვლენად ანუ ოფერტად.

კერძო სამართლის ავტონომიურობის პრინციპს ჩვენ უკვე შევეხეთ და არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის წამმართველი ძალა არის ნება გამოხატული სუბიექტების მიერ, რასაც სახელშეკრულებო თვითბოჭვა ეწოდება. ამით ისინი დამოუკიდებლად სახელმწიფოსაგან, საკუთარი თავისუფლების ფარგლებს იბოჭავენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო თავისი აპარატით და მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი გამოცდილებით დგას გვერდით და მხოლოდ დავის შემთხვევაში გვკარნახობს ქცევის წესებს. თავისუფალი საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს საკუთრება და შესაბამისად მისი დაცვის მექანიზმები. არსებობს უამრავი ურთიერთობა ზეპირად გამოვლენილი ნების საფუძველზე, მაგრამ წარმოვიდგინოთ რა შეიძლება მოხდეს თუ კანონი არ დაადგენს შესაბამის ფორმებს გარკვეული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის და რა სავალალო დღეში შეიძლება აღმოჩნდეს საკუთრების პრეზუმცია. ამიტომ ჩვენს მიერ გამოვლენილი ნება, რომ ნამდვილი და ვარგისიანი იყოს, აუცილებელია დაცული იქნას კანონის მოთხონა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მიხედვით: ,,თუ კანონით ხელშეკრულობის ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ

ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ'' ე.ი. რიგ შემთხვევებში ნების ვარგისიანობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმის შესრულებაზეა დამოკიდებული. იმავდროულად ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად და ამისათვის კანონი არ ადგენს რაიმე ფორმას, თუმცა იგივე ხელშეკრულება, მხარეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ დადონ წერილობითი ფორმითაც.

სამოქალაქო სამართალი გვერდს არ უვლის ნების ისეთ გამოვლენას, როგორიცაა დუმილი და სხვა კონკლიუდენტური მოქმედებანი. დუმილი ნების გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა. ამიტომ იგი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში უკავშირდება სამართლებრივ შედეგებს. ხალხში გავრცელებული შეხედულებების თანახმად, დუმილი უარის აღმნიშვნელი მოქმედებაა, თუმცა არის შემთხვევები, როცა დუმილი ნების გამოვლენად ითვლება და ამას კანონი პირდაპირ ითვალისწინებს. ძირითადათ ნების ასეთ გამოვლინებას ადგილი აქვს სავაჭრო ტრადიციებიდან და ჩვეულებებიდან გამომდინარე, როცა ერთერთი მხარე მიიღებს ოფერტს იმ მხარისაგან, ვისთანაც იმყოფება საქმიან ურთიერთობაში, მან გონივრულ ვადაში უნდა უპასუხოს ამ წინადადებას. მისი დუმილი ურთიერთობის მეორე სუბიექტისათვის აღქმული იქნება, როგორც აქცეპტი. ამასთან ერთად დუმილი თანხმობად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა გარიგების მხარეები წინასწარ იყვნენ ამის შესახებ შეთანხმებული. ეს ნორმა თავის დროზე წარმოიშვა დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკისა და კომერციის წინსვლის დროს.

რაც შეეხება კონკლიუდენტურ მოქმედებას, იგი არის ნების გარეგნული გამოხატვა, რომელიც მიმართულია ნების რეალურ განხორციელებაზე. მაგ.: თუ ჩვენ შევედით მაღაზიაში, ავიღეთ რაიმე ნივთი და ჩავდექით მოლარესთან ფულის გადახდის რიგში, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ ნამდვილად გვსურს დავამყაროთ ურთიერთობა.

დაწესებულებების, სხვასდასხვა ოფისის, სავაჭრო ქსელის ზრდასთან ერთად უფრო მეტად ხდება სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების შემოთავაზება და ჩვენც მას დიდი დაფიქრების გარეშე ვღებულობთ. სწრაფი და ინტენსიური თანამედროვე ურთიერთობები გვაიძულებენ, რომ გამოვემშვიდობოთ კლასიკურ წარმოდგენას ხელშეკრულებაზე, თითქოს იგი ინდივიდუალური აქტი იყოს და ყოველთვის სახელშეკრულებო მოლაპარაკების შედეგად იდებოდეს.

სსკ-342 მუხლის თანახმად ,,ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე უდგენს მეორეს მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა''. მაგ.: თუ ელექტროენერგიის გამყიდველი მყიდველს უდგენს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფასს და მყიდველი ამას მიიღებს, მაშინ ეს პირობა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება. რაც შეეხება: ,,კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული და მათი შემვსები ნორმების დადგენა'' რასაც იგივე ნორმა ითვალისწინებს, მაგ: თუ მეწარმე თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავს, რომ გაყიდული

საქონლის ნაკლის აღმოჩენისას პრეტენზიები არ მიიღება, ეს იქნება განსხვავებული წესი, რადგან, თავად კანონი პრეტენზიის წარდგენის უფლებას იძლევა. ამასთან კანონმდებელი გვერდს ვერ უვლის უკვე ჩვენთვის კარგად ნაცნობ, სამართალ სუბიექტთა ურთიერთანმხვედრ ნების უპირატესობას და მას სტანდარტულ პირობებთან შედარებით მაღლა აყენებს. იმავე მუხლის მე-3 ნაწილში ვკითხულობთ: ,,უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით''.

რადგან სტანდარტული პირობები განისაზღვრება მხოლოდ ერთი მხარის მიერ, აუცილებელია მეორე მხარის ინტერესების დაცვა, რომელიც ამ პირობების განსაზღვრაში მონაწილეობას არ იღებს. ამიტომ კანონით ბათილად ჩაითვლება სტანდარტული პირობა თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

გარიგებათა და ხელშეკრულებათა ნორმების დადგენით სამოქალაქო სამართალი ამკვიდრებს თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპს. ,,ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.'' სსკ-54.

სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ხელშეკრულებათა ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება დაიდოს ისეთი ხელშეკრულებაც, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს. ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მოქალაქეების მხრიდან იმის გააზრებას. თუ რამდენად არის მათ მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივად ვარგისი. იწვევს თუ არა ნების ესა თუ ის გამოვლინება სამართლებრივ შედეგებს. მხარეები არ არიან დაზღვეული ისეთი შემთხვევებისაგან, როცა რომელიმეს მიერ გამოვლენილი ნება არასწორად იქნება აღქმული ან მხარეები ვერ გაითვალისწინებენ გარკვეულ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს. ,,ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვა სიტყვითი აზრიდან'' სსკ-52 მ. დღეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მომართულია მხარეთა ნამდვილი ნების დადგენისაკენ, ეს ნიშნავს იმას, რომ დადგენილი უნდა იქნას ის საერთო ნება, რომელიც მათ გარიგებას დაედო საფუძვლად. ამიტომ ხელშეკრულებათა განმარტების სწორი მეთოდიკის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესია ჩვენი საზოგადოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები.

✍ გელა ღვინეფაძე

ქართველური ენების ერთი ფენომენის შესახებ

(და მაგალითიც დილეტანტისა და პროფესიონალის თანამშრომლობის ეფექტიანობისა)

ცოტა შორიდან დავიწყოთ:

ლინგვისტიკის სპეციალისტებისათვის (და არა მარტო მათთვის) ცნობილია, რომ კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება – ფენომენი – გახლავთ ამ ენებში ერგატიული ბრუნვის არსებობა.

როდესაც *ენების ხეზე* მოგზაურობას ,,აქეთ'' ვაგრძელებთ და ქართველური ენების სამყაროს მოვადგებით, სავსებით ბუნებრივია, გაგვიჩნდეს მოლოდინი ამ მხრივ ნათესაური კავშირის დამადასტურებელი უფრო მეტი, კონკრეტული და რელიეფურად გამოკვეთილი მასალის აღმოჩენისა. მაგრამ ფაქტოლოგიური მონაცემების გაანალიზებისას ეს მოლოდინი, ერთი შეხედვით, არ მართლდება. თუმცა საქმე ის არის, რომ, სწორედ, ერთი შეხედვით...

თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით სულ ცოტა ერთი ახალი ჰიპოთეზის წამოყენება მაინც არის შესაძლებელი (აქვე შევნიშნავდით, რომ უცილებელი ჭეშმარიტების დადგენაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ).

კიდევ ერთი გადახვევა (საქმის ინტერესებიდან გამომდინარე):

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ყმაწვილი კაცისადმი მიმართვის შემდეგი დიალექტური ფორმები: აჭარული ,,ჭოვ'', მეგრული ,,წიე'' თუ კახური ,,ჯოო'' (რომელთაც ერთი ასო-ბგერაც კი არ მოეძებნებათ საერთო!) სათავეს იღებენ ბგერითი შედგენილობის მხრივ მათგან ასევე ფრიად განსხვავებული ,,ბიჭი'' ტერმინისაგან!

რაც შეეხება სტატიაში განსახილველ საკითხს, განსხვავებულობის მხრივ აქ კიდევ უფრო რთულ, შეიძლება ითქვას, დამაინტრიგებელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ისმება კითხვა: რომელი საერთო ძირიდან უნდა ამოზრდილიყვნენ ერგატიული ბრუნვის მეგრულ-ლაზური სუფიქსი ,,ქ'' და ქართული ,,მა''?!

კვლევა-ძიების გზაზე ჯერ პირველი ნაბიჯი გადავდგათ:

ცხადია, საკამათო არ უნდა იყოს მტკიცება – ,,-მა''-ს წინაპარია ბოლო საუკუნეებამდე შემორჩენილი ,,-მან'' სუფიქსი. ჩვენი ვარაუდით, იგი არის ნაწილი იმ სიტყვისა, რომელიც იწყებოდა საუკუნეების მანძილზე ამოვარდნილი და მეგრულის მიერ შემონახული ,,ქ'' ასოთი!

ლოგიკას მივყავართ დასკვნამდე – პროტოქართველებს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად თავდაპირველად გამწესებული უნდა ჰქონოდათ ტერმინი ქ მ ა ნ – სიტყვა, რომელსაც ქართულ ენაში საკმაოდ ბევრი ,,ბიძაშვილ-მამიდაშვილი'' მოეძებნება:

საქმე, ქმნა, იქამ (გავიხსენოთ – ,,რასა იქამ?''), ვვარაუდობთ – *ქიმუნჯიც.*

ეს ბოლო სიტყვა განსაკუთრებით იმ მხრივ არის საინტერესო, რომ იგი, ფაქტობრივად, ,,ხელის'' აღმნიშვნელია და სავსებით ლოგიკურია, ტერმინი ,,ქმედება'' სემანტიკურად სწორედ ,,ხელთან'' იმყოფებოდეს ,,შვილი-მშობელი'' ტიპის კავშირში.

აქვე უპრიანია ისიც გავიხსენოთ, რომ დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის მიერ შემუშავებული ენის წარმოშობის ერთ-ერთი თეორია, საკულტოსთან ერთად, სწორედ, ,,ჟესტების'' თეორია გახლდათ!

დაბოლოს, შეიძლებოდა, კიდევ უფრო შორს (სიღრმეში) წასვლა – პარალელები გვეძებნა ენათა სხვა ოჯახებშიც (მაგალითად, ინდოევროპულში), მაგრამ ჩვენთვის (ამ სფეროში დილეტანტი ავტორისათვის) ესეც საკმარისია. ამასთან, დარწმუნებული ვართ – თუ დარგის სპეციალისტები წინამდებარე სტატიაში საღ მარცვალს აღმოაჩენენ (რის იმედსაც ვიტოვებთ), მის გაღივებას და ნერგის აღმოცენება-გამოზრდისათვის ხელის შეწყობას ისინი ამ სტატიის ავტორზე უკეთ შეძლებენ.

P.S. ჩვენდა სასიხარულოდ, სტატიით დაინტერესდა ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალი, ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი ბადრი ცხადაძე, რომელმაც საფუძვლიანად გადაამუშავა ნაშრომი. ამასთან, მან სტატიაში არა მარტო შესწორებანი შეიტანა და სტილი დახვეწა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, წამოყენებული ჰიპოთეზა ახალი და ფრიად საფუძვლიანი არგუმენტებით გაამაგრა, რისთვისაც ბატონ ბადრის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

შედეგად, ჩვენი აზრით, თავისთავად საინტერესო სტატიამ ახალი განზომილებაც შეიძინა, რის გამოც ავტორმა საჭიროდ მიიჩნია მკითხველისათვის წარმოედგინა ორივე ვარიანტი: "ნედლი" მასალაც და მხარში ამომდგომი პროფესიონალის მიერ "განჩხრეკილ"-გამაგრებულიც – ნიმუში დილეტანტისა და მოკეთე პროფესიონალის მიერ უკვე ერთად მოწეული ნაყოფისა.

ქართველური ენების ერთი საერთო ფენომენის შესახებ

ცოტა შორიდან დავიწყოთ:

ლინგვისტიკის სპეციალისტებისათვის (და არა მარტო მათთვის) ცნობილია, რომ კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება – ფენომენი – გახლავთ ამ ენებში ერგატიული ბრუნვის არსებობა.

როდესაც ,,*ენების გენეალოგიურ ხეზე*'' მოგზაურობას "აქეთ", ამ მიმართულებით წარვმართავთ და ქართველური ენების სამყაროს კარს შევაღებთ, სავსებით ბუნებრივია, გაგვიჩნდეს ინტერესი ამ მხრივ – უფრო მეტი ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მასალის მოძიება-მიგნებისა, კონკრეტული და რელიეფურად გამოკვეთილი მასალის აღმოჩენისა, მაგრამ ფაქტოლოგიური მონაცემების გაანალიზებისას ეს მოლოდინი, ერთი შეხედვით, არ მართლდება. თუმცა საქმე ის არ არის, ჩვენ რომ ერთი შეხედვით გვგონია...

მაგრამ თუ საკითხს უფრო ჩავულრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ ამ მიმართულებით ახალი ჰიპოთეზის წამოყენება მაინც არის შესაძლებელი (აქვე შევნიშნავთ, რომ უცილებელი ჭეშმარიტების დადგენაზე პრეტენზია, ცხადია, არ გვაქვს).

კიდევ ერთი ,,ლირიკული'' გადახვევა (საქმის ინტერესებიდან გამომდინარე):

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ყმაწვილი კაცისადმი მიმართვის ისეთი დიალექტური ფორმები, როგორიცაა: აჭარული "ჭოვ", გურული ,,ბ[illegible]ჟო'', მეგრული "წიე" თუ კახური "ჯოუ" (რომელთაც თითქოს ერთი ასო-ბგერაც კი არ მოეძებნებათ საერთო), სათავეს ძველ ქართულ სამწერლობო ენაშივე დამკვიდრებული წარმოშობით სპარსული ,,ბიჭ'' ლექსემიდან იღებენ.

რაც შეეხება სტატიაში განსახილველ საკითხს, განსხვავებულობის მხრივ, აქ კიდევ უფრო რთულ, შეიძლება ითქვას, დამაინტრიგებელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – <u>დაისმის კითხვა</u>: რომელი საერთო ძირიდან უნდა ამოზრდილიყვნენ ერგატიული ბრუნვის მეგრულ-ლაზური სუფიქსი "ქ" და ქართული "მა" (//<_ მან) მარკერი?!

კვლევა-ძიების გზაზე ჯერ პირველი ნაბიჯი გადავდგათ:

ცხადია, საკამათო არ უნდა იყოს მტკიცება – "-მა"-ს წინაპარია ბოლო საუკუნეებამდე შემორჩენილი "-მან" სუფიქსი, რომელშიც, ჩვენი ვარაუდით, საუკუნეების მანძილზე ამოვარდა მეგრულში შემონახული "ქ" თავსართი!

შენიშვნა 1: სპეციალურ ლიტერატურაში ეს ქ ბრუნვის ნიშანი ნაწილაკისგან მიღებულად არის მიჩნეული (პროფ. მ. ხუბუა და სხვ.).

ლოგიკას მივყავართ დასკვნამდე – პროტოქართველებს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად, ჩვენი ვარაუდით, თავდაპირველად უნდა ჰქონოდათ სიტყვა-ტერმინი ქ მ ა ნ , რომელსაც ქართულ ენაში საკმაოდ ბევრი განაყარი სიტყვაფორმა ("ბიძაშვილ-მამიდაშვილი"!) მოეძებნება:

საქმე, ქმნა, იქამ (გავიხსენოთ ქართული ენის მთის დიალექტებისეული, კერძოდ, თუშური ,,რასა იქამ?, ხევსურული ,,მიქამენ', (შდრ. *ქიმუნჯი გამოთქმაში: ,,ქიმუნჯსა სცემს, ჰკრავს, უთავაზებს ... (ქიმუნჯის ცემა, კვრა...) მუშტსა სცემს, ჰკრავს, უთავაზებს''*, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეულის) მიხედვით ქართულ ენაში არცთუიშვიათად იხმარება და რომლის ეტიმოლოგია და თვით სიტყვის წარმომავლობა – უცხოურია თუ საკუთრივ ქართველური – უცნობია.

ჩვენი დაკვირვებით, ეს ბოლო სიტყვა (ქიმუნჯი) განსაკუთრებით იმ მხრივ არის საინტერესო, რომ იგი, ფაქტობრივად, ,,ხელის'' აღმნიშვნელია და სავსებით ლოგიკურია, რომ მისი შინაარსი თუ თავდაპირველი მნიშვნელობა –

,,ქმედება'' სემანტიკურად სწორედ ტერმინ ,,ხელთან'' იმყოფებოდეს ,,შვილი-მშობელი'' ტიპის კავშირში. შდრ. აგრეთვე ქართული ქიმ-ი, აქედან; ქიმუნჯ-ი; -უნჯ – მეგრული სიტყვასაწარმოებლი ბოლოსართი. თუ ჩვენი ვარაუდი სიმართლესთან ახლოსაა, მაშინ ქიმუნჯ ლექსემა ქართულ-კოლხური საერთო წარმომავლობის სიტყვად უნდა ვცნოთ.

შენიშვნა 2: აქ უპრიანია ისიც გავიხსენოთ, რომ დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის მიერ შემუშავებული ენის წარმოშობის ერთ-ერთი თეორია, საკულტოსთან ერთად, სწორედ, "ჟესტების" ანუ ჟესტ-მიმიკის თეორიაც გახლდათ!

დაბოლოს, შეიძლებოდა, კიდევ უფრო შორს (სიღრმეში) წასვლა – საძიებელ საკითხს და პრობლემას კიდევ უფრო ჩავრღმავებოდით, პარალელები გვეძებნა მსოფლიოს ენათა სხვა ოჯახებშიც (მაგალითად, ინდოევროპულში), მაგრამ ჩვენთვის (ამ სფეროში დილეტანტი ავტორისათვის), ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ამასთან, დარწმუნებული ვართ – თუ დარგის სპეციალისტები წინამდებარე სტატიაში საღ მარცვალს აღმოაჩენენ (რის იმედსაც ვიტოვებთ) – კვლევის მიმართულებას არ დაგვიწუნებენ, მის გაშლა-გაღვივებას და ნერგის აღმოცენება-გამოზრდისათვის საჭირო ენობრივ პროცედურებს ლინგვისტი მკვლევრები, ქართველოლოგები, კავკასიოლოგები ჩვენზე უკეთ შეძლებენ.

✍ ეკა როჭიკაშვილი
✍ გულნარა კოტრიკაძე

კომპანია Stonesoft–ის ვირტუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარი წესები და გადაწყვეტილებების გამოყენების თავისებურებები

ბაზარზე ვირტუალური ინფრასტრუქტურის გამოჩენის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკური გარემოს კომპონენტების შემდეგი დაუხვეწავობა:

- მოშორებული სერვერის რესურსების არაეფექტური გამოყენება;
- დიდი რაოდენობის სერვერების ექსპლოატაციის სირთულე;
- მასშტაბირების სირთულე (პრობლემის გადაწყვეტა ხდება მხოლოდ ახალი არჭურვილობის შეძენის გზით);
- მაღალი დაშვების მქონე ინფრასტრუქტურის ორგანიზების სირთულე;
- მოთხოვნები რესურსების ეკომონიაზე.

სერვერების ვირტუალურ ინფრასტრუქტურაში გადატანის გამო ფიზიკური გარემოსათვის დამახასიათებელ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციულ ამოცანებს დაემატა პრობლემები, რომლებიც განპირობებულია ვირტუალური გამოთვლების ორგანიზაციის თავისებურებებით. სერვერზე ვირტუალიზაციის სისტემის დაყენებისას წამოიჭრება „მეორეხარისხოვანი“ ამოცანები: ახალი ინფრასტრუქტურის კომპონენტების ურთიერთქმედების ორგანიზება, მონაცემთა შენახვა და სარეზერვო კოპირება, ვირტუალურ პლატფორმებზე მაღალი დაშვებისა და სერვისების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა. შედეგად ვირტუალურ გარემოში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ტრადიციულ საფრთხეებთან (ვირუსები, არასანქცირებული ნაკადები და ა.შ.) ბრძოლის გარდა გულისხმობს:

- ქსელური ნაკადების ვირტუალიზაციის გამო გართულებული მრავალსაზღვრიანი ქსელური დაცვის შექმნას;
- დაცვის ვირტუალური მოწყობილობების სიმრავლის მართვას;
- დაცვის საშუალებების და ინფრასტრუქტურის ინტეგრაციას;
- ნაკადების მართვის პოლიტიკის შექმნას.

Stonesoft-ის გადაწყვეტილებების გამოყენების თავისებურებები

კომპანია Stonesoft-ის პროდუქტები საშუალებას იძლევა გადაიჭრას ჩამოთვლილი პრობლემების დიდი ნაწილი. Gartner-ის სტატისტიკის თანახმად

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების 95%-ის გამომწვევია არაკორექტული გაწყობა, პროექტირება, მომსახურება და ა.შ. ვირტუალური გადაწყვეტილებების თავისებურებად ითვლება აგრეთვე ინფორმაციული ნაკადების დაყოფა და ჰიპერვიზორზე პოტენციური ზემოქმედება. პრობლემები, რომლებიც აქ წარმოიქმნება უმეტესად ურთიერთდაკავშირებულია: ვირტუალური ნაკადების გაყოფას ასრულებს კომპონენტი, რომელიც ინტეგრირებულია ჰიპერვიზორის დონეზე მყოფი დამმუშავებლების ჯაჭვში.

მაგალითად, თუ გავიხსენებთ ფართოდ გამოყენებულ დაცვის ქსელურ მოწყობილობებში (DVFilter API) გამოყენებულ VMsafe ტექნოლოგიებს, მასაც აქვს გამოყენების და შეზღუდვების საკუთარი სპეციფიკა. როდესაც დასანერგია ვირტუალური ინფრასტრუქტურის ანტივირუსული დაცვის კონსოლიდირებული გადაწყვეტილება, სრულიად საკმარისია არსებობდეს ერთი ვირტუალური მანქანა, რომელსაც შეეძლება „შეაღწიოს“ ყველა დანარჩენში მათი დისკების და მეხსიერების მდგომარეობის შემოწმების მიზნით. მაგრამ მარტივი აღარაა, როდესაც ლაპარაკია ქსელური პაკეტების მიღებაზე. ამისათვის DVFilter თავსდება vSwitch და Vnic-ს შორის. უფრო მეტიც, პირველ რიგში Fast Path-ზე უნდა განხორციელდეს პირველადი გაფილტვრა, ამიტომ წარმადობასა და უსაფრთხოების მაღალ დონეზე ლაპარაკი ზედმეტია – ამისათვის უნდა წავიდეთ Slow Path-ზე. ისევ მივდივართ ვირტუალური მანქანის (ან ფიზიკური მოწყობილობა, რომელიც ავსებს ვირტუალურ ინფრასტრუქტურას) კონცეფციამდე, რომელიც მუშაობს უსაფრთხოების რომელიმე პოლიტიკით და რეალიზებას უკეთებს მოცემულ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს.

პროექტირების დროს შეიძლება ჩვეულებრივი ვირტუალური მანქანის გამოყენება, რომელიც ჩაირთვება განშტოების წერტილში vSwitch-ებს შორის, ან უბრალოდ VLAN-ებს შორის (VMsafe ინტერფეისები მუშაობენ მხოლოდ VMWare 4.x-თან ან უფრო ახალ ვერსიებთან) ასე ვუცვლით მიმართულებას ტრაფიკს, შემდეგ საჭიროა მისი გაფილტვრა, ამისათვის კი საჭიროა სწორი გაწყობა. აქ მთავარ როლს თამაშობს ადამიანის ფაქტორი. მაშინაც კი, როცა ყველა ვირტუალური მანქანა ავტომატურად ხვდება ფილტრების მოქმედების ქვეშ, მათთვის უნდა გავითვალისწინოთ უაფრთხოების პოლიტიკა, შევქმნათ დაშვების წესები და ჟურნალირება, ჩავრთოთ ანგარიშში და ა.შ. პრობლემას უნდა შევხედოთ კომპლექსურად – ყველა მექანიზმი უნდა გამოვიყენოთ, როგორც ერთიანი სისტემა, რომლის შეღწევადობის ხარისხი განისაზღვრება ყველაზე სუსტი რგოლით.

კომპანია Stonesoft მიდგომა ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების აგებისადმი კონცეპტუალურად განსხვავებულია. Stonesoft გამორჩეულად აკეთებს აქცენტს ქსელური უსაფრთხოების სფეროში მომუშავე პროდუქტებზე, მათ შორის ვირტუალურ გარემოში. კომპანიის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ინფორმაციული უსაფრთხოების კომპლექსურ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლება მარტივად უზრუნველვყოთ დაცვის აუცილებელი დონე, როგორც პატარა, ასევე დიდი და გეოგრაფიულად გაბნეული კომპანიებისათვის. ამავე დროს გადაწყვეტილების ყველა ელემენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა ინტეგრირებული, მუშაობენ ცენტრალიზებული

მართვის და მონიტორინგის სისტემესთან, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვის საშუალებების მასშტაბირებას, იხ.ნახ.1.



ნახ. 1 გადაწყვეტილებების გამოყენება სხვადასხვა სეგმენტისათვის

ინფრასტრუქტურის აგებისადმი მიდგომის სპეციფიკიდან გამომდინრე, რომელიც მიმართულია ვირტუალურ გარემოში ინფორმაციული უსაფრთხოებისაკენ, Stonesoft-ს შეუძლია მოგვცეს შემდეგი უპირატესობები:

- მთელი ვირტუალური ინფრასტრუქტურის დაცვის საშუალებების ცენტრალიზებული მართვა;
- ვირტუალურ პლატფორმაში (vMotion, DRS და ა.შ.) ჩადებული შემსრულებელი მოწყობილობების კომპონენტებთან მაღალი დაშვება – როგორც ტექნოლოგიების გამოყენებით ასევე მის გარეშე;
- მოწყობილობების შექმნის და მმართველ კომპონენტებთან მუშაობის მოხერხებულობა და სიმარტივე;
- კონტროლის მაღალი ხარისხი და ინსპექციის სიღრმე.

ამრიგად ინფორმაციული უსაფრთხოების კომპლექსური სისტემის შექმნა, როგორც ფიზიკური, ისე ვირტუალური გარემოსათვის, Stonesoft-ის გადაწყვეტილებების ბაზაზე არ წარმოადგენს სირთულეს. გადაწყვეტილების გასაშვებად (უმეტეს შემთხვევაში) უნდა შესრულდეს შემდეგი მოქმედებები:

- გამზადებული virtual appliance-ების იმპორტი ინფრასტრუქტურაში;
- SMC სისტემის ინსტალირება;
- შემსრულებელი მოწყობილობების ავტომატური ინსტალირება;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დადგენა საინფორმაციო ნაკადების დეტექტირებისათვის;

- სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება ტრაფიკის მიმდინარეობის შესახებ (ხდება ავტომატურად) და აუცილებლობის შემთხვევაში მაკორექტირებელი მოქმედებების შეტანა (ამისათვის არსებობს ავტომატიზებული ინსტრუმენტები).

ასეთ ავტომატიზებულ პროცესს მთელი ინფრასტრუქტურისათვის საათზე ნაკლები ჭირდება. დანერგვის შედეგი კი არის ქსელური უსაფრთხოების მთლიანად მართვადი მრავალსაზღვრიანი სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ის რისი რეალიზებაც შესაძლებელია ჰოსტზე სპეციალიზებული უაგენტო ტექნოლოგიების საშუალებით და პლატფორმის მიერ შეთავაზებული API-ინტერფეისების გამოყენებით, ნაწილობრივ შეუძლებელია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა მოითხოვება გამავალი ტრაფიკის კონტროლი, მარშრუტიზაცია, ტრანსლაცია/მისამართების დამალვა და/ან რესურსების სეგმენტაცია. განსაკუთრებით რთულია კონსოლიდირებული ან განაწილებული სეგმენტებისთვის პოლიტიკების შექმნა და მართვა, ისევე როგორც ინფორმაციული ნაკადების მართვა და კონტროლი. ამ ამოცანების ეფექტური გადაჭრა ყოველთვის იყო კომპანიის Stonesoft პრიორიტეტული მიმართულება.

ვირტუალური გარემოს მიმართ განსაკუთრებული მიდგომა გვკარნახობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარ წესებს. სერვერების ვირტუალურ ინფრასტრუქტურაში გადატანის გამო, ფიზიკური გარემოსათვის დამახასიათებელ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციულ ამოცანებს დაემატა პრობლემები, რომლებიც განპირობებულია ვირტუალური გამოთვლების ორგანიზაციის თავისებურებებით. კომპანია Stonesoft-ის პროდუქტები საშუალებას იძლევა გადაიჭრას პრობლემების დიდი ნაწილი. კომპანია Stonesoft მიდგომა ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების აგებისადმი კონცეპტუალურად განსხვავებულია. განსაკუთრებით რთულია კონსოლიდირებული ან განაწილებული სეგმენტებისთვის პოლიტიკების შექმნა და მართვა, ისევე როგორც ინფორმაციული ნაკადების მართვა და კონტროლი. ამ ამოცანების ეფექტური გადაჭრა ყოველთვის იყო კომპანიის Stonesoft პრიორიტეტული მიმართულება.

EKATERINE ROCHIKASHVILI
GULNARA KOTRIKADZE

PERSONAL RULES AND PROPERTIES OF DECISION-MAKING ENSURING VIRTUAL SAFETY OF THE COMPANY STONESOFT

Summary

Special approaches to the organization of the virtual environment dictate also the rules on safety. Thus, to traditional problems of safety, originally characteristic for the physical environment, at transfer of servers in virtual

infrastructure were added also the problems relating to features of the organization of virtual calculations. Products of the Stonesoft company allow to solve if not everything, many to a problem. The Stonesoft company approach conceptually differs from approaches of other vendors to construction and support of systems of information security. Especially difficult creation and management of politicians for the consolidated or distributed segments, no less than control and management of information streams are represented. Let's note that the effective solution of these tasks always was the priority direction of the Stonesoft company.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.gartner.com/technology/research.jsp;
2. *Research* Magic Quadrants Hype Cycles;
3. www.uc.edu/ucit/gartner/default.html;
4. http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/977040 ;
5. www.xisec.com ;
6. http://www.sans.org/newlook/resources/policies.htm ;
7. www.appsecinc.com.

✍ *მურად შონია*

ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი

ადამიანი თავისი ბუნებით უნიკალური ანუ გამორჩეული არსებაა. იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, გვირგვინია მთელი ქმნილებისა. ამიტომაც ძალიან ძნელია მისი განსაზღვრება. ბუნებრივიცაა, რაც ყველაზე რთულია ამქვეყნად, ის ყველაზე რთულია განსასაზღვრადაც, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანის განსაზღვრება საერთოდ შეუძლებელი იყოს. და ეს, მართლაც, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ერთგვარ, თუ ასე შეიძლება ითქვას, «ანთროპოლოგიურ აგნოსტიციზმში» ჩავვარდებოდით. აგნოსტიციზმი საერთოდ ხომ შემეცნების შეუძლებლობის თეორიაა, ხოლო ჩვენს შემთხვევაში «ანთროპოლოგიური აგნოსტიციზმი» კი, კერძოდ, ადამიანის შეუმეცნებადობის თეორია გამოგვივიდოდა, რაც, რა თქმა უნდა, ისევე როგორც საერთოდ აგნოსტიციზმის, ასევე, კერძოდ, ანთროპოლოგიური აგნოსტიციზმის შემთხვევაშიაც უაზრობამდე (აბსურდამდე) მიგვიყვანდა. და, მართლაც, აგნოსტიციზმი «ულოგიკო», აბსურდული რამ თეორიაა, ვინაიდან შემეცნების შეუძლებლობის მტკიცებაც კი ხომ უკვე შემეცნებაა. თუმცა სხვა საკითხია ისიც, რომ ადამიანის განსაზღვრება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და ეს, როგორც უკვე ითქვა, თავად ადამიანის ურთულესი ბუნებითაა განპირობებული.

დასტურად იმისა, რომ ადამიანის განსაზღვრება, ანუ მისი არსების დადგენა მეტად რთული საქმეა, ისიც კმარა, რომ არსებობს ადამიანის განსაზღვრების უამრავი ცდა. ჩვენ მათ, რა თქმა უნდა, ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ზოგ მათგანს, ყველაზე უფრო გავრცელებულს მაინც დავასახელებთ და გავარჩევთ. ასე, მაგალითად, ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცნობილია ადამიანის ცნების განსაზღვრება ვითარცა გონიერი არსებისა, ანდა ვითარცა თავისუფალი არსებისა, ანდა ვითარცა მორალური არსებისა, ანდა ვითარცა რელიგიური არსებისა, ვითარცა მწარმოებელი არსებისა და ა.შ

აღნიშნული განმარტებების თაობაზე უნდა ითქვას, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ არც ერთი მათგანი არ არის მცდარი ადამიანის ერთი რომელიმე კუთხით განსაზღვრების მხრივ და ამგვარი განსაზღვრებანი ლოგიკურად მთლად მიუღებელი როდია, მაგრამ ეს განმარტებანი, ჯერ ერთი, ნაწილობრივი განმარტებანია, და მეორეც, ეს განმარტებანი ნამდვილად სპეციფიკური, თავისებური განმარტებანი ყველა შემთხვევაში როდია.

ეს უკანასკნელი ანუ ადამიანის არსებულ განმარტებათა «არასპეციფიკურობა» ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული თავისებურებანი მხოლოდ ადამიანისათვის როდია დამახასიათებელი, არამედ ანგელოზისთვისაც და უფლისთვისაც.

ასე რომ, მიუხედავად გარკვეული პლუსებისა, ეს განმარტებანი მინუსებსაც შეიცავს და ცნების განსაზღვრების ლოგიკურ მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. ისინი მათ მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, უპირველეს ყოვლისა, რომ ეს განმარტებანი, მართლაც გადმოსცემენ ადამიანის ამა თუ იმ სწორ ნიშან-თვისებებს, ამასთან არსებითს, მაგრამ მაინც ნაწილობრივს. და გარდა ამისა, ეს განმარტებანი ვერ გადმოსცემს მთლად სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს ადამიანისას, თუმცა ნაწილობრივ კი გადმოსცემს მათ.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ჩვენ სხვა გზა ვეძიოთ და ადამიანის ცნების სრულყოფილი განმარტებისათვის დავძლიოთ ეს ორი ნაკლი ადამიანის ცნების აღნიშნული გარკვეულწილად ნაკლოვანი განმარტებებისა. ამაში კი ისევ ფილოსოფიურ ლიტერატურაში დიდი ხნიდან ხსენებული ადამიანის ცნების ის დახასიათებანი ერთხელ კიდევ წინ წამოვწიოთ, რომელთა თანახმადაც «ადამიანი მიკროკოსმოსია» და, აი, ეს დახასიათება ადამიანის ცნების გაბატონებულ განმარტებათა შორის ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე სწორ განმარტებად ადამიანისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი სხვა გაბატონებული განსაზღვრება ადამიანისა არ აკმაყოფილებს ადამიანის ცნების განსაზღვრების ლოგიკურ მოთხოვნებს იმგვარად სრულად და ზედმიწევნით, როგორც სწორედ ეს დახასიათება. ამიტომაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ცნების განმარტებათაგან ამდენად შევაჩერებთ სწორედ ამ განმარტებაზე.

ის, რომ ადამიანი მიკროკოსმოსია, ამგვარი დახასიათება მისი, როგორც ვთქვით, დიდი ხანია არსებობს და მას, ამგვარ დახასიათებას მისას ჯერ კიდევ თუნდაც დემოკრიტესთან ვხვდებით. ამბობენ, რომ ეს ტერმინი (სახელწოდება) «მიკროკოსმოსი» პირველად ანტიკურ ფილოსოფიაში თურმე სწორედ დემოკრიტეს გამოუყენებია [1, 354]. მაგრამ ეს მოსაზრება ადამიანზე, როგორც მიკროკოსმოსზე, მანამდეც არსებობდა. ამგვარი მოსაზრება მრავალ მოაზროვნესთან გვხვდება და იგი გამოკვეთილად თან გასდევს მთელ ფილოსოფიას. ადამიანი ამ მოსაზრების თანახმად თავის თავში იმეორებს მთელი კოსმოსის (სოფლის) ელემენტებს. იგი, ამ მოსაზრების თანახმად, ერთგვარ «კვინტესენციას», «კონცენტრაციას» წარმოადგენს კოსმოსისას მასში. ამ შემთხვევაში ზოგჯერ გამოიყენება ამგვარი ტერმინი: «კოსმოსი მინიატურაში». მაგალითად, ჯერ კიდევ ორიგენე ამბობდა, რომ კაცი ეს «სხვა მსოფლშენობაა მინიატურაში» [2]. პ. ნატორპი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ «ადამიანი ნამდვილად მიკროკოსმოსია, მსოფლიოა მინიატურაში, თითქოსდა კონცენტრირებული ერთს პუნქტში» [3, 118-119]. და მართლაც, ადამიანი ერთგვარი მინიატურული კოსმოსია, როგორც ამას აღნიშნავენ ფილოსოფოსები.

მაგრამ ტერმინობრივი სიზუსტისათვის უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა არა ტერმინი «მიკროკოსმოსი», არამედ «მიკროუნივერსუმი», ვინაიდან კოსმოსი მხოლოდ ნაწილია მთელი უნივერსუმისა და მასში მხოლოდ მისი მატერიალური ნაწილი იგულისხმება. ადამიანი კი სინამდვილეში უფრო მეტია და იგი კოსმიურის გარდა მოიცავს არაკოსმიურსაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უფრო სწორია ხმარება ტერმინისა «მცირე სოფელი». აქ სოფელი მოიცავს ყოველგვარ სფეროს არსისას, როგორც ამქვეყნიურს, ანუ კოსმიურს, ისე

იმქვეყნიურსაც, ანუ ზეკოსმიურსაც. «სოფელი» ქართულ მსოფლმხედველობაში ხომ ორივე პლანს იტევს, როგორც ამსოფლიურს, ისე იმსოფლიურსაც. ასე რომ, ადამიანი, ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიით, არის «მცირე სოფელი», რაც ადამიანის დასახასიათებლად ზედმიწევნით სრული გამოდის, ხოლო ის, რომ ადამიანი ეს მცირე «სოფელია» და არა მცირე «კოსმოსი», იქიდანაც ჩანს, რომ ადამიანი ფილოსოფიური თვალსაზრით თავისთავში მოიცავს მთელი ყოფიერების ყველა პლანს (განასერს). ესენი კია: მინერალური, მცენარეული, ცხოველური, საკუთრივ ადამიანური, ანგელოზური, ღვთაებრივი სფეროები ყოფიერებისა. სხვა სიტყვებით, ადამიანში ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ კოსმოსის, არამედ უფრო მეტის, საერთოდ მთელი უნივერსუმის კონცენტრირებული სავსეობა. სწორედ ამის გამო ვთვლით ჩვენ, რომ ადამიანი უფრო სრულად მიკროუნივერსუმია და არა მიკროკოსმოსი, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აგრეთვე მიკროკოსმოსი. განა ისიც, რომ ადამიანი მიკროკოსმოსია სწორი არაა. ესეც, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ უფრო სწორია, რომ ადამიანი მიკროუნივერსუმია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ადამიანის განსაზღვრავენ როგორც მიკროკოსმოსს, ამ მიკროკოსმოსში სწორედ მიკროუნივერსუმს გულისხმობენ, ესე იგი კოსმოსის ცნება ამ შემთხვევაში გაფართოებული მნიშვნელობით, კერძოდ კი, მთელი ყოფიერების მნიშვნელობით აქვთ აღებული. მაგრამ ესეც ხომ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ უფრო სრული ადამიანის როგორც სწორედ მიკროუნივერსუმის და არა საკუთრივ მიკროკოსმოსის მნიშვნელობით განსაზღვრება უფრო სრულია და სწორი.

ის. რომ ადამიანი საერთოდ «მცირე სოფელია», განსაზღვრებად ზუსტად ამავე ტერმინოლოგიით ქართული სამართლის ერთ-ერთ უღირსშესანიშნავეს ძეგლში – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინებაშია დაფიქსირებული [4, 176]. ამ ძეგლს კი ისტორიკოსები არსენ ბერს – არსენ მონაზონს მიაწერენ, ხოლო მასში კი არსენ იყალთოელს მოიაზრებენ.

ამ ძეგლში, რომელიც 1103 წელსაა შედგენილი, «კაცთან ვითარცა მცირე სოფელთან» დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ იგი, ე.ი. ადამიანი ესაა «ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა» და ,,ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა» «საკრველი» [4, 176] ანუ, ჩვენს თანამედროვე ენაზე, – ყოველივე ხილულისა და უხილავის, ზეგრძნობადისა და გრძნობადის შემაკავშირებელი, ანუ კავშირი. და მართლაც, ყოველგვარ ქმნილებას შორის მხოლოდ ადამიანი შექმნა ღმერთმა ყოფიერების ყოველი სფეროს ელემენტთა შემაკავშირებლად.

რომ უფრო ნათელი გახდეს ადამიანის ვითარცა მცირე სოფლის ანუ მიკროუნივერსუმის იდეა (აზრი), უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის ქმნილებთაგან მხოლოდ და მხოლოდ, ანუ ერთადერთი მხოლოდ ადამიანი აერთიანებს თავისთავში ღვთაებრივსაც, ანგელოზურსაც, საკუთრივ ადამიანურსაც, ცხოველურსაც, მცენარეულსაც, მინერალურსაც. რაც შეეხება მინერალურს, იგი მხოლოდ საკუთრივ მინერალურს შეიცავს, მცენარეული – საკუთრივ მცენარეულს და მინერალურს, ცხოველური – საკუთრივ ცხოველურს, მცენარეულსა და მინერალურს, ხოლო რაც შეეხება ანგელოსსა და ღმერთს, ანგელოზი – საკუთრივ ანგელოზურსა და ღვთაებრივს, და ღმერთი – ერთადერთი – მხოლოდ

და მხოლოდ საკუთრივ ღვთაებრივს (ამიტომაც არის ღმერთი აბსულუტურად წმინდა არსება, მასში არაფერია არააბსოლუტური).

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ადამიანი თავისთავში აერთიანებს ზეციურსაც და ქვეყნიურსაც, სულიერსაც და ხორციელსაც, უხილავსაც და ხილულსაც. ასე რომ, იგი ერთადერთი ქმნილებათა შორის არის, მართლაც, «გვირგვინი ქმნილებისა», იგი არის «შუაგული» (ცენტრი) ქმნილებისა.

ასეთია ადამიანის განსაკუთრებული ადგილი ქმნილებაში. და ეს ადგილი მას მხოლოდ და არვის სხვას განუწესა სწორედ ღმერთმა, რომელიც არის უკვე საწყისი ყოველივესი, როგორც ქმნილების მიღმური (ტრანსცენდენტური) არსება.

როგორც აღნიშნული ანალიზიდან ჩანს, ერთადერთი რელატიურ (ფარდობით) არსებათაგან, რომელიც კი ღმერთმა შექმნა, მხოლოდ ადამიანია ერთგვარად «სრული» არსება იმ აზრით, რომ სწორედ იგია მხოლოდ «მცირე სოფელი» ანუ შემცველი თავისთავში ყოფიერების ყოველი ასპექტისა. ამ მხრივ იგი ერთადერთია მართლაც თავისი უნიკალურობით ანუ გამორჩეულობით ღვთაებრივ ქმნილებათა შორის და არა მარტო ქმნილებათა შორის, არამედ საერთოდაც, ვინაიდან ღმერთი როგორც შემოქმედი უკვე არის აბსოლუტური არსება და იგი იმდენად წმინდაა, რომ არაფერს საკუთარ თავში არ შეიცავს, გარდა საკუთარი თავისა. ამ მხრივ კი იგი, რა თქმა უნდა, მიკროუნივერსუმი თუ მიკროკოსმოსი ვერ იქნება. ეს ფორმულა მას არ მიუდგება. ეს უაზრობა იქნებოდა. ამ მხრივ ეს ფორმულა მიკროუნივერსუმობისა თუ მიკროკოსმოსობისა ნამდვილად რომ სწორედ მხოლოდ ადამიანს მიუდგება.

თეზისს თუ ფორმულას იმის თაობაზე, რომ ადამიანი (ანთროპოსი) ეს მიკროუნივერსუმია თუ მიკროკოსმოსია იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სპეციფიკის დასახასიათებლად, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია იგი ადამიანის ცნების განსაზღვრების ყველა არსებულ ცდას შორის ყველაზე უფრო სწორად, და, უფრო მეტიც, ერთადერთ სწორ ცდად მივიჩნიოთ.

საქმე ის არის, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ადამიანის ცნების, მართლაც, იმდენად ბევრი ცდა იქნა შემუშავებული, რომ ვერც ერთი მათგანი ბოლოსდაბოლოს სრულად ვერ აკმაყოფილებს ადამიანის ცნების განსაზღვრების ლოგიკურ წესებს. ყველა მათგანი, მართალია, მეტ-ნაკლებად გადმოგვცემს ადამიანის ცნების ამა თუ იმ აუცილებელ ნიშან-თვისებას, მაგრამ ისინი მაინც ვერ იძლევიან მის საკმარის დახასიათებას. ხოლო ცნების განსაზღვრების საერთო ლოგიკური წესით კი ცნების განსაზღვრება ნიშნავს მისი არსებითი ანუ როგორც აუცილებელი, ისე საკმარისი ნიშან-თვისებების გამოყოფას. ე.ი. ცნების განსაზღვრებისათვის საჭიროა შეირჩეს ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც მის სპეციფიკურ თავისებურებებს აირეკლავს, რომლებითაც იგი განსხვავებული იქნება ნებისმიერი სხვა რამისაგან. ხოლო ადამიანის ცნების განსაზღვრებად იმგვარი დახასიათებანი მისი, როგორიცაა მაგალითად: ადამიანი გონიერი არსება; ადამიანი – თავისუფალი არსება; ადამიანი – ბიოსოციალური არსება; ადამიანი – მწარმოებელი არსება; ადამიანი – რელიგიური არსება; ადამიანი – მორალური არსება და ა.შ და ა.შ. ჩვენის აზრით, ზუსტად ვერ არეკლავენ ადამიანის მართლაც უნიკალურ სპეციფიკას მთელი თავისი სისავსით, ვინაი-

დან ყველაფერი ეს სწორი კია, მაგრამ არცერთი მათგანი მაინც არ გადმოსცემს ადამიანის არსებას სრულად. გარდა ამისა, ეს ფორმულირებანი ყველა როდია სპეციფიკური დახასიათებანი ადამიანისა, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

ადამიანის ცნების განსაზღვრების აღნიშნულ ორ ნაკლოვანებასთან დაკავშირებით ზოგადად უნდა აღინიშნოს ის, რომ ადამიანის ცნების განსაზღვრება, ჯერ ერთი, სპეციფიკური უნდა იყოს, და მეორეც, - ამომწურავი. ეს და ამგვარი განსაზღვრებანი ამ პირობებს ვერ აკმაყოფილებენ. ასე მაგალითად, ადამიანის ცნების განსაზღვრება ფორმულით «ადამიანი გონიერი არსებაა» ვერ გამოდგება, ვინაიდან გონიერი მხოლოდ ადამიანი როდია, არამედ ანგელოზიცა და ღმერთიც, ამასთან უფრო მეტის ძალით და, გარდა ამისა, გონიერება ეს მხოლოდ ერთი ასპექტია ადამიანისა და იგი უამრავი სხვა ასპექტისგანაც შედგება. მსგავსივე ითქმის სხვა ფორმულებზედაც განსხვავებული ნიუანსით – ან ერთი კუთხით, ან მეორე კუთხით, ანდა ორივე კუთხით ერთად.

და მაინც, შედარებით სხვებთან ამდაგვარ განსაზღვრებათაგან ყველაზე უფრო სწორი გვგონია ესეთი განმარტებანი. მაგალითად, «ადამიანი ბიოსოციალური არსებაა», ანდა «ადამიანი სულიერ-ხორციელი არსებაა», მაგრამ ეს განმარტებანიც ვერ იქნება ამომწურავი, ვინაიდან თავიანთი აბსტრაქტულობით მაინც ვერ იტვირთებს ადამიანური ფენომენის მთელ სისავსეს. ასე რომ, ადამიანის დახასიათება, ვითარცა უნივერსუმისა თავისი კონკრეტულობითაც კი უსრულესი განმარტება იქნება ადამიანის ცნებისა და ასეთი განსაზღვრება ადამიანისა უკვე შემცველი აღმოჩნდებოდა ყველა ზემოაღნიშნული დახასიათებისა.

ამრიგად, იმაზე სრულყოფილი განსაზღვრება ადამიანის ცნებისა, ვიდრე ესაა «ადამიანი, როგორც მიკროუნივერსუმი», ტრადიციული ტერმინოლოგიით კი – ,,ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი», აღნიშნულ გაბატონებულ განსაზღვრებათა შორის, ჩვენის აზრით, არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ადამიანის ცნების განსაზღვრება, როგორც მიკროუნივერსუმისა მის მთელს საიდუმლოს გათქვამს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს ფორმულა ადამიანის მთელს საიდუმლოს შედარებით ყველა აღნიშნულ დახასიათებათა შორის შედარებით ყველაზე სრულად არეკლავს.

ადამიანი, როგორც მიკროუნივერსუმი თუ მიკროკოსმოსი მთელი უნივერსუმისა თუ კოსმოსის «გასაღებია». ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, ეს ნიშან-თვისება მისი არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ყოფიერების წვდომის საშუალებას იძლევა, ვინაიდან თუ ადამიანი, იგივე «მეორე სოფელია», თუმცა კი მცირე, მისი შემეცნება თავად ყოფიერების შემეცნებაც იქნება. ასევე პირიქით, მთელი ყოფიერების ანუ «დიდი სოფლის» შემეცნება გარკვეულწილად განა თავად ადამიანის შემეცნებაც არ იქნებოდა? და ეს იმიტომ, რომ ყოფიერებასა და ადამიანს, როგორც დიდსა და მცირე სოფელს შორის უფრო მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. მსგავსება აქ თვისობრივია, განსხვავება მხოლოდ – რაოდენობრივი, ხოლო მსგავსით მსგავსი შეიცნობა. ესაა აქ მთავარი, ხოლო სწორედ ის მდგომარეობა, რომ ყოფიერებასა და ადამიანს შორის ონტოლოგიურად (ყოფი-

ერების შესახებ მოძღვრების კუთხით) მსგავსებაა, სწორედ ეს იძლევა იმის საშუალებასაც, რომ გნოსეოლოგიურადაც (შემეცნების თეორიის კუთხითაც) ერთის შემეცნება მეორის შემეცნებით იქნება შესაძლებელი.

ადამიანი მიკროუნივერსუმია, მიკროკოსმოსია და ეს დებულება (თეზისი) მსოფლიო ფილოსოფიის უძვირფასესი მონაპოვარია, ვინაიდან იგი, ეს თეზისი გვძენს ყველაზე მეტს ადამიანის თაობაზე, რასაც ვერ გვაძლევს ყველა ერთად აღებული აღნიშნული განსაზღვრებაც კი მისი. ეს განმარტება ამ მხრივ ერთგვარი შემაჯამებელი (მასუმირებელი), მასინთეზირებელი ფორმულაა ადამიანის შესახებ ფილოსოფიური ცოდნისა.

MURAD SHONIA

HUMAN AS MICROCOSM

Summary

There are all kinds of human's definitions in the history of philosophy. But all of them, except one, are "one-sided" and, therefore, imperfect. The most "all-round" and, therefore, perfect definition is the human's definition as of microcosm, since namely this definition contains maximum possible quantity and quality of human phenomenon.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аверинцев С., Попов Ю., Гальцева И., Спиркин А. Философская антропология. - Философская энциклопедия /Гл. ред. Ф. Константинов. Т.5. М., 1970.
2. Микрокосм. – ru.wikipedia.org/wiki/ Микрокосм.
3. Наторп П. Культура народа и культура личности. СПб.,1912.
4. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. – წიგნში: გაბიძაშვილი ე. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა). თბ., 1978.

✍ დემურ კახურაშვილი

შესავლის მაგიერ

მე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, დემურ კახურაშვილმა სპეციალური 260-გვერდიანი მონოგრაფია მივუძღვენი გამოჩენილ მეცნიერსა და მოაზროვნეს, მათემატიკოსს ბლეზ პასკალს (1623-1662), რომელსაც ,,პასკალიანა" ვუწოდე. გთავაზობთ ერთ-ერთ თავს (თავი მეხუთე) ამ მონოგრაფიიდან, რომელსაც ,,პასკალი -მეცნიერი" ჰქვია.

პასკალი-მეცნიერი

მეცნიერების რაობა და ისტორია
ყველა მეცნიერება, არსებითად, უსასრულოა
თავისი კვლევის საგანთან მიმართებით.

„აზრები", 57.

„კაცის უმთავრესი სნეულება (დღეს ვიტყოდით: ღირსება! – დ. კ.) – ესაა მისი დაუოკებელი ცნობისწადილი ყოველივე იმის მიმართ, რისი შეცნობაც მის ძალ-ღონეს აღემატება," „აზრები", 15. პასკალის მიერ აღმოჩენილი „სნეულება" – ცნობისწადილი პროგრესის მამოძრავებელი ძალაა; რომ არა ეს „სნეულება", ცივილიზაცია არ შედგებოდა,- ჩვენ პითეკანტროფის დონეზე დავრჩებოდით. რაც მეტი ცნობისწადილით „დაავადებული" გვეყოლება, მით უკეთესი ცივილიზაციისთვის! ნეტავი ეს „სენი" ისეთი გადამდები იყოს, რომ მთელ კაცობრიობას მოედოს... მაშინ ხომ გიგანტური ნაბიჯებით ვივლით წინ. პასკალი ცდება, როდესაც ცნობისწადილს უნაყოფოდ და ფუჭად თვლის. ცივილიზაცია რომ დაოკდეს და გაჩერდეს, მოკვდება, რამეთუ პროგრესის გაჩერება სიკვდილის ტოლფასია.

უაზრობაა მეცნიერება მეცნიერებისთვის. მეცნიერების ამოცანაა პრაქტიკაში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების სისტემატიზაცია, განზოგადება და თეორიულად განმტკიცება. მეცნიერების საბოლოო მიზანია თეორიულად გამდიდრებული შედეგების პრაქტიკაში გამოყენება. მეცნიერებაში კვლევა-ძიების ობიექტებია საგნები (სხეულები,ნივთიერებები,...) ან მათი ტექნოლოგია (დამზადების, შედგენის,...). კვლევის დონე შეიძლება იყოს აკადემიური („მაღალი") ან გამოყენებითი, დარგობრივი. ჩამოყალიბდა მიმდევრობა, რომ ცდის, ანალიზის, თეორიული განზოგადების, კლასიფიკაციის შედეგად ჯერ

მიიღება აკადემიური ცოდნა, რომელიც შემდეგ გამოყენებით საფეხურზე გადადის პრაქტიკაში ანუ მას წარმოება იყენებს, თუმცა ყველა საფეხურის გავლა აუცილებელი არ არის-გააჩნია დარგს, ცოდნის ხასიათსა და დონეს. „რაგინდ უძლურიც უნდა ვიყოთ მარტოოდენ გონების მეშვეობით ჭეშმარიტების დაფუძნებისას, ეს უძლურება მხოლოდ ჩვენი გონების სისუსტეს მოწმობს და არა ჩვენი ცოდნის საეჭვო ხასიათს...“ „აზრები“, 220. თუ საჭიროება არ არის, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ხელოვნური ინექციით ვერ განვავითარებთ. ასე რომ, მეცნიერების წარმოდგენა რაღაც თავისთავად განვითარებად საქმიანობად შეცდომაა-ბაზრის მოთხოვნილებაა მეცნიერების საფუძველი.

ცივილიზაციის განვითარება მდინარის უწყვეტ დინებას ჰგავს, რომელსაც ვერავითარი ჯებირი ვერ აკავებს: დაქოლავ?-ამოხეთქავს; დააგუბებ? – გაარღვევს... ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტოლდ რასელი, რომელიც პარადოქსებითაა ცნობილი, თვლიდა, რომ პასკალისდროინდელ მე-17 ს-ში რაღაც მანქანებით რომ მოესპოთ 100 წამყვანი მეცნიერი (გალილეი, დეკარტი, პასკალი, ნიუტონი, გუიგენსი, ფერმა,...), ცივილიზაცია სხვანაირი იქნებოდა. რასელი ცდება; რადგან ბაზრის მოთხოვნილება იყო, მათ ადგილზე 100 სხვა მეცნიერი მოვიდოდა, შესაძლოა უფრო ძლიერი და ჭკვიანი და ცივილიზაციის პროგრესი არ შეჩერდებოდა. ეს, ინდივიდები ვართ მოკვდავები, თორემ კაცობრიობის სიცოცხლის ჯაჭვი ხომ უწყვეტია! ამ უწყვეტობაშია უკვდავება. „ჩვენი ბუნების ნამდვილი არსი მოძრაობაა. სრული სიმშვიდე სიკვდილს მოასწავებს,“ „აზრები“, 106.

მეცნიერების წინაშე უამრავი ამოცანა დგას, რომლებიც ამოუწურავია რაოდენობრივად და ხარისხობრივად-რაც უფრო ღრმად ჩასწვდები საკითხს, უფრო მეტი გადასაწყვეტი პრობლემა ამოტივტივდება. მეცნიერება უძირო კასრია როგორც მაკრო-, ისე მიკროსამყაროში, რაც დაადასტურეს მე-20 ს-ის გამოკვლევებმა. პასკალის დროს დადგა ეპოქა, როცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ინჟინერი მოექცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მამა-შვილ პასკალების მათემატიკის წრის ხელმძღვანელი, ევროპის მეცნიერთა სწავლულ მდივნად აღიარებული ბერი (?) მარენ მერსენი სახარებას განიხილავდა, როგორც თავისებურ მათემატიკურ ამოცანათა კრებულს...

მეცნიერება შეიცნობს სამყაროს. „საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ვფლობდეთ ჭეშმარიტებას-ამბობს დრამატურგი მორის მეტერლინკი-ჭეშმარიტება თვით უნდა გვფლობდეს ჩვენ“ ანუ მეცნიერება ჩვენ გვზრდის, ჩვენ კი ვზრდით მეცნიერებას. მეცნიერება თითქოს და ურყევ ჭეშმარიტებაში დაეჭვებით იწყება. რომ უარყო, ჯერ რამე უნდა გქონდეს უარსაყოფი-ცოდნა! ყველა რომ ყველაფრის უარმყოფელი იყოს, უარსაყოფი აღარაფერი დარჩებოდა. ვისაც ჭეშმარიტებაში დაეჭვების უნარი არ აქვს, ის მეცნიერებაში არ გამოდგება, სხვა საქმე უნდა აკეთოს. „სამყაროში არაფერია უმნიშვნელო და უფასური“, „აზრები“, 386. სამყაროს შეცნობა უმცირესი წამებით იწყება, რომლებსაც მოჰყვებიან წუთები, საათები, დღეები, წლები, საუკუნეები,... მარადისობა, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილებივით ცვლადია, ე.ი. შეცნობა წამებიდან უნდა დავიწყოთ ანუ ყოველდღიურობიდან. ასეთია მეცნიერების მეთოდოლოგია. მეცნიერების

მეთოდებია: შედარება, გაზომვა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი და სხვ. არსებობენ შემეცნების ხერხები თუ სახეები: ჰიპოთეზა, მოდელირება, იდეალიზაცია, აბსტრაქცია, განზოგადება და სხვ. ყველა დარგს თავისი მიდგომა სჭირდება, უნივერსალური გადაწყვეტილება არ არსებობს... მეცნიერება განუწყვეტლივ ვითარდება, იცვლება. „არც ერთსულდგმულში არა არის რა მარად უცვლელი: თითოეულ მათგანში მიმდინარეობს შობისა და კვდომის უწყვეტი პროცესი“, – პლატონის ეს მოსაზრება მეცნიერებაზეც ვრცელდება.

მეცნიერების საფუძველი რეალურია, მატერიალური და არა წარმოსახვითი, როგორც რელიგიას აქვს. საბუნებისმეტყველო მეცნიერება ნაკლებადაა მიბმული ადამიანის ინდივიდუალობაზე, საზოგადოებრივი მეცნიერება კი უფრო კლასობრივია, პარტიულია, თუმცა მეცნიერება თავისი არსით დემოკრატიულია, ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც მოვლენათა და საგანთა ანალიზი და განზოგადება შეუძლია. მეცნიერება არის კონცენტრირებული პრაქტიკა, მისი მიღწევათა ნაღები. მეცნიერების როლი ყველაზე ძვირფასი-ინტელექტუალური (გონებრივი) პროდუქციის წარმოებაში გადამწყვეტია. გონება მეცნიერების იარაღი და საშუალებაა. გონება იმეცნებს აზრით, გული-გრძნობით. „გულს თავისი წესრიგი აქვს, გონებას-თავისი; გონება საწყისებს და დასაბუთებას ემყარება, გული-სხვა რამეს“, „აზრები“, 221. მეცნიერება არის ადამიანის შრომის ყველაზე მომგებიანი კაპიტალდაბანდების სფერო, ამიტომ მეცნიერებაში ჩადებული საზოგადოებრივი შრომის წილი განუხრელად იზრდება ყველა ქვეყანაში, ყველა დროში. პასკალის დროს მეცნიერებაში დასაქმება რჩეულთა ხვედრი იყო. მის სიცოცხლეში ერთი სამეცნიერო ჟურნალიც კი არ გამოდიოდა. წარმოგიდგენიათ, რა დონის მეცნიერება გვექნებოდა? ახლა ყველა დიდ ქვეყანაში თითქმის ყველა დარგს რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალი ან გამოცემა აქვს, ყველა ქვეყანას ერთად კი-ათასობით! მეცნიერებაში დასაქმებულთა რაოდენობრივი ზრდა მალე ხარისხობრივ ზრდაში გადავა. თეორიულად, ყველა შემოქმედი ადამიანი მომავალში მეცნიერი უნდა გახდეს. შემოქმედთა რიცხვი გაიზრდება, რუტინულ სამუშაოთა შემსრულებელთა რიცხვი კი შემცირდება; შრომის შემოქმედებითი წილის ზრდა გაგრძელდება უსასრულოდ. მომავალში ადამიანს მოუწევს მხოლოდ შემოქმედებითი სამუშაოს შესრულება, ტიპურის შემსრულებლად კი რობოტოტექნიკა დარჩება. ასე რომ ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ ახლა იბადება, გამონაკლისი წესად იქცევა, მეცნიერ-მუშაკობა მასობრივი პროფესია გახდება. ესაა მომავლის თავისებურება.

პასკალის დროს ერთი მ. მერსენი უძღვებოდა ევროპის სამეცნიერო წრეების მიმოწერას. ახლა ყველა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ჰყავს სწავლული მდივანი. მარტო თბილისში სოციალიზმის წლებში 200 სამეცნიერო დაწესებულება იყო. რამდენი სამეცნიერო ინსტიტუტი იქნება მსოფლიოში? ცივილიზაციის დასაბამიდან დღემდე მეცნიერებაში მომუშავეთა 100%-დან ახლა 90% მუშაობს-რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა ფანტასტიკურია! სწორედ ამიტომაც გავედით კოსმოსში, გაჩნდა მასობრივი კომპიუტერული ტექნიკა, ინფორმაციის დამუშავების ახალი საშუალებები და სხვა მრავალი მიღწევა,

რომლებიც გარს გვარტყამს. ყველაფერი ეს დამსახურებაა მეცნიერების, რომელიც მომავალში მასობრივი დასაქმების წყარო გახდება.

პასკალის თანამედროვე მეცნიერთა მოკლე დახასიათებაც კი წარმოდგენას იძლევა მათ ინტელექტუალურ რესურსებზე. პატარა მათემატიკური წრიდან, რომელსაც მ. მერსენი ხელმძღვანელობდა, შემდგომ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა. თვით მერსენი ღვთისმეტყველი ბერი იყო (როგორ თავსდებოდა მასში ბიბლიური „ზღაპრები“ ფიზიკის და მათემატიკის მიღწევებთან?). წრის წევრები დიდ ფულს ხარჯავდნენ ექსპერიმენტებზე; მაგ., კლოდ მიდორჟმა ლინზებზე, სარკეებზე, ინსტრუმენტებზე 100 ათასი ეკიუ (!) დახარჯა. ადრიან ოზუმ მიკრომეტრი გამოიგონა, პიერ კარკავი ბიბლიოფილი იყო, ლე პაიერი-ლექსების, მუსიკის, სუფრის დამფასებელი. დეკარტი ამბიციური, ყველაფერში პირველობის მსურველი მეცნიერი, არაფერს უთმობდა ფერმას, პროფესიით იურისტს. მამა-შვილი პასკალებიდან ბლეზი გამოირჩეოდა იმით, რომ ადვილად პოულობდა მათემატიკურ შეცდომებს ოპონენტთა მსჯელობებში. მას უსმენდნენ, ეკითხებოდნენ, მისი სჯეროდათ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უმცროსი იყო.

პასკალი ენციკლოპედიური ხასიათის მეცნიერი გამოვიდა: „სჯობს ცოტა რამ იცოდე ყველაფერზე, ვიდრე ყველაფერი იცოდე მხოლოდ ერთი რამის შესახებ,“ „აზრები“, 33. პასკალის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში შედიოდა სამყარო: კოსმოსი, სივრცე, დრო; ასტრონომია; ფიზიკა და მათემატიკა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, იურისპრუდენცია, ხელოვნებათმცოდნეობა და მისთანანი პასკალს ნაკლებად აინტერესებდა. განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდა პასკალს ფილოსოფიაში-მეცნიერებაში, რომელიც ადამიანს განიხილავს თავის შიგა და გარე სამყაროსთან, ბუნებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ფილოსოფია მჭიდრო კავშირშია ზუსტ მათემატიკურ მეცნიერებებთან: „...მგონია, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსის წიგნი არის ის, რაც ერთთავად გადაშლილია ჩვენს თვალწინ, მაგრამ რაკი ეს წიგნი თქვენი ანბანისგან განსხვავებული ასოებით არის დაწერილი, ყველას როდი შეუძლია მისი წაკითხვა: დიახ, ამ წიგნის ასოებია სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები, სფეროები, კონუსები, პირამიდები და სხვა მათემატიკური ფიგურები“ – ამბობდა გალილეი 1640-სიკვდილამდე 2 წლით ადრე.

პასკალი შესანიშნავად უპირისპირებს ერთმანეთს მიკრო- და მაკროსამყაროს: „ვის არ გააოგნებს ის გარემოება, რომ ჩვენი სხეული-ესოდენ უჩინო სამყაროში-ამავე დროს ყოველივე არსებულის წიაღში თავისი უჩინოების მიუხედავად, ნამდვილი კოლოსია, მთელი სამყაროა, ან თუ გნებავთ, ყოვლადი არსია იმ არარაობასთან შედარებით, რომლის წვდომაც წარმოსახვის ყოველგვარ უნარს აღემატება,“ „აზრები“, 57. მართლაც და ვერ წარმოგვიდგენია უფრო ჰარმონიული, სრულქმნილი, უდიდესი პოტენციალის მქონე არსება, ვიდრე ადამიანი, თუმცა თვითონ პასკალი სკეპტიკურად იყო განწყობილი ადამიანის შესაძლებლობების მიმართ: „მაშ, რა ძალუძს მას? მხოლოდ საგანთა და მოვლენათა ზედაპირული წვდომა, ვინაიდან სამარადისოდ წარკვეთილი აქვს იმის იმედი,რომ ოდესმე შეძლებს მათი დასაბამის და დასასრულის შეცნობას.“

„აზრები“, 57. პასკალი შეცდა-ადამიანმა უკვე ნაწილობრივ შეძლო საკუთარი თავის და სამყაროს შეცნობა. წინ ღრმა შეცნობებია. პასკალის შეცდომა მისი ფილოსოფიური აზროვნებიდან მოდის. „ის, რაც ჩვენ გვასხვავებს ერთმანეთისაგან, სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი მიმართება უსასრულობისა და მარადისობისადმი“ – ამბობს მ. მეტერლინკი.

პასკალისთვის მეცნიერება არ იყო შემოსავლის წყარო, არსებობის საშუალება ან გარდუვალი აუცილებლობა. ის იყო მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება, ამიტომ შეეძლო უარი ეთქვა მეცნიერულ კვლევებზე, რაც განახორციელა კიდეც სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც რელიგიას მიეძალა. ცივილიზაცია, პასკალისაგან განსხვავებით, არ უყურებს მეცნიერებას, როგორც გართობის, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებას (ეს მხოლოდ საბაბია და არა მიზეზი!). ჩვენთვის მეცნიერება ლუკმაპურის მოპოვების, უკეთესი ცხოვრების საშუალებაა და არა გართობა. მეცნიერებისადმი ამ მიდგომაშია ჩვენსა და პასკალს შორის განსხვავება, თუმცა დიდი ფილოსოფოსის დამსახურებები კაცობრიობის წინაშე ამით ოდნავაც არ კნინდება.

სამეცნიერო საქმიანობაში დიდ როლს თამაშობს ადამიანის წარმოსახვა, ოცნება. წარმოსახვის გარეშე ვერ იარსებებს მეცნიერება. პასკალი თვლიდა, რომ წარმოსახვა ხელს უშლის ადამიანს სწორად აღითქვას სოციალურ-სახელმწიფოებრივი რეალობა. ეს მოსაზრება საღ აზრს არაა მოკლებული, მაგრამ წარმოსახვა ადამიანის ფსიქიკის გადამრჩენია უმძიმეს მომენტებში; **ოცნება დიდ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში. რომ არა ოცნება, ნაადრევად გაგვისკდებოდა გული. სულიც ოცნების პროდუქტია და ღმერთიც... აბა რა ქნას ადამიანმა, როცა რეალობას ვერ ერევა? არც იოცნებოს?**

პასკალი „აზრებში“ აღშფოთებით შეიცხადებს, რომ ადამიანს არ შეუძლია ერთბაშად შეიცნოს მთელი სამყარო. ვთქვათ, წყაროსთან ხართ; 1-2 ჭიქას დალევთ წყურვილის მოსაკლავად. რატომ არ შეიცხადებთ, რომ არ შეგიძლიათ 24 საათი უწყვეტად სვათ წყაროს წყალი? იმიტომ, რომ, უბრალოდ, მეტი არ გჭირდებათ... მეცნიერებაც ასეა; დაგჭირდებათ შეცნობა? მოიკვლევთ და შეიცნობთ იმდენს, რამდენიც ამ ეტაპზე გჭირდებათ და შეგიძლიათ. რა საჭიროა ან რას იძლევა აღშფოთება?

სამყარო რომ ამოუწურავია შესაცნობად, ძალიანაც კარგია. პასკალი თვლის, რომ ყველაფერი, რისი შეცნობაც შეუძლებელია, არ წყვეტს არსებობას. უსასრულო რიცხვი, უსასრულო სივრცე არსებობს სასრულის გვერდით და ა.შ. სწორედ ამიტომ გაუმართლებელია თავზე თმების ბრდღვნა იმის გამო, რომ ადამიანს დღეს ყველაფერი არ ესმის და ყველაფერს ვერ მიაღწია. ვიშრომოთ და დანარჩენიც იქნება... პასკალი გაოგნებულია იმის შეგრძნებით, რომ ლერწამივით სუსტი ადამიანი ახერხებს სამყაროს შეცნობას, რაც მუდმივი, საინტერესო და საჭირო პროცესია. შეცნობა ადამიანის ღირსებაა.

გალილეი თავის „საუბრებში“ (1615 წ.) გაკვირვებულია, რომ ორი კარგად გახეხილი მარმარილოს ფირფიტა ერთმანეთზე მიდებისას ისე მიეკვრება, რომ მათი დაცილება ძნელია. გალილეი თვლიდა, რომ მათ შორის მოქმედებს სიცარიელეს ძალა, თუმცა როგორ შეიძლება სიცარიელე წარმოიშვას ორ ფირფი-

ტას შორის? გალილეიმ მაშინ არ იცოდა, რომ ფირფიტებს შორის მოლეკულური შეჭიდულობის ძალა მოქმედებს.

პასკალის დროს არ გვქონდა ის ბრწყინვალე მიღწევები მექანიკაში, ელექტროტექნიკაში, ელექტრონიკაში და ა.შ., რომლებიც ახლა გვაქვს; არ იყო კვლევის მეთოდები და თანამედროვე ტექნიკა; არ იყო მცოდნე კადრები, ამიტომ გასაგებია მისი სკეპტიციზმი მეცნიერებისადმი, რომელშიც თვითონ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია, მაგრამ გაუგებარია (უსამართლოა!) რატომ წერს პასკალი 1654 თავის „მემორანდუმში“: „...ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, მაგრამ არა ღმერთი მეცნიერებისა და ფილოსოფოსებისა..“ მას რომ ვერ მიეღწია წარმატებისთვის მეცნიერებაში, მაშინ ბოღმა გასაგები იქნებოდა, მაგრამ წარმატებული რომ იყო?!

არ შეიძლება მეცნიერებას წიხლი ჰკრა მხოლოდ იმის გამო, რომ არასრულყოფილია (არის რაიმე სამყაროში სრულყოფილი?!); გჯეროდეს ბიბლიური „ზღაპრების“ და არ გჯეროდეს მეცნიერების რეალური მიღწევების, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ბიბლიას ხომ ჩვენნაირი ადამიანები წერდნენ! მათ ჩვენზე დიდი ტვინი ჰქონდათ თუ ჩვენზე მეტი ცოდნა-გამოცდილება? რის საფუძველზე არ უნდა გვჯეროდეს მეცნიერების?

თანამედროვე ენციკლოპედისტების აზრით, მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-7-6 სს-ში ძვ. წ. ა. საბერძნეთში, მაგრამ მეცნიერების არსის განმარტებით ის წარმოების დაწყებასთან ერთად უნდა გაჩენილიყო, როგორც გამოცდილების დაგროვება, სისტემატიზაცია, განზოგადება და გამოყენება. ასეთი გაგებით მეცნიერება დაიბადა ცივილიზაციასთან ერთად სულ მცირე 60 საუკუნის წინ და არა 34 საუკუნის დაგვიანებით საბერძნეთში, როგორც ამჟამად მიაჩნიათ. მეცნიერება თითქმის წარმოების დაწყებისთანავე წარმოიშვება. მას გარკვეული ცოდნის დაგროვება უნდა, რომ შეძლოს მისი განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება წარმოებისთვის. შეიძლება ეს იყოს რამდენიმე წელი, ათწლედი, საუკუნე... გააჩნია დარგის სპეციფიკას, წარმოების მასშტაბებს, მეცნიერების დონეს...

მეცნიერება ფაქტებში ეჭვის შეტანას გულისხმობს, რაც კითხვის დასმით იწყება. ვისაც ამისი უნარი ან სურვილი არ აქვს, ურჩევნია მეცნიერებას მოეშვას და სხვა საქმიანობას მოჰკიდოს ხელი. თავისი ბუნებით ყველა მეცნიერი ვერ იქნება ისევე, როგორც ყველა-მუსიკოსი ან მწერალი... ბუნებამ უნდა ჩადოს ადამიანში მეცნიერებისადმი მიდრეკილება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეცნიერი პირველხარისხოვანი პიროვნებაა ან პირიქით-მეორეხარისხოვანი... ასეთი დაყოფა დისკრიმინაციის გამოვლინება იქნებოდა. ადამიანთა საზოგადოებას ყველანაირი პიროვნება სჭირდება თავის ადგილას და თავის დროს! ასე რომ რომელიმე საქმიანობისკენ მიდრეკილება არც უპირატესობაა და არც ნაკლი.

ეგვიპტეში პირველი პირამიდის აგების დროს სამშენებლო ან არქიტექტურული მეცნიერება არ იყო. გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ კი პირამიდების აგების მეცნიერება გაჩნდა. ასევე, ნილოსზე მიწათმოქმედებაში რწყვის გამოყენება მეცნიერება არაა, მაგრამ გამოცდილების მიღების შემდეგ ირიგაციის სისტემის შედგენა-გამოყენება უკვე მეცნიერებაა. მსგავსი მოვლენები მოხდა მედიცინასა და ფარმაკოლოგიაში, როცა ადამიანის გვამის მუმიფი-

ცირებაში გარკვეული გამოცდილება დაგროვდა და ა.შ. ასე რომ მტკიცება, თითქოს მეცნიერება დაიწყო საბერძნეთში მხოლოდ მე-7-6 სს-ში ძვ. წ. ა. შეცდომაა. მეცნიერება გაჩნდა ეგვიპტეშიც და შუამდინარეთშიც გაცილებით ადრე-სულ მცირე 40 ს-ში ძვ.წ.ა. სამწუხაროდ, დიდი საბჭოთა ენციკლოპედია თვლის, რომ მეცნიერება ბერძნული ნატურფილოსოფიით-თალესით, დემოკრიტით და ა.შ. იწყება მითოლოგიის საპირისპიროდ (?). რატომ საპირისპიროდ? ევკლიდეს გეომეტრია, არქიმედის მექანიკა, პტოლომაიოსის ასტრონომია, მედეას მედიცინა... თუ ვინმეს ჰგონია, რომ გეომეტრია სათავეს მართლა ევკლიდედან იღებს, ცდება. ეს მეცნიერება პირველი მიწის ნაკვეთების აზომვებიდან და პირველი შენობების აგებიდან იწყება ისევე, როგორც მედიცინა-მედეაზე გაცილებით ადრე, მეტალურგია – ბრინჯაოს ეპოქამდე და ა.შ. რას ჩააცივდნენ საბერძნეთს, რა უფლებით დატოვეს ოფსაიტში მანამდე არსებული შუამდინარეთი, ეგვიპტე, ინდოეთი და სხვა ქვეყნები?

შუმერები, ასირიელები, ბაბილონელები იყენებდნენ ფერად მეტალურგიას 3 ათასი წლის წინ ძვ.წ.ა. მათთვის ცნობილი იყო ჩამოსხმა, ჭედვა, მოჭედვა, ოქროსა და ვერცხლის მავთულის (ძაფის) ჩამოქნა, ფილიგრანი, ემალი, ჭედურობა ძვირფას ლითონებზე; იცოდნენ გამოუწვავი და გამომწვარი აგური... 2 ათასი წლის წინ ძვ.წ.ა. ჯარი უკვე „ბორბლებზე გადაადგილდებოდა“, არსებობდა ჯაჭვის პერანგი, ჯავშანტასაცმელი, სპილენძის ფარი, ცხენოსანი კავალერია, საალყო ტარანის ტექნიკა, მოტივტივე ხიდები... პირველი ათასწლეულიდან ძვ. წ. ა. – რკინის საბრძოლო იარაღი, ალმასის ბურღი, წყლის ჭიდან ამოსაღები „წერო“ და სარწყავი ბორბალი, აქვედუკი, ვიადუკი და მრავალი სხვა რამ, რაც დღესაც გაოცებას იწვევს.

შეუძლებელია ტექნიკის ასეთ დონემდე აყვანა მისი განმაზოგადებელი მეცნიერების გარეშე, რომელიც ასევე მე-4 ათასწლეულიდან ძვ. წ. ა. უნდა ავითვალოთ. ამ დროიდან გაჩნდა გამოყენებითი მათემატიკა მანძილის, სიგრძის, ფართის, მოცულობის გამოსათვლელად; გაჩნდნენ პირველი დამხმარე მათემატიკური ცხრილები. უკვე ახერხებდნენ მეორე ხარისხის განტოლებების ამოხსნას, იცნობდნენ პითაგორას თეორემას, ტრიგონომეტრიას, სტერეოამოცანებსაც ხსნიდნენ... იცოდნენ ხაზვა, ხატვა და თანაც, როგორ!! გაჩნდნენ იეროგლიფები, ლურსმული წარწერები, პირველი ასოები; მსოფლიოდამწერლობა 14-ნაირ ასოთა სისტემას ითვლის; გვეამაყება, რომ მათ შორის ერთი ქართულია!

განვითარებული იყო გამოყენებითი ქიმია: მცენარეული და სილიკატური საღებავები, ტანსაცმლისა და ჭურჭლის, ავეჯის, შენობების ღებვა; საკვების, ჭირნახულის გადამუშავების, შენახვის ტექნოლოგია; მცენარეული ფარმაკოლოგია, ქირურგია ამპუტაციის ჩათვლით, პროტეზირება, თვალის და კბილის ოპერაციები,...

ასტრონომია და ასტროლოგია უძველესი მეცნიერებებია. იცნობდნენ მზის სისტემის პლანეტებს: ვენერას, იუპიტერს, მარსს,... მაგრამ სხვა სახელწოდებებით: ვენერა-დილბატი, იუპიტერი-მულუბაბარი, მარსი-ზალბატანი, სატურნი-კაიმანი და ა.შ. სარგებლობდნენ 29 დღიანი მთვარის კალენდარით სოფლის მეურნეობაში. შუმერულ-ბაბილონური წონისა და ზომის სისტემები დღესაც გამოიყენება: გრადუსები, წუთები, წამები, საათები... ხმარობენ ექვსჯერადი

ათვლის სისტემასაც. შუამდინარეთის, ეგვიპტის, ინდოეთის სამეცნიერო სკოლების გამოცდილება შემოქმედებითად განავითარეს ელამელებმა, ხეთებმა, ფინიკიელებმა, ხურიტებმა, წინა აზიის და კავკასიის ხალხებმა. დავივიწყოთ ყოველივე და ყველაფერი მივაწეროთ ბერძნებს, რომლებსაც ისედაც უამრავი დამსახურება აქვთ კაცობრიობის წინაშე? სხვათა შორის, კრიტიკულად უდგება ძველ ბერძნულ-რომაულ ფილოსოფიას მე-17 ს ინგლისელი ნატურალისტი რობერტ ჰუკი (1635-1703): „ის, რასაც ვკითხულობთ არისტოტელეს, პლინიუსის და ნატურალური ისტორიის სხვა ავტორთა თზულებებში, მეტისმეტად არასანდოა, ზერელე და ზედაპირული, ვინაიდან ისინი აღწუსხავდნენ მხოლოდ ზოგიერთ უმნიშვნელო და თვითცხად მოვლენას, თანაც ისე დაუდევრად, რომ მათ აღწერებს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს... ისინი მიზნად ისახავდნენ ჩვენს გართობას, სიამოვნებას, განცვიფრებას თუ აღტაცებას, მაგრამ არას დაგიდევდნენ საგანთა იმნაირ ცოდნას, რომელიც პრაქტიკაში სასარგებლო და გამოსადეგარი იქნებოდა.“ შეიძლება ჰუკი მეტისმეტად მკაცრია მეცნიერების მიმართ, მაგრამ სიმართლის ელემენტები მის შეფასებაში არის.

პასკალის დროს მეცნიერება უკვე იყოფოდა დარგებად, მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა ერთი მეცნიერის რამდენიმე დარგში მოღვაწეობისა. დროთა განმავლობაში ასეთ უნივერსალ მეცნიერთა რიცხვი შემცირდა, სამაგიეროდ დარგებს შიგნით სპეციალიზაცია იმდენად გაღრმავდა, რომ „მარჯვენა ყურის ექიმს აღარ ესმის მარცხენა ყურის ექიმისა“. ასეთი დანაწევრება შემთხვევითია თუ კანონზომიერი?

სპეციალიზაციის მიზეზი შრომის დანაწილებაშია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო გაღრმავდება. შრომის განაწილება იწვევს საზოგადოების ფენებად და კლასებად დაყოფას, ასე რომ უკლასო საზოგადოების შექმნის კომუნისტურ იდეას მატერიალური საფუძველი არ აქვს, პირიქით, დიფერენციის გაძლიერება კი შესაძლებელია. როგორღა მოისპობა კლასობრივი საზოგადოება ან კი რას გვაძლევს მისი მოსპობა, გვინდა? ესკომუნისტური ზღაპარი სამყაროში მიმავალი ბუნებრივი პროცესების წინააღმდეგაა მიმართული და რაციონალურ აზრს მოკლებულია. კომუნისტებმა ვერ გაიგეს, რომ ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლა, ეკონომიკისადმი ურჩობა, ჩვენი ცხოველური საწყისების იგნორირება მუდამ კრახით დამთავრდება. კომუნისტებს ეგონათ, რომ კონკურენცია კაპიტალიზმის მოგონილია და მისი დამარცხება(?) შეიძლება ლოზუნგით: „ყველას თანაბრად!“ კონკურენცია, შეჯიბრი ბუნების ზოგადი სასიცოცხლო კანონია და არა მარტო კაპიტალიზმის...

მეცნიერებას ადრე სამ ნაწილად ყოფდნენ: ბუნება (ფიზიკა); საზოგადოება (ეთიკა); აზროვნება (ლოგიკა).

ასეთი დაყოფა დღესაც ძალაშია, თუმცა ნაწილებმა არსი და ფორმა ნაწილობრივ შეიცვალეს და უფრო ზოგადი სახე მიიღეს:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რომლებშიც შედის:

- ასტრონომია,
- ასტროფიზიკა,
- ფიზიკა,

- ქიმიური ფიზიკა,
- ქიმია,
- ფიზიკური ქიმია,
- გეოქიმია.
- გეოფიზიკა,
- გეოლოგია,
- ფიზიკური გეოგრაფია,
- ბიოლოგია,
- ადამიანის ფიზიოლოგია,
- ანთროპოლოგია...

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ობიექტები: სამყარო, გალაქტიკები, მნათობები, პლანეტები... ადამიანის ფიზიოლოგიისა და ანთროპოლოგიის მეცნიერებათა გარდა, არ არიან დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე და ამდენად მათი მოძრაობები, მათზე და მათში განვითარებული მოვლენები (ტექნოლოგიები) შედარებით უფრო ობიექტურ ჭეშმარიტებად შეგვიძლია მივიღოთ, როგორც, მაგ., დედამიწის ორბიტაზე ბრუნვა, დღე-ღამის მონაცვლეობა, მზის ენერგიის გამოსხივება და სხვა მრავალი, რომელთა „დამახინჯებას“, შეცვლას ადამიანი ჯერ ვერ ახერხებს-ბუნების მოვლენები არ არის იურიდიული კანონები, რომლებსაც პარლამენტის წევრები ხელის ერთი აწევით დააკანონებენ ან გააუქმებენ. ამდენად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მათთან დაკავშირებული გამოყენებითი მეცნიერებების კვლევის შედეგები ჭეშმარიტებასთან ახლოა და მისაღები.

2. საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- ისტორია,
- არქეოლოგია,
- ეთნოგრაფია,
- ეკონომიკური გეოგრაფია,
- სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები...
- მეცნიერებები ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ: პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერებები სახელმწიფოსა და იურისპრუდენციის შესახებ, ხელოვნების ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა და ა.შ.
- ენათმეცნიერება,
- ფსიქოლოგია, პედაგოგიური მეცნიერებები და სხვ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები და მათთან დაკავშირებული გამოყენებითი მეცნიერებები ადამიანთა ცოდნა-გამოცდილებას ეყრდნობიან, ამიტომ შეუძლებელია ისინი ობიექტურნი, ჭეშმარიტებასთან ისე მიახლოებული იყოს, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (შეიძლება სუბიექტური ადამიანის თავიდან ობიექტურობა იშვას?). ადამიანი თავის მიერ გამოგონებულ კანონებს საკუთარ ტანზე ირგებს ჩოხა-ახალუხივით ან ჭიმავს და კეცავს პაჭიკოს გარმონივით.

3. ფილოსოფიური მეცნიერებები:

- ფილოსოფია,
- ლოგიკა,
- დიალექტიკა

ფილოსოფიაში შედის: მეცნიერება ყოფისა და შემეცნების შესახებ; მეცნიერება ადამიანის ურთიერთობისა სამყაროსთან (მათ შორის საკუთარ სამყაროსთან, რაც ასე ძლიერია პასკალში); მეცნიერება ბუნების განვითარების ზოგად კანონებზე, საზოგადოების შესახებ, აზროვნების შესახებ... ფილოსოფიის ამოცანაა შეიმუშაოს ზოგადი მოსაზრებები სამყაროზე და ადამიანის ადგილზე ამ სამყაროში. ფილოსოფია იკვლევს შემეცნებით, ფასეულ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ურთიერთობებს ადამიანისა სამყაროსთან (იგივე საკითხებს ეთიკის, მორალის, ზნეობის გარეშე ასტრონომია შეისწავლის). ყოველდღიურობაში ფილოსოფიას მეცნიერებათა მეცნიერებას ეძახიან.

თუ ფილოსოფიის მთავარი ობიექტი-ადამიანი სუბიექტურია, ფილოსოფიაც სუბიექტურია, რადგან მის მიერ შემუშავებული ჭეშმარიტებები ადამიანის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული: დღეს ასეა, ხვალ-ისე... სიტყვა „სუბიექტური“ სალანძღავიტერმინი არ არის-არც კარგია, არც ცუდი-კონტექსტს გააჩნია. მაგ., ინდივიდის აღთქმა თავისთავად სუბიექტურია. როცა მრავალი ადამიანის სუბიექტური აღთქმები ერთნაირი აღმოჩნდება (და ასეთი ბევრია), შეგვიძლია ვილაპარაკოთ საზოგადოების ობიექტურობაზე.

ფილოსოფია დაიბადა ცივილიზაციასთან ერთად ინდოეთში, ჩინეთში, ეგვიპტეში, შუამდინარეთში... საბერძნეთი მოგვიანებით მოხვდა ამ სიაში. სიტყვა „ფილოსოფია“-სიბრძნის სიყვარული, პირველად პლატონმა იხმარა. ფილოსოფიის კვლევის ობიექტი ეპოქის მიხედვით იცვლებოდა; იცვლებოდა მიდგომაც, კვლევის ტექნიკაც, მეთოდებიც... ენციკლოპედისტები ბერძნულ „ნატურფილოსოფიას“ მიიჩნევენ პირველ ფილოსოფიად, რაც შეცდომაა; უნდა ვიწყებდეთ შუამდინარეთის ძვ. წ.ა. მე-4 ათასწლეულით და არა შედარებთ „ახალგაზრდა“ ანტიკური საბერძნეთით.

ლოგიკა მეცნიერებაა სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. აზროვნების მიერ სინამდვილის შემეცნების პროცესში უმარტივესი, მაგრამ ძირითადი ნაბიჯებია დებულებათა შინაარსის გაგება და მათი ჭეშმარიტობის (ან მცდარობის) დადგენა. მითითება საგნებზე, მათი დახასიათება, მათთვის გარკვეული ნიშან-თვისებების მიწერა ცნებათა საშუალებით ხდება. ამის მიხედვით გვაქვს ერთეულოვანი ანუ *მიმთითებელი* და ზოგადი ანუ *მახასიათებელი* ცნებები. დებულებები რომ გაიგო, მათი შემდგენელი ცნებები უნდა გაარკვიო. სხვანაირად დებულების ჭეშმარიტობა ან მცდარობა ვერ დადგინდება. ახალ ცნებებს ადგენენ ძველი ცნებების დახმარებით ან საგანთა აღწერით. ამრიგად, ლოგიკის მთავარი ელემენტია ცნება. ამჟამად ლოგიკის კვლევაში ფართოდ გამოიყენებენ მათემატიკურ მეთოდებს.

ლოგიკის მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარეს არისტოტელემ და მისმა ოპონენტმა „მეგარის სკოლის“ სტოიკოსებმა მე-4 ს-ში ძვ.წ.ა. მაშინ „ლოგიკის“ ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინ „ანალიტიკას“, რომელსაც ფართო მნიშვნელობა

ჰქონდა. ამჟამად ლოგიკის 3 მიმართულებიდან 2-ონტოლოგია და გნოსეოლოგია მიეკუთვნება ფილოსოფიას, მე-3 მიმართულება-დემონსტრაციული (საკამათო) დარჩა ლოგიკის მეცნიერებას. ლოგიკის მეცნიერულ კვლევაში დამსახურებები აქვთ ფილოსოფოსებს: ფ. ბეკონს, გ. გალილეის, რ.დეკარტს, გ. ლაიბნიცს, ე. კანტს... საინტერესოა, რომ ლოგიკის პირველი ორიგინალური რუსული წიგნის ავტორია ქართველი ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი (1827).

დიალექტიკა მსჯელობას, კამათს ნიშნავს. ეს მეცნიერება შეისწავლის განვითარების ერთმანეთთან დაპირისპირებულ კანონზომიერებებს. ძველი აღმოსავლური და ბერძნული ფილოსოფიები სამყაროს (ცენტრით დედამიწა) მიიჩნევდნენ დასრულებულ მთლიანობად, უძრავად, ურყევად, ხოლო მატერიალურ სამყაროს – მუდმივ ცვლადად. ეს იყო უძველესი დაპირისპირება დიალექტიკაში. ფილოსოფოსი ზენონ ელისკი (ელიატები) ერთმანეთს უპირისპირებდა გონებრივ და გრძნობად სამყაროებს; სოფისტები და სოკრატე თვლიდნენ, რომ თვით ადამიანთა საზოგადოებაა წინააღმდეგობრივი თავის შიგნით; პლატონიმიიჩნევდა, რომ დაპირისპირებებს რაღაც აუცილებლად აერთიანებთ; არისტოტელეს მიაჩნდა, რომ შინაგანი დაპირისპირება თვითონ საგანში ან მოვლენებშია; სტოიკოსების აზრით, თვით დაპირისპირების შინაარსი და ხასიათი განუწყვეტლივ იცვლება; ნეოპლატონისტები მიიჩნევდნენ, რომ დაპირისპირების არსი ჩვენშია; ფილოსოფოსი ნიკოლაი კუზანსკი ერთმანეთს უპირისპირებდა ცოდნასა და უვიცობას; ჯორდანო ბრუნო-მინიმუმსა და მაქსიმუმს ანუ სამყაროს უსასრულობას და ჩვენს სასრულობას; რ. დეკარტი სივრცეს თვლიდა არაერთგვაროვნად; სპინოზა ერთმანეთს უპირისპირებდა აუცილებლობას და თავისუფლებას; ე.კანტი თვით გონებას თვლიდა წინააღმდეგობრივად, რაც დიალექტიკის დიდ აღმოჩენად ითვლება; ჰეგელი ყოფას უპირისპირებდა ... თვითონ ყოფას; მარქსისტებს სამყარო მიაჩნდათ წინააღმდეგობებით სავსე... ფ. ენგელსი წერდა: „დიალექტიკური ფილოსოფიისთვის არაფერია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, უდავო, ხელშეუხლებელი,... არაფერი არ შეიძლება აღუდგეს მას წინ, გარდა გაჩენისა და განადგურების უწყვეტი პროცესისა, უსასრულო აღმავლობისა ქვევიდან ზევით.“ დიდ ფილოსოფოს-მარქსისტს უნდა დავეთანხმოთ ამ შეფასებაში.

ხედავთ, რამდენნაირი შეფასება არსებობს დიალექტიკისა, საფუძვლიანი და ერთმანეთზე საინტერესო! არის თუ არა ფილოსოფია მართლაც მეცნიერებათა მეცნიერება? მეცნიერებაში უწყვეტად მიდის დარგების ერთმანეთთან ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესები – გაჩნია რა შეკვეთას იძლევა პრაქტიკა, რომელშიც დიდია დარგის პიროვნული ლიდერი-მეცნიერის და სამეცნიერო სკოლის როლი. სამეცნიერო დარგებს შორის დაყოფა პირობითია, ხანდახან მათი ფუნქციები საერთოა, ინტერესები ერთმანეთში გადადის, მაგ., ტექნიკურ ესთეტიკაში, ბიონიკაში, ეკონომიკურ გეოგრაფიაში და ა.შ. სწორად შენიშნავს პასკალი: „როდესაც გვარწმუნებენ, რომ აღმოაჩინეს უზოგადესი, ყველა დანარჩენის მომცველი ფორმულა, იმავე დომხალს უბრუნდებიან, რომლითაც დაიწყეს და რომლის თავიდან აცილებაც სურდათ“, „აზრები“, 17. ე.ი. ერთხელ და სამუდამოდ არაფერია დადგენილი!

პასკალი მიხვდა, რომ დამოკიდებულება მეცნიერებებისადმი, რომლებიც ბუნებას ეყრდნობიან (ფიზიკა, მათემატიკა, ასტრონომია,...), ერთია და მეცნიერებებისადმი, რომლებიც თვით ადამიანმა შექმნა (ისტორია, იურისპრუდენცია, თეოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნება,...)-მეორე. პირველი რიგი სამეცნიერო ავტორიტეტებს არ აღიარებს, რადგან თვით ბუნება, სამყაროა მათი შემოქმედი და ავტორიტეტი, რომელიც ადამიანის ჭკუაზე არ დადის; მეორე რიგი მეცნიერებებისა, პირიქით, ადამიანების „ნამაიმუნარია"; მათ შეუძლიათ წაღმა-უკუღმა ატრიალონ მეორე რიგი სიტუაციის მიხედვით, ამიტომ აქ პიროვნების ავტორიტეტი მოქმედებს.

ამრიგად, შედარებითი ჭეშმარიტება, ობიექტურობა შეიძლება მხოლოდ საბუნებისმეტყველო დარგებს ჰქონდეთ, ამიტომ ნუ მოვიტყუებთ თავს, ვიყოთ რეალურნი.პასკალი ირონიულად შენიშნავს: „ვიცინოთ ფილოსოფიაზე ნიშნავს ნამდვილ ფილოსოფოსობას", „აზრები", 4. როცა ვეცნობით ინდუსების და ძვ. ბერძნების შეხედულებებს ატომზე და თუნდაც შედარებით თანამედროვე ლომონოსოვის კორპუსკულარულ თეორიას, გვეღიმება მეცნიერთა მიამიტობაზე. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ირონიით გაეცნობიან დღევანდელი ფიზიკის თუ ასტრონომიის მიღწევებს მეცნიერები თუნდაც 100 წლის შემდეგ...

მეცნიერება ადამიანის ძლევამოსილი საქმიანობის სფეროა. აი, რას წერდა მეცნიერების დამფასებელი პასკალი რომის პაპს და იეზუიტებს 1657: „...მთელი კაცობრიობაც ვერ აღუდგება წინ ვერც დედამიწის ბრუნვას და ვერც იმას, რომ მასთან ერთად არ იბრუნოს სამყაროს უსასრულო სივრცეში",- „წერილები პროვინციელისადმი", წერილი მე-18. დეკარტის მიხედვით ადამიანის არსებობა რეალობაა, რადგან ის (ადამიანი) ეჭვობს, ე.ი. აზროვნებს; „შესაბამისად, მე, მკაცრად რომ ვთქვათ, მხოლოდ აზროვნების მქონე საგანი ვარ." ე.ი. დეკარტი მაღალი კლასის კომპიუტერია? სისულელე გამოდის. რა აკლია დეკარტის განმარტებას?... ზნეობა!

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მალე შეიქმნება ადამიანზე გონებრივად უფრო სრულყოფილი, ძლიერი რობოტი, რომელსაც თვითგანვითარების პროგრამაც ექნება. ადამიანის შეზღუდული მეხსიერება არაფერია „ჩიპის" შესაძლებლობებთან შედარებით. ამასთან რობოტმა არ იცის დაღლა, სტრესი, აპატია, სიკვდილი,...ის მონური მორჩილებით ასრულებს მიცემულ ყველა დავალებას, თუნდაც ხიროსიმაში და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოყრას-მას არა აქვს ზნეობა, მორალი... რა დაუშლის ასეთი რობოტების კლასს ხელთ აიღოს ხელისუფლება და მისივე შემქმნელი მეცნიერები მონებად გაიხადოს? ჭკუით იყავით ადამიანებო!

დეკარტის მიხედვით, ადამიანი მოაზროვნე საგანია, მაგრამ სადაა გონების ოპონენტი გრძნობა? მის გარეშე ხომ ადამიანი ადამიანი არ არის. განა რაიმე შეცვლის ადამიანში ცხოველურ საწყისს? გრძნობის, ემოციის გარეშე ადამიანი ტანკია, ზარბაზანი, ქვემეხი..., მოკლედ, „მეტალის" მართვადი ჯართია. ვინ გამორიცხავს, რომ დედამიწაზე აღარ შეიქმნება ჰეგემონიისთვის მებრძოლი ჰიტლერის გერმანია ან სტალინის საბჭოეთი? მალე ისეთი დრო დადგება, რომ ნებისმიერ მსურველს ჯიბეში ედება ატომური იარაღი. რა ძალა დააკავებს გიჟებს, რომლებიც საკმაოდ არიან ჩვენს შორის? დეკარტისთვის რობოტის პრობ-

ლემა ტექნიკურია, მატერიალური, პასკალისთვის-ეთიკური, სულიერი. ამაშია ორი დიდი ფილოსოფოსის პოზიციებს შორის განსხვავება. (სიტყვა „რობოტის“ გამოგონება ჩეხ მწერალ კარელ ჩაპეკისაა).

ადამიანთა წარსული წინა თაობას ეკუთვნის, მომავალი, რომელიც ჯერ არ დამდგარა, შემდეგი თაობის კუთვნილებაა. ერთადერთი რეალობა, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, აწმყოა. სხვა არ გვექნება! დავაფასოთ ის, რაც განგებამ გვიბოძა. თვითგანადგურებისაგან გვიხსნისმხოლოდ ზნეობა, რომელსაც ასე განმარტავს პასკალის კომენტატორი ბ. ბრეგაძე: „ზნეობა არის სულისა და აზრის იმნაირი განწყობა, რომელიც მთლიანად ეთანხმება მოვალეობას; სრულქმნილი ზნეობა არის მთლიანად ნათლით გაწონილი განწყობა, თავისუფალი გრძნობადი ბუნების ყოველგვარი ეგოისტური ზრახვიდან.“ გული და გონება , რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ. მხოლოდ მათ ერთობაშია ცივილიზაციის ძალა. რელიგია უკვე დიდი ხანია ვეღარ ბედავს „ერეტიკოსი“ მეცნიერები კოცონზე გააგზავნოს-ახლა სხვა დროა; მეცნიერებას ფასი დაედო მაშინ, როცა დღევანდელი სახით რელიგიამ ფასი დაკარგა. მაგრამ არა იმიტომ, რომ რწმენის საჭიროება აღარ არის-მან არსი და ფორმა უნდა შეიცვალოს, სხვა „ვარსკვლავს“ ემსახუროს. გაიგებენ ამას რელიგიის მსახურნი? რწმენის საკითხებში კარდინალური განახლების დრო დგება. უზნეო მეცნიერებას, როგორც უმართავ ტექნიკას, ცივილიზაციის დაღუპვა შეუძლია. „თუ ზნეობის საკითხებს არ ვიცნობ, საბუნებისმეტყველო მეცნიერება გასაჭირში ვერას მიშველის; ზნეობის საკითხების ცოდნა კი მიშველის ბუნებისმეტყველების ცოდნის გარეშეც“, „აზრები“, 52. თუ უზნეო მეცნიერების ჯინი ბოთლიდან ამოძვრა, ვეღარაფერი გვიშველის... პასკალმა ამაზე 350 წლის წინ იფიქრა, „აზრებში“ ხსნა შემოგვთავაზა და ჩვენგან პასუხს ელის.

მეცნიერება და რწმენა ცალკ-ცალკე თუ ერთად?

რა ელის ცივილიზაციას?!

✍ ნონა ჟველია

ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1696 წწ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი

როსტომ მეფის აღზრდილი და თანამოაზრე იყო პოლიტიკური მოღვაწე და მემატიანე ფარსადან გიორგიჯანიძე, რომელიც ქართლის მაჰმადიანმა მეფემ არაერთხელ დიპლომატიური მისიით და ბოლოს კი თავის ნაცვლად გაგზავნა და გამაჰმადიანების შემდეგ კიდეც დაანიშვნინა შაჰ-აბას მეორეს ისპაჰანის მოურავად. ფარსადანი 40 წელს ემსახურებოდა ირანის შაჰებს ამ თანამდებობაზე. ზოგ მკვლევარს იგი სომეხი ჰგონებია, ზოგსაც მისი ქართველობა ეეჭვებოდა, მაგრამ თვითონ თავი ქართველად მიაჩნდა და საერთო აღიარებით პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროც დაუტოვა გორში დაბადებულმა თუმცა ირანს სამუდამოდ გადასახლებულმა ფარსადან გიორგიჯანიძემ თავის სამშობლოს ,,საქართველოს ისტორიის'' სახით, რომელშიც აღწერილია ქართველობის ცხოვრება IV საუკუნიდან XVII საუკუნის მიწურულამდე, დაზუსტებული და შევსებულია არაერთი მანამდელი საისტორიო წყარო და ფაქტი, ხოლო პირველადაა აღნუსხული XVI-XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორია არამარტო ქართული, არამედ სომხური და სპარსული საისტორიო წყაროების, განსაკუთრებით უხვად გამოყენებული ხედვით. მართალია, ფარსადან გიორგიჯანიძეს ცუდად სცოდნია ან, დავიწყებული ჰქონია სალიტერატურო ქართული ენა, არც უძველესი ქართული საისტორიო წყარო არ მოეპოვებოდა ისპაჰანში, მაგრამ ,,მისი შეკრებილი ცნობები გვაძლევს ვრცელსა და ახალს მასალებს საქართველოს ისტორიის ასეთის წყვდიადით მოცული ხანის შესახებ, როგორიცაა XIV- XVII საუკუნეები.

ამიტომ ფარსადან გიორიჯაბიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე… თავისი მოვალეობა პირნათლად და ღირსეულად აასრულა: სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცარიელი ფურცლები მეტად ვრცელისა და შინაარსიანი ცნობებით აავსო''.

ამას გარდა, ფარსადან გორგიჯანიძეს ერთ-ერთი უძველესი ქართულ-არაბულ-სპარსულენოვანი ლექსიკონი შეუდგენია და ირანული სამართლის წიგნი უთარგმნია, რომელნიც მის ,,ისტორიასთან'' ერთად ფრიად საყურადღებონი არიან ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრი-

სითაც, რამდენადაც მათში, განსაკუთრებით ,,საქართველოს ისტორიაში'', დანახულია იმდროინდელი საზოგადოების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, ახსნილია საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენათა მიზეზები, ხშირად გაკეთებულია მართებული დასკვნები და ასახულია XVII საუკუნის ქართველთა და არა მარტო ქართველი ადამიანის ზნე-ჩვეულებანი და მისწრაფებანი. მაგალითად, ფარსადან გიორგიჯანიძის აზრით, ადამიანი უწინარესად უნდა ზრუნავდესო ქონების შეძენისა და შენარჩუნებისათვის. ისტორიკოსი ახასიათებს თავისი დროის ადამიანის პოლიტიკური ქცევის უმთავრეს წესსაც: ,,ჭკვიანი ამას ჰქვიან, ხოშიადის შემნახავი იყოს და ყოველ კაცს საამებელი უთხრას და საწადელი თავისი არ გაუცხადოს... თუ მიფარვით თქვას, საქმე მისი გარიგდება და თუ მრავალისათვის უთქვამს, მემშურნენი სალხინოს საჭიროდ გაუხდიან'', რაკი ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ადამიანთა საზოგადოებაში საკუთარი შვილიც კი არ ინდობს მშობელს, არა თუ უცხო მტერი, მისი ქონების მითვისების ან წართმევის მიზნით. შენიღბვა, სიფრთხილე და მიუნდობლობაა საჭირო, ,,ყოველის კაცის მომადლიერება სჯობს დამდურებასა, მტერს მტრობას ნუ გაუცხადებ, შენი თავი მოყვრად აცნევ''. იქნებ, ამგვარი ქცევა საერთოდ უცხო იყოს თვით გორგიჯანიძისა და მისდროინდელი ქართლ-კახელი პირდაპირი და გულწრფელი ადამიანისათვის და იგი უფრო დამახასიათებელი იყოს აღმოსავლეთ-აზიელისათვის, ვთქვათ, სპარსელისათვის, მაგრამ, შესაძლოა, ამიტომაც უქადაგებდა ისპაჰანის ქართველი მოურავი ამგვარ მორალს სპარსელთა ბატონომისდროინდელ თავის თანამემამულეებს, რომელთა პირდაპირობა არაერთხელ ყოფილა ქართველთა წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, განსაკუთრებით, თეიმურაზ პირველის დროს, რომელსაც უპირისპირდებოდა როსტომ მეფის და მის თანამოზრეთა, კერძოდ, ფარსადან გიორგიჯანიძის დიპლომატიური ქცევაც.

NONA JHVELIA

PHARSADAN GORGIDJANIDZE'S SOCIAL-POLITICAL BELIEFS

Summary

The XVII century in Iran lived Georgian historian Pharsadan Gorgidjanidze's. He grew in Rostom-Khan's Palace. Rostom, which considered to be the Tarug and after then, when he entered on a throne into Kartli, sent Pharsadan on it's positions. Pharsadan wrote history of Georgia. More considerable part is represented by final part of work in which it is told about the

XVII century. He was witnessed those many facts and occurring events. Pharsadan used also stories of the Iranian historians.

And so, Pharsadan Gorgidjanidze's stories represent an important source of history of Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ილია ანთელავასა და ნოდარ შოშიაშვილის გამოცემა, თბ., 1996 .
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III.
3. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967.
4. გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც. ,,საისტორიო მოამბე'', თბ., 1925.
5. გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1988
6. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე, თბ., 2002.

✍ ედიშერ გვენეტაძე
✍ გულიკო გაგუა

საჯავახოს მხარე

(სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების სასაზღვრო ტერიტორია)

გამქრალი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელები

I ზოგადი მიმოხილვა

სანამ საჯავახოს მხარის უშუალო ისტორიულ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ უნდა აღინიშნოს, რომ ლევან სანიკიძე ,,უქარქაშო ხმლებში'' საჯავახოს ქვემო იმერეთად მოიხსენიებს. პროფესორი ოლღა სოსელია გვამცნობს, რომ ჭილაძეთა სათავადო ანუ საჯავახოს მხარე XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე ოდიშის სამთავროს შემადგენელი ნაწილია [8-271-285]. აკადემიკოსი აკაკი შანიძე კი 1984 წელს მის თხზულებათა სრულ კრებულზე დართულ ბიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ იგი გურიაში დაიბადა, საჯავახოს (იგულისხმება მხარე) სოფელ ნოღაში. როგორც ვხედავთ, უკვე ნათლად იკვეთება სხვადასხვა შეხედულება საჯავახოს კუთვნილებაზე და შევეცდებით მასშუ მეტ-ნაკლები სიცხადე შევიტანოთ.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საჯავახოს მხარე მოსაზღვრე ტერიტორიაა იმერეთის სამეფოს, გურიისა და ოდიშის სამთავროებს შორის და ისტორიულად დავა მის დანაწევრებასა თუ მფლობელობაზე სწორედ ამ რეგიონების მმართველებს შორის მიმდინარეობდა.

საჯავახოს მხარე, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არსებობას წყვეტს უახლოეს ისტორიულ წარსულში – XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს სსრ-ს რაიონულ ერთეულებად დაყოფაზე გადასვლიდან. მისი ერთი ნაწილი ექცევა სამტრედიის, ხოლო მეორე – ჩოხატაურის რაიონის დაქვემდებარებაში. დაყოფის ეს პრინციპი გრძელდება დღემდე. მხარის დასახელება შემორჩა მხოლოდ მის ერთ სოფელს, რომელიც ადრინდელ საარქივო დოკუმენტებში არა საჯავახოს, არამედ ბარსაჯავახოს ან ბარის სახელითაა მოხსენიებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საარქივო დოკუმენტებში იხსენიება საჯავახოს მხრის 30-ზე მეტი სოფელი. გვხვდება შემთხვევა, როცა საარქივო დოკუმენტში მხარის ზოგიერთი სოფელი საჯავახოს სახელითაა მოხსენებული. მაგალითად, 1819 და 1841 წლების საეკლესიო აღწერის მასალებში სამტრედიის რაიონის

სოფლები ძველი ოფეთი და წიაღობანი საჯავახოს სახელითაა მოხსენიებული. ასევე საჯავახოს სახელითაა მოხსენიებული ჩოხატაურის რაიონის შემადგენლობაში მყოფი საჭამიასერის თემის ორი სოფელიც. თვითონ ახლანდელი სოფელი საჯავახო საარქივო დოკუმენტებში, როგორც უკვე აღინიშნა, ბარსაჯავახოს სახელითაა მოხსენიებული.

ხსენებულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობის შედეგად საისტორიო ლიტერატურაშიც გვხვდება უზუსტობები და ზოგჯერ დღევანდელ სოფელ საჯავახოსთანაა გაიგივებული ზემოხსენებული სოფლები.

უზუსტობას ვერ ასცდენია საქართველოს სსრ ენციკლოპედიაც, სადაც სოფელ საჯავახოს არეალში 1519 წელს აშენებული წმ. გიორგის ეკლესია-მონასტერი, რომელიც სინამდვილეში საჯავახოს მხარის სოფელ გამოჩინებულშია.

საჯავახოს მხარის დანაწევრების ერთ-ერთი ეპიზოდია მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ მისი ორ ნაწილად გაყოფა, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებს შორის. საარქივო მასალებით დგინდება, რომ მე-19 საუკუნეში ქუთაისის მაზრაში აღირიცხება საჯავახოს-გამოჩინებულის საბლაღოჩინო ოლქი, ხოლო ოზურგეთის მაზრაში კი გურიის საჯავახოს საბლაღოჩინო ოლქი. საზღვარი აღნიშნულ ოლქებს შორის მდინარე ხევისწყალია, რომელიც სოფელ ნოღას ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ნოღად ჰყოფს.

ისტორიული ცნობები საჯავახოს მხარის შესახებ

საისტორიო მასალების მიხედვით, ოდიშის სამთავროში XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე უდიდესი და უძველესია ჭილაძეთა სათავადო. იგი მდინარე რიონის ორივე ნაპირზეა გადაჭიმული. იმისათვის რომ, წარმოდგენა შეგვექმნას სათავადოზე, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, მისი საზღვარი ასე წარმოგვიდგება: რიონის მარჯვენა სანაპიროზე საჯავახოს სათავადოში შედის სამტრედიის რაიონის სოფლები: ნაფაღაური, ნაჩხეტაური, ილორი, სანავარდო-სამტრედია. აბაშის რაიონის სოფლები: ტყვირი, ორპირი, ქოლობანი, გუგუნაყათი, გაღმართი, ანჯელი და სხვა. ჭილაძეთა სათავადოს საზღვრებშია აგრეთვე მარტვილის რაიონში მდებარე შხეფის ციხე და ამავე რაიონის ნაწილი ბანძამდე. საჯავახოში შედის ასევე რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სამტრედიის რაიონის ყველა სოფელი. ახლანდელი ჩოხატაურის რაიონის ქვემოხეთისა და კოხნარის გამგეობების საზღვრებში შემავალი სოფლები, ლანჩხუთის რაიონის სამტრედიის რაიონთან მოსაზღვრე რამდენიმე სოფელი: ქვიანი, ნიგოითი, აგრეთვე გულეკარი და კეთილარი. ჭილაძეების სამბრძანებელია ტყვირი და გულეკარი, ფლობენ ტოლებისა და შხეფის ციხეებს.

აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ცნობით, აღნიშნულ მხარეს საჩინოსთან ერთად (ვანის რაიონი) ჭილაძეებზე ადრე ქობულიძეების დიდი საერისთავო

საგვარეულო ფლობდა. ქობულიძეების სამფლობელოები ნ. ბერძენიშვილის ცნობით, აღმოსავლეთით თვით ქუთაისამდე აღწევდა, დასავლეთით კი ტოპონიმ ქობულეთსაც. მეცნიერი ქობულიძეებს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ, ალბათ, აქ ქობულიძეები ბატონობდნენ გურიელებზე ადრეო აღნიშნულ ადასტურებს პირთა ანოტირებულ ლექსიკონში მოყვანილი ერთი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც თამარ დედოფალს (დავით ნარინის თანამეცხედრეს) ბეღე ქვაბულიძისგან შეუსყიდია სოფელი კვახჭირი.

თუ როდის გადავიდა ჭილაძეთა მფლობელობაში საჯავახო, ამაზე ისტორია ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს, მაგრამ ისტორიკოსთა ცნობით, იგი უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს XIII-XIV საუკუნეებისა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭილაძეები ქობულიძე-ქვაბულიძეთა ერთერთი შტოგვართაგანი შეიძლება იყოს. რა გვაძლევს ამის საფუძველს? ნ. ბერძენიშვილის ცნობით, ქვაბულიძეები დონაურებთან, აბაზაძეებთან, ბაღვაშებთან და სხვა დიდგვაროვნებთან ერთად დიდი საერისთავოების გამგებლები არიან. ისინი თავიანთ სამფლობელოებში მეფის ტიტულით მოიხსენიებიან (ნ. ბერძენიშვილის ცნობით, საჩინოში ექსპედიციის დროს მოსახლეობაში ჯერ კიდევ მოიხსენიებოდა ნეფე ქვაბლიძე). ამასთან სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში არის ადგილი "ჭილა მეფის ნასახლარის" სახელით. შესაბამისად ჭილა მეფე, ჭილა ქვაბლიძე იყოს.

ცენტრალური სამეფო ხელისუფლების გაძლიერების კვალობაზე (XI-XII-XIII საუკ.) დიდი საერისთავოები და მათი მფლობელებიც ისტორიული ასპარეზიდან ქრებიან და საერისთავოების ადგილს უფრო მცირე ფეოდალური ერთეულები სათავადოები იკავებენ.

აქვე საგულისხმოა ექვთიმე თაყაიშვილის ცნობაც იმის შესახებ, რომ ჭილაძეები ერთ დროს რომელიღაც კუთხის ერისთავად მჯდარან. მეცნიერი ამას მარტვილის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის უთარიღო ასომთავრულ წარწერას უკავშირებს, რომელსაც ასე კითხულობს: ,,მეოხ და მფარველ ექმენით მამკობსა თქვენსა ერისთავს ივანეს ჭილას ძესა და ბუბასა". რამდენადაც ჭილაძეები ცნობილი არიან, როგორც თავადები და არა ერისთავები, ერისთავი მათი ახლო წინაპარი შეიძლება იყოს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭილაძეების სათავადო გვარს საფუძველი დაუდო ჭილა ქვაბულიძემ ან მისმა რომელიმე უახლოესმა შთამომავალმა, რომელმაც მისი გაცილებით დიდი საერისთავოს ცენტრალური ნაწილი საჯავახოს სათავადოს სახით შეინარჩუნა.

XIV საუკუნეში ჭილაძეთა გვარის წარმომადგენელი ციხისთავად და მოლარეთუხუცესად მოიხსენიება. თავადი ჯავახ II ჭილაძე კი, მეფე ლუარსაბ I-ის დაზე ყოფილა დაქორწინებული, რაც ასევე ჭილაძეთა თავადურ ღირსებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება მხარის სახელწოდებას, უნდა აღინიშნოს, რომ ჭილაძეთა გვარში სხვადასხვა დროს მოიხსენიება ორი ძლიერი ფეოდალი ჯავახ I და ჯავახ II.

მხარის სახელწოდებაც ისტორიკოსთა ვარაუდით ერთ-ერთი მათგანის სახელიდან უნდა მოდიოდეს.

ისტორიულად ჭილაძეები დადიანების ვასალებად ჩანან. XVI საუკუნეში ვარაზ ჭილაძე დადიანის მხარეს იბრძვის იმერეთის მეფის წინააღმდეგ. 1568 წელს კი იანეთს მდგარ იმერეთის მეფეზე თავდასხმაში იგი დადიანთან ერთად მონაწილეობს.

XVI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იმერეთის მეფე გიორგი II მასზე თავდასხმის ბრალდებით კლავს ჯავახ II ჭილაძეს და თვითონ იკავებს საჯავახოს.

მხარის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დადიანი და გურიელი შეთანხმებით მოქმედებენ და არ ანებებენ მეფეს საჯავახოს. საჯავახოს რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნაწილს იკავებს გურიელი, მარჯვენა ნაპირზე მდებარეს კი დადიანი. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული (XVI საუკუნის 70-იანი წლები) საჯავახოს გურიელისეულ ნაწილს შემორჩა ძველი სახელი საჯავახო, ხოლო დადიანისეული კი საჭილაოდ იწოდა. ამ პერიოდიდანვე ესმევა წერტილი დადიანებისა და ჭილაძეების ბატონობას რიონის მარცხენა სანაპიროზე და გაუთავებელი დავა მის მფლობელობაზე უკვე იმერეთის მეფესა და გურიელს შორის მიმდინარეობს. XVI საუკუნის 70-იან წლებში გურიელი მალევე კარგავს საჯავახოს და მას კვლავ იმერეთის მეფე ინარჩუნებს. 1661 წელს ვახტანგ V შაჰნავაზის იმერეთში ლაშქრობის დროს ვახტანგი საჯავახოს გურიელს უბრუნებს, მაგრამ გურიელი წყალობას იმავე წელს კარგავს და საჯავახო ისევ იმერეთის მეფის ხელშია. სრული სურათი საჯავახოს მხარის კუთვნილებაზე შემდგომ პერიოდში არ მოიპოვება. შემორჩენილი ცნობებით იგი ასე წარმოგვიდგება.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მეფე ალექსანდრე თავის ასულს როდამს ათხოვებს მამია IV გურელზე, რომელსაც მზითევში ატანს საჯავახოს. ამავე საუკუნის 70-იან წლებში როდამის გარდაცვალების შემდეგ კი სოლომონ I ,,მძლავრებით'' კვლავ უკან იბრუნებს მას.

1787 წელს დავით იმერეთის მეფე გურიელს აძლევს საჯავახოს, (მიზეზი ისევ ქორწინებაა), მაგრამ მას მალევე უკან იბრუნებს სოლომონ II. საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ საჯავახო სახაზინო მამულად ირიცხება. გურიელის მოთხოვნით საჯავახოს კანონიერ კუთვნილებაზე (იგულისხმება ,,ნამზითვობა'') რუსეთის ხელმწიფე საჯავახოს ერთ ნაწილს უბრუნებს გურიელს, ხოლო მეორე ნაწილი იმერეთის საზღვრებში რჩება.

აღნიშნულთან დაკავშირებით რუსულ ენაზე შედგენილ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში მოხსენებულია საჯავახოს მხარის შემდეგი სოფლები: კალოუბანი, ჩომეთი, ზემოხეთი, ბურნათი, ქვემოხეთი წიაღუბანი, აბაშა, ტერჩოული, ოფეთი, მუხაღრუა, ხართაული, მთავარანგელოზი, ბარი (ბარსაჯავახოა ავტ.), ნიგორზღვა, ნოღა, ქვაყუდე, გამოჩინებული, გულეკარი. დოკუმენტის მიხედვით ჩამოთვლილი სოფლებიდან მდებარენი მდინარე ქვენათის (სხვა წყაროებით ქვაფათა) მარცხენა ნაპირის მხარეს გადაეცა გურიელს, ხოლო

მარჯვენა ნაპირის მხარეს მდებარენი – თავადებს ოტია და სეხნია წულუკიძეებს.

რაც შეეხება მდ. ქვენათს (ან ქვაფათა) ასეთი გეოგრაფიული ერთეული დღეისათვის არ ფიქსირდება (საისტორიო დოკუმენტებშიც არ გვხვდება მისი დღევანდელი დასახელება) მიუხედავად ამისა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ იგი ახლანდელი მდ. ხევისწყალია, რომელიც დღეისთვისაც სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების ძირითად გამყოფს წარმოადგენს.

საჯავახოს მხარის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის გაქრობამდე აქაური მოსახლეობა (მისი ნაწილი მაინც), როგორც ჩანს, თავს საჯავახოს ქვეყნის მკვიდრებად თვლიდნენ. ამის ერთი ნათელი დასტურია ი. მახარაძის წიგნის ,,უაილდ უესთის მხედრები'' – პერსონაჟის, გურიიდან ამერიკაში წასული მოჯირითის ბარბალე ზაქარეიშვილის წერილის ფრაგმენტი, სადაც იგი აღნიშნავს: ,,ჩვენ საჯავახოს ქვეყნიდან ვართო''.

საჯავახოს ქვეყანის არსებობას პირდაპირ ადასტურებს საარქივო დოკუმენტებიც. შეიძლება მოვახდინოთ დოკუმენტთა ზუსტი ციტირება: ,,ამა სოფელსა (აქ სოფელი ქვეყნის მნიშვნელობითაა ნახმარი) საჯავახოს შინა არს სოფელი გამოჩინებული და ა.შ.'' რაც შეეხება იმ სოფლებს, რომლებიც არ განეკუთვნება საჯავახოს ქვეყანას, აქ ჩანაწერებიც იცვლება. მაგალითად, სოფლები: ჭყვიში, ტობანიერი, საპაიჭავო და კუშუპოური არ მოიხსენიება საჯავახოს სოფელსა (ანუ ქვეყანასა) შინა.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ საჯავახოს მხარის დანაწევრება და გაუთავებელი დავა მისი დასაკუთრებისათვის შუა საუკუნეებში მინდინარე საქართველოს ერთიანი სამეფოს რღვევის პროცესის შემადგენელი ნაწილია. იგი ხელიდან ხელში გადადის – დადიანს, გურიელსა და იმერეთის მეფეს შორის. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯავახოს უმეტეს ნაწილში ყველაზე ნაკლებადაა შემორჩენილი კუთხურობის ელემენტი, როგორც ენობრივ დიალექტში, ისე ურთიერთობებში. ზოგჯერ გარკვეულ დაბნეულობას იწვევს აქაურ მკვიდრზე შეკითხვა თუ რომელი კუთხის შვილია იგი. ზოგი იმერლობს, ზოგიც გურულობს. ისტორიული საჯავახოს მკვიდრობა კი უკვე მეხსიერებიდან წაშლილია.

როგორც აქ ამბობენ, აკაკი შანიძეს მიაწერება გამოთქმა ,,ყველაზე სუფთა ქართულს საქართველოში ნოღიდან დაფნარამდე მოისმენო''.

სახასიათოა ისიც, რომ აქ სოფლების უმეტეს ნაწილში სუფრაზე არ იტყვიან რომელიმე კონკრეტული კუთხის სადღეგრძელოს (იმერეთის ან გურიისას. სამეგრელო ხომ ისედაც დიდი ხნის დავიწყებულია).

ე.ი. მოსახლეობა, თანახმად არაცნობიერად შემორჩენილი ისტორიული მეხსიერებისა, თავს არ თვლის რომელიმე დღეს არსებული კუთხის თავგადაკლულ წარმომადგენლად და აქ უმეტესად აკად. ა. შანიძის გამოთქმის დარად, ერთიანი საქართველოს სული სუფევს.

აქვე წარმოგიდგენთ საჯავახოს მხარის საბლაღოჩინო ოლქებში შემავალი სოფლების დასახელებას, XIX საუკუნის მონაცემების მიხედვით.

ქუთაისის მაზრა (მე-19 საუკუნე)
საჯავახოს გამოჩინებულის საბლაღოჩინო ოლქში შემავალი სოფლები (ახლანდელი სამტრედიის და ვანის რაიონები)

1. გამოჩინებული (ქვემო აბაშა – XI საუკ. წმინდა გიორგის სახ. მონასტერი – აღდგენილია.
2. ბარი-ბარსაჯავახო (დღევანდელი სოფ. საჯავახო) – ღვთისმშობლის შობის ეკლესია.
3. დაფნარი – ღვთისმშობლის შობის ეკლესია.
4. ნიგორზღვა – I. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია – აღდგენილია;
   II. ზედმიწერილი წმინდა გიორგის ეკლესია.
5. ჭოკნარი (ახლანდელი ჭოგნარი) – სვეტიცხოვლის სახ. ეკლესია.
6. გორმაღალი – წმ. სამების ეკლესია – აღდგენილია.
7. ქვაყუდე (ბერძნისწყაროდაც იწოდება) წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.
8. ნოღა (ხევისწყალი ყოფს ორ ნაწილად) – I წმ. გიორგის სახელობის ეკლესია – აღდგენილია;
   II ზედმიწერილი ნოღის წმ. გიორგის ეკლესია.
9. მუხაღრუა (ახლანდელი ზედა გომი, გომნატეხები, კორმაღალი, კვირიკე):
   1) წმ. გიორგის სახ. ეკლესია – აღდგენილია;
   2) წმ. მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია;
   3) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია-აშენდა ახალი წმ. ნინოს სახელზე;
   4) ღვთისმშობლის შობის ეკლესიაზე ზედმიწერილი კორმაღლის ეკლესია.
10. გომი (ახლანდელი დაბლა გომი) – უფლის მირქმის სახ. ეკლესია.
11. ძველი ოფეთი – (ტერჩოულად იწოდება) XI საუკ. მთავარანგელოზთა ეკლესია (ზოგ საარქივო დოკუმენტში საჯავახო, სოფელი მითითებულია მხარის სახელით) აღდგენილია.
12. ხართაული (ტერჩოულის – ძვ. ოფეთის მიმდებარე ტერიტორია – ამჟამად დაცლილია მოსახლეობისაგან).
13. წიაღუბანი – წმ. მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.
14. ქორეისუბანი (ახლანდელი ვაზისუბანი) – XIII საუკ. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია – აღდგენილია.
15. ახალი ოფეთი (ახლანდელი ოფეთი) – წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია. (ზოგ საარქივო დოკუმენტში საჯავახო. სოფელი მითითებულია მხარის სახელით).
16. მთავარანგელოზი (ოფეთში შედის, ამჟამად ამ სახელით სოფელი იხსენიება).

17. კუშუპოური (ახლ. ვანის რაიონი) უფლის ჯვარცმის ეკლესია (აღდგენილია).
18. ტობანიერ-ეწერი – (ახლ. ვანის რაიონი) წმ. სამების ეკლესია (მიმდ. აღდგენა).
19. ტობანიერი – (ახლ. ვანის რაიონი) წმ. სამების ეკლესია.
20. ჭყვიში (ახლ. ვანის რაიონი):
    1) უფლის ჯვარცმის ეკლესია;
    2) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია;
    3) წმინდა დიდმოწამე გიორგის ეკლესია;
    4) წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია;
    5) ზედმიწერილი კოსიეთის მთავარანგელოზთა ეკლესია.
21. საპაიჭაო (ახლანდელი ყუმური – ვანის რაიონი):
    - წმ. გიორგის ეკლესია;
    - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია;
    - ჯვარცმის ეკლესია;

ოზურგეთის მაზრა
გურიის საჯავახოს საბლაღოჩინო ოლქი XIX საუკ.
(ახლანდელი სამტრედიის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები)

1. ტოლები (ქვემო ნოღით) – წმ. გიორგის ეკლესია (სამტრედიის რაიონი).
2. ქვემოხეთი – მაცხოვრის სახელობის ეკლესია (საარქივო დოკუმენტებში მოიხსენიება მხარის სახელით – საჯავახო).
3. საჭამიასერი – წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.
4. ზემოხეთი – წმ. გიორგის ეკლესია.
5. კალაგონი – წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.
6. ობუთვანი.
7. ჩომეთი – წმ. გიორგის ეკლესია.
8. მამულარი.
9. კოხნარი – (საარქივო დოკუმენტებში მხარის სახელითაა_საჯავახო) წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.
10. კალოუბანი.
11. ბურნათი – პეტრე და პავლე მოციქულების ეკლესია.
12. ძნელაძეები.
13. წიფნარა.
14. ნაკადული.
15. ბუკნარი – ზედმიწერილი ეკლესია საჯავახო-კოხნარზე.
16. თავსურები – წმ. გიორგის ეკლესია.
17. ზემო სურები – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია.

18. შუა სურები – წმ. გიორგის ეკლესია.
19. ქვემო სურები – წმ. გიორგის ეკლესია.
20. საყვავიას ტყე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია.
21. ქვიანი – წმ. გიორგის ეკლესია (ლანჩხუთის რაიონი).
22. ჭყონაგორა – წმ. გიორგის ეკლესია (ლანჩხუთის რაიონი).
23. ჯიხეთი – წმ. გიორგის ეკლესია (ლანჩხუთის რაიონი).

ყველა ჩამოთვლილი სოფელი არ განეკუთვნება საჯავახოს მხარეს. გამოჩინებულის საბლაღოჩინოშია ახლანდელი ვანის რაიონის სოფლები, ხოლო გურიის საჯავახოს საბლაღოჩინოში სურების თემისა და ახლანდელი ლანჩხუთუის რაიონის სოფლები. მიუხედავად ამისა, სასულიერო-ადმინისტრაციული დაქვემდებარების გამო, ეს სოფლებიც შეყვანილია ჩამონათვალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი. IV. თბ., 2007.
2. თვალავაძე ვ. სამტრედია 1870-1914. თბ., 2001.
3. ბერძენიშვილი ე. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.
4. გაზ. ,,კვირის პალიტრა" ¹50, 2001.
5. საისტორიო ცენტრალური არქივი ფ. 2. ს. 1008.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბ., 1978.
7. სანიკიძე ლ. ,,უქარქაშო ხმლები", ტ. 2.
8. სოსელია ო. ,,ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან". ტ. 1 თბ., 1973, ჩხატარაიშვილი ქ. ,,გურიის სამთავრო..." გვ. 32-34, 94-95, 271-273.
9. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წ. 1 იანვრისათვის.
10. მახარაძე მ. ,,უაილდ უესთის მხედრები".
11. თაყაიშვილი ე. ,,არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში"

✍ ემზარ ხვიჩია

სტალინი

სტალინის ფენომენის შეფასება ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. წარმოგიდგენთ ამ საკითხის განხილვას ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის პოზიციიდან, რომელიც არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარება, ,,განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის'' აღმოჩენის საფუძველზე.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საზოგადოებაში სტალინისადმი დღეს არსებული, მეტწილად ნეგატიური, დამოკიდებულების განმსაზღვრელ, მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებათა ფაქტობრივი გაბათილება შესაძლებელია ისტორიის ანალიზის ახალი მეთოდის გარეშეც.

მაგ.: სტალინს ცოდვად ეთვლება ბოლშევიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, მაგრამ ბოლშევიზმს, როგორც თავისი დროის პრობლემების მიმართ ეფექტურ რეაქციას, აბსოლუტური ცოდვის იარლიყი უნდა მოვხსნათ: ბოლშევიკურმა პარტიამ შეძლო უმოკლეს დროში აღმოეფხვრა უკიდურესი სოციალური უთანასწორობა, რომელიც რუსეთის იმპერიაში მოქცეულ ქართველ ერსაც მეტად უმძიმებდა არსებობას (ქართული არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სოციალური კლასებს შორის ურთიერთობის რუსეთის იმპერიისეული მოდუსის გათავისება დიდი ზიანს აყენებდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას); დაჩქარებული სოციალური ტრანსფორმაციის ბოლშევიკური პოლიტიკის შედეგებმა (საბჭოეთის მაგალითმა) დიდად შეუწყო ხელი კოლონიალური, რასობრივი და სოციალური ჩაგვრის მოსპობის ტენდენციის განვითარებას XX საუკუნის მსოფლიოში (სამწუხაროდ, დღეს საპირისპირო ტენდენცია ვითარდება: ადამიანით ვაჭრობა, ტრეფიკინგი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სახელდება).

მეორე, რაც სტალინს ცოდვად მიეწერება, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ინიციირებაა; სინამდვილეში საქართველოს ეს ხვედრი გადაწყვეტილი იყო საერთაშორისო შეთანხმებების საჯარო და ფარული პირობებით: 1920 წელს, საბჭოთა საგარეო საქმეთა კომისრის, ჩიჩერინის ლონდონში ვიზიტისას, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, მოხდა შეთანხმება საქართველოს საკითხზე – რუსეთის იმპერიაში, მათ შორის ბაქოს ნავთობსარეწებში, დაბანდებული ბრიტანული კაპიტალის სახელმწიფო ვალად აღიარების პირობით, საბჭოთა რუსეთს დაუთმეს კავკასია (ბრიტანეთის იმპერიამ თავისი პოზიცია დააფიქსირა ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების ჩაშლით – მისი აქტიურობით შეგროვდა საკმარისი მოწინააღმდეგე ხმები); ამას დაერთო რუსეთ-თურქეთის (ლენინ-ათათურქის) შეთანხმება კავკასი-

ის გაყოფის საკითხზე, რომელმაც განსაზღვრა კავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების ფორმირების, საქართველოსგან საინგილოს ჩამოშორების, ქართლისა და მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველების და ბორჩალოთა) აზერბაიჯანელებად რეგისტრაციის ფაქტები; ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის დამხობაში საბჭოთა რუსეთზე არანაკლები წვლილი მიუძღვით თურქეთს და დიდ ბრიტანეთს. მათგან ფაქტობრივი თანხმობის მიღწევის შემდეგ საბჭოთა რუსეთისთვის საქართველოს ანექსია, მხოლოდ დროის შერჩევის საკითხი იყო. სტალინს, როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, არ შეიძლება არ სცოდნოდა ამის შესახებ. ამდენად, მისეული არჩევანი (ისედაც გარდაუვალი მოვლენის რეალიზაციაში ინიციატორად თავის წარმოჩენა) ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესების ზიანის მაქსიმალურად შემცირების მცდელობად შეიძლება მოვიაზროთ. მართლაც, მის გარეშე საქართველოს ანექსია მაინც მოხდებოდა და, როგორც დღეს მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებენ, მისი ადმინისტრაციული საზღვრები დღეს საქართველოს ხელისუფლების ფაქტობრივ კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიის მომცველიც ვერ იქნებოდა; 1936 წელს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შემოღებით სტალინმა მოახდინა საქართველოს საკითხზე არსებული, აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებების შედეგების ფარული პირობების ნაწილობრივ მაინც გაბათილება: საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცალკე რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, იურიდიულად კავშირიდან გასვლის უფლებით (ეს შედეგი შენიღბულ იქნა თურქესტანის ავტონომიური რესპუბლიკის ოთხ მოკავშირე რესპუბლიკად დაშლით); უშუალოდ საქართველოს შემადგენლობაში მოექცა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები; შემდეგ მასვე შეუერთდა თებერდის რაიონი და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტერიტორია; ცნობილია, რომ სტალინი გეგმავდა თურქეთისგან ისტორიული ქართული მიწების ჩამოშორებას, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას შექმნილმა ძალთა თანაფარდობამ არ მისცა ამის საშუალება (იხ. ქვემოთ); სტალინმა დაარღვია ლენინის ინიციატივით დიდ ბრიტანეთთან დადებული შეთანხმების პირობებიც, 1918-1920 წწ. რუსეთის სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელთა მიერ, რომლებიც ბრიტანეთის მხრდაჭერით მოქმედებდნენ, საბჭოთა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის კონტრარგუმენტად წარმოდგენით.

სტალინს დადებით ალტერნატივად უპირისპირებენ 1924 წელს საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, მაგრამ მხოლოდ თავგანწირვა არ არის საკმარისი ქვეყნისთვის სარგებლის მოსატანად: მაშინდელ ვითარებაში, როცა წითელი არმიის ნაწილებს ეჭირათ ყველა საკვანძო პუნქტი, შეთქმულებს არ ჰქონდათ საკმარისი იარაღი, მოკლებულნი იყვნენ საგარეო მხარდაჭერას, აჯანყების წამოწყებას პროვოკაციის მეტს ვერაფერს ვუწოდებთ: საბჭოთა საოკუპაციო ძალებს მიეცათ საბაბი ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა და სხვა არასასურველ პირთა ლიკვიდაციისათვის. აღსანიშნავია, რომ აჯანყების სახელმძღვანელოდ ემიგრაციიდან დაბრუნებული გამოჩენილი ქართველი გენერალი, ვალიკო ჯუღელი ადგილზე ვითარების გაცნობის

შემდეგ მივიდა აჯანყებისთვის მზადების შეჩერების აუცილებლობის შესახებ დასკვნამდე, მაგრამ სხვა ლიდერები ვერ დაითანხმა და თავგანწირვის ფასადაც ვერ შეძლო კატასტროფის აცილება (ის ჩაბარდა ბოლშევიკებს, რათა შუამავლის როლი ეკისრა, მაგრამ შეთქმულების ხელმძღვანელებმა უარყვეს მასთან კავშირი). აჯანყებულები მოქმედებდნენ იმხნად წამყვან გეოპოლიტიკურ ძალებს შორის საქართველოს საკითხზე არსებული, მეტწილად ფარული, მაგრამ მოვლენების განვითარების ლოგიკით არაძნელამოსაცნობი შეთანხმებების პირობების გაუთვალისწინებლად და საფრთხეს უქმნიდნენ საბჭოეთის პოლიტიკურ ელიტაში ქართველ ბოლშევიკთა წარმომადგენლების პოზიციას, ერთადერთ რესურსს (როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა) ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესების დასაცავად, იმ ვითარებაში.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სტალინის დამსახურებაა საბჭოეთში რელიგიის ინსტიტუტების ფუნქციის აღდგენა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება რუსეთის ეკლესიის მიერ (იხ. ქვემოთ); ქართული ფოლკლორის აკადემიური ხელოვნების რანგში აყვანა-დაფიქსირება და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება. მისი ინიციატივით ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია კი, მის სტრატეგიულ ორიენტირზე ცალსახად მინიშნებაა (დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის ეტაპობრივად აღდგენა).

ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვანი არგუმენტია სტალინის ფენომენის აქამდე ცნობილი შეფასებების არაობიექტურობის წარმოსაჩენად, მაგრამ ეს არაა საკმარისი ამ ფენომენის იდენტიფიკაციისთვის. საზოგადოდ, ისტორიული ფიგურა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მის მიერ ინიცირებული მოვლენების მიხედვით, არამედ იმის გათვალისწინებითაც თუ რა იყო ამ მოვლენების ობიექტური ალტერნატივა, ანუ – თუ სხვა რისი შესაძლებლობა იყო სისტემურად დაშვებული, მის მიერ ინიცირებულ მოვლენათა გარდა, მისი თანადროული მსოფლიოს თუ მსოფლიოს კერძო ნაწილის მდგომარეობის მიხედვით. ცხადია, რომ აქ მთავარი პრობლემაა ალტერნატივების ობიექტურობის შეფასებისთვის კრიტერიუმების დადგენა. ამ პრობლემის დაძლევის საშუალებაა ფსიქიკურ სტიქიათა თეორია, რომელიც საკმარისი სისრულითაა გადმოცემული ავტორის მონოგრაფიაში – ,,ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია'' (ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ფონდში, დაცულია მისი მეორე, შევსებულ გამოცემა, სათაურით – ,,ოპტიმალიზმი: ქართული ეროვნული იდეა, გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა'').

ეგეოსურ ცივილიზაციაში (ეგეოსურ ნოოცენოზში), რომლის შემადგენელ ელემენტადაც ჩამოყალიბდა ქართველი ერი (ქართველი ნოოსი), ცივილიზაციური (ნოოცენოუზრი) ფაზების ცვლა მიმდინარეობს ,,**ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის**'' მიხედვით: ყოველი მეორე ფაზა **მართვის მანიის** და **ძლევის მანიის** ფსიქიკური სტიქიების სინქრონული აქტუალიზაციის – ,,**ორმაგი ეფექტის ფაზას**'' წარმოადგენს, რომელთაც მორიგეობით მოსდევს **ცხრომის მანიის** და **ფორმის მანიის** ფსიქიკურ სტიქიათა დაცალკევებულად აქტუალიზაციის ანუ ,,**ცალფა ეფექტის**'' ფაზები; ამავე სქემის მიხედვით, მაგრამ ფსიქიკურ სტიქიათა დასახელებული წყვილების საპირისპირო პოზიციებზე (ორმაგი ეფექ-

ტის ფაზების რეალიზატორებად – **ცხრომის მანიის** და **ფორმის მანიის** ფსიქიკური სტიქიების, ცალფა ეფექტის ფაზების რეალიზატირებად – **მართვის მანიის** და **ძლევის მანიის** ფსიქიკური სტიქიების) დაფიქსირებით მიმდინარეობდა ფაზების ცვლა **დასავლეთევროპულ** ცივილიზაციაშიც, რომელიც გამოეყო **ეგეოსურ** ცივილიზაციას (მასში გერმანულ-ნორმანდიულ სამყაროთა თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესში, სხვადასხვა ეთნოსების მდგომარეობის მიხედვით, ეგეოსური ცივილიზაციის ფაზათა ცვლის სინქრონულობის დარღვევის შედეგად) 12-ე საუკუნის შუაწლებში და უმძიმესი კონკურენცია გაუწია მას გლობალიზაციის პროცესში. მათი გაყოფის აქტის გამოხატულებაა საქართველო-ეგვიპტის ურთიერთსოლიდაროზა დასავლეთევროპელ ჯვაროსნებთან დაპირისპირებაში (დადასტურებულია თამარ მეფისა და სალადინის მიმოწერას დოკუმენტებით), და ე.წ. ლათინთა იმპერიის და ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბება (ბიზანტიის მემკვიდრეობის გაყოფა საქართველოსა და დასავლეთევროპელ ჯვაროსნებს შორის). ეს კონფლიქტი ჩინური ცივილიზაციის ექსპანსიის შედეგად მინელდა, დროებით. მე-13 საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპის სივრცეზე ჩამოყალიბდა ჩინური ცივილიზაციის ფორმის მანიის ეფექტის ფენომენთაგანი, ოქროს ურდოს სახით. შემდეგ, ის, როგორც ასეთი, მოსკოვის რუსეთმა შეცვალა, რომელმაც, ნოვგოროდის რუსეთის სახით, ეგეოსური ცივი-ლიზაციის ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენიც გაანადგურა, XVI საუკუნის შუაწლებში, და სრულად მოიცვა რუსეთის სივრცე. ხოლო, ასევე, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის, რუსეთის იმპერიის (პეტერბურგის რუსეთის), ჩამოყალიბება, რაც პეტრე I დიდის სახელთანაა დაკავშირებული, რუსეთის სივრცეზე დასავლეთევროპული ცივილიზაციის დომინანტის დამყარების აღმნიშვნელია.

შევნიშნავთ, რომ ძლევის მანიის კლასის რუსი ერი ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (IX ს. შუახანები – XII ს. შუახანები) ფენომენად ჩამოყალიბდა, კიევის რუსეთის სახით (მისი ყოფილი სივრცის ცენტრალური ნაწილი დღეს ფორმის მანიის კლასის უკრაინელი ერის ფორმირების არეშია მოქცეული).

საარსებო პირობების ამგვარი რადიკალური ცვლილებების მიუხედავად, ძლევის მანიის კლასით რუს ერს არსებობა არ შეუწყვეტია – რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსული თემის (ე.წ. ობშჩინა) სახით, ძლევის მანიის ეფექტის სათანადო პრინციპით (თანასწორობის კატეგორიის პრიმატით) თვითორგანიზებულობას ინარჩუნებდა. რუსული სახელმწიფოებრიობა კი ჩინური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების გავლენის გამომხატველ, ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის მნიშვნელობით ვითარდებოდა, რუსი ერის არსებობის ფონზე. ყირიმის სახანოსთან ომის წარმატებით დასრულებამ (1572 წ.) ყაზანისა და ასტრახანის სახანოები საბოლოოდ მოაქცია რუსეთის გავლენის სფეროში. ჩინური ცივილიზაციის პოზიციიდან ეს იყო მისი ევროპული ფენომენების გაერთიანება, ეგეოსური ცივილიზაციის პოზიციიდან კი – მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის, ამ ცივილიზაციის გაფართოების პროცესის (XVII საუკუნეში სამხრეთის მიმართულებით რუსი ერის დემოგრაფიული ექსპანისიის) სტაბილიზაციის წინაპირობა; გა-

ფართოების ამ პროცესის ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ენერგიის გამოყენებით (არა ეკონომიკური ან კულტურული აუცილებლობის, არამედ რუსული სამხედრო ინსტიტუტის ფუნქციით, რომლის რიგითი შემადგენლობა რუსი მეთემეებისგან ივსებოდა) მიმდინარეობა რუსეთის სივრცეზე განვითარებულ მოვლენებს ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის გამომხატველი ასპექტით ავსებდა, რაც, აქ, ჩინური და, შემდეგ, დასავლეთევროპული ცივილიზაციების დომინირების პირობებში, ეგეოსური ცივილიზაციის მათთან უწყვეტ თანაარსებობას ნიშნავს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ენერგიული გაფართოების გაგრძელება (შუაზიის ანექსია), დასავლეთევროპული ცივილიზაციის მდგომარეობის მიხედვით, მის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზაში (XIX ს. მეორე ნახევარი), მართვის მანიის ეფექტის არააქტუალობის და ეგეოსური ცივილიზაციის მდგომარეობის მიხედვით, მის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზაში (XVI საუკუნის დასაწყისი – 1926 წ.), ამ ფაქტორის აქტუალობის პირობებში.

1898 წელს დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში დადგა მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა. ამ ეტაპზე ამ ცივილიზაციას ახალათვისებული ჰქონდა ჩინეთის სივრცე (XIX ს. შუაწლებში ჩინეთი და იაპონია დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის ცხრომის მანიის კლასის ერებმა აიძულეს გაეხსნა საზღვრები საერთაშორისო ვაჭრობისთვის) და პირველად, სწორედ, აქ დაფიქსირდა ამ გარდატეხის გამომხატველი მოვლენა, 1898-1901 წლების იხეტუანის აჯანყება, რომელმაც ჩაითრია ყველა ევროპული იმპერია, ამერიკა და იაპონია, ანუ მთელი დასავლეთევროპული ცივილიზაცია. ახალ ფაზაში რუსეთის იმპერიის, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის, არსებობა გახდა არააქტუალური, ხოლო ძლევის მანიის კლასის რუს ერს მიეცა ამავე თვისებრივი ტიპის ელემენტად დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის შესაძლებლობა.

რუსი ერის მიერ მისი თვითრეალიზაციის ამ ახალი შესაძლებლობის გამოყენების პირველი ცდა, 1905-1907 წწ. რევოლუციის მოვლენებში ასახული, წარუმატებლად დამთავრდა, რამაც დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ძლევის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით რეალიზაციის ტენდენციის გაძლიერება განაპირობა. ამის გამოხატულებაა ამ ცივილიზაციის ერების ორ ბანაკად (გერმანულ და ანტანტის ბლოკებად) გაყოფა, რაც 1914-1918 წლების მსოფლიო ომის მოვლენებში გადაიზარდა. ევროპული კოლონიური იმპერიების, როგორც წინა ფაზის რელიქტების, ამ კონფლიქტით გამოფიტვამ გზა გაუხსნა რუსი ერის პირდაპირი თვითრეალიზაციის აქტს, რასაც ასახავს 1917 წლის რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, და შედეგად, სამხედრო დემოკრატიის რეჟიმის დამყარება. ამ ეტაპზე დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაცია რუსი ერის თვითრეალიზაციის უპირატეს ალტერნატივად გამოიკვეთა, რასაც ადასტურებს ამ ტენდენციის გავლენით რუსი ერის ნოოფილოგენეზური განვითარების დაჩქარების ფაქტი – ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის დასრულება. სწორედ ამან განაპირობა რუსეთში რელიგიის ინსტიტუტების ფუნქციების დროებით შეჩერება.

რუსი ერის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის ტენდენცია ეგეოსური ცივილიზაციისთვის საარსებო საფრთხეს წარმოადგენდა. მისი თავდაცვითი რეაქციის რეალიზატორად მოგვევლინა ქართველი ერი. ქართველ მენშევიკთა ინიციატივით, რომლებიც დომინირებდნენ რუსეთის დროებითი ხელისუფლების კავკასიურ ინსტიტუტებში, კავკასია გამოეყო საბჭოთა რუსეთს და ფაქტობრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იწყო არსებობა, ,,კავკასიური სეიმის'' სახით. მართალია, დასავლეთევროპული ცივილიზაციის ექსპანსიის განახლების შედეგად, ამ წარმონაქმნის დაშლით, ქართველმა ერმა დაკარგა კონტროლი კავკასიის მეტ ნაწილზე, მაგრამ, მან, მაინც შეძლო ეგეოსური ცივილიზაციის ფენომენური გამოკერძოების ფაქტის დაფიქსირება, 1918 წელს ქართული სახელმწიფოს აღდგენით.

დასავლეთევროპულმა ცივილიზაციამ, დიდი დანაკარგების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა: თავის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის ანუ ოც წელიწადში (1898-1918 წწ.) დასრულებით, დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში პირველმა მიაღწია იმ გარდაქმნის ზღვარს, რომელსაც ,,ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციას'' ვუწოდებთ. ეს ნიშნავს ცივილიზაციაში ოთხივე თვისებრივი ტიპის ერთა სინქრონული თანაარსებობის უზრნველყოფის პრობლემის აქტუალიზაციას. ამ გარემოების გამოხატულებაა ,,ერთა ლიგის'', როგორც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ცენტრალური მარეგულირებელი ინსტიტუტის დაარსება (1920 წ.). ამგვარი გარდაქმნის იდეური უზრუნველყოფის პრობლემამ ერთა ლიგას არ მისცა აღნიშნული ფუნქციით ქმედითობის შესაძლებლობა და, ამდენად, დასავლეთევროპული ცივილიზაციის მომდევნო, მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (1919-1938 წწ.) დადგომით რუსეთის სივრცეზე ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ეფექტის ფენომენების აქტუალობა აღდგა.

რუსეთის სამოქალაქო ომი, რომელიც 1920 წლამდე გაგრძელდა, სათანადო ალტერნატივათა კონფლიქტის გამომხატველია. თეთრგვარდიული მოძრაობა (რუსული მონარქიის აღდგენის იდეის აქტუალიზაცია), როგორც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენი, მის მხარდამჭერ, ფრანგ და ინგლისელ ერებთან, როგორც ცხრომის მანიის ეფექტს ფენომენებთან, განასახიერებდნენ ერთ ალტერნატივას. გაიმარჯვა მეორე ალტერნატივამ, რომელიც რუსი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის ფაქტის სტაბილიზაციას გამოხატავდა, და, რომლის პერსონიფიკაციად შეიძლება დავასახელოთ ლენინი. 1920 წელს ჩიჩერინის ლონდონში ვიზიტის შედეგები ინგლისელი ერის ამავე ალტერნატივის სათანადო პოზიციაზე გადასვლის მაუწყებელია. ეს ალტერნატივა 1921 წელს ლენინის მიერ ინიცირებული "ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" (ნეპი), როგორც ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენის, (საბჭოეთის სივრცის ბრიტანული და, საზოგადოდ, დასავლური კაპიტალდაბანდებისათვის გახსნის პერსპექტივით) და მასთან სინქრონულად განვითარებულ, საბჭოეთის პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციის, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის, ერთობლიობით გამოვლინდა.

ამავე წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით ეგეოსური ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის კიდევ ერთხელ დათრგუნვამ (მისი

ფენომენური გამოკერძოების პროცესის ჩაშლამ) მოიტანა მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთევროპული ცივილიზაციის ძლიერების ზენიტად. მაგრამ, ამასთანავე, ამ ფაქტმა, საბჭოეთის სივრცეზე ქართველი და რუსი ერების ურთიერთქმედების ინტენსიფიკაცია და, შედეგად, აქ, მოვლენების განვითარებაში ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის სათანადო ასპექტის აქტუალიზაცია, ანუ ეგეოსური ცივილიზაციის ფენომენური აღორძინება მოიტანა, ნაცვლად ლიკვიდაციისა: ქართველ ბოლშევიკთა გავლენით, ბოლშევიკური პარტიის განვითარებაში ორი ცივილიზაციის კონფლიქტის გამოხატულება გახდა დომინანტური ფაქტორი. სტალინი, სწორედ, ამ გარემოების პერსონიფიკაციაა.

დასავლეთევროპულ და ეგეოსურ ცივილიზაციათა კონფლიქტი განსაკუთრებით გამძაფრდა 1926-1927 წლებში სტალინის (ქართველ ბოლშევიკთა ლიდერის) ინიციატივით საბჭოეთში ტოტალური რენაციონალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე გადასვლისთვის სამზადისის გაჩაღებით (აღსანიშნავია, რომ საამისოდ ტექნოლოგიური ბაზისის მოსამზადებლად მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის დარგების განვითარების კურატორადაც ქართველი ბოლშევიკი მოგვევლინა, სერგო ორჯონიკიძე). სტალინის ეს ინიციატივა სრულ შესაბამისობაში იყო ეგეოსური ცივილიზაციის თანადროულ მდგომარეობასთან – ამ ცივილიზაციაში მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის (1926-1947 წწ.) დადგომასთან: ლენინური "ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" (ნეპ-ის) შეჩერება, პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციის შენარჩუნებისა და გაღრმავების ერთდროულად, დასავლეთევროპული ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (ფორმის მანიის და ცხრომის მანიის თანხვედრილი ეფექტის) ფენომენის ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის ფენომენზე დაყვანის აქტად წარმოგვიდგება.

სტალინმა ისარგებლა დასავლეთევროპული ცივილიზაციის თანადროული ფაზით დაშვებული, პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციის (როგორც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ორმაგი ეფექტის ფენომენის ფორმის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის) გაღრმავების შესაძლებლობით და ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაციის გზით მიაღწია საბჭოეთის სივრცეზე მოვლენათა განვითარებაში აღნიშნულ ეფექტს, სათავე დაუდო დასავლეთევროპული ცივილიზაციის შეუქცევად დაქვეითებას.

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მიერ საბჭოეთის სივრცეზე განცდილი მარცხი არის უმთავრესი მიზეზი 1929-1933 წლების “დიდი დეპრესიისა”, რომლის დროსაც მაქსიმალური ზიანი განიცადა დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ახალმა ლიდერმა – ამერიკელმა ერმა. როგორც ცნობილია, “დიდი დეპრესის” დაძლევა მოხერხდა პრეზიდენტ რუზველტის “ახალი კურსით”, რომელიც სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების მექანიზმების დროებით ზომად შემოღებაში გამოიხატა. მაგრამ დღეს გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ სწორედ ამერიკის ხელისუფლების აქტიურმა ჩარევამ, ეკონომიკის სფეროში, განაპირობა დიდი დეპრესია. ეს შეფასება შეიძლება სწორი აღმოჩნდეს თუ დავაზუსტებთ ამერიკის მთავრობის იმ მოქმედების რაობას, რომელსაც შეიძლება აღნიშნული შედეგი

დაუკავშირდეს: – ამერიკელი ერის ახალი სტატუსი, დასავლეთევროპული ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერისა, ამ ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების მთავარ რეალიზატორად მის დაწინაურებას გულისხმობს. ამრიგად, საბჭოეთის სივრცეზე ეგეოსური ცივილიზაციის აქტუალიზაციის მიმართ დასავლეთევროპული ცივილიზაციის რეაქციის მთავარი რეალიზატორიც ამერიკელი ერი უნდა ყოფილიყო, რაც საბჭოეთის იზოლაციის მცდელობის პოლიტიკის გატარებაში გამოიხატა; ეს ნიშნავს ამერიკული ეკონომიკისთვის საბჭოეთის ბაზრის და ნედლეულის წყაროს დაკარგვას, ანუ დიდი დეპრესიის აცილების მნიშვნელოვანი რესურსის გაუქმებას და, შეიძლება ითქვას, – დიდი დეპრესიის ინიციირებასაც კი; ამასთანავე, ამით ამერიკელმა ერმა ხელიდან გაუშვა ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ადაპტაციის შესაძლებლობა, რაც მასთან ღია ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებით და ინტენსიფიკაციით – ორმაგი ეფექტის ამერიკულ-საბჭოთა ფენომენის რეალიზაციით იყო შესაძლებელი; ეს იქნებოდა ორმაგი ეფექტის ამერიკულ-გერმანული ფენომენის აქტუალიზაციით გერმანელ ერზე ეგეოსური ცივილიზაციის გავლენის გაბათილების, მის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში უკუმოქცევის პრეცენდენტის განმეორება; ამ შესაძლებლობის საპირისპირო ამერიკული პოლიტიკა გვაძლევს ამერიკის მაშინდელ მესვეურთა არჩევანის არაოპტიმალურობის შესახებ დასკვნის გამოტანის საფუძველს.

ოციან წლებში საბჭოეთში ინიციატივის სტალინის მიერ დაუფლებამ, რაშიც საქართველოს ანექსიის ინიციატორად მისმა წარმოდგენამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, აღკვეთა ტროცკიზმის აღზევება ანუ რუსეთის მსოფლიო რევოლუციის სამხედრო ბანაკად გადაქცევა: ტროცი უარყოფდა რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობას და პროლეტარიატის დიქტატურის მთელს მსოფლიოზე ძალით გავრცელების აუცილებლობას აღიარებდა. საამისო მცდელობა სავსებით შეესაბამებოდა ეგეოსურ ცივილიზაციის თანადროულ, მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზას, ისევე, როგორც ტროცკის რადიკალურად ნეგატიური განწყობა ლენინური “ნეპ”-ისადმი. მაგრამ ეგეოსური ცივილიზაციის საბჭოეთის გარეთ გაფართოება, როგორც მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით რეალიზაცია, ქართველი ერის ფუნქციის ნიველირების საფრთხეს ქმნიდა. ამასთანავე, საქართველო, მისი მდებარეობის გათვალისწინებით, საბჭოთა რუსეთში კონცენტრირებადი რევოლუციური ძალების ინტერვენციის ერთ-ერთი პირველი ობიექტი იქნებოდა, მსხვერპლი კი – გაცილებით დიდი. ამ საფრთხის აცილების მცდელობის ამსახველია 1926 წლამდე, ანუ ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის დასრულებამდე, სტალინის დაპირისპირება ტროცკისთან ლენინური “ნეპ”-ისადმი დამოკიდებულების საკითხში: ის ნეპ-ის თანდათანობით შეჩერების სტრატეგიას უჭერდა მხარს (ასუსტებდა ტროცკის პოზიციას) და მხოლოდ ეგეოსური ცივილიზაციის ახალი ფაზის დადგომის შემდეგ (რაც ტროცკის საბჭოეთიდან განდევნის შესაძლებლობის უზრუნველმყოფელი პირობაც იყო, მისი აღნიშნული ფუნქციური სტატუსის გათვალისწინებით) შეუდგა ნეპ-ის

ერთბაშად შეჩერების აქტისთვის – ტოტალური რენაციონალიზაციისა და კოლექტივიზაციისთვის სამზადისს.

ამრიგად, ოციან წლებში განვითარებული მოვლენები, რომელთა ინიცირებაც სტალინს მიეწერება, როგორც, ერთ მხრივ – ცივილიზაციათა კონფლიქტის, მეორე მხრივ – ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის გამოხატულება, ვერ ჩაითვლება დესტრუქციულ მოვლენად; ვერც იმ დროს ეკლესიის შევიწროების პროცესი ვერ გამოდგება სტალინის დესტრუქციული მოქმედების მაჩვენებელ ფაქტად, რადგან ეს იყო რუსი ერის (და მასთან ერთად ქართველი ერის) ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის დაჩქარებასთან დაკავშირებული მოვლენა. პირიქით, ამ გადასვლის აქტის დასასრულია, სწორედ, სტალინის სახელთან დასაკავშირებელი, რომელმაც, სამამულო ომის პირველი ეტაპის უმძიმესი მდგომარეობის გამოყენებით, მოახდინა ეკლესიის ფუნქცის აღდგენა.

ეგეოსურ და დასავლეთევროპულ ცივილიზაციათა კონფლიქტს უკავშირდება, ასევე, ოცდაათიან წლებში საბჭოეთში პოლიტიკური რეჟიმის უკიდურესი გამკაცრება, რაც პოლიტიკურ რეპრესიებში გადაიზარდა. საზოგადოდ, ცივილიზაციათა თანაკვეთის არეში მოქცეული საზოგადოების წევრები ამ ცივილიზაციათა ფაზების რეალიზაციის სინქრონულად მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ, პიროვნების განსხვავებულად მამოტივირებელ ინფორმაციული ნაკადების ზემოქმედებით, მისი შინაგანი გაორების (პიროვნული განწყობის მტევნის პოლარიზაციის) ტენდენციას ექვემდებარებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცივილიზაციათა ურთიერთბრძოლის ფრონტი გადის საზოგადოების ყოველი წევრის ფსიქიკაში. ამგვარ მდგომარეობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური დისკომფორტისგან თავის დაღწევის საშუალებაა მტრის ხატის აქტუალიზაცია, გაორების ტენდენციის ამსახველ საპირისპირო განწყობათაგან (განწყობის ქვემტევანთაგან) ერთ ერთის საზოგადოების სხვა წევრზე გადატანით, სხვა პიროვნებასთან ან სხვა პიროვნებათა ჯგუფთან ასოცირებით (პიროვნება თვითონ წყვეტს თუ რას ფიქრობს სხვა, მის მიერვე მის მოწინააღმდეგედ დასახული). ეს არის XX საუკუნის ოცდაათიანი წლების საბჭოეთში გაბატონებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოებრივი ფსიქოზის არსი.

გარდა ამისა, XX საუკუნის ოცდაათიანი წლების მოვლენების საფუძვლებს შორის უნდა დასახელდეს, ასევე, ეგეოსური ცივილიზაციის შინაგანი მდგომარეობის ცვლის ფაქტორიც: 1927 წელს დაწყებული ამ ცივილიზაციის მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის ამსახველი მოვლენები ქართველი და რუსი ერების ლოკალიზაციის არეზე უნდა განვითარებულიყო, რადგან სხვა სივრცე ამ ცივილიზაციას არ გააჩნდა, რაც ამ ერთა თავდაცვითი რეაქციის დათრგუნვის მომენტს გულისხმობს. ამ გარემოების ამსახველია ტრაგიკული ხვედრი ქართული და რუსული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილისა (გ. დანელია, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. ახმეტელი, ვ. მაიაკოვსკი და ა.შ.) და ბოლშევიკური ელიტის ფაქტობრივად მთელი პირველი თაობის განადგურება ან მის წარმომადგენელთა პოლიტიკური ნეიტრალიზაცია (ე.წ. შულავერის მთავრობის მთელი შემადგენლობა, ს. ორჯონიკიძე, ა. ენუქიძე, კამენევი, ზი-

ნოვიევი, ტროცკი, ბუხარინი და. აშ.). სტალინის საყრდენად იქცნენ საბჭოეთის სივრცეზე ლოკალიზებული ფორმის მანიის კლასის ერები (უკრაინელები, ბელორუსები, არმენიელები და საბჭოეთის თურქულენოვანი ნაწილი). მაგრამ, ამასთანავე, ეს მოვლენა იყო რეალიზაცია ეგეოსური ცივილიზაციის ფაზების ცვლის მიმართ ქართველი ერის რეაქციისა, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისა, რომლის პერსონიფიკაციადაც უნდა დავასახელოთ სტალინი, როგორც მისი ინიციატორი. 1929 წლიდან მის მიერ შექმნილი სისტემა წარმოადგენს ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ფორმის მანიის ეფექტის ფენომენს, უფრო სწორად, – ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენს ძლევის მანიის ეფექტის ფონზე. ეს ფონური ეფექტი (რუსი ერის მოცემულობის განმსაზღვრელი, თანასწორობის კატეგორიის პრიმატი) არის მის სისტემაში კერძო საკუთრების გამორიცხვის განმაპირობებელი ფაქტორი: საზოგადოდ, ფორმის მანიის ეფექტის სათანადო სისტემა კერძო საკუთრებისა და სოციალური იერარქიის დამშვებია, თუმცა კი, ეკონომიკის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების ფუნქციისადმი დაქვემდებარებულად (მონოპოლიების სახელმწიფოს მიერ ფორმირებისა და წინასწარ განსაზღვრული ეკონომიკური ფუნქციის დაცვის პირობით, მათი პრივატიზაციის და, ასევე, პირიქით – ნაწილობრივი ან სრული რენაციონალიზაციის დაშვებით, როგორც მაგ.: ფაშისტურ იტალიასა და გერმანიაში ან თანამედროვე ჩინეთში). 1927 წლამდე სტალინის ფუნქციური სტატუსი განსხვავებული იყო, როგორც, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის რუსი ერით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის პერსონიფიკაციისა, და, ასევე, ადეკვატურად შეესაბამებოდა ეგეოსური ცივილიზაციის თანადროული ფაზისადმი ქართველი ერის რეაქციის თანადროულად აქტუალური ასპექტის შინაარსს.

ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტში, ეგეოსური ცივილიზაციის დაწინაურება ევროპაში ფორმის ორმაგი ეფექტის დასავლეთევროპული ფენომენში პარიტეტის ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფენომენის სასარგებლოდ დარღვევის ტენდენციის განვითარებაში აისახა. ეს არის ევროპაში ფაშიზმის აღზევების საზრისი. ფაშიზმი, როგორც რჩეული ერის (ამა ერით განსახიერებული ყოფიერების ჯერარსული მოდუსის, ჯერარსული წესრიგის) იდეის აქტუალიზაციის გამოხატულება, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენია. ამ ფაქტმა გაამწვავა დასავლეთევროპული ცივილიზაციების თავდაცვითი რეაქცია, რაც ცხრომის მანიის კლასის ფრანგი და ინგლისელი ერების მიერ გერმანული ფაშიზმის საბჭოეთის წინააღმდეგ მიმართვის (მასთან ინიციატივის გაზიარების) მცდელობის პოლიტიკაში აისახა. ამ პოლიტიკის შემდგომ განვითარებად წარმოგვიდგება გერმანული ფაშისტური იმპერიის ამერიკელ ერთან, როგორც დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ახალ ლიდერთან, შეკავშირება, რაც ადეკვატურად შეესაბამებოდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის თანადროულ მესამე ორმაგი ეფექტის ფაზას და ამ ცივილიზაციის ცხრომის მანიისა და ფორმის მანიის კლასის სხვა ერთა უკიდურესი დაქვეითებისა და ლიკვიდა-

ციის საფრთხეების მატარებელიც იყო. ამან ასახვა პოვა ფაშიზმის ექსპანსიის შედეგად ამერიკელი ერის თვისებრივი კონკურენტების, ფრანგი და ინგლისელი ერების მდგომარეობის უკიდურესად დამძიმებაში. სრული ლიკვიდაციის საგნად იქცა ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის დიასპორების ევროპელ ერთა სივრცეზე ადაპტაციის ამოცანის საპასუხოდ, ძირითადად მისგანვე გამოყოფილი ელემენტისგან ჩამოყალიბებული, ცხრომის მანიის კასტური ეფექტის ებრაული ფენომენი, რომელიც, ამ დრომდე, როგორც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ორმაგი ეფექტის ფაზებში გერმანიისთვის თვითკმარობის მომენტის მიმნიჭებელი ფაქტორი, აქ, მისი განვითრებისკენ მომწოდებელი დამოკიდებულებით სარგებლობდა.

ფაშიზმის მეშვეობით საბჭოეთის გავლენის ზრდის შეჩერების მცდელობა, როგორც დასავლეთევროპული ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქცია, ჯერ ფრანგი და ინგლისელი ერების გერმანიის საბჭოეთის წინააღმდეგ წამქეზებელ პოლიტიკის გატარებაში, შემდეგ კი, რაც მთავარია, ამერიკელი და გერმანელი ერების სტრატეგიული თანამშრომლობის მოვლენაში გამოხატული, გახდა ცხრომის მანიის ეფექტის ებრაული ფენომენის ფუნქციის აქტუალობის მოხსნის საფუძველი და, ამდენად, ამ ფენომენის და, შედეგად, თვით ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის დიასპორათა გენოციდის შესაძლებლობის მომტანი გარემოება. სამწუხაროდ, სხვა ალტერნატივებს, რაც მაგ.: გერმანიის ებრაელებისგან დასაცლელად, გერმანული პროტექტორატის ქვეშ, პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს აღორძინების იდეის აქტუალიზაციით, გერმანელი ერისთვის აზიის დასაპყრობად პლაცდარმის ჩამოყალიბების სტრატეგიის ან ებრაელთა სრული გერმანიზაციის სტრატეგიის არჩევაში შეიძლებოდა გამოხატულიყო, არ გამოუჩნდა სათანადო პერსონიფიკაცია, არც გერმანელთაგან და არც ებრაელთაგან.

ამრიგად, ინგლისელი ერის გავლენით ეგეოსური ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის დათრგუნვა, გამოხატული საქართველოს რესპუბლიკის დამხობის ფაქტში, ეგეოსური ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის საბჭოთა იმპერიის ფენომენის სახით რეალიზაციაში გადაიზარდა, ამჯერად უკვე, დასავლეთევროპული ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის აქტუალიზაცია განაპირობა, რამაც, ინგლისელი, ფრანგი და, საბოლოოდ, ამერიკელი ერების მიერ არჩეულ, გერმანელი ერისადმი წამქეზებლურ დამოკიდებულების სტრატეგიაში გამოხატულმა, ევროპაში ებრაელთა გენოციდი გახადა შესაძლებელი. რომ არა საქართველოს რესპუბლიკის დამხობა, განპირობებული ინგლისელი ერის პოლიტიკით, ეგეოსური ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქცია საქართველოს რესპუბლიკის ფენომენს ვერ გასცდებოდა; ქართველი ბოლშევიკები, როგორც სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ვერ დაეუფლებოდნენ ინიციატივას, და რუსეთი ნეპ-ის გზით, ანუ დასავლეთევროპული ცივილიზაციის სივრცეში გააგრძელებდა არსებობას; ხოლო ქართველი ერი დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, რომელიც დადგა 1939 წელს, ვერ ასცდებოდა დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ადაპტაციის ტენდენციას, ამ ცივილიზაციაში პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის პირობებში. ეს ნიშნავს დასავლეთევროპული ცივილიზაციის გლობა-

ლიზაციას და ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის იდეური უზრუნველყოფის პრობლემის დაძლევის შესაძლებლობას მისი დასახელებული ფაზის დასრულებამდე (1958 წ.): მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში მართვის მანიის ეფექტის სხვა ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტით შენიღბვით შეზღუდვის არააქტუალობა, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია საიმისოდ, რომ დ. უზნაძის და მისი მოწაფეების მიერ ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის შედეგების, უკვე, იმ დროისთვის მიღწება შესაძლებლად ჩავთვალოთ. სამწუხაროდ ეს შესაძლებლობა ვერ იქნა გამოყენებული.

გერმანელი ერის ამერიკელ ერთან ურთიერთხელსაყრელი, მეტწილად ფარული, სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდა, 1939 წელს დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომის შემდეგაც, 1941 წლამდე, რაც ამ ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ერებს შორის კონკურენციის გამძაფრებით აიხსნება. გერმანელი ერის ექსპანსიის შედეგად ამერიკელი ერის კონკურენტები – ფრანგი და ინგლისელი ერები მეტად შევიწროებული აღმოჩნდნენ და ამერიკელ ერს საბოლოოდ დაუთმეს ინიციატივა, რაც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის მიღწევების მნიშვნელოვან განვითარებას წარმოადგენდა. 1941 წლიდან დასავლეთევროპული ცივილიზაციის ეს ფაზა, წინა ამგვარი ფაზის მსგავსად, გაფართოებით, ანუ მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციით გაგრძელდა, რაც არის ფაშისტური გერმანიის საბჭოეთში ინტერვენციის აქტის საზრისი. გერმანელი და ამერიკელი ერები იქცნენ კონკურენტებად დასავლეთევროპული ცივილიზაციის გაფართოების ობიექტის როლზე, რაც საბჭოეთის მიმართ ამერიკის გარკვეული სამხედრო დახმარების საფუძველია.

ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტის ეს უკანასკნელი აქტი ეგეოსური ცივილიზაციის გამარჯვებით დასრულდა, მნიშვნელოვან წილად, სტალინის მიერ არჩეული სტრატეგიის წყალობით. სწორედ ამ კონფლიქტის საბოლოო შედეგის დაფიქსირებაში მისი წვლილის გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს დავასახელოთ სტალინი ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის აქტის პერსონიფიკაციად. ამრიგად, სტალინი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის – დედამიწის ნოოსფეროს ფენომენური გამთლიანების, მისი ერთ ცივილიზაციაში მოქცევის ისტორიული აქტის პერსონიფიკაციაა, როგორც ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის მომტანი მოვლენების ინიციატორი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვანი არგუმენტია ერთა მართვის მანიის კლასის ლიდერად ქართველი ერის დასახელებისთვის.

ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის ფაქტი დააფიქსირა 1945 წელს გაეროს დაფუძნების ინიციირებამ. დასავლეევროპული ცივილიზაციის არსებობის დასასრულის აღმნიშვნელად შეიძლება დავასახელოთ 1946 წელს ერთა ლიგის გაუქმების ფაქტი.

1945 წელს იაპონიის წინააღმდეგ ამერიკასთან შეთანხმებული სამხედრო კამპანიის ერთდროულად სტალინი გეგმავდა თურქეთში ინტერვენციას, ამ საკითხში ამერიკის წინააღდეგობის მიუხედავად. მაგრამ იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების წინა დღეს ხიროსიმაზე ატომური იარაღით

შეტევით ამერიკის ტექნოლოგიური დაწინაურების დემონსტრაციამ და შეთანხმებული თარიღის დასწრებით დარღვევაში გამოხატულმა მუქარამ (რამდენიმე დღის დაგვიანებით ნაგასაკიზე ატომურმა შეტევამ ამერიკაში ატომური იარაღის სერიული წარმოების მიღწეულობა დააფიქსირა) აიძულა სტალინი ხელი აეღო თურქეთში ინტერვენციაზე, რითაც ჩაიშალა საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების შესაძლებლობა. ე.ი. აქაც ხელის შემშლელი აღმოჩნდა გარეგანი ფაქტორი.

1948 წელს გლობალიზებულ ეგეოსურ ცივილიზაციაში დაიწყო მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზა. ეს ნიშნავს, საბჭოთა იმპერიის სახით, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის დისფუნქციონალიზაციას, ანუ მისი (როგორც, ადრე, რუსეთის იმპერიის) სრული ლიკვიდაციის შესაძლებლობას. აქტუალიზაციის ეტაპი დაუდგათ ქართველ და რუს ერებს, რასაც წინ ეღობებოდა ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის მდგრადობის რესურსი – საბჭოეთის სივრცეზე ლოკალიზებული ფორმის მანიის კლასის ერების თავდაცვითი რეაქცია. სტალინი აღმოჩნდა დილემის წინაშე: ერთ მხრივ, გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის ზღვარამდე მიღწევის შედეგად, ქართველი ერის პირდაპირი თვითრეალიზაციის (ერთა მართვის მანიის კლასის ფუნქციის ინსტიტუციონალიზაციის ბაზისად ქართული სახელმწიფოებრიობის დაფიქსირების) აქტუალიზაცია საბჭოეთისგან ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ ფენომენურ გამოკერძოებას მოითხოვდა, მაგრამ, მეორე მხრივ, დედამიწის ნოოსფეროს განვითარებაში მიღწეული მდგომარეობის იდენტიფიკაციისა და აღნიშნული გლობალური გარდაქმნისთვის (სტრუქტურული ოპტიმიზაციისთვის) იდეური საფუძვლის დეფიციტის (დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის მეცნიერული პროგრამის არარსებობის) პირობებში, საბჭოეთისგან საქართველოს გამოყოფის შედეგად გარდაუვალი, მის მიერ, საბჭოეთზე კონტროლის დათმობა შეუძლებელს გახდიდა მსოფლიო პროცესებზე ქართველი ერის გავლენის გატარებას. ამ დილემის დაუძლეველობამ ასახვა პოვა 1951 წელს დაწყებულ ახალ რეპრესიებში: ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ოჯახების მასობრივი გადასახლება შუააზიაში, უნდა მივიჩნიოთ ქართველი ერის აქტივიზაციის შენელების, დროის მოგების მცდელობად, რადგან, ერთდრულად, სტალინი განაგრძობდა საბჭოთა იმპერიის მოდერნიზაციის, უნდა ვიფიქროთ, – თანადროულ ეპოქასთან ამ ფენომენის, ინტუიციით წვდომილ, შეუსატყვისობის დაძლევის გზების ძიებას. ამის გამო ის ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის მდგრადობის რესურსის, საბჭოეთში ლოკალიზებულ ფორმის მანიის კლასის ერების თავდაცვითი რეაქციის, სამიზნედაც იქცა.

იდეური უზრუნველყოფის პრობლემის დაუძლეველობამ განსაზღვრა ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის მდგრადობის რესურსის წინააღმდეგობის ეფექტურობა, რის პერსონიფიკაციადაც დაფიქსირდა ნიკიტა ხრუშჩოვი, როგორც უკრაინელი ერის წარმომადგენელი. ბერია-მალენკოვის სახით პერსონიფიცირებული, ქართველი და რუსი ერების აქტუალიზაციის ტენდენცია აღნიშნულმა მდგრადობის რესურსმა დათრგუნა: ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენი გადარჩა, ვარშავის ბლოკის სახით გაფართოებისკენ მიდ-

რეკილ ფორმის მანიის ეფექტის ფენომენად (გაფართოების ობიექტად) ჩამოყალიბდა; ძლევის მანიის კლასის რუს ერს მისი გაფართოების სუბიექტის როლში მიეცა თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, რითაც, თუმცა კი დროებით, მართვის მანიის კლასის ქართველი ერის ფუნქციის ნიველირება მოხერხდა (ამ მოვლენის პერსონიფიცირებული წარმოდგენაა მალენკოვის ღალატის შედეგად ბერიას დამხობა). ქართველი ერი უმაღლესი აქტუალობის მდგომარეობიდან თითქმის სრული დისფუნქციონალიზაციის მდგომარეობამდე ჩამოქვეითდა.

მდგომარეობის ამგვარი რადიკალური ცვლილების მიუხედავად, **XX საუკუნეში მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე სტალინის ფენომენის გავლენის გათვალისწინებით, ქართველი ერი დედამიწის ნოოსფეროს ფენომენური გამთლიანების აქტის ინიციატორად იდენტიფიცირდება. დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების არსია არა გლობალიზაციის ტენდენცია, არამედ უკვე გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის სტრუქტურული ოპტიმიზაციის პრობლემის აქტუალიზაცია.**

სტალინის ზეობის წლებში ქართველმა ერმა დაასრულა ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლა და ერთა მართვის მანიის კლასის გამოკვეთილი ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. ამ გარემოებას გააჩნია სტალინის სახელთან დაკავშირებულ მოვლენებზე უფრო მნიშვნელოვანი, თუმცა კი, მნიშვნელოვანწილად, ამავე მოვლენების ხელშეწყობით რეალიზებული, გამოხატულებაც: დიმიტრი უზნაძის მიერ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო მიმართულების დაფუძნება ფსიქოლოგიის და, საზოგადოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში; ამ საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის შედეგები, მათ შორის, "ოპტიმალიზმის დოქტრინა" ქართველი ერის პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველმყოფელია, რისი გამოხატულებაც დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაცია იქნება.

EMZAR KHVICHIA

Summary

The article discusses the identification of the phenomenon of Stalin from the position of ``The Theory of Psychic Elements``, which is the continuation of Dimitri Uznadze`s ``Theory of a Set`` on the base of discovery of ``Generally Unalienable Aspect of Content of a Set``.

According to the results of the processes initiated by him in 1921-1949 years., Stalin is identified as a personification of the final act of unification of the noosphere of the earth, the end of the coexistence of civilizations (self-regulating social formations).

✍ *ალექსანდრე მღებრიშვილი*

ოსთა რელიგიური ცხოვრების საკითხისათვის

(XIX საუკუნის ზოგიერთი რუსული წყაროს მიხედვით)

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ოსთათვის შექმნილი იყო ყოველგვარი შესაძლებლობა ზიარებოდნენ უმდიდრესი ქართული კულტურის წიაღს და იმავდროულად შესძლებოდათ არა მარტო შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, კულტურა და ტრადიციები, არამედ უფრო განევითარებინათ კიდეც.

მშობლიური ენისა და კულტურული ტრადიციების გვერდით საინტერესო გზა გაიარა ოსთა რელიგიურმა შეხედულებებმა, რომელთა შესახებაც საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან როგორც ქართული, ისე XIX საუკუნის რუსული წყაროები.

,,საქართველოში, განსაკუთრებით ბარის რაიონებში ოსების მიერ მამულის მიღების და დამკვიდრების ერთ-ერთი პირობათაგანი იყო მათი ქრისტიანობა. წყალობის წიგნებში ხშირადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ოსი ,,ახალი ქრისტიანია'', ,,ნაოსარი'', ანდა ,,ოსყოფილია''. სამივე შემთხვევაში ეს ნიშნავს იმ ოსის ქრისტიანობას, რომელსაც ეს ცნებები ეხება. ამ გარემოებაზე მითითება იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანი ოსის (თუ ის ქრისტიანია, მაშინ ,,ოსი'', ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით აღარცაა და იგი ქართველად ითვლება) ცხოვრება ქრისტიანულ ქართულ მოსახლეობას შორის კანონზომიერია და ფრიად სასურველიც'' [1].

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ოსნი: ,,სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანსცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი, არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი, და დაბალი გლეხნი ქრისტიანენნი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მზგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და

თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სიტყუანი და მოსსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი” [2].

ოსთა რელიგიური შეხედულებების შესახებ საგულისხმო დასკვნას აკეთებს ი. კვაშილავა ნაშრომში ,,ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის”. მისი მოსაზრებით, საერთოდ, ოსები, ცვალებადი სარწმუნოების იყვნენ. ისინი სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებას მისდევდნენ ისე, როგორც ახსოვდათ და როგორც სჭირდებოდათ. საბოლოოდ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შედარებით ორგანული კავშირი წარმართულ სარწმუნოებასთან აღმოაჩნდათ [3].

ოსების დიდ ნაწილის წარმართულ წარმოდგენებთან სიახლოვეზე XIX საუკუნის არაერთი რუსული წყაროც მიუთითებს.

რუსი მწერალი ორესტ ევეცკი, რომელიც დიდხანს მუშაობდა კავკასიაში (ამიერკავკასიის სტატისტიკის მიმართულებით), დაკავებული იყო რუსული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვებით, საქართველოს მთავარმმართებლის, გენერალ-ფელლდმარშლის, გრაფი პასკევიჩის ბრძანებით შექმნილ ნაშრომში ,,ამიერკავკასიის სტატისტიკური აღწერა’’, არაერთგზის მიუთითებს, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრები 22 000 სული (იგულისხმება ორივე სქესი) ოსიდან, რომლებიც ოსურ ენაზე საუბრობენ, გარკვეულმა ნაწილმა მიიღო ქრისტიანული (ბერძნული მიმართულების) სარწმუნოება და შეურია მასში სხვადასხვა წარმართული რიტუალები, ხოლო ნაწილი კი კერპთაყვანისმცემელია, როგორც ერთ, ისე მეორე ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული მრავალცოლიანობა [4].

ო. ევეცკი საინტერესოდ საუბრობს ოსთა რელიგიურ რიტუალთა შესახებ. კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ოსების დიდი ნაწილი წარმართული რწმენისაა. ხშირად სოფლებში აქვს სამლოცველო სახლები, აშენებული ქვით, შემოსაზღვრული ხეებით, რომლებსაც მინიჭებული აქვთ წმინდა მარიამის და ქვეყნის მფარველი სხვა სულების სახელები. სამლოცველო სახლების შიდა მხარე მორთულია ჯვრით და უამრავი რქით. ხევსურები, სვანები და ოსები ძლიერ პატივისცემას გამოხატავენ ძველი ეკლესიების მიმართ. თვით მოკლულის ნათესავიც ვერ გაბედავს შეეხოს მკვლელს, ვიდრე ის თავს აფარებს მის ზღუდეებს. მათ აქვთ თავიანთი წმინდა ტყეები და კორომები. იცავენ მარხვებს შობის და აღდგომის წინ. მათ იციან სხვადასხვა დღესასწაულის შესახებ, მაგრამ არ ესმით მათი მნიშვნელობა. ამ დღესასწაულებს ხვდებიან მსხვერპლშეწირვით, რომლებსაც დეკანოზები ასრულებენ და ამთავრებენ შმაგი სახალხო ნადიმითა და თოფებით მიზანში სროლით [5].

ვახუშტი ბაგრატიონისა და ო. ევეცკის მსგავსი სახასიათო შტრიხებით წარმოადგენს ოსთა რელიგიურ წარმოდგენებს რუსი გეოგრაფი, ეთნოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი პეტრე ნადეჟდინი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი ცხოვრობდა კავკასიაში და ნაშრომის ,,ბუნება და ადამიანები კავკასიასა და ამიერკავკასიაში’’ მომზადებისას აქტიურად სარგებლობდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების

კავკასიის განყოფილების არქივებში და რუმიანცევების მუზეუმში დაცული საინტერესო მასალით.

ავტორი ეყრდნობა რა ჰაქსტჰაუზენისა და დიუბუა დე მონპერეს ცნობებს დაასკვნის, რომ ოსები ქრისტიანებად მოქცეულნი არიან ქართველი მეფის – ვახტანგ გორგასლის მიერ. შემდგომშიც თამარ მეფეც დიდად უწყობს ხელს მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებას. ოსთა შორის არიან ქრისტიანებიც, მაჰმადიანებიც, წარმართებიც. მიუხედავად ამისა, მათში ვერც ერთმა რელიგიამ ვერ გაიდგა ფესვი. ისინი სანახევროდ წარმართები არიან. აქვთ წმინდა კორომები, სადაც მიაქვთ მსხვერპლი (პური, ხორცი, თევზი).

მსხვერპლშეწირვის დროს კლავდნენ თხებს, ხოლო მათ ტყავებს კიდებდნენ მაღალ ხეებზე.

ოსთა შორის თხის კულტის აქტუალობაზე მიანიშნებს პროფ. გ. სოსიაშვილიც: ,,ვაჩილას კულტი ოსურ წარმართულ პანთეონში უკავშირდებოდა თხის კულტს. თხის კულტი იმდენად ძლიერი იყო ოსებში, რომ ქართულ საზოგადოებაში ვაჩილა ოსი ადამიანის სინონიმად იქცა...

აღსანიშნავია, რომ ვაჩილას კულტი დღესაც არის გავრცელებული საქართველოში მცხოვრებ ოსებში''[6].

ნახევრად ქრისტიანი ოსები მკაცრად იცავენ ქრისტიანულ მარხვებს და თავის მსხვერპლს სწირავენ წმინდა კვირაში. აღსანიშნავია, რომ ყველა დიდი დღესასწაულისათვის განკუთვნილია განსაკუთრებული მსხვერპლშეწირვა. ახალ წელს – ღორი, აღდგომას – ცხვარი ან ბატკანი, შობას – თხა. ძირითადად პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობიან და თაყვანს სცემენ ოთხ წმინდანს: წინასწარმეტყველ ილიას, მთავარანგელოზ მიქაელს, წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზს. მათ ქრისტიანული შვიდღიანი კვირა აქვთ. კვირას ეძახიან ღვთის დღეს. ორშაბათს და პარასკევს თვლიან ისეთ დღეებად, როდისაც ახალი საქმის დაწყება არ შეიძლება [7].

ზემოხსენებულ წყაროებში საინტერესოდაა წარმოჩენილი ოსთა ცრუმორწმუნეობის საკითხი. ო. ევეცკიც და პ. ნადეჟდინიც თითქმის ერთნაირად მსჯელობენ ამ მიმართებით. უფრო კონკრეტულად ამ უკანასკნელის მიხედვით ოსები ძალიან ცრუმორწმუნენი არიან. მათ ჰყავთ გრძნეულები, რომლებიც სომნამბულურ მდგომარეობაში წინასწარმეტყველებენ მომავალს. აქვთ სხვადასხვა ხილვა და საუბრები გარდაცვლილებთან და წმინდანებთან, რომელთა შესახებაც ბევრს უყვებიან გარშემომყოფ ხალხს. როდესაც ოსს რაიმე ჩუმად მოჰპარეს (ღია ძარცვა არ ითვლება ქურდობად), ის ეძებს გრძნეულს, ბრძენს და საჩუქრის მირთმევის შემდეგ სთხოვს დახმარებას. ისინი ერთად მიდიან იმ სახლთან, რომელზეც არსებობს ეჭვი. ბრძენს ხელთ უპყრია კატა და ამბობს: თუ შენ აიღე ეს ნივთი და არ დაუბრუნებ მას პატრონს, მაშინ, დაე, ამ კატამ ტანჯოს შენი წინაპრების სულები. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ქურდი დააბრუნებს ნაქურდალს. თუ არ არსებობს ეჭვი კონკრეტულ პირზე, ისინი (დაზარალებული და ბრძენი) მიდიან ერთი სახლიდან მეორესთან, იგივე

სიტყვების გამეორებით და ქურდი ასეთ დროს თითქმის ყოველთვის იძებნება [8].

თითქმის ანალოგიურად წარმოადგენს ოსთა ცრუმორწმუნეობის თემას ო. ევეცკიც [9].

ოსთა რელიგიური ცხოვრების შესახებ საგულისხმო ცნობებს იძლევა რ. თოფჩიშვილი: ,,დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან. გვხვდებიან მაჰმადიანებიც. მაჰმადიანობა განსაკუთრებით დიგორელ ოსებში იყო გავრცელებული. ოს ხალხში ქრისტიანობა VI-VII სს-ში ჯერ ბიზანტიიდან, შემდეგ კი საქართველოდან შევიდა, თუმცა ამ სარწმუნოებამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და გვიან შუა საუკუნეებში მთის ხეობებში მცხოვრებნი წარმართები იყვნენ. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მიგრირებული ოსებისათვის ქრისტიანობა მიეღებინებინა. ისლამი დასავლეთ ოსეთში ყაბარდოდან XVII-XVIII სს-ში გავრცელდა. ოსებს ჰყავდათ ქრისტიანიზებული ღვთაებები: უაც-გიორგი, უასტირჯი (წმინდა გიორგი); უაცილა-წმინდა ილია; უაცნიკოლა-წმინდა ნიკოლოზი; უაც-ტოტურ-წმინდა თევდორე და სხვ. ოსეთში იყო საერთო ოსური სალოცავებიც (,,ძუარები"), სახეობო, სასოფლო და საგვარო კულტები. მაგალითად, ალაგირელთა სალოცავი იყო ,,რეკომი". ამ სალოცავში არსებულ ზარზე ქართული ნუსხახუცურით შესრულებული წარწერაა. ლოცებში ხშირად ახსენებენ ,,მიქელგაბრიტას" და ,,თარანჯე ლოზს", რაც სხვა არაფერია, თუ არა მიქელგაბრიელი და მთავარანგელოზი. რაც შეეხება ქურთათისა და თაგაურის ხეობებს, აქ საერთო სახევო კულტები არ ყოფილა, მხოლოდ სასოფლო სალოცავები იყო. მაგალითად, ასეთი იყო ,,ძიგვისი ძუარ" წმ. გიორგის სახელზე. ოსებმა, ისევე როგორც ქართველმა მთიელებმა, იცოდნენ სალოცავისადმი მიწის შეწირვა (უშვილო მშობლებს შვილი თუ შეეძინებოდათ, მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში, სოფლიდან გადასახლებისას)" [10].

ზემოთ ნახსენები ოსური სალოცავების (,,ძუარები") და ზოგადად ოსთა წარმართობისაკენ მიდრეკილი ბუნების შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვალდემარ პფაფი.

ნაშრომში ,,материалы для истории осетин", რომელიც გამოქვეყნებულია კრებულის ,,Сборник сведении о кавказских горцах" V ნაწილში, მითითებულია, რომ წარმართ ოსებში ყველა გვარს თავისი ღმერთი ან წმინდანი ჰყავს, რომელიც ოსურ ენაზე იწოდება ,,ძუარ". ჩვეულებრივ ამ სიტყვას თარგმნიან, როგორც ,,წმინდა მფარველი", რაც არც თუ ისე ზუსტია. ,,ძუარის" უფრო შესატყვისი თარგმანია – ,,საგვარეულო ღმერთი".

ასეთ ,,ძუარს" ყველა გვარი, წლის გარკვეულ დღეებში, სწირავს მსხვერპლს. ,,ძუარის" ქურუმი ადრე ყოველთვის იყო გვარის უხუცესი. ამჟამად კი, პატრიარქალური ყოფის შლისას, ქურუმებად გვევლინებიან სხვებიც. არ ვიცი ისინი როგორ ირჩევიან, მაგრამ მსმენია, რომ ხალხში უცოდველებად ითვლებიან. ,,ძუარის" დღესასწაულზე ყველა ეზო ცალკე, საკუთარ კედლებში კლავს ცხვარს, ხარს და მისთ. შემდეგ იწყება მსხვერპლშეწირვა... მომლოცველები ,,ძუარს" საჩუქრად მიართმევენ ძვირფას ნივთებს, რათა დაიმსახურონ მისი

მფარველობა. მსხვერპლშეწირვის ადგილზე ყველა მიემართება ფეხით და დიდი ნაწილი ფეხშიშველი [11].

პფაფის მიხედვით, ორივე რელიგია-აღმოსავლური, ანუ მაჰმადიანური და დასავლური, ანუ ქრისტიანული ერთმანეთს შეხვდა ცენტრალურ კავკასიაში. განვითარების ისეთ დაბალ საფეხურზე, როგორზეც იმყოფებოდნენ მაშინ კავკასიის მთიელები, მაჰმადიანობას უნდა ემარჯვა ქრისტიანობაზე. მაგრამ, რადგან დასავლეთ და ცენტრალური კავკასიის ბევრ საზოგადოებაში და მათ შორის ოსებშიც, ადრიდანვე აღარ იყო არანაირი ეკლესია და ისინიც მხოლოდ სახელით იყვნენ ქრისტიანები, არსებითად კი-წარმართები, მაშინ ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში მაჰმადიანობის მიერ მოპოვებული გამარჯვება ჩაითვლება არა მაჰმადიანობის გამარჯვებად ქრისტიანობაზე, არამედ გამარჯვებად წარმართობაზე [12].

ხსენებული ავტორის ცნობების შესაბამისად, ზემოთ ხსენებული ,,ძუარის'' გარდა, ოსებს გააჩნიათ რამდენიმე განსაკუთრებული ღვთაება. მაგალითად, ავსატი-პირუტყვის მფარველი, დონბეტტერი-მნიშვნელოვანი ღმერთი, რომლის დანიშნულების ახსნაც პფაფისათვის, მისსივე თმით, – ვერავინ შემლო, საუბარეგი – ქურდებისა და ყაჩაღების მფარველი და ა.შ. [13].

საგულისხმოა, რომ პფაფის შეხედულებით ოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმართული წარმოდგენების ერთგული დარჩა. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ამავე ავტორის დასახელებული ცნობები მოხმობილ სტრიქონთა გვერდით მოიცავს ზოგიერთ აბსურდულ და ბუნდოვან თეზისს, შეხედულებას ისტორიული სინამდვილის, ისტორიულ მოვლენათა და მათ შორის ოსთა ეთნიკური წარმომავლობის, მათი კავკასიაში განსახლების და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ. სამწუხაროდ, მსგავსი გარემოებები, ბუნებრივია, ხელს უშლის დასმული საკითხის რეალისტური სურათის შექმნის და მისი სრული, რეალური სახით აღქმის შესაძლებლობას.

,,ქართველთა შეშფოთებას იწვევდა ოსების არასერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერი სარწმუნოებისადმი და ღრმად ფესვგადგმული კერპთაყვანისმცემლობისადმი. ამ ამბით, უმთავრესად, დაინტერესებული იყვნენ სასულიერო პირნი, რომელნიც თავს ვალდებულად რაცხდნენ, ჩარეულიყვნენ მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნების, მისი დაცვისა და მეზობელი ერის ხალხში გავრცელება. არაიშვიათად მიმართავდნენ გარკვეულ ღონისძიებებს, მაგრამ კეთილად და ერთგულად განწყობილი სამღვდელოების ჩარევა ოსთა ,,მორჯულების'' შეგონების საქმეში მარტოოდენ ჩარევით მთავრდებოდა, შედეგი კი მაინცდამაინც სანუგეშოდ არ გამოიყურებოდა'' [14].

XIX საუკუნის ქართული პრესა აქტიურად საუბრობდა ოსთა რელიგიური ინდიფერენტიზმზე და სისტემატურად შეახსენებდა საზოგადოებას ამ პრობლემის აქტუალობას. მიუხედავად ამისა, იმ დროინდელ ჟურნალისტთა თუ უბრალოდ, საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა დასკვნები ხშირად არც თუ ისე მიმზიდველია.

მაგალითისათვის ,,მწყემსი'' წერდა: ,,რა ღონე ვიხმარო, არ ვიცი, მათზე არავითარი გავლენა არ აქვს ჩვენს სწავლა-მოძღვრებას. საჭიროა, გამოგზავნონ ხეირანი მქადაგებელი და ამასთან ერთად გახსნან სასოფლო სკოლები'' [15].

ოსთა განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწევა დიდად უწყობდა ხელს მათ შორის ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სარწმუნოების განმტკიცებას. საქართველოში ოსთა განათლებას განვითარების ახალ საფეხურზე სწევდა ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ოსი მწერლები სარგებლობდნენ ქართული ანბანით. ამის საფუძველზე იწერებოდა ოსური წიგნები. გამოცდილებამ ყოველმხრივ დაადასტურა ოსებისათვის ქართული ანბანის უპირატესობა ყველა ანბანთან შედარებით [16].

ოსთა მიერ, საკუთარის არ არსებობის გამო, ქართული დამწერლობის გამოყენების ფაქტს დასახელებულ შრომაში ადასტურებს ო. ევეცკიც [17].

,,საქართველოს ოსებს მრავალი დღესასწაული ჰქონდათ, როგორც მართლმადიდებლური, ისე კერპთაყვანისმცემლობის აღმნიშვნელი. სამაჩაბლოელი კორესპონდენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წმინდა გიორგის დღეობა ყველაზე მეტი პატივისცემით სარგებლობდა ოსებში. ,,დალხინების, გაჭირვების თუ ქურდობის დროს წმ. გიორგის სახელს ახსენებენ. ოსურად მას ,,ვასჯირჯის'', ანუ ვასგირგის ეძახიან. დიდი ამბით ელოდებიან ამ დღესასწაულს, წმ. გიორგობას. ხოცავენ საქონელს; ლუდს ხარშავენ, თაფლს იღებენ სკიდან... გასწევენ გერის წმ. გიორგის სალოცავში. აუარებელი მლოცველი – ქალი თუ კაცი, ფერადად მორთულნი, შეუდგებიან აღმართს სიმღერით და ცეკვით. ეკლესიის წინ მათ ხვდებიან დეკანოზები. ისინი ამწყალობლებენ ხალხს, რომლებიც მოწიწებით ლოცულობენ, რის შემდეგაც დაიწყება სიმღერა წმ. გიორგიზე. ეს ისეთ წმინდა ადგილად არის მიჩნეული, რომ იქ ცუდი საქმის გაკეთებას ვერავინ გაბედავს''.

რიტუალს შეასრულებდნენ თუ არა, მიდიოდნენ სახლებში და დროს ატარებდნენ მანამ, სანამ სულ არ დაამთავრებდნენ ამ დღისთვის მომზადებულ სურსათს (,,ცნობის ფურცელი'', 1898, #682) [18].

როგორც ზემოთ ვახსენეთ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ოსთა შორის ხელს უწყობდა მათ ბუნებრივ შერწყმას ქართველებთან. ასეთი შერწყმის, ოსთათვის დადებით მხარეებზე, რუსულ წყაროებს არაერთხელ გაუკეთებიათ მინიშნება. პ. ნადეჟდინის მიხედვით – ოსები არიან საშუალო სიმაღლის ნერვიული, მასიური, მოუხეშავი აღნაგობით, მრგვალი სახით, შავგვრემანი, ქერა თმით, ლურჯი თვალებით, არაფრისმთქმელი, ველური გამომეტყველებით. ქალები – დაბლები და უშნოები. ზოგიერთ ადგილებში არიან ლამაზებიც, შეიძლება იმიტომ, რომ ხშირად ერწყმოდნენ ქართველებს [19].

ან კიდევ, როგორც რუსი სოციოლოგი, კულტუროლოგი და პუბლიცისტი ნ. დანილევსკი ფიქრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ოსებს საკმაოდ უხეში ხასიათი აქვთ და იმყოფებიან თავდაპირველი ველურობის საფეხურზე, ძველი დროიდან ისინი სხვა მთის ხალხებთან შედარებით უფრო მეტად მიდრეკილნი

არიან ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისაკენ. ამის გამო წინანდელის საპირისპიროდ ისინი უკვე ბევრად შეიცვალნენ [20].

საქართველოში ოსთა მიგრაციის პროცესით გარკვეულწილად ქართველი მეფეები და ფეოდალები თავადაც იყვნენ დაინტერესებული. ,,უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართული ეთნოსისათვის, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში და ჩამოსახლებისთანავე ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღებით, მიგრანტები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ'' [21].

ამდენად, როგორც თანამედროვე, ისე XIX საუკუნის ქართული და რუსული წყაროები არაერთხელ ეხება ოსთა რელიგიური ცხოვრების ასპექტებს. მათში წინა პლანზეა წამოწეული ოსების რელიგიური ინდიფერენტიზმი, მათი არასერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერი სარწმუნოებისადმი. მათთვის უცხო არ არის არც ისლამი, არც კერპთაყვანისმცემლობა, გარკვეულ ნაწილში თვალსაჩინოდ იკვეთება წარმართულ წარმოდგენებთან სიახლოვეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიმართ შედარებით მეტი ორგანული კავშირის აღმოჩენით ადვილად იმკვიდრებენ ფეხს საქართველოში, გარკვეული ნაწილი ბუნებრივად ერწყმის ქართველობას. აღმავლობის გზას ადგება მათი სულიერი და მატერიალური კულტურა, დამწერლობა, ენა, ლიტერატურა, განათლების მკვეთრად ჩამორჩენილი დონე და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სონღულაშვილი, ,,სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში?!, თბ., 2009, გვ. 179;
2. გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977, გვ. 37;
3. ი. კვაშილავა, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის, სამეცნ. შრ. კრებ. ,,ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი'', თბ., 2008, X, გვ. 123;
4. О. Евецкий, Статистическое описание Закавказкого края, Санкт-петербург, 1835, стр. 31;
5. О. Евецкий, Статистическое описание Закавказкого края, Санкт-петербург, 1835, стр. 86;
6. გ. სოსიაშვილი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 9;
7. П. Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-петербург, 1869, стр. 101;
8. П. Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-петербург, 1869, стр. 101;
9. О. Евецкий, Статистическое описание Закавказкого края, Санкт-петербург, 1835, стр. 42;

10. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბილისი 2007, გვ. 61;
11. Сборник сведении о кавказских горцах, (В. Пфаф, материалы для истории осетин), выпуск V, Тифлис 1871, стр. 93;
12. Сборник сведении о кавказских горцах, (В. Пфаф, материалы для истории осетин), выпуск V, Тифлис 1871, стр. 95;
13. Сборник сведении о кавказских горцах, (В. Пфаф, материалы для истории осетин), выпуск V, Тифлис 1871, стр. 94;
14. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 49;
15. ,,მწყემსი", 1885, #2;
16. ა. სონღულაშვილი, ,,სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში?!, თბ., 2009, გვ. 194;
17. О. Евецкий, Статистическое описание Закавказкого края, Санкт-петербург, 1835, стр. 92;
18. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 61;
19. П. Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-петербург, 1869, стр. 101;
20. Н. Данилевский, Кавказ и его горские жители, Москва, 1846, стр. 171;
21. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 213;

✍ *მურმან პაპაშვილი*

სიმონ I-ის პოეტურ-მუსიკალური გატაცებებისა და სხვა პიროვნული თვისებების შესახებ

ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში ქართლის მეფის სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1611) სამხედრო, დიპლომატიური და პოლიტიკური საქმიანობის საკითხებზე არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა. მათი აქ ჩამოთვლას საჭიროდ არ მივიჩნევთ, რადგან ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი სხვა რამეა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სიმონ მეფის ოსმალეთის წინააღმდეგ გმირული ბრძოლებისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ ჯერ კიდევ მისი თანამედროვე მემატიანეები და კონსტანტინოპოლში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები იყვნენ დაინტერესებული, თუ რატომ, ეს სხვა ისტორიაა და ამაზე სხვა დროს. ამჯერად კი შევეხებით სიმონ I-ის დღემდე ნაკლებად ცნობილი საქმიანობის სხვა სფეროს. კერძოდ, მის გატაცებას პოეზიითა და მუსიკით.

საქართველოს ისტორიაში სიმონ I-მა განსაკუთრებული როლი შეასრულა. მან, როგორც პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, დიდი წვლილი შეიტანა XVI საუკუნის II ნახევარის ირანისა და ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მისი ,,ირანოფილური'' პოლიტიკა იმდროინდელ რეალ-პრინციპებს ემყარებოდა და თავდაუზოგავი ბრძოლებით აღმოსავლეთ საქართველოს გაოსმალება თავიდან ააცილა, ხოლო ოსმალეთის წინააღმდეგ უმაგალითო ბრძოლებით ის ქართველ ხალხში გმირად იქცა. უფრო მეტიც: სიმონ I-ის თანამედროვე ფრანგმა ისტორიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ ჟაკ ოგიუსტ დე ტუმ (1553-1617) თავის ნაშრომში ,,Historiarum sui temporis'' (,,მისი დროის ისტორია'') ოსმალეთის წინააღმდეგ ქართლის მეფის ბრძოლები იმდროინდელ ევროპულ საზოგადოებას საერთაშორისო ევროპული პოლიტიკის კონტექსტში წარმოუდგინა და ამით პატივი მიაგო სიმონ I-ს, რომლის მამაცობა კონტინენტზე განუხრელ ინტერესს იწვევდა [7; დაწვრ. იხ: 44-50].

სიმონ I-ის პიროვნული თვისებებისა და მოღვაწეობის სხვა ასპექტების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამე უცნობია. (ზოგადად ამ მიმართულებით ჩვენი ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ვალშია). საკუთრივ, ისტორიულ პირთა სრული პორტრეტის წარმოდგენისათვის ამას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ისტორიის კრიტიკულ პერიოდში პიროვნების ხასიათის როლი განსაკუთრებით დიდია. ჩვენს შემთხვევაში ამის მიზეზი მასალების სიმწირეა. ამდენად, ნებისმიერ უცხოურ წყაროში მოძიებული ინფორმაცია ფასეულია. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სიმონ I-ის ბრძოლების თვითმხილველი ვენეციელი ექიმისა და დიპლომატის ტომაზო მინადოი და როვიგოს (1549-1615) შემდეგი ცნობა. ის თავისი წიგნის პირველ

თავში წერს, რომ სიმონმა ,,... სპარსეთში ტყვეობის დროს სამხედრო საქმეში გამოცდილებით, პოეზიისა და ფილოსოფიის ღრმა ცოდნით შაჰ-თამაზის შვილის ისმაილის მეგობრობა დაიმსახურა...'' [1; 55]. ეს შემთხვევითი მოვლენა არ გახლდათ, რადგან მასთან ალამუთის ციხეში ტყვედ მყოფი ისმაილი ფილოსოფიითა და პოეზიით იყო გატაცებული. კიდევ მეტი: თვით შაჰ-თამაზიც ლექსებს წერდა. მისი ლექსიდანაა: ,,ქაშანის ძაღლი ყუმის დიდებულებზე უკეთესია, თუმცა თვით ქაშანელი ძაღლზე უარესია'' [3; 269].

მოვლენებში უკეთ გარკვევის მიზნით მოკლედ აღვნიშნავთ: სპარსეთის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ქართლის მეფე 1569 წელს ღალატით ყიზილბაშებს ტყვედ ჩაუვარდა. მან 1578 წლამდე ალამუთის ტყვეობაში გაატარა. ამ დროს დაიწყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი, რომელიც სიმონს ქართლის სამეფოში დაბრუნების საუკეთესო პირობას უქმნიდა, რადგან ორივე მხარე ერთმანეთს სასიცოცხლოდ საჭიროებდა. სიმონის ,,ირანოფოლობაც'' ამ რეალ-პოლიტიკას ემყარებოდა. ამიტომ ალამუთის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მის მიერ მაჰმადიანობის ფორმალურად თუ არაფორმალურად მიღება ანგარიშგასაწევი არაა. ოსმალეთის წინააღმდეგ სიმონ მეფის 12-წლიანი გმირული ბრძოლა აღნიშნული ,,რეალ-პოლიტიკის'' პრინციპებით მიმდინარეობდა. მის მიერ მიღწეული შედეგები იმით დაგვირგვინდა, რომ ამჯერადაც ის 1599 წელს ღალატით ოსმალებს ტყვედ ჩაუვარდა. ახლო აღმოსავლეთის დამპყრობელმა სულთანმა მეჰმედ III-მ (1595-1603) ეს უდიდეს მოვლენად ჩათვალა და ბრძანა: ,,...სახელმწიფოს ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღის განმავლობაში ყველა ლხენას მისცემოდა'' [5; 53]. გმირმა მეფემ იმდენი წელი გაატარა იედიკულეს ციხეში, რამდენი ხანიც ოსმალეთის წინააღმდეგ ხმალაღმართულ ბრძოლას შეალია. მან ამ ციხეში 1611 წელს დალია მებრძოლი სული.

ახლა უშუალოდ საკითხის შესახებ. ახალგაზრდა მკვლევარ-ფილოლოგოსმა როინ შანთაძემ ჩვენთვის საინტერესო თემაზე თურქეთის არქივებში მიაკვლია საინტერესო მასალებს და გამოაქვეყნა სტატია ამავე ენაზე ჟურნალ ,,ჩვენებურ''-ში (Roin Şantadze. I. Simon′un Sanatkâr Kişiliği'' (,,Çveneburi′′, 2004, №1, გვ. 16-19).

ამდენად, იგი ქართველი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. აქედან გამომდინარე, ავტორის მიერ მოპოვებულ წყაროებზე დაყრდნობით, განვიზრახეთ წინამდებარე ნაშრომის დაწერა. აქვე მინდა რ. შანთაძეს დიდი მადლობა მოვახსენო იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაგვიწია. კერძოდ, მთლიანად გვითარგმნა ეს სტატია და სიმონ მეფის ლექსების თარგმანიც მანვე შეასრულა. თუ რამდენად ზუსტია ამ ლექსების თარგმანი, ჩვენ ამაზე თავს ვერ დავდებთ, რადგან თურქული და სპარსული ენების ცოდნა არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ, სპეციალისტებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ მომავალში ამ მიმართულებით კვლევა განაგრძონ. აქვე ჩვენ არც სიმონ I-ის პოეტური შემოქმედების შეფასებას ავიღებთ საკუთარ თავზე, რაც ასევე ფილოლოგოსების საქმეა.

როგორც რ. შანთაძემ გამოარკვია, XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე თურქი ოფიციალური ისტორიოგრაფი ტალიკიზადე მეჰმედ სუბჰი (1540-1600)

თავის ნაშრომში ,,Gazavat-i Özdemir Paşa'', სიმონ I-ის შესახებ საგანგებოდ ჩერდება; ეხება მის მიერ სპასრსეთში გატარებულ წლებს; აქვე საუბრობს ირანში სიმონ მეფის ლიტერატურული და მუსიკალური მოღვაწეობის, ასევე სხვადასხვა პიროვნული თვისების შესახებ და მოაქვს ტყვეობის წლებში სიმონის მიერ დაწერილი სპარსული ლექსები ისე, რომ წყაროს არ მიუთითებს. ტალიკიზადეს გადმოცემით, სიმონ I სპარსეთში ყოფნის წლებში ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ზეპირად იცოდა სპარსული პოეზიის კლასიკოსის-ნიზამის ,,ჰამსე'', კითხულობდა ,,შაჰ-ნამესა'' და სხვა სპარსელი პოეტების დივანებს (ლირიკული ლექსების კრებულს – მ. პ.) და თვითონაც წერდა ლექსებს. უფრო მეტიც: ის ამ სფეროში იმდენად დახელოვნდა, რომ ,,...მისი ლექსების ხატოვნებამ კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა და თავიანთ შრომებში მას ,,ხატოვანი სიტყვის მქონე პოეტის'' სახელი მიუჩინეს. სიმონ I კარგად ფლობდა ლექსის სხვადასხვა სახეს, განსაკუთრებით კი გამორჩეული იყო მისი რობაიები. იგი მხოლოდ ლექსების კითხვასა და წერას არ სჯერდებოდა. მას ასევე ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთის იმდროინდელ განმანათლებლებთან, განსაკუთრებით ცნობილია მისი მეგობრული ურთიერთობა ირანის დიდვეზირთან მირზა სალმანთან [2; 16]. ეს უკანასკნელი 1576-1583 წლებში სპარსეთის დიდვეზირი იყო. მან დიდი როლი შეასრულა შაჰ ხუდაბანდეს გამეფებაში და განთქმული იყო რობაიების წერაში [3; 48, 269]. როგორც ქვემოთ ვნახავთ, უდავო ფაქტი ხდება, რომ სიმონ მეფესა და დიდვეზირს შორის გამართული იყო ლექსების მიმოწერა. მხოლოდ ჩვენთვის უცნობია, ეს მიმოწერა მეფის ირანში ტყვეობის დროს მიმდინარეობდა თუ საქართველოში მისი დაბრუნების შემდეგ. სიმონ I-ს დიდვეზირის ზოგიერთი ლექსისათვის პასუხიც დაუწერია. მას არ დაურღვევია იმდროინდელი პოეტური ტრადიციაც და ლექსებში შერქმეული სახელი ,,...სულთან-მაჰმუდ-ხანი...'' [6; 28] ანუ მაჰმუდი ფსევდონიმის ფორმით გამოუყენებია.

ციხიდან გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სიმონ I-ს შემდეგი სპარსული რობაი დაუწერია:

Der-dil-i haste be-dermân resid
Yüsuf-I gâm geşte be-Kenan ân resid
Şükr ki Mahmud be- tîg-i gameş
Akbubetu ‘ l-erm be-fermân resid
დაჭრილმა გულმა წამალი პოვა,
დაკარგულმა იუსუფმა ქენანი იპოვა,
მადლობა უფალს, რომ მაჰმუდმა დარდის მახვილით
საბოლოოდ შვება იპოვა.

აქ მკაფიოდ ჩანს, რომ ეს ლექსი სიმონ მეფეს ალამუთის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ აქვს დაწერილი, მაგრამ როდის? – უცნობია. ჩვენ არ ვიცით, ამ რობაის ადრესატი ვინ არის. თამამად იმის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ გათავისუფლების შემდეგ სიმონმა სამშობლოში დაბრუნებით მართლაც შვება იპოვა.

როგორც ირკვევა, სიმონ მეფესა და სპარსეთის დიდვეზირს შორის რობაიების მეშვეობით ურთიერთობა მისი ქართლში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელებულა. სპარსეთის დიდვეზირს სიმონ I-სათვის მასთან არსებული შეთანხმებისა და ფიცის განმტკიცების მიზნით შემდეგი ლექსი მიუწერია:

Mâ terk-i vefâ behr-i dünyâ ne-dehîm
Dil-râ pay-i ârzu ber-her câ ne-dehîm
Mâhî ki buved rişte-i yârî muhken
Ser rişte me-dih zi-dest tâ mâ ne-dehîm
ჩვენ წუთისოფლისათვის ერთგულებას არ ვუღალატებთ,
ერთი სურვილის ასრულებას გულს არ ვანაცვალებთ,
თუ გსურს, რომ მეგობრული კავშირი მტკიცე იყოს
შენ ნუ გაუშვებ ხელს მეგობრობის ჯაჭვს, რათა ჩვენც არ გავუშვათ.

ამ ლექსში კარგად ჩანს შაჰის კარზე მიღწეული მოკავშირეობის შეთანხმება. სიმონ მეფეს ირანის დიდვეზირი კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ის შაჰის კარს ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთის ერთგულ მოკავშირედ მიაჩნია. ამიტომ მან არ უნდა უღალატოს შაჰის ერთგულებას და სპარსეთიც თავის მხრივ ამ ერთგულების ჯაჭვს არ გაწყვეტს. დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, ორივე მხარემ ჯენტლმენური ხელშეკრულების პირობა არ უნდა დაარღვიოს. ირანის მხრიდან ამის გარანტად დიდვეზირი ჩანს, რაც, რა თქმა უნდა, შაჰის ოფიციალური კარის პოზიციას გამოხატავდა.

სიმონ მეფეს დიდვეზირის ამ ლექსისათვის სპარსულად ასე უპასუხია:

Mâ mih-i tâ-râ be-nâkd-i dünya ne-dehim
Der-sîne be-cuz hayâl-i tu câz ne-dehîm
Gafti ki me-dîh rişe-i yârî ez dest
Hâşa ne-dehîm sümme hâşa ne-dehîm
წუთისოფლის სარგებლისათვის შენს სიყვარულს არ შეველევით,
ჩვენს გულში შენს გარდა სხვას არავის დავუთმობთ ადგილს,
გითქვამთ, რომ მეგობრულ კავშირს არ უღალატოო,
თქვენ როგორ გიღალატებთ? არამც და არამც არ გიღალატებთ.

აქედან აშკარად ჩანს, რომ სიმონ მეფე ერთგულების პირობას არ დაარღვევდა და ირანის მოკავშირეობას არ უღალატებდა. ის პოლიტიკურ ვექტორს ოსმალეთზე არ გადახრიდა, რაც ბოლომდე დაიცვა. გარდა ამისა, სიმონ I-ს თამამედროვეების მიერ ერთობ მოწონებული პოეტ მირზა სალმანის ქვემოთ წარმოდგენილი გაზელისათვის (ლექსის ერთ-ერთი ფორმა-მ.პ.) საკმაოდ კარგი და ხატოვანი პასუხი დაუწერია სპარსულად, რომელშიც აშკარად იგრძნობა ალამუთში გატარებული ხანგრძლივი წლების მიერ მიყენებული სულიერი ტკივილი.

Mâ-râ gülî ez ray çîden ne-guzared,
Çid-en çi muhalist ki dîden ne-guzared,
Sad şerbet-i şirin zi lebet haste-dilân-râ,
Mezdîk-i leb ârend u çeşiden ne-guzârend.
შენს სახლის ბაღში ვარდების დაკრეფის ნებას არ დამრთავენ,
ვარდების შეგროვება რაღა სათქმელია, ნახვის ნებასაც

არ დამრთავენ,
შენი ბაგიდან გულ-დაკოდილთათვის ტკბილი შარბათი მოედინება
შენს ბაგესთან მომაახლოებენ, თუმცაღა მისი დაგემოვნების ნებას
არ მომცემენ.

ასევე, ალბათ, ესეც სიმონ I-ის პასუხია დიდვეზირისადმი:

Ey vây ber ân morg-I giriftâr ki her giz
Suy-i vatan-i hiç perîden ne guzârend.
ვაჰმე, რომ დატყვევებულ ჩიტს არასოდეს
თავის სამშობლოში გაფრენის ნებას არ მისცემენ [2;17].

როგორც ტალიკიზადე მეჰმედ სუბჰი მიიჩნევს, სიმონ მეფის ლექსები გამოირჩევა ენობრივი დახვეწილობით, ლექსის ხელოვნების ზედმიწევნით ოსტატურად გამოყენებით და ავტორის გრძნობების გულწრფელობითა და დამაჯერებლობით, რის გამოც სიმონ I-ის ლექსებმა იმდროინდელი სპარსელი პოეტების დიდი მოწონება დაიმსახურა [2; 17].

სიმონ მეფის სპარსულ რობაიებთან ერთად ცნობილია მისი ერთი თურქული რობაიც, რომელიც იედიკულეს ციხეში ყოფნისას უნდა დაეწერა. პირველი ოსმალური წყარო, რომელიც აღნიშნული თურქული რობაის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას – XVI საუკუნის II ნახევარში მოღვაწე და 1599 წელს გარდაცვლილი ბაიბურთელი ოსმანის ნაწარმოები ,,Tevarih-i Cedid-i Mir-at-i Cihan'' (,,სამყაროს სარკის უახლესი ისტორია''). მეორე წყარო კი, რომელიც აღნიშნული რობაის შესახებ ცნობას გვაძლევს, 1655-1716 წლებში მოღვაწე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნა'იმა -ს ისტორიაა, რომელიც ავტორის სახელს ატარებს. ნა'იმა-დან აღებული ეს რობაი აკად ს. ჯიქიამ გააცნო პირველად ქართულ საზოგადოებას. ავტორი ამ რობაის ასე თარგმნის:

,,გამანადგურა ბედმა, რომელსაც ვემდური;
ამისათვის დამცირება განვიცადე ხალხის თვალში,
თუმცა [საქმე] წამივიდა ძლიერ ცუდად (მძიმედ)
მადლობა გამჩენს [რომ ახლა მდგომარეობა] შემიმსუბუქდა'' [4; 56-58].

ნა'იმა-ს ისტორიაში მოცემული ამ რობაის ერთი სტრიქონი აბსოლუტურად განსხვავდება პირველი წყაროს ვარიანტისაგან. ამის გამო რ. შანთაძე ფიქრობს, რომ ,,...შესაძლოა რუბაიას ნაიმასეული რედაქცია სხვა წყაროდან იყოს აღებული, რაც თავის მხრივ ამყარებს ვარაუდს, რომ შესაძლოა ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა წყაროც არსებობდეს'' [2; 17-18]. XX საუკუნის თურქი ისტორიკოსი ისმაილ ჰამი დანიშმენდიც თავის ნაშრომში ,,Izahli Osmanli Tarihi Kronolojisi'' (,,ოსმალეთის ისტორია კომენტარებით''), სიმონ I-ის შესახებ მოკლე ინფორმაციასა და ამავე რობაის წარმოგვიდგენს.

თურქული რობაი:

Gaaret-zâde-i çarh-i sitemkar oldun
Halkun gözünde onun için hâr oldun
Ger gitti ise esb ü şütür bâriyle
Bâriye şükürler ki sebükbâr oldun
უმოწყალო წუთისოფლის რისხვა ვიწვნიე,
ხალხის თვალში ამიტომაც დავმცირდი,

მართალია, ცხენი და აქლემი ტვირთაკიდებული წავიდა,
მაგრამ მადლობა უფალს, რომ ამითი ტვირთი შემიმსუბუქდა.

რობაის პირველ სტრიქონში სიმონ I ხაზს უსვამს თავისი ეპოქის სიმძიმეს და ამ მიზეზით უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩენის გამო ბედს ადანაშაულებს. მეორე სტიქონში სინანულით აღნიშნავს, რომ მის მიერ სამშობლოსათვის თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, ამ ყველაფრით გამოწვეულმა დაუსრულებელმა სისხლიანმა ბრძოლებმა დაღლილი და ქანცგაწყვეტილი ხალხის (ალბათ, იგულისხმება ქართველი ხალხის) თვალში იგი დააკნინა. მესამე და მეოთხე სტიქონები ალეგორიულ ხასიათს ატარებს და, ჩვენი აზრით, მასში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ მეფემ მთელი ცხოვრება ,,ტვირთაკიდებული ცხენივითა და აქლემივით'' ტანჯვით იარა და მადლობა უფალს, მან ეს ტვირთი ღირსეულად ატარა.

ამ რობაისთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგიც. ერთი თურქ პოეტს ჰუქმი ჩელების სიმონ მეფის დაწერილი ამ ლექსისათვის საპასუხო რობაი დაუწერია. აი, ისიც:

Bilmezük ile âziz hâr oldum
Azade iken benden ğiriftâr oldun
Sir kullesini almağ için Göri ′ nün
Gör şimdi Yedikule′de dizdar oldun.
უმეცრებით მაშინ დამცირდი, როცა ძვირფასი იყავი,
ჩემგან დატყვევებული იქმენ, როცა თავისუფალი იყავი,
გორის ციხის ერთი კოშკის აღებისათვის
ნახე, ახლა იედიკულეს ციხეში იქმენ გამომწყვდეული.

სამწუხაროდ, არ ვიცით ამ რობაის სიმონ I-მა უპასუხა თუ არა.

ამ ეტაპზე სულ ეს არის. სიმონის სხვა ლექსები ჯერჯერობით უცნობია. იქნებ მომავალში გაგრძელდეს ამ მიმართულებით ფილოლოგოსების ძიებები. სავსებით ვეთანხმებით რ. შანთაძის მიერ სიმონ მეფის პოეზიის შეფასებას. ის წერს: ,,სიმონ I-ის პოეზიის შეფასება აუცილებლად უნდა მოხდეს სპარსული ლიტერატურის განვითარების ისტორიული ეტაპების გათვალისწინებით. სახელდობრ, ვინაიდან X-XVI სს. სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანად ითვლება, ხოლო სიმონ I ამ ეპოქის თანამდევ ახლო პერიოდში მოღვაწეობდა, 6 საუკუნოვანი განვითარების ტემპის ფონზე ლიტერატურული განვითარების შეფერხება ჯერ კიდევ ნაკლებად საგრძნობი იქნებოდა. ამგვარ ეპოქაში სპარსეთში სიმონ მეფის ლექსების მიმართ ასეთი ინტერესის არსებობა და თანამედროვე ინტელიგენციის მიერ მისი ლექსების ესოდენ მოწონება, უდაოდ, მნიშვნელოვანი და საამაყო ფაქტია'' [2; 19]. ასევე მართებულია ავტორის აზრი, რომ ,,...XVI ს-ის სპარსეთის ლიტერატურისაგან განსხვავებით, ოსმალური დივანიც ოქროს ხანად ითვლება. თანამედროვეებისა და შემდგომი ხანის ინტელიგენციის მიერ თავიანთ ნაშრომებში სიმონ I-ის რობაის მოხსენიება და მისადმი მოწონებით საუბარი, უდავოდ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს'' [2; 19].

რ. შანთაძის მიხედვით, სიმონ მეფის პოეზიის კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ მხარეს მისი ენა წარმოადგენს. სიმონ I-ის მიერ სპარსული ლიტერატურის ისეთი კორიფეებით გატაცება, როგორიცაა ნიზამის ,,ჰამსე'', ფირდოუსის ,,შაჰნამე'' და ბევრი სხვა პოეტის ,,დივანი'', ასევე მათგან ნაწილის დაზეპირება, შემდგომ კი ადგილობრივი არისტოკრატიის მიერ მოსაწონი საპასუხო ლექსების დაწერა იმაზე მიუთითებს, რომ ის ბრწყინვალედ ფლობდა სპარსულ ენას. იგივე რამ შეიძლება ითქვას მის მიერ თურქული ენის ცოდნის შესახებაც. თურქული რობაის ენაც ასევე დახვეწილია [2; 19].

უეჭველია, რომ სიმონ I-ის ლიტერატურისადმი ასეთი მიდრეკილება შემთხვევითი არაა. ამას საფუძვლად უდევს მისი ქართული ლიტერატურული ტრადიციებით აღზრდა, რომელიც თავის მხრივ სპარსული ლიტერატურის გარკვეულ გავლენას განიცდიდა. ამაში ის გამონაკლისი როდია. შემდგომ ეპოქაში პოეზიას ქმნიდნენ ისეთი ქართველი მეფე-პოეტები, როგორიცაა თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI. ქართული ლიტერატურისათვის ნამდვილად დიდი დანაკლისი ისაა, რომ ასეთმა ადამიანმა სამშობლოში ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დრო ვერ გამონახა. უფრო მშვიდ ეპოქაში რომ ეცხოვრა, შესაძლოა ქართული ლიტერატურისათვის რამდენიმე ძვირფასი ფურცელი მასაც შეემატებინა.

რაც შეეხება სიმონ მეფის მიერ მუსიკით გატაცებას, ამაზეც ინფორმაციას ზემოხსებული ტალიკიზადე მეჰმედ სუბჰი გვაძლევს. ავტორის გადმოცემით, ის დახელოვნებული იყო სპარსულ და თურქულ მუსიკაში. განსაკუთრებით უკრავდა ე.წ. ,,კანუნიზე'' და სპარსულ ჩონგურზე, რომელსაც ,,შიდირგოჩს'' უწოდებდნენ. თუმცა, ყველასგან გამორჩეული, განსხვავებული და უცნაური მუსიკალური სტილი ჰქონდა [2; 19]. ჩვენი აზრით, ამ ,,გამორჩეულ, განსხვავებულ, უცნაურ'' მუსიკალურ სტილში, ალბათ, აღმოსავლურთან ნაზავი ქართული სიმღერა იქნებოდა ანდა საერთოდ ქართული სიმღერა, რომელიც თურქული მუსიკალური სამყაროსათვის მაშინ, ალბათ, უცნობი იყო. ვინ იცის, 20-წლიანი ტყვეობის რა ნაღველს ატევდა გმირი მეფე თავის სიმღერებში.

ტალიკიზადესთან სიმონ მეფის შესახებ მოცემული ინფორმაცია ამით არ ამოიწურება. ის ასევე გვაწვდის ცნობებს სიმონ I-ის პიროვნული თვისებების შესახებაც. მის მიხედვით, სიმონი იყო გართობის მოყვარული: სისტემატურად მოიხმარდა ისეთ მათრობელა მოსაწევს, როგორიცაა ,,კანაფი'', ,,ბერში'', ,,კურსი''. უცნაური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩაცმისა და მორთვის სტილი ჰქონდა. თავზე იდგამდა შავი ძვირფასი ქვებით მორთულ გვირგვინს, ყურზე იკეთებდა ძვირფას და კარგი ოსტატობის ნიმუშ საყურეს; მთელი ტანსაცმელი მოოქროვილი ქსოვილით იყო მოქარგული, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული და ხშირი მოხატულობითა და მორთულობით [2; 19]. ამ უკანასკნელ ფაქტს ამაგრებს ერთ-ერთი ესპანურენოვანი წყარო, რომელშიც ვკითხულობთ: 1582 წლის შემოდგომაზე მუხრანთან ჰადიმ ფაშაზე გამარჯვების შემდეგ ,,...ქართველებმა თან წაიღეს 2 ათასი არკებუზი, 160 ჭოგრიტი, 6 სათვალთვალო, წაიყვანეს ურიცხვი რაოდენობის ცხენი, წაიღეს მრავალი სახის იარაღი და 17 საარტილერიო ქვემეხი. სხვა საგნებს შორის იყო ოქროთი მორთული ორი ხანჯალი, რომლებიც შეფასებული იქნა 6 ათას ცეხინად.

სიმონმა თავისთვის აირჩია იარაღი, ძვირფასი ტანისამოსი, დანები, ცხენები და აღჭურვილობა. დანარჩენი კი დაუთმო თავის ჯარისკაცებს'' [8; 339]. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენთვის უცნობმა ესპანელმა მხატვარმა ფრანკო ფორმამ სიმონ I-ის პორტრეტი ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი წარმოგვიდგინა. ეს გვაფიქრებინებს იმას, რომ ავტორმა ძვირფასი ჩაცმულობისადმი სიმონის მიდრეკილების შესახებ იცოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. Historia della Guerra fra Turchi, et Persiani, Di Gio. Thomaso Minadoi da Rovigo, Divisa in Libri Nove, in Venetia, M.D.LXXXVIII (1588).
2. Roin Şantadze. I. Simon'un Sanatkâr Kişiliği " ("Çveneburi", 2004, №1, გვ. 16-19).
3. Шараф-хан Бидлиси. Шараф-наме, М.,1976.
4. ს. ჯიქია, ეპიზოდი. XVI საუკუნის ერთი ცნობის განმარტება (ნა'იმა-ს ერთი ცნობის განმარტება). "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31, თბ.,1954.
5. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ.კუციასი, თბ., 1974.
6. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ.ფუთურიძემ, თბ.,1969.
7. 7. მ.პაპაშვილი, ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ოტიუსტ დე ტუ სიმონ I-ის თურქების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ჟურნ.: ,,საქართველო-ევროპა-ამერიკა'', თბ., 1997, №2.
8. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს), მადრიდი, 1993.

✍ ნიკოლოზ ბჟალავა, ✍ ქეთევან კვესელავა
✍ ლიანა თადეიშვილი, ✍ მაია სიხარულიძე

მულტიმედიური ტექნოლიგიები, როგორც ვირტუალური და რეალური გარემოს დაახლოება

მულტიმედია (ლათ. Mmultum+medium,ინგლ. multi – ბევრი, media – medium საშუალება) არის ურთიერთქმედება ვიზუალური და აუდიო ეფექტების, რომელსაც მართავს ინტერაქტიული პროგრამული უზრუნველყოფა თანამედროვე პროგრამების მეშვეობით, სადაც ციფრულ ერთიანობაში გაერთიანებულია: ტექსტი, აუდიო-ვიდეო, გრაფიკა, ფოტოსურათი. ინფორმაციული საშუალებების ასეთი კომბინაცია დღეს ყველა პერსონალური კომპიუტერისთვისაა შესაძლებელი, რაც გზას უხსნის განათლებისა და გართობის ახალ სამყაროს.

პირველი მულტიმედიური საშუალებები პრიმიტიული სახის იყო. მომხმარებელი შეზღუდული იყო ბევრ რამეში. გამოსახულება გამოიყურებოდა ჩვეულებრივი წიგნის ფურცლის მსგავსად და არ იყო მისი სწრაფად გამოცვლის საშუალება.

ინტერაქტიული მულტიმედია კი მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს ინფორმაციის მიღების პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი დიზაინით შესრულებული მულტიმედიური პაკეტი აღჭურვილია მრავალფეროვანი ინფორმაციული კავშირებით, ანუ ბმულებით და ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ეძლევა აირჩიოს საკუთარი მეთოდი ინფორმაციის მიღებასა და გადამუშავებისათვის. თითოეულ ასეთ პაკეტში ბმულები შეფერილია ინდივიდუალური ფერით და საშუალებას აძლევს მომხმარებელს ადვილად მოიძიოს ინფორმაცია.

ინდივიდუალური კონტენტის მაგალითები კომბინირებულ მულტიმედიაში:



ტექსტი



აუდიო

ფოტოსურათი

ანიმაცია

ვიდეო

ინტერაქტუალობა

ელექტრონული ფორმით ინფორმაციის დიდი მასივების შენახვა, დამუშავება და გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტების ყოველდღიურ საქმიანობად იქცა. თანაც მულტიმედიური სისტემების მიერ ინფორმაციის გავრცობის სიჩქარე და არეალი თითქმის შეუზღუდავია. **ტერმინი მულტიმედია** ასევე ხშირად იხმარება, ინფორმაციის მატარებლის აღსანიშნავად, რომელიც დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვისა და სწრაფი გამოყენების საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის პირველი ინფორმაციის მატარებელი ლაზერული მატარებლები იყო (CD-Compactdisk, ხოლო შემდგომში – DVD). ერთი კომპაქტ-დისკი იტევს 650 მეგაბაიტ ინფორმაციას, ცალმხრივი DVD – 4.7 გიგაბაიტს, ხოლო ორმხრივი – 9.4 გიგაბაიტს.

ყოველივე ამან ელექტრონული (მულტიმედური) კომუნიკაცია, სხვა ტიპის კომუნიკაციასთან შედარებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახადა. მან უდიდესი ზემოქმედების ძალა შეიძინა მომხმარებელზე ობიექტის აუდიოვიზუალიზაციისა (ტექსტი, გრაფიკა, მუსიკა, ხმა, ანიმაცია, ვიდეო და სხვ.) და ინტერაქტიულობის ხარჯზე. მულტიმედიის საშუალებებით სხვადასხვა ინფორმაციასთან ხელმწვდომა საშუალებას აძლევს ადამიანებს, მათ შორის მეცნიერთა ფართო წრეს, ერთმანეთთან ჰქონდეთ მჭიდრო ურთიერთობა და დიალოგი. თანამედროვე On-Line ტექნოლოგია უზრუნველყოფს დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციის სინქრონულ გაცვლას, მათ შორის: ხმოვან კავშირს, ვიდეო-კონფერენციებს, ხოლო Off-Line რეჟიმში ხდება მონაცემებისა და შეტყობინებების ასინქრონული გაცვლა, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტა, SMS და სხვ. ორივე რეჟიმი საშუალებას იძლევა გაიცვალოს ნებისმიერი – ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო და აუდიო ინფორმაცია.

მულტიმედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია გამოსახულება, რომელიც მიიღება სამი ძირითადი ფერის – წითლის, ლურჯის და მწვანეს (RGB – Red, Green, Blue) კომბინაციით. გამოსახულება შედგება ათასობით წვრილი წერტილისაგან, ე.წ. **პიქსელისაგან.** თითოეული პიქსელი შეიცავს წერტილების ჯგუფებს, რომლებიც მაშინ ირეკლავენ წითელ, ლურჯ და მწვანე ფერებს, როდესაც მათ ხვდება ელექტრონული სხივი. ამ სხივების ინტენსივობის ცვალებადობა წარმოქმნის სხვადასხვა ფერს. რაც უფრო მეტი პიქსელია ეკრანზე, მით უფრო მკვეთრია გამოსახულება.

მოძრავი ნახატების მონაცვლეობა, მუსიკა, სტერეო ხმა და ფერადი გამოსახულება ეფექტური სანახაობაა. კარგი მულტიმედიური პროგრამა აბალან-

სებს ყველა ამ საშუალებას, თუმცა მთავარი მნიშვნელობა აქვს ვიდეო-გამოსახულებას. ეს არის მულტიმედიის წამყვანი საშუალება, რომლის დახმარებითაც მომხმარებლისათვის ინფორმაციის მოწოდება ხდება ყველასათვის ადვილი და გასაგები გზით. თუმცა, მასაც აქვს ნაკლი – ვიდეო-გამოსახულება დიდ ადგილს იკავებს დისკოზე და მისი ჩატვირთვა ხანგძლივ დროს მოითხოვს.

ჰიპერბმულები მულტიმედიის განუყოფელი ნაწილია და მომხმარებელს საშუალებას აძლევს ინფორმაციის დამუშავებისას მეტად დამოუკიდებელი იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი თავად ირჩევს ინფორმაციის თანაგაცნობის საკუთარ გზას და ძიების სისწრაფეს, რაც მას უადვილებს მუშაობას. თანამედროვე პროგრამები აღჭურვილია საუკეთესო დიზაინითა და მარტივად მოხმარებადი ელემენტებით.

მულტიმედიური პროგრამები არ შეიცავს მხოლოდ თამაშებსა და **ენციკლოპედიებს** – არსებობს ბევრი სხვა საინტერესო პროგრამაც. ძალიან პოპულარული ხდება კომპიუტერული სასწავლო პროგრამები, რომელთა დახმარებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ დაეუფლონ ნებისმიერ საქმეს – დაწყებული **კულინარიითა** და დამთავრებული **დეკორაციით.** არსებობს, აგრეთვე, საბავშვო პროგრამები, რომლებიც ბავშვებს ასწავლის დათვლას, კითხვასა და უცხო ენებს.

მულტიმედია შეიძლება დაიყოს **წრფივ** (პირდაპირი) და **არაწრფივ** (არაპირდაპირი) ჯგუფებად:

1. **წრფივი** (პირდაპირი) მეთოდის ანალოგი შეიძლება წარმოადგინოს კინომ. ადამიანი, რომელიც უყურებს ასეთი სახის დოკუმენტს, ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოახდენს **გავლენას მის შედეგზე**.

2. **არაწრფივი** (არაპირდაპირი) მეთოდი კი იძლევა საშუალებას, რომ ინფორმაციის წარმოდგენის დროს, ადამიანმა უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ინფორმაციის შედეგზე, რომელიც დამოკიდებული იქნება რომელიმე მულტიმედიური მონაცემების გამოსახვით საშუალებებზე. ადამიანის ასეთი მონაწილეობას ამ პროცესში **«ინტერაქტიულობა»** ეწოდება. ასეთი სახის ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთკავშირი, უმეტეს წილად ისახება კომპიუტერული თამაშების დროს. მულტიმედიური მონაცემების არაპირდაპირი მეთოდით წარმოდგენა ხანდახან მოიხსენიება როგორც **«ჰიპერმედია».**

პირდაპირი ტიპის ინფორმაციის წარმოდგენის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ისეთი სიტუაცია, როგორიცაა, პრეზენტაცია. თუ პრეზენტაცია არის ჩაწერილი რომელიმე ინფორმაციის მატარებელზე და აუდიტორიას მიეწოდება საჩვენებლად ამ სახით, მაშინ ასეთი ინფორმაციის მიწოდებისას მაყურებელს არ აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს მომხმარებელზე, ხოლო ცოცხალი პრეზენტაციის დროს, აუდიტორიას აქვს შესაძლებლობა მისცეს შეკითხვები მომხსენებელს და მოახდინოს გავლენა პრეზენტაციაზე სხვადასხვა სახით, რომელიც აძლევს საშუალებას მომხმარებელს გადაუხვიოს თემიდან. მაგ:. სხვადასხვა ტერმინების ახსნა, უფრო დეტალურად აღწეროს მოხსენების

დისკუსიური საკითხები. ამ შემთხვევაში ცოცხალი პრეზენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს არაპირდაპირი ინტერაქტიული ინფორმაციის მიწოდების მეთოდით.

მულტიმედიური თამაშები – ისეთი თამაშებია, სადაც მოთამაშე ურთიერთკავშირშია ვირტუალურ მხარესთან, რომელიც კომპიუტერის საშუალებითაა აგებული. ვირტუალური მხარის ინფორმაცია მოთამაშეს გადაეცემა სხვადასხვა გადამცემების დახმარებით (აუდიო, ვიზუალური). დღესდღეობით ყველა კომპიუტერული თამაშები ან სათამაშო აპარატები წარმოადგენენ მულტიმედიურ თამაშებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი თამაშები შეიძლება ითამაშოს როგორც ერთმა მოთამაშემ, ასევე სხვასთან ერთად ქსელში. სათამაშო და გასართობ გარემოში გამოიყენება HYUNDAY 3D სისტემები, ვირტუალური რეალობის სრულყოფილი განცდის შეგრძნებას იწვევს მულტიმედია ჩაფხუტი, მაგალითად, Tvisio, HMD.

მულტიმედიის სხვადასხვა ფორმატების მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას მომხმარებელთა აღქმის გასამარტივებლად. მაგ.: ინფორმაციის მიღება არა მარტო ტექსტის სახით, არამედ დასურათებული და ხმოვანი ვიდეო კლიპების დანართით. ამგვარად თანამედროვე ხელოვნებამ ყოველდღიური და ჩვეულებრივი საგნები შეიძლება წარმოადგინოს ახლებურად.

ინფორმაციის სხვადასხვა სახით მიწოდების საშუალება იძლევა მომხმარებელთა ინტერაქტიულ ურთიერთქმედებას ინფორმაციასთან. ინტერმედია სულ უფრო ხშირად ხდება ობიექტზე ორიენტირებული, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს იმუშაოს თემაზე, ისე რომ, არ ჰქონდეს კონკრეტული ცოდნა. მაგ.: იმისათვის, რომ YouTube –ზე განვათავსოთ ვიდეო, ამისათვის მომხმარებელს არ არის საჭირო კლიპებისა და ვიდეოების კოდირების, ინფორმაციის შეკუმშვის ან ვებ-სერვერების მოწყობილობების ცოდნა. მომხმარებელი ირჩევს მხოლოდ ლოკალურ ფაილს და ათასობით სხვა მომხმარებელს, ვიდეო-

სერვერების დახმარებით, აქვს საშუალება და შესაძლებლობა ნახოს ვიდეოკლიპი.

მულტიმედიური სისტემები საშუალებას იძლევა სწრაფად მოგვცეს ინფორმაცია მოვლენებზე, რომლებიც ეწყობა, დემონსტრირებას უკეთებს სააგენტოების ან შემოქმედებით ჯგუფების სფეროების ხილვადობას, არეგულირებს უკუკავშირს თავის მომხმარებელთან, ფართოდ შლის ინფორმაციის არეალს მიზნების და მასალების მისაღებად; ინფორმაციის მიღებისათვის გამოიყენება თანამედროვე მექანიზმები ხელს უწყობს მიმდინარე ობიექტის შეცნობა-ამოცნობას ინტერნეტის საშუალებით. მულტიმედიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სფეროებში: რეკლამა, შემოქმედება, განათლება, გართობაში, ტექნიკაში, მედიცინაში, მათემატიკაში, ბიზნესში, სამეცნიერო კვლევებში.

განათლების სისტემაში მულტიმედია გამოიყენება კომპიუტერული კურსების ენციკლოპედიების და კრებულების შესაქმნელად, აგრეთვე იძლევა საშუალებას მომხმარებელმა იხილოს პრეზენტაცია თემატიკური ტექსტით და მასთან დაკავშირებული გამოსახულებით სხვადასხვა წარმოდგენილი ინფორმაციული ფორმატებით. Edutainment – არაოფიციალური ტერმინია, რომელიც გამოიყენება განათლებისა და გართობის გასაერთიანებლად. (განსაკუთრებით მულტიმედიური გართობები) სწავლა და სწავლის მეთოდები ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებულად განვითარდა მულტიმედიის გამოჩენის შემდეგ. გამოიყო კვლევის რამდენიმე მიმართულება, ისეთი, როგორიცაა შემეცნებითი მიმართულება, მულტიმედიური სწავლება და სხვა.

პროგრამული უზრუნველყუფის სპეციალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ მულტიმედია კომპიუტერულ ემულატორებში, სადაც უნდათ: გართობიდან – შესწავლამდე, მაგალითად, სამხედრო ან წარმოებით სწავლებაში. მულტიმედია პროგრამული ინტერფეისისათვის ხშირად იქმნება, როგორც თანამშრომლობა კრეატიულ პროფესიონალებსა და პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებს შორის. მაგალითად, კომპიუტერული ქსელების ემულატორი.

წარმოების სფეროში მულტიმედია გამოიყენება, როგორც ინფორმაციული პრეზენტაციები აქციონერებისათვის, ხელმძღვანელებისათვის და სხვ. მულტიმედია ასევე გამოიყენება ორგანიზაციებში პერსონალის მომზადება ან გადამზადებისათვს, სარეკლამო რგოლებოისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თითქმის თავისი განსაზღვრული ვებ-ტექნოლოგიებით

სამეცნიერო კვლევებში მულტიმედია ძიროთადად გამოიყენება ობიექტის ან მოვლენის მოდელირებაში. მაგ. მეცნიერს შეუძლია ვიზუალურად დაინახოს მოლეკულური მოდელი რაიმე ნივთის და შეძლოს მისით მანიპულირება, რათა შექმნას სხვა ახალი ნივთი.

მულტიმედია შესაძლებელია აგრეთვე გამოვიყენოთ მედიცინაში, მაგალითად, ექიმსაც შეუძლია მიიღოს ცოდნა ვირტუალური ოპერაციის საშუალებით ან ადამიანის სხეული სიმულატორის დახმარებით.

მკაფიოდ გამოიკვეთა ვირტუალური და რეალური გარემოს დაახლოების ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით, კომპიუტერთან მხოლოდ ტექსტურ-გრაფიკული საშუალებებით ურთიერთობის სანაცვლოდ, იკვეთება სხვა, ვირტუალური გამოსახულების მატერიალიზაციის საშუალებები, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი ვირტუალურ გარემოს მართავს. ეს ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას სხვადასხვა ტრენაჟორები, ემულატორები, ინტერაქტიული სასწავლო გარემო.

თანდათან უფრო პოპულარული ხდება 3D ვიზუალიზაცია. 3D დისფლეები, რომლებიც სხვადასხვა ოპტიკური სქემების ბაზაზე არიან შექმნილი, ეფექტურად გამოიყენება მარკეტინგისა და სარეკლამო ინდუსტრიაში, მაგალითად, ტექნოლოგია Enabled. მულტიმედიურ სისტემებთან ხანგძლივი მუშაობის დროს იყენებენ Stereo Pixel ტექნოლოგიას, რომელიც შეიცავს პროფესიონალურ 3D სტერეო მონიტორსა და 3D სათვალეს.

გამოიკვეთა ტელევიზიისა და ინტერნეტის უპირატესობების გაერთიანების ტენდენციები, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქტიულობას, რამაც შეცვალა უშუალოდ ტელემაუწყებლობის აღქმის პრინციპი. ტელემაყურებელს ეძლევა საშუალება ჩაერიოს ტელემაუწყებლობის მიმდინარეობის პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტ-ტელევიზია ინტერნეტის საშუალებების გამოყენებით, კერძოდ, ტელესეანსის მიმდინარეობის პარალელურად, აბონენტს შეუძლია შევიდეს სხვადასხვა ინტერნეტ-ფორუმზე, მოიძიოს სასურველი ინფორმაცია, მიიღოს მონაცემები ტელეპროგრამაში მონაწილეების შესახებ.

საყოველთაოდაა მიღებული **ტელეკონფერენციების** ჩატარება მულტიმედიური ტექნოლოგიის გამოყენებით. კონფერენციაში მონაწილე ყოველი აბონენტი ან აბონენტთა ჯგუფი მასში მონაწილეობს თანაბარი უფლებით, მიუხედავად იმისა, ისინი არიან ერთ ოთახში, ერთ ქალაქში ან სულაც სხვადასხვა რეგიონებში.

კომპიუტერული ქსელების უმეტესობა, მათ შორის Ethernet, იყენებს აბონენტთა ურთიერთობის სამ რეჟიმს:

- ჩვეულებრივს (Unicast). ყველაზე გავრცელებული – ჩვეულებრივი რეჟიმის დროს, მონაცემები ქსელის კონკრეტულ აბონენტს გადაეცემა;
- ფართო მაუწყებლობის (Broadcast). ამ რეჟიმში მონაცემები ერთდროულად გადაეცემა ქვექსელის უკლებლივ ყველა აბონენტს;
- ჯგუფურს (Multicast). ეს რეჟიმი გულისხმობს ქსელის აბონენტების გარკვეული ჯგუფისათვის ერთი და იმავე მონაცემების ერთდროულად გადაგზავნას ანუ მონაცემებს მიიღებს ქსელის არა ყველა აბონენტი, არამედ მხოლოდ ჯგუფის წევრები. ამით განსხვავდება მულტიკასტი ფართომაუწყებლობის რეჟიმისაგან.

მულტიკასტინგის გამოყენება ქსელის აბონენტთა ჯგუფისათვის განსაკუთრებით მოსახერხებელია სასწრაფო ინფორმაციის გადასაგზავნად, აუდიო-

ვიდეომონაცემების ტრანსლირებისას, დისტანციური სწავლების დროს ან ტელეკონფერენციების ჩატარებისას. იმისათვის, რომ აბონენტებმა, ლოკალურ ქსელში, მონაცემების კოლექტიურ გაცვლაში მიიღოს მონაწილეობა, მასში სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს ჩატვირთული.

NIKOLOZ BJALAVA
QETEVAN KVESELAVA
LIANA TADEISHVILI
MAIA SIKHARULIDZE

MULTI-MADE TECHNOLOGIES, AS CONNECTION OF VIRTUAL AND REAL ENVIRONMENT

Summary

Modern multi-made systems are distinguished with diversity and complexity which, on one side is conditioned with hard structure on the other hand. It represents radio, film, television and connection of computer networks which are internet, extranet, intranet.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Александр Колганов, Системы мультимедиа сегодня, HARD'n'SOFT №4 апрель 1995г.
2. www.ixbt.ru, раздел SOFT.
3. http://ru.wikipedia.org/wiki
4. Мультимедиа–ПК. В. Дьяконов // Домашний Компьютер №1 1996г.
5. http://ka.wikipedia.org/wiki
6. http://technologies.su/multimedia-tehnologii

✍ ნინო გომართელი

რამდენიმე შტრიხი უინსტონ ჩერჩილის ბიოგრაფიიდან

უინსტონ ჩერჩილი, ჰერცოგ მარლბოროს არისტოკრატული გვარის ღირსეული შთამომავალი, დაიბადა 1874 წლის 30 ნოემბერს. იგი იყო ჯანეტ ჯერომისა და ლორდ რენდოლფ ჩერჩილის უფროსი შვილი. სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი იყო ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ჩინებული ორატორი, მწერალი, პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაშრომთა ავტორი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში, ე.წ. ,,დიდი სამეულის'' თანამონაწილე და ერთ-ერთი იმათგანი, ვისი მცდელობითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბდა თანამედროვე მსოფლიო. იგი ბრიტანეთის ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას მოესწრო ექვს მონარქს – დედაფალ ვიქტორიადან – ელისაბედ II-ის ჩათვლით. თავისი განუყრელი ცილინდრითა და ხელჯოხით ჩერჩილი იყო არა მარტო შესანიშნავი დიპლომატი, არამედ მოყვარული მხატვარი და, ამასთანავე, ჩინებული მებაღე. იგი სანაქებოდ უვლიდა ჩართუელში თავის სანიმუშო ბაღს, ხოლო მისი ნახატები პერიოდულად იფინებოდა ინგლისის სამეფო აკადემიაში, ორჯერ მოეწყო მისი პერსონალური გამოფენაც. პაბლო პიკასოს, რომელსაც არ მოსწონდა ჩერჩილის კონსერვატორულ-პოლიტიკური შეხედულებები, უთქვამს – ,,ამ ბრიტანელ პოლიტიკოსს სერიოზულად რომ მოეკიდა ხელი მხატვრობისათვის, შესაძლოა, ერთობ, თვალსაჩინო მიღწევები ჰქონოდა''-ო. ჩერჩილი გახლდათ უბრწყინვალესი ორატორი. მას ეკუთვნის გამოთქმები: ,,რკინის ფარდა'', ,,ცივი ომი'', რაც ესოდენ ესადაგებოდა II მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკურ სიტუაციას. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1888 წელს, იგი შევიდა ჰაროუს პრივილეგირებულ სკოლაში. მისი სამხედრო კარიერა დაიწყო სენდჰერსთში, სადაც წარჩინებით დაასრულა სამეფო სამხედრო სასწავლებელი. მამის გარდაცვალების შემდეგ, ჩერჩილი ჩაირიცხა ჰუსართა მეოთხე პოლკში ლეიტენანტის ჩინით. კუნძულ კუბაზე ესპანურ არმიაში სამხედრო მეთვალყურედ ყოფნის შემდეგ, იგი ინდოეთში გადაიყვანეს. 1898 წელს ჩერჩილი ეგვიპტეში ჩავიდა და მონაწილეობა მიიღო იქ მიმდინარე ბრძოლებში არა მარტო როგორც სამხედრო პირმა, არამედ, როგორც ჟურნალისტმა. მან

მონაწილეობა მიიღო სამხრეთ აფრიკაში ბურების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. 1899 წლის 15 ნოემბერს ჩერჩილი ტყვედ ჩაუვარდა სამხრეთ-აფრიკული კავშირის მომავალ პრემიერ-მინისტრს და შემდგომში მის ახლო მეგობარს ლუის ბოტას. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, ჩერჩილი გაემგზავრა აშშ-ში, სადაც სასწავლო დაწესებულებებში კითხულობდა ლექციებს, მიღებული გასამრჯელო კი მან საკუთარი კარიერის სრულყოფას მოახმარა. 26 წლის ასაკში იგი გახდა პარლამენტარი, მომდევნო სამმა წელმა პოლიტიკური დაპირისპირება გამოავლინა ჩერჩილსა და იმ ლორდთა შორის, რომელთაც მესვეურობდა ჟოზეფ ჩემბერლენი. 1904 წელს ჩერჩილმა მონაწილეობა მიიღო თემთა პალატის არჩევნებში ლიბერალთა პარტიიდან. მათი გამარჯვების შემდეგ ჩერჩილს შესთავაზეს მინისტრთა კაბინეტის მუშაობაში მონაწილეობა. თავდაპირველად, ხელმძღვანელობდა სამინისტროს, რომელსაც კოლონიების საქმეთა მოწესრიგება ეკისრებოდა, შემდეგ იყო დედოფლის საიდუმლო მრჩეველი, პრემიერ-მინისტრად ჰენრი ასკვიტის არჩევის შემდეგ, ჩერჩილი მეთაურობდა საბჭოს, რომელიც განაგებდა ქვეყნის საშინაო საქმეებსა და ვაჭრობის საკითხებს. 1911 წელს ჩერჩილი სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის ფლოტს, მისი მიზანი იყო ბრიტანეთის სამეფო საჰაერო-სამხედრო ძალების შექმნა. ფრონტზე გენერალ-ლეიტენანტის ჩინით სათავეში ედგა დედოფლის მეისრეთა მე-6 პოლკს; პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა იგი ფრონტიდან გამოიხმო და ქვეყნის სამხედრო მომარაგების სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშნა. 1918-1921 წლებში ჩერჩილმა ქვეყანაში მთელი რიგი რეფორმები გაატარა, შემდეგ იგი განაგებდა კოლონიების საქმეებს და უშუალოდ მონაწილეობდა ზოგიერთი არაბული სახელმწიფოსა და ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხთა გადაწყვეტაში. შეშფოთებას გამოთქვამდა ბოლშევიკების რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის გამო, მხარს უჭერდა თავისუფლებამოყვარული ირლანდიის ხელისუფლებას. მას შეურიგებელი დამოკიდებულება ჰქონდა თურქეთთან დარდანელის სრუტის საკითხებთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა სერიოზული განხეთქილება ისედაც მერყევ და სუსტად შეკავშირებულ კოალიციურ მთავრობაში. მინისტრთა ახალ კაბინეტში ჩერჩილი აღარ აურჩევიათ. იგი პოლიტიკის მიღმა დარჩა, მაგრამ II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, იგი ინიშნება სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პირველ ლორდად. 1940 წელს, ჩემბერლენის გადადგომის შემდეგ, იგი ხდება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ თემთა პალატაში თავის პირველ გამოსვლაში პრემიერმა განაცხადა: ,,თქვენ იკითხავთ, რა გვაქვს მიზნად დასახული? ჩემი პასუხი მარტივია: გამარჯვება, გამარჯვება ნებისმიერ ფასად! გამარჯვება ტერორზე, ხანგრძლივი ბრძოლისა და გაჭირვების გადალახვის ფასად!'' ჩერჩილს ფიქრადაც არ გაუვლია ჰიტლერთან მოლაპარაკება, დიდი ბრიტანეთი არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, მას განზრახული

ჰქონდა ბრძოლა აშშ-ის ომში ჩაბმამდე. ჩერჩილი მიზნად ისახავდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სრულ კონცენტრაციას ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში; მის პოზიციას აქტიურად მხარი დაუჭირა აშშ-მა მას შემდეგ, რაც იაპონიამ დაბომბა პერლ-ჰარბორში აშშ-ს სამხედრო ბაზები. ჩერჩილს აშშ-დან ეკონომიკური და სამხედრო დახმარება სჭირდებოდა, თუმცა, ამერიკულმა კონტროლმა ომიანობის დროს ბრიტანულ ეკონომიკაზე, ინგლისს ეკონომიკური დამოუკიდებლობა დააკარგვინა. ჩერჩილი ცდილობდა ,,მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მჭიდრო კავშირის'' დამყარებას აშშ-თან, ეს თანამშრომლობა განმტკიცდა ,,ატლანტიკური ქარტიით'', რომელსაც მოგვიანებით სსრკ-ც შეუერთდა.

საინტერესოა ი. სტალინის ჩერჩილისეული შეფასება: ,,რუსეთისათვის დიდი ბედნიერება გახლდათ ის, რომ მძიმე განსაცდელის წლებში, მას სათავეში ედგა ისეთი გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი, როგორიც იყო იოსებ სტალინი, კაცი, რომელიც საოცრად შეესატყვისებოდა ისტორიის იმ ულმობელ პერიოდს, რომელშიც მიედინებოდა მისი ბობოქარი ცხოვრება. სტალინი გახლდათ უკმეხი, ხისტი, სასტიკი სიტყვითა და საქმით. მასთან მეც კი – ინგლისის პარლამენტში აღზრდილი – ვერაფერს ვხდებოდი. რაც არ უნდა ითქვას სტალინზე, ისტორია და მსოფლიოს ხალხი მას ვერ დაივიწყებს''.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, ინგლისმა მზადება დაიწყო არჩევნებისთვის, რომელიც 1945 წელს ჩატარდა და რომელშიც ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს. ჩერჩილი გადადგა. თავის ნაშრომში ,,ომის ბინდ-ბუნდი'', იგი წერს: ,,ხელისუფლების მაღალ მწვერვალზე ასული, ხუთი წლის განმავლობაში ვმართავდი სახელმწიფოს მსოფლიო ომის დასასრულამდე. შემდეგ, როცა ჩვენმა მტერმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადა, ინგლისელმა ამომრჩეველმა ყველა საქმეს მყის განმარიდა. პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული კრიზისის დღეებში ჩემი მაჯისცემა ერთხელაც არ აჩქარებულა. ყველა მოვლენას ისე აღვიქვამდი, როგორიც ის იყო თავისი არსით, მაგრამ არ ძალმიძს დავმალო, როდესაც შუადღისას სასთუმალზე მივწექი, შვებით ამოვისუნთქე. შემეძლო მთელი ამ სფეროს განკარგვა. თავი ბედის რჩეულად ვიგრძენი და მივხვდი, რომ მთელი ჩემი გარდასული ცხოვრება სწორედ ამ საათისა და ამნაირი გამოცდისათვის მზადება იყო მხოლოდ. ყველაფერი, რაც კი ბოლო 6 წლის მანძილზე მრავალგზის განმეჭვრიტა, სულ წვრილად და შემზარავი სიზუსტით ამხდარიყო და აწ ვეღარავინ შემედავებოდა. ვერავინ დამწამებდა სისხლისღვრის გაჩაღების მცდელობას... მიმაჩნდა, რომ ყველაფერში მშვენივრად ვიყავი გათვითცნობიერებული... ამიტომ, თუმც მოუთმენლად ველოდი გათენებას, მშვიდ, ღრმა ძილს მივეცი თავი, სულაც არ მჭირდებოდა გამამხნევებელი ზმანებანი...სინამდვილე ხომ სიზმარს სჯობს!''

ექვსი წლის განმავლობაში ჩერჩილი მეთაურობდა ოპოზიციას და ევროპელ ლიდერებს მოუწოდებდა თავიდან აეცილებინათ საბჭოეთის მავნე გავლენა. 1951 წელს უინსტონ ჩერჩილი დაბრუნდა დაუნინგ სტრიტის 10 ნომერში – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ რეზიდენციაში. იგი ატარებდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციის განმტკიცებისა და ევროპული კავშირის მხარდამჭერ პოლიტიკას, თუმცა, არც სოციალურ სფეროს ივიწყებდა. მხარს უჭერდა რკინიგზისა და ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციას.

ახლა მოკლედ შევეხოთ უინსტონ ჩერჩილის ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამბობენ, რომ ჩერჩილს ჩარლზ დიკენსზე და უოლტერ სკოტზე მეტი პუბლიკაცია ჰქონდა. მას იხსენიებენ ჰემინგუეისა და ფოლკნერის გვერდით. კორესპონდენტად მუშაობის პერიოდში ჩერჩილი მთავრობას აწვდიდა ინფორმაციებს, რის საფუძველზეც 1898 წელს შეიქმნა ნაშრომი ,,მალაკანდის ლაშქრობის ისტორია'', სუდანის ექსპედიციაში მიღებული გამოცდილება აღწერილია ნაშრომში ,,ომი მდინარეზე''. ახალგაზრდა ჩერჩილი ინდოეთში ქმნის თავის ერთადერთ მხატვრულ ნაწარმოებს ,,სავროლა, დაურანიის რევოლუციის ისტორია''. მას ეკუთვნის თხზულებები პირველ მსოფლიო ომის შესახებ: ,,მსოფლიო კრიზისი'', ,,აღმოსავლეთის ფრონტი'', ,,შედეგები''. მან ასევე შექმნა თავის ცნობილ წინაპრებზე გამოკვლევა ,,მარლბორო, მისი ცხოვრება და დროება''. საინტერესოა, ასევე, ისტორიულ-მემუარული ჟანრის მასშტაბური ნაწარმოები ,,მეორე მსოფლიო ომი'', რომელიც ნაწილია დიდი ეპოპეისა ,,მოახლოებული ქარიშხალი''. 1956-1958 წლებში გამოიცა ჩერჩილის ოთხტომიანი გამოკვლევა ,,ინგლისურენოვან ხალხთა ისტორია''. მეორე მსოფლიო ომზე ათასობით წიგნი დაწერილა – მეცნიერული, მხატვრული, პუბლიცისტური, მემუარული, მაგრამ მათში თავისი ფუნდამენტურობით გამოირჩევა უინსტონ ჩერჩილის მოგონებანი. ამ წიგნის გამოსვლიდან ათეულობით წელი გავიდა, მაგრამ მან დროის გამოცდას გაუძლო; ამ ომის საკითხებზე მომუშავე ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს იმ წლების მოვლენათა თვითმხილველისა და მონაწილის ფუნდამენტურ ნაშრომს. თავად ავტორი თავის თხზულებას პირველი მსოფლიო ომის ისტორიის გაგრძელებად განიხილავდა. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის მოგონებები გამოირჩევა მასშტაბურობით, შორსმჭვრეტელური ანალიზითა და ისტორიულ შეფასებათა სითამამით. 1953 წელს უინსტონ ჩერჩილს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. ეს პრემია ჩერჩილს მიანიჭეს ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაწარმოებების მაღალი ოსტატობით შესრულებისათვის, აგრეთვე, ბრწყინვალე ორატორული ხელოვნებისათვის. დაჯილდოებისას, სტოკჰოლმში ითქვა: ,,ჩერჩილის პოლიტიკური და ლიტერატურული მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ როგორც კეისარს, ისე ციცერონს''. ოცდაათი წლის შემდეგ, ნობელიანტის თანამემამულე

ჯ. უილიამსონი აღნიშნავდა: ,,ჩერჩილმა ნობელის პრემია მიიღო თავისი ვნებიანი ფილიპიკებისათვის, რაც თავდადებისა და ქედუდრეკელობის ნიმუშებია''. ნობელის პრემიის მინიჭებისას, ჩერჩილი ბერმუდის კუნძულებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდა. მისი სახელით ჯილდო ჩერჩილის მეუღლემ კლემენტინა ჰოზიემ მიიღო.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ჩერჩილის სამიჯნურო წერილები, რომელთა ადრესატი მიურიელ უილსონია, ინგლისის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ასული. წერილებიდან ირკვევა, რომ ჩერჩილს საოცარი გრძნობით უყვარდა მომხიბლავი ქალიშვილი, თუმცა, მან თავაზიანი უარით უპასუხა ვაჟს. აი, სტრიქონები ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი წერილიდან: ,,თქვენ ისე შორს ხართ – როგორც დიდებული, ბრწყინვალე, მაგრამ ვაი, რომ ჩემდამი გულგრილი, მზეზე თვალის მომჭრელად მოკაშკაშე თოვლით დაფარული მწვერვალი''. სხვა ბარათებში ჩერჩილი ევედრება მიურიელს წაიკითხოს რობერ ბერნსის ის სამი ლექსი, რომლებიც ესადაგება მის ფიქრებს, მის სასოწარკვეთას. ერთ ბარათში აღნიშნავს: ,,რასაკვირველია, თქვენ ოდნავადაც არ გიყვარვართ'', მაგრამ იგი მაინც დაბეჯითებით ითხოვდა, არ დაუკარგოს მისი ხილვის მცირეოდენი იმედი. ,,...ო, რომ შეიძლებოდეს ისეთი გასაღების პოვნა, ნება რომ მომცენ თუნდაც წამით შეგავლოთ თვალი... მწამს ჩვენი გულები ერთმანეთს გაუგებენ''. მიურიელის უარიდან ოთხი წლის შემდეგ, ჩერჩილმა იქორწინა კლემენტინა ჰოზიესთან, რომელმაც ღირსეული თანამგზავრობა გაუწია მთელი სიცოცხლის მანძილზე. როგორც ჩანს, კლემენტინასთვის ცნობილი ყოფილა სერ უინსტონის პირველი დიდი სიყვარულის შესახებ. აუქციონზე წარმოდგენილ ერთ-ერთ წერილში, რომელსაც კლემენტინა ლამაზმანის გარდაცვალების შემდეგ მიურიელის ნათესავს უგზავნის, ჩერჩილის მეუღლე აღნიშნავს: ,,...მიურიელი ჩვენი ძველი მეგობარია, მეტადრე უინსტონისა... ვფიქრობ, ყვაწვილკაცობაში უინსტონს ძლიერ უყვარდა იგი''. მიურიელისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში უინსტონი წერს: ,,როგორ მიყვარს თქვენთან ყოფნა, თქვენი ხილვა... უბრალოდ თქვენი სიახლოვე...''' ჩერჩილი ერთადერთი როდი იყო, ვინც ბრწყინვალე ლამაზმანმა მიურიელმა მოაჯადოვა. მის სახელს აკავშირებენ ინგლისის მეფე ედუარდ VII-თან (ჯერ კიდევ უელსის უფლისწულად წოდებულ ედუარდისაგან შვილიც კი შესძენია). მის სახელს ცნობილ პოლარულ მკვლევარ, კაპიტან სკოტთანაც აკავშირებენ... მშვენიერი მიურიელი 29 წლის ასაკში გაიცნო და შეიყვარა ჩერჩილმა. ქალი ცხოვრობდა ჰალეში მამის სასახლეში, გამოდიოდა ლონდონის მოყვარულთა სპექტაკლებში, I მსოფლიო ომის დროს ჯარში იმყოფებოდა როგორც მოწყალების და, 1916 წელს ცოლად გაჰყვა მაიორ მაიკლ უორდს, მაგრამ ქორწინება უიღბლო გამოდგა. მეუღლეზე 9 წლით უმცროს მაიორს ავტომობილებით სრბოლა უფრო ხიბლავდა, ვიდრე ლამაზი ცოლი. მაიკლ უორდი 1932 წელს დაიღუპა

საავტომობილო კატასტროფაში. მიურიელი აღარ გათხოვილა, ხოლო ჩერჩილთან მას ურთიერთობა ჰქონდა მანამ, სანამ ორივემ 80 წელს არ გადააბიჯა. ჩერჩილი ქალს ბარათებს II მსოფლიო ომის შემდეგაც სწერდა. თვით ის ფაქტი, რომ ლამაზმანი ამ წერილებს გარდაცვალებამდე (1964 წლამდე) ინახავდა, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი გულცივი არ იყო ჩერჩილის სიყვარულისადმი.*

1955 წელს ჩერჩილი დიდ პოლიტიკას გაეცალა და მშვიდად გაატარა 10 წელიწადი. ლეგენდარული პიროვნება 90 წლის ასაკში – 1965 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა, დაკრძალულია ოქსფორდშირის საგრაფოს ბლეიდონის პატარა სასაფლაოზე. მისი გარდაცვალება ბრიტანეთის ისტორიის მთელი ეპოქის დასასრულის ნიშანსვეტი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სვანაძე ლ., უინსტონ ჩერჩილი, პოლიტიკური ბიოგრაფია, წიგნი I, ქუთაისი, 2006.
2. Churchill, W.S. My early life, USA, 1958.
3. Churchill, R. The young Churchill, London, 1972.
4. Great Conservatives, edited by Conservative Political Center. L., 1953.

* უინსტონ ჩერჩილის წერილები 76 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. უაღრესად პირადი ხასიათის შვიდი ბარათი შეიძინა მაიკლ ფორბს უმცროსმა, ამერიკის უდიდესი საგამომცემლო გაერთიანების მეთაურმა, რომელიც იყო საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალის ,,ფორბს მეგეზინ''-ის გამომცემელი.

✍ ბადრი ცხადაძე

ორი ქართული გვარ-სახელის ,,გასიტა" და ,,გასიტაშვილ"-ის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის

შესავლის მაგიერ

დღეს საქართველოში, ქართველოლოგიური კვლევების თვალსაზრისით, სავალალო მდგომარეობაა: დეკულტურიზაციის პირობებში შეილახა სამეცნიერო დარგები, პროფესიონალიზმი, მეცნიერული ღირსება – ხშირად, როგორც რიგით მკითხველს, მეცნიერული აზროვნების ნაცვლად საუცხოო დიზაინურ დონეზე გამოქვეყნებული ცრუმეცნიერული და დილეტანტური ნაშრომების წაკითხვა გვიწევს.

ცენზურის მოშლის შემდეგ, პოსტსაბჭოურ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში, გავრცელდა უსამანო ენათმეცნიერული კვლევა-ძიებანი. ეტყობა, ყველა ჯურის მეცნიერებაზე ამბიციების მქონე პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი ამ დროს ელოდა. და, აჰა, გაივსო წიგნის ბაზარი ათასგვარი ნახევრადმაკულატურითა და მაკულატურით – ვულგარული ინტერპრეტაციებით, ცრუაღმოჩენებით, ცრუმიგნებებით.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ერის წარმოშობის თეორიები, ჩვენ წინაშეა ქართული ანბანის წარმოშობის არაორდინალურად კვლევის მრავალგვარი დილეტანტური გააზრება, გვარ-სახელების ,,არაჩვეულებრივად ნაყოფიერი" კვლევის შედეგები კი განსაცვიფრებელია. ქართველები ხომ იკვლევენ და აგნებენ სამყაროს ღერძსაც, ნოეს კიდობანსაც, ძველ კოლხურ დამწერლობასა და ფესკოს დისკის გაშიფვრასაც ,,ახერხებენ", სამი ათას (მეგრულ) გვარსაც და შუმერულ-რაჭულ, შუმერულ-სვანურ შესატყვისობებსაც... თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში მცხოვრები მცირე ერების წარმომადგენლებიც წარმატებით გვბაძავენ და გრძელდება პოსტპერესტროიკული ვაი-ჭკუისაგან.

რატომღაც შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ენათმეცნიერული-ეტიმოლოგიური კვლევა მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობით შეიძლება. არადა ასეთ მეცნიერულ კვლევას საფუძვლად თავისი მეცნიერული მეთოდი და მრავალი ათეული წლის მეცნიერული წვრთნა უდევს.

თანამედროვე კვლევა-ძიებანი გვარ-სახელთა კუთხით განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა. ჩანს, აქ უფრო ეიოლებათ ,,ამომწურავი" ფანტაზიების გამოვლენა. არადა სწორედ გვარის წარმოქმნა და წარმოშობა არის ურთულესი პროცესი, თანაბრად რომ იერთებს ისტორიულსა და სო-

ციალურ-პოლიტიკურ და ლინგვისტურ მხარეს. განსაკუთრებით ჩვენს თავად-აზნაურობას უყვარდა კეკლუცობა ადამამდელი წინაპრებით და ვრცელ-დებოდა ვერსიები, ამბები, ანეკდოტები. მსგავს ამბებს, რომლებიც მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ეფუძნება და ცრუქაქუნობის ნიმუშებია, მრავლად შეხვდებით ადრეულ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.

გვარი ერის სიმდიდრეა და მისი სოციალურ-პოლიტიკური, სოციოკულ-ტურული და ინტელექტუალური დონის მაჩვენებელი. ადამიანთა გვარ-სა-ხელებში კოდირებულია ტაბუ, მითი თუ ახლო წარსული... გვარში იშიფრება ყველაზე დიდი ღირსებები და დიდი დამარცხებები; სახელი და გვარი მაგიურ წარმონაქმნადაც მიაჩნიათ ზოგი დარგის პროფესიონალთ.

გვარისა და მეტსახელის პირველსაწყისი კულტურის პირველსაწყისებია; რაც უფრო მეტია გვარი, მით აღმატებულია ერი და ნაცია. რაოდენ სამწუ-ხაროა, რომ ,,უცენზურობა" ლამის თავშისაცემად გაგვხდომია, რადგან სწო-რედ ამ შემოქმედებითი თავისუფლების ჟამს ენათმეცნიერებს (ქართველო-ლოგებს) საანეკდოტოდ გვექცა ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ძიების საქმე: ყველა ენათმეცნიერობს, დიალექტოლოგობს, ლექსიკოგრაფობს, ლექსიკოლო-გობს, ანბანთმცოდნეობს, ეტიმოლოგობს (ეტიმოლოგისტობს), ტოპონიმის-ტობს, განმკითხავი კი არავინაა. მეცნიერული ,,უცენზურობანი" წალეკვით ემუქრება ოდესღაც პროფესიონალობით და მაღალი კვლევის კულტურით გამორჩეულ ქართულ ჰუმანიტარულ სამეცნიერო საზოგადოებას.

თუ როგორ ძნელია გვარის ფუძისა და გვარ-სახელის ისტორიის დადგენა, ამაზე ჩვენ მიერ შესწავლილი გვარ-სახელების **გასიტა** და **გასიტაშვილის** და წარმომავლობა და ურთიერთმიმართებაც მეტყველებს.

შენიშვნა 1: გამოკვლევა ცალკეული გვარის შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად დაწერილა, ვფიქრობთ, თითოეული გვარ-სახელი სწორედ ასეთი ზედმიწევნობით უნდა იქნას გამოკვლეული, როგორსაც ახლა, წინამდებარე სტატიაში გთავაზობთ. ქართული გვარ-სახელები და ქართველები, ჩვენი ისტორია.... ასეთ მიდგომასა და ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

შენიშვნა 2: გვარებთან დაკავშირებით ცნობილი ეთნოგრაფი ლ. ფრუიძე წერს: ,,ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენთან ჭეშმარიტი ქართული გვარი კეთილშობილურია.... რაც უფრო ღრმად შევისწავლით ქარ-თულ გვარებს, მით უფრო ნათელი გახდება თითოეულის კეთილშობილება, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურება... თითოეულმა გვარმა თუ საკუთარი ისტორია არ შეისწავლა, მეცნიერები ამ უზარმაზარ სამუშაოს ვერ მოერევიან.... ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა უნდა იცოდეს ,,ვისი გორი-საა", სადაა მისი ადგილის დედა და ზედაშე, თუ გაწყვეტილ კავშირებს ვეღარ აღვადგენთ, თვითშემეცნებაში მაინც უნდა იგრძნოს წინაპართა საფლავების მადლი და საკრალური ძალა, ამ საფლავების წინაშე წელიწადში ერთხელ მა-ინც მოიყაროს მუხლი და წმინდა სანთელი დაანთოს" [1, 225-229].

ჩვენ პატივცემულ მკვლევარს ზოგადად ვეთანხმებით და ვიზიარებთ მის პათოსს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ისეთი დილეტანტური გამოკვლევებისა და ცრუმეცნიერული ეტიმოლოგიური ახსნების წახალისებისა და მოწოდე-ბისაკენ, რასაც ზოგიერთი მკვლევარი თუ მკვლევრობის მოყვარული ისედაც

გვთავაზობს (ცრუ, ანტიმეცნიერულ ახსნას მეცნიერულად ასაღებს). მაგალითად, ***ზარნაძეთა*** გვარის წარმოშობა **ბუ** ფრინველის აღმნიშვნელი ფუძესიტყვისაგან (**ზარნაძე** <– **ზარნაშო** ,,ბუს ერთ-ერთი სახობა'', მაგრამ რა ფუნქცია აკისრია და რას ნიშნავს **ზარნაშო**-ში -**აშო** ორმარცვლიანი დაბოლოება, არაფერს ამბობენ. ასეთი ახსნა კი ცრუა, ვულგარული, არამეცნიერული, დილეტანტური. ლ. ფრუიძისეული მოწოდება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამა თუ იმ გვარის შესახებ ყველას შეუძლია წერა. ამის ნიმუშები უთვალავია და, სამწუხაროდ, მათ კრიტიკას ტომებიც და ათეული წლები არ ეყოფა. თუ ვერ დავადგენთ გვარის ფუძეს, თუ არ გვექნება საამისო ლინგვისტურ-წყაროთმცოდნეობითი მონაცემი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არ ვართ ლინგვისტიკასა და ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ პროცედურებში გაწაფული.... ზოგიერთი მოყვარული მკვლევრისმიერი ის ლაფსუსი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არაერთი იქნება [2].

შენიშვნა 3: ზოგჯერ პიროვნების გვარი და სახელიც გადაუკეთებიათ, სურვილისამებრ ან სხვადასხვაგვარი მოტივით. გამონაკლის შემთხვევაში ეს მართლაც შესაძლებელია (მაგ., ქართული თეატრის ცნობილი რეჟისორის სანდრო ახმეტელის პირვანდელი გვარ-სახელი ***ახმეტელაშვილი***ა...), მაგრამ ასეთ შემთხვევას საყოველთაო ხასიათი არ უნდა მიეცეს.

შენიშვნა 4: აქვე შეიძლება დავსვათ არა მხოლოდ რიტორიკული კითხვა: ნუთუ <u>სახელმწიფოს მიერ გვარის გაყიდვაც შეიძლება</u>? სამწუხაროდ, წინამოწვევის პარლამეტში იყო ასეთი პრეცენდენტი: ზოგ პარლამენტარს (გ. ბოკერია...) და სახელმწიფო მოხელეს (კახა ბენდუქიძე...) ქართული გვარის გაყიდვაც კი უნდოდათ. მაგალითად, მათ მიერ დასახელებულ გვართაგან ყველაზე ,,იაფფასიანად'' და ,,საცოდავ – შესაბრალისად'' ქართული გვარ-სახელი **,,დადიანი''** გამოიყურებოდა – ხუთი ათასი ამერიკული დოლარი ეღირებოდა. როგორი წარმოსადგენია, როდესაც ამ გვარს აქ ჩამობრძანებული გადამთიელი – ჩინელი ან ინდოელი, აფრიკელი თუ ევროპელი მიიღებდა? ამის განხორციელება ხომ ჩვენი ისტორიისა და კულტურის, ქართული გვარ-სახელების მიმართ დასამარების მცდელობა, დანაშაული (და არა გამოუსწორებელი შეცდომა) იქნებოდა?!

გვარის წარმოშობა ადრე- და კლასიკური ფეოდალური ხანიდან მომდინარეობს. ფეოდალიზმის დროს სულ სხვა იყო გვარის წარმოშობის მიზეზები (მაგალითად, სპეციალისტები ამაოდ ვეძებთ შოთა რუსთაველის ნამდვილი გვარის მონახვა-დადგენას), გვართა დეფინიცია-განსაზღვრა, სულ სხვაგვარია – ამჟამად.

გვარი ისტორიული მოვლენაა, გვარი ფენომენია. თავისი გვარი ყველას ეამაყება, რადგან მასში ბევრი რამ არის ჩაყურსული, ისტორიული, ყოფითი, ცხოვრებისეული, იჩქითი. თუმცა, სამწუხაროდ, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთისთვის გვარი ძალით (ზეწოლით) გადაუკეთებიათ – მავანს ძალა დაუტანებია, ზოგსაც სხვისი რჩევით შეუცვლია, თუმცა მერე უნანია. გვარის გადაკეთებაში ხელშეწყობა უმეტეს შემთხვევაში დანაშაულის ტოლფასია – ეს ისტორიის ანალებში ხელის ფათურია, ისტორიის დამახინჯებაა.

რატომღაც ავიწყდებათ, რომ გვარი იმავდროულად სოციალური (სოციო-ლინგვისტური) მოვლენაცაა.

შენიშვნა 5: ერთხელ, XX საუკუნის 70-იან წლებში ცნობილმა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა, თბილისში, საიუბილეო სუფრასთან (ჩვენი საერთო პრო-ფესორის იუბილეზე, მისსავე ბინაში) ერთ-ერთი სადღეგრძელოს თქმისას ასეთი რამ დააყოლა: თუ გვარი ვინმეს ცუდი აქვს, უნდა გადაიკეთოს, აბა, რაო!. ერთ კარგ, მშვენიერ გოგონას ვიცნობ, გვარად **ქაჩლიშვილს,** ქაჩალი, მოგეხსენებათ, უთმოს, მელოტიანს ნიშნავს, რა დააშავა ამ გოგონამ თუ გვარში წინაპრად ვინმე ქაჩლიანი ჰყავდა, თვითონ რა შუაშიაო?!.

შენიშვნა 6: მეორე ფაქტსაც ,,ვაუბნებთ" (როგორც დიდი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე იტყოდა):

თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანის, პროფ. დავით გამეზარდაშვილის ნასტუდენტარი, ერთხანს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ირინა ღვინერია იხსენებს: ,,ჩვენთან სწავლობდა ერთი მშვენიერი გოგონა, მაგრამ ჰქონდა ცუდი ჟღერადობის გვარი. დათიკომ (დე-კანმა, პროფ. დავით გამეზარდაშვილმა ბ. ცხ.) დაიბარა – გვარი იქნებ გამოიც-ვალოო, გათხოვება ჯერ არ გინდა, დედის გვარზე გადადიო. გოგონა უარზე იყო – მე კი მინდოდაო, მაგრამ მამას ეწყინა, ნება არ დამრთოო. დათიკომ მოკ-ლედ მოუჭრა – გადაეცი მამაშენს, რომ ამ გვარზე გაცემულ დიპლომს მე ხელს არ მოვაწერო. რით დამთავრდა ეს ამბავი, მე არ ვიცი, მაგრამ დათიკო ამაშიც დიდი ესთეტი იყო" [3, 351].

PS. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ასეთი გამონაკლისები არსებობს და გვქონია კიდეც არაქართულ სინამდვილეშიც. მაგალითად, ცნობილმა ფრანგმა მსახი-ობმა **ჟან მარემ,** რომლის ნამდვილი გვარი **ჟან მარე ვილენი** იყო (ვილენი = მურტალი"), მისთვის უსიამო ნაწილი საკუთარ გვარს ჩამოაშორა: **ჟან მარე ვილენი** –> **ჟან მარე** გახდა.

* * *

გვარი სპეციალურ ლიტერატურაში წარმოშობით სპარსულ სიტყვად არის მიჩნეული. ძველ სომხურში იგი **გოვარ** ფორმით არის შემონახული. გვარის, გვარ-სახელის გამოკვლევა ფრიად მაცდური საქმეა. ვინმეს შეიძლება, რომე-ლიმე გვარ-სახელი, მაგალითად, ცხადაძე (ცხადიაშვილი, ცხადაია, მცხვე-დიაშვილი, ცხვედიანი, ცხადაბერიძე) **ცხად** სიტყვას დაუკავშიროს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით – გარეგნულად მსგავსი **ცხად** ფუძე არაფერ შუაშია ამ გვარ-სახელებთან.

შენიშვნა 7: რამდენიმე წლის წინ თბილისში უცხოეთში მცხოვრები ქართველი გავიცანი, ჰოლანდიაში მცხოვრები (ოცდახუთ წელზე მეტია, რაც იქ ცხოვრობს) მხატვარი და პოეტი ზურაბ კალანდაძე (გვარ-სახელით, წარმოშო-ბით, კალანდაძეთა იმერული შტოს წარმომადგენელი), რომელმაც ასეთი რამ გვიამბო: ერთხელ მას ჰოლანდიაში საკუთარი გამოფენა მოუწყვია და რეკვი-ზიტები, აფიშა და ა. შ. **-ძე** დაბოლოების გარეშე დაუბეჭდავს (**კალანდაძე–> კალანდა**!). ამის შემდეგ თურმე მასთან სატელეფონო ზარები... არ წყდებოდა –

ვინ იყო, საიდან, სადაური, ესპანელი თუ.... აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ესპანეთში 1500-ზე მეტი კალანდა ამ გვარ-სახელს ატარებს [4, 139]. როგორც ადრინდელ წერილში ვწერდით, საფიქრებელია, **კალანდაძე და კალანდა** – ჩვენშიც და ევროპაშიც იანვარში ან პირველ იანვარს დაბადებულთ შერქმეოდათ და შემდეგ კი დროთა განმავლობაში გვარ-სახელებად ქცეულიყო [4, 140], (შდრ. ქართული ანთროპონიმი **იანვარა,** აქედან გვარ-სახელი **იანვარაშვილი).** ამ შემთხვევაში, მართალია, ორივე გვარის ფუძე (ესპანური და ქართული) ერთმანეთს დაემთხვა (**კალანდა** წარმოშობით ლათინური სიტყვაა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ორ გვარ-სახელს არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, გარდა ამ ლათინური ფუძისა.

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ,,**გასიტა**" და ,,**გასიტაშვილ**" გვარ-სახელთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით? სადაურია ამ გვარ-სახელთა ფუძე **გასიტა** – საკუთრივ ქართული, საკუთრივ ევროპული თუ საერთო – ევროპულ-ქართული?

ისტორიული წყაროებით დადგინდა, რომ გვარ-სახელი **გასიტა** ძველ საქართველოში გავრცელებული გვარის ერთ-ერთი ფორმა იყო, იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გვარ-სახელ **გასიტაშვილს**:

გასიტა – სოფელ აბანოს მცხოვრები, მისი მამული იხსენიება ზემოქართლის კომლთა ნუსხაში (XVII ს. დამდეგი, ქ. დ.-7017);

გასიტა – კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახევარი, 1448-5032 ჭწ.);

გასიტა – თვალთაუბანში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს იგი თავისი მამულით ერგო პაპუნას (1668-1703 ჭწ);

ამ შემთხვევაში **გასიტა** გვარ-სახელია და არა ოდენ პიროვნების სახელი, თუმცა ამ უკანასკნელისაგან წარმოშობილი.

გასიტაშვილი ბერი – გვეძინეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს იგი ერგო ედიშერს თავისი მამულით (1688-1703 ჭწ. hd-1636):

გასიტაშვილი მახარა – გოსტიბეს მცხოვრები. იხსენიება წიდის ბარათში (XVII ს. hd-13303);)

გასიტაშვილი შემახა – გოსტიბეს მცხოვრები. იგი თავისი ქონებითურთ წილად ხვდა მოურავსა და ზურაბ სააკაძეს მახარას ნაცვლად (XVII ს. II ნახევარი. hd-11922);

ამრიგად, გვარსახელი **გასიტა** და **გასიტაშვილი** ლოკალურად ქართლური გვარია (ზემოქართლი, კასპის რაიონი...).

ამრიგად, ქართულ საისტორიო წყაროებში გვარ-სახელი **გასიტა** და **გასიტაშვილი** არცთუ იშვიათია. იგი საკუთრივ ქართული გვარია, მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან (**გასიტა**). სათავეს იღებს ვარძიელაშვილების გვარ-სახელისაგან. მაგალითად, ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტი ასეთ სანდო მასალას გვაწვდის: „ვარ ვარძიელასშვილი, იგივე გასიტასშვილი გიორგი, მყავს მამა გასიტა, ძმები ზაქარია, ხოსიტა" (1690 წ.).

აქ, ამ ისტორიულ საბუთში საინტერესო ისაა, რომ ვარძიელასშვილი იგივე გასიტაშვილია, რომლის გვარის მქონე პიროვნების მამას გასიტა ჰქვია. მას

(გიორგი გასიტაშვილს ანუ ვარძიელასშვილს) ჰყავს ძმები: ზაქარია და ხოსიტა). ეს დოკუმენტი იმასაც ათვალსაჩინოებს, რომ არ გვარის ფუძეში (**გასიტა)** - **იტა** მართლაც კნინობითი სუფიქსია, შდრ, იქვე **ხოსიტა**.

ამავე საუკუნის და წლის (1690 წ.) ისტორიულ დოკუმენთში, საინტერესო ისაა, რომ მხოლოდ ძველი გვარ-სახელი **ვარძიელასშვილი** დომინირებს:

„დათუნა ვარძიელასშვილმა მიჰყიდა შოშიტა მიქელასშვილს ნაახოები მიწა გოჩა იჩითიძის, ბერიკა იაველასშვილის და **სავარძელოსშვილის მიწებამდე“** (1690 წელი).

აქვე თვალშისაცემია ვარძიელაშვილთა ადგილსაცხოვრისის აღმნიშვნელი ტოპონიმი ,,სავარძელოსშვილო მიწები“. როგორც ჩანს, ვარძიელაშვილი უფრო ძველი გვარია, რომლისგანაც წარმოდგა შტო-გვარი გასიტაშვილი (ეპონიმ გასიტას გამო).

ამრიგად, ვარძიელასშვილი –> ვარძიელაშვილი –> ვარძელაშვილი, აქედან (ვარძიელასშვილი გასიტა): –> გასიტასშვილი –> გასიტაშვილი.

დღეს საქართველოში 497 ვარძიელაშვილი ცხოვრობს: ქარელში – 226, თბილისში – 157, გორში – 77, ხაშურში – 2. თითო-ოროლანი არიან სხვაგანაც [5].

თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ იმასაც, **გასიტაშვილის** გვიანდელი წარმონაქმნი შტოგვარია ***ვარძელაშვილი*** [6, 417] (ჩვენი აზრით, რამდენად მართალია ყოველივე ეს, დამატებითი წყაროებისა და საბუთების მოძიების გარეშე, ძნელი სათქმელია. ჩვენ პირიქით გვგონია – პირადად პირველ ვერსიას ვუჭერთ მხარს. ვარძიელაშვილი უფრო ძველია, თავის მხრივ გვარ-სახელის ფუძე კი **ვარძიელა** კნინობითსუფიქსიან ეპონიმს აღგვადგენინებს).

მაშ, გამოიკვეთა ორი პარალელური, გვერდიგვერდ არსებული გვარ-სახელი **გასიტა** და **გასიტაშვილი,** მეორეს პირველი ქრონოლოგიურად აშკარად წინ უსწრებს (-**შვილ** სუფიქსოიდით ნაწარმოები გვარები საქართველოში ისტორიულად გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე უსუფიქსოიდო და **ძე**-თი დაბოლოებულები. ამრიგად, **გასიტა –> გასიტაშვილი**. სამწუხაროდ, გვარ-სახელი *გასიტაძე ან *გასიტაიასძე ან *გასიტაიშვილი არ გვხვდება, თუმცა ისტორიულად **გასიტაშვილი <– გასიტას შვილს** // **გასიტაის შვილ** არქაულ ფორმას გულისხმობს.

შენიშვნა 8: ეს გვარი (გასიტაშვილი) არ ასახულა ცნობილი ქართველი მკვლევარ-გვაროლოგის ი. მაისურაძის წიგნში ,,ქართული გვარ-სახელები’’ [7].

გასიტაშვილ და მის მსგავს გვარ-სახელებში -**იტა** რომ კნინობით-ალერსობითი სუფიქსია (წარმომდგარი ადამიანის საკუთარი სახელებისა ან მეტსახელებისაგან), ცხადყოფს ისეთი მსგავსი, ანალოგიურად ნაწარმოები გვარები, როგორიცაა:

ა) -**შვილ** სუფიქსოიდიანი გვარ-სახელების ერთი ჯგუფი:

ახავატიშვილი [7, 24]’

ბერიტაშვილი, შდრ. ბერო, ბერუა, ბერა, ბერიტა;

ბეჟიტაშვილი, შდრ. ბეჟან, ბეჟუა, ბეჟიტა;

გაბიტაშვილი, შდრ. გაბო, გაბიტა;

გელიტაშვილი, შდრ. გელა, გელაძე, მგელიტა;

გუზიტაშვილი [7, 50], შდრ. გუზიტა;

გულიტაშვილი, შდრ. გულუა, გულიტა;

გოჩიტაშვილი, შდრ. გოჩა, გოჩაშვილი;

ეგიტაშვილი (//<– ეგეტაშვილი), შდრ. ეგი, ეგაძე, ეგუტიძე, ეგუტია,

ეპიტაშვილი, სავარაუდო საკუთარი სახელი ეპიტა;

ესიტაშვილი, შდრ. ესაია, ესიტა;

ზუბიტაშვილი, შდრ. ზუბია, ზუბა, ზუბიტა; გვარები: ზუბაშვილი, ზუბიაშვილი.

ლომიტაშვილი, შდრ. ლომა, ლომია, ლომიტა;

მაზიტაშვილი:** ეს გვარ-სახელი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი სახელური ფუძე **მაზიტა** ისტორიულ წყაროებში ანთროპონიმად ცნობილია. მაგალითად, **მაზიტა *ტაბიძე – ცნობილი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი წინაპარი იყო [8, 278]. შდრ. გვარ-სახელები **მაზიაშვილი // მაზნიაშვილი.**

მსგავსი **-იტ** კნინობით-საალერსო სუფიქსიანი გვარ-სახელები, როგორც **-შვილ**, ისე **-ძე** სუფიქსოიდიანები, არაიშვიათია, რომლებიც მამაკაცის საკუთარი სახელებისაგან (ან მეტსახელებისაგან) მომდინარეობს. ასეთია:

ნანიტაშვილი, შდრ. საკ. სახ. ნანიტა; გვარ-სახელები: ნანუა, ნანუაშვილი;

ოსიტაშვილი, შდრ. ოსა, ოსია, ოსიტა, გვარსახელი: ოსაძე;

რობიტაშვილი, სავარაუდო საკუთარი სახელი რობიტა;

რუსიტაშვილი, შდრ. რუსა, რუსია, რუსეიშვილი, რუსიტა;

სუხიტაშვილი, საკ. სახ. სუხიტა, სუხია, სუხო. შდრ. სუხიშვილი, სუხიაშვილი; **ყურშიტაშვილი –> // ყუშიტაშვილი,** შდრ. მეტსახელი ***ყურჭიტა*** („ცალი ყურით განსხვავებული")

შოშიტაიშვილი, შდრ. შოშია, შოშიტა; გვარ-სახელი: შოშიაშვილი;

ჭირიტაშვილი (საინგილო). საკუთარი სახელი **ჭირ-იტა.**

ჭიღიტაშვილი (სიღნაღში) შდრ. საკუთარი სახელი **ჭიღლა, ჭიღლაძე** [7];

ჯიმშიტაშვილი, შდრ. ჯიმშერ, ჯიმშიტა;

ხარიტაშვილი, შდრ. ხარი, ხარა [7, 227];

ხასიდაშვილი, შდრ. სავარაუდო საკუთარი სახელი ხასიდა //ხასიტა [7], გვარ-სახელი ხასაია;

ხოსიტაშვილი, შდრ. ხოსე, ხოსია, ხოსიტა [7, 233], გვარ-სახელი ხოზაშვილი;

ჯიმშიტაშვილი, შდრ. ჯიმშერ, ჯიმშიტა (თიანეთის რ.), გვარსახელი: ჯიმშელიძე;

ჯიღიტაშვილი, შდრ. სავარაუდო საკუთარი სახელი ჯიღა, ჯიღიტა [7], გვარ-სახელი ჯიღაური;

ბ) **კაკიტაძე,** საკ. სახ. კაკიტა, შდრ. კაკო, კაკუტა, ყაყიტა, ყაყიტაშვილი;

კაციტაძე, შდრ. კაცია, კაციტა, კაცა; გვარ-სახელები: კაცია, კაცაძე, კაციაშვილი;

შუბითიძე (<– შუბიტიძე <– შუბითისძე), შდრ. შუბიტა // შუბითა;

მაჩიტაძე // მაჩიტიძე, შდრ. მაჩიტა, მაჩაიძე; *მაჩვა?

გოგიტიძე, შდრ. საკ. სახ. გოგიტა; შდრ. გოგოტიშვილი, გოგატიშვილი; **გასიტაშვილი** რომ საკუთრივ ქართულ-ქართველური გვარ-სახელია, მოწმობს ამავე ფუძიდან ნაწარმოები ისეთი ქართული გვარები, როგორიცაა: **გასაშვილი, გასიშვილი, გასვიანი, გასვლიანი, გასრიანიძე** (ეს გვარები დასახებული აქვს ი. გაგულაშვილს) [8], თუმცა ამ ორი გვარ-სახელის დაკავშირება **გას(ვ)** ფუძესთან შეიძლება პრობლემატური იყოს. შდრ. სვანური საკუთარი სახელი: **გასავ** (აქედან: გასვიანი). ასეა თუ ისე, **გას(ვ)** ფუძე ჩვენ წარმოშობით საკუთრივ ქართველურ-კავკასიური საერთო ძირი (ანთროპონიმი) გვგონია. ეს რომ ასეა, ჩანს ალ. ღლონტის ,,ქართველურ საკუთარ სახელებში'' ფიქსირებული კოლხეთში (სოფ. თეკლათი) **გასი** საკუთარი სახელის არსებობითაც [10, 99].

აქვე ჩნდება კითხვა: ხომ არაა ისტორიულად **გას** საკუთარი სახელი **გარს (<– გარსევან, გარსო)** საკუთარი სახელის შემოკლებული ვარიანტი? ეს დამატებით წყაროთმოცოდნეობით მასალას და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

შენიშვნა 9: გვარის, გვარ-სახელთა კვლევა ზოგჯერ იმდენად რთულია ხოლო მისი ძირი და ფუძე ძნელად დასადგენი, რომ ნებისმიერი ეტიმოლოგიური მცდელობა და მკვლევრისეული სპეციალური ძიებაც კი უძლური და უშედეგოა. მაგალითად, სამტრედიის რაიონში სტუ-ს პროფ. ე. გვენეტაძის მიერ საეკლესიო საბუთებში მიკვლეული გვარ-სახელი **ბუში** სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას უშუალო ნათესაური კავშირი ჰქონდეს ან პარალელის გავლება შეგვეძლოს აშშ-ის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის** გვართან, გარდა შემთხვევითი, მასალობრივი და გარეგნული იერისა. საფიქრებელია, ქართული გვარ-სახელი **ბუში** წარმოშობით მეტსახელი იყოს და ნიშნავდეს: 1) უკანონოს, ნაბუშარს, ნაბიჭვარს (შდრ. ერთ-ერთი გვარ-სახელი **ნაბიჭვრიშვილი**), 2) ,,მოდუნებულს, გაშეშებულს'' (მაგ., როგორც ჩვენმა კოლეგამ ნ. ჭოხონელიძემ გამოიკვლია) [11], მით უფრო, რომ ძველი ქართულის სამწერლო ძეგლებში ,,მოდუნების'', ,,გაშეშების'' შინაარსით იხმარებოდა **ბუშ**-ფუძიანი სიტყვები. მაგ., ,,მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და **დაბუშებული** ტირილითა (შუშ); 2) თან. სალიტ. ქართულში ძირითადად დასტურდება ამ ფუძის **ბუჟ-, ბრუჟ-, ბრუშ**- ფონეტიკური ვარიანტები: დაბუჟებული, დაბრუჟებული, დაბრუშებული.... 3) **ბრუშ**-, **ბრუჟ**-ფუძიანი ლექსიკური ერთეულები გადატანითად გვხვდება ,,შეღვინების'', ,,გამოთრობის'' შინაარსითაც [11, 48]. როგორც ჩანს, მიუხედავად ქართველ მკვლევართა ისტორიულ-ეტიმოლოგიური და ლინგვისტური ძიებისა, **ბუშ** ქართული გვარ-სახელის წარმომავლობის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. როგორც მასალად, სწორედ, აქ, გვეხმარება ხალხში დღემდე არსებული ამა თუ იმ გვართან დაკავშირებული ის ცნობები (რაზეც ზემოდამოწმებულ ,,მიმართვაში'' ეთნოგრაფი ლ. ფრუიძე ლაპარაკობდა), რაც სათანადო გვართან დაკავშირებით არსებობს (თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მისი გამოყენება არასპეციალისტის მიერ ვულგარულ და ცრუმეცნიერულ და არასასურველ შედეგს მოგცემს. **შეიძლება დავასკვნათ**: ქართული გვარ-სახელები **გასიტა** და **გასიტაშვილი** წარმოშობით საკუთრივ ქართული გვარ-სახელებია (მომდინარე ადამიანის კნინობითსუფიქსიანი **-იტა (გას+იტა)** საკუთარი სახელისაგან), რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო უცხოურ-ევროპულ **gasita** გვარ-სახელთან [12]. ასეთი მასობრივად იდენტური და

პარალელური გვარ-სახელების არსებობა ქართულ-ევროპულ-თურქულ-არაბულ-სპარსულ ანთროპონიმურ და გვარსახელურ არეალში ასობითაა (ქართ. **ბუშ**-ი – ინგლ.-ამერიკ. **bush**; ებრ. **აბრაჰამ** –> ქართ. **აბრამიძე, აბრამიშვილი, აბრამალაძე, აბრა[მა]ლავა, აბრამია** – სომხ. **აბრამიანი,** რუს. **აბრამოვი,** ევროპული – **აბრამსონი // აბრამსი**; ქართ. **სვირავა** – რუს.-ებრ. **სვირი,** ჰიდრონიმი **სვირი** (მდინარის სახელი, რომელიც მოსკოვს ორ ნაწილად ყოფს), ტოპონიმები: **სვირი** (სოფლები ახალციხისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში; **სვირევანი // სურევანი** თურქეთში (ტაო-კლარჯეთში); ქართ. **ბადრიძე, ბადრიაშვილი** – არაბ. {ახმად} **ბადრი** [ახალგაზრდა ფეხბურთელია, თამაშობს ინგლისის საფეხბურთო კლუბ ,,ჩელსიში'']), ქართ. **ხოჯევანი // ხოჯევანიშვილი** – სპარს. **ხოჯევან,** ქართ. **შამილაძე, შამილიშვილი** – რუს.-აზერბ. **შამილოვი,** ქართ. **ასანიძე, ასანიშვილი** – თურქ. **ჰასანოღლუ,** აზერბ. **გასანოვი),** თუმცა მათი თავდაპირველი ეპონიმიდან (საერთო გვარის წინაპრიდან) მომდინარეობა არ იგულისხმება და არც ივარაუდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს საერთო ბერძნულ-რომაული ან ებრაულ-არაბულ-თურქულ-სპარსული... ფუძე შეიძლება ჰქონდეს.

BADRI TSKHADADZE

FOR THE ORIGIN AND RELATIONSHIPS OF TWO GEORGIAN NAMES - "GASITA" AND "GASITASHVILI

Summary

Names and surnames “Gasita” and “Gasitashvili” are of Georgian origin (although in some cases, the suffix – “ita” is add to the name, in order to turn the name into diminutive form). Such form of the names or last names has nothing in common with the foreign-European names **Gasita.** The existence of a mass identity and parallels can be found in Georgian-European-Turkish-Arabic-Persian anthroponims and in the fields of names and surnames (Geo. Bush. En.-Am. Bush, Je. Abraham – Geo. Abramidze, Abramishvili, Abramadze, Abra(ma)va, Abramia – Arm. Abramian, Rus. Abramov, Eu. – Abramson // Abrams; Geo. Svirava – Rus. Eu. Svir, the hydronym Svir (is the name of the river which divides Moscow into two parts), toponyms : Svir (the village in the municipality of Akhaltsikhe and Zestafoni); Svirevani // Surevani Turkey (Tao-Klarjeti), Geo. Badridze, Badrishvili – Arab. (Ahmad) Badri (a young Arab footballer plays in the English football club "Chelsea"), Geo. Khodjevanishvili – Pers. Khodjevan, Geo. Shamiladze, Shamilishvili – Aze. Shamilov, Geo. Asanidze, Asanishvili – Tur. Asanogly, Aze. Hasanov, despite the fact that in some cases, there might be common Greek and Roman roots, they do not have and what’s more there even do not exist any common eponym (ancestor).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ზ. იაშვილი**, როგორ, როდის და საიდან წარმოიშვა გვარები: სალიტერატურო სამეცნიერო ჟურნალი ,,პარალელი'', 2012, №4.
2. **ბ. ცხადაძე**, ***ზარნაძეთა*** გვარის თავგადასავალი (მონოგრაფია), [PDF] union.zarnadze. com.pdf/union.zarnadze.comhistiry.pdf
3. **ი. ხაინდრავა**, ნახევარი საუკუნე თეთრ ტაძარში (შტრიხები ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მატიანისათვის), ***დ. ტყებუჩავას*** რედაქციით, ,,უნივერსალი'', თბ., 2005.
4. **ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე**, წელი, წელიწადის დროები და ჩიჩილაკის ეტიმოლოგია. ჟ. ,,ხელისუფლება და საზოგადოება (თეორია, ისტორია, პრაქტიკა)''. 31 (9), 2009
5. http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/gvarebi/page/52/#_
6. **ი. ახუაშვილი**, ქართული გვარ-სახელები, ტ. 5. თბ., 2005
7. **ი. მაისურაძე**, ქართული გვარ-სახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), შოთა ძიძიგურის საერთო რედაქციით. თბ., ,,მეცნიერება'', 1981
8. **ე. გვენეტაძე**, ახალი მასალა ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭყვიშის ეკლესიების და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრების ისტორიიდან. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი ,,პარალელი'', 2012, №4.
9. **ი. გაგულაშვილი**, ქართული გვარები (ძირითადი ლექსიკური ფონდი); საკუთარი სახელები (ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი), ქუთაისი, 1993
10. **ალ. ღლონტი**, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1986
11. **ნ. ჭოხონელიძე, ბუშ**- ფუძის ისტორიისათვის, სმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესია, 1985 წლის 26-28 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985.
12. http://surnames.meaning-of-names.com/genealogy /gasita/

✍ *მამუკა შელეგია*

ბარათაშვილი, მოემი... და სოლიფსიზმი

,,ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია სხვათაგან თავისი მხატვრული სოლიფსიზმით განსხვავდება... იგი უაღრესად სუბიექტურია, უმაღლეს ეგოიზმზე დამყარებული'' – წერდა 1916 წელს დავით კასრაძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მხოლოდ და მხოლოდ ლირიკოსია და მაშასადამე ეგოცენტრისტი – ეს სიტყვები ვახტანგ კოტეტიშვილს ეკუთვნის.

ხელოვანის ეგოიზმი უსაზღვროა, ასეც უნდა იყოს. თავისი ბუნებით ხელოვანი სოლიფსისტია... სომერსეტ მოემი, ინგლისელი მწერალი.

კიდევ ერთი მოსაზრება მწერლისა და სოლიფსიზმის შესახებ. ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ამერიკელ მკვლევარს, ჰაროლდ ბლუმს, მოჰყავს ჯონ ბეილის გამონათქვამი, სადაც ეს უკანასკნელი ლევ ტოლსტოის პიროვნული ძალის გათვალისწინებით შესანიშნავ კომენტარს აკეთებს: ,,სოლიფსიზმი უკვდავების მაჩვენებელია...'' ტოლსტოის რელიგიური და მორალური ნაწარმოებები სხვა არაფერია, თუ არა სოლიფსიზმის აღიარება.'' (საერთოდ, სოლიფსიზმი და მწერლობა – უზარმაზარი და საკამათო თემაა – ეს ისე).

ახლა რაც შეეხება სოლიფსიზმს – იგი ძველ (მაგ. ბროკჰაუზ-ეფრონის ლექსიკონში) თუ თანამედროვე საცნობარო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც ფილოსოფიური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ისეთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც უდავოა მხოლოდ ერთი რეალობა – ჩემი ცნობიერება, არსებობს მხოლოდ ,,მე'', რომლის გარეშეც არსებული გარესამყარო, მათ შორის ადამიანებიც, მისი წარმოდგენაა. აქვე ისიც უნდა ითქვას – XVIII საუკუნიდან გერმანელ ფილოსოფიურ ლიტერატურაში სიტყვა ეგოიზმი, ეგოისტი – სოლიფსიზმის, სოლიფსისტის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდნენ სოლიფსიზმთან ერთ კონტექსტში ბარათაშვილი, მოემი და სხვები.

1916 წლის ნოემბერში ქართულმა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი აღნიშნა (პოეტის დაბადების თარიღად იმ დროს 1816 წელი იყო მიჩნეული). საიუბილეო პუბლიკაციათა შორის დავით კასრაძის ორი წერილიც იყო, სადაც ავტორი გულისტკივილით წერდა: ,,ქართველმა ერმა მისი უდროო დაკარგვით დაჰკარგა ისეთი გენიოსი, რომლის მსგავსი შოთას შემდგომ აღარ გვინახავს. ბარათაშვილი თავისებური მგოსანია, მას ჩვენს მწერლობაში არ ჰყოლია წინამორბედი. არა თუ მემკვიდრე დაუტო-

ვებია ვინმე, ამიტომაა, რომ იგი განმარტოებით სდგას, როგორც ცისკრის დროს ობლად გაკაშკაშებული შუქურვარსკვლავი'' (გაზ. ,,საქართველო'', 1916, №260).

დ. კასრაძე ცდილობდა ჩასწვდომოდა პოეტის სულის სიღრმეებს, გაერკვია მისი პოეზიის სათავეები, რომელიც კრიტიკოსს საკაცობრიო იდეათა არეალში ეგულებოდა. სწორედ ამით არის საინტერესო ეს წერილი, თორემ ნ. ბარათაშვილის განსაკუთრებულობაზე და გამორჩეულობაზე ადრეც თქმულა, თუნდაც ილიას მიერ. მოკლე, საიუბილეო წერილში პოეტის შემოქმედების ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი ვერ იქნებოდა, მაგრამ აქ არის საინტერესო დაკვირვება და მართებული აზრი, ოღონდ გაკვრით და ამიტომაც ქვეტექსტის ამოკითხვა ჩაღრმავებას საჭიროებს. მთავარი ის არის, რომ კრიტიკოსი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას ,,მსოფლიო პოეზიის რადიუსში'' მოაქცევს და იქ უძებს პასუხს და არა მხოლოდ პიროვნულ, ადამიანურ ტრაგედიაში, როგორც ეს ზოგიერთ ქართველ მკვლევარს ეგონა (დღეს ეს ჩვენთვის ნათელია, მაგრამ მაშინ ბევრი რამ უცნობი და დასადგენი იყო).

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ევროპეიზმის ,,მსოფლიო პოეზიის ახალი სულის'' ძიების გზაზე დ. კასრაძე შოპენჰაუერსაც იშველიებს, მისი საშუალებით ცდილობს პოეტის შემოქმედების სიღრმეებში წვდომას.

ევროპულ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში წიაღსვლებით და მისი საშუალებით ნ. ბარათაშვილის შემოქმედების იმპულსებისა და მოტივების ძიებაში დ. კასრაძე მარტო არ ყოფილა. საკმარისია დავასახელოთ გრიგოლ ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვ. საზღვარგარეთ განათლებამიღებულმა ახალგაზრდობამ პოეტის შემოქმედება ევროპული კულტურის არეალში მოაქცია. ისინი ცდილობდნენ წარმოეჩინათ, აეხსნათ, რა ასაზრდოებდა მის პოეზიას, მხოლოდ ვიწრო, ,,საპირადო'' თუ საკაცობრიო სატკივარი. გრ. რობაქიძე 1909 წელს წერდა: ,,ჯერ კერძო პიროვნების სიკვდილი ჰგვრის ადამიანს მსოფლიო ფიქრებს და რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილის მუზამ მთელი ერის ყოფნა-არყოფით ვნებულს., მსოფლიო ფიქრებში შეეცურა''.

ამ შეხედულებათა სისწორე შემდგომმა კვლევებმაც დაადასტურა. გ. ქიქოძისადმი მიძღვნილ ესსეში ნოდარ კაკაბაძეს აღნიშნული აქვს, თუ როგორ ზუსტად მიუთითებს კრიტიკოსი ბარათაშვილის ლექსში ,,ფიქრი მტკვრის პირად'' შოპენჰაუერულ ტენდენციებსა და იდეებზე. მაგრამ იქვე აღნიშნულია ისიც, რაც გამოარჩევს ქართველი პოეტის პოეზიას ამ ფილოსოფოსის პესიმიზმისაგან. კერძოდ, ამ ნაწარმოების არსებითი მნიშვნელობის მქონე ბოლო სტროფზე: ...მაგრამ რადგანაც კაცნი გვქიან, შვილნი სოფლისა...'' და ა.შ. რომელიც პირწმინდად ანტიშოპენჰაუერულია (ცნობილია – შოპენჰაუერი მოითხოვდა ,,ნებაზე'' მაქსიმალურ უარის თქმას, იგი ადამიანის იდეალურ მდგომარეობას ხედავდა სრულ პასიურობაში, უმოქმედობაში, რადგან მიზანი ვერასოდეს მიიღწევა, მიზნის მიუღწევლობის განცდა კი ტანჯვაა).

როგორც ითქვა, დ. კასრაძეს თავის წერილში ერთგან აღნიშნული აქვს: ნ. ბარათაშვილის პოეზია სხვათაგან თავის მხატვრული სოლიფსიზმით განსხვავდება... იგი უაღრესად სუბიექტურია, უმაღლეს ეგოიზმზე დამყარებული. აქ

გაჟღერებულია მოსაზრება, რომელიც მის თანამედროვეთა შორისაც არსებობდა. კერძოდ, ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავდა: ,,ამ წერილებში (ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები – მ. შ.) თითქოს სათავეა დადებული იმ ლირიკისა, რომელიც ჩვენი პოეტის შემოქმედებაში გადაშლილი არის როგორც უდიდესი ეგოცენტრული ქვეყანა. ნიკოლოზ ბარათაშვილი მხოლოდ და მხოლოდ ლირიკოსია და მაშასადამე ეგოცენტრისტი. იგი პიროვნული თვალსაზრისით უცქერის სამყაროს და საკუთარი განწყობილება შეაქვს სამყაროში, როგორც ჰარმონიის და დისჰარმონიის დასაწყისი". რა თქმა უნდა, ამ კრიტიკოსებთან იგულისხმება ბარათაშვილისათვის დამახასიათებელი ის თავისებური მსოფლგაგება, რომელიც სინამდვილეში არასოდეს არ გადაზრდილა შეზღუდულ ეგოცენტრიზმში. ეს სოლიფსიზმი, ,,ეგოცენტრიზმი", პიროვნების პროტესტის ფორმა იყო პოლიტიკურ გარემოებათა გამო დარღვეული საზოგადოებრივი ვითარებისა, სწორედ ეროვნული ტრაგედია მიაჩნდა დ. კასრაძეს პოეტური სულიერი ტკივილის უმთავრეს მიზეზად.

ნ. ბარათაშვილი თავისი აწეწილი ეპოქის შვილი იყო. მას თავისი სამყარო ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ბარათაშვილს თავისი ცხოვრებით არ უცხოვრია. თანამედროვეთათვის მას ჰქონდა რაღაც ნიღბის მსგავსი გრიმასა, რომელსაც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იცილებდა (გ. ასათიანი).

ვ. კოტეტიშვილი თვლიდა, რომ ბარათაშვილის ბუნების შეგრძნობა იმპრესიონისტულია. მან ინდივიდუალური მგრძნობელობა შეიტანა ობიექტურ სამყაროში და საკუთარ გამაზე ააწყო მთელი ხილული ქვეყანა.

ქართველ კლასიკოსთა ზევით მოტანილ შეხედულებებს სოლიფსიზმის და ,,ეგოცენტრიზმის" შესახებ საოცრად ემთხვევა ცნობილი ინგლისელი მწერლის უილიამ სომერსეტ მოემის მოსაზრება სოლიფსიზმზე. თავის მემუარულ-ესეისტური პლანის ნაწარმოებში ,,შეჯამება", სადაც გადმოცემულია ავტორის მდიდარი ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული გამოცდილება და საყურადღებო დაკვირვებანი შემოქმედებით პროცესზე, ერთგან აღნიშნული აქვს: ხელოვანის ეგოიზმი უსაზღვროა. ასეც უნდა იყოს. თავისი ბუნებით ხელოვანი სოლიფსისტია და სამყარო მისთვის მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მისი შემოქმედებითი ძალა გამოსცადოს. სოლიფსიზმი და იდეალიზმი ერთმანეთთან სახიფათო სიახლოვეს არიან. მოემი თვლის, რომ მათ შორის სხვაობა, მცირე, მაგრამ მაინც არის.

მოემის შეხედულებით, სოლიფსიზმი ისეთი თეორიაა, რომელმაც არ შეიძლება არ შეიტყუოს ხელოვანი; ის სიტყვით ადასტურებს მწერლის საქმეს. მას (სოლიფსიზმს) უსაზღვროდ მომხიბლავი სისრულე და მოხდენილობა ახასიათებს. ინგლისელ მწერალს მიაჩნია – სოლიფსისტს მხოლოდ საკუთარი თავის და გამოცდილების სჯერა. იგი ქმნის სამყაროს, როგორც საკუთარი მოქმედების ასპარეზს და ეს სამყარო შედგება მისგან, მისი აზრებისა და მისი გრძნობებისაგან, ხოლო ამის მიღმა არაფერი არსებობს. ყოველი შეცნობადი, გამოცდილების ყოველი ფაქტი მისი ცხოვრების იდეაა და ამ ცნობიერების გარეშე არ არსებობს. მისთვის ოცნება და სინამდვილე ერთია.

აი, ასე, მხატვრულად, მოკლედ, მაგრამ ტევადად განმარტა სოლიფსიზმი სომერსეტ მოემმა. მან გულწრფელად თქვა ის, რაც გასული საუკუნის ოციან წლებში ჩვენში ჯერ კიდევ შეიძლებოდა თქმულიყო: ყველა ხერხი კარგია ცუდის გარდა. მოგვიანებით იგივე სოლიფსიზმი საბჭოთა ლიტმცოდნეობასა და კრიტიკაში მძიმე ცოდვად ითვლებოდა. რადგანაც იგი განმარტებული იყო, როგორც უკიდურესი ფორმა სუბიექტური იდეალიზმისა.

დ. კასრაძის და ვ. კოტეტიშვილის წერილები გასული საუკუნის ოციან წლებს განეკუთვნება, სომერსეტ მოემის „შეჯამება" კი 1938 წელს გამოქვეყნდა (რუსულად 1952 წ.). ძნელი სავარაუდოა მოემს რომ ქართველ კრიტიკოსთა ეს წერილები სცნობოდა. აქ უფრო ხელოვანთა ინტუიტიური თანხვედრაა. ზევით მოტანილი მაგალითები კიდევ ერთხელ მიანიშნებს – ჭეშმარიტი ლიტერატურა ვერ გუობს ჩარჩოებს, იდეოლოგიურ საზღვრებს – ყველა საშუალება კარგია, რომელიც მწერალს სათქმელის უკეთ გამოხატვაში გამოადგება. სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა ეპოქის ხელოვანთა ამგვარი ტიპის თანხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს – მსოფლმხედველობრივი და განწყობათა მსგავსება აზრისა და სათქმელის გამოხატვის პროცესში, ზოგჯერ გამომსახველ საშუალებათა და მოსაზრებათა დაახლოებას იწვევს, და რაოდენ სუბიექტურიც არ უნდა ჩანდეს ამგვარი პარალელები, ამის საფუძველს ზევით მოყვანილ მწერალთა შემოქმედება იძლევა.

✍ *სოფიო ფეტელავა*

თარგმანის განვითარების ეტაპები და საფეხურები

საინტერესოა სხვადასხვა ეპოქაში თარგმანის განვითარების ეტაპები და ის მოთხოვნები, რასაც თარგმანს დრო უყენებს.

თარგმნა, როგორც ერებსა და კულტურებს შორის ურთიერთობის, ურთიერთგაცნობისა და ურთიერთზეგავლენის პროცესი და თარგმანი ანუ თარგმნილი ტექსტი, როგორც ამ ურთიერთობის შედეგად შექმნილი ლიტერატურული ფაქტი, ძველთაძველი მოვლენაა და კაცობრიობის ცივილიზაციის პირველსავე საფეხურზე გვხვდება.

რომაელები იყვნენ პირველი მთარგმნელები ევროპული ლიტერატურის გარიჟრაჟზე და შეიძლება ითქვას პირველი თეორეტიკოსები მხატვრული თარგმანისა. რომაული მთარგმნელობითი ლიტერატურის წამყვანი ხაზი ის გახლავთ, რომ თარგმნისას ისინი არომაულებდნენ უცხო ავტორებს. მაგრამ მსგავს პოზიციას შეიძლება მცირე ქვეყნის მთარგმნელობით ისტორიაშიც შევხვდეთ. მაგალითად, ქართულ მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში მრავლადაა გაქართულების მაგალითები, როცა ორიგინალის ტექსტიდან თითქმის აღარაფერი რჩება. ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ არის სწრაფვა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრების, დაცვისა და გადარჩენისა. მთლიანობაში, რომაელთა მთარგმნელობითი აზრი თარგმანში, როგორც შემოქმედებაში, ხედავდა ორ მთავარ პრობლემას: კერძოდ, ტექსტი უნდა ითარგმნოს სიტყვა-სიტყვით თუ შინაარსობრივად.

ძველი დროის ერთ-ერთი უდიდესი მწერლობა, რომელიც ასურულ-ბაბილონურ ენაზეა შემორჩენილი, შთაგონებული შუმერული სიტყვიერებით და მნიშვნელოვანწილად მისგან ნათარგმნი თუ ადაპტირებული ტექსტებისაგან შედგება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასურელები და ბაბილონელები იყვნენ პირველი მთარგმნელები მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიაში, რომელთაც შეეძლოთ ეთარგმნათ ზუსტად, შემოქმედებითად და თავისუფლად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თარგმანი უხსოვარი დროიდანვე ახალი, ეროვნული მწერლობის შექმნაში არა თუ მონაწილეობს, არამედ გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ბერძნული მჭevრმეტყველების ნიმუშების საკუთარ თარგმანთა დასაცავად ძველი რომის სახელგანთქმული მთარგმნელი და ორატორი ციცერონი წერდა: ,,მე ისინი ვთარგმნე არა როგორც თარჯიმანმა, არამედ როგორც ორატორმა.

შევინარჩუნე აზრი და მისი წყობა, ასე ვთქვათ – გარეგნული სახე, მაგრამ სიტყვების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი ჩვენი ენის მოთხოვნებით, ამგვარად, არ ვთარგმნიდი სიტყვა-სიტყვით, მხოლოდ აღვადგენდი მთლიან აზრსა და ცალკეული სიტყვების ძალას. ვფიქრობდი, რომ მკითხველი მომთხოვს სიზუსტეს არა რაოდენობის, არამედ წონის მიხედვით". იქვე განმარტავს, ,,გადავწყვიტე მათი სიტყვები მეთარგმნა ისე, რომ მთელი მათი ლექსიკა გადმომეტანა თარგმანში, ე.ი. მთელი მათი აზრები, როგორც ფორმით, ასევე შინაარსითა და თანამიმდევრობით, სიტყვები კი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებას გვაძლევს ჩვენი ენის საშუალებები – თუ მე ვერ შევძელი მეთარგმნა ისინი ბერძნულიდან სრულყოფილად, შევეცადე, რომ მათი აზრი არ დაკარგულიყო".

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ბიბლიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს სხვადასხვა ენიდან თარგმნიდნენ: კერძოდ, ბერძნულიდან სირიულად, სირიულიდან არაბულად და არაბულიდან ლათინურად. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ძალზე ძნელი იყო სიზუსტის დაცვა.

რენესანსული თარგმანი შუა საუკუნეებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამ დროს უშუალოდ ბერძნული ტექსტებიდან თარგმნიდნენ. XIV-XV საუკუნეებში თურქებისაგან გაქცეულმა და გადახვეწილმა ბერძნებმა ევროპელებს ბერძნული ენა შეასწავლეს.

რენესანსის საწყის ეტაპზე ევროპულ ქვეყნებში სათარგმნი ენა ბერძნულია და მთარგმნელი ენა კი ლათინური. მოგვიანებით დაიწყო ლათინური ტექსტების თარგმნა ევროპულ ენებზე.

აღნიშნულ ეპოქაში თარგმანი უფრო ფილოლოგიური თვალსაზრისით განიხილება. გავრცელებულია როგორც ლათინურიდან თარგმნა, ასევე ლათინურ ენაზე თარგმნა ცოცხალი ენებიდან. ამგვარ ექსპერიმენტებს მიმართავდნენ იტალიელი პოეტები და ჰუმანისტები: პეტრარკა, ლეონარდო ბრუნი და სხვები. გერმანელი ენათმაცნიერი ულრიხ ფონ ჰუტენი, თავის თხზულებებს ლათინურად წერდა და გერმანულად თარგმნიდა. ლათინური ენიდან თარგმნა მრავალთ აუცილებლად მიაჩნდათ მშობლიური ენის გასამდიდრებლად და თარგმნიდნენ არათუ სიტყვა-სიტყვით, არამედ გადაჰქონდათ უამრავი ნასესხები სიტყვა და სინტაქსი ლათინური ენისა. მსგავსი რამ ხდებოდა შუა საუკუნეების საქართველოშიც, იოანე პეტრიწი (XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი) თავის თარგმანებს ბერძნული ლექსიკითა და სინტაქსით აწყობდა.

შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის მთარგმნელობითი გამოცდილებიდან ჩვენთვის საგულისხმოა, რომ ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ორივე მიდგომა – ზუსტი და თავისუფალი თარგმანისა. ლათინური ენა უპირატესობას ევროპულ ენებზე აკეთებდა, მაგრამ მისი მძლავრობა უკვე შესუსტებულია რეფორმაციის დროს.

უძველეს დროში საეკლესიო მამები დაეჭვებულნი იყვნენ თარგმანის აუცილებლობაში, რწმენა ხომ არ შესუსტდებაო, და საჭირო გახდა თარგმანის დაცვა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ თარგმანი უკვე ძალზე ფართოდ ასრულებდა თავის დანიშნულებას – რაც გამოხატულია კულტურათა შორის

დიალოგით. უმრავლესნი ავტორიტეტთაგან აცხადებენ, რომ მთავარია ,,შინაარსი და არა სიტყვები".

,,ბიბლიის წიგნებიდან უმეტესად სახარება ითარგმნებოდა ქართულად. დროთა განმავლობაში ხდებოდა ძველი თარგმანების რედაქტირება; ჩვენი მწერლობის მეორე პერიოდში ძველად ნათარგმნი სახარების ტექსტმა განიცადა რედაქციული ცვლილება. პავლე ინგოროყვას აზრით, ბიბლია იყო ,,ერთი პირველი ძეგლთაგანი, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად.

თარგმნის თეორია საქართველოში გაცილებით მწირია, ვიდრე ევროპაში, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთარგმნელები თარგმნიდნენ უძველეს ბერძნულ ჰიმნოგრაფიას. ამას მოითხოვდა უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიკული საჭიროება და პრაქტიკა.

თარგმნის თეორიაში მოზრდილი გამოკვლევა დაწერა დალი ფანჯიკიძემ ,,თარგმანის თეორია და პრაქტიკა". იგი მიიჩნევს, რომ ,,დედანსა და თარგმანს შორის უნდა შეიქმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ექვივალენტურობა. იგი დინამიკური ექვივალენტების ძიებისას, შესაძლებლად მიიჩნევს ორიგინალის სტილის შენარჩუნებას თარგმანში.

საყურადღებო შრომები მიუძღვნა თარგმნის თეორიას პორფირე იაშვილმა ,,მხატვრული თარგმნის არსი'' და ნელი საყვარელიძემ ,,თარგმნის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პრობლემა''.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ძირითადად თარგმნიდნენ მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფმა მეცნიერულ ტექნიკურმა პროგრესმა ტექნიკურ თარგმანს ისეთივე მნიშვნელოვანი პრაგმატიკული დატვირთვა მიანიჭა, როგორც ლიტერატურულს. მიიჩნევა, რომ მე-20 საუკუნე თარგმანის საუკუნეა, რაც დაკავშირებულია უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადის სწრაფ გავრცელებასთან და მისი ათვისებისა და გამოყენების აუცილებლობასთან.

თარგმანის ისტორიის გაანალიზებისას ცხადი ხდება, რომ მან განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. საწყის ეტაპზე თარგმანი თავისუფალი იყო და არ მოეთხოვებოდა დედანთან მიახლოებული სიზუსტე. უფრო მეტიც, მთარგმნელები ხშირად თავიანთ, ორიგინალურ ლექსს ან ტექსტს ქმნიდნენ, რომელიც ეყრდნობოდა ორიგინალში მოცემულ შთაბეჭდილებას. ძირითადად გავრცელებული იყო თავისუფალი თარგმანი და ეს თავისუფლება ხშირად ისე შორს მიდიოდა, რომ თარგმანში ორიგინალის მხოლოდ სათაური და პერსონაჟთა სახელები რჩებოდა.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო მთარგმნელობით პრაქტიკაში ძველი დროიდან ანუ იმ პერიოდიდან, როცა თარგმნის თეორია, როგორც მხატვრული ლიტერატურის შემადგენელი ნაწილი, კანონიერ არსებობას იწყებს, გამოიკვეთა თარგმნის მთავარი საკითხი – სიზუსტისა და თავისუფლებისა, ანუ თარგმანის ისტორიაში ორი სახის თარგმანის გარშემო მიმდინარეობს ძირითადი კამათი, ესენია ზუსტი და არაზუსტი თარგმანი. ამის ირგვლივ მსჯელობითა და კამათით ვითარდება თარგმანის ისტორია. თარგმნილი ტექსტის შესაბამისობა

ორიგინალურ ტექსტთან, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტენსივობით იყო წამოჭრილი და სხვადასხვაგვარად წყდებოდა. არ შექმნილა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული მეთოდი, რაც შეარიგებდა მხატვრული თარგმანის სიზუსტისა და თავისუფლების მიმართულებებს.

თეორიულად რომელი თარგმანია უფრო მისაღები – ზუსტი თარგმანი, რომელიც მხატვრული სიზუსტის მეტ ალაბათობას შეიცავს, თუ არაზუსტი, მაგრამ მხატვრულად ძლიერი? ჩვენ შეგვიძლია იდეალურად გამოვაცხადოთ მხატვრულად ძლიერი და ამავე დროს, ზუსტი თარგმანი, მაგრამ ამ იდეალის პრაქტიკულად განხორციელება მეტად ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია. როგორც კვლევები გვიჩვენებენ უმეტეს მთარგმნელთა ნამუშევრები არაზუსტია, უფრო მეტიც შესაძლოა თარგმანი იყოს მეტად ხისტი და ზოგჯერ დედანთან სრულიად შეუსაბამო და არასრულყოფილიც. თეორიულად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ზუსტი თარგმანი მიღწევადია, მაგრამ თეორიული გადაწყვეტა მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს პრაქტიკაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი თეორიაზე მაღლა დგას. სრულყოფილ თეორიას თუნდაც მასში ორივე მხარის სინთეზი მოვახდინოთ, დოგმად მაინც ვერ ვაქცევთ, რადგან მთარგმნელის ინდივიდუალური უნარის შეთანხმება თეორიასთან შეუძლებელია.

თარგმნის სიზუსტესა და თავისუფლებაზე მსჯელობენ დიდი მწერლები უძველესი დროიდან, თუმცა აშკარაა, რომ უმრავლესობა თავისუფალი თარგმანის მომხრეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია.

,,სიტყვის ზუსტი თარგმანი არ იძლევა მხატვრული ეფექტის განმეორების საშუალებას. შესაძლებელია, სიზუსტე და მხატვრულობა პერმანენტულ წინააღმდეგობაში იმყოფება ერთმანეთთან. მათი ერთიანობის მიღწევა პირდაპირი თარგმანის საშუალებით შეუძლებელი ხდება. საჭიროა მოიძებნოს ამ წინააღმდეგობათა დაძლევის დიალექტიკური საშუალება. საჭიროა განისაზღვროს სიზუსტის ცნება ან, უფრო სწორად, სიზუსტის დარღვევის შესაძლებლობა მხატვრულობის სასარგებლოდ და პირიქით, განისაზღვროს მხატვრულობის ცნება ან, უფრო სწორედ, მხატვრულობის დარღვევის შესაძლებლობა სიზუსტის სასარგებლოდ. მიზანი, რომლისადმი სწრაფვა აწონასწორებს ორივე ამ მხარის დარღვევის ხარისხს, არის დედნის სინამდვილის, მისი ფორმისა და შინაარსის ერთიანი მაქსიმალური გადმოცემა ახალ ენაზე" (გ. გაჩეჩილაძე).

ქართული მთარგმნელობითი ისტორიის თვალის გადევნებითა და ტრადიციული მეთოდიკის ანალიზით ცხადი ხდება, რომ ქართული მთარგმნელობითი ტრადიციაც, ისევე როგორც მსოფლიო მთარგმნელობითი პრაქტიკა იცნობდა, როგორც ზუსტად გადმოტანის ტენდენციას, ასევე თავისუფალ მიმართულებას. არის თავისუფალი თარგმანისა და ზუსტი, კომენტირებული თარგმნის შეთანხმების მცდელობანიც, რაც მთარგმნელობითი შემოქმედების მაღალ დონეზე მიიღწევა (ეფრემ მცირე, ,,ვისრამიანი''), თუმცა ასეთი ეტაპები ქართული თარგმანის ისტორიაში ნაკლებად გვხვდება და აშკარაა, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველი მთარგმნელები უპირატესობას ანიჭებდნენ თავისუფალ,

შემოქმედებით თარგმანს, რასაც დღეს მემიზნეობას ვუწოდებთ, და ამ სახით თარგმანის მეთოდი გაქართულება გახლდათ.

გ. გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ ერთია ზუსტი და მხატვრულად სუსტი თარგმანი, ხოლო მეორე მხატვრულად ძლიერი, მაგრამ დედნისაგან დაცილებული, თავისუფალი. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ერთი შეხედვით სიიოლისა, ზუსტი და მხატვრულად ძლიერი შესრულება შეუძლებელია, რადგანაც ორი განსხვავებული ენა ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვა საშუალებით გამოხატავს. უფრო მეტიც, თვით სიტყვის ზუსტი თარგმანიც კი არ იძლევა მხატვრული ეფექტის განმეორებას. ავტორი სავსებით მართებულად ასკვნის, რომ „სიზუსტე და მხატვრულობა პერმანენტულ წინააღმდეგობაში იმყოფება და თარგმანის მიზნის მიხედვით შეიძლება ამ ორმხრივი ოპოზიციის დარღვევა, ხოლო მიზანი, რისკენაც სწრაფვა აწონასწორებს ორივე ამ მხარის დარღვევის ხარისხს, არის დედნის სინამდვილის, მისი ფორმისა და შინაარსის მაქსიმალური გადმოცემა ახალ ენაზე" (გ. გაჩეჩილაძე).

ხშირად ვხვდებით თარგმანთა დამთხვევებსაც. ქართველი ფილოსოფოსებისა და მთარგმნელების ეფრემ ასურისა და არსენ იყალთოელის თარგმანების შედარებისას პირველი, რაც თვალში ხვდება მკითხველს, არის ის დიდი სიახლოვე, რაც მათ შორის არსებობს. მთელი რიგი ადგილები სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. როგორც ჩანს, არსენ იყალთოელმა, რომელიც მონაწილეობდა ეფრემ მცირის თარგმანში, ზოგი ადგილი შემდგომ სიტყვა-სიტყვით გადაიტანა თავის თარგმანში. მიუხედავად ასეთი თანმხვედრი ადგილებისა, მათი თარგმანები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგჯერ ეფრემ მცირის თარგმანში დასტურდება ორიგინალთან შედარებით გავრცობილი ან შემოკლებული ადგილები, ანალოგიური ვითარება გვხვდება ზოგჯერ არსენ იყალთოელის თარგმანებშიც. აშკარაა, რომ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანების სახით დაცულია იოანე დამასკელის ,,გარდამოცემის" ისეთი რედაქცია, რომელიც ბერძნული ტექსტის გამოცემებში გათვალისწინებული არაა. ეს გარემოება განუზომლად ზრდის ქართული თარგმანების მნიშვნელობას ბერძნული ორიგინალის კვლევის ისტორიისათვის.

ტექსტის ცნების ახლებური გააზრება, რომელსაც კომუნიკაციური პროცესის პრაგმატული კომპონენტები უდევს საფუძვლად, სხვადასხვა სიტუაციაში ერთი და იმავე ორიგინალი ტექსტის სრულიად სხვადასხვაგვარ თარგმნას გულისხმობს. ამით მთლიანად ,,ინგრევა'' ორიგინალი ტექსტი, როგორც თარგმანთან ადეკვატურობის საზომი ერთეულის სტატუსი და გადამწყვეტი როლი ეკისრება ადრესატი ტექსტის კულტურულ გარემოსა და სიტუაციას.

თავისუფალ თარგმანთან ერთად, თუმცა გაცილებით ნაკლებად, იმ ხანად, როცა კულტურისა და მეცნიერების განვითარება საქართველოში და ქართულ ქრისტიანულ კერებში მაღალ დონეს აღწევს, ქართველ მთარგმნელთა შორის ვითარდება ე. წ. ზუსტი თარგმანის მიმართულებაც. ქართველი მკვლევრები, (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა) დედნისადმი სიზუსტესა და ერთგულებას ხედავენ, განსაკუთრებით, ჰიმნოგრაფიის თარგმნისას. აღსანიშნავია, ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი მეთოდი, რომელიც აუცილებლად მიიჩნევდა სიახლოვეს დედანთან და თარგმნის დროს კომენტირებას.

SOPHIKO PETELAVA

STAGES OF DEVELOPMENT OF TRANSLATION

S u m m a r y

This paper discusses stages of development of translation in any languages. In the process of translation history analysis it is shown that translation passed variety stages of translation. It is important that translation was free on initial stage and there was not necessity of identity with original text.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Translation: theory and practice, tension and interdependence. Larson, Mildred L., editor. 1991.
2. Theories of Translation by Rainer Schulte, John Biguenet.
3. ფანჯიკიძე დ. "თარგმანის თეორია და პრაქტიკა", თბილისი "განათლება", 1988;
4. Бархударов Л.С. «Язык и перевод», 1975;
5. Латышев Л.К, Семёнов А.Л. «Перевод: теория, практика и методика преподавания»; Москва, 2003;
6. Лилова А. «Введение в общую теорию перевода»;

✍ *ბადრი ცხადაძე*

წმინდა გიორგის კულტი და ,,გიორგ // გორგ...'' ძირიანი გვარ-სახელების წარმოშობისათვის საქართველოში

რომ არა გლოვის რიტუალი, კაცობრიობას ბევრი არაფერი ეცოდინებოდა თავის წარსულზე, რადგან გლოვის რიტუალში მეტ-ნაკლებად შემონახულია მაშინდელი სამყაროს აღქმის ცოცხალი და არაცოცხალი გარემოს, კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების არქაული სურათი მრავალგვარი მოქმედი კულტების სახით. ამ მხრივ ძველ სამყაროს ნაზიარები დღევანდელი ეთნოსები საინტერესო მასალას იძლევიან სამყაროს არქაული ყოფის შესაცნობად.

ცნობილია, რომ ქართველთა შორეული წინაპრები ასტრალური კულტის – ცის თაღისა და მის მნათობთა თაყვანისმცემლები იყვნენ და არც მიცვალებულის გაპატიოსნებაში, მისი სასუფევლის ან განსასვენებლის მუდმივი სამყოფლის მოწყობაში ჩამოუვარდებოდნენ ვინმეს.

როგორც ვარაუდობენ, ამ მხრივ ზოგიერთ ძველ ქართველურ ტომს და ფრიგიელებს ბევრი რამ უნდა ჰქონოდათ საერთო. ამის საბუთად მითიური ფრიგიულ-თრაკიული და კოლხური მხედრის კულტის დასახელებაც კმარა. მართალია, ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა, ფრიგიელებმა ბალკანეთიდან მოიტანეს ამ მხედრის კულტი, თუ პირიქით, მცირე კავკასიონის სამხრეთ სანახებში მოსახლე ძველქართველური ტომებისაგან წაიღეს თრაკიაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ორივე მხედარი ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელი იყო და მეცნიერებაში ,,წმინდა გიორგის''' პროტოტიპებად არის აღიარებული. იმთავითვე ფრიგიულ-თრაკიული და კოლხური მხედარი ღარიბ-ღატაკთა მოსარჩლედ მიაჩნდათ. ქრისტიანულმა რელიგიამ ამ მოხეტიალე მხედარს ,,წმინდა გიორგის'' სახელი დაარქვა და ახალ რელიგიურ სამოსელში გახვია[1, 17-18].

შენიშვნა 1: თეთრი მხედრის კულტი, როგორც ჩანს, ამერიკის მცხოვრებ ინდიელებსაც ჰქონდათ, რადგან ძველი მექსიკელების (აცტეკების) და ევროპელების (ესპანელების) ერთმანეთთან პირისპირ შეჯახებამ წარმოაჩინა აცტეკელთა წარმოდგენაში (მათი ბელადის – მონტესუმას) ზეციდან მოსული თეთრი ადამიანის – თეთრი მხედრის გამოჩენა ესპანელი კაპიტნის კორტესის სახით. ასე რომ თეთრი მხედრის, როგორც მშველელის, არსებობა ძველი მსოფლიოს ქვეყნებში სხვადასხვა ვარიაციით შესაძლოა პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილი წარმოდგენითი ხატიდან იღებდეს სათავეს.

წმინდა გიორგის სვანურად **ჯგ²რაგ** ჰქვია (აქ, სვანური ენის ბალსზემოურ კილოში ერთი **ა** ისმის – ისიც უმლაუტიანი). მეცნიერები მის ვარიანტად მეგრულ **ჯგერეს** სახავენ და მეგრულისავე **ჯგირ**'ს უკავშირებენ (შდრ. მეგრ. მეტსახელი **ჯგირკოჩა ,,კაიკაცა''** [2, 250], ა. ჭანტურიას [3] მიერ შეკრებილი მეგრული სახელებისა და გვარებიდან ამ კუთხით ჩვენს ყურადღებას იქცევს ისეთი საკუთარი სახელები, როგორიცაა: ჯგეგე, ჯგეგეკოჩაი, ჯგეგეკოჩი, ჯგეგე-

კოჩია, ჯგეკოჩაი, ჯგემორდილი, ჯგერგეკი, ჯგერგეკოჩი, ჯგერგეშია და სხვ., რომლებშიც წინამავალი **ჯგერ** მარცვალი არშკარად სვანური **ჯგ²რაგ**ის უკუმშველი და სრული ვარიანტია, ასე რომ ორივე ერთი საერთო ძირისაგან მომდინარეობს. ოღონდ ასახსნელია: 1) ამ სიტყვებში **ჯ** განვითარებული ბგერაა თუ არა 2) და თუ ეს ასეა, მაშინ დასადგენია **ჯგერე** გიორგი სიტყვისაგან წარმოდგა **ჯ**'ს განვითარებით (**ჯ მ**ეგრულში ხშირად ვითარდება თავკიდურ პოზიციაში) თუ საკუთარი სახელი გიორგი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია.

ჩვენი აზრით, გიორგი სახელი ამ ძირძველ სიტყვებთან კავშირში არ უნდა იყოს. **ჯგერე, ჯგ²რაგ** კი მომდინარეობს მეგრ. კომპოზიტ **ჯგერაგუნა**'სთან (ჯგერაგუნა // ჯგირი აგუნა = კარგი, კეთილი ღმერთი), რომლის ფონეტიკური სახეცვლის შედეგად მივიღეთ სვანური **ჯგ²რაგ**. ამრიგად, კომპოზიტური გამონათქვამი **ჯგირაგუნა** ძველიძველი კოლხური ანთროპონიმია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა წარმართულ ღვთაებათა პანთეონში [4, 478]. რაც შეეხება წმინდა გიორგისა და ჯგრაგ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთმიმართების საბოლოო დადგენას, იგი მაინც საკამათო და სადავო პრობლემად რჩება. საბოლოო და ზუსტი პასუხი მკვლევართაგან არ ჩანს, რადგან პოსტულატებისა და არგუმენტაციის ნაკლებობა ამის გადაჭრით თქმის საშუალებას არ იძლევა.

შენიშვნა: ჯგერ ფუძის შემცველი სიტყვები, როგორც ჩანს, სპეციალურად შესასწავლია, განსაკუთრებით სვანურსა და მეგრულ-ჭანურში, ასევე ქართული ენის სამხრულ და დასავლურ დიალექტებში. მაგალითად, გურ. **ჯგერა** = პატარა ჯოხი, ჭკვერი, შდრ. **ჯღება** // **ჯღებაჲ** მსხვილრქიანი პირუტყვი [5, 133]. ამრიგად, წმინდა გიორგის კულტი რომ წარმართული პერიოდიდან იღებს სათავეს, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ დასადგენია: თავდაპირველად ეს კულტი სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ქართველ ტომთა კუთვნილება იყო თუ სრულიად ქართველთა?

მაგრამ ამას ჩვენთვის ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარია იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ წმინდა გიორგის კულტი საქართველოში უძველესია და მისგან ნაწარმოები საკუთარი სახელები და გვარებიც ძირძველი, რომლებიც რამდენჯერმე აჭარბებს თუნდაც ერთად აღებულ მსოფლიოს სხვა ენებში ამავე ფუძიდან წარმოქმნილ ანალოგიური მოტივაციით შექმნილ გვარ-სახელებს (ბერძნ. გეორგიუს, გეორგიადი, გერმ. გეორგ, ფრანგ. ხორხე, ინგლ. ჯორჯ, იტალ. ჯორჯო, ბულგ.-სლავური გეორგიევი) და სხვ.

XV-XVIII საუკუნეებში, ფეოდალურ საქართველოს ცალკეულ არისტოკრატიულ სახლებში (ოჯახებში) ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარი საგვარეულო მატიანეების, ქრონიკების შედგენა (ასე იყო ევროპის მოწინავე ქვეყნებშიც. გერმანია და სხვ. იხ. თომას მანი, ბუდენბროკები). ამის მაგალითია XVI საუკუნის ,,მესხური დავითნის ქრონიკა'' და სხვა შემორჩენილი მატიანეები და ქრონიკები, რომლებიც მკვლევრებს უხვ და საინტერესო მასალას აწვდის ამა თუ იმ გვარის წარმომავლობასა და გენეალოგიაზე.

,,მესხური დავითნის ქრონიკის'' ავტორად მიჩნეულია დედისიმედი, XV საუკუნის მეორე ნახევრის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწის ქაიხოსრო მეორის მეუღლე, ბაგრატ მუხრან-ბატონის ასული, რომელმაც დაგვიტოვა სამცხე-საათაბაგოს მმმართველთა მატიანე.

ვახუშტი ბაგრატიონის აზრით გენეალოგია ისტორიის ერთ-ერთი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ვახუშტიმ შეისწავლა ფეოდალური საქართველოს ზოგიერთი ფეოდალური საგვარეულოს ისტორია.

XVII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბატონიშვილმა შეადგინა ვრცელი გენეალოგიური ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოს 62 სათავადოსა და 200-ზე მეტი აზნაურული სახლების შესახებ.

1897 წლის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობა 5,29%-ს (დაახლ. 70000) თავადაზნაურული გვარები შეადგენდა.

ქართულ გვარებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია უძველესი გვარები: გრძელიძე (იხსენიება 1028 წლის საბუთში), ყანჩაველი (1030 წლის საბუთი), დადიანი (1103 წლის საბუთი) და დვალი (1038 წლის საბუთი).

IX საუკუნეში კახეთში ცნობილ გვარად წარმოჩანს დონაურების ფეოდალური გვარი, X ს-ში ბაღვაშთა საგვარეულო, უფრო ადრე მარუშიანები – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ფეოდალური გვარი (X-XI სს).

სპეციალურ ლიტერატურაში გვარი განიმარტება როგორც სისხლის ნათესავის ჯგუფად, რომლის წევრები თავიანთი წარმომავლობით დედის ან მამის მხრიდან საერთო (რეალურ ან მითიურ) წინაპარს უკავშირდებოდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ'' [6], ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეული) მიხედვით, გვარი არის საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან (ერთი წინაპრის შთამომავალი ერთი და იგივე ადამიანთა ჯგუფი [7, 1433]). გვარებთან დაკავშირებით ცნობილი ეთნოგრაფი ლ. ფრუიძე წერს: ,,ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენთან ჭეშმარიტი ქართული გვარი კეთილშობელურია.... რაც უფრო ღრმად შევისწავლით ქართულ გვარებს, მით უფრო ნათელი გახდება თითოეულის კეთილშობილება, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურება... თითოეულმა გვარმა თუ საკუთარი ისტორია არ შეისწავლა, მეცნიერები ამ უზარმაზარ სამუშაოს ვერ მოერევიან.... ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა უნდა იცოდეს ,,ვისი გორისაა'', სადაა მისი ადგილის დედა და ზედაშე, თუ გაწყვეტილ კავშირებს ვეღარ აღვადგენთ, თვითშემეცნებაში მაინც უნდა იგრძნოს წინაპართა საფლავების მადლი და საკრალური ძალა, ამ საფლავების წინაშე წელიწადში ერთხელ მაინც მოიყაროს მუხლიდა წმინდა სანთელი დაანთოს'' [8, 225-229].

ჩვენ პატივცემულ მკვლევარს ზოგადად ვეთანხმებით და ვიზიარებთ მის პათოსს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ისეთ გამოკვლევებსა და ცრუმეცნიერულ ახსნებში, რასაც ზოგიერთი მკვლევარი თუ მკვლევრობის მოყვარული გვთავაზობს – ცრუმეცნიერულ ახსნას მეცნიერულად ასაღებს. მაგალითად. ზარნაძეთა გვარის წარმოშობა **ბუ** ფრინველის აღმნიშვნელი ფუძე-სიტყვისაგან. ამის ნიმუშები უთვალავია და, სამწუხაროდ, მათ კრიტიკას რამდენიმე ტომიც კი არ ეყოფა. თუ ვერ დავადგენთ გვარის ფუძეს თუ არ გვექნება საამისო ლინგვისტური მონაცემი, სხვა სიტყვებით, თუ არ ვართ ლინგვისტიკაში გაწაფული. ზოგიერთი მოყვარული მკვლევრისმიერი ის ლაფსუსი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, სწორედ ამის შედეგია [9].

გვარები, მით უფრო ქართული, ქართველოლოგიაში ძალიან ძნელი საკვლევი უბანია (ისე როგორც საქართველოს ტოპონიმია). ამ მხრივ არაერთ მკვლევარს წაცდენია კალამი და თავი შეურცხვენია. აქ აღარაფერს ვამბობთ იმ უკეთურ გამოხდომებზე, რომლებსაც არცთუ იშვიათად, წინასწარგამიზნულად არაქართველი (სომეხი, რუსი, ოსი, აზერბაიჯანელი, დაღესტნელი და ა. შ.) მკვლევრები გვაწვდიან – მტკვრის, თბილისის, გვარსახელების წერეთლის, თაბუკაშილის და ა. შ. ახსნას სომხურ-ოსურ-აზერბაიჯანული ენის მეშვეობით ცდილობენ, ზოგჯერ ყოველგვარი არგუმენტაციისა და დოკუმენტირების გარეშე.

გვარების სიუხვით საქართველო მსოფლიოში მრავალ (მილიონიან თუ მილიარდიან.... ჩინეთი და სხვ.) ქვეყანას უსწრებს. ჩვენი აზრით, ეს არაა მხოლოდ საქართველოს ძირძველი ისტორიის, ტრადიციის ან ქართული ისტორიული წყაროების არსებობის შედეგი. ძირითადად ეს გამოწვეულია ქართული ენის, კერძოდ, ქართულ ზეპირმეტყველებაში არსებული ისტორიულ-დიალექტოლოგიური და ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სოციალური პროცესების მრავალფეროვნებით, რომლის თვალსაჩინო ნიმუშს თუნდაც ,,გიორგ // გორგ...'' ძირიდან ნაწარმოები გვარსახელები წარმოადგენენ.

ამ წერილის შექმნის იდეისკენ გვიბიძგა ჩვენი თანამშრომლის, სტუ-ს პროფესორის ბატონ **ივანე გორგიძის** თხოვნამ – ,,იქნებ ჩემი გვარიც გამოგეკვლიათო''. აღმოჩნდა, რომ გვარ-სახელი **გორგიძე** წმინდა ,,იმერული'' გვარია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ იმერეთში გვხვდება, ისიც ლოკალურ ადგილას. XIX საუკუნის 40-იანი წლების იმერეთის საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ამ გვარის მატარებელ პირებს (ამ დროს) **მანდიკორსა** და **უკანეთში** უცხოვრიათ [XIX საუკუნის 40-იანი წლების მონაცემებით უცხოვრიათ დასავლეთ საქართველოში [10, 52., 142]. სოფელ **მანდიკორში** ამდროინდელი ***გორგიძეები*** საეკლესიო გლეხები ჩანან [10, 42], ხოლო სოფელ **უკანეთში** – საბატონო გლეხები [10, 92]. თვით ამ ორი სოფლის, როგორც ტოპონიმის, სახელწოდება ეტიმოლოგიურად გამჭვირვალეა – **მანდიკორი** ,,ხურჯინივით'' გრეხილი ფორმის ადგილი უნდა იყოს, **უკანეთი** კი რომელიღაც მსხვილი ტოპოერთეულის უკანა მხარე (შდრ. სვან. **უშგულ** ,,უკუღმა''). ასეთი ,,წინაუკმო'' რელიეფურ-სახელდებითი ადგილები (უკანგორი, უკანა ფშავი და სხვ.) საქართველოს ტოპონიმიაში მრავალია. დღეს სოფელი **მანდიკორი** ადმინისტრაციულად ტყიბულის რაიონის ფარგლებშია მოქცეული, ხოლო სოფელი **უკანეთი** წყალტუბოს რაიონში [11]; ჩანს, გვარ-სახელი **გორგიძე,** ისტორიული თვალსაზრისით, ლოკალურად ამ ორი სოფლიდან იღებს სათავეს. დასადგენია თავდაპირველობა და გვარის უწინარესობა.

* * *

ქართული გვარ-სახელები მრავლადაა წარმოდგენილია **გოგ** მარცვლის შემცველი (შემდგომ გართულებული და მეტმარცვლიანი) ფუძით, რომელიც თავდაპირველად ანთროპონიმისაგან (ადამიანის საკუთარი სახელისაგან) მომდინარეობს. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს ადამიანის კნინობითსუფიქსიანი სახელი **გოგია,** რომელიც უფრო დასავლეთ საქართველოს კუთხეებშია გავრცელებული (განსაკუთრებით იმერეთში), ახალი წარმოშობის მოვ-

ლენა იყოს. შდრ. **გიორგი –> გოგია** (კნინობითი გორმა) // **გოგი** (არაკნინობითი ფორმა). შდრ. ***გიო, გია***. ირკვევა, რომ **გოგი** და **გოგია** ბევრად ძველია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სრულიად ახალი წარმოშობისაა მოფერებით-საალერსო ფორმები **გიო (<– გიორგი), გია (<– გიორგია // გოგია).**

გიორგი –> გიორგიძე (იმერეთში), **გიორგიშვილი** (აღმოსავლეთ საქართველოში);

გიორგი –> გორგი –> გორგა (–> გოგა), აქედან გვარ-სახელები **გორგაძე, გოგაძე** (იმერეთში), **გოგავა, გოგია** (იმერეთსა და სამეგრელოში); ამ ძირის შემცველია -**ატ** სუფიქსიანი გვარსახელი ***გოგატიშვილი.***

გიორგი –> გორგი –> გორგიშელი // გორგიშვილი (კახეთში, ქიზიყში);

გიორგი –> გორგი –> გოგი, აქედან გვარ-სახელი ***გოგიძე*** (XIX საუკუნის 40-იანი წლების მონაცემებით უცხოვრიათ დასავლეთ საქართველოში, იმერეთის სოფელ ქვილიშორში [9, 96]. ამჟამად წყალტუბოში მოსახლეობენ.

გიორგია –> გორგია –> გოგია –> გორგიაშვილი, გოგიაშვილი; გვარ-სახელი **გოგია** (დასავლეთ საქართველოში. შდრ. სოფლის სახელწოდება **ლეგოგიე** ფოცხოსა და ლეძამამეს სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლები სენაკის რაიონში [11, 89].

გიორგი –> გორგი + იტ[ა] (კნინობითობის სუფიქსი) –> **გოგიტა** –> **გოგიტიძე** (გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობენ აჭარაში);

გიორგი –> გორგი –> გორგ+ოტი (-**ოტ** კნინობითობის სუფიქსი) **–> გოგოტი.** აქედან გვარ-სახელი **გოგოტიშვილი;**

გიორგი –> გიორგინა –> გორგინა –> გოგინა –> გოგინავა; გოგინაშვილი;

გიორგი –> გიორგინა –> გორგინა –> გოგინა –> გოგნა –> გოგნაძე (გავრცელებულია იმერეთში);

გიორგი –> გიორგ+ინ+ია –> გორგინია –> გორგნია –> გოგნია –> გოგნიაშვილი (გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში);

გიორგი –> გორგ –> გოგ +შელ –> გოგშელიძე (გავრცელებულია რაჭაში). -**შელ** აქ რთული დაბოლოებაა. შესაძლოა მასში –**ელ** წარმომავლობის სუფიქსი იყოს (შდრ. ტფილისი –> ტფილელი), თუ ეს ასეა, მაშინ **გოგშელ** წარმომდგარა **გოგაშენელ –> გოგშენელ –> გოგშელ** (***გოგაშენი,*** როგორც სოფლის სახელდება)'ისაგან. თუ ამ გვარსახელს სვანური წარმომავლობისად მივიჩნევთ, მაშინ -**შელ** სვანური შტო-გვარის მაწარმოებელი -**შერ(ა)** სუფიქსი იქნება (შდრ. სვან. ***ოთარშერა*** =ოთარაანი, ოთარაანთი (შდრ. ოთარაანთ ქვრივი), **ომარშერა** = ომარაანი, ომარაანთი). ასე რომ ამ გვარ-სახელში, როგორადაც არ უნდა აიხსნას ის, ძირი მაინც **გოგ** რჩება.

გიორგი –> გირგო –> გიგო. აქედან გვარ-სახელი **გიგოშვილი** (აღმოსავლეთ საქართველოში);

შენიშვნა 2: თბილისში არსებობს გვარი ***გიგოლოვი*** (ამ გვარს ატარებდა თსუ'ს პროფესორი, რუსისტი, წარმოშობით სომეხი). ჩვენი აზრით, ეს გვარსახელი ქართულია, თვით გიგოლოვები კი გასომხებული ქართველები.

გიორგი –> გირგო –> გირგოა –> გირგუა –> გიგუა. აქედან გვარ-სახელი **გიგუაშვილი** (აღმოსავლეთ საქართველოში);

გიორგი –> გიორგა –> გირგა –> გიგა. აქედან გვარ-სახელი **გიგაშვილი** (იმერეთში), გიგანი (სვანეთში);

გიორგი –> გიორგია –> გირგია –> გიგია. აქედან გვარ-სახელი **გიგიაძე** (იმერეთში), **გიგიაშვილი** (აღმოსავლეთ საქართველოში). ადამიანის საკუთარი სახელი **გიგია** ხევსურეთში.

გიორგი –> გიერგ –> გერგ –> გერგიძე. შდრ. დღეს არსებული გვარ-სახელი **გერგაია; გერგაია <– გეორგაია**; გეგიძე <– გერგიძე, ანთროპონიმი გეგა // გიგა.

ამრიგად, ***გიგი <– გიორგი.*** შდრ. პროფ. ვ. მაღრაძის ახსნა: **გეგია –> გეგია-შვილი // გეგიაძე** ან: **გიგია –> გიგიაძე**, რაც ახსნილია ორმაგი სუფიქსაციით (**-ია+ძე**, ან: **-ია+შვილ**). [12, 157]. **შენიშვნა: გიგია**"ში და მისთ. როცა ის ანთროპონიმია, **–ია** კნინობითი სუფიქსია, როცა გვარი – **-ია** გვარ-სახელთა მაწარმოებელი: გიგია <– <– გიგია +ია <– გიგია + იან-ი, დად-ია <– დად-იან-ი. ამრიგად, ეს ორი **–ია** საწარმოებელი ბოლოსართი სხვადასხვა ოდენობა ჩანს. გვარებში **-ია** საწარმოებელი ისტორიულ **–იან** (-ევან –> ეან –> იან –> ია) სუფიქსისგანაა წარმომდგარი: გიგია <– გიგია- + იან-ი.

გიორგი –> გირგი –> გიგი –> გიგილა –> გიგლა (**-ილა** კნინობითობის სუფიქსი). აქედან გვარ-სახელი **გიგილაშვილი.** შდრ. საკუთარი სახელი **გიგლა, გიგილო.**

გიორგი –> გიორგუცა (**-უც(ა)** კნინობითობის სუფიქსი) –> **გიგუცა**; მოსალოდნელია გვარ-სახელები **გიგუციძე** ან ***გიგუცაძე***.

გიორგი –> გიორგიჩა (**-იჩა** კნინობითობის სუფიქსი) –> **გოგიჩა**. აქედან გვარ-სახელი **გოგიჩაძე, გოგიჩაიშვილი** (ორივე დასავლეთ საქართველოში: პირველი – იმერეთში [მუხურა, ზოვრეთი], მეორე – გურიაში); შდრ. მეტსახელი ***გოგიჩა***, გვარსახელ ***გოგიჩაიშვილის***აგან მომდინარე. შდრ. ***გოგჩა*** (ახლანდელ სომხეთში სევანის ტბის სეხნია სახელი).

გიორგი –> გორგი –> გორგი +ჯან(ა). აქედან გვარ-სახელები: **გოგოჯანაშვილი, გორგოჯანიძე** (აღორძინების ხანის ცნობილი ისტორიული პიროვნებაა ისტორიკოსი ფარსადან გორგოჯანიძე).

შენიშვნა 3: **ჯანა** რთულ დაბოლოებაში **-ა** ქართული სიტყვასაწარმოებელი ბოლოსართია, ხოლო საკუთრივ **-ჯან** (რომელიც სომხურ ენაში და სომხურ გვარ-სახელებში გვხვდება: აღაჯანოვი, აღაჯანიანი) სპარსული წარმომავლობის სიტყვა (უდრის: ქართულ ,,სულიკოს''). შდრ. ქართული გვარ-სახელები: ველიჯანაშვილი, ყულიჯანაშვილი....

გიორგი –> გორგი –> გოგ+ელ-ი // გოგელა. აქედან გვარ-სახელები **გოგელია, გოგელიძე, გოგალაძე (**დასავლეთ საქართველოში).

გიორგი –> გიორგ-ოლა (**-ოლა** კნინობითობის სუფიქსი) –> **გორგოლა –> გოგოლა**. აქედან გვარ-სახელები: **გოგოლაძე, გოგოლაშვილი** (იმერეთში, ქართლსა და კახეთში), **გოგოლაური** (ფშავში); შდრ. გვარ-სახელი ***გოგოლი,*** ტოპონ. ***გოგოლეისუბანი*** (გურიაში). ამრიგად, **გოგლა <– გიორგოლა**. ***გოგლა*** ,,შინაური'' საკუთარი სახელი ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძისა.

გიორგი –> გიორგილა (-ილა კნინობითობის სუფიქსი) –> **გორგილა** –> **გოგილა.** აქედან გვარ-სახელი ***გორგილაძე*** (დასავლეთ საქართველოში, აჭარაში), **გოგილაშვილი** (აღმოსავლეთ საქართველოში);

გიორგი –> გორგი –> გორგოლი –> გოგოლი –> გოგლი. აქედან გვარ-სახელები **გოგოლი** და **გოგლიძე** (დასავლეთ საქართველოში). შდრ. მოფერებით-საალერსო სახელი ***გოგლიკო.***

გიორგი –> გიორგილა –> გიორგილაიჩა –> გოგლიჩა (-**ჩა** კნინობითობის სუფიქსი) –> **გოგლიჩა**. აქედან გვარ-სახელი **გოგლიჩიძე.**

შენიშვნა 4: სხვაგვარი წარმოშობისა და სხვა ფუძის შემცველია გვარ-სახელები ***გოჩელაშვილი, გოჩიაშვილი, გოჩიტაძე, გოჩიტაშვილი, გოჩაძე***. მათი ამოსავალი ძირი **გოჩა** ანთროპონიმია. ასევე განსხვავებული წარმოშობისაა გვარ-სახელები ***გოგრიჭიანი, გოგორიშვილი.*** ცხადია, ასევე გვარადქცეული ეპითეტური ზეწოდება ***გორგასალი.*** შდრ. ***გორგასლიძე, გორგასანიძე.***

შენიშვნა 5: **გოგ** ძირისაგან არის ნაწარმოები ამავე **გოგ** ძირის შემცველი რთულ ფუძიანი გვარ-სახელები: ***გოგისვანიძე, გოგიბერიძე, გოგბერაშვილი, გოგობერიშვილი, გოგიბედაშვილი.*** ასევე გვარ-სახელი **გიორხელიძე <– გიორგხელიძე <– გიორგჴელიძე.** მვ. ქართ. ჴელი = ,,გიჟი''. შდრ. გახელება ,,გაბრაზების'' მნიშვნელობით).

შენიშვნა 6: რაც შეეხება ყველასათვის ნაცნობი ხალხური სიმღერის ტექსტს ,,ცანგალა და გოგონას'' ,,გოგნი-გოგო-გოგონა''-სეულ ,,გოგნ''-ს და მის ვარიაციულ ძირებს, მას არაფერი აქვს საერთო აქ განხილულ ,,გოგ'' ძირთან. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ **გოგო** და **დოდო** (შდრ. **ჯოჯო**) ლექსემები ბგერითი სიმბოლიკის გზით მიღებული ვარიციული სიტყვაფორმებია.

შენიშვნა 7: შუაიმერეთში, სოფელ ***სვირში*** (ზესტაფონის რაიონი), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორის, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტის, ქეთევან ცხადაძის თქმით, არსებობდა ეკლესია «ჭაბუკთა წმინდა გიორგის» სახელწოდებით (სადაც იმერეთის სხვადასხვა სოფელში მაცხოვრებელი ცხადაძეების გვარეულობა ამ საერთო სალოცავში იკრიბებოდა), ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ იმერეთშიც, ისე როგორც სვანეთში, წმინდა გიორგი ჭაბუკთა მფარველი (ვაჟიერების) ღვთაება ყოფილა. ამ მხრივ საინტერესოა დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) გავრცელებული და დღემდე მოღწეული ვარიაციული გვარ-სახელი **ჩიგოგაძე // ჩიგოგიძე** (XIX საუკუნის 40-იანი წლების ცნობარის მიხედვით ***ჩიგოგაძეთა*** გვარის მქონენი მოსახლეობდნენ ამჟამინდელი სამტრედიის რაიონის სოფ. მათხოჯში, ბაღდათის რაიონის სოფ. ობჩაში), ხოლო **ჩიგოგიძენი** – საჯავახოში [10]: **ჩიგოგაძე // ჩიგოგიძე <– თეთრგოგიძე – თეთრგიორგიძე <– თეთრ გიორგის ძე <– თეთრი გიორგის ძე**, თუ, რა თქმა უნდა, ეს გვარ-სახელი პიროვნებისაგან წარმომდგარი სახელი არაა (თუმცა, ასეც რომ იყოს, ამ მხრივაც საყურადღებო ფაქტია).

შეიძლება დავასკვნათ: ნებისმიერი ქართული გვარის, მათ შორის **,,გიორგ // გორგ...'' (გიორგაძე, გიორგიძე, გორგიძე, გორგიაშვილი...)** ძირიანი გვარ-სახელების გავრცელებას საქართველოში წინ უსწრებდა ადამიანის საკუთარი სახელების (ანთროპონიმების) არსებობა და ამ ანთროპონიმებში მოქმედი ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები, რომლებიც გვარების წარმოშობისას თან გადაჰყვა გვარ-სახელის ფუძეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი, რაც ზოგჯერ დიდ ცდომილებას წარმოშობს – თუნდაც ზემოდასახელებული გვარების მატარებელი წინაპრები ერთი საერთო წინაპრისაგან კი არ წარმოიშვნენ (როგორც ზოგიერთს ჰგონია), რომელსაც გიორგი ერქვა..., არამედ სხვადასხვა ლოკალური და ისტორიული ფაქტის არსებობით წარმოდგა ესა თუ ის გვარი ეპონიმ

გიორგისაგან, თუნდაც იმერეთში, კერძოდ, ბაღდადში გვარ-სახელი გიორგიძე, წყალტუბოს რაიონში ან ტყიბულის მხარეს გორგიძე და გოგიძე, იმერეთშივე და გურიაში – გიორგაძე, ქართლში – გიორგიშვილი და გიორგაშვილი და ა. შ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გიორგი, მიქელა, დავითი, ბერი, გელა, მაისურა და ა. შ. საქართველოს ყველა კუთხეში ერქვათ და ამიტომაც გვარებიც შესაბამისად ასე წარმოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ათასობით სულის შემცველი რომელიმე პიროვნების გვარი მაგალითად, ბერიძე (დაახლოებით 25 ათასამდეა), კაპანაძე (19 ათასი), გელაშვილი (18 ათასი) რამდენიმე ათასს აჭარბებს, მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გვარებს საერთო წინაპრად ერთი ეპონიმი ჰყავდათ.

თუმცა ზოგჯერ გვარის წინაპართა მიგრაციაც არ გამოირიცხება (მაგალითად, ცხადაძეების ერთი ოჯახის გადასახლება იმერეთიდან 150 წლის წინათ (სოფელი სიქთარვა, თერჯოლის რაიონი) კახეთში (ახმეტის რაიონი, სოფლები მატანი, ჯოყოლო).

რაც შეხება გვარ-სახელ გორგიძეს და სხვ. მისთ. ზემონახსენებ გვარებს, მათი შესწავლა უნდა მოხდეს ლოკალურად, განკერძოებით, სოფელ-სოფელ და ოჯახ-ოჯახ, რათა დავრწმუნდეთ და გავიგოთ, იყო თუ არა ოდესმე ამ გვარის მატარებელთა მიგრაციული პროცესები რომელიმე საუკუნეში.

გვარი ისტორიაა, გავურთხილდეთ ჩვენს ისტორიას და ჩვენს გვარებს.

BADRI TSKHADADZE

THE CULT OF ST. GEORGE AND THE ORIGIN AND EXPANSION OF THE FIRST AND LAST NAMES SUCH AS " GIORG//GORG.." (GIORGADZE, GIORGIDZE, GORGIDZE) IN GEORGIA.

Summary

The given research article deals with the questions regarding the cult of St. George, as well as the origin and definition of the mentioned cult, terms of the expansion-distribution from the point of local and global use.

According to the author's view any spread of Georgian surnames and among them the names with the roots " Giorg//Gorg.." (Giorgadze, Giorgidze, Gorgidze) was preceded by the existence of personal human names (anthroponomy) and phonetic and morphological processes that characterize the Georgian language, which during the process of origin of the names turned into the roots of names. But we must not forget the important thing that sometimes mislead us, although the above mentioned names and last names do not come from the same ancestor (as some may think) whose name was Georgi, it arose in the effects of different local and historical facts from eponym of the name "Giorgi". For example, in Imereti, mainly in Baghdad - last name Giorgadze in Tskaltubo's area or Tkibuli "Gorgadze" and "Gogidze" in Imereti and Guria -" Giorgadze" in Kartli – "Giorgishvili" and "Giorgashvili". We must remember that, George, Mikela, David, Beri, Gela, Maisura, etc. were named in every corner of Georgia and the above mentioned surnames derivate from these names. But despite the fact that under the same name exist thousands of souls: Beridze (25000),

Kapanadze (19 000), Gelashvili (18 000), we still can not claim, that these names have a common eponym ancestor.

Though, sometimes we should not deny the migrations of ancestors (for instance, 150 years ago the Tskhadadze's family moved from Imereti (village Siktarva, Terjola's district) Kakheti (Akhmeta district village of Matani, Jokolo).

As for the first and last names of Gorgadze and other above mentioned names and surnames, they must be explored locally, personally, in the villages and families in order to understand and make sure, whether migration processes of the families took place in the local or large scale processes of any age.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **თ. ჩიქოვანი**, იდუმალა. თბ., 1975.
2. **ა. ღლონტი**, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1986.
3. **ა. ჭანტურია**, მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006.
4. **ნ. ჯომიდავა**, 3000 მეგრული გვარ-სახელი, პროფ. ბ. ცხადაძისა და პროფ. ნ. ლემონჯავას რედაქციით. თბ., 2000.
5. **ზ. ტუღუში**, კნინობითი სახელები გურულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXXI, თბ., 1992.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბ., 1977.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. 2. თბ., 1951.
8. **ზ. იაშვილი**, როგორ, როდის და საიდან წარმოიშვა გვარები: სალიტერატურო სამეცნიერო ჟურნალი ,,პარალელი'', 2012,4.
9. **ბ. ცხადაძე**, ***ზარნაძეთა*** გვარის თავგადასავალი (მონოგრაფია), [PDF] union.zarnadze. com.pdf/union.zarnadze.comhistiry.pdf
10. ქართული გვარ-სახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლები (ცნობარი) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ. საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2004.
11. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1987.
12. **ვ. მაღრაძე**, ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006.

✍ *ავთანდილ არაბული, ბადრი ცხადაძე*

ტერმინებში გამობრძმედილი მეტალურგები

ქართული ენა, როგორც უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურული ენა, მდიდარია ნაირგვარი დარგობრივი თუ ქვედარგობრივი ტერმინით – პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინებიდან დაწყებული მეტალურგიული ტერმინებით დამთავრებული. ამ უკანასკნელთ სიძველითა და სიმდიდრით იშვიათად თუ გაეჯიბრება რომელიმე ენობრივი სამყარო.

თქმულის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ დღემდე აქტიური მოხმარების მეტალურგიულ ტერმინად ქცეული სიტყვა **ბრძმედი,** რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული. იგი 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავშია ფიქსირებული. ამავე ძეგლში ბრძმედ'ის გვერდით დასტურდება ლითონისა და ქვის სახელები და მასთან დაკავშირებული ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ანთრაკი «ერთგვარი ძვირფასი ქვა, ცეცხლისფერი», ბრპენი «ტყვია», საფირონი «ძვირფასი ქვა, იაგუნდი», ქვა, [1, 124]. მაგრამ ერთი შესწორებით: «სინურ მრავალთავში» ბრძმედ'ის ნაცვლად მისი სახეცვლილი ვარიანტი «ბრძმეთ» სიტყვაფორმაა დამოწმებული. ახლა ძნელია იმის თქმა და დადგენა, რომელი ფორმაა არქაული ბრძმედ-ი თუ – ბრძმეთ-ი.

ეს ძველ ქართულში, მაგრამ სულ ძველად?....

სულ ძველად, ანუ უხსოვარი, ისტორიამდელი დროიდან, ქართველი კაცი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ლითონი ჩვეულებრივი ქვისაგან გამოარჩია. როგორც ცნობილი მეტალურგი, პროფ. ფ. თავაძე წერს, სწორედ ამ ხანიდან ჩაისახა «ლითონმცოდნეობა" [2, 8-9].

ლითონის დამუშავების სიძველის ნიშნად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული მეტალურგიის კერების არსებობა. ასეთი კერები აღმოჩნდა მდ. რიონისა და მისი შენაკადების ხეობებში. აქ ნაპოვნია დიდძალი წიდები და ლითონის სადნობი ღუმლების ფრაგმენტები, ასევე ბრინჯაოს სამოწათმოქმედო, სახელოსნო და სამონადირეო იარაღები. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი კოლხური რკინის მეტალურგთა მაშინდელი (ძვ. წ. აღ. VI-IV სს.) ნაწარმი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [4, 86-87].

არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დამყარებით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პალეოლითიდან მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კულტურული ცხოვრება იყო ფეხმოკიდებული, ამ არეალში ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნახევარში უკვე ლითონს ამუშავებდნენ. კერძოდ, სინოპეს ადგილობრივი, პირვანდელი მოსახლეობა (პირველწყაროე-

ბის მიხედვით, «არაბერძნულ-ეთნიკური ჯგუფები») ძირითადად და არსებითად ხალიბებისაგან შედგებოდა, რომელთა ნახელავმა რკინის ნაწარმმაც პირველად მიიქცია ბერძენთა ყურადღება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნებმა რკინას, ფოლადს იმ ხალხის სახელი უწოდეს, ვისი სახელიდანაც მათ იგი პირველად მიიღეს და გაიცნეს. ძველი ანტიკური ხანის ავტორები (ჰეროდოტე და სხვ.) ხალიბებს, მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე ასახელებენ. ყველა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ, ქართველური ტომები არიან [4, 21-22].

1963-1965 წლებში ქუთაისის მუზეუმს დიდძალი არქეოლოგიური მასალა შესძინა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ქუთაისის მუზეუმის თანამონაწილეობით გაიმართა (ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე). ქალაქშივე, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე – გაბაშვილის გორაზე ძ. წ. აღ. VIII-VII სს. ნამოსახლარში აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის რკინის მეტალურგიის აყვავების დამადასტურებელი ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებით ფასეულია ლითონსადნობი ქურისათვის განკუთვნილი თიხის ბოლოდამწვარი საბერვლის საქშენი მილები, ყალიბების ფრაგმენტები, რკინის ზოდები და წიდები. ამ მასალებს «ცაცხვების» ქუჩაზე ადრე აღმოჩენილ რკინის თოხებთან ერთად, ისტორიული ქუთაისის საქალაქო ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ძველ საქართველოში ქართული ენის უცხო ენებთან კონტაქტმა, საეკლესიო წიგნების თარგმნამ დიდად შეუწყო ხელი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და დახვეწას: ,,ამოქმედა ქართული ენის პასიური ლექსიკური ფონდი და გაამდიდრა სიტყვაწარმოება» [5, 12-13]. იმავდროულად წიგნიერი საქართველოს ეთნოკულტურულ ყოფას ცოცხალი ქართული მეტყველებაც მხარს უბამდა. მაგალითად, იმერეთს და ქართული ენის იმერულ კილოს წინაპართა ,,მეტალურგიული'' ნაკვალევი ახლაც ატყვია: მაგალითად, მთისა და ბარის დიალექტებში მოიპოვება არაერთი ვარიანტი იმავე გრდემლისა: გრდემლს დგემლი // დგვევლი // დგვემლი // დგვლემი....

ამრიგად, ქართველთა მეტალურგიული ნიჭი, ,,ლითონმცოდნეობითი ტრფიალი'' საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა. ეს მაჯისცემა არასდროს შეწყვეტილა, მაგრამ ქართულ მეტალურგიულ-ტერმინოლოგიური ზეობა-აღზევება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, როცა საქართველოში ჩასახვასა და გავითარებას იწყებს კაპიტალიზმი, ქართული რკინიგზა... ქართველ სამოციანელთა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე....) თაოსნობით იქმნებოდა ქართული ტერმინოლოგია (მარტო სიტყვა ,,ლიანდაგის'' ტერმინად ქცევა რად ღირს!).

XX საუკუნემ კიდევ უფრო გააფართოვა მეტალურგიული თეორიულ-პრაქტიკული ცხოვრება და ტერმინთშექმოქმედება. ამის საფუძველი კი მძიმე ინდუსტრიის განვითარება, ჯერ დაბა ყვირილას დაარსება და ზესტაფონად (ფეროშენადნობთა ქარხანა), ქცევა და შუასაუკუნეების ბოსტანქალაქის რუს-

თავად შექმნა-გარდასახვა (თავისი საამქროებითა და მარტენის ღუმლებით....) გახდა.

ამრიგად, ქართულმა მეტალურგიულმა მრეწველობამ, ამასთან მეტალურგიული მეცნიერების კვლევით-თეორიულმა და პრაქტიკულმა ღვწამ, სამეცნიერო კვლევებმა და აღმოჩენებმა საქართველოს ამ დარგში შესძინა საკავშირო და მსოფლიო მასშტაბები. ქართველ მეტალურგთა წარმოებითმა ზრდამ მათსავე მხრებზე ამოზარდა და წარმოქმნა არაერთი ,,ლითონმცოდნეობითი ტერმინი'', რაშიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩართული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სპი-ს კათედრები (მათ შორის ლითონმცოდნეობის, ქართული ენისა და უცხოური ენების...).

მეტალურგ სპეციალისტებთან ერთად ტერმინთშემოქმედებას მეცნიერულად სწორ მიმართულებას აძლევდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ტერმინოლოგიის განყოფილების სახით (ვუკოლ ბერიძის, როგნედა ღამბაშიძის, ასევე აკადემიკოსების: არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის.... მეთაურობით).

1959 წელს გამოიცა პირველი ლექსიკონი ამ დარგისა ,,მეტალურგიის ტერმინოლოგია'' ნ. ქაშაკაშვილისა და რ. ღამბაშიძის რედაქტორობით [6]. ამ ლექსიკონმა დიდი წვლილი შეიტანა პირველი ქართველი მეტალურგების კვალიფიკაციური კადრების, მეტალურგიული ტექნიკუმების და სპი-ს მეტალურგიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ახლად დაარსებული სამთო საქმისა და მეტალურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერული მიმართულებების განსაზღვრაში.

გასული საუკუნის ბოლოს ხუთენოვანი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ლექსიკონის გამოცემა [7] 9200 ტერმინით ტერმინოლოგების, ლექსიკოლოგების დიდი წინაგადადგმული ნაბიჯი იყო.

ქვეყნებისა და მეტალურგიული საწარმოების დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხუთენოვანმა ლექსიკონმა დიდი როლი ითამაშა დსთ-სა და ინგლისურენოვან, გერმანულენოვან, ფრანგულენოვან ქვეყნებში. დღეს მოქმედი მეტალურგიული ქარხნების კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან ურთიერთობა ახალი რაკურსით წარიმართა საწარმოების სათბობ-საწვავით, ფერო-შენადნობების ძირითადი ნედლეულითა და, რაც მთავარია, პროდუქციის რეალიზებით. ამ პერიოდისათვის და დღესაც უკრაინის, რუსეთის, ყაზახეთის, მოლდავეთისა და სხვა ქვეყნების მეტალურგიული საწარმოების პროდუქციის დიდი წილი, განსაკუთრებით საქართველოსი, საზღვარგარეთ ექსპორტად გადის.

ეს ტენდენცია ყოველწლიურად იზრდება და მის ორგანიზებას სჭირდება სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მეტალურგების, კოლეგების პროფესიული ტერმინებით ურთიერთობა, კონტრაქტების შედგენა ერთობლივი კვლევა და სხვ.

ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინოლოგიის შემდგენლებმა, რედაქტორებმა და გამომცემლებმა, ყველა ადრე გამოცემული მეტალურგიული ტერმი-

ნების ლექსიკონებით სარგებლობის მეცნიერულ-ტერმინთშემოქმედებითს პროცესში, 9330 ტერმინით გაამდიდრეს ექვსენოვანი ლექსიკონი, ხოლო უკრაინული ენის მეტალურგიული ტერმინების შედგენითა და ლექსიკონში შეტანით ტერმინთა საერთო რაოდენობა 37400 ახალი ტერმინით გაზარდეს. ექვსენოვანი ლექსიკონის შემდგენლებმა, რედაქტორებმა და გამომცემლებმა, ახალ ტერმინებთან ერთად, ნახევარი საუკუნის წინ გამოცემული ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული და XX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული მრავალენოვანი ლექსიკონების ბევრი ტერმინი შეცვალეს უკეთესი, უფრო ადეკვატური და უცხო ენებთან უფრო შესატყვის-მისადაგებული ტერმინებით.

და მაინც განუზომელია ნიკოლოზ ქაშაკაშვილის, გიორგი ნიკოლაძის, როგნედა ღამბაშიძის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხუთენოვანი მეტაურგიული ლექსიკონის შემდგენლის ბატონ ომარ შურაძის წვლილი ქართული მეტალურგიელი ლექსიკონის შექმნა-შედგენაში. მაგალითად, მათ მიერ შედგენილ ლექსიკონებში პირველად გაჩნდა ტერმინები დგან, დგარ, დანადგარ, სადგარ, სადგმელ, სადგურ და სხვ. აქ დგან//დგარ მეტალურგიული ტერმინები საყრდენ ცნება-ტერმინებადაა გამოყენებული ახალ-ახალი სპეციფიკური სიტყვა-ტერმინების შესაქმნელად. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ დგან, დგარ ფლექსიურ-ვარიაციული სუფიქსური დაბოლოება შემორჩენილი გვაქვს ქართული ენის რედუპლიცირებულ ფუძეში დგანდგარ სიტყვაფორმის სახით, რაც ზუსტად მიესადაგება დგან და დგარ ტერმინთა შინაარსეულ სპეციფიკას.

ჩვენი ლინგვისტური თვალსაწიერით, ო. შურაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი კარგად წარმოაჩენს, ქართული ენის სიტყვბაშემოქმედებითს, სიტყვაწარმოებისა და სიტყვაქმნადობის უნარს, თუნდაც დგან/დგარ ვარიაციულ ფუძე-ლექსემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მეტალურგიულ ტერმინოლოგიაში ხსენებული ფუძე-ლექსემა როგორ დასდებია საფუძვლად ახალ-ახალი ტერმინების შექმნა-წარმოებას, მაგ.: დგანი: დგან-ელონგატორი, დგანი /ადიდვის, დგანი /ადიდვის ორმაფიანი, დგანი /ადიდვის ორჯაჭვიანი, დგანი /ადიდვის ჯაჭვიანი, დგანი /ავტომატური მილსაგლინავი, დგანი /ამძრავდისკოებიანი გამჭოლი, დგანი /არამარყუჟული ტიპის ადიდვის, დგანი /არარევერსიული, დგანი /არტახსაგლინავი, დგანი /ასელის საგლინავი, სამგლინიანი შემომგლინავი დგანი.... სულ 170-მდე სპეციფიკური ტერმინი...

მსგავსად ხუთენოვანი ლექსიკონისა, ექვსენოვანი ლექსიკონის მეცნიერ-შემდგენლების წვლილიც თვალნათელი და გამორჩეულია. მათ ახლებურად გაიაზრეს და დააზუსტეს-განმარტეს რუსულ მეტალურგიულ ტერმინთან მისადაგებული არაერთი შესატყვისი ქართული ტერმინი. მაგ., პროფესორების ნ. ქაშაკაშვილისა და რ. ღამბაშიძის რედაქტორობით გამოცემულ ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონში და ო. შურაძის მიერ შედგენილ და გ. ქაშაკაშვილის რედაქტორობით გამოცემულ ხუთენოვან ლექსიკონში ტერმინი ,,აბაზანა'' – ,,ამომჭმელი'' травильная ванна) ექვსენოვან ლექსიკონში შეცვლილია ტერმინით ,,აბაზანა მოწამვლისათვის'', რაც ზუსტად შეესატყვისება არა მხოლოდ რუსულს, არამედ სხვა უცხო ენების ტერმინებსაც, რადგან ყველა მეტალურგიულ ქარხანაში, მათ შორის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც მილების ცივად გლინვის – მილსაადედვო საამქ-

როშიც მოქმედებდა ,,მომწამლავი განყოფილება აბაზანებისა დიდი რაოდენობით მოწავლისათვის". ამომჭმელი აბაზანები ან ამომჭმელი განყოფილება არც საქართველოში, არც სხვა ქვეყნების მეტალურგიულ ქარხნებში, არც სხვა ინსტიტუტში არ იხმარება. საქართველოში ქართულად და სხვა ქვეყნებში თავიანთ ენაზე დამკვიდრებულია ტერმინი მომწამვლელი განყოფილება, მომწამლავი აბაზანები, რუსულად – травильное отделение, травильные ванны. ამ ერთმა ტერმინმა ,,მოწამვლამ" შეცვალა ხუთენოვანი ლექსიკონის 11 შედგენილი ტერმინი (278-293), და კიდევ ცხრა ახალი ტერმინი დაემატა, რომლის ჩამონათვალშიც გვხვდება ძველი, ძირძველი ქართული ტერმინებიც; მაგალითად, მოწამვლის ნახჭები (узоры травления), მოწამვლის ელფერი (оттенки травления) და სხვ. კიდევ ერთი მაგალითი: ხუთენოვანში ტერმინი ,,დისკო" (მიმმართველი) – რუსულად направляющий диск ექვსენოვანში, ჩვენი აზრით, სწორადაა შეცვლილი ქართულში დამკვიდრებული ტერმინით ,,ბადრო" (მიმმართველი).

ასევე: ხუთენოვანის ტერმინი ,,მანქანა გამოსაცდელი", ექვსენოვანში შეცვლილია ტერმინით ,,გამომცდელი მანქანა", რადგან მანქანამ კი არ უნდა გაიაროს გამოცდა, არამედ ლითონის სინჯმა ან ლითონპროდუქციამ. ასევე ხუთენოვან ლექსიკონში ტერმინი ,,თვლების და ლენტის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი" უცხო ენებიდან დამახინჯებული, შეცდომით თარგმნილი ტერმინია.

ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) ლექსიკონების შემდგენლების, მეცნიერი-რედაქტორების დიდი დამსახურება ისაა, რომ მათ 9000 ტერმინზე მეტი (რომლებიც ვერ აისახა ხუთენოვან ლექსიკონში, წლების განმავლობაში დაიბინდა – სპეციალისტებისაგან დავიწყებას მიეცა) ხმარებიდან გამოსული ტერმინოლოგიური ერთეული კვლავ სიცოცხლის უნარიანი გახადეს – ამ მეტალურგიულმა ტერმინებმა კი ახალი სიცოცხლე შესძინეს სარეცენზიო ექვსენოვან ლექსიკონს, რითაც იგი მომხმარებლისათვის უფრო სრულყოფილად წარმოდგა, ასე რომ გამრავალენოვნებული ტერმინების უმრავლესობა ქართული ენის გრამატიკულ წესთწყობის სადაგი, უფრო შეხამებულ-შეთანადებული და ბუნებრივი გახადა. მაგ., მანკი (рус. порок, укр. вада, гандж; инг. flaw герм. Fehler m, Mangel m, франг. defaut m, Faute f, vice m); амწე მანქანა подъёмная машина – амწე марწუხით кран с клещами // клещевои кран – არეკვლითი გამოდნობა отражательная выплавка არეკვლითი დნობა отражательная плавка არეკვლითი თვისებები отражательные свойства არეკვლის უნარი отражательная способность. არეკვლითი ღუმელი отражательная печь – შესაბამისი უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული შესატყვისებით;

ეს სიტყვა-ტერმინები ნ. ქაშაკაშვილისა და რ. ღამბაშიძის, ასევე ხუთენოვან ლექსიკონში ვერ მოხვდა, რადგან ლექსიკონის შედგენისას მხოლოდ 20 წყარო იქნა გამოყენებული, ხოლო ექვსენოვანში – 80-ზე მეტი.

მართალია, ეს ლექსიკონი განმარტებითი ხასიათის არაა, თუმცა არაერთი ტერმინი თავისთავად მაინც შეიცავს ახსნა-დაზუსტებით ინფორმაციას. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ,,მეტალურგიულ-ლექსიკოგრაფიული ჯგუფი" ამ საქმესაც თავს წარმატებით გაართმევს.

ასევე დაზუსტდა, დაიხვეწა მრავალი სიტყვა-ტერმინი, რეკომენდაცია მიეცა ასობით ლოკალურ და სინტაგმურ მეტალურგიულ-სპეციფიკურ ცნება-ტერმინს.

ცხადია, არც ერთი ლექსიკონი დაზღვეული არაა შეცდომისაგან, სარეცენზიო ლექსიკონსაც სისრულის პრეტენზია არა აქვს. მაგალითად, 1. იქნებ მრავალენოვანი ლექსიკონის შექმნის სპეციფიკამ გამოიწვია ის არასრულობა, რომ წინამდებარე ლექსიკონში ნაკლებად აისახა ძველი ქართული მეტალურგიულ-ლითონმცოდნეობითი ტერმინები (ილეკრო, გრდემლი და სხვ.); 2. მეტალურგიული ტერმინების ექვსენოვან ლექსიკონშიც, როგორც ნებისმიერ გამოცემებში, შეინიშნება სხვა ხარვეზებიც, კორექტურული შეცდომები (არეკლითი..., 3. სინონიმური ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ერთეულების როგორც ერთად, ისე ცალკე ერთეულებად გატანა და სხვ.),

მიუხედავად ამისა, სარეცენზიო ექვსენოვან ლექსიკონს მეტალურგიული დარგის დღემდე არსებული ლექსიკონებთან დიდი უპირატესობა აქვს. მაგ.,

1. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონის ორტომეული, ორიგინალური პროგრამის ელექტრონული ვერსიით, ენათა სიმრავლით, ტერმინთა საერთო რაოდენობით რამდენჯერმე აღემატება წინათ გამოცემულ ლექსიკონებს.

2. მსოფლიოში ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის წარმოებით უკრაინა მეშვიდე ადგილზეა და საამაყოა, რომ საქართველოში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიისა და ენების კათედრების პროფესორ-მასწავლებლებმა შეადგინეს, რედაქტირება გაუკეთეს და უკრაინული ენის მეტალურგიული ტერმინების დამატებით პირველად გამოსცეს ექვსენოვანი ლექსიკონი;

3. ყველა სხვა მეტალურგიული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისაგან განსხვავებით, ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, ორიგინალური პროგრამის ელექტრონული ვერსიით, ერთადერთია, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში, რითაც ფართოდ სარგებლობენ მეტალურგიული დარგის მქონე ქვეყნების სპეციალისტები და მეცნიერები.

4. ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ტერმინების ორტომეული ლექსიკონი, ელექტრონული ვერსიით როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით უკრაინის, ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი მიღწევაა და იმავდროულად ისტორიული გამოცემაცაა, რადგან მის შედგენაში, რედაქტირებასა და გამოცემაში მონაწილეობდნენ მეტალურგიის დარგის ავტორიტეტული ინსტიტუტებისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები, განსაკუთრებით უმაღლესი რანგის მეცნიერი მოღვაწეები.

5. ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინების ორტომეული ლექსიკონი საქართველოშია დასტამბული და სასიამოვნოა, რომ პოლიგრაფიული დონით ყველა წინათ გამოცემულ მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონებსა და სხვა დარგების მეცნიერულ-საცნობარო წიგნებზე უმჯობესი და მაღალი კლასის გამოცემაა. ლექსიკონი ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების მეტალურგიუ-

ლი, სხვა მონათესავე დარგის სტუდენტების, ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორებისა და მეცნიერ-მუშაკების მომზადებას, ასევე ახალი მეცნიერული შრომების შექმნა-გამოცემას.

6. როგორც ხუთენოვანი მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, ასევე ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ტერმინების ორტომეული ლექსიკონი ეძღვნება საქართველოში მძიმე ინდუსტრიის საწარმოების – ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ფუძემდებლების, უბადლო მეცნიერებისა და მამულიშვილების, მეტალურგთა პირველი ტერმინოლოგებისა და ლექსიკოგრაფების გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქაშაკაშვილის 125 წლის იუბილეს, რომელიც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, საინჟინრო და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერებთან ერთად მიმდინარე წელს უნდა აღნიშნოს.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეტალურგმა მეცნიერებმა წარმოდგენილი ორიათასგვერდიანი ლექსიკონის შესაქმნელად უზარმაზარი საორგანიზაციო-საგამომცემლო და სარედაქციო-სამეცნიერო-ლექსიკოგრაფიული შრომა გასწიეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი ექვსენოვანი სრული მეტალურგიული ციკლის ამსახველ ,,მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონს'' (მის ელექტრონულ ვერსიას) მეტალურგიული დარგის ქვეყნების, მეტალურგიაში მომუშავე სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის უაღრესი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს.

და ბოლოს ისღა დაგვრჩენია, რომ წარმატება ვუსურვოთ ხალიბებისა და თაბალების გზაზე მავალ ქართველ მეტალურგ მეცნიერებს ქართული სახელმწიფო ენის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1959.
2. ჯ. ხანთაძე, ლითონთა სამყაროში ფერდინანდ თავაძესთან, თბ., 2003
3. მ. ნიკოლეიშვილი, განძი და საგანძური (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი), 1986
4. მ. მაქსიმოვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, მოსკოვი, 1957. რუსულ ენაზე.
5. არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა. კრებ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წ. I. თბ., 1972
6. მეტალურგიის ტერმინოლოგია'' *ნ. ქაშაკაშვილისა* და *რ. ღამბაშიძის* რედაქტოროზით, თბ., 1959
7. ხუთენოვანი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ლექსიკონის გამოცემა (შემდგენელი *ო. შურაძე,* მთავარი რედაქტორი *გ. ქაშაკაშვილი.* თბ., 1999
8. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი ორ ტომად (ექვსენოვანი: ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), პროფ. *გ. ქაშაკაშვილის* საერთო რედაქციით. თბ., 20011

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური კვლევის ცენტრი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ხელმძღვანელი პროფესორი **იგორ კვესელავა)** შეთავაზებითა და რექტორის პროფესორ **არჩილ ფრანგიშვილის** აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური კვლევის ცენტრი. რომლის ამოცანაა შეისწავლოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და პროფესიული განათლების სტუდენტების სასწავლო პროცესის ხარისხი და დასახოს მისი გაუმჯობესების გზები.

ამ მიზნით: ცენტრი შეისწავლის სასწავლო და შემოქმედებით პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს, დაადგენს სასწავლო პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორების გამომწვევ მიზეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ყურადღება გამახვილდება სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ღირებულებათა ორიენტაციაზე, პროფესორ-მასწავლებელთა გავლენის გაზრდის აუცილებლობაზე, გარეშე ფაქტორების გავლენის კვლევაზე როგორც ზოგადად ქართული განათლების სისტემაში, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარებაში.

სოციოლოგიური კვლევის ცენტრი გაანალიზებს და სათანადო დასკვნებს გამოიტანს ტექნიკური უნივერსიტეტის წარსულისა და ახალი ვითარების თანაარსებობის გარემოებებიდან, შეაფასებს მათ ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე ცენტრი გამოიკვლევს სტუდენტთა სადღეისო პრობლემებს, ინტელექტუალური აქტივობის დონეზე მათთან მიმართებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ქმედებების ეფექტურობას, შიდა და გარე კომუნიკაციების მართვის ხარისხს, შეიმუშავებს საქმიან წინადადებებს სტუდენტთა ყოფისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სოციოლოგიური კვლევის ცენტრი შეეცდება დაადგინოს სასწავლო პროცესში პროფესორ-მასწავლებელთა აქტიურობის ხარისხი, შრომითი მოტივაცია და შეიმუშაოს მათი გაზრდის რეკომენდაციები. ცენტრი გამოიკვლევს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ადმინისტრირებისა და ფორმალური მიდგომის

ცალკეულ ფაქტებს და შეეცდება მათი აღმოფხვრის ხერხებისა და საშუალებების დადგენას.

ცენტრი, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, რექტორატსა და დეკანატებს მიაწვდის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების წინადადებებს. ასევე წინადადებებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და წახალისების გზებზე.

ცენტრის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

ა) სამეცნიერო-სასწავლო მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებული სექტორები.

ბ) დროებითი, მიზნობრივი, სამეცნიერო, ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფები.

სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური კვლევის ცენტრს უხელმძღვანელებს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი **თეიმურაზ ფანჯიკიძე**, წარსულში საქართველოში პირველი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი რესპუბლიკური ცენტრის სწავლული მდივანი.

ახლადშექმნილი ცენტრი დადებით წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვასა და წინსვლაში. პროცესის ახალი სტანდარტებით მართვის საქმეში.

✍ ***ნიკოლოზ კიწმარიშვილი***

ყური თვალის წილ

„ენა არის სრული და სარწმუნო
მატიანე ხალხის სულიერი და მრავალ
საუკუნეგავლილი ცხოვრებისა...“
კ.უშინსკი

თუ ერთხელ მაინც გურიაში მოხვედრილხართ, თქვენთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა გურული დიალექტის განსაკუთრებული ჟღერადობა. გურული დიალექტი უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტულ კუთხესთან ადაპტირებული მეტყველება. თითოეული გურულ დიალექტზე წარმოთქმული სიტყვა აუცილებლობით აღნიშნავს რაღაც ისტორიას, ან მოვლენას და მეც გურიაში, კერძოდ კი ზემო გურიაში გაზრდილს, დიდი ინტერესი გამიჩნდა ამ სიტყვებისადმი. 11 წლის ვიყავი, როდესაც დავიწყე სიტყვების შეგროვება და განმარტება. ამ „ბუჯგურ-ბუჯგურში“ (ბუჯგური – ძებნა) 2100-მდე სიტყვას მოვუყარე თავი და 2010 წლის გაზაფხულზე წიგნად გამოვეცი („ზემოგურული მარგალიტები“ 2010. ნ. კიწმარიშვილი).

იმის დასამტკიცებლად, რომ გურული დიალექტისადმი ინტერესი არ არის მშობლიური მხარისადმი მიკერძოებულობით განპირობებული, წარმოგიდგენთ ერთი გურული სიტყვის ეტიმოლოგიას:

ჩათხრაშნილი – დასვრილი. გურულისათვის „ჩათხრაშნილი“ უფრო ორგანული ცნებაა, ვიდრე დასვრილი. ეს იმიტომ, რომ „ჩათხრაშნილი“ ზუსტად გადმოცემს დასვრილი კაცის მდგომარეობას და ცინიკურ – იუმორისტული ელფერიც დაჰკრავს. სალიტერატურო ენაში უფრო ზუსტად რომ გავიგოთ სიტყვა „ჩათხრაშნილის“ მნიშვნელობა, დასვრილი აღმატებით ხარისხში უნდა ვთქვათ, მაგალითად, ძალიან დასვრილი, ერთობ დასვრილი.

მოვიყვანოთ „ჩათხრაშნილის“ მაგალითი კონტექსტში: „აი ყაზირალი მოხთა თხრეშ წუმაში და თლა ჩეითხრაშნა ყორისფელი“.

შევამჩნევთ, რომ „ჩათხრაშნილსა“ და „თხრეშს“ ერთი ფუძე აქვთ, ამიტომ დავშალოთ სიტყვა „ჩათხრაშნილი“: ჩა-თხრაშნ-ილი. ზმნისწინი „ჩა“ ამ შემთხვევაში იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანი წელსქვევითაა დასვრილი. „თხრაშნ“ – ეს იგივე „თხრეში“, ანუ კოკისპირული წვიმა, მიგვითითებს წვიმით დასველებულ ადამიანზე, თუმცა გურულ დიალექტში „თხრეში“ წვიმით დასველებულ ადამიანს „დაშლაპნილს“ უწოდებენ და „ჩათხრაშნილად“ უფრო ტალახით დასვრილ ადამიანს მოიხსენიებენ („ჩათხრშნილსა“ და „დაშლაპნილს“ შორის იდეური განსხვავება, სულაც არ არის მსჯელობიდან განსვლა, რადგან

„თხრეში“ წვიმის დროს ადამიანი ტალახითაც ისვრება). ამ სიტყვის ბოლოსართი „ილი“ კი წარსულ დროს აღნიშნავს, უკვე დასვრილს.

სიტყვების ძიების დროს რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე პროფესორ იური სიხარულიძეს. მან ერთხელ საუბრისას ახსენა სიტყვა „კურცხალი“ და მისი ეტიმოლოგია. „კურცხალი“ გურული დიალექტიდან მოდის და ცრემლს ნიშნავს. „კურცხალი“ ყურწყალის ასიმილაციის შედეგია, მაგრამ სად ყურის წყალი და სად თვალიდან გადმონადენი სითხე?!

პროფ. ი. სიხარულიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა უძველეს დროში სმენისა და მხედველობის ორგანოებს საერთო სახელი ჰქონოდათ – „ყური“, ისინი როგორც შეგრძნების ორგანოები ერთი სახელით იყვნენ გაუმიჯნავნი. შეგრძნების ორგანოები სამყაროს შემეცნებას ემსახურება და მათგან ყველაზე აქტიურად თვალი და ყური.

ი. სიხარულიძის ჰიპოთეზის განსამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

როდესაც ადამიანს ვეუბნებით: „მიყურე!“, ჩვენ მისგან შემოხედვას, თვალით შესასრულებელ მოქმედებას ვითხოვთ, მაგრამ ფუძეში ჩანს „ყურ“.

აქვე მოვიხმობ გურული დიალექტიდან სიტყვას „ყურყუტი“ (ეს სიტყვა იმერულ დიალექტშიც გვხვდება), რაც ლოდინს, დიდხანს ცდას ნიშნავს. ეგნატე ნინოშვილი თავის მოთხრობაში „კაცია მუნჯაძე“ ამ სიტყვას იყენებს ასე: „აყურყუტებს აქ ფოთში მიმავალ მგზავრებს“. ამ კონტექსტის მიხედვითაც გასაგები ხდება „ყურყუტის“ მნიშვნელობა, მის ნაცვლად რომ გამოგვეყენებინა სიტყვა „თვალთვალი“, აზრი არ შეიცვლებოდა, მაგრამ ამ სიტყვის ფუძეშიც დომინანტია „ყურ“.

გუდამაყრულ დიალექტშიც გვხვდება სიტყვა „ყურადობა“, რისი ლიტერატურული შესატყვისიც თვალთვალია.

ი. სიხარულიძის ვარაუდისა და ზემოთ აღნიშნული მაგალითების კიდევ ერთი დასტურია სიტყვა „ყურადღების“ ცნება. ამ სიტყვის წიაღს თუ ჩავეძიებით, იგი უნდა ნიშნავდეს გაგონებას, ანუ ყურით შესასრულებელ მოქმედებას, მაგრამ ვიცით, რომ ყურადღება არის რაღაც გარკვეული შინაარსის გამოყოფა და მასზე კონცენტრირება. ეს კი, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სმენის ორგანოთი ხორციელდება, არამედ სხვა შეგრძნების ორგანოთითაც, რომელთაგან ყველაზე ინტენსიური აქტორია თვალი.

ჩემ მიერ აქ წარმოდგენილი საკითხი არის იდეა შემდგომი კვლევებისათვის. ვფიქრობ, კვლევის შედეგები მეტად საგულისხმო იქნება. მოყვანილი მაგალითებით თავად დარწმუნდებოდით, რომ თვალისა და ყურის ასეთი მონაცვლეობა ენაში არ არის შემთხვევითი.

უფლის მადლი ჰფარავდეს

ადამიანის სიდიდე მისი ღვაწლით განიზომება. თუ თვალს გადავავლებთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, ქართული თეატრმცოდნეობითი მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის, ქალბატონ ნათელა ურუშაძის შემოქმედებას, ნათლად დავინახავთ უმთავრესს, ქართული თეატრალური კულტურის პოპულარიზაციას არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ბრძენი ქალბატონი ყოველთვის ცდილობდა საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ის სულიერი საზრდო, რასაც ქართული კულტურა ჰქვია. მეცნიერული კვლევით თუ პერიოდული გამოცემებით, ტელე-რადიო გადაცემებით. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული სათეატრო კრიტიკის განვითარებაში. გაოცებას იწვევს მისი თეატრმცოდნეობითი შესავალი, რომელიც, სამწუხაროდ, მეცნიერის ბოლო წიგნი აღმოჩნდა. მისი ყოველი სამეცნიერო კვლევა ცოდნის დიდი ლამპარია. ქალბატონი ნათელა ხომ ყველასათვის სწერდა. განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა. ძნელია იყო ქალბატონი ნათელას მოწაფე – დიდი პასუხისმგებლობაა. მოწიწებით თავს ვხრი მისი მარადიული ხსოვნის წინაშე.

უფლის მადლი ჰფარავდეს მის სპეტაკ სულს.

დავით სოლომნიშვილი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

P A R A L L E L I

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:
რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია:
მერაბ ახობაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
ბორის გითოლენდია
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვლი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
ანანია ჯაფარიძე

EDITOR:
R E V A Z M I S H V E L A D Z E

EDITOR STAFF:
MERAB AKHOBADZE
GIOGRI GACHECHILADZE
JEMAL GAKHOKIDZE
BORIS GITOLENDIA
VAKHTANG DAVITAIA
IVANE TVALAVADZE
IGOR KVESELAVA
HANRY KUPRASHVILI
SHALVA NACHKEBIA
VAZHA PAPASKIRI
GIORGI SALUQVADZE
SOSO SIGUA
(DEPUTY EDITOR)
ARCHIL FRANGISHVILI
QETEVAN QOQRASHVILI
RUSUDAN QUTATELADZE
BADRI TSKHADADZE
(EXECUTIVE SECRETARY)
TEMUR JAGODNISHVILI
ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGENEERING FACULTY
ყდის დიზაინერი ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,
აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru